

114
1954 / 4

1954




განათლება

114 / 4

8

5

83060



1954



მნათობი

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

სამართებლოს საბჭოთა მწიკლეების კავშირის ორგანო

6805

წელიწადი ოცდამეათეობეტი

5

★

მ ა ი ს ი





მხატვრული ლიტერატურა



აღიო მირცხულავა — ლენინის მოედანი; გაზაფხულის პიში. ლექსები	3
პოლიკარე კაცაბაძე — ციციანთელი. პიესა	5
კონსტანტინე გამსახურდია — ეახის ვევილობა. რომანი. გაგრძელება	49
მაქსიმ რილსკი — სამი ლექსი. თარგმ. ხ. ვარდოშვილისა	66
აკაკი ბელიაშვილი — უღელტეხილი. რომანი. გაგრძელება	70
აღიო ადამია — სიმღერა მაისის ცეარში. პოემა	91
პლატონ ყორონკო — ჩემი მეგობრები. ლექსი. თარგმ. ნ. ჩაჩავასა	96
კალე ბობოხაძე — სამი ლექსი	97
ნიკოლოზ ჩანავა — დაილოცოს მიწა ქართული; სიმღერის დამადება; ტრაქტორისტი ქალის ნათქვამი. ლექსები	102
რ. გონჩარი — ოლენოვკი და გონჩარი. ნაწვევტი. თარგმ. რ. ქებუღაძისა	103
ნატან რაბაკი — მოსკოვთან სამარადისოდ ნაწვევტი. თარგმ. სანდრო შანშიაშვილისა	123
ირინა ვილდე — ძველი საქმე. მოთხრობა. თარგმ. მ. აგიაშვილისა	130
ეახილ სტეფანკი — კატრუსია. მოთხრობა. თარგმ. ვლ. თორდუასი.	134
შაშია ვარშანიძე — ორი ლექსი	137
თიბურაზ ჯანგულაშვილი — კიევში სივყარულს მოეუყვანივარ. ლექსი	139
შოთა ნიშნიანიძე — საგაზაფხულო. ლექსი	140
ნოდარ შამანაძე — ლენინი ჩემს სოფელში; გაიხზურა სოფელმა. ლექსები	141
ვალერიამ ჩეჟურიშვილი — ზემი თბილისში. ლექსი	142
ვლ. ბილ-ბელოცერკოვსკი — ბისმარკი და ზანგი. მოთხრობა. თარგმ. ვრ. ტოროტაძისა	143
ფარვიზ შადი — არანის სურათები. ლექსები. თარგმ. ლეილა ვრაძისა	150
ელშაზარ ზედგინძე — დღეები უჩრბანში. ნარკვევი	153
ალექსანდრე კეიშვილი — მთების დოვლათი. ნარკვევი.	167

კრიტიკა და კუზლიტისტიკა

ლევან ახათიანი — ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან. წერილი.	187
ელადიმერ პიანოვი — საბჭოთა უკრაინის ლიტერატურა. წერილი.	193
ეახილ იჩიანი — უკრაინული და ქართული ხალხების მეგობრობა. წერილი.	202

რედაქტორი

ალიო მ. ცხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდიანი), დიმიტრი ბინაშვილი,
ნიკო კეცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხიშიძე, სერგი შილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VI-54 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 13. შ. მ. 05116
შეჯ. № 623. ტირაჟი 5.300.

პოლურადგომბინატი კომუნისტი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი 3-23-42.

ალიო მიჩხელაძე

ღენინის მოქდანი

★

შის მკერდზე დროშა აუტანიათ,
მტკვრისპირ მზე ბრწყინავს მნათობის გვერდით,
ეს განა მართო მოედანია,
არამედ ქართლის მგზნებარე მკერდი.

მის შედგარ ბრძოლებს, მის დიად ამაგს
ქვეყნად სიმართლე დაუდგენია,
ვფიცულობთ ლენინს, ხალხების მამას,
დიდი რუსეთის უკვდავ გენიას.

ჩვენ მისი აზრი, რომ გვათბობს ეხლაც,
შის და სიცოცხლის შუქად მოგვედო,
და ხალხსაც უნდა, ლენინის ძეგლად
თვით იალბუზი რომ გამოკვეთოს.

მტკრმა ვერასდროს ვერ გადათელოს
დროშა, ძეგლად რომ სხივებში მოჩანს,
ჩვენს დედა-თბილისს, ჩვენს საქართველოს
მუდამ ფარავდეს ლენინის დროშა.

ეს დროშა სტალინს მოუტანია,
მტკვრიდან რომ ბრწყინავს მნათობის გვერდით,
სადაც ლენინის მოედანია
და ფეთქავს ქართლის უკვდავი მკერდი.



გ ა ზ ა ფ ხ უ რ ი ს კ ი მ ე ნ ი



იელვა, ცაში მეზი გაეარდა,
ხვეიდან ქარმა დაიზუზუნა,
ღრუბლებში ელვამ გაინავარდა,
და წამოვიდა წვიმა ეუუუნა.

გაუხარიათ ხეებს, ხეხილებს,
ლაღად კისერი მოუღერიათ,
შეტრფიან მერცხლებს მკერდგაღელილებს, —
მზეს აღმაფრენით რომ უმღერიან.

მიწას არა აქვს აქ დასასრული, —
სურნელის ფრქვევით ლხეება, ხურდება,
და, ისევ შრომის ველზე დამრული,
რკინის კოლონა ახმაურდება.

ისევ ზევერიელ დღეებს მოველით,
არა ჩანს ზამთრის არც გზა, არც კვალი,
წყრიალა წვიმის წვეთიც ყოველი
მიწაში ჩადის, როგორც მარცვალი.

ისევ მრავალი სიცოცხლე მოაქვს
თვითთულ მარცვალს ხნულში ჩასახულს,
დიდება მაისს! — ვარდობის დროა,
დიდება — შრომის დიად გაზაფხულს!



ც ი ც ი ნ ა თ ე ლ ა

კოხეღია 4 მოკმეღეზაღ



მოკმეღნი კირნი

- გერასიმე -- სოფ. აბლსოფლის კოლმეურნეობის თამჯდომარე.
ციცინათელა -- მისი ქალიშვილი.
მამისთვალი -- ციცინათელას საქმრო, კოლმეურნე.
ბადრი -- ქარხნის მუშა-გამომგონებელი.
ხათუნა -- მისი ცოლი.
კოკოლა -- ქარხნის სააშქროს უფროსი.
მიძინა -- სოფლის მეურნეობის მუშაკი, შემდეგ რაიკომის მდივანი.
აფრასიონი -- თანამდებობის პარი, შემდეგ მოხსნილი.
მუპი -- გერასიმეს და.
ქიშვარდი -- მისი ქმარი, კლუბის გამგე.
ანუქა -- კოლმეურნე.
ტასო -- ხათუნას დედა, ინჟინერი, რევიზიის ხელმძღვანელი.
ერმილე --
რევიზორები.

უღნაღე --



მოქმედება პირველი



მ. ახალსოფლის კოლეგურნიობა „აღმავლობას“ თავმჯდომარის გერასიმეს ეზო წინ აივნიანი ოდა გვერდით ბაღში შესასვლელი. შემოდის ენუქა).

ენუქა — ეზოში არაფერია, ვის დავეუბნებო? ციციანათელა დაქალიშვილდაბუბი ამყოფს — თავმჯდომარის და ვარო, შინამოსამსახურე ყრუ ჰყავთ. ოო, ანე სჯობს: ყრუს დავეუბნებ და ვისაც ესმის — გამოშვებდავს. (ეძახის) სადღუკია!

(აივანზე გამოდის პუპი)

პუპი — ენუქე ხარ!

ენუქა — დიახ, სანამ შენი ძმა თავმჯდომარეა, ენუქე ვარ, მერე კი ენუქას დამიძახებ.

პუპი — რად გწყინს. ბიჭო, გეთამამები, რა ბუზღუნა ხარ, შე უბედურო, როგორ გიძლებს ცოლ-შვილი!

ენუქა — ცოლ-შვილის არ მეშინია. წელს მუშაობით დაექანცე და ვერ მერევიან.

პუპი — ეპ, ჩემი ქმრის არ იყოს, ენამწარე ხარ, თორემ ავი გული არა გაქვს. ზოგიერთებივით საჩივრებს არ გზავნი ზევით გერასიმეზე.

ენუქა — ვინც გაგზავნა, რა გამოუვიდა?

პუპი — თქვენს საქმეს კი აწყობს ის უბედური მხოლოდ თვითონ გაამწარა ცოლი სიყვდილმა. რა კედელი დაეგრავა..

ენუქა — სამაგიეროდ, შენ ეშველები, პუპი.

პუპი — მე ჩემი ოჯახი მაქვს.

ენუქა — კი, როგორც იქნა, მოგვიანებით გათხოვდი, მაგრამ ქმარი აქეთ მოიყვანე ოჯახში.

პუპი — მოგვიანებით!..

ენუქა — არა, სიტყვაზე ვაბზობ. ისე, ძმისთვის ძვირად კი ღირხარ.

პუპი — დიახ, გერასიმეს მტრებს არ გავახარებ. ქერივებს არ ჩამოვეუნებ ამ ეზოში, გასკდნენ გულზე.

ენუქა — რა დაგიმალაოდა, ქალიშვილებიც გემდურია.

პუპი — რისთვის?

ენუქა — შენზე ახალგაზრდა რომ შეირთე და აქ კლუბის გამგედ მოაწყვე.

პუპი — უყურე იმ უმადურებს! ჯერ ერთი, ქიშვიარდი რა ჩემზე ახალგაზრდაა, მერე, მაგათ ცეკვა-თამაშს ასწავლის. შინ კი მშვიერი მუცელი მოაქვს. ეპ, ისევე ჩემს საქმეს მიუზღდავ, თორემ, შენ თუ ყური დაგივდე, მთელ სოფელს შემაძღლებ.

(ამბობს წასვლას).

ენუქა — მოითმინე, გერასიმე სატლშია?

პუპი — არა.

ენუქა — მაშ სად არის? დამიბარა ფერმაში გამყევით.

პუპი — არ იცი, ვან გვესტუმრა!.. რაიკომის მდივანი ბაღში ზის.

ენუქა — უპ!..

პუპი — მისი ცოლისძმა კოკოლა



აფრასაონი და ქარხნის დირექტორი მე-
ურნეობას ათვალისწინებენ.

ენუქა — მაშ, დღეს კარგი პურ-მა-
რილი გექნებათ.

პუპი — კი, ბაღში იშლება სუფრა.
სამზარეულოში სხვა სიკეთესთან შევე-
ლიც იწვება.

ენუქა — ეჰ!

პუპი — თუ გცალია მზარეულს
ცეცხლზე დაეხმარე.

ენუქა — როგორი ცეცხლია, თუ
გასინჯე?

პუპი — ეს რა პასუხია!

ენუქა — აბა, შე ცეცხლზე მპატი-
ვრბ და სხვებს შემწერებზე?

პუპი — ეპ, შენ და ქიშვარდი ენით
ვის გულს არ დაწვავთ.

(მოისმის ბაღის მხრიდან სტვენა, სიმღერა
და ბიჭების ღრინაცვლი)

ენუქა — ციციინათელას ხმა!

პუპი — (იხედება ბაღში აივნიდან)
ოო. აბა, ღობის იქით სოფლის ბიჭებს
აღიზიანებს.

ენუქა — ჯერ ბავშვობას არ იშ-
ლის.

(შემოდის ციციინათელა, ხელში ჩიტი ჰყავს.
მოისმის ბიჭების ყვირილი)

ბიჭების ხმა — ჩვენი ჩიტი! ჩვე-
ნი ჩიტი! ჩვენს მახეში გაება.

ციციინათელა — მერე, ჩემს
ბაღში რატომ აგებთ მახეს!

ბიჭების ხმა — ჩიტი მოგვეცი!..

ციციინათელა — (ჩიტზე) უი,
როგორ უცემს გული ამ საცოდავს. არა,
თქვენ ამ ჩიტს არ გაწვალბინებთ, თა-
ვის ბუდეში ვუშვებ. (უშვებს ჩიტს)
ფრა!..

ბავშვების ხმა — (ღრიალებენ)
გა-ფრინ-და!..

ციციინათელა — (აჯავრებს) გა-
ფრინ-და!

(ბავშვები ღრიალებენ)

ციციინათელა — (აჯავრებს) ვე!

პუპი — დაიკარგეთ აქედან! ეზოს-
თან ნუ ღრიალებთ, სტუმრები მოდიან!

ბავშვების ხმა — ჩიტი აგერაა.
ვერ ფრინავს. ქვა ვესროლოთ! ქვა მო-
ვარტყათ!

ციციინათელა — ა, არ მოკლათ,
თქვე საძაგლებო! მაცალეთ! გადაერე-
კავ აქედან ამ ბავშვბლებს.

(ციციინათელა მიდის)

პუპი — აი, ვის აპყვა ამოდენა გო-
გო. მოაბრუნე, ენუქა, სტუმრები დაინა-
ხავენ, სირცხვილია.

ენუქა — ეპ, მაგის მოთურგენა თუ
გინდათ, პატრონს ჩააბარეთ.

პუპი — ვის ჩაებაბართ, სანთელი-
ვით შევეცქერით ერთ ქალიშვილს.

ენუქა — შენ რომ თქვი, კოკოლა
აქ არისო. — მესამეჯერ რისთვის გეს-
ტუმრათ?

პუპი — უყურე, რა მჭირდავია ეს
სოფელი. — ვითომ ცული ბიჭია?!..

ენუქა — როცა მისი სიძე წავა რაი-
კომიდან, ღირსება მერე მომიყვებით. ახ-
ლა — მშვიდობით.

(ენუქა მიდის. შემოდის ქიშვარდი და ციცი-
ინათელა)

ციციინათელა — მამიდა, მიშვე-
ლე, წყალი წყალი, მამიდა!

პუპი — (შეშფოთებული) რა ამბა-
ვია, გული უწუხს?

ქიშვარდი — (მშვიდად) არაფერია,
ბავშვებმა კენჭი მოარტყეს კოქში.

პუპი — უი! კიდევ აჩნია.

(ცხვირსახოცი უხვევს ფეხს)

ციციინათელა — მეტი არაფე-
რი?!

ქიშვარდი — მერე კოკოლამ და-
სამშვიდებლად თავზე აკოცა.

ციციინათელა — შუბლზე მისი
ნიკაი მომედო. არა, როგორ გაბედა!
(შუბლს კიდევ მოიწმენდა ცხვირსახო-
ცი და გადააგდებს) იცი, რას ვუხამ!

ქიშვარდი — გეფიცები, ციციინა-
თელა, გულუბრყვლობით მოუვიდა,
ბოდიში მოიხადა და ყველამ სიცილი
დააყარა.

ციციინათელა — ვითომ?..

ქიშვარდი — როგორც ბავშვს,

ისე მოგეფერა. არც ახსოვდა თუ მოზრდილი იყავი. მერე ესეც დაუმატა არც ვიცოდი. ვინ იყოო. ღმერთმანი!

ციციანათელა — მართლა?

პუპი — არაფერია. ჩემო მოჩოთო. დაიფიყე. წამოდი. მხოლოდ სტუმრებთან ღინჯად იყავ. კოკოლასთან არ შეგეარცხვინო.

ციციანათელა — ლაფიკ დავასხი თავზე თქვენს კოკოლებს.

პუპი — მაშ, არავის მოერიდები?

ციციანათელა — არა!

პუპი — მამასაც გაასივებ გულზე?

ციციანათელა — არა, მესწორედ ეს მწყინს. რომ მამას თავი მდებლად უჭირავს. ისინი კი მალლიდან უყურებენ. ერთი მითხარით, რა უფლებით. — ისინი მამაჩემის ფრჩხილადაც არა ღირან.

პუპი — ეს მომწონს, მამა რომ ასე გიყვარს, მაგრამ სხვებსაც არ უნდა ჰქრა წიხლი.

ციციანათელა — სულ გაბერილი გულებია.

ქიშვარდი — არა კოკოლაზე ამას ნუ იტყვი.

ციციანათელა — მაშ, მამაჩემს ადარებ იმ... იმ... ოთო, ახლა მივხვდი, ჩემო ბიბია, რისთვის აქებ!

ქიშვარდი — რისთვის?

ციციანათელა — ყოველ მის მოსვლაზე რომ ღიდი სუფრა იშლება, ეს გახარებს.

პუპი — უი, მგონია, მართალია. წავიდეთ სამზარეულოში, დავხედოთ, რა კეთდება.

ქიშვარდი — ო, ეს სასიამოვნო სანახავია. (იხედება იქით) ეპე, ვინ მოდის! შენც წამოდი სამზარეულოში, ციციანათელა, თორემ მათხოვრები მოგადგებიან.

ციციანათელა — მათხოვრები სადაა?

ქიშვარდი — ვერ ხედავ. ყოჩებს რომ მოადგენს!

ციციანათელა — შენნი ქარხნის ნუსხებია: მამისთვალე და ბადრი.

ქიშვარდი — კოჭბენი ნუსხებია. დაყნოსეს. რომ აქ უფროსებია და რამეს სათხოვრად მოძერებიან. გაეასწროთ. სანამ დაგვეღრიჯებიან.

ციციანათელა — წადით. წადით. მე მაგათი არ მეშინია.

(მუი და ქიშვარდი მიდიან. შემოდის მამისთვალე და ბადრი. აპირებენ მიესალმონ ციციანათელას)

ციციანათელა — არ მომეწალაოთ. ხელი არ ჩამომართეთ. არა!

ბადრი — რატომ?

ციციანათელა — ახლა თქვენზე ისეთი სიტყვა გაეგონე, გული გადამიტროლდა.

მამისთვ. — რაო!

ციციანათელა — ჯერ ეს მითხარით, რისთვის მოხვედით!

ბადრი — გავიგეთ, რომ ჩვენი ქარხნია უფროსი და რაკომის მდივანი აქ არიან.

ციციანათელა — მერე, მერე, სათხოვარი ხომ არა გაქვთ?

მამისთ. — კი. აი, ბადრი, ხომ გითხარი. გულთმისანია-მეთქი, როგორ მიხვდა.

ციციანათელა — მე კი არა, თქვენი მოძულე მიხვდა. გასაოცარია, ღმერთმანი, ვინც რამე ცუდს მეტყვევს თქვენზე. მაშინვე მართლდება. მე კი სულ ყარგს ვფიქრობ და მუდამ სიზმრად რჩება. სად არის ჩემი ჰქუა, ბატოც არაა ჩემზე სულელი ამ სოფელში.

მამისთ. — (ბადრის) რა წიწმბატი უქმევია ვილაცას!

ციციანათელა — ეს მითხარო, მამისთვალე. დავაწინაურეს?

მამისთვალე — (თავს აქნევს უარის ნიშნად).

ციციანათელა — მაშ, ბინა?

მამისთ. — ოსტატებს დაურიგეს. მე კი, რადგან ხარისხი ვერ მივიღე, საერთოში ჩაერჩი.



ციციანათელა — რა გაიგონა ყურმა!..

მამისთ. — ჩვენ კიდევ რა გვიკირს, ციციანათელა დაჭორწინებული არ ვართ, ეს კი, ეს საწყალი, ისეთ დღეშია, ამის სიღვდარი ჩამობრძანებულა ქალაქში.

ციციანათ. — ჩამოსულა, მერე?!

მამისთ. — გაუგაა, რომ მისი მივლინებებს დროს ქალიშვილი ამაზე დაჭორწინებულა და ისე იფოფრება, თითქოს შინ მკვდარი დახვედროდეს.

ციციანათ. — ო, ნეტავ მისი ენა მაჩხვლეტინას!..

მამისთ. — ვისი?

ციციანათ. — ვინც თქვენზე თქვა, მათხოვრები მოდიანო, ენამ როგორ უყვილა!

მამისთ. — კარგი ერთი, ციციანათელა აწი დაეცებეთ.

ციციანათ. — რამ დამაამოს, ამ ბოლოს მაგონებენ გაათხოვარი ხარო, მეც ვიფერებ და, როცა ეშმაკურად მკითხავენ, ვის მიგათხოვოთო, ვისაც მამა ისურვებს-მეთქი.

მამისთ. — ეს რა პასუხია!

ციციანათ. — აბა, საიდუმლო რომ გაგვიგონ, ისეთი კვილი ატყდება ამ ეზოში, ტურის ქორწილი გეგონება.

მამისთ. — იმოდენა ტყუილიც არ უნდა თქვა, რომ თვითონვე გაება.

ციციანათ. — ტყუილი სულ არ მიფიქრია, მართლა უნდა იქცე ისეთ კაცად, მამამ მიიხრას მამისთვალს გაჰყვირო.

მამისთ. — მაგას არ გეტყვის.

ციციანათ. — ახლა ვატყობ, არ მეტყვის, აქამდე კი მეგონა.

მამისთ. — რა ვქნა, ციციანათელა თვალი ამომიღამდა იმ ქარხანაში და მეტი რა ვქნა... შენ კი უწყალოდ მექცევი.

ციციანათ. — უწყალოდ? ასე აფასებ ჩემსა?

მამისთ. — კი, ისე მეფერები, რო-

გორც ბავშვი თოჯინას, ხან თუკს მომიგრებ, ხან კისერს და, *მტრულად მიხიხილებულს გადამავლდები* მამისთ.

ციციანათ. — უი, რა ჰქონია გულში დაგუბებული, უი, სადაა საშველი.

მე თუ ჩემს დედას არ ამოვუწვევ გვერდით!..

მამისთ. — ეე, ხომ გითხარი თოფოსწამალიამეთქი.

ციციანათ. — აბა რად თქვი — უმოწყალოვო.

მამისთ. — ხომ გახსოვს, რომ შენი ხათრით დავემორჩილე გერასიმეს.

ციციანათ. — ასეც უნდა ყოფილიყო, აბა, მამას დაჩაგვრას უპირებდი და შეილს მეფიცებოდი?

მამისთ. — ჩემი სიმართლე არ უნდა მეტებნა? თუ შენ გგონია ბრძოლა არ შემეძლო, შენ მოგერიდე, თორემ ცეცხლს დავანთებდი.

ციციანათ. — მამ, ის მტყუანი ყოფილა და შენ გაიმარჯვებდი, არა!

ბადრი — რას გაიმარჯვებდა, როცა გერასიმეს იმდენი დამკველი ჰყავს.

მამისთ. — ვიყვირებდი მაინც, მაგრამ შენი ხათრით გავჩუმდი, ყველაფერი დავთმე და ეწვალობ, შენგან კი მოფერების აშკარა ნიშანიც არ მაქვს.

ციციანათ. — რა ნიშანი, კოცნას ხომ არ იფიქრებდი, ისეთი უზრდელი არ ვართ.

მამისთ. — არა... თუმცა სიყვარულის პირობაზე რამე ბეჭედი კი უნდა დაგვეკრა.

ციციანათ. — ჩვენი ბეჭედი ბადრი არის, მე ძმა არა მყავს, ეს ჩემი ნათესავია და სხვა მოწმე არ მინდა.

მამისთ. — მეც ვენდობი და თქვას, თუ შეუძლებელს არ მოხვ.

ციციანათ. — რაა შეუძლებელი?

მამისთ. — ისეთი ჯადო სად ვიპოვო, მამაშენს თავი შევავყარო?

ციციანათ. — აბა, როგორ იქნება?

მამისთ. — ან ერთი უნდა დათმო, ან მეორე.

ციცინათ. — გესმის, ბადრი?!
კაცმა შენი დასწრებით ფიცი დამადე-
ბინა. როგორც უფროს ძმას, დაგიჯერე
და ახლა მლალატობს. უთხარი, რაც
ეკადრება, უთხარი. შენი და არა ვარ?
უყვირე!

ბადრი — ეჰ, თქვენ ისეთ რამეზე
კამათობთ, ხელად შერიგდებით, მე კი
მართლა საკითხავეი ვარ.

ციცინათ. — რა შემარიგებს, რო-
ცა გზას მიჭრის. (ბადრის) ახლავე დაი-
ბრუნე სიტყვა, თორემ... დედა, რა უფ-
სკრულში ჩავევარდი... რა მიწა გამისყ-
და... როგორ დამიბნელდა... არაფერი
არ მინდა, არაფერი... (ტირის).

მამისთ. — მგონია, ავადიერი. ა...
სასწაულია..

ბადრი — უჰ!

ციცინათ. — აბა, პიმპილი რომ
დამანაყე, ქალი ვარ, ქვიჯა ხომ არა
ვარ.

ბადრი — მართალია, უხეშად ექ-
ცივი.

ციცინათ. — არ იცი, რომ გულ-
ში ხარ შეპარული, ასეთი სახრეს ტრია-
ლი შეიძლება?

მამისთ. — კარგი, მტყუნანი ვარ.
მითხარი, რაც გინდა.

ციცინათ. — ვერც შენ დაგთმობ
და ვერც მამაჩემს, იცოდე.

მამისთ. — კარგი, თანახმა ვარ.
მხოლოდ მამაშენს რომ წარმატებული
სიძე უნდა—რა ვუყო!..

ციცინათ. — რატომ ვერაფერს
გახდი. (ბადრიზე) ეს ხომ ოსტატია, ამ-
ბობდი, ხელს შემოწყობს და დავწინა-
ურდებით.

მამისთ. — ნეტავ ეგ არ მეფიქრა,
პირწმინდად ამოვაგდე ეს კაცი.

ციცინათ. — როგორ?

მამისთ. — ამ ბოლოს ამას თავის
საქმეც მოაწვა და მეც მეხმარებოდა,
ოსტატად გავეყვანე. ორივეს ვერ გასწ-
ვდა და თავის გამოგონების გამოცდაზე
კოკოლა მოიშველია.

ბადრი — ის კი არ მჭირდება,
მაგრამ, როცა შენ გეხმარებოდეს, მე
ხელიდან გამომართვა. *გინჯა*
მამისთ. — ჰო, კოკოლა პირდება-
და, თითქო ამაზე უკეთესად ჩაატა-
რებდა ცდას.

ციცინათ. — მერე რა მოხდა?
მამისთ. — ცდა არ გამართლდა,
ჭარხანას ზარალი მოუვიდა და ეს მოხ-
სნეს.

ციცინათ. — მოხსნეს?
მამისთ. — უბინაოდაც დარჩა, ცო-
ლი კი სწერს დედას, უნდა გამოვეჭ-
კეო.

ციცინათ. — ასეთ ქირში ჩაავ-
დე?

მამისთ. — ამისთვის გადმოვევარ-
დით. გვინდა ხალხს ვთხოვოთ, დირექ-
ტორთან გვიშუამდგომლონ.

ციცინათ. — მაშ; თვითონ უბე-
დურად დარჩი და ეს ბიჭიც დალუპე!

მამისთ. — აბა!

ციცინათ. — მერე, რა გულით
მოიცალე აქ ჩემთან საუბრეკიოდ, კაცი
დაგიღუპავს და მის თვალწინ ალერსი
გამომართე?!

მამისთ. — რას ეძახი ალერსს, ტი-
რილი რომ ატეხე!

ციცინათ. — ამნაირი ატირება
შენთან, ბიჭო, მენატრებოდა, მაგრამ
ახლა ამის დრო გვექონდა. საჩქაროდ
უნდა დავტრიალდე, გესმით? ხომ გი-
ნახავთ, ჩიტები როცა ბუდეს უნგრევენი
როგორ იფოფრებიან, ჩვენ კი ოჯახის
დაქცევას ასე შევხვდეთ!

მამისთ. — ჩვენ რაიკომის მდივანს
ვთხოვთ, შენ კი გერასიმეს შეეხვეწე.

ციცინათ. — უი, ძმაო, შე საცო-
დავო, ამისთვის გიყვარდა მამისთვალე
და ამისთვის მიტეხდი, რომ ასე გაგაუ-
ბედუროს!

(შემოდის ქიშვარდი)

ციცინათ. — აი, ქიშვარდაც სთხო-
ვეთ.



მამისთ. — არა, ეგ ისეთი კაცია, მართო სუფრაზე გითანაგრძნობს.

ბადრი — ჰო, სხვისი ქირი, ღობეს ჩხირია.

ქიშვარდი — (თავისთვის) ისე დაფეთებული იყურებიან ჩემსკენ, როგორც ბოსტანში ჩაპარული თხები. (ციცინათელას) მამიდა გეძახის.

ციცინათ. — არ გამიგონია.

(შემოდის გერასიმე).

ქიშვარდი — აი, მამაც მოვიდა, გოგო.

გერასიმე — აქეთ საქმე როგორ არის?

ქიშვარდი — მზარეული ჯარასაკით ტრიალებს.

ციცინათ. — (მამისთვალს და ბადრის) წავიღეთ და ჩვენთვის მოვილაპარაკოთ.

(იპირებენ წასვლას).

გერასიმე — ციცინათელა ეხმარება მამიდას?

ციცინათ. — ჯერ არ მცალია, მამა, შერე მოვალ.

(ციცინათელა, მამისთვალს და ბადრი მიდის).

ქიშვარდი — უყურე, ვის აპყობლია!

გერასიმე — მამისთვალს აქ რა უნდა?

ქიშვარდი — (სცენის იქითკენ) ხედავ, აგერ, ბიძინას შეეგება!

გერასიმე — ალბათ შეიტყო, რომ ბიძინა აქ რევიზიას მიყეთებს და საჩივლელად ჩამოვიდა. გაიგე, რას ელაპარაკება, მე სამზარეულოს გადაეხედავ.

(გერასიმე მიდის. შემოდის მამისთვალს და ბიძინა).

ბიძინა — მეზობელ მეურნეობებშიც ვნახე, მამისთვალ, შენი დაგზავნილი ნერგები, კარგად გაუხარებია.

მამისთ. — დიახ. ერთ დროს ძალიან ბევრი დეარაგე.

ბიძინა — რატომ გადახვედი ქარხანაში?

მამისთ. — რა ვიცი... ისე, სახერგეში მუშაობაზე მოხსენებებს მამისთვალს გამოვგზავნე. კარგა ხანს უწყობდა მართლს.

ბიძინა — კეთილი, იმ მოხსენებას გამოვითხოვ და გავეცნობა.

ქიშვარდი — (მათ უახლოვდება) სახლში შემობრძანდით, პატივცემულო ბიძინა, აგერ სხვა ამხანაგებიც მოვლენ. (შემოდის კოკოლა, აფრასიონი და დირექტორი).

ქიშვარდი — ო, მობრძანდით, კეთილებო! (ბიძინას) გაიცანით!

(უთითებს დირექტორზე, მაგრამ აფრასიონი წამოიწევა წინ).

აფრასიონი — მე აფრასიონი ვარ.

ქიშვარდი — დიახ, ეს აქ კოლმეურნე უკავი იყო, მაგრამ დღეს ერთი სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილეა.

აფრასიონი — ახლა ახალ თანამდებობაზე გადამიყვანეს.

ქიშვარდი — ეს ქარხნის დირექტორია, ეს კი საამქროს უფროსია — კოკოლა. თუ წამობრძანდებით, რაიკომის მდივანს ბაღში ნახავთ.

ბიძინა — გამდლობთ, გერ გერასიმეს ნახვა მინდა, თან, მეჩქარება.

ქიშვარდი — ის სახლშია, ბატონო, შემობრძანდით ოდაში.

(ბიძინა, ქიშვარდი და დირექტორი მიდის ოდა-სახლში. მამისთვალს კოკოლას უახლოვდება).

კოკოლა — შენ აქ რამ მოვიყვანა?

მამისთ. — ციცინათელას ეცუდი. ბადრის შესახებ ერთად უნდა ეთხოვოთ დირექტორს.

კოკოლა — ოო, კრინტი არ დასძრათ მასზე, თორემ სულ გააფუჭებთ საქმეს. მე მაკალეთ, ციცინათელას თხოვეთ ჩემგან ხმა არ ამოიღოს — მე მენდეთ.

მამისთ. — კეთილი. აბა, მალად შენი იმედით ვართ.

კოკოლა — მე მოველაპარაკებო ყველას, როგორც წესია, და ბადრი მოვიდეს პასუხის მისაღებად. იმედი მაქვს, ეუწყელი.

შამისთ. — კარგი. ახლავე ვეტყვი. (მამითვლი მიდის).

კოკოლა — სხვა, როგორ ბრძანდებით. პატრეცემული აფრასიონ, ორი წელიწადია არ მინახავხარ.

აფრასიონი — გამოვიცვალე, არა?

კოკოლა — რაღაცა გადიდჯაყებული ხარ.

აფრასიონი — მერე, ვითომ, არ მშვენის?!

კოკოლა — ო, ძალიან იშოვებ. კიდევ რა მიკვირს, იცი? ჩემი სიძეც ასე კარგად ახერხებს ტყავის გაკიმვას — იმავე ქალაქში, სადაც წინათ ყველას ეკრივიზოდა, ახლა მეხვიით დადის, ვერაინ თვალს ვერ უსწორებს... ჩემი დაც ისე მედიდურად უყურებს მის პირველ კოლ-შვილს, თითქოს ისინი უნდა წითლდებოდნენ.

აფრასიონი — ოო, შენ, კოკოლა, ვის არ გაიციხავ. მგონია, მეც მომიჩახო ნაკლი.

კოკოლა — არა, შენ ისე მიდიხარ, წინ, მალე დამჭირდები, ახლა აქ რისთვის ჩამობრძანდი?

აფრასიონი — აქაურებს უნდათ ჩემთან შეხვედრა.

კოკოლა — ოო!

აფრასიონი — კიდევ ერთი საქმე მაქვს და ამაში შენც გამომადგები.

კოკოლა — თუ რამე შემიძლია.

აფრასიონი — წელან ბადრის შესახებ თქვი, დავებმარებო.

კოკოლა — დიახ, მის ამხანაგს შევბირდი, მაგრამ ის ღირსი არაა, ძალიან გლხოვ, შენ ნუ დაიცავ.

აფრასიონი — როგორ დავიცავ. იმ გარეწარმა ჩემი მეზობლის ქალიშვილი დაღუპა.

კოკოლა — რას ამბობ, ავი ვიღაცა შეირთო!

აფრასიონი — ჰო, ისეთ დროს შეირთო, როცა დედამხროშისწამში იყო მივლინებული. ახლა კანტაბაძე, და ქალიშვილი სახლიდან გაიპარა.

კოკოლა — რას ამბობ!

აფრასიონი — გუშინ დედამისი დაეარწმუნე, მოვნახე და მოვიყვან, თუ ჩემთან დადგება სამსახურში-მეთქი!

კოკოლა — შენ რად გჭირდება?

აფრასიონი — კარგი შესახედავია, და ვის არ უნდა, თავის ეზოში ჰყავდეს ფარშავანგი!

კოკოლა — ოო, მაშ არ გეწყინება, რომ მოვხსნა ბადრი ქარხნიდან?

აფრასიონი — რასაკვირველია, — როცა უსაქმოდ დარჩება, კოლიც ადვილად მოშორდება.

კოკოლა — უბრალოდ რომ გავაგდო, ეგებ სხვა ქარხანაში შეძერეს, მე მინდა ის კოლექტივში გადმოვიყვანო, რომ ქარხანას სამუდამოდ მოშორდეს.

აფრასიონი — მერე, სოფელში რომ მოეწყოს თავისი კოლით?!

კოკოლა — არა, აქ ისეთი ქოხი აქვს, კოლი არ მოუცდის, ამიტომ დამეხმარე, აფრასიონ.

აფრასიონი — შენ რად გადაეკიდე იმ კაცს?

კოკოლა — ერთი გამოგონება მაქვს ქარხანაში და იმაზე მეტილება, არც ესმის არაფერი.

აფრასიონი — როგორ გიბედავს! შენ თვითონ ხომ არ ართმევ? სიმართლე თქვი!

კოკოლა — რა გაჩნია, რომ წავართვა!

აფრასიონი — შესმის.

(შვილიან სახლიდან გვრასივ, ქიშკარდი და ღირებტორი).

გერასიმე — დაღლილი იქნებით, ჩემო სტუმრებო, თორემ ფერმასაც გავჩვენებდით.

კოკოლა — არა, ბევრი ვნახეთ.

დირე ქტორი — აქამდეც ვატყობდით, რომ მაგარი კოლმეურნეობაა.



აქედან საუკეთესო მუშები მივიღეთ ქარხანაში.

კოკოლა — მხოლოდ ერთმა დაგვაზარალა.

ღირეკტორი — რომელმა?

კოკოლა — ბადრიმ.

ღირეკტორი — ჰო, შენ მისი მოხსნა მოითხოვე, არა?

კოკოლა — დიახ, არ შეიძლება დატოვება, ისეთი ზარალი მოგვაყენა თავისი გამოგონებით.

ღირეკტ. — რა ვიცი, ძალიან შემატოდა თავი.

აფრასიონი — ეს როგორ გვეკადრება, თუ კაცი მოსახსნელია, მისი შებრალება მავნებლობაა.

კოკოლა — აი, თვითონ აფრასიონიც მეთანხმება.

ღირეკტ. — არ ვიცი.

კოკოლა — რაიკომის მდივანთანაც მქონდა ლაპარაკი, მითხრა, მოაძვრეთ ქარხნიდან და გერასიმე დაიხმარე!

აფრასიონი — ო, გერასიმე როგორ არ დაგეხმარება!

გერასიმე — კი, ბატონო, კოლმეურნეობაში თუ დაბრუნდება, ხელს შევეუწყობ!

კოკოლა — კაცი შესაფერ საქმეზე უნდა მოეწყოს, ის ქარხანაში არ გამოდგა.

ღირეკტ. — რა ვიცი, მოელაპარაკეთ, თუ არ დაინაგრება, თანახმა ვარ.

კოკოლა — მე თვითონ დავარწმუნებ.

ქიშვარდი — აი, ადამიანზე ზრუნვა ამას ჰქვია.

კოკოლა — ისე ხომ მაგრადა ხარ, გერასიმე. თუ არ მოეჭირე ხელი ზოგიერთებს, ხალხს შორიდება არ ექნება და საქმე არ გაკეთდება.

გერასიმე — შენ ჩამოივლი ხანდახან და მამაგრებ, თორემ მართლაც რბილი კაცი ვარ.

ქიშვარდი — ეს სწორი პასუხია. (მეზოდს პეპო, ბაღის კარს გაიღებს).

პეპო — მობრძანდით, ბატონებო... მართალია, თქვენი საკანონო მოქმედება არა გვაქვს. მაგრამ გვაძაღვს (მეზოდს ენუქა).

ენუქა — (ქიშვარდის) აფრასიონთან ცოტა სათხოვარი მაქვს.

ქიშვარდი — მიდი, აქ ვარ, ნუ გეშინია.

ენუქა — პატივცემულო აფრასიონ!..

აფრასიონი — (ზურგს შეაქცევს ენუქას) მხოლოდ ერთი პირობით შემოვიღივართ, პეპო. იქ, სუფრაზე, მთხოვნელებმა არ შეგვაწუხონ.

პეპო — არა, ბატონო. მხოლოდ ამას ვთხოვთ, რომ შიირთვათ.

აფრასიონი — კმარა, კაბინეტებში რასაც გვაწუხებენ, სუფრაზე მაინც დაგვასვენონ. ძალიან მიჭირდა ამ სოფელში ჩამოსვლა, მაგრამ საქმე და მოვალეობამ მაიძულა.

ენუქა — ამხანაგო აფრასიონ, როგორ გიკითხოთ!

აფრასიონი — (ზურგს შეაქცევს) რა ისეთი გაჭირვებული მნახე, რომ საკოთხავი ვიყო!

ენუქა — არა, მე სალამის მეტი არაფერი მინდა.

აფრასიონი — ერთხელ ზომ მოგესალმე? მე ქუდის მოხდა ჯარიმის გადახდაზე უფრო მემძიმება.

ენუქა — სწორედ მთხარია, ასე კარგად რომ ხარ, აფრასიონ. ტყვილად არ დაგხმარებია ვანაში.

აფრასიონი — ო, ეს კიდევ რა იცით სოფლელებმა, თუ ვინმე კაცად გამოდგა, სუყველა იძახით, დედაჩემის ძუძუთი გაიზარდაო.

ენუქა — ზოგჯერ ეს მართალიც არის. პატივცემულო აფრასიონ.

აფრასიონი — მართალი როგორაა, იმდენი ძუძუ რომელი ბაშვის პირში ჩაეტყვა!

ენუქა — ესეც სწორია, კი, სწორია. გმადლობ, გმადლობ, აფრასიონ!

აფრასიონი — ახლა ცოტა გაგვიკისტე, მაგრამ არა უშავს. მე უბრალო კაცი ვარ.

ენუქა — მესმის, ეს მეზობლური გაკისებვა იყო. კარგად იყავი, კარგად.

(უკან დაიხეხს).

აფრასიონი — გლახად რატომ ვიქნები!

ქიშვარდი — (ენუქას) ბიჭო, როცა შნო არა გაქვს, რად ესალმები.

აფრასიონი — ისე, ენუქა, თუ ქალაქში რამე დაგტირდეს, გამომიარე.

ენუქა — ჰო, ამის თქმა მინდოდა. იქ ბავშვი მყავს მოსაწყობი.

აფრასიონი — მოდი, მოდი, კი დაგეზმარები.

გერასიმე — კარგი წყალობა დაგპირდა ენუქა, აბა, აწი მარჯვედ იყავი.

ენუქა — რა მიჭირს.

(ენუქა ვაღის).

გერასიმე — ნუ ყოყმანობთ. ამხანაგებო. შემობრძანდით.

(აფრასიონი, დირექტორი და გერასიმე მიდიან)

კოკოლა — ციცინათელა სადაა?

ქიშვარდი — სულ მალე დაგისკვებებ გვერდით.

კოკოლა — აბა, ისე შემაქე, როგორც სასიძოს ეკადრება, თორემ, ხომ იცი, შენი სული ჩემს ხელშია.

ქიშვარდი — ისე გავუძღვები სუფრას, რომ ქეიფს ქორწილად გადავაქცევ.

(პირებენ წასვლას. შემოდის ბადრი)

ბადრი — გამარჯობა, ძვირფასო კოკოლა!

კოკოლა — ოჰ, შენი გულისათვის რა გადავიტანე. აი, ქიშვარდი არის მოწმე, პირდაპირ გამოვუცხადე დირექტორს, ან მე მომხსენი ქარხნიდან, ან ბადრი დააბრუნე-მეთქი.

ბადრი — მერე როგორაა საქმე?

კოკოლა — ძალიან შემომიტია — იმ მავნებელს სასამართლოს გადავცემ და შენც მიგაყოლებ. როგორც მის ხე-

ლის შემწყობსო. კიდევ კარგი, ჩემი მდივანმა, ჩემმა სიძემ, მშველელით გადახედა და ჩააგდებინა თანამშრომელთა ორივე დავილუპებოლით.

ბადრი — მერე, რა მავნებლურია ჩემი გამოგონება!

კოკოლა — საქმემ ძე დაამტკიცა და ესეც კარგია, რომ ცოცხალი გადარჩი. (ქიშვარდის) შენც აუხსენი ამ ქაცს, რაიმე.

ქიშვარდი — ჰო, ერთი არაკის არ იყოს ამ ნაკლს დაგაკრავენ და მერე ეძიე, აქლემი ხარ თუ ვირი.

ბადრი — ორი თვე მაინც დამტოვონ ქარხანაში. ის თუ ვერ გამოიყენეს, სხვა გამოგონებაც მაქვს.

კოკოლა — რა ვქნა, ამისიე მეშინია, აქ რომ გელაპარაკებო, — მტრულად გიყურებენ.

ბადრი — შენი მაინც მადლობელი ვარ, კოკოლა, გულით კარგი გინდოდა.

კოკოლა — ისევე ჩემი იმედი გქონდეს. ოღონდ იმ ქარხნისაკენ, თუ კაცი ხარ, არ მოიხედო.

ბადრი — ვიცი. ბევრჯერ შეიწუხე თავი ჩემი გულისათვის, მაგრამ ახლა ისე არ გაგიმართლდა ზრუნვა.

კოკოლა — ო, ძალიან მეწეის გული, მაგრამ რა გიყო.

ბადრი — მშვიდობით!

(ბადრი მიდის)

ქიშვარდი — (იციინს) კაცო, ეს რა ცხვარი ყოფილა, ვილაცაა!

კოკოლა — რაზე ამბობ!

ქიშვარდი — წელან დირექტორს რა ელაპარაკე და ამას რა გადაეცი. რა აბრუნდები გააყეთე, შენი ქირიმე!..

კოკოლა — შენს ენას მოუარე, თორემ, როგორც დაჭიხსენი ციბრდან, ისე ჩავსვამ.

ქიშვარდი — რატომ, რა დავაშავე!

კოკოლა — აბა, იქ შენს კლებს რომ ხანძარი მოედო კოპერატივიდან. ყველაფერი რიგზე გქონდა და ცეცხლმა იმსხვერპლა, არა?!



ქიშვარდი — რაც შენ წაიღე, იმის მეტი არაფერი გამიფლანგავს, და, მე მგონია, ამიტომ დამიხსენი.

კოკოლა — ჯიბეში არაფერი ჩამიდვაა სულ მლიქვნელებს შევაკამე, სულ შენი მსგავს ცულუტებს.

ქიშვარდი — უკეთესები გეპოვა.

კოკოლა — არა, ესეცაა, ჩვენს ცხოვრებას ასეთები ამშვენებენ!.. მეუბნებიან, ნამდვილი შეგობრები ჭირში გამოგადგებიანო, მაგრამ ჭირი რად მინდა. თუ მაინცდამაინც გამოჭირდა, ყოველთვის მოიძებნებიან ისეთი პატიოსნები, რომ დამიხსნან შენისთანავე რაგებისაგან. რომლებიც გაჭირვების დროს შესაქმელად მოვარდებიან.

ქიშვარდი — არა, კოკოლა, მე მასეთი თადლითი არა ვარ.

კოკოლა — ბუნებით ვითომ არა გიშავს, მაგრამ მშმიშარა ხარ და ამან გაგათასსირა... თანაც, წუწყი ხარ, შე საწყალო, ცოლიც ანგარებით არ შეირთე!..

ქიშვარდი — ჰო, ყველაფერი სიგლახე ვარ.

კოკოლა — მერე, რა გიყო, უმრავლესობა ასეთი ხართ და, მე რომ თქვენი გასწორება დაეწყო, ტყუილად გულს გავიხეთქავ... ამიტომ შევეურიგდები თქვენს საქმეებს. მხოლოდ ეს იყოს ჩემი ვაეკაცობა, რომ თეორიაში შევიჩინე პატიოსნებას.

ქიშვარდი — მესმინა.

კოკოლა — ამას გარდა, ერთ სიბრძნეს გასწავლი: ვის ფრთის ქვეშა ხარ, იცოდე, მისი ბრჭყალებიც ახლოა შენს კისერთან.

ქიშვარდი — ესეც ვიცი.

კოკოლა — ამიტომ არსად წამოგცდეს ჩემი ძვირი.

ქიშვარდი — ჩემი თავის მტერი როდის ვიყავი!

(ქიშვარდი და კოკოლა მიდიან. შემოდის ციციანთელა, ბადრი და მამისთვალი)

ციცინათელა — ასე სანამ გავიბეროთ დარდით, შევიდეთ და ვუთხარათ ღირექტორს ყველაფერი.

ბადრი — კოკოლამ შითხრა არაფერი გამოვარა და არა ღირს გვეწმენი — სხვაგან მივძარათ თუ რაღაც მოხდება ბორკა.

ციცინათელა — რა შემწვრების სუნია!

(შემოდის ვნუქა).

ენუქა — ეპ, სად ყოფილხარ, ბადრი. მე კი შუკები შემოვირბინე შენს ძებნაში.

მამისთვალი — რისთვის ეძებ?

ენუქა — ქალბატონი ჩამოუვიდა.

ციცინათელა — ვინ? რომელი ქალბატონი?

ენუქა — თითონ ეცოდინება.

ბადრი — ალბათ სიდედრია და სადმე უნდა გადავევარდე. ვერ ვნახეთქო, უთხარი. თუ კაცი ხარ.

ენუქა — არა, კობტა მოჩითია. შენი მეუღლე ყოფილა, ქარხანაში ვერ უნახავხარ და ფეხით მოდიოდა, სოფლის ბოლოში შემხვდა.

ბადრი — ეპეე!..

ენუქა — მეც ვატყობ, სავალალოდ გაქვს საქმე. მისთვის ვითხარი, ქალბატონი ჩამოგვლია-მეთქი, — შენი შესაფერი არაა. აგერ დგას, ვერსად დავეცი. ყველაზე ხელიცები მოელანდა.

ციცინათელა — დაღლილიც იქნება. ქვეითად რამ მოიყვანა!

ენუქა — საბარჯოზე არ დამჯდარა — დავიმტკვრებო. ცალ ხელში ჩემოდანი აქვს და მეორეში თაიგული. ფეხსაცმელები აცვია მტკაველიანი ქუსლით.

ბადრი — სად შევიყვანო?

მამისთვალი — უნდა გააღო შენი გამოკეტილი სრა-სასახლე.

ციცინათელა — კოლოფივით მოთხია. ხულაა, მაგრამ... ორ სულს კი ეყოფა.

მამისთვალი — რატომ არა, შეყვარებული ცოლ-ქმარი ცულდის ტარზე დაეტევაო.

ბადრი — შიგ ფეხმოტეხილი ტახ-

ტის მტერი არაფერი მაქვს. — საბანიც ქარხანაშია.

ენუქა — არც ის საბანი იქნება მისი საყვარლისი.

ციციანათელა — ჰოდა, თქვენც მუშებნობდით, ნურაფერს ეტყვი დირექტორსო!

მამისთვალე — რა ვიცი.

ციციანათელა — შენ თუ არა, მაშინ უნდა იცოდეს, ჩვენი გულისთვის ეს ბიჭი დაიღუბა. ვეტყვი კი არა — ვებრძვინებო. შევარდები ახლა იმ ბაღში და ისეთებს მივყავი იმ კამეჩებს. იკადრონ ლაფიდან წაშოდგომბ.

მამისთვალე — მოითმინე, ციციანათელა, ჯერ დამშვიდდი.

ციციანათელა — მე რას მებოდიშები, აქ ბადრი დაამშვიდე. (წასვლას აპირებს)

ენუქა — მე რა ვქნა, ხომ არ გავეპარო იმ უცხო ქალს!

ციციანათელა — შემოიპატრევე ეზოში, მე მამას გამოვიხმობ.

(ციციანათელა მიდის ბაღში)

ბადრი — რა პირით შევხვდევ?

ენუქა — რა პირითაც ითხოვე.

მამისთვალე — ეჰ!..

ბადრი — ბებიამ ერთი ანდაზა იცოდა: საყვარელი და სიყვდილი ერთად მომადგაო.

ენუქა — გავაგებინებ, რომ აქა ხარ.

(მიდის)

ბადრი — რა გულს ვიხეთქავ. შევიყვან იმ ჩემს ხელაში და მერე რაღაცს გავაკეთებ.

მამისთვალე — კი, ბიჭო, რა გაშინებს. ცოლია, მტერი ხომ არ არის.

ბადრი — სათუთი ცოლი ღატაკისათვის მტერზე უარესია. რა ვუყო, სათბურის მცენარეს ჰგავს.

მამისთვალე — არა უშავს, ჩვენი სოფლის ნიადაგზე. უცხოეთის მცენარეები შემოგუებია, მაგ ჩვენებური მაინცაა!

(მეზოლის ხათუნა, კეკელიძე, გული ბელ-ათისანიძეა. თან ჩოთულა მარქენსოვი. კაზდენილად მიდის). გიგლინიციანი

ბადრი — (შეეგებება) ხათუნა, ა, როგორა ხარ?..

ხათუნა — რა ვიცი, შენზეა ჩემი კარგად ყოფნა.

ბადრი — რას იზამ. (მამისთვალზე) გაიცანი, ეს ისეთი გულითადი მეგობარია, ამასთან არაფერს ვმალავ. ასე უეცრად მაინც რამ ჩამოგიყვანა!

ხათუნა — დედა უკმაყოფილოა, ჩამოსვლისთანავე გაახელეს შენზე.

ბადრი — ეს ხომ მომწერე.

ხათუნა — ამ ბოლოს ისე გამამწარა, გამოვევარდი სახლიდან და დავიფიცე, რომ არასოდეს სარ დაებრუნდები... აქ კიდევ ქარხანაში ვაიზე ვუღამემატა და წამოვედი შენს საძებრად.

ბადრი — კი, იქიდან გამომადგეს.

მამისთვალე — არა უშავს, მიგოლებენ, ზღბი ეხვეწება. (ჩუმად). გულს ნუ გატეტებ ბიჭო.

(მეზოლიან ციციანათელა, გერასიმე, ქიშვარდი და ბუბი)

ციციანათელა — ეს არის, ხედავთ!

ბადრი — გაიცანით, ეს ჩემი მეუღლეა.

ბუბი — უი, რა ხოხობივით გოგოა! (აკვირდება) ბრმა ხომ არ არის?

ბადრი — რატომ?

ბუბი — ყრუ არის?

ბადრი — არა.

ბუბი — აბა, შენ როგორ წამოგიყვანა. (გადაეხვევა და კოცნის) ალბათ საწყალი გულსაა.

ქიშვარდი — (ზედმეტი მოწიწებით) თქვენი სახელი, ქალბატონო?

ხათუნა — ხათუნა!

ქიშვარდი — მე ქიშვარდი ვაბლავარ. (კოცნის ხელზე) მეც თქვენისთანა მსხვერპლი ვარ. (ბუბიზე) ჩემი მეუღლე ეს არის. ალბათ ახალსოფლის არმოყვებს უხილავი ბადე აქვთ.



პუპი — ამას უყურე, თორემ დიდი ორაკული ხარ!

ციცინათელა — (ახედავს თავიდან ფეხებამდე) რა გემოვნებით აცვია. (ართმევს ხელს) მე ბადრის ნათესავი და მეგობარი ვარ. და... ისე მიხარია, რომ თქვენ ის გიყვართ...

ქიშვარდი — (ხელით გამოსწევს) რა იცი, რომ უყვარს?

ციცინათელა — მისი ცოლია.

ქიშვარდი — მერე, არ კმარა ცოლად რომ წაჰყვას, გულიც შეაღიოს?

პუპი — რა ყელსახვევი აქვს, რა ნაქარგი. სუყველაფერი ერთმანეთს შეეფერება. დააკვირდით, ისე ძვირფასი მატერია არ არის, მაგრამ გემოვნება რას ნიშნავს.

ციცინათელა — თმა როგორი დახვეულია. ა, რა ხელოვნებით.

ქიშვარდი — (ცალკე. თავისთვის) შნოიანი ცოლიც მაგას. სიყვარულიც მაგას, მე კი პუბისაგან ვინება.. და კიდევ მეუბნებიან, ანგარიშით ითხოვეო. ქალის თხოვაში ყველა მოანგარიშე ტყუულებდა.

ციცინათელა — თქვენ ფეხით ამოხრძანდით ქარხნიდან?

ხათუნა — დიას.

ციცინათელა — ამ ფეხსაცმელებით იარეთ იმოდენა გზაზე?

ხათუნა — არა, ესენა გავიხადე.

ციცინათელა — მერე, ფეხშიშველი როგორ ივლიდით, არ გეტკინათ?

ხათუნა — არა, იმ გზაზე ფლოსტები წამოვიციე, სოფლის ბოლოს ისევ ჩემოდანში ჩაეაწყე.

პუპი — აი, ხომ გესმის, ქუთაც რომ ლამაზი ჰქონია.

ქიშვარდი — შენ ქუთა თვალში გაქვს, მარტო ფეხსაცმელს ამჩნევ, მას კი ვერ ხედავ, როგორი ფეხები აქვს. მარიფათიანი ქალი ასეთი ფეხით ქვეყანას თვალს მოთხრის.

ხათუნა — ოჰ, ბუძგი მომდებია კაბის ბოლოზე.

ციცინათელა — უი, ალბათ, ღობის პირად მიგვეკრა. (ამორებს)
 *ეროვნული
გმრდომიონი*

პუპი — ჩულქეცაა.

ხათუნა — დიას, კოჭზე მიბწყინა.

ციცინათელა — უი, აბა, დასწყევლოს ღმერთმა! (ამორებს)

ქიშვარდი — თქვენ ცეკვა და სიმღერა იცი?

ხათუნა — როგორ არა.

ბადრი (ამაყად) — იცის.

ქიშვარდი — მამ, ჩვენ აქ კლუბი გვაქვს, მე გამგე ვარ. იქ მონაწილეობას მიიღებთ.

ხათუნა — არა, კლუბში არ ვიცეკვებ.

ქიშვარდი — მთელი გუნდი მყავს.

ხათუნა — არა.

ქიშვარდი — რატომ, გასართობად კლუბი კარგია.

ხათუნა — ჩემთვის ბადრი კმარა. (შემოდინ გერასიმე და აფრასიონი)

აფრასიონი — (შორიდან ხათუნაზე) ეს არის? ოო, ეს ჩემი ცოლის ნამხანაგარია.

გერასიმე — იცნობ?

აფრასიონი — ჩემი მეუღლე დასცინოდა, ვიღაც ჩანჩალას გაჰყვარა.

გერასიმე — ისე, რა ოჯახის შვილია?

აფრასიონი — ო. ისეთი დედა ჰყავს, ჩემს მოადგილედაც არ დაეწუნებდი.

ციცინათელა — (ხათუნას) ეს შუბლზე რა გაქვთ აკეცილი, ვუალი?

ხათუნა — დიას.

ციცინათელა — იშვითად ხმარობენ. ამაში, ალბათ, გამოხედვაც სხენაირად უნდა.

აფრასიონი — სალამი, ხათუნა!

ხათუნა — ო, თქვენ... საიდან?

აფრასიონი — მე აქაური ბუდის არწივი ვარ.

ბადრი — ეს თავიდან ჩვენი ტოლამხანაგი იყო.

აფრასიონი — არა, ახლო ამხანაგები არ ეყოფილვართ. იყე კი მახსოვხარ.

ბადრი — დიახ, ხნით ჩვენზე უფროსი იყავით.

მამისთ. — კი, მახსოვს ჩახმახურას მეტახოდათ.

აფრასიონი — ეგეც გეშლებათ. (ბადრიზე) მამ, ეს არის შენი ახლანდელი ქმარი?

ხათუნა — რას ნიშნავს ახლანდელი! სხვა ხომ არ მყოლია?

აფრასიონი — ამ ამბავს გადაეცემ ჩემს მეუღლეს. შენი ნაამხანაგაოია.

ხათუნა — არ გეხვეწებით.

აფრასიონი — რატომ?

ხათუნა — თქვენმა მეუღლემ დედამისს ისედაც ბევრჯერ მოახსენა ბადრის ამბავი. მეტს ნუ შეწუხდება.

აფრასიონი — ის პატივს სცემს ტაოს და, ალბათ, შენს დასაროგებლად რამე უთხრა. ჩემი ცოლი ხომ მარტო სილამაზით არაა განთქმული, ბრძენია და მე თვითონაც ღირსებისათვის მათყაბებს.

ხათუნა — მართალია, თქვენი ცოლი თქვენს თანამდებობას ისე დიდ პატივს სცემს, რომ კუდი ყვარზე აქვს, მე კი იმდენად ლაყვ ვარ, სხვა თუ არაფერი აქვს ჩემს ქმარს, მარტო კეთილი გულისთვისაც შევხარია.

პუპი — ო, რადგან შენ მოგეწონა ბადრი, ალბათ გლახა არაა.

გერასიმე — რატომ, წესიერი ახალგაზრდაა. თავიდანვე ბეჯითი იყო.

მამისთვალე — ახლა ყველა დავებხმართ, რომ ქარხანაში აღადგინონ.

გერასიმე — არა, იქ აღდგენა არ მოხერხდება, მაგრამ კოლმეურნეობაში ხელს შევეუწყობ.

ციცინათელა — ო, ვინც ბადრის არ დააფასებს, თვალი დაეცოს.

ბადრი — რა ექნა, არ ვიცი, რა გულმა გაუძლოს. მტრედევით ქალი სახლიდან გამოაგდეს — უხეირო ქმარი

გყავსო, აქაც ქარხნიდან გამომევეს... ახლა გეკითხებით — სად გადავარდეთ? მამისთვალე — მართალია, რა უსინდისობაა, ავი კაცის ოქოქი ამოვარდეს.

ბადრი — ვეფიცებით, ავილებ უროს, მაგრამ ვის დაეარტყა არ ვიცი. ვილაცას კი გაეაზობ.

გერასიმე — ნუ შფოთავ, ბადრი, მე ბევრი დამიყენებია გზაზე და შენც გიშველი.

პუპი — მართალია. შენოდენი სიკეთე. ჩემო ძმაო, ვის უქნია.

გერასიმე — თუ ხელს გამოიღებ, შრომის გმირი გახდები.

ბადრი — შრომის გმირი?

გერასიმე — კი, ჩემთვისაც სასახელო იქნები.

ბადრი — ხათუნა, აქ მართლა შეიძლება საქმის გაკეთება.

ხათუნა — შენ უფრო იცი, ბადრი.

გერასიმე — მაგალითად, აფრასიონს პირველად აქ გამოვასხით ფრთები.

აფრასიონი — არა, აქ წამოვიჩიტე. ფრთები კი ქალაქში გავშალე.

ბადრი — ოღონდ, ხათუნა თუ გაძლებს.

აფრასიონი — არა, ვერ გაძლებს. ეს მე მკითხეთ. ორ ცვირაში გამვრება სული. ისეც, მიაფურთხე ემბაკს, ხათუნა, და დაბრუნდი პატრონთან. დედამისის პატივისცემით ჩემს დაწესებულებაში მოგაწყობ და ისეთ პირობებს შეგიქმნი, გული არ დაგწყდება.

ციცინათელა — არა, ხათუნა, აქ ყველა შეგიყვარებს, ნამდვილი ცხოვრება სოფელშია.

აფრასიონი — ო, იქ მე მდივნად ქალები მყოლია, ცხოვრება მათ უნახავთ. შენც წამოდი და ნახავ!

ციცინათელა — ქაში ჩავევარდე, მირჩვენია.

აფრასიონი — ბავშვის ქეკა გქონია. (გერასიმეს, ჩუმად) ეს ქალა სუფრაზე მიიპატიე, ეგებ იქ მოვიყვო-



ნო აზრზე, მხოლოდ ქმარი დათესე, ნუ მოყვება.

(აღრასიონი მიღის)

ხათუნა — (ციცინათელას) თქვენ არ გინახათ ქალაქი?

ციცინათელა — მინახავს. იქ ნათესაობა და მეზობლობა ისე არ იციან როგორც სოფელში.

ხათუნა — რატომ გგონია?

ციცინათელა — ერთ ეზოში ისე ბერდებიან მეზობლები, ერთმანეთის სახელი და გვარი არ ახსოვთ....

ხათუნა — იქ ბევრი ვართ. მერე, არ იცი, ქალაქში რა ხელოვნებაა!

ციცინათელა — ვიცი, იქ ცაზე მთვარე რომ დაეინახე, ისეთი დანიავებული იყო, შემეცოდა.

ხათუნა — აქ რას გავაკეთებ?

ციცინათელა — ბევრნაირ საქმეს იშოვი. მაგალითად, ჩემთან რომ მოეწყო საყვავილენში, გაიგებ, რა არის შემოდგომა ან გაზაფხული... აქ ჰეირის სუნთქვაც გიხარია.

ხათუნა — ეს ქალიშვილი ძალიან მანუგეშებს, ბადრი.

ბადრი — გერასიმეც დახმარებას გეპირდება.

გერასიმე — კი, ოღონდ გულ დაუდე აქაურობას. ბინასაც შეგაკეთებინებ.

ბადრი — გეფიცები, გერასიმე, თავს არ დაეზოგავ. დღე-ღამეს გავასწორებ. მხოლოდ, ხათუნა, შენ გახსოვდეს, ბევრი მუშაობისათვის არ შემიზარალო.

ხათუნა — ვიცი.

ბადრი — როგორც ჭია პარკიდან პეპელად გამოდის, ისე გამოეძვრები ამ სირცხვილიდან.

გერასიმე — მაშ, ახლა პატივსაცემ სტუმრებს უნდა მივხედო. (მამის-თვალზე და ბადრისზე) უნანი შინაურებია და აქ თავს შეიქცევენ, მეგობრულად... (ხათუნას) თქვენ კი ჩემს სტუმრებთან წამობრძანდით.

ხათუნა — არა, ბადრის სად მივატოვებ!

ქიშვარდი — რამე ბრძანებ, ბადრი ამიერიდან ვერ გავამტყვევებ. თქვენი მშვენიერების ხაფანგშია.

ხათუნა — არა, როგორ შემიძლია, რასა ბრძანებ.

გერასიმე — მაშ, მოერიგდით, ბადრი აწი ქარხნისაკენ არ გაიხედავ. (გერასიმე, ქიშვარდი და პუპი აპირებენ წასვლას)

ქიშვარდი — (ციცინათელას) აბა, წამოდი, გოგო.

გერასიმე — (პუპის) ციცინათელა არ დატოვო.

(გერასიმე და ქიშვარდი მიდიან)

ხათუნა — (ბადრის) მაშ წავიდეთ, შენი ხულისკენ, ნეტავ, როგორი შუქებიია.

მამისთვალე — შუქებს არა უშავს, ოღონდ... (ბადრისაკენ) იქ, შენს ეზოში, ბადრი, მუხლამდე ქალტამი წამოზრდილა.

ციცინათელა — ჰო იქ სულ ბუძებია.

ბადრი — რას იზამ!

ციცინათელა — უი, ენუქა!

ენუქა — ჰო, როგორაა საქმე?

ციცინათელა — ნანატრი ქალია და ბადრისას მიგვყავს, მაგრამ მის ეზოში ისეთი ბუძებია, ვერ ჩავა და სირცხვილს ვჟამთ. თუ ჩემი ენუქე ხარ, წინ წინ გაიქეცა და ქალტამი მოცლე. ცელიც აგერაა.

ენუქა — ეჰე!

ციცინათელა — ე, სუნი ხომ გეშს, იმ შემწვრებს სულ გაგემებ.

ენუქა — კარგი. შემწვრების უნახავი არა ვარ, მაგრამ მაგ დიდი კაცების შევლს მინდა გავკრა კბილი.

ციცინათელა — (ენუქას) დაიცადე. (მიიზრებს ბადრისთან, ჩუმად) ლოგინი რომ არა გაქვს?!

ბადრი — აბა!

ციცინათელა — (პუპის) ლოგინი უნდა გავატანოთ.

პუპი — რა ვიცი...

ციცინათელა — ვაიხოვოთ.

(შეიზღვის სახლში და გამოიჭეს ლოგინი)

პუპი — (ეგებება) ეს შენი სამზით-
ვია, გოგო, იმ ხულაში ეს ცოდვან.

ციცინათელა — ერთი იყითზე,
რა ქალი შედის! (გადასცემს ლოგინს
ენუქას) ეს იქ დაგვახვედრე.

მამისთვალი — მაშ, ჩვენც სახ-
ლამდე მივაცილოთ ბადრი და დავლო-
ცოთ.

ციცინათელა — მერე, ცარიე-
ლი სოტყვით?

მამისთვალი — რა ვქნათ?

ციცინათელა — პურ-მარილი
წავიღოთ.

(ციცინათელა ხელს წაავლებს მამისთვალს და
მიღიან იდამი. ბაღიდან გამოდის ქიშვარდი)

ქიშვარდი — ო, ისეთი ქალია,
მეორეჯერ დავემშვიდობებო.

პუპი — ციცინათელა, გოგო, უკან
არ იხედები?!

ციცინათელა — არა, იქაც დაგ-
რჩათ, მამიდა!

ქიშვარდი — (ხელს უქნევს სცე-
ნის აქიფ) უპ, გერასიმე!..

(შეშობს გერასიმე)

ციცინათელა — რა გინდა, მამა,
ყველაფერი გაეაწესრიგე სამზარეულო-
ში. არაფერი არ შეგაკლდებათ.

(შეშობს კოკოლა და აფრასიონი)

გერასიმე — არა, მე კი არ გამად-
ლით. მხოლოდ წიხლს ნუ მკრავთ. შე-
მობრძანდი შენი სტუმრებთანად ბაღში
და ერთად ვისამოვნოთ. წელიან ხათუ-
ნას ვთხოვე, ახლა კი ყველას გეხვეწე-
ბით.

ციცინათელა — არა მამიკო, იქ
ტოლები ჩვენებურად ვერ ვიმზიარუ-
ლებთ.

გერასიმე — რატომ?

აფრასიონი — ჩვენ ღვინმა გაგ-
ვათანასწორა.

ციცინათელა — ღვინით შექე-

ნილი მეგობრობა უიქასთერ, ერთად-
ლება.

გინჯლინიუნიკა

აფრასიონი — მაშ, მე მარტო
ხათუნა მიმყავს.

ციცინათელა — მე არ ვუშვებ
ჩემს სტუმარს.

გერასიმე — (წყენით) ციცინათე-
ლა!

კოკოლა — მოითმინე, აფრასიონ,
მე მოგიყვან ხათუნას.

აფრასიონი — როდის?

კოკოლა — ახლავე. მხოლოდ დაბ-
რძანდით თქვენს სუფრასზე.

(გერასიმე და აფრასიონი მიდიან)

ციცინათელა — (კოკოლას) რა
უფლებით დაპირდით!

კოკოლა — ვამუჯობინე ამ ხერხით
მომეშორებინა.

ციცინათელა — ო, ამისთვის
მადლობელი ვარ.

ქიშვარდი — მაშ, რადგან ასეა,
ბარემ სასახელოდ გაატარეთ დრო,
ჩვენც წამოვალთ და თქვენს სუფრას მე
ვუხელომძღვანელებ.

ციცინათელა — არა, ბიძაჩემო,
იქ ჩვენ გულწრფელად გვინდა ვიმუ-
საიფოთ, თქვენ კი სხვათა ჯურისა ხართ
და ჩვენი ლაპარაკი აირევა. (ხელს მოჰ-
კიდებს მოწიწებით ხათუნას) წავიდეთ,
მეგობრებო!

ქიშვარდი — (კოკოლას) ისევ წიხ-
ლი გვკრა, არ გაკრა შენმა მოხერხებამ.

კოკოლა — (ქიშვარდის) ბოლოს
მაინც ჩემი იქნება, თუ დამეხმარე-
ბით.

მამისთვალი — მივდივართ!

(ქიშვარდი და კოკოლა მიდიან ბაღში)

ციცინათელა — გზა ბედნიერე-
ბის!..

(ციცინათელა, ხათუნა, მამისთვალი, ბადრი და
დამხმარე ზურგზე კალათით ამირებენ წასვლას.
იწვევენ სიმღერას. ბაღიდან მოისმის სიმღერა.)

(გარდა)



მოკმედება მიორა

(ახალსოფლის კოლმეურნეობის გამგეობის ეზო. მარცხნივ კანტორა, მარჯვნივ კლუბის ფასადი შესასვლელით. სცენაზეა ვენუქა. შემოდის კლუბიდან პუპი.)

ენუქა — რა ამბავია კლუბში, პუპი?

პუპი — ქიშკარი დღესასწაული-სათვის გუნდს ამზადებს.

ენუქა — ბედნიერი ქალი ხარ. როცა კაცი ამდენ ხალხს ამზიარულებს, თავის ცოლს ალბათ ცაში აფრენს.

პუპი — მეტი რა ვუთხარი. თურმე, ვინც ქვეყანას ართობს, თავის ცოლის ვასახარულად არ მოიცილს.

ენუქა — რას ამბობ, მე კი მეგონა ყველა ჩიტი ფრთით ფრინავს, პუპი კი თავისი ქმრით-თქო.

პუპი — არა, ძმაო, სხვისი ფრთებით მოფრენალი კისერს მოიტეხს. მე ქმარზე უფრო ჭიებას იმედი მაქვს, — მეაბრეშუმის სახელი გამოიკეთეს.

ენუქა — ეს ხელობა გათხოვებამდეც გქონდა და არ უნდა დაიხვეწო?

პუპი — გათხოვებით ვის დაუსვენია. მე რომ მკითხო, ზოფიერთის გათხოვება ომში წავლას ჰგავს.

ენუქა — აბა, მაგ ჰკუთთ ციცინათელას სახლში დააბერებო.

პუპი — არა, მას კარგი ბედი ავურჩიეთ.

ენუქა — თვითონ კმაყოფილია — თქვენი არჩეული?

პუპი — ო, მართალია, არ ეკარება და გვეშინია სხვა არ ჰყავდეს გულში.

ენუქა — ვინ იცის...

პუპი — რა ქვეშ-ქვეშ გეცინება. (ხეწნით) ენუქა, შენს ყურს ამ სოფელში კურტლდის ფაუნდი არ გამოეპარება და ცოლ-შვილს გაფიცებ, გვითხარი, თუ რამე იცი.

ენუქა — არა საიდან მოგდით ეჭვი?

პუპი — ბადრის და ხათუნას მეგობრობს და რა სიკეთეს ისწავლის!

ენუქა — რატომ, ისინი წესიერი ახალგაზრდებია!

პუპი — მეტი რა ვუთხრა, ფარშავანგოვით ქალი ხულაში ჰყავს.

ენუქა — სამაგიეროდ, ეზოში წალკოტი გაიკეთა.

პუპი — ჰო, სათბურში მუშაობს მისი უბედური ცოლი და, ალბათ, იქიდან გადმოიტანა ყვავილები. დაუდგეს თვალი, ერთ დროს აფრასიონის ცოლის ამხანაგი ყოფილა, და ვის ხელში ჩავარდა.

ენუქა — აფრასიონს ლაფი დავასხი ჩემდათავად!

პუპი — უიმე! ვისზე ბედავ! რა გაწყენინა ამისთანა?

ენუქა — ქალაქში დამპირდა მისი ნახვა, — შემომითვალა მიგიღებ, როგორც ჩემი სოფლის კაცსო. ხუთ დღეს მაყურყუტა კაბინეტის კარებთან და, ბოლოს მღივნის პირით მაცნობა — ამ თვეში დრო არ მაქვსო. ისე გავშწარიდი, სახლში მიეკითხე. იქ შინამოსამსახურე ძლივს ვნახე. — გამომიხებადა, აფრასიონი არავის არ ღებულობს, რადგან მის ცოლს თავი ტყივანო.

პუპი — აი, მართლა, რა აყვია ხარ. ახია, რომ თავის სოფლელებს არ იყარებს, რომ მიეღე ალბათ მეტ სიგლახეს მოუგონებდი.

ენუქა — ასე მეკუთვინის, როცა, ერთ დროს, კოლექტივში ჩემს ნამუშევარს მას ვაწერდი და დამკვრელად გამომყავდა. მაშინ ხომ კარგად მცნობდა!

პუპი — უი, ეს რა დაუმატა ამ მოსასპობმა, სად წავიდე!

ენუქა — მე რომ მკითხოთ, მაშინ-თვალს უფრო გავატანდი თქვენს ქალიშვილს, ვიდრე აფრასიონისთანა უგლიმს.

პუპი — მამისთვალსო!.. მამ, ნამღვილია?

ენუქა — რაზე ამბობ?

პუპი — ქიშვარდაც ეს გამოსთქვა — მამისთვალი უყვარსო.

ენუქა — რა ვიცი, მე პირველად მესმის.

პუპი — ისე შერჩი შენს ცოლშვილს.

ენუქა — აბა, თუ ასეა, მათი ქორწილით გაგზეთქოდეს გულა.

(მიღის)

პუპი — შე ენაბანლიანი!

(შემოღიან გერასიმე და ქიშვარდი)

გერასიმე — რამ აგაღელვა, პუპი!

პუპი — აგერ, ენუქამ გადმომკრა, თურმე შენს ქალიშვილზე და მამისთვალზე ჩურჩულობენ სოფელში.

ქიშვარდი — ეს მეც გითხარი, პუპი!

პუპი — სწორედ ამისთვის გავიკითხე.

გერასიმე — აბა, არ ვაცხადებდი, თორემ მე თავიდანვე ვეჭვობდი.

ქიშვარდი — მე მგონია, ბადრი და ხათუნა ხელს უწყობენ.

გერასიმე — ბადრიც რა ავიკიდე! ცოლმა აჯობა იმ სათბურში. ახლა ბიძინა ჩამოსულა, და თუ მარჯვედ არ დახვდა სანერგეში, მთლად დამღუპავს.

პუპი — ვაი, ჩვენი ცოდვა!

გერასიმე — კოკოლამ შემომჩეჩა ის წყეული და ახლა გამომიხსნას.

პუპი — ჩვენს პატივისცემას კოკოლა არ დაიფიწყებდა, მაგრამ შენი ქალიშვილი ცივად ექცევა.

ქიშვარდი — არა უშავს, ახლაც რომ მოითავმდაბლოს ციციანათელამ და რამე სთხოვოს, ჯარასავით დაატრიალებს.

(შემოღიან 1-ლი კოლმურე)

1-ლი კოლმ. — პატივემულო გერასიმე, ქალაქიდან აფრასიონი ჩამობრძანდა.

გერასიმე — აფრასიონი? როდის?

1-ლი კოლმ. — საათზე მეტია, გეძებთ.

გერასიმე — მე რა ვიცი, ვერ მნახე?

ქიშვარდი — სად არის, სახლშია?

1-ლი კოლმ. — არა, თვითონ წამოვიდა ქვეითად თქვენს საძებრად.

გერასიმე — უჰ, რა თავმდაბალია! აბა, მონახე, სადაც არის, ახლაც გაიხლება-თქვა, მოახსენე.

(1-ლი კოლმურე მიღის)

გერასიმე — რა კარგ დროს მომისწრა! არ გიტყდებოდით, თორემ ბიძინას ჩამოსვლა რომ გავიგე, ქრუანტილი მივლიდა.

ქიშვარდი — აფრასიონს ახლა კარგი სუფრის გაწყობა სჭირდება.

გერასიმე — აბა, პუპი, წამოვალ და გასწავლი, რა უნდა მოამზადო.

პუპი — ახლაც დავეტრიალდები, ო, რა კაცია, მისი ქამის ყურება და ლაპარაკის მოსმენა გულს მიყვავებს.

ქიშვარდი — ეს მართლა ნანატრი ამბავია.

(ველა მიღის. შემოღიან ხათუნა და ბადრი)

ხათუნა — რა მოგსვლია, ბადრი, ნუთუ სანერგეში ასე გაქვს საქმე?

ბადრი — კი, ასეა.

ხათუნა — რასაც ხელი მოჰკიდევ, ვერაფერში ვერ გაგიმარჯვია.

ბადრი — კმარა, ხათუნა, ისედაც მყოფნის ჯავრი.

ხათუნა — კარგი, აბა, მადლობაც ხომ არ გითხრა!

(შემოღიან ციციანათელი)

ბადრი — ცოტა არ გავტანჯულვარ შენი გულისთვის.

ხათუნა — მერე, რით გამახარე?

ციციანათ. — მოითმინეთ, თქვენ ვინი ენით ლაპარაკობთ?

ბადრი — შენი სიყვარული ვერ დამეხმარა მეურნეობაში, იქ სხვა რამ დამჭირდა... და რაც შემეძლო, გავაკეთე.

ხათუნა — მაინც, რა გააკეთე?

ბადრი — დავამტკიცე, რომ მამისთვალი კარგად უვლიდა სანერგეს და ტყუილად მოხსნეს.



ციცინათ. — უი, რა მესმის!...
ხათუნა — ეს ამით დაამტკიცე,
რომ თვითონ ვერ გამოდები.

ბადრი — დიახ, ამისთვის შეგიძ-
ლიათ დამტუქსოთ, რომ ცუდი მეურნე
ვარ. მაგრამ ნუ იტყვი, რომ ხათუნა
არ მყვარებია და უგულოდ მიმუშავია.

ხათუნა — მე ის მწყინს, რომ გა-
მართლდა, რასაც აფრასიონი გვიქვამდა.

ბადრი — ო, აფრასიონს დღეს
თვალი მოვკარა. მისმა გამოჩენამ ხომ არ
გიცვალა გული. მახსოვს, იქით გიწვევ-
და სამსახურში.

ციცინათ. — რას ამბობ, ბადრი,
ვერაფერი ღირ გამოვია!

ბადრი — აი, მოილაპარაკეთ და,
როგორც გსურთ, მოიქეცათ.

(ბადრი მიდის)

ხათუნა — ნუთუ ქმარს ვერაფერი
ვერ უნდა ჰკითხო, ვერც უჩირო.

ციცინათ. — არა, მე ვხედავ; მის
ნაცვლად რომ ქირში მოხმარებოდი,
თვითონ უხლები ქირად.

ხათუნა — შენ მაინც იცი, რა გან-
ვიცადე და გამოვიარე მისთვის.

ციცინათ. — აბა, ამასაც გეტყვი,
თუ ერთი გულით ეს მარცხი შენთვის
საწყენია, მეორე გულით უნდა გაგზარე-
ბოდა, იმიტომ, რომ დაგემტკიცებინა
სიყვარული, ახლა კი უსუსურობა გაამ-
ჯღავნე.

ხათუნა — რა უღვთოდ მომდები,
ციცინათელა, არ გეცოდები?

(შემოდის მამისთავალი)

მამისთ. — რა მოუვიდა ბადრის?

ციცინათ. — რაზე ამბობ?

მამისთ. — აგერ შემხვდა და დანა
პირს არ უქრის. *

ციცინათ. — შენ მაინც რა პირით
შეეყარე!

მამისთ. — რატომ! თვითონ არ გა-
მიკარა, თორემ კარგი სათქმელი
მქონდა.

ციცინათ. — შენგან კარგი ით-
ქმება. თვითონ როგორ გაქვს საქმე. შე
საწყალა?

მამისთ. — ცუდად.

ციცინათ. — ისევ ცუდად?

მამისთ. — ჰო, ქარხანაში

ციცინათ. — ბადრი შენ

მუშაობდა?

მამისთ. — კარგად. ახლა მაინც
მთლად დადასტურდა, რომ მაგას ვერა-
ვინ უტოლდებოდა. ამაზე მინდოდა
ლაპარაკი, და აღარც შემომხვდა. რა
მოუვიდა?

ციცინათ. — მეტი რა უნდა მოსე-
ლოდა, რაც უყავი.

მამისთ. — მე რა დავუშავე?

ციცინათ. — მაშინ მოაციდინა
თავის საქმეზე. მერე როგორ ამოაგდე-
ახლა ვის შეეფაროს, შენ დალუბე და
ხათუნაც გამოეცალა.

ხათუნა — რისთვის მჩხვლევტ ასე
მწარედ, ციციანთელა. წელან რომ ავ-
წუწუნდი?

ციცინათ. — არა, სხვა დროს ეს
უბრალო წუწუნად ჩაითვლებოდა, ახლა
კი... გამოტყდი, რომ არ შეგიძლია იყო
სულგრძელი მეგობარი და გამტანი მე-
უღლე, რას იზამ, ბევრია მასეთი.

ხათუნა — ნუთუ ასე საძაგელი
გგონივარ!.. ზოგიერთება რომ გი-
ნახავს ძალიან ცდები... მაგრამ, მაინც
ჩემი მეგობარი ხარ, მე... ახლაც
დავეწვეე ბადრის და აეუხსნი, რომ უბ-
რალოდ ავწუწუნდი, რომ აფრასიონის
დანახვამ გამაღიზიანა — დედა გამახსენ-
და და ავფორიავდი.

მამისთ. — ო, აფრასიონი მეც და-
ვინახე. აქ რამ ჩამოაგდო. რაღაც დალო-
ნებული დადის.

ციცინათ. — დალონებული? ალ-
ბათ, უნდა მოგაჩვენოს ხათუნა, რომ
შენს ბედზე დაფიქრებული.

ხათუნა — კარგი. ახლაც მოვიყ-
ვან ბადრის, ორივემ ალში გამატარეთ
და ნახეთ, თუ ასეთი ვარ.

(ხათუნა მიდის)

ციცინათ. — აი, ხომ ხედავ, რა
ჩაიდიხე, მამისთავალ? ამით ისე აურივე
ცხოვრება, კინაღამ ეს ქალი ასპიტად

გადაიქცა... მამაჩემს სახელი შეუბღალე, მე გული მომიკალი.

მამისთ. — კარგი, აბა ვიფიქრებ, რომელ წევარაში გადავეარდე.

ციცინათ. — ეს რა პასუხია!

მამისთ.—ეჰ, ქაშვარდიმ დაგვინახა და მოდის! მერე მოვიყაროთ თავი.

(მამისთვლი მიდის. შემოდის ქიშვარდი)

ქიშვარდი — სადა ხარ, ქალიშვილო?

ციცინათ. — რა გინდათ?

ქიშვარდი — აფრასიონის შესახებ დრად ვეშხადებით. დაეხმარე პუპის, ბავშვი არა ხარ.

ციცინათ. — არა მცალია.

ქიშვარდი — მამისთვალთან საჩურჩულოდ ხომ მოიცალე!

ციცინათელა — მერე, რა გინდათ, თქვენთვის აფრასიონია ძვირფასი, ჩემთვის კი მამისთვალი.

ქიშვარდი — რას ბედავ, მამისთვალს ვის ადარებ!

ციცინათელა — რა ვუყოთ, იმოდენა თანამდებობა არა აქვს, მაგრამ შეიძლება კაცმა პატარა საქმეში დიდი აღამიანობა გამოიჩინოს.

ქიშვარდი — ეს ვინ გასწავლა, ბადრის ხულაში ხომ არ ღებულობ გაანათლებას?

ციცინათელა — დიახ, იმ ხულაში მეტი სიკეთეა, ვიდრე ზოგიერთ დარბაზში.

ქიშვარდი — ო, ალბათ, იმიტომ ეძებდნენ დღეს ბადრის.

ციცინათელა — ვინ ეძებდა?

ქიშვარდი — ქარხანაში რევიზია ჩამოსულა, ვილაც ქალი ჰყავთ ხელმძღვანელი და დღეს აქ ბადრის ამბავს კითხულობენ.

ციცინათელა — მასთან რა უნდათ?

ქიშვარდი — ქარხანაში მავნებლობა ჩაუდენია და აქაც ხომ არ ეწევაო.

ციცინათელა — არა მჯერა.



ქიშვარდი — მე თვითონ ვნახე ის ქალი.

ციცინათელა — ვინ არის?

ქიშვარდი — არ ვიცი. ისეთი დედაკაცია, თვალეში რომ ჩამხედა, ყველივით გავიწურე.

ციცინათელა — არა, ახლაც თქვა მამისთვალმა, დამტყცდა, რომ ქარხანაში კარგად მუშაობდაო ეს რევიზია აფრასიონის მოწყობილი არ იყო.

ქიშვარდი — ოო, ესეც შეიძლება, ხათუნა აქედან რომ არ წაჰყვია, ეგებ ეწყინა.

ციცინათელა — მერე მასეთ აღამიანს სახლში იღებთ?

ქიშვარდი — გაჩუმდი, თორემ ამოგვაგდებს, საშიშ კაცს უნდა მოეთფეთო, თორემ კეთილს რად უნდა მორიდება.

ციცინათელა — მე მაგ ჭკუის არა ვარ.

(შემოდის ხათუნა)

ქიშვარდი — აბა, სახლში გელოდებით, ციციინათელა.

(ქიშვარდი მიდის)

ხათუნა — სწორედ ახლა ბადრისგან მოვდივარ მოსახვევში დავეწიე და შემოხედვისთანავე მიხვდა, როგორ ენანობდი მის წყენინებას, ტირილიც არ დამჰკირდა... მერე ტკბილად დავიწყეთ ლაპარაკი, მაგრამ ამ დროს გერასიმე წაგვაწყდა, დაუძახა და წაიყვანა... ოლონდ ძლივს დაგვაშორა.

ციცინათელა — ეჰ, ხათუნა, ზევნ მაგათ ჩვენი სიყვარულით ვებრავთ და გვეგონია, რომ მართლა უბადლო ვაქვაცებია.

ხათუნა — ვისზე ამბობ?

ციცინათელა — ეს ბადრიც და მამისთვალიც რაღაცა გვეგონია.

ხათუნა — არა, ციციინათელა, კიდევ რისთვის მცდი, გეფიცები, მე მასთან ჰკირა ჰკირად არ მიმანჩია.

ციცინათელა — არა, ახლა მეც გულმოსული ვარ, ისინი ჩვენზე იმარჯ-

ვებენ, სხვებთან კი ღვთის გლახებია, გიმეორებ, რომ ჩვენი სოციალური ვებერავთ.

ხათუნა — წელან თვითონ შემინთე ცეცხლი და ახლა ცივ წყალს მასხამ?!
ციცინათელა — არა, იცი, მამისთვის მე რას ვუზამ? ხაშველს არ მივცემ, სანამ არ გაიმარჯვებს.

ხათუნა — ჯერ მე მარიგებდი ქუჯაზე და ახლა თვითონ უფრო უწყალო ხდები?
ციცინათელა — მითხარი, ნუთუ შეიძლება ადამიანი სხვას სულგრძელობას სთხოვდეს და თვითონ კი სულმოკლე იყოს?

ხათუნა — რა ვიცი, ანდაზაც არის ზოგი სხვის თვალში ბეწვს ეძებს და თავის თვალში კი ღირსს ვერ ამჩნევსო.
ციცინათელა — არა, მეტი არ შემიძლია, ჩემო ხათუნა. რაც გინდა, თქვი, მარტო ორ კვირას ვიცდი, მერე კი გავიქცევი ქარხანაში, დაქორწინდები მამისთვალზე, გადმოვიტან ჩვენი ეზოდან, თუნდაც საქათმეს, შენს გვერდით რომ ცარიელი ადგილია, იქ დაუდგამ და შიგ ჩავსახლდებით... ვისაც არ მოეწონება, ქვა ისროლოს და თავი შეუშვიროს.

ხათუნა — აჰი ახლა იფიცებდი, სანამ არ გაიმარჯვებს, არ გავყვებიო!
ციცინათ. — ეს ხომ მისი გამარჯვება იქნება. მერე სხვა მოყვება... იცი, რა გითხრა, ხათუნა? ის რომ წმინდაა, მთლად, მთლად ხალასი, გულკეთილი, ამიტომ მისი ჭი-რი-მე. ა... ნუ დამცინებ, გოგო.

ხათუნა — ო, აჯერ მოდის მამისთვალში.
ციცინათ. — ეზე, რა გლაბა დროს გამოჩნდა, სად დავემალო!

ხათუნა — რისთვის ემალები?
ციცინათ. — სწორედ იმ დროს მომისწრო, როდესაც ქუთიდან გადავედი.

ხათუნა — ნუ გეშინია, სოციალურს თავის საკუთარი ქუჯა აქვს. მე აქ ახლო ვიქნები, კლუბში შევექცევი.
 (ხათუნა მიდის)

ციცინათ. — რა გქნა, მე საყვარელ არსებას გულით უფრო შევიცინი, ვიდრე სახით. ზოგიერთები კი სახით უფრო შესცინიან ადამიანებს, ვიდრე გულით.
 (ნელა შემოდის მამისთვალი)

ციცინათ. — (ზურგს შეაქცევს) მამისთვალი ხარ?
მამისთ. — ბადრი და ხათუნა სად არიან?

ციცინათ. — მე მარტო მინდა შენთან ლაპარაკი.
მამისთ. — მერე, ზურგს რად მაქცევ?

ციცინათ. — იმიტომ, რომ კაცი სიმაართლეს ზურგს უკან უფრო ლაპარაკობს.
მამისთ. — ეს მტრებზეა ნათქვამი და ჩვენ ხომ...

ციცინათ. — რა ვიცი, მე რა მტერი ვარ და ახლა ზურგს უკან დიდი ძვირი ვთქვი შენზე.
მამისთ. — ვისთან?

ციცინათ. — ხათუნას ვუთხარი, რომ შენ ჩემი სოციალური გაგებერე და თავს ვიტყუებ, ვითომ დიდი რამე ხარ.
მამისთ. — ეჭე!

ციცინათ. — აბა, თუ ასე არაა, ქარხანაში ცუდად რატომ გაქვს საქმე? ხომ შემპირდი, რომ გაიმარჯვებდი?
მამისთ. — რა ვიცი, ვმუშაობ და წინ მაინც სხვები მოსწრებენ.

ციცინათ. — (მოებრუნდება) სულ საწყალი შეიქნე... დასალონარი, საყვებო, გულს მომწელებელი.
მამისთ. — კიდევ ცრემლი მოგადგა?

ციცინათ. — ყველგან უბადრუკი ხარ, აქაც და ქარხანაშიც.
მამისთ. — ალბათ უცხოა ჩემთვის

ის საქმე... ასეა, გესმის? რა ქვია, რა გიყო რომ ვერ მიხვდი.

ციციანათ. — შერე რა... ჩვენ ერთი სიცოცხლე გვაქვს, და არ უნდა დავკარგოთ ჩვენი წილი სიკეთე, მიხვდობ გესმის! როგორც კარგი ფესვიანი ხე უღებნობივ პოლოზს ნამს ასაყვავებლად, ისე გონიერი ახალგაზრდაც ყოველ ბედში ასწრებს რამე კეთილი ნაყოფის გამოტანას. ეს ტყუილია?

მამისთ. — იმ ქარხანაში მხოლოდ ერთი რამე გავაკეთე: ჩემს თავს თუ ვერ გამოვადექი, ბადრის მანც ვუშველე.

ციციანათ. — რა გაუკეთე?

მამისთ. — მისი გამოგონება სასახელო გამოდგა.

ციციანათ. — როგორ?

მამისთ. — სხვას მიუთვინებია მისი ნაშრომი და სახელიც გაიკეთა იმ უსინდისობ.

ციციანათ. — შერე, ბადრიმ იცის?

მამისთ. — სიზმარშიც არ მოსჩვენებია, ეს მე გამოვექმე და საბუთებიც დაეაწეე რიგიანად.

ციციანათ. — რა საქმე გავაკეთებია!

მამისთ. — ახლა ამის სათქმელად მივაკითხე ბადრის, მაგრამ შენ აქედან შემოიროსხდი, მან კი ხმა სულ არ გამოცა, თან, გავიგე, სანერგეში მე მახრალეებს რაღაცას... ამიტომ ამ ამბავს ჯერ ნუ ეტყვი, მხოლოდ ეს გადაეცი, როგორც კი მოიკალოს, მოვიდეს ქარხანაში.

ციციანათ. — ჰოდა, ასე კეთილი და ჰკვიანი რომ ხარ, რატომ მამაჩემს ვერ გააგებინებ?

მამისთ. — მამაშენს ეს არც მოეწონება, უკუდო ხარი სხვებს ბუზებს როგორ უგერიებო, იტყვის.

ციციანათ. — მე კი, მამაჩემის ადგილზე, მარტო ამისათვის მოგათხოვებდი ქალიშვილს.

მამისთ. — ამ საკითხში შენ ხომ მასზე მეტი შეგიძლია. (უახლოვდება) მიხვდა, გესმის?..

ციციანათ. — არა... ხელი არ მომეკარო, თორემ ჩემს ბუზებსაც ვერ იხილავ. (გაიხედავს) უნდა შეგიყვარებ ამ მთელი კოლექტივი მოდის.

მამისთ. — ჰო!

(პირებზე წასვლას)

ციციანათ. — (ზურგს შეაქცევს) მამისთვალ!

მამისთ. — (თავისთვის) რაღაც საშინელს მეტყვის.

ციციანათ. — ერთ კვირაში მოვალ და ეიპორწინოთ. რაც უნდა, ისა თქვენ. (მიდის).

მამისთ. — შერე ეს ბედნიერება მარტო ხმით რად გადმომძახა, თვალითაც ეთქვა.

(მეშობიან ვგნატე და ვრმილე)

ეგნატე — ვინ მოვინახოთ, ვის ვკითხოთ?

ერმილე — აქ სოფელია, ალბათ, ყველა იცნობს ერთმანეთს.

ეგნატე — ამხანაგ ტასოს უნდა აქ თავის ქალიშვილის ოჯახური ამბავიც გაიკითხოოს და, სანამ ყველაფერს არ გაიგებს, არ მიეყარება.

მამისთ. — (აკვირდება მათ) თქვენ დღეს ქარხანაში დაგინახეთ, რეეიზიის წევრები არ ხართ?

ერმილე — დიახ.

მამისთ. — ვიღაც ქალია თქვენს ხელმძღვანელი.*

ერმილე — ისიც აქ არის.

მამისთ. — მე კი ახლა ქარხანაში მოვიჩქაროდი თქვენს სანახავად.

ეგნატე — მალე დავბრუნდებით.

ერმილე. — ერთ რამეს გკითხავთ, კბაუკო, ბადრის ხომ არ იცნობთ? აქ, კოლმეურნეობაში, გადმოსულა ქარხნიდან.

მამისთ. — მეც სწორედ მის საქმეზე მოვიჩქაროდი თქვენთან. ჩემსაკით ბადრიმაც არ იცის თავისი ამბავი. მე ქარხნის მუშა ვარ და, როცა დაბრუნდებით, საკვირველ საბუთებს წარმოგიდგენთ.

ეგნატე — მამ, კარგი, თუ არ ტრიაბობ, გვინახულე.

(ყველანი მიდიან, შემოდიან ბიძინა, ენუქა, 1-ლი და მე-2 კოლმეურნი)

ბიძინა — ჩემთან, ამხანაგებო, პირდაპირი იყავით, გულახდილად მითხარით ყველაფერს.

1-ლი კოლმ. — გეტყვით.

ენუქა — მესმის. (1-ლ და მე-2 კოლმეურნებს) ამასთან, ამხანაგებო, დავიკრებებით ვალაპარაკოთ.

ბიძინა — მე გთხოვთ სრული ნდობით, დაუფიქრებლად გადამიშალოთ გული. მაშინ მეტს დავინახავ და გავიკვებ.

ენუქა — არა, მე თუ კარგად არ გავზომე, ეგებ სისულელე წამომცდეს. შენ მოსული კაცი ხარ, წახვალ და მერე აქაური ხელმძღვანელები გკითხავენ, კეთს რომ არიგებდნენ, სად იყავითო.

ბიძინა — მამ, ამაზე მიპასუხე, ენუქა, ეს კოლექტივი სხვა დარგებში თუ წინ მიდის, სანერგე რად დავინებულა?

ენუქა — (1-ლ კოლმეურნეზე) ეს გეტყვის.

1-ლი კოლმ. — იქ ახლა ბადრი მუშაობს.

ენუქა — ცუდი ბიჭი არაა.

ბიძინა — მე ვერაფრად გამახარა.

მე-2 კოლმ. — რა ვიცი, გამგეობა ჯილდოზე წარდგენასაც პირდებოდა.

ბიძინა — მერე, თქვენ რა აზრისა იყავით?

ენუქა — ჩვენ ვიფიქრეთ, რაიკომი ჩვენზე უკეთესად გადაწყვეტათქვა.

ბიძინა — არ ხარ სწორი, ენუქა. იცოდეთ, ამხანაგებო, ამ დღეებში აქ საერთო კრებას მოვიწყვეთ, გასული წლის მუშაობას გავარჩევთ და რაიკომსაც გავაყრიტყევთ და, თუ იქ მეურნეობის უკეთესი მცოდნე გვპირდება — გავაჩენთ. ახლა სოფლის მეურნეობას მეტი ყურადღება ექცევა და, თუ საკი-

როა, მარცვლეულის ფართობებს გასაღიდებლად, ან ფერმების გასაშენებლად ქალაქიდანაც გვინდა მოვიწვიანავთ ნაგებს.

1-ლი და მე-2 კოლმ. — ეს კარგი ამბავია.

ბიძინა — გერასიმეს გადაეცი, ჩემო ენუქა, რომ აქ ზოგ რამეს კიდევ დავხედავ და მერე მოველანარაკები. (1-ლ და მე-2 კოლმეურნებს) თქვენ ფერმაში გამყევით.

(ბიძინა და 1-ლი და მე-2 კოლმეურნი მიდიან)

ენუქა — ოჰ, მადლობა ღმერთს, დროზე დავშორდი, თორემ გერასიმე მომიწინებდა: რა თქვა, რა ვუპასუხე, როგორ გამოიხედა... (იხედება). ოჰ, ეს აფრასიონი უნდა იყოს, როდის ჩამობრძანდა? ახლა ამას ებოდიშე, არა, ალბათ ისე ჩამივლია, საღამუზე არც კი მიპასუხებს. ნეტავ ვის ეძებს?!

(შემოდის აფრასიონი)

აფრასიონი — ოჰ, გამარჯობა, ჩემო კეთილო!

ენუქა — (აქეთ-იქით იხედება) ვის ესალმება...

აფრასიონი — ენუქა არ ხარ, კაცი, ხომ არ მეშველი?

ენუქა — (წელში ტყდება) დიახ, მე ენუქა ვარ, მგონია, სხვა არა ვარ.

აფრასიონი — (ხელს გაუწოდებს) მესამოვნა შენი ნახვა.

ენუქა — (დაბნეულად, ართმევს ხელს) მე კიდევ უფრო მეტად გამეხარდა.

აფრასიონი — როგორა ხარ, ურამდენი ხანია არ მინახავხარ.

ენუქა — ჰო, დიახ... აწი კიდევ მოვხუცდები.

აფრასიონი — ჯერ რა დროსაა, მარჯვე კაცი ხარ, დედაშენი პიტეც ცოცხალია?

ენუქა — დიახ, მისი სახელიც გახსოვს?

აფრასიონი — როგორ არა, რამდენჯერ ბავშვობაზე ეზოში რომ ერთი

ბალის ხე გედგათ. იმაზე აუშევიარ.

ენ უქა — აბა, გიცოდებდა, ობოლიაო.

აფრასიონი — ობოლიაო?

ენ უქა — დიახ. (თავისთვის) მგონია ეს ცუდად წამომცდა.

აფრასიონი — თქვენისთანა მუზობლებში ობლობაც ადვილი ასატანია. შემდეგაც, ბოსტანში რომ ვმუშაობდი, შენ დამეხმარე, თორემ წელში გავეწყდებოდი.

ენ უქა — შენი ჭირიმე, რომ კაცურად იგონებ.

აფრასიონი — რაც გულში იწერება, რა ამოშლის. ზოგიერთს სიკეთე ავიწყდება. ეს შეცდომაა. ყოყორობა ჩვენს პარტიას არ მოსწონს. ყველას პატივისცემით უნდა მოვეპყრათ.

ენ უქა — უბ, არ ამიყვავა გული! მართლაც, ტყუილად არა ხარ ჩვენი სოფლის სახელოვანი შვილი.

აფრასიონი — გაჭირვების დროს ერთმანეთს ხელი არ უნდა ვკრათ.

ენ უქა — ოო, ეს სიტყვები კი არაა, პირდაპირ გულის წვეთებია.

აფრასიონი — სიმკაცრესა და ყოყორობაზე ადვილი რაა!

ენ უქა — ოო, ძალა გაქვს, ბატონო, და ყველაფერი შეგიძლია.

აფრასიონი — სიმკაცრეს თავისი ადგილი აქვს.

ენ უქა — მაგისტვის შენისთანა კაცი არ დაიძრახება.

აფრასიონი — მხოლოდ ტყუილუბრალოდ არ უნდა გავკიცხოთ ერთმანეთი.

ენ უქა — აბა, ამაში მე თვითონ ვარ პირშავად შენთან... წამომცდა შენზე ძვირი და მბატიე.

აფრასიონი — რაზე?

ენ უქა — დღეს პუბისთანაც ვტორტლე, აფრასიონმა თავის კაბინეტის კარებთან ხუთ დღეს მაყურყუტა და არ მიმიღო-მეთქი.

აფრასიონი — მგონია სახლშიც მომაკითხე.

ენ უქა — დიახ, ესეც ვთქვე, უკაცკული გამომიფსკენ-თქო, ასე უხეშები ვართ სოფლელები, სულს ცხვერში გვაქვს.

აფრასიონი — ოო, ხუთი დღე გაყურყუტე და არ მიგიღე?!

ენ უქა — (თავისთვის) რა ჭკუით გამოეუტყუდი ახლა, ენაზე რა მიქაჩავებდა. პირდაპირ ბაყაყი რომ გველს თვითონ ჩაუეარდება პირში, ისე მომივიდა. რამ დამაზნია ამოდენა კაცი.

აფრასიონი. — ხუთ დღეს, არა! ამისათვის რა ბოდისმს იხდი, მართლაც გასაკიცხი ვარ შენგან.

ენ უქა — როგორ გეკადრება. ვინ იცის რა დიდი საქმეები გქონდა, რამდენი ჩემისთანა ენუქიებს გაუჭირდებოდა, ყველა თუ სახლში მოგივარდათ, ვის გასწვდებოთ. არა, მე ამას არ გიძრახავ.

აფრასიონი. — ის კი არა, მაშინვე უნდა გაგელანძღე.

ენ უქა — როგორ გეკადრებათ!

აფრასიონი. — მაგ ჩემგან ყოყორობაც იყო და გულგრილობაც. შენ კარებზე იყავი ატუზული, მე კი კაბინეტში თავს ვიართობდი, ოჯახშიც ვფუფუნებდი. ასეთი ყოფისათვის მომსხსნეს და მაგრადაც გამაქიაქეს... შენ კი ამბობ, გასაკიცხი არ იყავიო. ამაში სწორი არ ხარ. პარტია არასოდეს არ ცდებოდა. და მართალი არიან, როცა მეტისმეტი ყოყორობისთვის, ფუფუნებისა და უხეირობისათვის მომბოლტეს და მაგრადაც გამამათრახეს. შენ კი, ენუქა, მტყუანი ხარ, აქ რომ მიცავ, ამას არ მოგიწონებ.

ენ უქა — მოგხსნეს? რას ლაპარაკობ?!

აფრასიონი. — პარტიაში დატოვებაზეც არის საკითხი... მაგრამ აქ ჩემი მტრები აჯარბებენ. შენსავით კეთილშობილი კი არ არიან, კაცს უხეშად მოგექეცი და ბოდისმს თვითონ იხდი. ისინი ერთიორად იძიებენ შურს, და ზოგნი კიდევ ცილსაც მწამებენ. ბოლოს ასეთი რამეც დამაბრალეს, თითქოს თავიდანვე



უხეირო ვიყავი და კოლექტივში წარჩინებული ბრიგადირის სახელი ყალბად გამიკეთეს. თითქოს შენ მუშაობდი, ენუქა, ჩემს მაგიერ, მე კი ჩრდილში ბანქოს ვთამაშობდი და შენი ოფლით მოპოვებული ჩემზე იწერებოდა, ვითომ აქედან დავიწყე ცუდლუტობა.

ენუქა — უჰ...!

აფრასიონი. — თითქოს თავიდანვე მზაკვრობით ავიდგი ფეხი და ამ გზით ვიარე ჩემს თანამედრობამდე. რას არ მამბრალდებენ, არც შემიძლია ჩამოვთვალო.

ენუქა — (თავისთვის) უყურე, თურმე რისთვის მოითავმდებლა ჩემთან!

აფრასიონი. — ჯერ ერთი, ეს ტყუილია და, მე რე, შენთვისაც ცუდია, დაგაბრალონ. თითქოს სიყალბის ხელის შემწყობი ხარ. ამიტომ მათი ბრალდება არ უნდა დაადასტურო.

ენუქა — არა, შე კაი კაცო, ჩემთან რა გინდათ, მე ერთი საწყალი ვარ. დღე და ღამე ოფლში ვიწურება და ამისთვის მსობთ?! განკარგულება თქვენი იყო და მე ვმუშაობდი. რა სიყალბეს მიჩივით, არ მესმის.

აფრასიონი. — ეჰ, შენ რა გაგიმტყუნო, ცოლმა არ გამიტანა და ჩემს მტრებს მიემხრო იმ განზრახვით, რომ ბინა წამართვას.

ენუქა — უჰ, ეს კიდევ რა ცუცხელი მოგდებია!

აფრასიონი. — აბა, მე რე რა ნაფუფუნები ქალი მყავდა!

ენუქა — რა ვიცო, ჩემს ცოლს მთელი კაბა და ფეხსაცმელი ერთად თავის დღეში არ სცმია... მაგრამ ეს, ალბათ, ქალის სინდისზეა.

აფრასიონი. — მოუვლელობა რომ ვერ დამიძტკიცა, ახლა წამომიყენა, სხვა ქალებს დასდევდაო.

ენუქა — ო, რა დაუწამებია! მე ერთი ჯინჯარივით დედაკაცი მყავს, წელიწადში ერთხელ არ მეტყვის შენი ჭირიმეს, მისთვის არ მიღალატია და შენს

მზისუნახავით ცოლს როგორ გაწირავდი! არა, ეს დიდი უსინდისობაა უფლებამოს.

აფრასიონი — არა, ძმაო, კიდევ ამით ვიოხებ გულს, რომ ქალებისათვის ხელი არ დამიკლაა თორემ მისი ერთგული რომ ვყოფილიყავი, ახლა მთლად მომიღვედა ბოლმა.

ენუქა — რა ვიცო, მე ეს მადარდებს — მჭადი რომ მაკლია, შენ კი, თურმე, იმას ჯავრობ, რომ ხასები მოგაკლდა და შენი საჯავრო თუ გულთან მივიღე, ჩემმა რაონთა მიქნას!

აფრასიონი. — რაო, ა, ვერ გაგიგე.

ენუქა — ჰოდა, მე შენი სულ არ მესმის.

აფრასიონი. — მაშ, ჩემს მტრებს დაუდასტურებ იმ ცილასწამებას?!
ენუქა — რატომ?

აფრასიონი. — მე ზომ ბოროტად მიცნეს, შენ თუ კეთილი ხარ, სათნოება უნდა გამოიჩინო.

ენუქა — შერე, შენს მრუშობას უნდა მივახარჯო, თუ რამე სიყვითლე მაქვს?!

აფრასიონი. — არა, კიდევ ვერ შეგასმინე. მე ბოროტი მტრებისაგან თავის დასაცავად ჩემს მშობელ სოფელს მოვაციობე, და ნუთუ აქ კოლექტივი ხელს მკრავს!

ენუქა — რატომ. აქედან შენ სიავეს ნუ მოელი, მხოლოდ მე ვერ გავიგე. აი, თავმჯდომარე ნახე, შვილის ენა დედას ესმისო, ნათქვამია, ის ყველაფერს მიხვდება.

აფრასიონი. — რომ ვერ ვნახე გერასიმე! სად არის?

ენუქა — რა მოგახსენო.
(შემოდის ხათუნა.)

აფრასიონი. — ოჰ, ხათუნა ბრძანდებით! რა გამიხარდა თქვენი ნახვა!

ხათუნა — რისთვის, რა ისეთი ანობელი ვარ, ბატონო აფრასიონ?

აფრასიონი. — ყოველთვის მომ-

წონდა თქვენი სიმართლე და პატიოსნება.

ხათუნა — რატომ იცლით საქებრად?

აფრასიონი. — მომწონს, რომ ქმრის ერთგული ხარ და კარგი მშრომელი, სულით მდიდარი ხარ.

ხათუნა — აკი მირჩევდით, დამეტოვებინა ქმარი, სოფელი და თქვენს დაწესებულებაში გადმოვსულიყავი!

აფრასიონი. — როგორ გეკადრებათ, ამას იტყვი ჩემზე!

ხათუნა — რა ვიცი, ძალიან მებატიყებოდით!

აფრასიონი. — მე მეგონა, ასეთ ყოფაში ვერ გაძლებდით.

ხათუნა — რატომ?

აფრასიონი. — სიმართლე გითხრათ. თქვენც ისეთივე გაუტანელი მეგონეთ, როგორც სხვა ქალებია, მაგალითად ჩემი მეუღლე.

ხათუნა — ო, მეუღლეზე მასეთ სიტყვას როგორ კადრულობთ. მე მანაც არ უნდა ჩამაწვეთოთ.

ენუქა — არა, ისიც ცუდად მოქცეულა, ხათუნა, ეს კაცი ყოველ თანამდებობიდან მოუხსნიათ, ცოლს კი პანღური უკრავს. არ ვიცი, შეიძლება ეს ხვალევე შეურიგდეს და ჩემგან საწყენად დაიხსომოს, მაგრამ ასეთ ცოლს ლაფი გადავასხი თავზე.

ხათუნა — ოო, მამ, არა ხარ თანამდებობაზე, აფრასიონ?

აფრასიონი. — არა, იქიდან მომხსნეს და რა ყოფილან ადამიანები, ესეც ამიხსნეს.

ენუქა — კარგია, თუ არ დაგავიწყდა.

აფრასიონი. — მხოლოდ ახლა გერასიმეს ნახვა მინდა, თქვენთან რომ მომარიგოს, ხათუნა.

ხათუნა — ჩემთან რა საქმე გაქვს?

აფრასიონი. — მე ხომ შენ მუ-

დამ ისე გარიგებდი ჰე... როგორც უფროსი ძმა, ეს უნდა... დანარჩენს თორემ... ერთი სიტყვით... დანარჩენს გერასიმეს ვეტყვი.

ხათუნა — გერასიმე წელან ფერმისკენ მიდიოდა, მე კი თქვენი ამბავი ისე მიყვირს... აზრზეც ვერ მოვსულვარ. (ხათუნა მიდის)

ენუქა — ჰო, ფერმამი იქნება.

აფრასიონი. — გმადლობთ. ჩემგან არაფერი გეწყინოს. (მოწიწებით ართმევს ხელს ენუქას) თუ რამე ხინჯი გაქვს, მაპატიე, კიდევ გამოგადგები.

ენუქა — (იწმენდს მას ჩამორთმეულ ხელს შარვალზე) მე არაფერს არ გაგიფუძკებ.

აფრასიონი. — იმედი მაქვს. (მიდის)

ენუქა — ეს რა დამართია, ა, რა მოტეხილი მიდის! (შემოდის გერასიმე)

გერასიმე. — ენუქა, საით იყურები?

ენუქა — აგერ, აფრასიონს ვაკვირდები.

გერასიმე — სად არის? (იხედება) ოჰ, აგერ მიდის! (აირებს დაღვენებას)

ენუქა — მოითმინე.

გერასიმე — მე შეითხოვობდა. არა, ახლავე დავეწვიო.

ენუქა — დაიცა, ცუდად აქვს საქმე.

გერასიმე — ცუდად? (შეჩერდება) როგორ?

ენუქა — უბედურადაა. ჯერ გაიგე და მერე გაეციდე.

გერასიმე — რა მოუვიდა?

ენუქა — თანამდებობიდან მოუხსნიათ. პარტიიდანაც აძევებენ.

გერასიმე — რისთვის?

ენუქა — კაიკაცობისთვის ხომ არ



მოუვლიდოდა. ყოყოობა და უხეირობაო... მაგრამ თვითონ ნახევარსაც არ იტყვას.

გერასიმე — რა იცი, შენ ხომ არ დაგელაპარაკა?

ენუქა — მელაპარაკა კი არა, ბევრიც მეფერა. ო, მაგის კარებთან ღუმის შემდეგ რას მოვესწარი!

გერასიმე — აქეთ მაინც რამ გადმოაგდო!

ენუქა — ასე თქვა, მტრებმა ცალი დამწამეს, თითქოს აქ თავიდან შენი ნამუსევიარი მომწერეს და ყალბად გამიკეთეს სახელიო. მთხოვა, ეს არ დადასტუროო, მე ვუპასუხე, არაფერი არ მესმის-მეთქი და შენთან გამოვგზავნე.

გერასიმე — ჩემი რა საქმეა, მე რომ თავმჯდომარედ ამირჩიეს, ორი წლის წასული იყო აქედან.

ენუქა — ბრიჯადირად კი იყავი იმ დროს.

გერასიმე — მე ჩემთვის ვმუშაობდი.

ენუქა — აბა, რაც დაუთესავეს, მას მოიძვს.

გერასიმე — მაგ ისეთი არამზადაა, ვინ იცის, რა არ ექნება ჩადენილი. აქ გასასერგელად არ მომადგეს.

ენუქა — აბა!

გერასიმე — უი, ახლა ეს რა სიგლაზე მომივიდა. მაგის გასამასპინძლებლად პუპის იმდენი რამე დავაგაღე, ოჯახი ამომივარდებდა. გაიქეცი ახლავე, ენუქა, თუ ცაიცი ხარ, არაფერი არ დაგლან.

(შემოდის ქიშვარდი ხელში გაზეთით)

ქიშვარდი — აფრასიონის ამბავი იციო?

გერასიმე — კი, გავიგე.

ქიშვარდი — აგერ, გაზეთშიც არის.

გერასიმე — აბა, რას უცდი, ენუქა, არაფერი არ დავლან, მიუსწარი.

ქიშვარდი — არა, იქ რაც შენ

გვიჩიე, გერასიმე, ყველაფერი დავაგეთ შამფურებზე.

გერასიმე — ქიშვარდი — რა გაეწყობა, მოვინებართ.

გერასიმე — რა მოგდევდათ, ქიშვარდი, ალბათ შენ დააჩქარებინე.

ქიშვარდი — შევედი და რას იხამ.

გერასიმე — უპ!

ქიშვარდი — არა უშავს, ერთი ნადიმის გადახდა ამაზედაც ღირს, რომ ჩირქი მოშორდა ახალსოფელს. მასეთი გარეწარი ცხრა სოფელში არ იყო.

გერასიმე — ახლა მაგისთვის არა მცხელა. ბიძინა მიტრიალებს კოლექტივში და რას მიბირებს, არ ეცი.

ქიშვარდი — ნუ გეშინია, მასაც მოვიყვანთ ჰკუაზე, გავიაროთ და ვნახოთ.

(ყველა მიდის. შემოდის ტასო და ბიძინა)

ტასო — თქვენ ჩემი თანამშრომლობათვის გითქვამთ, თითქოს აქ კადრებს დაუქვირებულად ანაწილებენ.

ბიძინა — დიახ, მაგალითად, მამისთვალზე ვთქვი, რომ აქ სასახელო სანერგეს ქმნიდა, მაგრამ ქარხანას წაუყვანია.

(შემოდის ციციანთელა)

ტასო — აქ ქარხნიდან ერთი მუშაოსტატი გადმოსულა, ბადრი ჰქვია, — ალბათ იცნობთ?

ბიძინა — როგორ არა, პატივემულო ტასო. ის მამისთვალის ადგილზეა.

ტასო — როგორი მომუშავეა?

ბიძინა — შე ვფიქრობ, არ არის ზუფთა ცაიცი.

ციციანთ. — რატომ? ვის რა დაუშავეა?

ბიძინა — სანერგე ამოწგლო. წინათ კი ქარხანა დაუზარალებია.

ციციანთელა — ძალიან მკაცრად ლაპარაკობთ.

ბიძინა — მამათქვენი ჯილდოზე

წარდგენასაც დაპირებია. ასე რისთვის მფარველობდა, რა გააკეთა ბადრიმ?

ციციანათელა — კარგი ახალგაზრდაა, პატივსაცემი მუშაობს ჩამოყვანა ქალაქიდან და გვინდოდა, ხელი შეგვეწყო.

ტასო — ცოლიც კოლმეურნეა?

ციციანათელა — დიახ, თავდადებით მუშაობს სათბურში.

ბიძინა — ქმარი კი ისეთი თავზედია, თვითონვე, მოურიდებლად ლაპარაკობს, რომ მამისთვის ნამუშევარი გააფუჭა. მე მისი პიროვნების გამოსარკვევად ქარხანაშიც გადავხედი. ამხანაგო ტასო.

ტასო — მობრძანდით იქ დაგვხედვით.

ბიძინა — კარგად გნახეთ.

(ბიძინა მიდის)

ტასო — მაშ, ხათუნა სათბურში მუშაობს?

ციციანათელა — დიახ, მისი სახელი გცოდნიათ. ხომ არ იცნობთ?

ტასო — ეჰ, უბედური!

ციციანათელა — წამობრძანდით, — ნახეთ ცოლიც და ქმარიც.

ტასო — არა, თავს შემაკოდევენ.

ციციანათელა — მაშ, მარტო ცილისმწამებლებს გაუგონებთ?

ტასო — მე ვფიქრობ, მისი ქმარი არაფერი და. შეაკვინა ხათუნა, შემდეგ ქარხანა დააზარალა და აქაც განაგრძობს ცუდლუტობას. თუ ეს დამტკიცდა, ვერ დაეზოგავ.

ციციანათელა — თქვენ უსმენთ მხოლოდ ცუდლუტებს და მატყუარებს, როცა ასე ფიქრობთ ბადრიზე.

ტასო — არა, შენ ისე უსაბუთოდ ესარჩლები, ვერ დაგიჯერებ. (გამოჩნდებიან: ეგნატე და ერმილე) დაებრუნდეთ, ამხანაგებო, მას ვერ ვნახავ! (ციციანათელას) მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

(ტასო და რევიზორები მიდის)

ციციანათელა — ეს რა შექამენარია, ვილაყაა.

(შემოდინ ქიშვარი და გერასიმე)

გერასიმე — აქ ხარ, გერასიმე! ბიძინა შემხვდა და დავაძლევ რაყა. ისე შემომხვდა, თითქოს ქვეყნის დამქცევი ვიყო. ხომ დააკვირდი, ქიშვარი, როგორ აბრიალებდა თვალებს!..

ქიშვარი — ოცოდე, შევადაა საქმე.

გერასიმე — მე თავს ასე არ დავთმობ. ათი წელიწადია, კოლმეურნის ეხელმძღვანელობ, ძალა შევალიე, რაიონში ყველაზე ღარიბი კუთხე დავაწინაურე და ახლა ლაფს მასხამენ?

(შემოდინ ბადრი და ხათუნა)

ბადრი — რად დაღონებულხარ, გერასიმე?

ციციანათელა — მამა ხომ ასე გამწარებელია, შენ სულ უბედურად გაქვს საქმე, ბადრი.

ბადრი — რატომ.

ციციანათელა — აქ ვილაყ ქალი ჩამოსულა. ბიძინა შეხვდა და ორივემ ისე დაგბატეს, როგორც ნამდვილი მავნებელი.

ბადრი — ვინ არის? საიდან გამოტყვრა!..

ქიშვარი — ტასო ჰქვიან, თურმე რევიზიას ატარებს ქარხანაში.

ბადრი — ოო, აქ არ კმაროდენ მტრები, ქარხნიდანაც ამიტყდნენ.

ხათუნა — ნუთუ საშველი არ იქნება!

ციციანათელა — არა, ხელს ნუ ჩაიქნევ. მე ერთი იმედი მაქვს, იმ ტასომ შენ ისეთი თანაგრძნობით გიკითხა, ხათუნა, შენი ახლობელი უნდა იყოს. ბადრიზე კი ძალიან მოლესილია და ნახე, ეგებ გააგებინო რამე.

ქიშვარი — ო, თუ ასეა, ხათუნა ახლავე გამოენთე და აუხსენი, რომ შენს ქმარს გულუბრყვილობით მოუვიდა შეცდომა და აწი ქარხანაში ცხვირს არ შეჭყოფს.

ციციანათელა — მერე, იქ მამისთვისაც ნახე, რაღაცას მაიმედებდა.

გერასიმე — არა, ეს არ გიშ-



ველის. აქ რაიკომი უნდა შევიტოვოთ. მე უფროსების შეუთანხმებლად ჯერ ნაბიჯიც არ გადამიდგამს. ახლავე წადი ციციანათელა, ქარხანაში და კოკოლას სთხოვე, რაიკომის მდივანი მომიყვანოს.

ციციანათელა — კოკოლას?

ქიშვარდი — ჰო. უსათუოდ.

ციციანათელა — მამა უცხოზნა!

ქიშვარდი — შენი ჰირიმე, არ გაჯიქდე. აქ მამაშენის ბედი წყდება, კოკოლას კი შენი ხათრი აქვს.

ციციანათელა — სამაგიეროდ, რასაც გთხოვთ, შემისრულებთ?

გერასიმე — მაგრა საკითხავია! ქიშვარდი — (ხედავს) — შენც ინახულე ის ვილაც ტაყუბულიძე... ხათუნა — ნეტავ რომელი ტასოა... მოითმინე... მას წარბები შეერთებულ ხომ არა აქვს?

ქიშვარდი — კი. ტუჩზეც ბუსუსი აქვს, ეშხიანი, მოწიფული ქალია.

ხათუნა — (თავს ჩაღუნავს).

ბადრი — ვინ არის?

ხათუნა — (ბადრის) ეპვი მაქვს, რომ... ჯერ ვნახო და მერე გეტყვი.

გერასიმე — აბა, დრო არ დაეკარგოთ.

(ფარდა)

მოკმელება მისამე



ღარბაში ქარხანაში. ხილბეში მაგიდა. სეპარტები, სეცნაზე ხათუნა, ტასო და ევნატა.

ტასო — შორს ნუ ჯდები გაბუტულივით, ახლო მოიწი, ჩემო შვილო. მხოლოდ იმ კაცზე ხმა არ ამოიღო, სანამ რევიზიას არ დავამთავრებთ.—ამოილაპარაკია.

ხათუნა — როცა დედა არ მისმენს, ვისი იმედი მქონდეს!

ტასო — რა გამოვა, რომ მოგისმინო?

ხათუნა — გაიგებ, რომ ის სუეტაკი ადამიანია.

ტასო — სუეტაკი..

ხათუნა — შენ ვერ წარმოიდგენ, დედა, რა უეშაკია.

ტასო — ასე რომ დაგარწმუნა თავის ღირსებაში, სწორედ ესაა ეშაკობა.

(შემოდის კოკოლა)

კოკოლა — ჩვენს საამქროში ბრძანდებოდით?

ტასო — დიახ, დადასტურდა, რომ თქვენი გამოგონების წყალობით დაწინაურდა საამქრო.

კოკოლა — მალე ამასაც გაიგებთ, როგორ მიშლიდნენ ხელს დირექტორის დამქაშები.

ხათუნა — ბადრის შესახებ რას იტყვით, პატივცემულო კოკოლა?

კოკოლა — თვითონ რა კეთახეა?

ხათუნა — ქარხნისაკენ არ გამოიხედავს, ოღონდ ნუ შეაწუხებთ.

კოკოლა — რადგან ასე გამოსწორდა, რას ვერჩით.

ტასო — ჯერ კომისიამ გამოარკვიოს, რა გამოგონება იყო და რა ხარალი მიაყენა ქარხანას.

კოკოლა — აჰ, ეს რა საჭიროა, რა დროს მაგის რკვევია. გეცალია ახლა მასეთი წვრილმანებისათვის?

ტასო — ეგებ არც წვრილმანია!

ხათუნა — აი, როგორი ხარ. დედაჩემო, შვილსაც ჯიბრში მიდგები.

ტასო — რა შეაშია აქ დედაშვილობა?

კოკოლა — როგორ. ეს თქვენი შვილია?

ტასო — დიახ.

კოკოლა — მამ, მეც ძალიან გთხოვთ, ნუ გააწბილებთ.

ხათუნა — აი, დედა, ხომ გესმის, სუყველა ასე გეტყვის, შენ კი არც სი-

მართლეს გვიჯერებ, არც ხათრი გაქვს, არც მშობლის გული... (ტირის) ქვა ხარ... ქვა...

ტასო — კიდევ რომ ხმას იღებ! ა, ეს გეტქმის დედაზე, რომელიც ისეთ ვაჟბატონისათვის დაივიწყე! სისხლი გამოშრე ერთადერთმა შვილმა და აქეთ მესაყვედურები?!

კოკოლა — არა, არ მოგეშვებით, სანამ ხელს არ აგაღებინებთ ამ უაზრო კვლევაზე.

ტასო — ძალიანაც მივივრს. თქვენ ხომ იწერებოდით, დირექტორმა მას ამკარად მანებლური ცლა ჩაატარებინაო, ახლა რა გაღელვებთ?

კოკოლა — თქვენი ქალიშვილის ბედი, სხვა არაფერი.

ტასო — ნუთუ აქ ჩემზე უფრო გეწივით გული.

(მეზობლის ქიშკარა)

კოკოლა — საიდან გაჩნდი, ქიშკარა!

ხათუნა — ციციანთელა ხომ არ მოგყავა?

ქიშკარა — დიახ, ჩამოვიყვანე, გარეთ იცდის.

კოკოლა — ოჰ, კარგი მახარობელი ხარ.

ტასო — ეს კაცი მგონი გუშინ ვნახე ახალსოფელში.

ქიშკარა — დიახ, ცოტა ანგელოზები დამიფეთეთ.

ტასო — რაზე?

ქიშკარა — ბადრის ემუქრებოდით... მაგრამ ალბათ დაგამოშვინეს, მადლობა ღმერთს.

ტასო — პირიქით, საჩქაროდ უნდა დავიბარო.

ხათუნა — მას იქ საქმეები აქვს.

ქიშკარა — დიახ, რევიზია ადგა და ცამდე მართალია.

კოკოლა — თუ არ სცალია, როგორ მოვა!

ტასო — მოვოყვანთ.

(მეზობლის ვრმილი)

ერმილე — მუშების ჯგუფი გლოდებათ, ამხანაგო ტაქტიკურად
ტასო — გახლებზემგზავნიყვეს
(აიჩნებს წასვლას)

ხათუნა — არა, მე ვერ მოგშორდები, სანამ არ დამშვიდდები, დედა!

კოკოლა — (ჩუმად, ხათუნას) დიახ, ასე, არ დაუთმო, თორემ დაღუპები.

ტასო — მე კი, იცოდე, არ დავისვენებ. სანამ მთელ მის საქმეებს არ გადაექვამ. ბოლოსდაბოლოს, ვისთვის მკარი წიხლი. სიმართლე უნდა დავინახოსულ. თავიდან ბოლომდე.

(ტასო, ერმილე და ხათუნა მიდიან)

კოკოლა — ეჰ, რა ჯიუტია! ეს სიძეს სიკვდილამდე არ მოეშვება და მე გამოვიტყუებები!

ქიშკარა — ვატყობ, აქ ცოტა სიცხე გადგას, კოკოლა, მაგრამ გერასიმე ისეთ დღეშია, თავი უნდა დაივიწყოს და გვიშველო.

კოკოლა — ო, ამისათვის, მოგყვა ციციანთელა! კიდევ გამოვიკირდა.

ქიშკარა — როგორმე უნდა მოიკალო და შენი სიძე ამოიყვანო ახალსოფელში. სხვა საშველი არ არის.

კოკოლა — როგორც კი ბადრის საქმეების ქექვას დაიწყებს ეს დედაკაცი, აქედან უნდა გავძვრე... მხოლოდ გერასიმეს გადარჩენა ჯერ შემძლია.

ქიშკარა — მაშ, თუ გასაქცევად გაქვს საქმე ჩვენ შეგობინებთ. მეც ხომ მასეთ დღეში ვიყავ, როცა პუბის შევაფარე თავი... ოღონდ, დარბეული ოჯახი რად გინდა! ამიტომ სჯობს ახლავე დაგვეხმარო.

კოკოლა — თუ ციციანთელამ კინწი მკრა, მაგ ოჯახს ვინ ჩამოგდებს ხელში.

ქიშკარა — ციციანთელა ახლა მამის გადასარჩენად ეშვას დაუჩოქებს. შენზე კი თავიდანვე შეყვარებულია.

კოკოლა — შეყვარებულია?

ქიშკარა — აბა, არ იცი!

კოკოლა — რა ეცი, შენ კარგა ხა-



ნია მეფიციები, მაგრამ ის სათოფეზეც არ შეკარება.

ქ ი შ ვ ა რ დ ი — მაშინ ის ახირებით მოდიოდა, გულით კა არა, ახლა მთლად დაღინჯებულია.

კ ო კ ო ლ ა — რა ვიცი, არ გახსოვს, შარშან თავზე რომ ვაკოცე, რა ამბავი ატეხა!

ქ ი შ ვ ა რ დ ი — ოო, მაგ ამბავი დღეს გზაზე შევახსენე და ნანობს, რომ ტუჩი არ შეგიშვირა.

კ ო კ ო ლ ა — სიმართლეს ამბობ?

ქ ი შ ვ ა რ დ ი — ტუცილს გიტყვი და თვალეში შემოგზედავ!

კ ო კ ო ლ ა — აბა, შემოვიდეს. შენ კარში დარცადე.

ქ ი შ ვ ა რ დ ი — კარგი, მხოლოდ ლაპარაკს ნუ კი დაუწყებ სიყვარულზე, საქმით გაეარშიყე — რაც გთხოვოს, აქსრულე. ო, როგორ აღფრთოვანდება. სანთელივით დაგაღნება, ხომ იცი!

(ქიშარდი მიდის. კოკოლა ეზაღება ციციანთელას შესახვედრად. შემოდის ერმილ)

კ ო კ ო ლ ა — ოო, ერმილე ბრძანდებით! ახლა ხომ დარწმუნდით, რომ ჩემი გამოგონების წყალობით იბერება დირექტორი და რალა ის გავახაროთ, როგორ ფიქრობთ, მე უკეთესად ვერ ეტხელმძღვანელებ ამ ქარხანას?

ე რ მ ი ლ ე — (გაუბედავად) ჯერ ჩვენ მეორე მხარესაც უნდა მოვუხსინოთ.

კ ო კ ო ლ ა — მე მოწინააღმდეგე აქ არა მყავს.

ე რ მ ი ლ ე — როგორ არა, საშინელ ჩაჩეს ამბობენ.

კ ო კ ო ლ ა — მერე, რა ყურით უსმენთ, ხომ იციოთ, რომ მე უპატრონო არა ვარ.

ე რ მ ი ლ ე — დიახ, ამასაც გაბრალევენ, ვილაც პატრონი ჰყავსო.

კ ო კ ო ლ ა — ჩემს სასარგებლოდ ვინც ლაპარაკობს, არ უსმენთ?

ე რ მ ი ლ ე — მომხრეები გყავს, მაგრამ საბუთიანად ვერ გიცავენ.

კ ო კ ო ლ ა — ვატყობ, სუსტობთ

რევიზიის წევრები დაქვემდებებულს უნდა ვუთხრა.

გ ი ბ ლ ი მ ი მ ე ნ ე ა

ე რ მ ი ლ ე — ის ისე ფხიზელია, თქვენი გაფრთხილება არ სჭირდება.

კ ო კ ო ლ ა — მაშ, ამოდენა კაცს ცილისმწამებლების პირში მაგდებთ? არა, თუ ეს ხრიკები გააგრძელეთ, ახლავე წვალ ამ ქარხნიდან და შევაწყვეტინებ თქვენს ოინბაზობას.

ე რ მ ი ლ ე — თუ აქ თავი არ გაიმართლეთ, არსად ხმა არ გექნებათ.

კ ო კ ო ლ ა — რა ბრალდებაა ამისთანა?

ე რ მ ი ლ ე — წამობრძანდით და გიტყვიო.

(პირვენი წასვლას. შემოდის ციციანთელა)

ცი ც ი ნ ა თ ე ლ ა — სალამი, პატრიცემულო კოკოლა!

კ ო კ ო ლ ა — ოჰ, ციციანთელა, რა კარგ დროს! რა უეცრად გაჩნდი კუდიან ვარსკვლავივით.

ე რ მ ი ლ ე — მაშ, წამოხვალთ!

კ ო კ ო ლ ა — სად?

ე რ მ ი ლ ე — პირისპირ უნდა შეხედეთ ზოგიერთ ამბანაგს.

კ ო კ ო ლ ა — მოვალ, მხოლოდ ხალხი წესიერად ალაპარაკეთ.

(ერმილე მიდის)

რა ბედმა ამისრულა ნატერა, რამ მოგიყვანა!

ცი ც ი ნ ა თ ე ლ ა — მაშამ გამომგზავნა.

კ ო კ ო ლ ა — როგორ არის?

ცი ც ი ნ ა თ ე ლ ა — ცუდად, ისე ცუდად, თქმა მიჭირს.

კ ო კ ო ლ ა — ნუ გეშინია.

ცი ც ი ნ ა თ ე ლ ა — დიახ, შენს მეტს, თურმე არავის არ შეუძლია შეელა, დანაშაული მაინც ჰქონდეს, რა ხდება, არ მესმის.

კ ო კ ო ლ ა — ასეა, სიმართლე ყველასთან არ გაგივა.

ცი ც ი ნ ა თ ე ლ ა — რა ვქნა, დედის დაკარგვა მაშამ გადამატანინა და მასაც რომ რამე მოუვიდეს, რა შეშველებია!

კოკოლა — მესმის შენი წუხილი. სათნოებით საესე ქალიშვილი ხარ.

ციცინათელა — ოღონდ ამ ქირს ავაშორებდე და სიცოცხლეს არ დაეშურავ. ამისათვის გადმოგვარდი — ხმის კანკალით დამაბარა, კოკოლამ რაკომის მდივანი მოიყვანოსო.

კოკოლა — სწორია, თუ დავაგვიანე, რა უშველის.

ციცინათელა — მაშ, დღესვე ამოიყვანო?

კოკოლა — არათუ ამ თხოვნას, ოღონდ გული მაჩვენე, ციცინათელა, მარტო ბავით ნუ მეტყვი და ზღვიდან მარგალიტა ამოგიტან. ერთი სიტყვით, ყველაფერი შენზეა, სუყველა შენს ხელში ვართ.

ციცინათელა — როგორ? რაზე ამბობ?

კოკოლა — ცოტა მაინც გაქვს თუ არა ჩემი სიყვარული? ახლა ისე ვარ მომწყვდეული, ყველაფერი უნდა გავიგო.

ციცინათელა — ჰო.

კოკოლა — სიმაართლე თქვი!

ციცინათელა — დიახ, რატომ არა, მხოლოდ რომელი სიყვარული?

კოკოლა — რომელი? რა გითხრა, რომელია და როგორია... მე ისე მიყვარხარ, ენით არ გამოითქმება და ხატვა კი არ ვიცი.

ციცინათელა — ო, აბა... მე უფროსები მყავს.

კოკოლა — უფროსებმა კარგახანა შემომთავაზეს შენი ხელი.

ციცინათელა — (უხერხულად) არ ვიცი... მე არც დამიზნობია.

კოკოლა — ბევრჯერ გესტუმრე, ციცინათელა, და მორცხვად მემალეობდი. პუპიმ და ჭიშვარდიმ ეს მით ამიხსნეს, რომ უმანკო სიყვარული გაქვს... ახლა კი, რადგან თვითონვე მომაკითხე, ბარემ მომეცი ეს ბროლის ხელი, მაშინ ჩემს სიძეს ადვილად დავატრიალებ გერასიმეს გადასარჩენად... ისე კულს არ

გაანძრევს. მეტი რა ვთქვა... სიტყვა არ მყოფნის... იმოღენა აღმარ მტრისმსგავსს გულში...
გულში...

ციცინათელა — მეტი სიტყვა რად გინდა. ისე მიცხადებ სიყვარულს, როგორც მახეში გაბმულ ჩიტს მელია, — ეს არც ერთს არ გვეკადრება.

კოკოლა — არა, ასეთ ცბიერებას ნუ მწამებ, შეგიძლია გაფრინდე, მე ერთ ბუმბულსაც არ დაგაკლებ... არც არასოდეს არ მიკადრებია შენთვის რაიმე... მხოლოდ ერთხელ გაკოცე. ისიც ფრთხილად, და ამით ნახად განიშნე ჩემი გრძნობა.

ციცინათელა — მაკოცე? არა, ეს სიცრუეა!

კოკოლა — ო, თურმე არც გახსოვს, მე კი იმ კოცნით სული და გული დაგაკონე და მეგონა, როგორც ნაცარში ინახება ნაკვერჩხალი, ისე გენთო გულის სიღრმეში.

ციცინათელა — როდის, უი, იმ ბეიტებმა ქვა რომ მომარტყეს!..

კოკოლა — დიახ.

ციცინათელა — ავი ბოდნიშო მოიხადე და თქვი, არც მახსოვდა თუ მოზრდილი იყავიო!

კოკოლა — ეს სხვების გასაგონად ვთქვი, თორემ ისეთი ვნებით გაკოცე, ახლაც პირს მიტკბობს მისი გემო, თუმცა მარტო თმაზე გეამბორე... აქედან წარმოიდგინე, თუ რამდენად მიყვარხარ.

ციცინათელა — უი, სიცოცხლე დამიბნელდეს! ციცინათელა აწი არა ვარ!... უი, ჩემი აკვანი დამწვარიყო!

კოკოლა — რა მოგივიდა?

ციცინათელა — მაშ, შებღალული დავდივარ შარშანს აქეთ?

კოკოლა — რამ შებღალა?

ციცინათელა — უწბილოს რომ ეკბინა არ მერჩია?!

კოკოლა — ო, ეს არის შენი მასუბი?

ციცინათელა — ცხრაჯერ რომ



დაიღუპოს მამაჩემი, შეიღოს ნამუსით თავს არ დაიხსნის. უი, ეს რა მომივიდა, აწი მამისთვალს როგორ შევხვდე!

კოკოლა — მამისთვალე რა შეაშაა?

ციცინათელა — რა პირით ვუთხრა ეს ამბავი საქმროს?

კოკოლა — მამ საქმროც გყოლია?

ციცინათელა — ო, თავს როგორ ვკადრო, თორემ ფრჩხილით გეცემი თვალში. შე ჩემი ცოდვით საესე, შე ჩემო დამღუპველო! უი, რა ჩირქი, ლაფის დასხმა!

(შემოდინ მამისთვალე და ერმილე)

ერმილე — კოკოლა, კომისიაში გეძახიან!

მამისთვალე — აქ რა ამბავია?

კოკოლა — არაფერია, რალაცაზე ეკამათობთ.

ციცინათელა — დედა, რა უტეხია!

კოკოლა — ახლავე მოვდივარ.

(ერმილე და კოკოლა მიდიან)

მამისთვალე — რა მოვივიდა, ციცინათელა, რისთვის დელავ?

ციცინათელა — აწი ცივ ქვაზე წაიკითხე ჩემი სახელი.

მამისთვალე — რა დავემართა, ამისხენი.

ციცინათელა — როგორ ვთქვა... მაკოცა მაგ კაცის ქირმა. თვალე სად გაეახილო!

მამისთვალე — გაკოცა?

ციცინათელა — ჰო, იმ გარეწარმა...

მამისთვალე — ნამდვილად?

ციცინათელა — უჰ!

მამისთვალე — ახლა გაკოცა?

ციცინათელა — არა, შარშან.

მამისთვალე — მერე, ახლა ღრი-ალებ?

ციცინათელა — მაშინ თქვა — როგორც ატრებულ ბევშეს მოგეფერეთ, ახლა კი გამოტყდა ნამდვილად გაკოცეთ.

მამისთვალე — არ მესმის!

ციცინათელა — ნეტავ შარშან უკრუ იყო, მიჩვენია. ერკინეშული მამისთვალე — მამისთვალე მომხდარაო და შარშან ვერ გავიგეო... ვის არ დააბნევს შენი სიტყვა.

ციცინათელა — რა არ გესმის! შემოდგომაზე ჩვენს მეზობელს ძალღმა უკბინა კოქზე და გახაფულზე გააცოფა. მაშინვე უნდა მომეპარსა ის თმა, როგორც კი დინგი დამაჯარა იმ ცოფიანმა ღორმა.

მამისთვალე — თმაზე გაკოცა? წამოდი, კიდევ ვერ გამიგია კარგად.

ციცინათელა — (ხმა დაბლა, თითქოს თავისთვის) უი, შენ არ გაღირსე და მან როგორ გაბედა!

მამისთვალე — კარგად გამაგებინე და მე მას ქორივით გავბრდღენი ხალხში.

ციცინათელა — ხალხში გაბრდღენი? ეს კიდევ ძვალს მომტეხავს!

(შემოდის ხათუნა)

ხათუნა — აქ შეყრილხართ, ვერ გნახეთ და თქვენი გულისთვის ჩამოვრჩი.

მამისთვალე — სად მიდიოდი?

ხათუნა — ახალსოფელში მივეყვებოდი კოკოლას.

ციცინათელა — რა გინდოდა იმ კაცის ქირთან?

ხათუნა — რას ამბობ. ისე დედასაც არ ვებრალედი. ახლა ბადრისთან წერილი გავატანე.

მამისთვალე — რა მისწერე?

ხათუნა — რომ მის მეტი არაეინ გვიცავს და რაიკომში წაჰყვეს.

ციცინათელა — რაღაცა მახეს აგებს!

ხათუნა — რას ამბობ, უხერხულადაც ვგრძნობ, ისეთი რამ დავგვირდა.

მამისთვალე — მაინც, რაო?

ხათუნა — მზადაა განაცხადოს, რომ ის გამოგონება მისი საკუთარია, მოითხოვს ეს ბადრიმ დაუმოწმოს.

მამისთვალე — სწორედ ახლა გთხრის თვალებს.

ხ ა თ უ ნ ა — რატომ?... მთელ და-
ნაშაულს თავის თავზე იღებს იმ იმე-
დით, რომ უბრალო საქმეა და მას და-
ჩაგვრას ვერ გაუბედავენ.

მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი — ის გამოგონება
სასარგებლო აღმოჩნდა და კოკოლას მი-
უთვისებია. ახლა ამ ამბავს იცვლევს რე-
ვიზია.

(შემოდიან ტასო, ერმილე და მუშები)

ტ ა ს ო — სად არის კოკოლა?

მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი — ბადრისთან გაფ-
რენილა.

ტ ა ს ო — ორივე აქ მოიყვანე, ამზა-
ნაგო ერმილე.

ხ ა თ უ ნ ა — რისთვის იხმობ?

ე რ მ ი ლ ე — იმარჯუნებს შენი შეა-
რი. (მამისთვალს) მართლდება თქვენი
განცხადება, მამისთვალ, ყველაფერი
დაადასტურეს მოწმეებმა.

მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი — კიდევ მეტსაც
გაიგებთ.

ტ ა ს ო — ჩემთვის ეს ისე მოულოდ-
ნელი იყო, საკუთარ თვალ-ყურს არ ვუ-
ჯერებდი.

ც ი ც ი ნ ა თ ე ლ ა — ახლა თურმე
რაიკომში აწყობს რაღაც სიყალბეს.

ტ ა ს ო — დავრეკავ!...

(გ ა რ ღ ა)

მოქმედება მეოთხე



კოლმეურნეობის სანერგე. ფართობი მოჩანს სათბურისა და ფარდელის ნაკვობა.
სუენაზეა ბადრი და ენუქა

ბ ა დ რ ი — თუ კაცი ხარ, მითხარი,
ძალიან მემდურის გერასიმე?

ე ნ უ ქ ა — კი, ნაწყენია.

ბ ა დ რ ი — რასაც მომთხოვდა, ვუს-
რულეხდი და რას მერჩინა!

ე ნ უ ქ ა — რაც შენი საქმე არ იყო,
რად გამოიღე თავზე, რა გინდოდა იმ სა-
ნერგეში!

(შემოდის პუბი)

პ უ პ ი — გამარჯობათ, კაცებო!..

ე ნ უ ქ ა — რაზე გასჯილხარ, პუბი?

პ უ პ ი — ციცინათელას გადმოვყაყუ-
რე — სტუმრები ხომ არ ამოიყვანა-
თქვა, (ბადრისაკენ) ხათუნაც არ მოსუ-
ლა?

ბ ა დ რ ი — არა.

ე ნ უ ქ ა — ალბათ, გეშინია, პუბი,
მზადებამ ტყუილად არ ჩავიაროს... მაგ-
რამ რა უშავს, ჩვენ ვავსალეხთ.

პ უ პ ი — მასე არაა საქმე, თუ ვინ-
მესთვის კოკორს ვაცხობთ — სამაგიე-
როს ველით.

ბ ა დ რ ი — უპ, რა ყელში გადაუვათ
მასეთი ლექმა!..

პ უ პ ი — შენ აყევი ენუქას?... აბა,

იცილდე, ბადრი, იმ ხალხს მისთვის ვე-
ფერებით, რომ შენი გაფუჭებული საქ-
მე ჩაფეარცხობთ. გერასიმე არაა შენი
კმაყოფილი.

ბ ა დ რ ი — როცა პირველად ჩავები
აქ სანერგეში, სუყველა დახმარებას
მპირდებოდით. ახლა კი წარბსაც არ
მისწორებთ. თითქოს ძალიან ბევრი ვი-
სარგებლე, ისე მამადლით. ჯაგრის მეტი
რა მივიღე იმდენი შრომიდან.

ე ნ უ ქ ა — ჯაგრისაგან მე ორნაირი
წამალი ვიცი: კარგი ცოლი და გემრიე-
ლი ძილი. შენთვის ბედს ორივე მოუ-
ცია, მე კი დაწაგრული ვარ.

ბ ა დ რ ი — რატომ, შენ ხომ დამკე-
რელი ცოლი გყავს?

ე ნ უ ქ ა — დამკერელი რომაა, იმი-
ტომ არ მაძინებს. შუღლამიდან მიბათქუ-
ნებს გვერდებში. — გათენდა, ენუქა,
აღდექი, საქმეს ეწიეო.

ბ ა დ რ ი — ეპე, კომისიის წევრები
სათბურისაკენ მოდიან. შევეგებოთ.

(აპირებენ წასვლას)

პ უ პ ი — მამ, ენუქა, თუ ვინმე გა-
მოჩნდება, შემატყობინე.



(ყველა მოდის. შემოდინ ქიშვარდი და აფრასიონი)

აფრასიონი — ე, სხვა დროს ფეხს დაკადგამდი თუ არა ამ სოფელში, გერასიმე თითქოს მიწიდან ამოსკდებოდა, ახლა კი... არა, ახლაც მინახულებდა, მაგრამ, ალბათ, დაგაეიწყა გეთქვა, აფრასიონი ჩამობრძანდაო.

ქიშვარდი — აბა, სულ გადამცალდა გულზე.

აფრასიონი — ასეა, თორემ გაპირვებაში უფრო ჩქარა არ უნდა გამოიჩენილიყო?

ქიშვარდი — ჰო, რას იზამ!

აფრასიონი — რამდენჯერ, პატროსკემის ნიშნად, მაგის ოჯახში მისვამს და მოჰამია... არა უშავს, მე კიდევ აფრასიონი ვიქნები.

ქიშვარდი — ჰო, იქნები, ვინ იცის, ასეც შეიძლება.

აფრასიონი — შენ მაინც ასე არ უნდა მოქცეულიყავი.

ქიშვარდი — როგორ?

აფრასიონი — რატომ დაგაეიწყა და გეთქვა ჩემი ჩამოსკლა?

ქიშვარდი — ვინ გითხრა, რომ დამაეიწყა?

აფრასიონი — ახლა არ თქვი, გულს გადამყვაო, ო, ნუთუ ასე ამიგდე, არც გახსოვს, რას შელაპარაკები!

ქიშვარდი — შეიძლება.

აფრასიონი — მამ, მემალეხა გერასიმე? ყველგან ამარიდეს თვალი? მე ასეთებს სხვას ვუკეთებდი და ახლა მე მიწყობენ! არა უშავს, სუყველაფერი იწერება.

ქიშვარდი — კი, დაწერე, რაც დაეტივა.

აფრასიონი — გული ისე იბერება, ზედ ბევრი დაეტივა. ასე ნუ მიყურებ, თუ აღამაინი ხარ ასე ნუ მიყურებ!.. თორემ.

ქიშვარდი — მე რა გიყო, მე ერთი პატარა კაცი ვარ, ყველას ვუტყინი სიკრიქისათვის. მთელი სიცოცხლე ისე ვიღრანჯები, ჩემი ნამდვილი სახე სარ-

ეშვიც არ მინახავს, არ ვიცი, რა სახის ვარ.

აფრასიონი — ჩემს წყევლებს ასე?

ქიშვარდი — ფრთხილად ვარ, ძმო, ისე შემინია, ვირზე რომ მითხრან. მომღერალოო, გუნდში მოვიღებ.

აფრასიონი — კარგი გუნდიც გეყოლება.

ქიშვარდი — რა ვქნა, ასეა, როცა გმოლტავენ, ვერ გადაგეფარები. ამ კეუისა ვარ.

აფრასიონი — მასეთი კეუა მე შენზე მეტი მქონდა, მაგრამ ეს შოლტი არ ამცდა. ამას მაინც გთხოვ, ქიშვარდი, ნუ დამცინებ.

ქიშვარდი — დაგცინი კი არა, მე თუ მკითხავ, ახლა უფრო გაფასებ.

აფრასიონი — როგორ?

ქიშვარდი — წინათ, როცა გაბერილი დადიოდი, შიშით გელაქუტებოდი, თორემ მუგუზალის ჩათხრა მინდოდა შენთვის პირში. ახლა კი აღამაინურად ლაპარაკობ და თუ დაგცინი, კიდევ მეცოდები და გულში მეც პატყს გეცემ.

აფრასიონი — ეპ, აგაშენა ღმერთმა, ცოტა მაღამოს მაინც მისობ, ცოლმა კი მარტო ღადარი მომხყარა.

(შემოდის კოკოლა)

ქიშვარდი — ო, ჩემო კოკოლა, სანთელივით არ გამოჩნდი!.. კიდევ რომ დაგგვიანებოდა, ჯაერით დავილეოდი.

კოკოლა — აფრასიონიც აქ ბრძანდება! რა შემთხვევით გვინახულეთ?

აფრასიონი — არის მიზეზი.

კოკოლა — ახლა სოფლის მეურნეობის დასახმარებლად რომ ბრიგადებს აგზავნიან, ამათან დაკავშირებით ხომ არ ჩამობრძანებულხართ?

აფრასიონი — არა, სხვა მიზეზია. თქვენ როგორ ბრძანდებით?

კოკოლა — არა გვიშავს, სწორედ გუშინ მოგიგონეთ ჩემი სიძის ოჯახში.

აფრასიონი — რაო, რა თქვეს, სიშარტლემ მითხარი, ნუ დამზოგავთ.

კოკოლა — დიდის პატივისცემით განსვენებდნენ.

აფრასიონი — არა მჯერა.

კოკოლა — სინდის გეფიცებით, იქ ინსტრუქტორებიც იყვნენ.

აფრასიონი — ოჰო!

ქიშვარდი — დღეს არ გინახავს სიძე?

კოკოლა — როგორ არა, თქვენზე ველაპარაკე და სადაცაა ჩამოვა.

ქიშვარდი — ოჰ, შენ ავაშენა ღმერთმა, თორემ წელან ტელეფონში გავუხმრე, გავაცივებ-თქვა და ისე შემომიბღვირა, კინაღამ გული გამისკდა!

კოკოლა — ალბათ არ ეცალა.

ქიშვარდი — ახლა აქაურ ამბებზე არ იყობხვ? გერასიმე ისეთ ტაფაშია, მტერს შეეცოდება.

კოკოლა — რისთვის?

ქიშვარდი — თქვენთან რომ მამისთვლი გადმოვიდა, იმას კომისიამ აქაური ნამუშევარი ისე დაუფასა, მგონია, ფრთები გამოასახან.

კოკოლა — რას ამბობ, მთელმა ქარხანამ იცის, რომ ის უხეიროა.

ქიშვარდი — თუ ძმა ხარ?!

კოკოლა — საქმე თუ შემოელია იმ კომისიას, რაღა ასეთი სახელგატეხილი კაცი გამოიგონა მოწინავედ. გესმის, პატივცემულო აფრასიონ!

აფრასიონი — აბა!..

ქიშვარდი — ბადრის კი სანერგის დაქცევას აბრალებენ და გერასიმე შეშინდა.

კოკოლა — მასეთ კომისიას არავინ დაუჯერებს. თქვენც ხომ დაგეხმარებით, პატივცემულო აფრასიონ?

აფრასიონი — მე... ვთქვათ... რაც ვარ...

კოკოლა — ჩვენი სიმართლე ხომ გესმით?

აფრასიონი — უსათუოდ, უსათუოდ...

კოკოლა — არაფერია, აქ კი გადარჩება ბადრი. მხოლოდ ქარხანაში აქვს ცუდად საქმე.

ქიშვარდი — რას ლაპარაკობ!

კოკოლა — თავი გადავდევო შაგის გელისთვის და ჩქარა მომიგვრე ყუკაცი ხარ.

ქიშვარდი — ამ წუთში მოგინახე.

(ქიშვარდი მიდის)

აფრასიონი — პატივცემულო კოკოლა, მართლა მახსენა წუხელის თქვენმა სიძემ?

კოკოლა — მაშ, თქვენისთანა კაცს თუ არა, ვილას შევაქებთ. გეფიცებით, ძალიან გაუხარდებო, თუ გაიგო, რომ აქ ბრძანდებით.

აფრასიონი — ეს იცის.

კოკოლა — შინც კარგია, თუ დაურეკავთ!

აფრასიონი — ვითომ?

კოკოლა — რასაკვირველია.

აფრასიონი — ახლავე მივალ ტელეფონზე, მხოლოდ ვერცევი, რომ თქვენი გაბირებით ვურეკავ.

კოკოლა — მაშ, ამას გთხოვ, პატივცემულო აფრასიონ, ჩემზე ცოტა ნაწყენია და დააშოშმინეთ. უთხარით, რომ აქ გასამართლებელ საბუთებს ვაგროვებ და მოვდივარ.

აფრასიონი — ძალიან კარგი. გმადლობ, რომ დალაპარაკების საბაზი მომეცით.

(აფრასიონი მიდის)

კოკოლა — როგორ იკაცებო. ამა ცუდად ხომ არა აქვს საქმე?!

(შემოდის ბადრი)

ბადრი — მართლა ჩამოსულხარ, კოკოლა, ქიშვარდომ ცოტა დამაფეთა.

კოკოლა — კი, ხათუნამ გამომათვრინა, წერილიც მოგიტანე.

ბადრი — (გამოართმევს წერილს) რაზე შეგაწუხათ?

კოკოლა — მან კიდევ ყველაფერი არ იცის.

ბადრი — (კითხულობს) რა რევიზიაა ასეთი?

კოკოლა — რამდენი ვიბრძოლე შენს გადასარჩენად, დაპატომრებას გიპირებენ.

ბადრი — უჰ!..



კოკოლა — ვიღაც ქალია იმ რევიზიის ხელმძღვანელი. აქაც ყოფილა და ორივე საქმეს აერთებს.

ბადრი — (იხედება წერილში) ხათუნა მწერს, რასაც კოკოლა გირჩევს, დაუჯერეო.

კოკოლა — აქ მართო ერთი საშველია.

ბადრი — თქვი, თუ რამე შეგობლია, ხომ იცი, — მეც აღმიანი ვარ!

კოკოლა — ამ დანაშაულს მე მივიღებ ჩემ თავზე და შენც დაადასტურე, რომ ეს გამოგონება, მავნებლურია, თუ რაც არის, მე მეკუთვნის.

ბადრი — რატომ?

(შემოდის ერმილე)

ერმილე — სალამი, ამხანაგო კოკოლა!

კოკოლა — შენ აქ საიდან გაჩნდი?

ერმილე — ქარხნიდან გამომგზავნეს. კომისიაზე გიბარებენ შენ და ბადრის.

ბადრი — მეც მიბარებენ?

ერმილე — თქვენა ხართ ბადრი?

ბადრი — დიახ.

კოკოლა — მერე გეახლებით, ახლა სალაპარაკო გვაქვს.

ბადრი — დიახ, ცოტა გეცალე.

ერმილე — მოითმინეთ. კოკოლამ თქვენ გადმოგცათ წერილი ხათუნასაგან?

ბადრი — კი, აი, ახლა მომცა.

ერმილე — მაშ მე ყველაფერს ავიხსნით. ცოტა გავიაროთ. (კოკოლას) შენ დამიკადე.

(ბადრი და ერმილე მიდიან. შემოდინ გერსიშვი და ქიშვარდი)

გერასიმე — ძალიან მიამა შენი მოსვლა, კოკოლა.

კოკოლა — მართლა?

გერასიმე — ციციანთელა ავიხსნიდა ყველაფერს.

კოკოლა — ო, მას ისეთი მეგობრები ჰყოლია, მტრად გადამიცდეს, მაგრამ, იმედია, თქვენი ოჯახი შემარჩევს.

გერასიმე — რასაკვირველია, ხელი ხელს ბანსო, ნათქვამია.

კოკოლა — მე თავს არ მრევითყულებ. ქიშვარდიმაც მოინდომა ჩემი ვაცურება, ციციანთელა გეთყუანებო, მაგრამ იქვე გამოვარკვიე, რომ გასაღლეთად მესტუმრენ ქარხანაში.

ქიშვარდი — როგორ გეკადრება? აქ სხვა ამბავია... შენ ენა ვერ მოგინახავს მასთან, თორემ გულით შენთან იყო.

გერასიმე — რას ლაპარაკობ, კოკოლა, ახლა ხომ არ გვეცნობი.

კოკოლა — დიახ, ახლა გეცნობით, იმიტომ რომ დღეს შემომესიენ მტრები და ახლა გამოჩნდება, რა გულითა ხართ ჩემთან.

გერასიმე — ვინ შემოგესია?

კოკოლა — რა ვიცი, შეიძლება აქაც მომაციტხონ, მაგრამ არ აყვეთ და ახლოც არ გეუკაროთ თორემ ისე არ დავეცემი, ვინც გამწირავს, სანანებლად არ გავუხალო.

გერასიმე — დამშვიდდი, კოკოლა, ყველას მოუველით, ხომ მოვა დღეს აქ შენი სიძე?

კოკოლა — როგორ არა, ერთ საათში გაჩნდება.

ქიშვარდი — აბა, რა გაწუხებს?!

გერასიმე — (იხედება) კაცო, ეს აფრასიონი არაა!

ქიშვარდი — ჰო ისაა.

კოკოლა — მართლა, ეგ კაცი სულ მძიმე-მძიმედ დადიოდა და ახლა როგორ ეცვიოთ ხტის, რა მოუვიდა?

გერასიმე — მაგის ამბავი არ იცი?

კოკოლა — არეკილი ხომ არაა!

ქიშვარდი — ყველაფრიდან მოხსნეს.

გერასიმე — ახლა მაგის დრო მაქვს? პირდაპირ ვეტყვი, რომ მომეშვებას.

კოკოლა — წელან რატომ არ მითხარი, ქიშვარდი!

ქიშვარდი — რა ვიცი, კიდევ რომ წაჰოდგეს, რა მეშველებათ!

კოკოლა — მაგის ადგილას მე ფულსავით ჩაეჭვებოდით მიწაში.

(შემოდის აფრასიონი)

აფრასიონი — ძლივს არ გიხილვ, გერასიმე!.. ა, რა ნატვრის თვალი გამიხდით ამ სოფელში?..

გერასიმე — არ მცალია, ბიჭო!

აფრასიონი — რას ამბობ, დიდ შრომაში ხარ, არა! მესმის.

გერასიმე — არ გეწყინოს და აფრ, კოკოლას შევეგებე. შენ ხეალ მნახე, ჩემო აფრასიონ, აბა ორად ხომ ვერ გვეჭვრები.

აფრასიონი — კოკოლას შეეგებე?.. ოო, მაგის საქმე ვერ არის კარგად.

გერასიმე — რატომ?

კოკოლა — რაზე აქნევ თავს, აფრასიონ?

აფრასიონი — (ცალკედ კოკოლასაკენ) ველაპარაკე შენს სიძეს ტელეფონით.

კოკოლა — მერე?..

აფრასიონი — კოკოლას სახელი როგორ მიხსენებო. ქარხანაში რაღაც ისეთი ჩაუდენია, განკარგულება მაქვს გაკეცილი მის დასაპატონებლადო.

კოკოლა — ეს კორია.

აფრასიონი — თუ არ გჯერა, დაფურცოთ.

ქიშვარდი — ეგ თუ ტყუილია, აფრასიონ, აფერტმ შენს ვაყუაცობას, რომ კიდევ ამდენს ბედავ.

აფრასიონი — ყური დამეჭოს, თუ ესეც არ გამეგონოს: ტელეფონზე არ მომეკაროსო.

კოკოლა — მარგალიტით დაი ჩავაბარე იმ ხრინგიანს და ასე მემუქრება?!

გერასიმე — ეგება ყურმა მოატყუა.

აფრასიონი — არა უშავს, ამ თვალ-ყურით სხვების სეირსაც ვნახავ.

კოკოლა — მერე, შენ რა გიხარია, რა გაცეთდება!

გერასიმე — მოითმინეთ, მე თვითონ დაველაპარაკები ტელეფონით და ალბათ, დაეაშოშმინებ.

კოკოლა — კარგი. (სცადე და თუ მართლა თავგასულია, ჩვენი ტელეფონები ვერ დავაბრუნებთ.)

გერასიმე — შენს დასთან? იმ სათუთ ქალთან?

კოკოლა — ო, ხომ ისე ნახა ქალი ჩანს, თუ დასჭირდა, ისეთ უროდ მოიმართება, კეთად რომ იქცეს. ქმარი მაინც დაღეწავს.

გერასიმე — არც მასე გართულება საქმე.

(შემოდის დაფურცული ბადრი)

კოკოლა — აბა, თქვენ ახლავე წადით და გაიგეთ ყველაფერი!

(გერასიმე, ქიშვარდი და აფრასიონი მიდიან)

ბადრი — უკაცრავად...

კოკოლა — რამ დაგაღონა?

ბადრი — მოთხრა იმ კაცმა...

კოკოლა — რაო იმ წყველმა, რაზე გაგჩხვებოა გული?

ბადრი — მრცხვენია შენს მაგიერ.

კოკოლა — რა ვუყოთ, უნდა აიტანო, ცხოვრებაში ბევრ უკუღმართობას ნახავ.

ბადრი — ცუდი საქმე გიქნია.

კოკოლა — არა, ბადრი, თუ მიზნები, ამით დაგეხმარე.

ბადრი — რანაირად?

კოკოლა — არ გახსოვს, ის გამოგონება როგორ ჩაეარდა? მეუნებლობაც კი დაგაბრალეს, მაგრამ მერე მე გავთმუჯობესე.

ბადრი — პირდაპირ ელაპარაკოთ, რადგან არ გრცხვენია.

კოკოლა — კარგი.

ბადრი — ეს საქმე განზრახ ჩაგიგლიდა და ქარხნიდან ჩემი გაძევებაც მოგეწყვიდა. თუ ამაში თავს გაიმართლებ, ძალიან გამახარებ.

კოკოლა — თუ ვერ გაეიმართლებ თავს, ჩემი სირცხვილია და შენ რა გაწუხებს! მხოლოდ იმ გამოგონებას, ბადრი, ვერც კანონით ჩამომართმევ და არც სინდიისი მოგცემს ნებას.

ბადრი — რატომ?

კოკოლა — ძალიან დიდი ღვაწლი მაქვს.

ბადრი — საიდან? რაზე ლაპარაკობ?



კოკოლა — გაზეთებს ცნობები მივაწოდე, თუ რა შევქმენი, ეურნალებს სურათები, ნიჭიერ კაცებს ლექციები და წერილები თავაწირინე. ასე გავხარდე ეს პატარა საქმე და ახლა შენ უნდა წამართვა—რა ნამუსათ?...

ბადრი — ყველაზე უფრო ეს მწყინს, ქარხნიდან რომ გამომაგდე. აქ იმდენი წამება მომაყენე...

კოკოლა — ჰო, გულის მოსაპყლელი კი გაქვს, მაგრამ მარც მშვიდობა სჯობს და მოვრიგდეთ.

ბადრი — რანაირად?

კოკოლა — დარჩეს ეს გამოგონება ჩემ სახელზე, მე კი ხელწერილით ჩემად წილს მოგცემ ამ საქმეში. შენთვის ეს უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე საქუთრად რომ დაგრჩეს.

ბადრი — რატომ?

კოკოლა — საქმე ის კი არ არის, რას გააკეთებ კაცი, — როგორ გამოაჩენ. ქეთა ამას უნდა და ეს მე მაქვს... შენ კი, შე საწყალო, ისეთი მართალი კაცი ხარ, მიწაზე ფეხს არ უნდა ადგამდე.

ბადრი — არ მესმის.

კოკოლა — მაშ ავიხსნი. ვთქვით, დღეს მე დაგიომე ეს გამოგონება. შენ ამაში სულ ორი თვის ჯამაგირს მიიღებ ჯილდოდ. მე კი ამით დაწესებულებებს შევძრავ, კრებებს გავმართავ, ხალხს საქმეს გავუჩინე... შემდეგ დისერტაციასაც დავიცავ, რომელსაც უკვე ვაწერინებ და სამეცნიერო ხარისხს ვიშოვი. მე, თუ გინდა, ნურათრად ჩამოვლი, რა სჯობს ქარხნისათვის და ქვეყნისათვის?

ბადრი — ნახევარი არ მესმის რასაც მეუბნები.

კოკოლა — რატომ?

ბადრი — სულ ეს მიტრიალებს თავში, ასე როგორ მომატყუე!

კოკოლა — ამ სოფელში შენ არა გყავს ვინმე ისეთი, რომ მართალ კაცად თვლიდე?

ბადრი — ბევრია.

კოკოლა — მაგალურად შენც და მისი ახელე.

ბადრი — აი, აქ ერთს ვეუბნებ, — ძალიან ხელმოკლეა... სხვებიც არიან. — მოკვდებიან და მასეთ საქმეს კაცს არ უზამენ.

კოკოლა — მაშ, იმ ენუქამ მოგვარიგოს, ან სხვამ, ვისაც გინდა დაუძახე.

ბადრი — არა, ისეთი რამეები ჩამაწყეთე, ძნელია ჩვენი შერიგება.

კოკოლა — მაგალითად?

ბადრი — შენ ამბობ, რომ ჩემი გამოგონებით მეცნიერებშიც გავრევი.

კოკოლა — მერე?!

ბადრი — რა სინიდისია, არაფრისათვის სახელი მოიხვეჭო.

კოკოლა — თუ რამეში მეტ პატივისცემას მივიღებ, ვიდრე ღირსი ვარ, ეს ხომ მოგებაა.

ბადრი — სიმართლეს მარც გაიგებენ.

კოკოლა — პირში ვერ მეტყვიან.

ბადრი — შენ აქ ციციანათლას უტრიალებ და მისი მარც არ შეგარცხვება?

კოკოლა — როცა წარმატებაში შევალ, ის ცოლადაც გამყვება.

ბადრი — ეს ტყუილი იმედია. სხვა უყვარს.

კოკოლა — ყველა ქალი ხალხის ფეხის ამყოლია. ციციანათლაც ასეთია. ის, ბოლოს, ხალხისაგან ადღებულს მოშორდება და გულში რომ კიდევ ვძულდე, ჩემთან მოვა.

ბადრი — მერე მოძულე მეუღლესთან რა პატიოსან კერას შექმნი?

კოკოლა — მლოქვენელები ჩემს ოჯახს მარც წმინდად დახატავენ.

ბადრი — ცრუ ქებას რა ფასი აქვს.

კოკოლა — ლიქნაზე გემრიელი ქვეყნად რა იპოვნება, ბიჭო! როცა ადამიანები იძულებით გეფერებიან, ისინი ამკარად დაჩაგრულები არიან და ეს შენი ნამდვილი ზეიშია. აბა, თუ გულს მიანდე, წრფელად მოგმართოს, კაცის

გული ისე ცვალებადი და ავია-დღეს რომ ვარდი შეგთავაზოს, ხვალ ეგებ ეკალი გკრას. არა, ბადრი, მლიქვნელები არიან ჩვენი ნამდვილი კეთილდღეობის თანამგზავრნი.

ბადრი — ცრულ გაბერილები და მათი მლიქვნელები ერთნაირად საზიზღარია ჩემთვის.

კოკოლა — მაშ, ჩვენ ადვილად მოვრიგდებით, ძვირფასო ბადრი. მე ჩემს სანატრელს მივიღებ, შენ კი შენს სასურველს.

ბადრი — რანაირად?

კოკოლა — მე ჩემი მეცადინეობით მოვიხვევ. და აქედან, როგორც შეგპირდი, შენი ნაშრომისათვის ნივთიერად მეტს გითავაზებ, ვიდრე თვითონ მოახერხებდი ზნეობრივად კი ამ მაღალი შეგნებით გაიხარებ, რომ ის დანარჩენი პატაუცი, რომელსაც მე ვღებულობ, სამართლით შენ გეკუთვნის.

ბადრი — არა, კოკოლა, ჩვენ ვერასდროს ვერ მოვრიგდებით.

კოკოლა — რატომ?

ბადრი — შენ გინდა მონაწილედ გამხადო შენს უზნეობაში, რომლითაც ყოველ სიწმინდეს ბლალავ და პატიოსან კაცს ამწარებ.

კოკოლა — აბა, დამცინი, არა... ახლა თავი გამარჯვებულად იგრძენი და არა მზოგავ, მაგრამ კიდევ ვიშინებლებ ზმალს, კოკოლა არ მომკვდარა!

ბადრი — მოთვინიერდი, გირჩევნია, ადამიანი გახდი.

კოკოლა — ვნახოთ, ვინ ვის დაარიგებს შკუაზე!..

(ბადრი და კოკოლა მილიან სხვადასხვა მხარეს. ისმის ბავშვების სტვენა. შემოდის ციცი-ნათელა).

ციცინათელა — კარგი, გეყოფათ, ბავშვებო, რად სტვენთ ამდენს, ყური წაიღეთ!

ბავშვები **ხმა** — ბულბულებს ვაჯავრებთ! — აბა, სხვაგან დავუსტვენთ!

ციცინათელა — ბავშვებო, ბადრი არ დაგინახავთ?!. **ე. რ. კონსული**
(შემოდის ვენტა) **გიმლინოთენა**

ენტა — ოო, ციცინათელა! აქეთ იცი, რა ამბებია?

ციცინათელა — ცუდი არ მომახალო, — შენ მუდამ გიჭირს კარგი ამბის თქმა!

ენტა — არა, შენს ოჯახში გუშინს აქეთ საუკეთესო ფრინველი და ოთხფეხი დაკლეს, საქეიფოდ ემზადებოდნენ და სატირლად დაურჩათ.

ციცინათელა — რატომ, რა უბედურებაა?!

ენტა — აფრასიონის პატივსაცემად მოამზადეს, მაგრამ ის ამოიშალა და მერე გადაწყვიტეს კოკოლა და მისი სოძისათვის გაემართათ ეს ნამზადევი.

ციცინათელა — არა, ისინი ჩვენსას ფეხს ვერ დადგამენ.

ენტა — აბა, პუბისათვის კარგად მიიქვამს მე და ბადრი გავააღებთ-თქვამ!

ციცინათელა — სწორედ ენას უყვილია, ბადრის კი აქვს ისე საქმე, რომ ქეიფი მოეუწყოთ.

ენტა — მაშ, ბადრისა არ ვიცი და მამისთვალმა ნამდვილად გაიმარჯვა.

ციცინათელა — როგორ?

ენტა — მისი ნამუშევარი კომისიამ აქ ისე შეაფასა, დააჯილდოებენ.

ციცინათელა — მართლა? აგერ მოდის მამისთვალი! წამოდი, ერთად მოგვიყუევი, თუ მახარობელი ხარ.

(ციცინათელა და ენტა მილიან. შემოდის გერასიმე, ბადრი და დირექტორი)

გერასიმე — არ მესმის, ბატონო, ნუთუ ასეთ ადამიანს ვიღებდი სახლში, პატივს ვცემდი.

დირექტორი — შენ ოჯახში იღებდი, ჩვენ კი მას საქმე ჩავაბარეთ და ხელს ვუწყობდით.

გერასიმე — სად ჰქონდა ამდენი ცბიერება, ან ასე რამ გარეცხა სინდისისაგან!

(შემოდის ბადრი)

დირექტორი — ამ განზრახვით



გამოუძევებია ბადრი ქარხნიდან, რომ მისი გამოგონება მიეთვისებინა...

გერასიმე — გესმის, ბადრი? რა მოუწყვიათ შენთვის.

(შემოღიან ზათუნა და ტასო)

ბადრი — ყველა ამაზე მელაპარაკება და, მაინც ვერ გავოგე, ის ჩემი გამოგონება, როგორც იყო, ისე მოეწონათ, თუ გაუმჯობესებას მთხოვენ?

დირექტორი — არა, იმ ყოველნაირად გამოეცადეთ, ამხანაგ ტასოს ხელმძღვანელობით.

ტასო — ეს არის გამოგონებელი?

ზათუნა — დიახ, ეს გახლავს ბადრო, ჩემი მეუღლე.

დირექტორი — (ბადრის) რევიზიის ხელმძღვანელია, გაიცანით.

ტასო — ბრწყინვალედ გაიმარჯვეთ. ის გამოგონება უფრო სპარგებლოა ვიდრე, ალბათ, თქვენ ფიქრობდით.

(გარედან მოისმის ხმები. გერასიმე, ზათუნა და დირექტორი სცენას იქით იყურებიან. ბადრი და ტასო თავისთვის ლაპარაკობენ)

ბადრი — ო, მე ახლა ვხედავ, გავიგე ყველაფერი. მაგრამ იმდენი წამება მომეყენა, ისე ამაცდინა გზას, ბოლოს და ბოლოს, ამ გამოგონებას ვაჩუქებდი, ოღონდ ამდენი არ ვეტანჯე. აქამდე სხვა რამეს გავაყეთებდი.

(შემოდის ქიშვარდი)

ქიშვარდი — ახალი ამბავი, ამხანაგებო!

გერასიმე — ჰო, რა მოხდა იქ რა ცრიამელია?

ქიშვარდი — რაიკომის მდივანი მოუხსნიათ. თუ გაუთავისუფლებიათ, არ ვიცი... მხოლოდ ბიძინა დაუნიშნავთ ჩვენი რაიკომის მდივანად.

გერასიმე — ბიძინა?!

ქიშვარდი — აგერ მოდის და ხალხი ახლავს.

დირექტორი — მოსალოცი ამბავია. ის მეურნეობის მკოდნეა და, იმედია, კარგად გიჭელმძღვანელებთ.

ბადრი — ხედავთ, როგორ მოაბიჯებს ბიძინა. უცხოებიც რომ მოხვდნენ არიან?

ქიშვარდი — ქალაქიდან ახლად ჩამოსულებია. სოფლად სამუშაოდ მოდიან, დაგეხმარონ, მეტი სიუხვე შექმნათ.

დირექტორი — ო, ბრიგადებია ქალაქიდან.

გერასიმე — შევეგებოთ, წამობრძანდით!

(დირექტორი, გერასიმე და ქიშვარდი მიდიან. რჩებიან ბადრი, ტასო და ზათუნა)

ბადრი — ო, თქვენ როგორ მიხსენით, პატივემულო ტასო!

ტასო — აქ, მაინც რამ გადმოგავლოთ.

ბადრი — ჩემს მეუღლეს კითხეთ.

ზათუნა — ცოტა სულმოკლეობა გამოგაჩნდა, ბადრი!

ბადრი — (ტასოს) ამა ისეთი დედა ჰყავს...

ზათუნა — რა სისულელეს ლაპარაკობ! (ანიშნებს) გაჩუმდი!

ტასო — ჰო, როგორი დედა ჰყავს?

ბადრი — მკვდრეთით აღმადგინეთ და რა დაგიმალეთ. — სიცოცხლე გაგვიმწარა.

ზათუნა — რაო! აქამდის ის ჩემთვის არ გითქვამს.

ბადრი — ახლა, როცა ამოცისუნთქე, ველარ ვითმენ.

ტასო — ჰო, მაინც როგორ გაგამწარათ?

ბადრი — ვძულვარ, რატომ წარმატებული არ ხარო! ჩემსუ გულმოსულმა, შეილი ისეთ დროს გამოამევა საბლიდან, როცა ამ გამოგონებას ეცდიდი. დამაბნია და აქ მისთვის ჩავეფლე.

ტასო — რა იოყოთ, შეიძლება აწი მოუბრუნდეს გული.

ბადრი — ეკ. აწი რა ფასი აქვს, როცა ჰიროში მღვენიდა.

ზათუნა — არა, არ დაუჯეროთ, ეს ხუმრობს.

(ანიშნებს ბადრის, შემოდის 1-ლი კოლმეურანე)

1-ლი კოლმ. — პატივცემულო ტასო, რაიკომის მდივანი გიხმობთ!

ტასო — მაშ, არასდროს არ შეუძრავდებით სიღღერს?

ბადრი — მე როგორ არა, მაგრამ ის ისეთი ღჯუა, მე მგონია...

ხათუნა — (ეფუჩება ბადრის)

ტასო — (მოიწევა ბადრისთან) ჰო, რა გგონია?

ბადრი — მაგალითად, რომ გაიგოს ჩემი გამარჯვება, გულზე გასკდება.

1-ლი კოლმ. — პატივცემულო ტასო!

ტასო — მე კი ისე გაბარებული ვარ თქვენი გამარჯვებით, ყველაფერს გაპატიებთ და მზურველად გილოცავთ.

(მელს აბრუნებს ბადრის და კონის თავზე, ტასო და 1-ლი კოლმეურანე მიდიან)

ხათუნა — რა ჩაიღინე, ბადრი!

ბადრი — ეჰ, იმდენი სიმწარე მახსოვს ამ გულზე ვერ დავფარე.

ხათუნა — მერე, იცი ვის უთხარი?!

ბადრი — ეს ისეთი არსებია, გული თვითონ იხანება მის წინაშე.

ხათუნა — მაშ, გითხრა ვინ არის?

ბადრი — ჰო.

ხათუნა — შენი სიღღერია.

ბადრი — როგორ?

ხათუნა — ეს არის დედაჩემი.

ბადრი — ვინ?

ხათუნა — დედაჩემია ეს ქალი, აქ რევიზიაზე ჩამოსულა, მაგან დაგიხსნა და შენ...

ბადრი — მერე, ვერ მანიშნე?!

ხათუნა — რომ ვერ გაიგე!..

ბადრი — ეჰ, ახლა ეს სირცხვილი მაკლდა, სხვა არაფერი!..

(შემოდის ბიძინა, მამისთვლი, ქიშვარდი, გერასიმე და დირექტორი)

გერასიმე — შენ აქ კმაყოფილად ქუჩაქუჩებ, ბადრი, მე კი ცუდ დღეში მტოვებ.

ბიძინა — ო, მეც საყვედურს გეტ-

ყოფი, მაგრამ ქარხნისთვის ისეთი საქმე გაგვიკეთებია!..

დირექტორი (ქიშვარდის მიმართული) ჩემო ბიძინა, თქვენს მამისთვალს გიგზავნით, მან იქ უზვიერობით გაგვაკვირვა.

მამისთ. — უზვიერო კი არა, ეგებ უარესიც შეგვრქმიათ, რადგან შეუღერებელ საქმეზე კაცი მანკიერი ხდება. (ბადრისკენ) შენ როგორ გამოსცადე?!

ბადრი — მე ვფიქრობ, მხოლოდ ისაა ბედნიერი, ვინც თავის უნარის შესაფერ საქმეს მიაგუნებს; მამინ მისთვის შრომა სიხარულია.

(შემოდის ციციანთა, ტასო და ქიშვარდი)

ციციანთ. — (ბადრის და ტასოს) გაოცანი, ჩემო კეთილო, ბადრი, ეს არის შენი სიღღერი. ნუ გრცხვენიათ, უნდა შეგაროვოთ.

ბიძინა — ტასო ახლა ეცნობა ბადრის?

ქიშვარდი. — ჩვენ აქ შეიშნა გადავიხდით საქმის ასე დაწყობისათვის და ნახავთ, ანხანავო ბიძინა, რა კლუბი მაქვს.

ბიძინა — ეს კარგია, მაგრამ შენ მეგობრობა გქონია კოკოლასთან და არ იკლოვებ?

ქიშვარდი. — შიშით ეტყვასნებოდი. საქმეზე კი არ აეყოლივარ.

ციციანთ. — მამა, მე გავიგე, რომ უშანგის გაუმარჯვებია შენზე და როგორ მოველოცო!..

გერასიმე. — მე სხვაც გავიგე, ჩემო ციციანთელა.

ციციანთ. — (თავს დახრის) როდის გითხრეს?

(შემოდის გუნდი, პუპი და ენუქა)

გერასიმე. — ისეთ დროს გავიგე, რომ მეც მინდა მოგილოცოთ.

ქიშვარდი. — ოო, აქ უკვე ციციანთელას ზუიმი იწყება და თუ სინდისი გაგვიტოვით, დაიწუნეთ ჩემი გუნდის უნარი.

პუპი — რა ბედზე გამიწყევია სუფ-



რა, რასანატრელი სტუმრები მყავს. ჰე მგონია სიზმარში ვარ.

ენუქა — აი, სად გავიხარებ, და ვაგრძნობ თავს კაცად. პირველად ეჯდები სუფრაზე ჩემებურ ადამიანებთან.

(სწრაფად შემოდის 1-ლი კოლმეურნე)

1-ლი კოლმ. — (ენუქას) შენი სახლიდან მოვრბივარ, უცხო კაცები გესტუმრნენ.

ენუქა — ვინ არიან?

1-ლი კოლმ. — აფრასიონი და კოკოლა.. შენმა მიუღღემ ჭური მოღხადა. და მე შენთან გამომგზავნეს — უნდა მოვესიყვარულოთო — ეტყობა, რაღაც სათხოვარი აქვთ.

ენუქა — ეჰ, კაცურად არ მოშეცენ, მაგრამ ჩემს ოჯახში წინდამჭერი ვერავ. ცრუ მოწმედ კი შენც დასუღღხები.

ბიძინა — ისიამოვნეთ, ახალგაზრდებო. ჩვენ (დირექტორზე და გერასიმეზე) წაველთ და როდესაც მოვიცლით, გამოგივლით, წრფელი გულით და გლოცავთ.

(იწევა სიზღერა და ერთმანეთს მიბატოებენ)

ენუქა — ეჰ, კაცს ბედი არ განდა!..

(ენუქა და 1-ლი კოლმეურნე მიდიან)

ციცინათ. — ახალგაზრდებო, ქალაქიდან ჩამოსულ ამხანაგებს ზეიმიტ შეეხვედეთ, ხვალ კი მინდერებში მიეცეთ მხარი.

(ყველანი აპირებენ წასვლას)



პაზის ყვავილობა

რომანი*



სპეროზიას მთაზე შავი ცხვრების სიზმარში ნახვამ დააღონა ცრუმორწმუნე აბრია.

სასიხარულს არც სიცხადეში ჰხედავდა იგი. მას ბრიგადირობა ჩამოართვეს. ეგეც არ აკმარეს. ზელიდან გამოცალეს ასი სული ცხვარი თავთავიანი ნამატით, ზოლო იმ ზეთას სულიან ნოტის გამო, რომელიც ყვარლის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში გამოსჩხრიკა ხიდაშელმა, გამოძიება წარმოებდა. პროკურორი იკვლევდა, თუ რაგვარ პირობებში, ან რა მიზეზით მოსწყდა ეგ-ზომ მრავალრიცხოვანი ნოტო ბერძუნის კოლმეურნეობის ფარას.

აბრიას ბედად ყვარლის კოლმეურნეობის ბრიგადირი ვარდოსანიძე მძიმედ ავადმყოფი აღმოჩნდა და მისი დაკითხვა ვერ მოხერხდა, მაგრამ ვინ იცის, რას მოიტანდა ზეპირდღეი დღე? უცნაური ის იყო, რომ ეს ზეთასი სული ცხვრის შემომატება აღნუს-ხულიც არა ჰქონდა ხსენებულ ბრიგადირს.

ახლა ამას ნატრობდა აბრია: ვარდოსანიძეს უწყვედესო სიკვდილი.

ასე მოულოდნელად გამოაცალეს აბრიას „ყოველივე სიკეთე“ ზელიდან; ამ საქმის გამო ისეთივე სიმძიმით განიცადა, როგორც იმ დღეს, როცა ზეთითათასი სული ცხვარი ჩამოართვეს.

მისი ერთად ერთი იმედი იყო საყარ-

ბოღამოში დარჩენილი სიმინდის ყანა და პატარა ვენახი, თუ ერთი კვირა გაგრძელდებოდა გვალვა, ორივენი განსაცდელში აღმოჩნდებოდნენ.



ბუნება უცნაურად გაჭირვებულა. თვალთმაქცურად მოიღუშებოდა დიდიდანვე, ღრუბლების ბლონდათ შენობიერი მზე საეჭვოდ აფახლებდა თავის გრძელ წამწამებს.

ძაბუნი თქორი გადაურბენდა მიწას თუ არა, მოხუცები პირჯვრის წერას მოჰყვებოდნენ. მკერდზე მუშტის იცემდნენ, ევედრებოდნენ ჭვაკაცას, წმ. გიორგის კაცთა შესაწყლისად მოებრუნებინა გული.

ბოლოს გააპობდა მღვრიე ღრუბლების მორევს ზეციური მნათობის თვალი და გულდაწყვეტილი ხალხი იტყოდა: მზე პირს იბამსო.

შაბათ საღამოს მორეცა ქარმა შავლეგა ღრუბლები. ჯერ განრისხებული დგანდგართ წამოვიდნენ დაგრაგნილი ურჩხულები ცაზე, როგორც მტკრიან აქლემებზე აღმხედრებული შავოსანების ლაშქარი, მაგრამ, ყვარლის მთიბს რა გაუსწორდნენ, ზენაქარი წინ გაუდგა მათ, ისე დაფლზათა და დაფლზათა ისინი, ცაზე მოფანტული ღურა. კბის გუნდი ეგონებოდა მაცქერალს.

ძვევ ატყდა ამ ღრუბლებს გაუღებდა ნათლის ლიცლიცი, მზე პირს იბამს შეუდგა კვლავ, მაგრამ ძალი მოიკა ჰვენა ქარმა; კავკასიონის კალთებზე ჩა-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 4.



მოწვა ჯანყი და ელვის ლეკურები ათამიშნენ შორს, ძლიერ შორს ლეკის მთის მიჯნებზე, ბნელში.

ერთბაშად საეკვოდ გაიღურსა ბუნება, დაიგრგვინა, დაიგრუხუნა, დაიკეჭა. პირჯერისწერას მოუხშირა აბრია-ავსიტყვამ.

არა შარტო მისი, ბერმუხელი ყველა მოხუცის ერთადერთი იმედი იყო „ქვაკაცას წი“. გიორგის ცხენის ფლოქვების თქარუნი“.

მორე დღეს ათენგენობა იყო და მოხუცები შეუძლებლად თვლიდნენ, ქეკა-ქუხილს ნაყოფიერი წვიმები თან არ მოყოლოდნენ.

იმ საღამოს მიბრუნდნენ ბერმუხაში აბრიას, ლუოს, ფოცხვერი და უთი უჯირაულის ცოლეზი და შვიდი შავოსანი ქვრივი. მთელი კვირა დაწაწიალებდნენ ისინი სოფელ-სოფელ, ქიშკრებთან ატუხულნი ღნაოდნენ დიდებას, საწყალობლად მღეროდნენ:

„ღმერთო—მოგვეც ტალახი
აღარ გენდა გორახი“.

„სიფრთხილეს თავი არ ასტივდება. — ეუბნება მუდამ გაუფრთხილებელი აბრია-ავსიტყვა უჯირაულთა გვარის უხუცესებს: ლუოს, ფოცხვერსა და უთის. — დიაცები ავიყოლოთ და გვიან ავიდეთ სამებაზე. ამ დროს მანდ არც აღმასკომის თავმჯდომარე იქნება, არც რაიკომის მდივანი, ზოლო ბრიგადები და მუშები ბინდისას უკვე ძირს იქნებიანო ჩამოსულნი.

საწვიმრად შებლმეყრილმა ცამ დასავლეთისკენ ააღალაპა თავისი მოოქროვილი კალთა და როცა მგლისფერ ღრუბლებიდან გამოპარულმა მთვარემ კავკასიონის ქედებს გადაათოვა ნათელი, ეს ვაგლახა მცირერიცხოვანი პროცესია მახვეწარი ხატიონებისა აპყვა მამუქას ციხისაკენ მიმავალ ბილიკებს.

ასეთი გეზი აიღეს მათ, რადგან გველეთს მიმავალ ერთადერთ საურმე გზა-

ზე ჯერ კიდევ ჩამოდოდნენ ხალხით დატვირთული მანქანები *საქართველოში*.

როგორც უხუცესი *ფეხბურთელი* არისა, მოხუცებს წინ მიუძლოდა აბრია-ავსიტყვა. იგი წარამარა შესდგებოდა ხოლმე რომელიმე კორტოხზე, გადახედავდა ამ მანქანებს და გულნატყენი ფიქრობდა თავისთვის:

„ნაცვლად იმისა, რომ ეს აურაცხელი ხალხი დარჩენილიყო ღეთაებისათვის ღამის სათევად, დეკანოზების დამწყალობლება მოესმინათ, სამღვთო დაეკლათ ქვაკაცას წი. გიორგისათვის, ვილაცამ ჩასხა მანქანებში და ბერმუხისაკენ გაქანა“. იგონებდა აბრია იმ „ბედნიერ დროს“, როცა სწორედ ამავე გზაზე მოჭრიალებდნენ ღვინით, პურმარილით საკლავით დატვირთული ურმები, ცხენებზე, ჯორებზე და სახედრებზე ამხედრებული თუშები, ხევსურები და ფშაველები მიდიოდნენ სამების კარზე სალოცავად. ისმოდა დეკანოზების ხელში აღმართული დროშების ელარუნი, ცხენების ქიხინი და ხატიონების გნიათი.

მერმე ეს ხალხი მოდებოდა ზედ სამების კარზე მდგარ მუხნარს, ერთ წუთში ყოველ ხეზე მიაკრავდნენ ანთებულ კელაპტრებს. დეკანოზები დაამწყალობებდნენ ხატიონებს, ლოცავდნენ „დასაკოჭად“ მოყვანილ სულით ავადმყოფებს, ბრმებს, მუნჯებსა და ყრუებს.

ვარაუდში მოსტყუვდა აბრია. შაბათ საღამოს გვიანამდის იმუშავეს ბრიგადირებმა, ოსტატებმა და კოლმეურნეებმა, რადგან ჰესი სამიოდე დღის შემდეგ უნდა შესულიყო ექსპლუატაციაში.

ამ ამბით გახარებულმა ციხისთავმა და კორინთელმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ბინდისას გველეთის ზეგანზე გაისვირნეს.

კავკასიონი გატყრინული იწვა ცარცისფერ ღრუბლებში ბუმბულებზე. ისეთი მშვენიერი, ეთეროვანი მოსჩანდნენ მთები, თითქოს სადაცაა მოიხსნებოან მიწიდან და ეთერში გაიქნებოთ ეს ლაზურის მასა.

ნათლად მოსჩანდნენ მყინვარების კალთებზე შურების ნალარები, მათ კალთებს მისეოდნენ პაწია, საყვარელი გორმანები და კორდები. წყალს დანატრებული ორბები და ქორები მდორე ეთერში ტორტმანობდნენ, დინჯად არხედნენ ფრთებს.

გველეთს ზეგანი სამკუთხედსავით შეჭრილყო ტყით მოსილ ხეობებში და ამ მყვდარი ნაქალაქარის ირგვლივ დახრამულ უფსკრულებში გადაცვენილი ლოდები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, თითქოს დევებს უბურთავნითო მამუკასეული ციხის შემოგარენში.

ხევის წყალი საამოდ ჩხრიალებდა, კაკაბი კრიახებდა სადღაც ძეძვით დაბარდნილი ქარაფებს ქვემოდ.

ციხისთავი ბეჭობზე შესდგა და თვალი მოავლო ნაქალაქარის ზემო გავაკებულ ზეგანს.

„ეს ვავე დიდძალ ხალხს დაიტევს, ვახტანგ იმ წოპს ზომ ჰხედავ, მანდ უნდა ავაგოთ სტალინის დიდი მონუმენტი.“

ამ წოპის გარშემო ყვავილნარებს გავაკეთებ, მერმე აშენდება ადმინისტრაციული სახლი, სკოლა, კლუბი და პირველ რიგში, საავადმყოფო, კოლმეურნეობის კონტორა, მარანი, სანერგე ფარდულები და მეცხოველეობის ფერმების სათავსოები. ბერძუნის რელიეფი ისეთი ოღრო-ჩიორა, თანამედროვე კულტურული სოფლის მანდ დაგეგმვა შეუძლებელიცაა.

შე უკვე მოლაპარაკებას ვაწარმოებ დასახლება-გადასახლების კომიტეტთან თბილისში. ათასი მზა სახლი უნდა მომცენ ამ ხუთწლეულის პირველ კვარტალში. სამასი მისახლე რაკიდან უნდა ჩა-

მოვიყვანო, დანარჩენს მთიდან გადასახლებენ“.

კორინთელი გატყრინული ყურს უგდებდა რაიკომის მდივანს და ბოლოს დასძინა:

„ჩვენთვის გადაუღებელი ამოცანაა ტომობრივი ნიშატების მოსპობა ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს უდიდესმა მეფეებმა კუთხური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეაღიეს საუკეთესო ძალა. საბჭოთა საქართველოში ხელი უნდა მოვეუთავოთ კუთხურ განკერძობებს“.

კორინთელი შესდგა. ჯახველის ბუჩქებს გადააწვდა მისი თვალი. უახლო გორაკის ფერდობზე ჯახველის ბუჩქები იყო. ლალისფერი ნაყოფა უცნაურად ელავდა ოდნავ შეყვითლებულ ფოთლების ფონზე.

ერთბამად შეიცვალა ზეციური დეკორაცია. გნოლის ფერის სიჭარბე დაეტყო ცას. დიდხანს იარეს ორმა გავერანებულ ნაქალაქარში, სულიერის ქაპანებაც არსად ისმოდა.

რომელიღაც ეპისკოპოსის საფლავის ქვაზე ჩამოსხდნენ ჩამოხნელებულ ფიქვენარში.

ციხისთავმა თქვა:

„დიდ საქმეებს უნდა მოვაბათ თავი. ჩემო ვახტანგ. უწინარეს ყოვლისა. ბერძუნიდან მომავალი საურმე გზა აფალტირებულ თემშარად ვაქციოთ. რადგან გზა ცხოვრების მთავარი არტერიია. გახსოვს, რა დღე დაგვადგა იმ უბნებში, სადაც მანქანით ვერ მივზიდეთ არმაჯორა და ცემენტი?“.

ციხისთავი აღგა: სამხრეთისაკენ გავაკებულ ზეგანს გადახედა: „თქვენ როგორ გგონიათ, ვახტანგ, ამ ზეგანზე საუკეთესოდ იხარებს ვაზი, არა?“

„ინდიკატორი! თითქმის ყველგან ვნახე... გუშინწინ შემოვიარე მთელი ეს

¹ ინდიკატორს უწოდებენ ძეძვს, რომელიც სწორედ ისეთ ნიშანზე ჩნდება, რომელიც ვაზისათვისაა განკუთვნილი.



ზეგანი. ათასმდის ჰექტარს თამამად ავითრებთ ვაზნარებისათვის. აქაც ვაშენებ ახალ საცდელ უბანს, აბა ვნახოთ, ადრიაინი მოსავლის ჯიშები რა შედეგებს მოგაჩვენებს“.

„რაც შეეხება ბერძენის მოსახლეობის შენამატის აქ დასახლებას, პირველხანებში გაგვიჭირდება მათი აქ ამოყვანა“.

„როგორც მოგეხსენებათ მე ხელოსნები უკვე მოყოყვანე გველეთში, ჰესის საქმეებს მოვრჩებით, ჩემი ფინური სახლი უნდა დავდგა ქვევით, პატარა ნიშნის გვერდით, გავეაკებაზე“. ლიმილით ამბობდა კორინთელი.

ამეთ საუბარში გართულნი იყვნენ რაიკომის მდივანი და პროფესორი, როცა ციხისათემა თვალი მოჰყრა, თუ როგორ ამოდოდნენ სამების კარზე შევოსანი დედაკაცები ანთებული სანთლებით ხელში.

შერა დაძაბა მათმა მჭვრეტელმა. ახლა მოხუცი მეცხვარეები შეიციო — აბრია, ლუო და ფოცხვერი. სულ ბოლოს თეთრი ღორი მოჰყავდა უთის, ამ ცხოველის უსიაამო ჰყვიტინი გაისმა დამუნჯებულ მუნხარში.

„დღეს ათენგნობაა, როგორც ჩანს, სამღვთო მოყავთ თუშებს“. ლიმილით ეუბნება ციხისთავი კორინთელს.

პირჯვრის წერით მივიდნენ მოხუცები ზედ სამების ეკლესიის კარებთან მდგარ მუნების ძირას. სანთლები ხეებზე მიამაგრეს. უზარმაზარ მუნის ქვეშ მდგარ აბრიას მიჰგვარა უთიმ ღორი. ძირს დაიხარა აბრია, შუბლი შეტრუსა ანთებული სანთლით.

მერე ხანს რადაც ლოცვებს ბეტბეტებდა, მერმე გაიძრო სატეგარი და აჩგვრა ღორს. საშინელმა ყვირილმა შესძრა მკვდარი ქალაქის დადუმებული შემოგარენი.

„ეს მოხუცები უკანასკნელი მოპიკანელებია“, იცინოდა ციხისთავი, გადაეგებთან ეს მოხუცები და არავინ შესწირავს ქვაკაცას სამღვთოს“.

უთი დაკლულ პირუტყვთან დარჩა, დანარჩენები ეკლესიის მკვერთნი მუნხლოყრილი წამოდგა ქვაკაცას წ. გიორგის წინაშე აბრია უჯიროულის უშველებელი ლანდი და დამუნჯებულ თაღებს ქვეშ გახმიანდა ბებერი მწყემსის ბარბაროსული ბუბუნა:

„დალე, ლამრე, წიბორე ლატლე ვაი რჯულ საქრისტიანეინ, ვაი და ჩუიშნ, ვაი ბეწჩუშნ წყალობებ ჰამინ“.

„ჰამინ“ ბუტბუტებდნენ დახოქილი მოხუცები და ევედრებოდნენ ქვაკაცას, კვლავ წარმოეგზავნა ნაყოფიერი წვიმები ხეატისაგან გადარუჯულ მიწაზე.



მეორე დღეს ქვიშისფერმა ღრუბლებმა დაფარეს ცა, უთენია წამოვიდა მსუბუქი თქორი, მაგრამ ამაოდ იწერდნენ მოხუცები პირჯვარს, სავსებით დარწმუნებულნი, რომ „უძლეველმა“ ქვაკაცამ შეიწყნარა ცოდვილი მიწა.

კვლავინდებურად ამობრწყინდა ცხუნვარე ჰელიოსი და განაგრძო ლოპოტის მარმარილოსავით გადათეთრებულ ცაზე თავისი ტრიუმფული სვლა.

ნასადილევს ამოვარდა უხიაგი აღმოსავლური ქარი, ბალახი ხმებოდა სერებზე. ვენახებმა და ბაღებში სიყვითლუ ებრძოდა მალახიტის ფერებს და წითელ-ყვითელი ტალეები ემატებოდა ხეატისაგან დაოსებულ მწევანეს.

ასე რომ, განაწყუენებული ქვაკაცას წ. გიორგი არ აპირებდა „მოწყალების მოღებას“. მესამე დღეს, ზუსტად დათქმულ ვადაზე ამუშავდა ბერძენის პატარა ჰესი. საწნეო არხიდან გადმოიღვრილი წყლის ჩქერალი გადმოიქრა სამოცდაათ გრადუსიან დაქანებაზე და მიჰყვა სარწყავ მაგისტრალს, ცხრამუნის ზეგანზე გაჩნდა სულ რამდენსამე უტუში.

სწორედ ბერძენის ქვეშ უცდიდა წყალს უამრავი ხალხი.

1. ღმერთო, მთისა და ბარის ანგლოზნო, გიშვალე ჩვენ საქრისტიანოს და სხვა.

ამ წყლის უეცარი აჩქეფება შეიც-
ნეს ბერმუხელბმა, დიდი და პატარა
გაიქცა წყლის შესაგებებლად.

როგორც ურწყულ ველზე ხან-
გამშრალმა ბერძნებმა შავი ზღვას დანა-
ხვანზე ასტეხეს ყვირილი „თალატა“,
„თალატა“¹ ისე აღტყინებული ჟივოდ-
ნენ ბერმუხელი ბავშვები: წყალი, წყა-
ლიო.

„წყალი“, აწრიალდნენ დედაკაცები,
ყველა ცდილობდა პირველი შეგებებო-
და მას.

ფეხშიშველა ბალები კვალდაკვალ

ქეღანი

ალხანზე ჩამოდგა კახური შემოდ-
გომა, ფერთა და ხილთა სიუხვით ქებუ-
ლი. ადრე შეყვითლდნენ ვახები ურწყ-
ულ ვენახებში. ცელმა ქარბობოლამ
ჩამოუარა მათ, ფოთლები დაქკენ, ნა-
ყოფი გაშავდა და იწყო ცვენა.

აბრიას, ლუოს, უთისა და ფოცხვერი
უჯირაულებს თავიანთ საკარმიდამოებ-
ში ჰქონდათ ვაზი. ისინი ბერმუხიდან
განკერძობით ცხოვრობდნენ. შავ სო-
ფელს უწოდებდნენ ძველთაგანვე
უჯირაულების ამ უბანს.

„შავსოფელი“ საძაგებელ სახელად
იყო მიჩნეული მუდამ. კაცისკვლა, ქა-
ლის მოტაცება, უზრდელი შესიტყვე-
ბა, — ამას ყოველივეს შავსოფლელებს
მიაწერდნენ ხოლმე. მიუხედავად ამი-
სა მოხუცები არ იშლიდნენ შავი სოფ-
ლის ხსენებას, მაგრამ როცა უჯირაუ-
ლების ოჯახებში ახალი თაობა წამოი-
ზარდა, განსაკუთრებით კომკავშირ-
ლები, ცდილობდნენ — სიტყვა „შავი
სოფელი“ წარხოცილიყო ხსოვნიდან.
ამიტომაც „წითელი სოფელი“ დაარქ-
ვეს მას.

სწორედ ეს „შავი სოფელი“ მთის
ფერდობზე იყო ღრმა ხრამებით გათი-
შული ბერმუხიდან, ასე რომ შავ სო-
ფელში წყლის გამოსაყვანად აკვედუ-

მისდევდნენ წყალს, რომელიც მიიჩქა-
როდა ცხრამუხის ვენახებისაკენ. ოთხ-
სიცოცხლის გამქარალი ველქსირი
კვლავ მიენიჭებინა მათთვის.

ბერმუხის ქვეშ გამართულ სახელდა-
ხელო მიტინგის ტრიბუნაზე პირველად
თავის სიცოცხლეში ავიდა მზვი-
რეში გარუჯული ლაღბაწა და ილაპა-
რაკა მოკლედ და საქმიანად. გაამეორა
ცნობილი სიტყვები: ჩვენ არ შეგვიძ-
ლია ვუცადოთ, თუ როდის მოიღებს
მოწყალეობას ბუნება. ის რაც ჩვენ გვე-
საჭიროება, უნდა გამოვძალოთ მას.

კების გაკეთება იყო საჭირო და მის
მოწყობას დიდძალი ხარჯები დასჭირ-
დებოდა, ამიტომაც შავსოფლელები
ძველებურად უწყლოდ დარჩნენ.

აბრია, ლუო და უთი უჯირაულები
შურით აღივსნენ, როცა დაინახეს, თუ
როგორი სასწაულებრივი ზეგავლენა
მოახდინა ახლადგამოყვანილმა წყალმა
არა მარტო ცხრამუხის ზეგანის ახალ-
შენ ვენახებზე, არამედ იმ კოლმეურ-
ნეთა ზვრებზედაც, რომელთაც შესძ-
ლეს საკუთარი სახსრებით გაეყვანათ
წყალი თავთავიანთ საკარმიდამოში.

უჯირაულები ჩუმად შეევაჭრნენ
კიდევ თავკოპალა უსახელოს, ხრამებს
გადაღმა შავ სოფელში გადაეყვანა
წყალი, მაგრამ აკვედულების გაკეთება-
ში ზღაპრული თანხები მოითხოვა ინ-
ჟინერმა „უსახელო თავკოპალამ“
(რომლის ნამდვილ გვარსა და სახელს
თავის დროზე გაუმხელს მკითხველს
ავტორი)• და ამ უკანასკნელთაც ხელი
აიღეს ამ განზრახვაზე.

გული საგულეს ჰქონდათ კოლმეურ-
ნობის ახალ თავმჯდომარეს, გოდერ-
ძის და პროფესორ კორინთელს. სო-
ციალიტურმა ტექნიკამ მორიგი სას-
წაული ჩაიდინა. რამდენიმე ათასი ვა-
ზი ქნობასა და განადგურებას გადა-
არჩინა.

¹ თალატა — ბერძნულად ზღვა.

• • •

კორინთელს თავის საკონსულტაციო საქმიანობა მოთავებული ჰქონდა თელავის მევენახეობის ინსტიტუტში უკვე. როცა იგი დარწმუნდა, რომ ცხრამუხის ტაფობზე გამართული ზეარი და მისა საყვარელი საცდელი უბანი დალუპავს გადარჩა, ახლა საპირადო საქმეებისათვის მოიცალა.

უცნაური ენერჯის გაღება შესძლო კორინთელმა უკანასკნელ თვეებში განცდილი გამუდმებული ნერვიულობის მიუხედავად. ბერმუხის სასტუმროს ერთადერთ ოთახში ძლიერ უჭირდა მას მუშაობა. განსაკუთრებით სამძიმო გახდა ეს ამბავი მისთვის, რაც „კენინა ვარა“ შემოეყვინა კორინთელიანთ ოჯახს. ამ უკანასკნელის სანახავად მოდიოდნენ ყოველდღე ვანაძიანთ, რუსიშვილიანთ და ჯორჯაძიანთ ოჯახების ნათესაეები, ქვრივები და შინაბერა ქალები, რომელთაც ნათესაეების მოკითხვისა და პანაშვიდებზე სიარულის მეტი არავითარი დანიშნულება არ დარჩენოდათ ამ ქვეყნად.

• • •

ორიოდე თვის მანძილზე კორინთელმა საკმაოდ კომფორტაბლური კოტეჯი დადგა გველეთში, მამუქასეულ ციხის შემოგარენში. კორტოხზე დაადგმევინა ხუთოთახიანი ფინური სახლი. ჩინებული ყვავილნარი მოაწყო, მრავალწლიანი ხეები ამოაძირკვინა და ორიოდე კვირის მანძილზე სანაჭებო ხილნარი გამართა.

გამველნი გაცეხულნი იყვნენ, თუ როგორი სისწრაფით მოაგვარა ეს ყოველივე პროფესორმა „ერთ მშვენიერ დღეს“.

ხალხს აოცებდა ხილნარის გამართვა გველეთზე, სადაც კვრინჩის, კუნელი-სა და კურკანტელას მეტი არაფერი უნახავს არავის.

გაცილებით უფრო დიდ საქმეებს თავი დაადგა ამსობაში ციხისთავმა

გველეთის ზეგანზე. დასახლების კომიტეტმა ორასაოდე სტანდარტული ნახელი გააშენა წინასწარ დაგეგმილ ქუჩების პირად. სახელდახელოდ ააგეს ამბულატორიისა და საექიმო პუნქტის შენობანი, რომლებშიაც ექიმის ბინაც გათვალისწინებული იყო წინასწარ.

ამათ მოყვა კლუბის, აფთიაქის, სოფლმალისათვის და პიონერთა ბანაკისათვის განკუთვნილი სახლების აგება.

დაუეცრომლად იღვწოდნენ კალატოხები და დურგლები ახალ ნაგებობათა ხარაჩოებზე.

• • •

თუმცა კორინთელიანთ კოტეჯი მომავალი სოფლისაგან განკერძოებით იდგა, მიუხედავად ამისა, კორინთლებს წარამარა ესმოდათ მანქანების გუზგუზი, ტრაქტორების რახრაბი, ჩაქუჩების რაკუნეი.

კორინთელი უსიტყვოდაც ამჩნევდა, რომ არც მედიკოს და არც დეიდამისი — ვარა არამცდაარამც ალტაცებულნი არ იყვნენ ამ ახალი სამოსახლოთი, მაინც ვერა ბედადნენ ამის გამხელას, რადგან მათ ჯერ კიდევ ბერმუხაში ყოფნისას საკმაოდ მოაბეზრეს თავი ვახტანგს „გაოზრებული სასტუმროს“ ერთადერთი ოთახის სიეიწროვის გამო ბუზლუნით.

გარჯას მიუჩვეველი ქალებისათვის განსაკუთრებით სამძიმო იყო ის გარემოება, რომ მოხუცი მაია ველარ ახერხებდა გველეთის ზეგანზე ყოველდღე ფეხით ამოსვლას. კიდევ ერთი რამ აწუხებდათ მათ. ბერმუხაში დაუზარებლად მოდიოდნენ ვანაძიანთ, ჯორჯაძიანთ, რუსიშვილიანთ ქვრივები, რომელნიც „ძველი ტკბილი დროის“ მოგონებებით ართობდნენ ვარას და მედიკოსს. გველეთში ამოსვლამ მათთვის უკვე საძნელო საქმე გახდა. ერთადერთი უსახელო თავკოპალა ამოდიოდა „კენინა“ ვარას სანახავად გველეთში.

კორინთელს არ უყვარდა ეს კაცი, მაგრამ ვარა წარამარა ადასტურებდა, ჩემი ნათესავეთა და კორინთელიც სდუმდა.

მოხუცი მათა კვირაში ორჯერ ძლივს ახერხებდა გველეთში ამოსვლას, ამიტომაც სრულიად აირია კორინთელიანთ ოჯახური მეურნეობა.

ვარა და მედიკო დილ-დილობით ბალში გაიტანდნენ ვასამზეურებლად პარიზიდან ჩამოტანილ კაბებს, ქურქებს, მანტოებსა და მაკინტოშებს, ხოლო საღამოობით ერთიმეორის იმედით ავიწყლებოდათ ხოლმე მათი ასევე შინ შემოტანა.

ღამღამობით ქარი ამოვარდებოდა, ან თქორი დაიწყებოდა თუ არა, ქალები ასტებდნენ განგაშს, დამდურულივით ჩამოვარდებოდნენ ხოლმე საწოლიდან და შეუდგებოდნენ გარეთ დარჩენილ ტანისამოსის შინ შემოზიდვას. და ეს უთავებამო ალიაქოთი ძილს უფრთხობდა პროფესორს, რომელიც მუდამ გვიანამდის მუშაობდა ხოლმე და ძილს მონატრებული იყო ისედაც.

არანაკლები წამება იყო დიასახლისებისათვის საკმლის მზადებაც. კარტოფილს დასდგამდნენ მოსახარშავად, ან ხორცს დააგდებდნენ ტაფაზე, ხან ერთის გადმოლება დაავიწყდებოდათ, ხან მეორეს არ აცლიდნენ შეწვას. ასე რომ, პროფესორს წარამარა უხდებოდა ან ჩამელეული კარტოფილის, ან დაჩუხუქული ხორცის კამა.

ამ გვარად, კუჭის ტკივილაც წამოვიდა ჯანასკნელ ხანს კორინთელს. თეფშებს, ბადიებს და დანა-ჩანგალს მოიზმარდნენ, ნსადილევს დაეზარებოდათ, ან დაავიწყდებოდათ მათი გაწმენდა. ბოლოს იძულებულნი იყვნენ უსუფთაო ქურჭელი ეხმარათ მანამდის, სანამ მათა არ ამოფრთხდებოდა გველეთზე.

კეთილმა ცხოვრებამ უცნაურად გამოცვალა ვარა. შესუქდა, დამკნარი ლოყები შეუსწორდა, ჩინებულმა კვე-

ბამ გამოაჯანსალა ლანდადველური კენინა

თავისი დისწულის მკაცრდემინის კაბები და ლაკის ტუფლები რა ჩაიცვა, ომახიანობაც შეემატა, ირონიასაც უმატა.

დილაადრიან გადმოდგებოდა აივანზე, გაყინული ურიგებდა განკარგულებებს მოხუც მათას და შოფერს — ახდროს.

კორინთელმა უკვე აღარ იცოდა, რა ექნა. სიფრიფანა კედლებიან სახლში თავის ოთახშიაც ველარ ახერხებდა მყუდროდ მუშაობას, რადგან დღისით დანჯღრეული როიალის ჩახჩახი აწუხებდა. მთელ ღამეს იმუშაებდა ხანდახან, გათენებისას გულმედიწი ვარა ასტებდა განგაშს და შეუდგებოდა ბაღში დავიწყებული ტანისამოსის შინ შემოზიდვას.

ბოლოს ველარ მოითმინა კორინთელმა და თავის ცოლს ასეთი რამ აქადრა.

„კარგი იქნებოდა, ეს პარიზული კაბები ცეცხლში დაგვეწებოდეს, მედიკო, სულ ერთია, არც ერთ ბალზე აღარ დაჯიკრდება მათი ჩაცმა“.

მედიკო უსიამოვნოდ აიმრიხა და გაჩუმდა, თავმოთნე ვარამ ველარ მოითმინა და წაიდუღუნა:

„ვინ იცის, ვის რა დასჯიკრდება და როდის?“

კვირა დილას კორინთელი გააღვიძა პიონერთა საყვირების ხმამ. პიჯამა გადაიცვა და ფანჯარას მიადგა.

ერთობრივი და მწყობრი მარშით ამოდიოდნენ გველეთის ზეგანზე წითელ ყელსახვევიანი პიონერები, ქოჩორა ბიჭუნა ხარჯიხვივით კისერშემარტული მიუძლოდა მოციფცივე კოლონებს.

წინ მომავალ შიშველ ტლოკებიან გოგონებს ამაყად გამოეშვირათ ტურპირიდან საყვირები, ისმოდა დაფდაფების ცემა და ნაბიჯების რიტმული ტკაჟნი.

გახარებული იდგა ფანჯარასთან კო-



რინთელი და ფიქრობდა თავისთვის: „აღსდექ ჩემო ხალხო და ქრამულთ შესძარი ნაციხარების, ნასაყდრალეების და ნასახლარების გულისმომწყვლველი დემილი. აღსდექ, ჩემო ხალხო, და სიცოცხლე დაამკვიდრე იქვე, სადაც იგი შეუწყვეტია ჩვენი ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალს“.

„ესენი გვაკლდნენ ამ ჯოჯოხეთში“, მოესმა კორინთელს ვარას ხმა. ბრახი წაეკიდა კორინთელს გულზე, მაგრამ დემილი არჩია, კარი გაიხურა რაჯგუნით და აჩქარებული ნაბიჯით ჩაეიდა ბაღში.

კორინთელი ქარაფის პირად შესდგა, მანქანის შორეული ქუსქუსი შემოესმა, თვალეზე ხელი მიიჩრდილა. ბაგირივით დაგრეხილ თემშარაზე ამოდიოდა შინდისფერი მანქანა. იგი სწრაფად იღებდა აღმართებს. ხან წითელ-ყვითელ თრიბლის ბუჩქებში იყარგებოდა. ხან ასწლოვან მუხებში ჩრდილში გაივლებდნენ მისი მონიველებული ნაწილები, ისევე გამოჩნდებოდა ღიქით დაბურღულ ტევებში.

კორინთელმა იცნო ციხისთავის „ზის“ 101“. ქიშკრისაყენ გაემართა, მაგრამ როცა მანქანამ მხარმარჯვენისკენ გაუხვიდა, აგრე ივარაუდა კორინთელმა: ახალშენის დასათვალიერებლად ამოსულაო რაიკომის მდივანი, ამიტომაც ბაღში შებრუნდა ისევე და ახლად დარგულ ხეებს თვალიერება დაუწყო.

ბოლოს ბაღის კიბიში, ქარაფზე გდებულ ნაციხისფერ ქვაზე წამოჯდა და მთების ჰერეტიტ გაერთო. სილურჯე შემატებოდა ამ დილით მათ. კახეთის კავკასიონის მთელ სიგრძეზე გაფენილიყო წაგრძელებული, თეთრად ნაპენტი ღრუბლების შლეიფი და ეს იშვიათი დეკორაცია მთებისა ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქოს ეს მალაზიტისფერი მთაგრეხილი დაკიდულაო ცასა და ხმელს შორის.

ოკიოდე წუთიც არ იყო გასული, მანქანის სიგნალმა შეაკრთო კავკასიონის

ნის ჰერეტიტ გართული კორინთელი. ვიდრე იგი ქიშკრამდის მისევე მოქსურებდა, ეკლიანი მავთულე ქიქიტუხე ეულ ბაღს მოადგა შინდისფერი მანქანა ახალგაზრდული სიკისკასით ჩამოხტა მანქანიდან ზეარეში გარუჯული ციხისთავი. გაიხარა მასპინძელმა ამ გაუტეხელი, სიცოცხლით სავსე ვაყკაცის დანახვასა. ამ სიტყვაძვირი, მაგრამ თბილი აღმიაინის არსებოდან კორინთელის დაზაფრულ გულში გადმოიღვარა რაღაც უჩინარი ფლუიდები სიხარულისა და მხნეობისა.

„ქეშმარიტად აგრეგატებს ჰვავს ზოგერთი აღამიანი. ისინი ერთი შეხედვით ლითონისმიერ სიცოცხეს გაგრძნობინებენ, მაგრამ უახლოვდები თუ არა, ისეთსავე ეცხლს და მხურვალეობას გამოსაცემენ ხოლმე, როგორც ამოძრავებული დიდძალიანი აგრეგატები“.

ეს გაიფიქრა კორინთელმა.

„რატომღაც მოწყენილი მეჩვენებოთ, ამხანაგო ეახტანგ“. — თქვა ციხისთავმა და კორინთელის მიერ შემოღებულ პატარა, ღრიჭინა ქიშკარში შემოვიდა.

„მე მგონია, ჩვენთავანმა არასოდეს არ უნდა მოიწყინოს. ამ ქვეყნად იმდენია გასაკეთებელი, არამედ გადასაკეთებელიც, მოსაწყენად სადღა გვცალია. მე აგრე მგონია, ამხანაგო ეახტანგ, ჩვენი დიდი ეპოქის ამოცანაა, არა მარტო ჩვენი ქალაქების, ჩვენი ქარხნების გაკეთება და გადაკეთება, არამედ უმთავრესია ადამიანების გადაკეთება. უწინარეს ყოველისა, ამას უნდა მივალწიოთ, რომ ადამიანი გადაკეთდეს, არა?“. —

„თქვენ ცამდის მართალი ხართ. — მიუგო კორინთელმა. — ადამიანის გადაკეთებაა მაინცდამაინც უმთავრესი“.

ციხისთავმა ბაღს შეავლო მხერა.

„ეს რა ამბებია, ეახტანგ?“

„ეს გახლავთ გველეთის პირველი მოსახლის საკარმიდამო ნაჭეთი, ღიმილით მიუგო კორინთელმა. — რაღაც ათიოდე დღეში დაერგი ეს ხეები

თქვენგან გამოყოფილი მანქანების მე-
ოხებით. ხეხილთა შორის თითქმის
ყველა მსხმოიარეა“.

„აბა ეს ხე თუ იცანით?“ შეეკითხა
კორინთელი ციხისთავს.

„ეს უნაბია, ხომა?“

„მე ძლიერ მიყვარს უნაბი. სამწუხა-
როდ, ნაყოფი არ შერჩა აქ გადმოტანი-
სას ამ ხეს. რა უცნაურად დაღვარჭ-
ნილ-ღამრეცილია მისი შტოები. მისი
ნაყოფი ჯერ იაგუნდებს ჰგავს, სიმწი-
ფეში შესული — ლაღებს. თავისი უც-
ნაური გემოს მიხედვითაც არც ერთ ნა-
ყოფს არა ჰგავს იგი“.

„ამ ხნულებში რა უნდა დარგოთ,
ვახტანგ?“

„აქ ასიოდე ვაზს ჩავეყრი ამ შემოდ-
გომაზე. შესაძლოა, მე ვაჭარბებდე,
მაგრამ, აგრე მგონია, ხილთა მეფედ
ყურძენი უნდა ჩაითვალოს. ვერც რო-
მელიმე ტროპიკული, ვერც სუბტრო-
პიკული რომელიმე ხილი ყურძენს ვერ
შეედრება სილამაზითა და სიყვითლაც.
შესაძლოა, ეგ იმიტომაც მეჩვენებო-
დეს, რომ მე მთელი ჩემი ცხოვრება
ვაზის შესწავლისათვის შემეწირავს.
ჩვენს ხალხსაც ყველაზე მეტად ვაზი
უყვარს. ალბათ ამავგია სიყვარულის
უპირატესი საწინდარი. მალაქის ნახე-
ვარკუნძულზე დურონებს, კოკოსებსა
და მანგოს ხეს. მალაქლი გლეხი
თავით არ უვლის. გულუხვი მსაპინძე-
ლი — ბუნება მზამზარეულად მოართ-
მევს მას ამ მშვენიერ ნაყოფს.“

ეს ყოველივე ალაღებდნენ იზრდება
მალაქს ტყეებში; მომწიფდება თუ არა
ნაყოფი, მალაქლი მიაკითხავს ამ ხეებს
და სტკებდა მათი სურნელებითა და გე-
მოთი.

ქართველი კაცი იმდენ ოფლსა ღვრის
ვაზის დაღურჭნილ ძირში, რომ ამ შემ-
თხვევაში საკუთარი ამავი უყვარს, ალ-
ბათ, უპირატესად“.

ციხისთავმა მაჯის საათს დახედა.

„მე უნდა წავიდე, ამხანაგო ვახტანგ,
ახლავე. თორმეტ საათზე თათბირი

მაქვს. სადაცაა ამხანაგები ამოვლენ
ჯანგანიდან და დასახლებენ ვუფიტე-
ტიდან. ჩვენი რაიონის ეკონომიკური მუ-
ნაკი უნდა გავხსნათ აქ საზაფხუ-
ლოდ. ამბულატორიას ხვალ-ზეგ გავხ-
სნიოთ. ექიმები უკვე წამოსულნი იქნე-
ბიან ალბათ.“

„იციოთ, ვისა ნიშნავენ საექიმო პუნქ-
ტის გამგედ?“ ციხისთავი შესდგა. ვე-
ლარ მოგონებოდა პუნქტის გამგე ექი-
მის გვარი და სახელი.

კორინთელი რატომღაც შეაკრთო
მისმა შეკითხვამ.

ციხისთავმა ჩაიდუღუნა:

„... ეკ დამავიწყდა იმ ექიმის გვარი.
რალაც უცნაური სახელი რომ ერქვა
იმ ქალსა. ძია ნიკოსას რომ გავიცანით
ამ ზაფხულზე. თქვენ თავით ამბობდით
მის გამო, ერთსა და იმავე დროს გვის-
წავლიათ თელავში...“

კორინთელი ყმაწვილსავეთ წამო-
წითლდა. მღელვარების დასაოკებლად
პაპიროსი ამოიღო, ცეცხლი მოუცილა
და მიუგო:

„მინდელი ხომ არა?“

„დიახ. მინდელის ქალი. სახელი რა
ერქვა?“

„სუსქია.“

„ჰო, სუსქია... ასეთი სახელი არსად
გამიგონია. ამბობენ, ბავშვთა გამოც-
დილი ექიმიაო.“

კორინთელი გაიტვრინა სუსქია მინ-
დელის ხსენებაზე. ეამა მისი სახელის
და გვარის ხსენება და სხვისი პირიდან
გაგონებაც. კიდეც და კიდეც ეწადა.
ესხენებინათ იგი, მაგრამ შეეცადა. სულ
სხვა საგანზე გადაეტანა საუბარი. ამი-
ტომაც შეეკითხა ციხისთავს: რაქვე-
ლები, ფშაველები და ხევსურები როდის
მოგყავთო?

„ერთი ეშელონი ალბათ დღეს მოალ-
წევს, დანარჩენები ხვალ ჩამოვლენ
თელავს“.

კორინთელი გულითადად შეწუხდა.
წასვლას რა დაადგა სტუმარი, მაგრამ
ენერგიული შეპატყებისაგან თავი შე-



იკავა. კარგად იცოდა, ვარას მიერ მოთხოვნილებულ სადილზე ვერ მიიწვევდა სტუმარს; იმასაც ვერიდებოდა, თავისებური სისულელეები არ წამოეტორტლა „ენინას“.

ციხისთვი მანქანამდის მიაცილა თუ არა, ბაღში გაბრუნდა კორინთელი, მას უცნაური მღელვარება მოჰგვარა სტუმრის მიერ შემთხვევით ნაამბობმა.

როგორც მრავალნაცადი რომანისტი, რომელიც მარჯვედ იყენებს ხოლმე შემთხვევითობის ჰორეველობას და ერთ წუთში იქ გააჩენს რომელიმე გმირს თავის რომანისას, სადაც სრულიადაც არ მოელის მეთხველი, აგრეთვე იქცევა ხანდახან თავთ სინამდვილეს, რომელიც უდიდესი, მაგრამ დაუწყვერელი რომანების შემქმნელია თავათ.

გველეთის ზეგანზე განმარტობით დასახლებულ პროფესორს, რომელსაც გულით ეწადა დროებით მაინც, ზელოვნურად შეექმნა თავისი დიდი შრომის დასაწყობად მიუცილებელი განკერძოება და მყუდროება. დიახაც თან ამოჰყვა მსუბუქი ჭმუნვა სუსქია მინდელის გამო. იგი ხანდახან წამოუვლიდა კიდევაც, სადაც გულის სიღრმეში მიჩქმალული კორინთელს და თელავს წასვლას მონიდომებდა. მაგრამ ამ გრძნობას განუხრელად ებრძოდა კორინთელი და ბოლოსამს უკვე თელიდა მას, როგორც უკვე მოშუშებულ ტკივილს. ამ კვირების მანძილზე ძია ნიკო წარამარა სწყურდა მას წერილებს. მოგვეწყინაო უშენოლ. მაგრამ კორინთელი შეპირებებით ამოშმინებდა მოხუცებს, ჰპირდებოდა — ჩამოვალო, და არც კი აპირებდა თელავს წასვლას.

საერთოდ კორინთელს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი: როგორც განრიდებოდა ამ ქალთან შეხვედრას.

თავისი პირადი ცხოვრება უკვე მოთავებულად მიანდა კორინთელს. კარგად იცოდა, ყოველივე მღელვარება უსასტიკესი მტერია ჰერეტიკა და აზ-

რის კონცენტრირებისა, რაც მიუცილებელია ყოველგვარი მტკიცეობისათვის.

მედიკოს და ვარა, ორივენი, რევმატიზმს უჩივოდნენ და წყალტუბოს წასასვლელად ემზადებოდნენ, ხოლო შემდგომი სამი თვე აფხაზეთის სანაპიროზე უნდა გაეტარებინათ.

კორინთელი დღესასწაულით მოვლოდა მათ გამგზავრებას. ამ ვარაუდით დაგეგმა კიდევაც მან თავისი სამუშაო დრო. უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მოხუცი მიაი გველეთში გადმოეყვანა, შუშა მოემარაგნა და ბუხარი გააეკეთებინა.

ამგვარად, გველეთში გადმოსახლებას კორინთელი შესცქეროდა, როგორც შრომის მძიმე უღელში მარტოხელად შებმას.

ბოლოსა სცემდა კორინთელი თავის ბაღში. დიქრობდა... დიქრობდა... იგი უკვე ამჩნევდა, რომ მისი ცხოვრება აპირებდა სავსებით მოულოდნელად ნირის შეცვლას. დაიქანცა სიარულისაგან. ქარაფის კიდესთან გდებულ ლოდზე დაიმუხლა.

ახალი და ახალი მანქანები მოდიოდნენ გველეთისკენ, ხალხითა და ბარგით. დატვირთულები მობლაოდნენ ახლად გაპრილ გზაზე.

აჩქარებული ნაბიჯით შევიდა კორინთელი საწოლ ოთახში, მედიკოს თან შემოჰყვა. რაიმე უსიამოვნო ამბავი ხომ არ მოუტანიაო ციხისთავს? კორინთელმა თავი გააქნია და თავის კოსტუმს დაუწყუო ძებნა. მიაი შემოთათურდა: მზად არისო სადილი.

სალამომდის ვერ ეისადილებო, მიუგო და ჩაცმას შეუდგა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ძირს ჩასულიყო და ახლად მოსული მანქანები შეეთვალეირებინა. პირდაპირ ყმაწვილურმა ეინმა წამოუარა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა, მოსვლის უმაღლე ენახა სუსქია. უკვე ბინდდებოდა და, თუ ახლაც არ ნახავდა მინდელის ქალს, მერმე დილამდის

აღარ მიეცემოდა მასთან შეხვედრის შემთხვევა.

ახლა თავათ ხედავდა კორინთელი, თუ რა ძლიერი აღმოჩნდა მის გულში ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში დაგუბებული წადილი სუსქიას ნახვისა. რცხვეროდა კიდევაც იდუმალ ასეთი სულმოსწრაფებისა საკმაოდ სოლიდურ კაცს, ისიც პრაფესორს.

სარკის წინ გავლილმა საკუთარი სახე დალანდა. სამიოდე დღის გაუპარსავს კვირნახივით ამოსვლოდა ქალარა. აგრე მოუჩვენა ამ სამ დღეში სამი წლით დაებერებულვარო. ახლა გადამწყვიტა, არ ივარგებდა გაუპარსავი სჩვენებოდა მას, ვისუ გველეთს ჩამოსვლის ამბავმა აგრე უცნაურად ააღელვა იგი.

კორინთელმა თავისი ნესესერი გამოსჩხრიკა, სამართებლები ფრჩხილზე გააინჯა, მაგრამ ორი დაბლაგული აღმოჩნდა. ერთივე ფხამოკვეთილი. ცხადი იყო, ვარას საბნის პირები, თუ რაღაც დოზანა ურღვევია ამ სამართებლებით, გამორიკტელი არ იყო, ფრჩხილებიც დაქტა ამ დანებით.

ვახტანგმა მათა მოიხზო, შოფერი ხომ არ მოსულაო? ჰკითხა, გულზე შემოეწითო, ვაითუ აღარ მოვიდესო ანდრო. ყვარელს აქეთ არსად ეგოლებოდა სადალაქო. ნერვიულად დადიოდა კორინთელი ოთახში. ნანობდა, მომეცადა ციხისთავისთვის, როცა იგი თავის საქმეებს მორჩებოდა, თან გავყოლოდიო ყვარელს. სწორედ ამ დროს მოისმა მანქანის სიგნალი ჭიშკრიდან. კორინთელმა სიტყვა დააგდო შინ, მაღლე მოვალე, და სასწრაფოდ ჩაირბინა კიბე. კორინთელი გაახარა მანქანის მოსვლამ. თავაზიანი საღამო მშვიდობისა უთხრა თავის შოფერს ანდროს და გვერდით მოუჯდა მას.

მანქანების მთელი ქარავანი მოდიოდა გზაზე. მათგან ამდგარი მტერის ბულის მიუხედავად, კორინთელი დაჟინებით ათვალეირებდა როგორც შოფერის გვერდით მახდართ, ისე საბარგოების

კოფოზე დამსხდართა და დამდგარ მგზავრებს. გველეთსავე მშვენიერად ახალმოსახლეებს საბარგო მანქანებზე დაეყოლებინათ შინაური ავეჯი, მათარამები, ხურჯინები და ჩემოდნები, თვით ძროხები, ცხვრები და თუშური ცხენებიც თან მოჰყავდათ. ზევსურულ კრელ ჩოხებში მორთული ვაყები და წინამთი მორთული ქალები მზიარული ტრიაპულითა და სიმღერით მოყვებოდნენ მანქანებს კორტეცს.

საბარგო მანქანებს ისეთი ბული დაეყენებინათ თემშარაზე, ძნელად თუ ვინმე გაარჩევდა კაბინებსა და კოფოებზე მსხდართა ანაგობას.

ხუთიოდე კილომეტრი უკლდა ყვარელს ჩასვლამდის კორინთელს, როცა გზისპირა ვერხვებს ქვეშ განზე გადაყენებულ „პიკაბს“ წააწყდა მისი მშვერა. დანკრატზე წამოეყენებინა შოფერს საკმაოდ გაბუნებულ და დაეყვილი შავი მანქანა.

კოფოზე უწესრიგოდ ეყარნენ საწერი მაგიდები, საბუქდი მანქანები, საყაცეები, ნიკელორებული საეჭიშო ხელსაწყონი და ნაირნაირი საკანცელარიო ბარგი-ბარხანა.

კაბინაში იჯდა თავჩაქინდრული ქალი, რომელსაც მწვანე, გაბუნებულ ბერეტი შუბლზე ჩამოფხატოდა.

კორინთელმა ეპვი აიღო, ეგებ მინდელის ქალი იყოსო იგი, მაგრამ ველარ მოასწრო თავისი შოფერის გაფრთხილება. ბოლოს გონს მოვიდა და, შესდექიო, უბრძანა ანდროს. ამასობაში პიკაბის კაბინის კარი გაიღო და შიგ მუჯდარი ქალი ძირს ჩამოვიდა. როცა იგი მანქანის გვერდით დაგდებულ ბორბალს დააცქერდა, კორინთელმა შეიცნო სუსქია მინდელი.

თავის შოფერს ეუბნება ვახტანგი: „ერთი მიდი იმ პიკაბთან, ანდრო, და ხომ არაფერი გიკვირს-თქო, შეეკითხე შოფერს, ოღონდ ნუ გაუმხელ ჩემს აქყოფნას“.



ანდრო მოტბრუნდა და გულგრილად განაცხადა:

„წასულია მაგათი საქმე, პროფესორო ბატონო, კარდანის ღერძი გაუფუჭებულია. ჩვენ ვერც ვერაფერს დავხმობთ მგ საცოდავებს. ძრიელ შეწუხებული სჩანს ის ქალი“.

კორინთელი შეყოყმანდა, ბოლოს იარეო, ებრძანა შოფერს. ანდროს არაფერი გაუმხილა, გულში კი გადაწყვეტილი ჰქონდა: რაც შეიძლება მალე ჩაეღწია ყვარელს, სასწრაფოდ გაბარსულიყო და უკან მიბრუნებულს ბუქსირით ჩაეყვანა პიკაბი გველეთს.

ვერხვების ხეივანი მოთავდა თუ არა, კორინთელმა შენიშნა აფხორილი შავი ღრუბლები მიემართებოდნენ მთლად გალურჯებულ კავკასიონისკენ. უსიამო ქარმა წამოუქროლა და მთებს გადაღლიდან მოისმა ქუხილი. კორინთელი შეწუხდა, ვითუ გაავდარდეს და ამ ტრიალელ მინდორზე გაცივდესო სუსქია, და ამ ქალის მიმართ ზრუნვამ კმუნევით აავსო მისი გული.

ღრუბლებში მიჩქმალულმა მზემ ისევ გამოიჭერიტა, მაგრამ არც ეგ იყო მაინცდამაინც სანუგეშო, რადგან იგი კვრატის ყვითელისფერს გადაიკრავდა ამ წუთში.

იჩქარეო, ებრძანა კორინთელმა ანდროს.

დაბაში ორი საპარკმახერო დაკეტილი აღმოჩნდა. ერთ მათგანს არემონტებდნენ, ხოლო მეორე სადალაქოს ისტატებს დასასვენებელი დღე ჰქონოდათ. შოფერმა ანუგეშა კორინთელი: მესამეც მეგულებათ გარეუბანში სადალაქ. დიდხანს იბორიალა ანდრომ და რომელიღაც ეზოში ძლივს მიაყვლია ამ სადალაქოს.

ელამ სარკეების წინ ორიოდე დალაქი ჩალიჩობდა, ორივეს საკმაოდ გაზინთული თეთრი ხალათი ეცვა. კორინთელს ექნება გაუჩნდა სადალაქ რაიონში ოდესღაც, სწორედ ასეთ უსუფთაო სადალაქოში გაპარსვისას, ამიტომაც

უსიამოდ გააყრეოლა, როცა ამ ბერიანსა და ელამ სარკეებს, უსარკეო დაზგებს, სკამებსა და იატაკს დახედავთ თმების ბლუჯებს რა მოპკრა თვალი.

ფაშფაშა დალაქს კეცყანი მარლით ჰქონდა ყბა ახვეული, მეორე შედარებით უფრო სუფთად ჩაცმული. ვიდაც თმაგაჩეჩილ ბერკაცს კრეკდა და ამ უკანასკნელს ლოდინიც უმძიმდა კორინთელს.

მოეძალა ყბახვეული, ხელსახოცით გადაფერთხა ხის საეარძლოდან თმების ბლუჯები, მტერისა და ბეწვის კორიანტელი ააყენა.

კორინთელი ძალაუნებურად მინებდა მოძალადეს. კრიკინა საეარძლოში ჩაჯდა და, როგორც კი თავი გადასწია, ხაშისა და არყის სენი ეცა სახეში.

„ეს სარკე მარცხ გასწომნდე, ძია კაციო!“

მიუთითა კორინთელმა დალაქს, ამ უკანასკნელმა საკმაოდ უსუფთაო პირსახოცი აიღო, ზედ დაანერწყვა და გააპრიალა სარკე, ახლა ისიც შენიშნა კლიენტმა, რომ ამ სარკეს სივლამის გარდა, გადიდების თვისებაც ჰქონოდა. ასე რომ, საყუთარ ქაღარასა და ტუნბირის გარშემო მისეულ ნაოქებს გამსხვილებული მასშტაბით ჰხედავდა კორინთელი უკვე.

კლიენტი გრძნობდა გაულესავი სამართებლის სიბლაგვეს, წამოდგომა სცადა იმ განზრახვით, რათა თავათ გაეპარსა როგორმე სახე.

„თქვენ როგორ გააკდრებთ ასეთ რამეს“, თუხთუხებდა შესარხოშებელი დალაქი, არხეინად განაგრძობდა კორინთელის ლოყების ხოცვას, როცა ეს არც ისე სასიამოვნო პროცედურა მოათავა დალაქმა, ვეღარ დამალა ცნობისწადილი, გვარი და სახელი ჰკითხა კორინთელს.

ამ უკანასკნელს ეუცხოვა ასეთი რამ, ჯერ დღემილი არჩია, მერმე კითხვითვე მიუგო მკითხავს.

„რად დაგვირდათ ჩემი ვინაობის გამოკვლევა, ძია კაცო?“

მეცნაურებით, ჩემო ბატონო, ამიტომაც გაგიბედეთო... ბოდინობდა დალაქი.

როცა კორინთელმა ამცნო მას, თუ ვინც იყო, შეცდუნებული უკუდგა დალაქი.

„რას ბრძანებთ, ბატონო, ნუთუ მართლა განსვენებული როსტომ კორინთელის შვილი ბრძანდებით? მე სულ პატარა ბიჭუცეკლა მახსოვხართ თელავში. ორ წელს ვმუშაობდი განსვენებულ მამათქვენითან, მიწის საზომ ხელაწყოს მათრევივინებდა. მახსოვს, აჰ, რა ლამაზი ვაჟი იყავით, ჩემო ბატონო, როგორი გრუხა ქოჩორი გქონდათ. აფსუსს, სად წავიდა თქვენი ლამაზი კვლულები, აფსუსს! რა უდროოდ მოხუცებულხართ, ჩემო ბატონო, ციხეში ხომ არა მგდარხხართ, ჰა?“

კორინთელს მაინცდამაინც არ ეპრიანა ასეთი დაყინებული ფამილარობა. ინატრად ნეტავ მალე მორჩებოდესო თავის საქმეს ეს აბეზარი. აუტანელი ეჩვენა მას, რომ ეს დალაქი ბეჯითად დასჩხაოდა თავს, მოაგონებდა სიბერეს, თავათ სიბერესავით მახინჯი და უცხვირიპირო კაცო.

ხელოსანმა ქვეშეცნულად იგარძნო, რომ მის მიერ როყოოდ წამოტორტილიღმა სიტყვებმა ოდნავი წყენა მიაყენეს კლიენტს, ამიტომაც უკუშეცევას დაადგა.

„არა, მართალი მოგახსენოთ, როგორც კი გაგპარსეთ წვერი, უფრო გველად მეჩვენებით, თქვენმა მზემ. ეგ არის ოლონდ, ეს ოხერი თეთრი თმები თავზედაც ბლომად გაქვთ. თუ ნებას მომცემთ, თავსაც გადაგპარსავთ, ბატონო“.

კორინთელი შეყოყმანდა, დადუმდა, მაგრამ მაინც არ ისვენებდა დალაქი. მან ყვრიმალამდის მიუტანა თავისი ხაშნაქაში პირი კლიენტს და უჩურჩულა:

„გღმინ მირონს საღებავი ჩამოვი-

ტანე თბილისიდან,“ ესა სთქვა და შე-

მართული ცერი უჩვენა კორინთელს. — „ჩვენი პროკურორი, ჭკულონიქ დოტრექტორი და აფთიაქის გამგე ამ საღებავით იღებავენ თმასა და უღვამებს, თუ თქვენი ნება იქნება, საფეთქლებს მაინც შეგიღებავთ, ბატონო“.

„იციით, რა გითხრათ, ჩემო კარგო, მე არცთუ ისე მრცხვენია ჩემი ჭალარისა, რადგან ცუდკაცობასა და ლოთობაში არ შემიძენია იგი. გარდა ამისა, მე არ მესმის, რისთვის იღებავენ ჭალარისნები თმებს? თავათ ხომ იციან, ჭალარა რომ გაერიათ, სხვებიც კარგად ამჩნევენ ამას. მაშ ვისლა ატყუებენ ნეტავ?“

„ეჰ, ჩემო ბატონო, ეს ცხოვრება ორმაგი ტყუილია ზოგჯერ, ზოგს აგრე ჰგონია, სხვას ვატყუებო, და თავისთავს იტყუებს მხოლოდ“.

მოსმენილი შეგონების შემდეგაც არ მოეშვა დალაქი კლიენტს. ბოლოს იმდენი უჩიჩინა, ნულის მანქანით გადაუკრიჭა ჭალარა თავი კორინთელს.

როცა ამას გადაურჩა, საეარძლიდან წამომდგარმა თვალი მოჰკრა საკუთარ სახეს. გაეხარდა: რამდენიმე წლით მაინც რომ გაეახალგაზრდებინა ამ უსიამო ოპერაციას იგი.

როცა კორინთელი მანქანაში ჩაჯდა და გველეთს გაბრუნება დააპირა, მხოლოდ ახლა განუცხადა ანდრომ: ბენზინის მაჩვენებელი ნულზე დავიდაო.

„ახლა ამბობ ამას?“ უთხრა კორინთელმა.

„თქვენ ძლიერ გეჩქარებოდით აქეთ წამოსვლა, ბატონო პროფესორო, გველეთში კიდევაც რომ შეთქვა, აბა იქ სადღა იშოვნედიოთ ბენზინს?“

„შენ რომ იქ გეთქვა, მე მქონდა ორიოდე კალისტრა, გაჰკირეებისათვის შემონახული. აბა ნულარ აყოვნებ, ანდრო, ეგებ სადმე იშოვნო ბენზინი“.

„დღეს კვრა დღეა, ბატონო პროფესორო, ბენზსაწყობი დაკეტილი იქნება, ალბათ, მაინც წავალ, ეგებ შოფრებისაგან ვისესხო სადმე“.



კორინთელი ბოლოსა სცემდა უკაცრელ ქუჩაზე, აღელვებული გასცქეროდა მოღრუბლულ ცას. კაცკასიონი ღრუბლების შავ ნაბღებში იბურებოდა.

როგორც კი ყვარელს გამოსცილდნენ, დაეინებული ქარწვიმა ატყდა, მერმე ქარბორბალა ამოვარდა, მანქანა ძლივს მიიკვლევდა გზას. ბოლოს კოკისპირული წვიმა დაუშინა.

კორინთელის ფიქრი დანკრატზე შეყენებული პიკაბიკენ მიიწვიდა.

არა, შეუძლებელია, რომელიმე მანქანას არ გამოუარა და ბუქსირით არ წაეყვანა ეს მანქანა გველეთს.

გაგრძელდა გზა, მაგრამ, როგორც იქნა, მიალწიეს ვერხვებამდის.

კორინთელმა მანქანიდან გადაიხედა. შავი პიკაბი ისევე იმავე ადგილას იდგა. ანდრომ ზედ მიაყენა თავისი მანქანა. კორინთელი არ დაერიდა თავსხმას, მანქანიდან ჩამოხტა და ჯიქურ მიეპრა სარკმელჩაბნელებულ პიკაბს. ადამიანის ჰაქანება არ ისმოდა. არც შიგ მოსჩანდა ვინმე.

ბოლოს კაბინასთან მივიდა, წვიმისაგან გაღვარული მუშა გასწმინდა, ელექტროფანარი ჯიბიდან ამოიღო და კაბინაში შეანათა.

საცოდავად მოკრუნჩხულ სუსქიას თავზე შალი შემოვხვია, პირქვე დამხობილი გაწოლილიყო ვიწრო საჯდომზე. ანდრო უძახდა პიკაბის მოფერს, მაგრამ აღარსად სჩანდა ეს უკანასკნელი.

უცნაურად აღელდა კორინთელი, თუმცა ცდილობდა ეს მღელვარება არ შეემჩნია ანდროს. საშინელი ფიქრები აიშალნენ კორინთელის გულში.

განზრახ, ორ სამჯერ ხმამალა შეეხმინა კორინთელი ანდროს, მერე მივიდა კაბინის სარკმელთან, ნერვიული ხელით დააკაუნა ზედ, ხმას არ იღებდა კაბინაში მწოლარე. ახლა სასოწარკვეთამ მოიკო კორინთელი.

„რა მოხდა ნეტავი, ა, შენ რას იტყვი. ანდრო?“

„მე მგონია მოფერი წაბღლია სდლაც“.

„ნეტავ სად?“
 „ალბათ მახლობელ სოფელში გადავივლიდა სადმე“, ამბობდა ანდრო.

კორინთელი კაბინის კართან მივიდა და მაგრად დააკაუნა ზედ. კაბინაში მწოლარე არ იძვროდა. ახლა კორინთელმა იგრძნო რაღაც საშინელი მხურვალეება შემოვგზნო ლოყებსა და საფეთქლებზე, ასე ეგონა: კიდევ ერთი წუთი და საგულედან ამოვარდებო გული. სუნთქვა შეეკრა, თვალები დაუბნელდა, ადგილიდან ევლარ დაიძრა.

ეს მღელვარება ანდროსაც გადაედო უნებლიეთ, ერთი ნაბიჯი გადასდგა ამ უკანასკნელმა კაბინის კარისკენ, კორინთელმა მოაწრო, მაგრად დააკაუნა კარზე და როცა არც ახლა მოესმა ჩქამი, უკვე საფეხებით სასოწარკვეთილმა ისე მაგრად დაანჯღრია კაბინის კარი, ლამის იყო არ ჩამოვარდა იგი.

დამდღურულივით ზეწამოიჭრა მძინარე და განრისხებულმა იკვილა:

„ვიც ხარ მანდ?“

„ნუ გეშინია, ეს მე ვარ“.

მიუგო კორინთელმა.

„თქვენ რომელი ხართ?“

„ვახტანგი ვარ, ნუ გეშინია“.

გაოცებულმა სუსქიამ კარი გააღო.

„რა ბედმა შეგვყარა, აქ?“

ამასობაში პიკაბის მოფერმაც მოაღწია მთლად გაზუზულმა. მას ხელში ეჭირა საყამეჩე ჯაქვი. გამოირკვა, თვი კამეჩების ფერმაში წაეყვანა გზადგამოვლილ მეკამეჩეს.

პიკაბი მერსედეს ბენცს მიახვს ამ ჯაქვით, კორინთელი უკანა საჯდომზე მოთავსდა და გვერდით მოისევა სუსქია. როცა უცერად შეყრილმა მღელვარებას გაუარა კორინთელს, იგი ისე ცუდად გახდა, მას უკვე აღარ ჰყოფნიდა სულეირი ენერგია, რათა სუსქიასთვის ემცნო, თუ როგორ ბედნიერი იყო ამ წუთში.

საერთოდ მას არ უყვარდა გამყლავ-

ნება ნაგრძნობისა, აგრე ამტკიცებდა: ნაგრძნობის შეუფარველად გამქლავნება აშაბლონებსო თვით უწმინდეს გრძნობას.

იგი მზარდამზარ მიყრდნობოდა ქალის თბილს და რბილ მზარს, მინებებოდა მანქანის სრბოლას და გასცქეროდა ავღრისა და ღამისაგან დათალხულ ხეების შორეულ რიალს.

ბოლოს, როცა ამ მღელვარებამ საუბრებით გაიარა, ეს და ჰკითხა ქალს:

„ეს მოთხარი, სუსქია, აგრე მაგრად რამ დაგაძინა იმ უხერხულ, ვიწრო კაბინაში, ჰა?“

„უხერხულიო? ამაზე უარესს შეჩვეული ვარ, ვახტანგ, ასეთი კაბინა მუდამ სანატრელი იყო ჩემთვის. ხანდახან ნაშუალამევს წაუყუყვანივარ ავადმყოფის ჭირისუფალს მთაში, ქარბუქსა და თაჭბამაში ცხენით. გამოცივებულ მთიულურ მიწურებში თეთრად მოთუნებია ღამეები.

ბედი არ გინდა? განაგრძო სუსქიამ. სწორედ წუხელ, როცა აქეთ წამოსასვლელად ვეშაადებოდი, რუისპირში წამიყვანეს შუა ღამეს, საშინელი აგონია ჰქონდა იქაური მასწავლებლის ერთადერთ ქალს. ქუნთრულში შეჰყროდა. გონებაარეული მეკვდრებოდა სასოწარკვეთილი დედა: გადამირჩინეო ბავშვი. ჩემს მიერ თან წაყვანილ სანიტარს არ ენდო, მე თავათ ვუტყუებდი ნემსებმა. სანამ არ მოიკეთა ბავშვმა, შინ ვერ წავედი“.

„გმირი ყოფილხარ, ჩემო სუსქია“.
„რას ვიზამთ, ვახტანგ, ნდობა მოითხოვს ჩემისთანა უხერხულად მინისაგანაც ჩვენი ეპოქა“.

ქუხილი შესწყდა, კავკასიონს გადაღმა ელაედა. გრგალი დაგელავდა უკაცრიელ ველზე. გზის პირებზე ჩაწყაპული ხეები ლელივით იყეცებოდნენ. ისევ გაივლებდა დაბნელებულ გზებზე, შავად შესუდრული მუხები და ვერხვები მოიჭრებოდნენ ცაზე. მიუხედავად ამისა, ვახტანგ კორინთელი გრძნობდა, რომ ნამდვილი გაზაფხული მისი ცხოვრებისა ამ ნაქუხილარზე უნდა დაწყებულიყო.

უცრად რომელიღაც ბობლია ფრინველი დაეჭგრა მანქანის პარტპლიზმს. შეფრთხილდა და განზე გადავარდა. თუცა მოზღვაებულ გრძნობისაგან გაოგნებულნი იყვნენ, ვახტანგმა და სუსქიამ უმაღლე შენიშნეს ეს.

როცა ანდრომ მზარნაღრძობა ქედანი შემოიყვანა ელექტრონით გაჩაღებულ მანქანაში, ამ უცნაურმა შემთხვევამ გაანელა ის დამბბულობა ვნებათა, რომელსაც თანაბრად განიცდიდნენ გამოჯნურებულნი.

გატრინული იჯდა ფრთებდაშვებული ქედანი მათ შორის, საცოდავად ეტსავდა თვალებს. ბედნიერებას თან მოყვება ბოლმე მოფერების წადილი, ასე რომ სუსქიას ნახი ხელები გველეთს ჩასვლამდის ეფერებოდნენ ამ მშვენიერ ფრინველს, მკვეთრი შუქისაგან მონუსხულს.

ციბა

გველეთში ბნელი ღამე დაუხვდათ მაპინძლად მგზავრებს. გზისპირად ჩამწკრივებულ სვეტებზე სულს დაღვდნენ ელნათურებში. ახლადგაჩებილ აბოში დაუმთავრებელი სახლების სილუეტები რიალებდნენ. ხარაჩოების დაბურღული მონახაზები ქაოტიურ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ. გზის და-

სალიერში ტყე მოსჩანდა ბნელით შესუდრული, მის კიდევებში გაწყაპული გოლიათი ალევები გიშრის შანდლებით შებეჯენოდნენ ვარსკვლავებიან, მაგრამ უმთვარო ღამეს.

ტელეგრაფის მავთულებს ფრთებს უბარტყუნებდა მსუბუქი ქარი და ეს გამუდმებული ზუნი უფროდაუფრო



ძლიერდებოდა აღმოსავლეთისაკენ; სწორედ აქედან მოქროდა ახლადდასახლებულ სანახებისაკენ, ასეთი ერთობლივი ქმეილა, როგორც შტორმის დაწყების წინ სწევია ზოლმე ბნელში გალურჯულ ზღვას.

სუსტიამ ქედანი ხელში აიყვანა, ყელთან მიიტანა მისი მშვენიერი თავისუფარი, აუცოა შიშისაგან გაოგნებულს, ნერვებ საბაზრო ბოლჩაში ისე ჩაქვა, რომ თავი შეამოყოფილი დარჩენოდა. კორინთელი მღვთმარედ გვერდით უჯდა ქალს, ნახად უაღერსებდა მის ხელს.

შექძლად ხომ არა ხარო? ჰკითხავდა.

„ცოტას სულ ცოტას მამატერეცს, ოდნეაეც თავის ტკიულს ეგრძნობა“.

„ალბად გაიცვიდი ველზე გაჩხირულ მანქანაში“.

„არა, მე გუშინ ღამით გავიცვიდი ალბათ“.

კორინთელმა არა მიუგო რა, აყვედრიდა თავის თავს: რა ეშმაკად წავედიო წვერის გასაპარსავად ყვარელს, თავის გასაპართლებელ საბუთს ეძებდა თანაც, ანდროსაც უსაყვედურებდა თავის გუნებაში: გადაჰყვო ბენზინის ძებნას, მერმე სხვა მიზნებს მოეჭიდა: არამცდარაშე არ ივარგებდა დღისით მზისით ექიმი ქალის მანქანით ჩაყვანა გველეთში, ეს ამბავი მითქმა-მოთქმის საბაზი გახდებოდაო, ალბათ.

გზაც ახლადნაგები იყო, ჯერაც ვერ მოვსწროთ ხრეშის დაყრა, ამიტომაც ალაგალაგ ბუქსაობდა მანქანა, კორინთელი მღვთმარედ იჯდა, მანქანის ყოველ შეტოკებისას გრძნობდა სუსტიას ფაშვამა სხეულის შემოხლას და ეს ყოველივე ისე რიტმიულად მეორდებოდა, მამაკაცს მღელვარება ემატებოდა თანდათან.

შორადან, ძლიერ შორიდან მოისმოდა ნაღვლიანი ძახილი კოტისა, ხან სიზმარს აყოლილი წამოყვებდა ძალღებნისა, ხანაც ტრაქტორის ბუბუნნი.

მანქანამ სელას უკლო, რადგან თვითვე გზაზე საიდგანდას მოკვდა ცხვრის ფრა, ბნელში მცხვრის ცხვარეების „ფრთუ, ფრთუ“. კორინთელის მხერა წააწყდა ატრაცელი ფოსფორული წერტილების რიალს ქავლისებრ მოზღვავებულ ცხვრებას თვალებიდან გამონაკრობს.

გულამაყი შავი ყოჩები დარბაისლურად წინ მიუძლოდნენ ფარას, ღამის საარანგებოვით სარდლავდნენ სტიჭილურად მოდენილ ცხვარას, ბოლოს თვალსაწიერზე გამოჩნდნენ მეცხვარეების ბნელი სილუეტები, მათ ახმაზ ფიგურებს ელექტროს შექმით განჩრდილულთ მალალი, წოწოლა ფაფახები დიდებულების იერს ანიჭებდა უცნაურს.

სუსტიამ დიდხანს უმზირა დგანდგარით მომავალ ფარას და სთქვა:

„მე და ჩემი ექთანნი მთელ თვეს ვიყავით წრეტულს ცხვრის ბინებში, დიდად დამაინტერესა მეცხვარეების ჯაფით სავეც ცხოვრებამ, ყოველი პროფესია იოლად ეჩიონბა შორიდან მაცქერალს, ჩემს ბავშვობაში აგრე მეგონა: მეცხვარეზე უფრო უღარდელი ცხოვრება არაუის გააჩნია მეთქი ამ ქვეყნად, მე აგრე მქონდა წარმოდგენილი: არხეინად წამომჯდარა მეცხვარე მოლითდაფარულ კორდზე, ძალღები გარს უკლიან და მწყემსავენ ტოფობზე გაშლილ ფარას, ზის ნუბიერად მეცხვარე და აქენესებს თავის სალაშქრს.“

წამღვილად კი მიიმეზე უმძიმესი ჯაფა აღგოა მეცხვარეს, დილა საღამოს საძოვარზე ცხვრის გაღენა და მოდენა, ცხვრის წველა, დაბანა და კრეკა, ავღარში მიინდერად ყოფნა ფარატინა თუქის ამარა.

ახლა ნაარნაირი კიბრი და სახადი, მგელსა და არწივს ნუ იკითხავ, კაქკაქი რომ კაქკაქია იგიც კი თავს ესხმის ბატკნებს, თვალს ამოჩიჩქნის ზოლმე“.

„ეჰ, ჩემო სუსტიამ, ყოველი საქმე

ძნელზე ძნელია, ყველაფერი, რასაც გულიანად გააქეთებს კაცი“.

ცხვრები ზვირთებსავეით მოზღვავებულნი ზედ აწყობდნენ მანქანის ფრთებს, ანდრო ფრთხილად მართავდა რულს, სიგნალით იკაფავდა გზას. სუსქიანს მზერა გაექცა გზის კიდეზე მომავალ ბატყნების ნოტოსკენ. მათაც აღრაცხელი ფოსფორული წერტილები უბზინავდნენ თვალეში მანქანის შუქზე. მოდიოდნენ, მოაქციებდნენ თივთიკივით ფაფუკ ყურებს, მოაპყუნებდნენ პრიალა, კობტა ქლიკებს, მოკიკინებდნენ ეს საყვარელი, თოვლის ფანტლებივით თეთრი არსებნი.

ჭალმა შენიშნა:

„გრე უქნია დედა ბუნებას: ყოველი ახალგაჩენილი სულერი, უზავო სილამპიზითაა შემკული. რა მშვენიერია თვით ქოტისა და ყვავის მართვებიცა. შარშან მთა-თუშეთში ესტუმრობდი, ჩემს მასპინძელს მგლის ლეკვები ჰყავდა შიშ. ისეთი საყვარელი იყენენ ის ვერანაა, სერიი იყო მათი თამაშისა და ბლამქნის მზერა. ისეთი გაბუტუნებული დრუნჩები ჰქონდათ, ხალისიანად ჰყოცნიდნენ ბალღები.“

პატარებისადმი სიყვარულით შეძრული ვიყავი მუდამ. აღამიანს გებრალეზა უმწეო არსება, რომელიც უთუოდ დაღუბება უკეთეს შენ არ მიეშველე.

ამიტომაც მუდამ მიყვარდა ბავშვები, ამ სიყვარულს აყოლილმა ავიჩჩიე პედიატრია, თელავში ბავშვის ექიმის სამტატო ერთეული არ აღმოჩნდა, იძულებული გავხდი კლინიკაში მემუშავნა. ახლაც იმიტომაც მიმიხარია გველეთში, ჯანგანი დამიპირდა პიონერთა ბანაის ექიმად დაგნიშნათო. სამი სიცოცხლეც რომ მერგოს ამ ქვეყნად წილად, ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ბრძოლას შევალევიდი სამივეს. ჩემი ცხოვრების უდიდეს ჯილდოდ მიმაჩნია, როცა ჩემს მიერ განკურნებული ბავშვები შემხვდებიან სადმე, ყოველი

მათგანი მინიშნებული მყავს. კოვკელი მათგანის სახელი და გვარეობა მუდამ ვახტანგ კორინთელს მუდამ მცხვამს, არა მიუგო რა, ბოლოს შოფერს მიუბარუნდა:

„გზა ხომ არ აგვერია ანდრო?“

მანქანამ მზარმარჯვენისკენ გადაუხვია; შოფერი წარამარა თავს გამოჰყოფდა თავის კაბინიდან, სად არასო საექიმო პუნქტი? ეკითხებოდა გზისპირად მოჩალიჩე გამვლელოთა ლანდებს.

ახალშენის მკვიდრთ, რომელნიც თავათაც ვერ გარკვეულიყვნენ ამ ახალ გარემოში, გერაფერი დაადევინა საექიმო პუნქტის სადაურობის გამო.

როგორც იქნა მთვარემ თავი გამოჰყო მღვრიე ღრუბლებიდან. ახალშენის მზარმარცხნით ტრაქტორები მუშაობდნენ, ხეებზე ჯაქვები მიცბათ. ფესვებიანად გლეჯდნენ უზარმაზარ ვერხვებსა და თელებს. ამოძირკველი ხეები უჩხულებების ლეშებივით ეყარნენ ირგვლივ.

კორინთელმა მზერა ესროლა ამ სანახაობას, წაიღუდუნა: აქ იქნებაო დიდი საბჭოური მეტრნეობა გამართული, ჯერ კიდევ ამ ხუთწლეულში. სამი მილიონი მანეთი უკვე დაშვებული აქვსო ამ საქმისათვის მიწსახეობს.

დიდხან იბორიალა მანქანამ უკაცრიელ ქუჩებში, ელექტრო-მონტიორი ამობლებულიყო ტელეგრაფის სექტე-როცა ანდრო შეესიტყვა მას, შავბლუზიანი, უჭულო კაცი ჩამოძვრა ძირს, რკინის ქანგები მოიხსნა ფეხებიდან, ორიოდ ნაბიჯი გადადგა, სამხრეთისაკენ გაიშვირა თავისი გრძელი ხელი და უთხრა შოფერს:

„ამ შუქას დაადექი ძმობილო, როცა ეს ახალშენი მოთავდება, პატარა მოედანს მიადგები, იმ მოედანზე უსახურავო სახლია ერთი ხარაოებდმუდმული და მანდ მოიკითხე საექიმო პუნქტი. მზარმარჯვენით არ გადაუხვიო იცოდე, ირმის ტბის ქაობისკენ, თორემ ორი



უღლო ხარ-კამეჩი ვერ ამოგათრევს ლაფიდან“.

ბოლოს როგორც იქნა მიაგნეს უსახურაჲო სახლს.

კორინთელმა ამ დაუმთავრებელი სახლის დანახვაზე ადვილად წარმოიდგინა თუ როგორ გაუქირდებოდა ამაღამ ექიმს ამ მოუწყობელ სახლში ღამის გათევა. ნაწეიმარხე საკმარისად სცივოდა.

კორინთელი ნაღვლობდა იდუმალ:

ნეტავ მედიკო და ვარა ვასულ კვირას წასულოყენენ წყალტუბოს. ერთი ღამით მაინც ისტუმრებდა ვახტანგი ავადმყოფ სუსქიას. თუნდაც იმ პაწია ოთახში მოათავსებდა მას, სადაც ეძინა ხოლმე ნაიას სხვა ღროს.

კარის ალაგთან ტყაბუქიანი მოხუცი შემოეგებათ. ფანარი ზეასწია თეთარწვერა ახმახმა, სახეზე მინათა ახლადმოსულებს და ამცნო: აქ არისო საექიმო პუნქტი.

როცა მან შოფერისაგან გაიგო: ექიმი ჩამობრძანდაო, დაჯოჯმანდა უზარმაზარ ქუჩაში გამოხვეული დეკავიკი, გრძელსა და ბნელ დერეფანში შეუძღვა სტუმრებს. ალიფას, კირისა და პარაფინის სუნი იღვა ირგვლივ, ბურბუშელაც არ გამოეხვევტათ ჯერაც, ახლადგარანდულ იატაკებზე მოხვეული.

მიბაჯბაჯებდა დარაჯი ნახევრად ბნელში, ყოველი ოთახის კართან ზეასწევდა ხოლმე თავის ფანარს. ბოლოს შესდგა იმ კარის წინაშე, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა:

„არამენდა-გველეითის საექიმო პუნქტი“.

დარაჯმა კორინთელს შეჰხედა და უთხრა:

„ჯანგანის გაკვემ დღის ბოლომდის გიცადათ, ბატონო ექიმო. ბოლოს წაეიდა და ასე დაგვიბარა: „ამ ოთახში მოასვენეთო. იგიც უთხარიითო. მხოლოდ დღეს მოათავსო ეს ოთახი დურგლებმა, ხვალ დამლაგებელი მოვა და წესროგში მოვიყვანათ ყველაფერს“.

5. „მნათობი“ № 5.

კორინთელი ამჩნევდა, რომ შალერგაკრული კედლები, რიყისფერი კამოშრალნიც არ იყვნენ უმჯობესი რამნობლად სცივოდა გრძელსა და დაბალქვიან ოთახში. კარ-ფანჯრები ახლად შედებილნი სმანდნენ, იატაკ კირის შეხეები ანდნენ, თოვლის ფანტელებივით მიმოხვეულნი ირგვლივ ერთადერთი საველე საწოლი იღვა შიგერთი სკამლოვინი, ორი ტაბურეტი და ერთიც დაბალი მაგადა.

შოფერმა ანდრომ შემოათრია სუსქიას ორი დაკონკილი მაფრანა, ორიც ჩემოდანი. რომელთაც კიდევები ისე შემოცვეთილი ჰქონდათ, თითქოს ვირთხებს დაეძობდნითათ.

კორინთელი ელექტროს შუქზე დააკვირდა სუსქიას სახეს. თვალნათლივ სჩანდა ხურეების ალმური შესდგომოდა მის ლოყებს. ღაწვის თავები შეწითლებოდა, მშვიდად აფახულებდა დასიციხულ თვალებს. ბოლოს მზერა აარიდა პროფესორმა ავადმყოფს, ღუნულისკენ მიბრუნდა, ახლად შეთეთრებული ღუმელის კარი მიხურა, და უთხრა დარაჯს:

„ეგებ ცოტა შეშა გვიშოვნო, ძია კაცი, საღმე, თუნდაც ბურბუშელა“.

„ჩემი თავი შენ გენაცვალოს, ექიმო ბატონო, შეშის მეტი რა გვაქვს, მაგრამ ამ სახლს ჯერაც სახურავი არ გაანია და სახანძრო არ გვანებებს ცეცხლს დანთებას“.

„ექიმი ეს ამხანაგი გახლავით“. — მიუგო კორინთელმა მოხუცს, ამ უკანასკნელმა ახედდახედა სუსქიას, შეებრალა ხურეებისაგან ლოყებშეფაქლული ქალი და წაიბუტბუტა:

„მე ერთი მანგალი მიგლია ჩემს ოთახში, თუ გნებავთ მოგიტანთ“.

„ნუ შესწუხდებით, მიუგო სუსქიამ. ამაღამ იოლად წავალ, ხვალისთვის ხვალემ იზრუნოს“.

კორინთელს უმძიმდა ამ ვითარებაში მართო დატოვება ქალისა, მაგრამ შოფერისა და დარაჯის მოერადა.



„ღამე ნებისა, აბხანაგო ექიმო“. უთხრა სუსქიას თავაზიანად.

ქალმა ქვეშეცმევლად იგრძნო ამ განგებინად მორიდებელი ტონის მნიშვნელობა და აგრე მიუგო მას:

„დიდი მადლობა, პროფესორო ბატონო“.

როცა მოფერი და დარაჯი დერეფანში გავიდნენ, კორინთელი კარის ზღურბლიდან გამობრუნდა აბხანად. კიდევ ერთხელ იხეხდა სუსქიას, უფრო აღგზნებულად მოეჩვენა მისი თვალები ისობრებები, ღაწვის თავებზე უკვე ისეთი ხასხასა სიწითლე შესდგომოდა, როგორც ბროწეულს ყვავილს სჩვევია ხოლმე. ისიც შენიშნა კორინთელი: ქალი უქანსკენდენეგვას იკრეფდა როგორმე არ გამოემდგენებინა შეუძლოდ ყოფნა.

კორინთელი სულ ახლოს მიეჭრა მას, სუსქიას თეთრსა და რბილ ხელს მაგრად მოუჭირა მარჯვენა, მომერებელი სიმბრეველე შეიცნო, აკოცა ზედ და მშვილად უთხრა:

„ამაღამ როგორმე გაიჭირე, სუსქია, ხელ დილა აღრიან ვინახულზე ჯანგანის გამგეს, ვაცნობებ თქვენი ავადმყოფობის ამბავს და ვთხოვ უკეთ მოგიწყონ ეს ოთახი, საექიმო დახმარებაც აღმოგიჩინონ“.

„დაბეჯითებით გთხოვთ, ბატონო პროფესორო, ჩემი ავადმყოფობის ამბავი არ ამცნო ჯანგანის გამგეს, თორემ აგრე იფიქრებენ აბხანაგები, ჯერაც სამაახურში არ გამოცხადებულა ეს ქალი და ახლავე გვენაზეთო“.

ვინ იცის რამდენჯერ შემყრია გრიბი, მაგრამ სამახურში არც გამიშვებოდა არასდროს. ასეთ რამეებს სიმულანტები ებღატებოდნენ მხოლოდ.

მე სიღუბლირემი. გავრდილი გახლავართ, შვიდ წელს მიხუშაინია მთლად ნიყრუებულ რაიონებში, ასეთი ოთახი ჯერ არასდროს მქონია დღემდე. ეგაც არ იყოს, კარგ მეთევზეს ფეხის დასველების არ უნდა ვშინოდეს“.

„არა, მე შეშინია, უარესად არ გაბედეთ, თუ ვნებათ, თქვენთან დაჯრები მცირე ხანს, ეგებ შეეძლო რითიმე დაგეხმაროთ“.

წარბუტბუტა ვახტანგმა.

„ნუ შესწუხდებით, თქვენ წაბრძანდით, მე ახლავე კალეჭას მივიღებ,

ოფლს მოვიღენ და ყოველგვ რიგზე იქნება“.

როცა ეს სიტყვებზემ დასრულებული აღმოჩნდნენ, სუსქია თავის გუნებაში გამოუტყდა თავს: ძლიერ უშშიმდა მართო დარჩენა.

ეს უნდოდა სასთუმალთან დამჯდარიყო ვახტანგი, თავის ძლიერ მარჯვენაში სჭეროდა მისი დასიცხული ხელი. მის ახლოს ყოფილიყო, ამადამ, მხოლოდ ამადამ...

როცა კორინთელი კარსკენ გაემართა, შეეშინდა: უკან არ მოიხედოს და არ შეშინდესო უკვე ქუთუთობებთან მომდგარი სიძაბუნის ცრემლები.

კორინთელი იამა ასეთი სპარტანული ამტანობა ქალისა, მაგრამ მაინც გულდაწყვეტილი გავიდა კარებიდან, მოფერსა და დარაჯს წამოეწია. გაოგნებული მიყვებოდა ბნელ დერეფანს. სწუხდა: რა გაათევიანებს ხერხებაზეყრის კუმბასავით გამოცხადებულ ოთახში.

როცა გარეთგასულთა ნაბიჯების ჩქამი მიწწედა, სიცხისაგან გათანგული სუსქია პალტოს გაუხდელად დაეშვა საველე საწოლზე და დიდხან იწეა პირქვე დამხობილი, ყურს უგდებდა მარტობელა ქოტის ძახილს.

ნატრობდა: ნეტავ შემოვიდოდეს ვინმე და ზედ დამაყრიდესო ტყვიასავით მძიმე საბნებს. ისეთი გრძობა მქონდა, ყბები დასცილდნენო ურთიერთს. მერე ეჩვენებოდა, მთელი სხეული დაერღვაო თითქოს, აკაკაპებდა კბილებს, თვალნათლივ ამჩნევდა შორს იყო ძილი და ეს სიცხადე რადაც აუტანელ ბურხანად ქცეულიყო.

მერე იძალა ხერხებამ, პირი უშრებოდა, წარამარა უტოკადნენ სხეულის იოგები, ჯერ აგრე ეგონა: ვილაცას ძლიერი ხელი ანჯღრევსო მის სარეცელს და ისეთ რყევას განიცდიდა, როგორსაც გრძობს ხოლმე შტორმის დროს გემზე პირველად მოხვედრილი მგზავრი.

თვალეები ეწკოდნენ, მთელი სხეული უდაგძაგებდა, ქანცმილიული კენესოდა წყალიო, მაგრამ წყლის მომტანი არავინ სჩანდა.

ხანზარებდნენ ფანჯრის მინები, ისმოდა ისეთი ფრთხილი, როგორსაც შექქმნის ხოლმე ზაფხულს ღამეს კაცთა საყოფლოში შემოხეტებული ღა-



მერა, ფრთები ეხლებოდნენ მიწებს და ეს მონოტონური ბარტყუნის და ფრთხილი მთლად აუტანელი გახდა პირქვე მწილარისთვის.

ახლა გვერდზე გადმობრუნდა, ხედავს: ქედანი ამომყვრალიყო ბოლჩინიდან, აწყდებოდა ფანჯრებს, წვალბოდა ეს მშვენიერი ფრინველი, სასოწარკვეთილი ეხლებოდა მიწებს.

ადგომა მოინდომა სუსქიამ, მაგრამ ვეღარ შესძლო, ახლა იმას ნანობდა: რად გავუშვიო ვახტანგი, ამ ქედანს ფანჯრებს გაუღებდა, წყალსა და კალცქესს მაინც მომიტანდათ დასიცხულს.

ისევ მოეძალა თავის ტყვილი... დერეფანში ნაბიჯების ჩქამი გახშირდა. ვიღაც მოდიოდა მამაკაცური ღინჯი ნაბიჯით, დაახველა კიდევაც ვიღაცამ, სიხარულმა შესძრა ქალის გული... დევიც რა უნდა თქვა, ოღონდ მოვიდეს ვახტანგი, სუსქიამ ხელი აპკრა თვალებზე ჩაოფხატულ ბერეტს. მზერა მიამტერა დაბურულ კარებს და დაბუნნი ხმით მიამახა კიდევაც: შემობრძანდიო, ვახტანგ.

ისევ შემოენთო ხურვება ღაწვის თავებსა და სადეთქლებს, თავის ტყვილმა უმატა, ყურებმა უცნაური წივილი შექმნეს. ქუთუთოები დაუმძიმდა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა თვალს.

თვალნათლოვ ხელავს სუსქიამ: კარი არაუის გაუღია, მაინც შემოსულა ვახტანგ კორინთელი. გიმნაზიელის ფორმა აცვია. ელექტროს შექზე ვარჯიშებს მოწაფურ ქამარზე თითბერის ბალთა.

საყვარელი და სათნო გამომეტყველება აქვს ყმაწვილს. გულხელდაკრეფილი მიმდგარა ზედ კარებზე და ვეღარ ბედავს ნაბიჯის გადმოდგმას.

წყალი მომიტანეო, ვევედრება ავადმყოფი სიყმაწვილის მეგობარს. მაგრამ ადგალიდან არ იძვრის ვახტანგი.

ამ წუთში საშინელი რყევა შეიცნო სუსქიამ, აგრე მოეჩვენა, თითქოს უფსკრულისკენ გადატყუნესო მისი დასიცხული სხეული.....

...ცერადმართულ ბიჭებს, მისაყვება ექიმი სუსქია მიხედვით, მისი აქცინა წამლებით გავსილმა ანგამ: რეტლში იწურება მგზავრი, ბოლოს შესდგება, ხეში გადასაროლას მოუწოდებებს მიმდებრითს, მაგრამ მაინც ვერ შელევია. ამ წამლებს უცდიან გველეთში ახალმოსახლეთა ავადმყოფი ბავშვებმა.

მადის აღმართალმართ ექიმი მიხედვით, უფრო და უფრო მიმდებდა მედიკამენტების აბგა, პირი უშრება, მაგრამ არსად სჩანს წყალი...

...უცებ წამოეწია გიმნაზიელის ფორმაში მორთული ვახტანგი, ეაქვაცურად შეაშველა მხრები, თავთ გადაიკიდა მედიკამენტების აბგა, მიღიან ორივენი გულმზიარულნი და სეუბედნიერნი. ლანდის უსწრაფესად ზედმოექცნენ გველეთის ზეგანს. ჯახველის ტევრები მოსჩანან გზის გაღმა-გამოღმა ხასხასა რუბინებივით ელავს ჯახველის ნაყოფი. მამალი ხოხბები ღგებნიან გზის პირებზე, ჯახველის ნაყოფსავით წითელი ფრთები აქეთ ამ ხოხბებს.

ზეგანზე მუხა სდგას ერთი, მუხის ქვეშ ბავშვები დამსხდარან, რუბინებით აუფსიათ კალათები, ლოყებდაეღაეა ბედნიერი ბავშვები მღერიაან, სუსქიამ იცნო ისინი, ყველანი აქ არიან ვინც მან გამოსტაცა ამ წლებში სიყვდილის ბნელ ქახგებს.

ექიმის დანახვაზე წამოივიდნენ ბავშვები, გარს შემოეხებენ მათ საყვარელ „დეიდა სუსქიას“.

ზეახებდა სუსქიამ: ქედნები მუხაზე შემომსხდარან და მოესმის მათი ერთობლივი გრუტუნის. ფრთებს აბარტყუნებენ ქედნები, ლოყებზე ქედნის ფრთები ელავიება დასიცხულს.

თვალზე მოიფშვნიტა ხურვებაშეყრილმა, ფანჯრისკენ მიბრუნდა ერთი და ხელავს: ფანჯრის რაფაზე შემდგარიყო ქედანი და მიწებზე უბარტყუნებდა ფრთებს... დასიცხული ქალი წამოდგა, ქედანი ისევ ბოლჩაში ჩასვა, იამა სიგრილის შეცნობა, ქვეშაგები გაშალა, სამოსი შემოიძარცვა სწრაფად და ისევ დაეშვა საწოლზე.....

(გაგრძელება იქნება)

ს ა გ ზ ო თ ა უ კ რ ა ი ნ ა

★

როცა „აერორას“ ბათუმის გრილი
სმოლნიცი შეიქრა და ცეცხლად იქცა,
მძლედ აგუგუნდა ოქტომბრის ალი
და გაანათა მშობელი მიწა.

„ძალაუფლება საბჭოებს!“ — როცა
ამოჰყვა ყიყინს, რისხვით მძვინვარეს,
უკრაინამაც აღმართა დროშა
და შეუერთდა ცეცხლის გრაგალებს.

„ძალაუფლება საბჭოებს!“ — ეს ხმა
რა ძლიერით შექდა, ჰქუხდა რა ძალით!
როს ოქტომბრის მზემ

უბრწყინვალესმა
მიწა გაათბო სუსხით დაშრალი.

გახედე სივრცეს — რა მშვენიერი
არის ყიყვი რიერაჟზე დილის,
აქედან ჩვენ რომ განვდევნეთ მტერი
მბაფრი შეტევის მძლე ქარტეხილით.

სკოროპატსკის ბრბოს დღე
ჩაუემწარეთ,

დაეაყრევიანეთ ყველას თავები,
და პეტლიურას ყორან-ყვაეები
აბობოქრებულ ალში ჩაეყარეთ,
რომ ომის შემდეგ მშობლიურ მხარეს
გასთენებოდა დღე აყვაეების.

ბრძოლის ყიყინა დაუცხრომელი
ქექდა და მტერი ცეცხლით იწვოდა,
დიად რუსეთის ხალხი მშრომელი
ამ ბრძოლების დროს წინ მიგვიძლოდა.

გაგამხნეებდა — რომ ცისკრის
სხივებს
უფრო აღეგზნო იმედით გულს,
და განახლების მზით მოლივლივე
ცად აქრილიყო დნეპრის გუგუნი.

გახედე ველებს, — ოქროს თვალთან
პურის თავთავეებს, ბარაქით საესეს.
შეხე — მუშები მიიჩქარიან
დიდ დნეპროპეტსის მშენებლობაზე.

ვით გაიფურჩქნა ჩვენი მამული
რა სიხარულის მზე ანახჩახდა!
რა კისკისია, რა ჟრიაშული
დილით სკოლისკენ მიმავალ
ბავშვთა!

აგერ, შეხედე, გამრჯელი ხელით
ვით ქსოვს ასული პორტრეტს იმ
ბრძენის —
უბრწყინვალესი ვისი სახელიც
სიცოცხლეა და იმედი ჩვენი!

დაუგდე ყური: მიიწევს ზევით
ცისკენ, სად კრთიან სილაყვარდენი,
შრომის ჰანგების გუგუნი მძლავრი
ლაღად მსარბოლავი, ვით შევარდენი,

ვინ შეაჩერებს ჩვენს წიშვლას
ძლიერს,
კომუნისმის მზე გვინათებს სივრცეს,
ლენინისა და სტალინის მიერ
დასახული გზით მიედღივართ მტკიცედ!



შ ე მ რ ე ნ კ მ



იგი ცნობილი არის კობზარად —
უსაყვარლესი მგოსანი ერის.
მისი სახელი იზრდება მარად,
მის უკვდავ ლექსებს ხალხი იმღერის.

ჰკლავდა მამულის ნაღველი მწარე,
მისთვის იწვოდა, როგორც სანთელი,
და უკრაინა, მშობელი მხარე —
გაადიდა ჰანგთა ნათელით.

ქვეყნად არ ჩანდა სხივი
ბრწყინვალე,
ზამთრის ქარყინვას ეა გაეთოშა,
არ შორდებოდა მაინც მის თვალებს
ერთა ერთობის და ძმობის დროშა.
ხალხების გულში მარადი ბინა
მისმა ლექსებმა ოდითვე ჰპოვეს,
ამიტომ ცოცხლობს, მზესავეით
ბრწყინავს
ჩვენი უკვდავი თანამედროვე!!

ს ი მ ლ მ რ ა ძ მ ო ბ ა ზ ე



ისევ დადგა გაზაფხული მზიარული,
სოფლად ისმის შრომის ლალი
ერიამული,
ერთად, ძმებო, შეემქიდროვდეთ
უფრო მტკიცედ,
შრომაშიაც კვლავ ერთმანეთს ხელი
მივკეთ.
ჩვენ ზომ ერთად ვძლიეთ სევდა-
განსაცდელი,
მამ გმობობით ავაყვავოთ მთა და
ველი.

დღეს დონიდან კარპატს იქით ისმის
ძმური —
მეგობრობის ლალი ჰანგი საამური,
რომ ძმები ვართ და მიზანი გვაქვს
საერთო,
და როს ჩვენში მძვინვარ ომის ალი
ენტო, —
ვიბრძოდით და გვწვავდა ზეცა
ციცხლის მთოვი —
ღვიძლ ძმსავეით დაგვეხმარა ჩვენ
მოსკოვი.

დღესაც იგი დახმარებით ჩვენ
გვახარებს,
უხვად გვაწვდის ტრაქტორებს და
სხვა მანქანებს.
აწ ჩვენს მტკიცე მეგობრობას ვერცინ
მოშლის,
წინ მივდივართ დიდ ლენინის ნათელ
დროშით.
რუსეთისთვის უკრაინა —
ქედუხრელი,
ღვიძლი დაა. კირში, ლხინში
განუყრელი,
ერთმანეთის სიყვარული გულს
გვიმსჭვალავს,
ყოველ დღით დნებრის მხრიდან
ვუთვლი სალამს
დნესტრის პირას მცხოვრებ მოძმეთ,
ჩვენს მოყვარეთ,
და ხარკოვიც სალამს უთვლის
ლვოვის მხარეს —
რომ სულ ჩქედღეს სიყვარული გულს
იმედად,
კვლავ აყვავდეს ჩვენი მიწა უფრო
მეტად.
თარგმანი ბარიბონ ვარდოშვილისა



უღეღტეხილი

რომანი*

★

თავი მეოთხე

როდესაც დავითი უკან გამობრუნდა, სიმონს უკვე დამთავრებინა ახლადმოსულთა საექიმო შემოწმება და ამბულატორიის აივანზე გადმომდგარიყო.

დავითი მძიმე ნაბიჯებით ავიდა კიბეზე.

— დაამთავრე? — ჰკითხა მან სიმონს.

— კი, — უკან მოუხედავად უპასუხა ექიმმა.

ორივენი ერთხანს ჩუმად გასცქეროდნენ მიდამოს. დავითს სურდა დაწერილებით გამოეკეთხა სიმონისათვის, თუ როგორ ჩაიარა საექიმო შემოწმებამ. მაგრამ შეეშინდა, ვაითუ სხვაგვარად ჩამომართვასო, და თავი შეიკავა. მოთმინებით დაუწყო ლოდინი, რას იტყოდა თვითონ სიმონი.

ის კი არაფერს ამბობდა და გიჟტად დღუმიდა.

— ამაღამ რა ვქნათ, — დაარღვია ბოლოს სიჩუმე ისევ დავითმა, — ქადრაკი არ ვითამამოთ?

დავითს გული ერეოდა. ყელთან ბურთივით ებჯინებოდა რაღაც და პირიც საოცრად მწარე ჰქონდა.

— ქადრაკი? — სიმონმა ეშმაკურად მოკუჭტა თვალი, — რა დროს ქადრაკია, კაცო!

— როგორ? — შეკრთა დავითი და გულმა უფრო მაგრად დაუწყო ცემა. ღრმად ჩაისუნთქა, რომ გულსიცემა

შეენელებინა. „ჩემს დღეში არ დამმართია ასეთი რამ, ეს რა მომდის?“

— როგორ, არ იცო?

— რა?

— ორი ვედრო რქაწითელი მოხუტანია სტეფანეს. იმას დალევია არ უნდა?

— მართლა? — გაეხარდა დავითს. ის განგებ ხმამაღლა ლაპარაკობდა. თავს ძალას ატანდა, რათა არ ეფიქრა მორევში მობანავე ქალზე. ყურები უშვლოდა.

— მაშ დავგილევი ამ საღამოს.

— ექვი გეპარება? — წამოიძახა ალტაცებით სიმონმა.

— დავლით, მაგის რჯულიც კი დაიქცეს!

— ამ უღებურ ადგილას მაგით მაინც გაეხარათ გული.

— მაშ წავალ, ბარემ ქალთა ბრიგადებს დროულად დაეკომპლექტებ. ხვალ დილისათვის მინდა ყველა სამუშაოდ გავეშვა და მერე ჩავექინცილოთ.

— აგრე სჯობს. ერთი სიტყვით, ყველა რომ დაიძინებს, მერე ჩავესხდეთ. დავითმა წასვლა დააპირა.

— მართლა, იქ ერთი ქალია. დაცია, — შეაჩერა სიმონმა დავითი. — ჩაწერილი მაქვს მისი გვარი. იმას ნუ გაუშვებ სამუშაოდ.

— რომელია?

— ახლაც გეტყვი, ლიდა... რა გვარია? ლიდა... ერთი სიტყვით, ყველაზე პატარაა ტანად.

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 4.



სიმონი ოთახში შევიდა, სია გამო-
ტანა და თვალი გადაავლო.

— ლიდა კარაულოვა.

— რა დაემართა?

— ავადაა და ერთი ათიოდე დღეს
არ გაიშვება სამუშაოდ.

— რითია ავად? — ჰკითხა დავითმა.

— აქ ამუშავე ამ ხნის განმავლობა-
ში, იოლ საქმეზე. დამლაგებელი მაინც
არ გეყავა, — არ უპასუხა სიმონმა კი-
თხეაზე.

— კარგი, აგრე ვიზამ, — მიუგო
დავითმა და თავის თავს ვერც კი შე-
ამჩნია, როგორ შეუღა და დაეინებით
დაუწყო ცქერა წყალგაღმა აყირავე-
ბულ უზარმაზარ ლოდს, რომილიც
ბინდბუნდში დინოზავრივით გარინდუ-
ლიყო.

მას სურდა ამ ლოდისათვის ეცქირა
და მაინცდამაინც ამ ლოდზე ეფიქრა.
რა არის ეს ლოდი? ეს არის დიდი
კლდე, მთას მოსხლეტილი და აქ ჩა-
მოწოლილი. ეს ლოდი ასე იქნება რამ-
დენიმე ათას ან მილიონ წელიწადს.
მერე კმ ლოდს ქარი და წვიმა დაშლის,
გამოფიტავს, მთას კი მეორე ლოდი
მოსწყდება. მერე ეილაც სხვა, მეორე
დავითი, მიაცქერდება ამ ლოდს და
ისაც იფიქრებს, რომ ეს ქვა იქნება აქ
დიდხანს. (და კვლავ მოაგონდა ქალი
აუღში, როდესაც ის მობრუნდა, ისევ
გულაღმა შტრიხილდა, მკლავება გაშა-
ლა და დგაფუნით ამოვიდა მორევიდან.
მარგალატის მძივებივით ჩამოიზნა მისი
ტანიდან წყლის წვეთები).

— კარგი, კარგი, — რაღაც არაბუ-
ნებრივად ხმადალა გაიმეორა დავით-
მა და მესამე ბარაკისაკენ გაეშურა.

ბარაკში ახლადმოსულნი უკვე და-
ლაგებულებულნი. ლოგინები კოხტად
გაშალათ, ფანჯრებზე ფარდები დაე-
კიდათ. აქა-იქ მინდვრის ყვავილებისა-
გან შეკრული თაიგულებიც კი ჩაედ-
გათ კონსერვის ქილებში. საათუმალ-
თან მიდგმული პატარა მაგიდები და-
ემშვენებინათ. თავსა და ბოლოში ე-

დელზე დაკიდებულნი ორი ლამა
მკრთალად ანათებდა მუკუქუქუქუქ

დამხედურებს და მოტრეზნიერებ-
ეცნოთ ერთმანეთი და კიდევაც დამე-
გობრებულებულნი. მასპინძლებმა თა-
ვისი თავაზიანობით და ყურადღებოთ
პირდაპირ გააოცეს სტუმრები. მუშე-
ბი გულმოდგინედ ეხმარებოდნენ
ჩამოსულებს — უკეთ მოწყობილიყუ-
ნენ; დანჯღრეული ტაბტები ახლებით
შეუცვალეს, ფანჯრები შეაგეთეს, სა-
ხურავზედაც კი აცოცდნენ და ყვარბი
შესაწორეს. თუნუქის ღუმელები გამარ-
თეს. სტუმრებს, რასაკვირველია, მზედ-
ველობიდან არ გამოჰპარვიათ ისიც.
რომ მასპინძელთა უმრავლესობამ წვი-
რი გაიპარსა და საგარეო ტანაცმელი
ჩაიცვა. ამან უფრო მოხიბლა ქალები.

ნავახშმევეს ყველანი სტუმრების ბა-
რაკში შეიკრიბნენ. კოტეს თავისი მან-
დოლინაც კი მოეტანა, რადგან რუსუ-
ლი ლაპარაკი არ იყოლა. იქნებ ამით
მაინც მიექცია ვინმეს ყურადღება.
ეგონა, შეეხვეწებოდნენ. აბა, კოტა,
დასცხე, გესახელო, როგორც იმ სა-
ნეტარო დროს, როდესაც პირველად
მოვიდა აქ და თავისი მანდოლინით
ყველანი გააგოცა. მოული კვირის გან-
მავლობაში განუწყვეტლად უკრავდა,
ვიდრე თავი არ მოაბეზრა ყველას. მის
გულსაკლავად ახლა არავის არ გააბ-
სენდა და არ შეეხვეწა. დაუჯარო.
ერთხანს სცადა, თვითონ გამოეჩინა
ინიციატივა, ერთი-ორჯერ ჩამოჰკრა
კიდევ სიმებს მიზრათი, მაგრამ ყუ-
რადღება მაინც არავან მოაქცია და ახ-
ლა მოწყენილი იჯდა ტაბტზე აბესა-
ლომის გვერდით. ხანდახან ქურდულად
იხედებოდა ილიკოსაკენ, რომელსაც
ბარაკის კუთხეში ერთი ქალიშვილი
დაემარტოხელებინა და ხმადაბლა ესა-
უბრებოდა.

პირველად ბიჭები ლაპარაკს ვერც
კი ახერხებდნენ. ერთმანეთის გაცნო-
ბისა და ამბების გამოკითხვის შემდეგ
თითქოს კიდევაც გამოეღიათ სასაუბ-

რო მასალა და, თვითონ ქალები რომ არ მიშველებოდნენ, ალბათ, სრულიად დამუნჯდებოდნენ. მათ დაწვრილებით გამოკითხეს მუშებს მალაროებში მუშაობის პირობები. ბევრი რამ აკვირვებდათ და პირველ რიგში, ის რომ აქ მარტო მამაკაცები მუშაობდნენ.

— ეს რა ყვინჩილების სამყაროში მოგხვდით! — ღიმილით თქვა პელაგიამ.

ამ ხუმრობამ საერთო ზიცილი გამოიწვია (კოტემაც კი გაიცინა, თუმცა ვერ გაიგო, რა თქვა პელაგიამ), და საუბარმა უნებურად ლალი ხუმრობის ხასიათი მიიღო. აბესალოში ასეთივე ხუმრობით უპასუხა პელაგიას და ამ შეხუმრებამ ყველა გამოაცოცხლა. აბესალოში ცნობილი იყო თავისი მოსწრებული სიტყვით, ამიტომ ყოველ მის ხუმრობაზე ბიჭები გადაქარბებულად ხიხითებდნენ და ერომანეთს მუჯღუფუნებს სთავაზობდნენ.

— შეხედე, რა უთხრა, ცაცო, ხი, ხი, ხი!

— ძველია, ძველი, ეგ დაღუბული! პელაგიამ ახედ-დახედა აბესალოში, უცხად სერიოზული სახე მიიღო და კითხა:

— რატომ ვერ ვხედავ თქვენ შორის ორდენოსნებს, ცუდად მუშაობთ?

ამ კითხვამ აბესალოში, ცოტა არ იყოს, დააბნია და ბიჭების გასაგონად ქართულად წაიღუღუნა:

— ამას უყურეთ, ორდენი მომთხოვა ახლა! — და მერე დაძინა: — ჩემი ძვირფასო, ორდენს განა ყველას ამლევინ!

— ეგ მეც ვიცი, რომ ყველას არ ამლევინ, — წარბშეკვრით უთხრა პელაგიამ. — მაგრამ, ვინც წარჩინებულია, მას აუცილებლად აჯილდოვებენ. ნუთუ თქვენს შორის არ აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც თავი გამოიჩინა და გეგმა გადაქარბებით შეასრულა.

— აქ გეგმის გადაქარბება ძნელი

საქმეა, — უპასუხა აბესალოში და დიდი ღონეა საქირო.

— მარტო ღონე არაა, მარტო კეკეა საქირო. ნოვატორი უნდა იყო საქმეში. აი, მაგალითად, ჩვენს მალაროში მადანი ვერტიკალურ შრედ იყო განლაგებული. ჩვენ იქ ფენის დაცლას ანუ გამოღებას ძველი წესით ვაწარმოებდით ქვევიდან ზევით. ამიტომ მწგრეველი გარდიგარდმო ბიგებზე უნდა შედგარიყო. ფეხები ერთ ბიგაზე ჰქონდა დაბჯენილი. ზურგით მეორე ბიგაზე მიყრდნობილს პნევმატური ჩაქუნით უნდა მოენგრია ქანი. მერე ერთმა ჩვენმა ამხანაგმა წინადადება შეიტანა, გამოსაღებად მომზადებულ მადნის მთლიან ნაკვეთზე სანგრევი ირიბად წაგვეყვანა, და ისიც ზემოდან ქვევით, ისე რომ მოჭრილი მადანი თავისთავად ჩაბრიალებულიყო კონვეიერზე. ამან უცხად ასწია გამომუშავების რაოდენობა.

— მერე?

— რა მერე?

— ორდენი რად არ მისცეს იმ თქვენს ამხანაგს.

— რატომაც არ მისცეს, კი არ მისცეს, დააჯილდოვეს ორდენით.

— მართლა? — გაოცებით აღმოხდა აბესალოში.

— მართლა. — უბრალოდ უპასუხა პელაგიამ. — შენ რა, არ გჯერა? ნადია, ერთი აჩვენე მათ შენი ორდენი.

აბესალოში უნებურად აიჭურა და უხერხულად შეიმუშვნა. მას შერცხვა, რომ ამ ქალებთან თავიდან კარგად დაწყებულ საუბარს ქილიკობის და ხუმრობის ხასიათი მისცა, სხვებიც აიყოლია. რომ გამოესწორებინა მდგომარეობა, ერთი ფუსფუსით და ხელმძღვანელს საესავით წაიღუღუნა:

— არა, რა საქიროა, ბავშვები ზომ არა ვართ, გჯერა.

ბიჭებიც უცხად გაჩუმდნენ, თითქოს მათ რაიმე დანაშაულზე წაუსწრესო. მთელ ბარაკში უხერხული სიჩუმე ჩა-



მოეარდა. მხოლოდ ნადიას წასვლა სიცილი. იგი თავისი ტახტის სასთუმალთან იჯდა და საერთო ხორბოცში მონაწილეობას არ იღებდა.

— თვითონ გირვენოთ ორდენი, — უკეა ნადიამ და აბესალომს პელაგიაზე მიუთითა, — მე შრომის ორდენი მაქვს. მაგას კი ლენინის ორდენი. ეგ მაგან შეიტანა ეს რაციონალიზატორული წინადადება. მოიცა, მე თვითონ მოვინახე.

ნადია ადგა, ტახტის ქვეშედან პელაგიას ჩემოდანი გამოაცოცა, იქიდან ტაკეტი ამოიღო და თავის უფროს მეგობარ ქალს მხრებზე მოახტრა. ტაკეტის ლაცკანზე მართლაც აბზინდა ლენინის ორდენი.

აბესალომი ისე დაიბნა, რომ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო ან რა უთქვა.

სწორედ ამ დროს შევიდა ბარაკში დავითი მელიტონთან ერთად და აბესალომმა შევებით ამოასუნთქა.

— მობრძანდით, დავით. — წამოდგა აბესალომი.

ყველანი წამოიშალნენ. ნადიამ თავი დახარა და იატაკს ჩააცქერდა, მერე თითქოს უხერხულობა იგრძნო, და ისიც ადგა.

— ისხედით, რას წამოიშალეთ? — მიამართა დავითმა ყველას და ბარაკი შეათვალიერა.

— როგორ მოეწყვიტო, ქალებო? — იკითხა დავითმა და ისე მიმოიხედა, თითქოს არ იცოდა, ვისთვის შეეხედა. ერთ წუთს, მხოლოდ ერთ წუთს შეხედა ნადიას, მზერა დაებნა და უხერხული ნაბიჯით გაიარა ბარაკი.

— არა უშავს-რა, კარგად მოვეწყვეთ, — უპასუხა ყველას მაგივრად პელაგიამ. — ცოტა ლეიბები არ გვივარგა, მაგრამ არაფერია. ამასაც შევიძინეთ. მობრძანდით, აქ დაბრძანდით.

— ბიჭებს როგორ უქირაეთ თავი, ხომ არ უხრდებოდნენ? — იკითხა და-

ვითმა და პელაგიას გვერდით ტახტზე ჩამოჯდა.

— არა, კარგი ყავისუფალი მათამ. სტუმრობა პყვარებიათ, მაგრამ არც ჩვენ ვართ ფარმადანგები.

აქა-იქ მორიდებულად გაიცინეს. დავითმა პელაგიას შეხედა, მკერდზე ორდენი შეაჩინა და გაეხარდა. თითქოს ეს ორდენი ნადიასაც ეკუთვნოდა. თვლები აღციმციმდა და ნადიას ახლა თამამად შეხედა. მან ჯერ არ იცოდა, რომ ისიც ორდენოსანი იყო.

ხშირია, როდესაც ორი აღამიანი ერთმანეთის აზრებსა და გრძნობებს უსიტყვოდ იგებს.

სანეტარო გრძნობამ შეიპყრო ნადია. როდესაც მას დავითმა შეხედა. მართალია, არ შეეძლო გარკვევით ეთქვა, რამ გამოიწვია მასში ასეთი ნეტარება, იმან, რომ პელაგიას ორდენოსნობა უცხად ამლუბებდა ყველა მოსულ მუშა-ქალს დამხვედურ მამაკაცთა თვალში, თუ დავითის თვალების კმაყოფილმა გამომეტყველებამ, მაგრამ ნადიამ იგრძნო სიხარულის საოცარი მოზღვავება და ლოყები ნელ-ნელა ვარდისფრად ატკიცა.

დავითმა სათუთუნე ამოიღო, შედგა და პელაგიას ჰკითხა:

— თამბაქო რომ მოეწიოთ, შეიძლება?

— ეგ რაა, წევთა? არა უშავს-რა. მოსწიეთ. ზამთარი რომ იყოს, ცუდი იქნებოდა, ახლა კარგები ღიაა.

— თქვენ ხომ არ ეწევით?

პელაგიამ გაიცინა.
— ქალაქელი გოგოები ეწევიან. ეშმაკმა წაიღოს მათი თავი! განა თქვენცოლი არ ეწევა?

— არ ეწევა, რადგან ცოლი არა მყავს, — სიცოლით მიუღო დავითმა, მერე უცხად დინჯი გამომეტყველება მიიღო და ბიჭებს ქართულად მიმართა: — თქვენ წადით ახლა, აქ ხელს ნუ გვიშლით.



მუშები ზანტად წამოიშალნენ.

— ესენი რატომ მიდიან? — ჰკითხა პელაგიამ დავითს, — იყვნენ აქ.

— თუ წყნარად იქნებიან, იყვნენ, — დაეთანხმა დავითი და მერე მელიტონს მოუბრუნდა: — მომეცი ამათი სია.

მელიტონმა ტყავის ჩანთიდან წიგნაკი ამოიღო და დავითს გაუწოდა.

— ამხანაგებო, — გახელა დავითმა თავის მუშებს, რომლებიც უხერხულად ატუზულიყვნენ აქა-იქ და არ იცოდნენ, წასულიყვნენ, თუ დარჩენილიყვნენ, — ან გადიოთ, ან აქ დარჩით.

ყველანი დასხდნენ, ვანოსა და აბესალომს გარდა, რომლებიც ჩექმების ბრახუნით ბარაკიდან გავიდნენ.

— ხედავ?.. წამოიძახა ვანომ — ბედი არ მწყალობს, ჩემმა მშემ.

— რაზე ამბობ? — ჰკითხა აბესალომმა.

— რაზე და ამ მაღაროებში წელი გვაქვს მოწყვეტილი და მაღლობასაც არავენ გვეუბნება. ამ დღდაკაცს კი, ხედავ? ლენინის ორდენი აკრავს გულზე. ახლა ვითომ ეგ მე მაჯობებს?

— ვინ იცის.

— დედაკაცი, კაცო? ერთი შენც!

ორივენი თავიანთ ბარაკისაკენ წავიდნენ. ვანო უკმაყოფილოდ იქნევდა თავს და გულდაწყვეტილი იმეორებდა: „ჰმ! მაგასაც მარტყათი უნდა“...

დავითმა თვალი გადაავლო სიას და ქალებს გამოჰკითხა, ვინ სად მუშაობდა ევაკუაციამდე. აღმოჩნდა, რომ ყველანი ერთი მაღაროდან იყვნენ, ჩრდილოეთ კავკასიიდან, გარდა ერთისა, რომელიც გზაში შეკედლებოდა დანარჩენებს.

— ეგ რომელია? — იკითხა დავითმა.

— მე ვარ, ამხანაგო ინჟინერო. — უპასუხა გალინამ და კვალსკად გაიღიმა.

— სად მუშაობდით?

— მე სასადილოში ვმუშაობდი, — სწრაფად უპასუხა გალინამ.

— სასადილოში? — დავითი ცდილობდა კარგად დაენახა გალინა.

— დიახ.

— მაღაროში არ გიმუშავიათ?

— არა. მე შევიღწეე მუშაობაში თავრებელი. ესწავლობდი მოახგარის შეთა კურსებზე.

— სასადილოში რას აკეთებდი?

— მოლარედ ვიყავი.

დავითმა გაკვირვების ნიშნად მხრები აიჩეჩა და მელიტონს შეხედა. მერე ისევ გალინას მოუბრუნდა:

— თქვენ აღბათ უკანვე გაგაბრუნებთ.

— ოი! რისთვის?! — გაოცდა გალინა.

— მაშ რა გიყოთ, აქ რა უნდა გაგვიკეთოთ?

მელიტონი დავითისაკენ გადაიხარა:

— თომასთან ვერ იმუშავენ? სამხარეთლოში? ცოდვია, კაცო.

დავითი დაფიქრდა, მერე გალინას შეხედა. ეტყობოდა, ეცქვებოდა, რომ გალინა მოახერხებდა მზარეტლობას.

— ამხანაგო ინჟინერო... — დაიწყო გალინამ და ქალებს გადახედა, თითქოს შეეღას ევაღრებოდა. — არ შეიძლება, რომ როგორმე... მე ვეცადებო ვიქმნავო... თუნდაც მაღაროში...

— კარგი, ვიფიქრებ. იქნებ თქვენც გამოგინახოთ შესაფერი სამუშაო. ახლა კი შევედგეთ ბრიგადების დაკომპლექტებას. იცი, რა ვქნათ? — მიუბრუნდა დავითი მელიტონს. — ჩვენი ბიჭები, ყველანი, სანგრევებზე დაფიქნით, ქალებს კი მადნის გამოზიდვა დაევალოთ. როგორ ფიქრობ?

— მეც აგრე მგონია, — უპასუხა მელიტონმა და შემდეგ ქალებს კითხა: — რომელს გიმუშავიათ მნგრეველად? პელაგიამ ქალებს გადახედა და თითზე ჩამოთვალა:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ტანიახუთი, მარია ექვსი, შევიდი... შევიდი ქალი კვალიფიციტური მნგრეველია.

— თქვენ ნახშირზე მუშაობდით? — ჰკითხა დავითმა.

— არა, ტალკის მაღაროებში.



მელიტონმა გადაიხარხარა. დავითსაც ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— არ გამიყვირდა, — თქვა ხიხინით მელიტონმა, — ამდენი მწგრეველი ქალი საიდან დაგროვდა-მეთქი?!

— რა გაგიყვირდა? — ჰკითხა პელაგიამ მელიტონს.

— რა, ჩემო დო, და სად ტალკი და სად ჩვენი მადნის ძარღვი! ქყინტი ყველი და სპილოს ძვალი ერთი ფერისაა, მაგრამ ვის შეუძლია ორივეს ერთნაირად დაღეძვა. თქვენ იქ ქყინტი ყველი გიჭრიათ და აქ სპილოს ძვალს რას დააყლებთ. — მელიტონი ახლა დავითს მიუბრუნდა და ქართულად უთხრა: — ტყუილია, ჩემო დავით, ესენი აქ მწგრეველებად ვერ გამოდგებიან.

— შენ აგრე ფიქრობ?

— ა, შენი ჰირიმიე, აგერ მალარო და აგერ ესენი.

— რა მოხდა? — პელაგია გაოცებულნი უცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს. — ჩვენც გაგვაგებინეთ.

— საქმე ის არის, — ღიმილით თქვა დავითმა, — აქ ძალიან მაგარი ქანებია. ცელაში სანგრევზე ნახევარი მეტრის გაქრას ძლივს ვახერხებთ.

— ოპო, — წამოიძახა გაოცებულმა პელაგიამ—ნახევარი მეტრი! ეგ მართლა საოცრება ყოფილა.

— გრანიტებია ალბათ, — თქვა ნადიამ და თითქოს შეეშინდა, რომ ყველა მას დაუწყებდა ცქერას. თავისი თავი შეათვალიერა. მერე მუხლებთან კაბის კალთა შეისწორა, ჩექმებზე დაიხედა და ფეხები ტახტის ქვეშ შესწია. — გარშემო სულ გრანიტის ლოდები ჩანს.

— თქვენ საიდან იცით გრანიტის ცნობა? — ვითომ სხვათაშორის ჰკითხა დავითმა, ისე რომ ნადიასკენ არც კი მიუხედავს, რადგან უბის წიგნაკს ათვალიერებდა.

— ვიცო.

— საიდან? — ნელა მიიხედა დავითმა და გაუღიმა.

— მისწავლია. გიბჭობოთქაჲ

— მართლა? — რაღაც მეტად მოთურებით წამოიძახა დავითმა და უცბად იგრძნო, რომ ყველანი დუმდნენ. თითქოს განაგებ გაჩუმდნენ, რათა მათი გასაუბრებლობის ყური დაეგდოთ.

— თქვენ მგონი გვეძვებათ, რომ ჩვენ შევიძლებთ აქ მუშაობას, — დაარღვია სიჩუმე პელაგიამ.

— არა, როგორ გითხრაო... — დავითმა საყვედურით გადახედა მელიტონს. — ცოტა გვეძვება. ეს მართალია.

— ენაზოთ. იქნება ისე წავიდეს საქმე, რომ მამაკაცებსაც კი ვაჯობოთ. — ღიმილით თქვა პელაგიამ და მერე, თითქოს იგრძნო ცოტა ტრიაბატი გამომდისო, ფუნფუნით დასძინა: — არა, მამაკაცებს კი ვერ ვაჯობებთ. მაგრამ, მე მგონია, მუშაობას შევძლებთ.

— პირველად გაგიჭირდებათ, — უთხრა მელიტონმა.

— ეცადოთ და, თუ ვერ შეეძელით, აწმენდაზე და გამოზიდვაზე ვიბრუნდებით. მე მგონია, არც ესაა პატარა საქმე! — მიმართა პელაგიამ დავითს.

— რას ამბობთ, პატარა კი არა, ნახევარი ძალა მაგას სჭირდება, — უბასუბა დავითმა და მელიტონს მიუბრუნდა: — ანე მოვიქცეთ, ხეალ გავლშვათ ამითთაგან ეს რამდენიმე ქალი სანგრევზე, დანარჩენები აწმენდაზე და გამოზიდვაზე ვამუშაოთ. აქ ერთი აუად ყოფილა და ათი დღე მისი მუშაობა არ შეიძლებაო. ის ერთი ქალი კიდევ... იმაზე მერე ვიფიქროთ.

დავითმა ჩაუწერა მელიტონს — რომელ სანგრევზე ვინ გაეშვა, შემდეგ განკარგულება გასცა, ყველასთვის ამაღმევე დაერიგებინათ სპეცტაშააცემლი, და ბარაკიდან გაიღა.

უკვე ბნელოდა და შავ ხავერდისმაგვარ ცაზე მობნეული ვარსკვლავები ოქროსფრად ციმციმებდნენ. ხრამში ვილაცას ბნეშით და შხაბუნით ეჩხუბე-

ბოდა მდინარე. თბილ ჰაერში ხანდახან სატყეარივით აჭრებოდა მყინვარებიდან მოდენილი ცივი სიო.

დავითი კარგაბანს იღვა დაფიჭრებულს. შემდეგ, როდესაც თავისი ოთახის კაბეზე აღიოდა, წამოწულმა მელიტონმა შეაჩერა:

— იქ რაღაცას აწყობენ ბიჭები, სტეფანეს ლვინო მოუტანია, ვერ წაყვებულა?

— არა, უნდა დაეძინებოდა, — უპასუხა დავითმა, განაგებ გაქვიანურებულად დაამთქნარა, გაიზმორა და ოთახში მოწყვეტილი ნაბიჯით შევიდა.

თავი მესამე

ღამით წვიმა მოსულყო და დილას მთელი მიდამო ნისლში იყო გახვეული. გაახილა თუ არა დავითმა თვალი, მაშინვე ფეხზე წამოიჭრა და ჩაცმა დაიწყო. ტიხარს იქით ისმოდა მუშების ხმაური და ჩექმების ბრახუნი. ისინი სამუშაოზე გასასვლელად ემზადებოდნენ. ტიხარი იმდენად თხელი იყო, რომ დავითს კარგად ესმოდა მუშების საუბარი.

— ვანო, რას აპირებ ახლა, — ისმოდა კედლის იქიდან დაბალი ბუბუნა ხმა. — რა გოთხრა, იცი? ის სქელი დედაკაცა რომაა, რომ დაგეკიდოს, შეიძლება კიდეცა გხეთქოს ძირს.

— შენ ვითომ ხუმრობ და ეგ კი არა, მგონია, სანდრო კანდელაკიც ვერ მოერიოს იმას. რამხელა მჯღები აქვს, არ დააკვირდით? — მოისმა მეორე ხმა.

— ოღონდ დამეკიდოს და არ ვნალვლობ, — წაიღუდუნა ვანომ.

— აჰ, მაგის იმედი ნუ გაქვს, ძამია, იმას ვერაფერს დააკლებ, — შენიშნა ილიკომ.

დავითმა პირსახოცი ქამარივით შემოირტყა წელზე და პერანგის ამარა, სახელოებდაკაშიწებული გარეთ გავიდა.

მთელი ეზო საქსე იყო მუშებით. ქალები, როგორც ეტყობოდა, ყველაზე ადრე ამდგარიყვნენ. ბრეზენტის შარვლები და ქურთუკები ჩაეცვათ, ზოგს „ლამურა“ ეკირა ხელში, ზოგს ბური აელლიავებინა, ყველანი მზად იყვნენ წასასვლელად. მელიტონს ელოდებოდ-

ნენ. ის უნდა გაძლოლოდა მათ გვირაბებში.

საწყობის კარებთან შეგროვილი მუშების ყაყამმა უნებლიეთ მიიქცია დავითის ყურადღება. ისინი სტეფანეს შემოხვეოდნენ. ზოგს ფარნის გამოცვლა უნდოდა, ზოგს ახალი ჩაქუჩები და უროები უნდა მიეღო, ზოგს კიდეც რამეკარა იყო, რომ გულდაწყვეტილები იყვნენ, რადგან ქალებისათვის ყველაფერი ახალი დაერიგებინათ და ბავშვბივით იბუტებოდნენ.

— გააღე საწყობი! — უყვიროდა ვანო საწყობის კარებთან აყუდებულ სტეფანეს. — გააღე-მეთქი! არ გესმის?

სტეფანეს ფეხზე ძველისძველი საშინელი ჯღანები ჩაეცვა, მხრებზე გაცვეთილი პალტო წამოესხა. ბუზლუნზე ეტყობოდა, სრულიად არ ჩქარობდა საწყობის გაღებას.

— მომცილდით აქედან! — ყვიროდა სტეფანე. — რა გინდათ ჩემგან?

— როგორ თუ რა გვინდა!

— ამ ფანარს ხედავ?

— მე ურო მინდა, ჩემსას ტარი არ უვარგა

— ჩემთვის სპეცტანისამოსი რომ უნდა მოგეცა. აღარ გაბსოვს?

— ჩვენ ნავთი გვინდა, აღარა გვაქვს.

— რაო, ნავთიო, — გაბრაზებული ნაგაზივით შეხტა და შეტრიალდა სტეფანე. — რა უქენით ამდენ ნავთს, დალიეთ?

— ჰო, შენი სადღეგრძელო გადავკარიო.



— თუ აგრეა, ეყარეთ ახლა, ბიძია, არა მაქვს ნათით.

— ეა, მამ ბნელში როგორ ვიმუშაოთ?

— როგორ და ისე. არაა ჩემი საქმე.

— კაცო, იარაღი მაინც გამოგვიცვა-

ლევ, დღეს ქალებს უნდა შევეჯიბროთ!

— არ ეშვებოდა ვანო. — არ გესმის?

— იარაღს მოვლა უნდა, ბიძია, მოვ-

ლა, შად მაქ მე ამდენი, რომ ყოველ

დღე ახალი ფარნები გაძლიოთ.

— ქალებს ხო დაურიგეთ ყველაფე-

რი? — ცხარობდა ვანო.

დანარჩენებიც ეთანხმებოდნენ.

— ჩვენ რა, ნაკლები ვართ?

— სპეცტანსაცმელის ახალი, ფარნე-

ბიც ახალი, ყველაფერი ახალი.

ვანო ცხვირწინ უტრიალებდა სტე-

ფანეს უშუშო დაკყვტილ ფარანს.

— ამით როგორ უნდა ვიმუშაო?

დამადრჩო მალაროში ბოლმა.

— ჩემი ბრალია მერე? უყვირა

სტეფანემ.

— მამ ჩემი ბრალია?

— შენი ბრალია. რამდენჯერ გამო-

ვიცვალე, აღარ გაბზოვშ? მოუელიდი.

კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა ეს

ყუყუნი, მაგრამ დავითის გამოჩენისთა-

ნავე ყველანი მიჩუმდნენ, მარტო ვანო

არ აპირებდა დამორჩილებას და განაგ-

რძობდა სტეფანესთან დავას. დავითს

პირი დაეხანა და ახლა პირსაბოცით სა-

ხეს იმშრალუბდა.

— რა გინდა, ვანო? — გასძახა და-

ვითმა.

— ფარანს ვეხეწები, გამოიცვალე-

მეთქი, ამით როგორ ვიმუშაოთ, შუშა

არა აქვს. ჩლა არ უყარგა, ისეთ ბოლს

აყენებს, რომ დამაშხული გამოვდივარ

მალაროდან.

— სტეფანე! — გასძახა დავითმა. —

დაურიგე ყველას, რაც უნდათ, მერე

რომ აღარ თქვან, ცუდი იარაღი გქონ-

და და იმიტომ გეჯიგობენ ქალებმაო.

სტეფანემ ბუზღუნით გააღო საწყო-

ბი. მუშები ერთად მიეხვივნენ საწყო-

ბის კარებს.

საიდანღაც გამოძვრა აელიტონი.

ბრეზენტის საწვიმარი ჩაეცვა, თავზე

ჩაბალახი ჩამოებურა და ხელში ფარანი

ეჭირა.

— რა გვიქენი წუხელ, დავით? —

უთხრა მელიტონმა დავითს.

— სვით?

— გაგიგონია! სტეფანემ კინაღამ

დაგვზოცა ყველა. დავითისთვის ამოვი-

ტანე ეს ღვინოო. არც ერთი არ წაგვა-

კარა.

— არა, მართლა?

— სინდისს გეფიცები. სიმონს კი და-

აღვვინა ორი ჩაისს ქიქა. ამ საღამოს-

თვის გადავდევიო. ხვალ კვირაა და ნე-

ბა გეაქვს. ეს ამინდი მკლავს პირდა-

პირ, — ხავილით თქვა მელიტონმა და

ხველება აუტყდა. — ნისლს ვერ ვი-

ტან.

— დღეს კარგი დარი იქნება.

— ეგ კი მაგრამ... — მელიტონმა მი-

მოიხედა, — ამ ქალებს წაიყვან ბა-

რემ.

— წადით, მეც მალე მოვალ.

მთებში ყრუ გრიალი გაისმა. წასას-

ვლელად მიბრუნებული მელიტონი

შეღგა. ყური დაუგდო.

— სოლოა თუ ქუხილი? — იკითხა

მელიტონმა.

— სოლოა, — უბასუხა მცირე დუ-

მილის შემდეგ დავითმა. გარინდებული

უგდებდა ყურს, გამეორდება სოლოა

თუ არაო, მერე აჩქარებით დასძინა: —

წადით, წადით, ამას რომ ყური ეუბ-

ლოთ გაგვაგვიყვებს.

მელიტონმა თავი გაიქნია და შეჯგუ-

ფებულ ქალებს ხელით ანიშნა, გაპყო-

ლოდნენ.

— წავიდეთ, გოგოებო! — დაიძახა

ბელაგამა.

ქალებმა რიგრიგობით ჩაუარეს და-

ვითს. ყველამ სათითაოდ საღამო მისცა.

ბრეზენტის მათ უხეშ ტანსაცმელს,

ჯერ კიდევ სდიოდა თავისებური სენი,

მაგრამ ამ სამოსში ქალები უფრო ლამაზები ჩანდნენ. ყველას ვარდისფრად ატყეცოდა სახე. ნაღიაც მივსალმა და ვითს, თუმცა პირველად განზე უნდოდა გაეხედა და ისე ჩაეელო, მაგრამ შემდეგ სწრაფად მოიხედა და დავითს მოწყვეტით ესროლა:

— ზრასტე!

რაღაც უცნაური თავისებურება გამოკრთოდა ნაღიას ამ შეხედვაში დამისალმებაში. დავითი ოდნავ შეირხა. სიხარული იგრძნო, ის უცაბედი სიხარული. რომელსაც ხშირად განიცდიან მონადირენი, როდესაც მათ თვალწინ ფრთხილად ავარდება ცაში ხოხობი თავისი ცეცხლიანი ელვარებით.

ქალებმა გაიარეს და აღმართს შეუდგნენ.

დავითმა დააპირა ოთახში შესვლა, მაგრამ შედგა, რადგან თვალი მოჰკრა ქერათმიან გალინას, რომელიც მისკენ მიდიოდა. გალინას ისევ თავისი ჭრელი სარაფანი ეცვა. შიშველი ფეხები მაღალქუსლიან ტუფლში ჩაედგა და აქაიქ ამოწრილ ძირკვებზე რომ არ წაფორხილებულიყო, ყანჩასავით მოაბიჯებდა.

— ჩემი საქმე როგორ იქნება, ამხანაგო ინჟინერო? — კვლევად გაუღიმა გალინამ დავითს და მის წინ შეჩერდა.

დავითმა ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო, თმა გადაივარცხნა და ისევ ღიმილით უპასუხა:

— არ ვიცი.

აღმოჩნდა, რომ გალინას ცისფერი თვალები ჰქონდა, ოდნავ ირიბი და მიმოზიდველად დაბინდული.

ყოველი ქალი მაშინვე გრძნობს, როგორი თვალებით უცქერს მას მამაკაცი. გალინა მიხვდა, რომ მხოლოდ ახლა მოახდინა დავითზე შესაფერი შთაბეჭდილება. გუნებაში თან ეცინებოდა, თან უხაროდა კიდევაც, როდესაც დავითმა ჯერ თვალებში ჩახედა, მერე შეშინებულივით შეავლო თვალი შიშველ მხრებზე, შემკრთალმა ერთ

წუთს განზე გაიხედა. ო, შენაძლებელი ყოფილა მასთან ლაპარაკის უნარი!

— მამ შედი არ უნდა მტკიცების ქაბა ჰკითხა ხელმეორედ გალინამ და ელვის სისწრაფით გაიფიქრა: — დამაცადე, სულ დაგაბნე, ჩემო კარგო“.

— მე თქვენ კარგ სამუშაოზე მოგაწყობთ, — უთხრა დავითმა გალინას.

— მართლა? რა სამუშაოზე?

— მოვიფიქრებ, ჯერ ცოტა დამაცადეთ.

— ჩემთვის მოიფიქრებთ?

— დიახ, თქვენთვის.

— ოჰ, — გალინას რაღაც უნდოდა ეთქვა. მაღლობის მაგვარი, მაგრამ შედგა და დაბალი. ინტიმური ხმით ჰკითხა: — რატომ წვერს არ გაიპარსავთ?

დავითს რატომღაც ამ სიტყვებზე ძლიერი გულსაკემა აერყდა. რატომ ეკითხებოდა ამას გალინა? ისევ შეხედა გალინას.

— თუ თქვენ მიბრძანებთ, — გაუღიმა დავითმა და წვერზე ხელი შეისვა, — რა გაეწყობა!

— მე... მე გიბრძანებთ.

— ჩვენ, ქართველებს ჩვეულება გვაქვს, ქალების ბრძანება უსიტყვოდ შევასრულოთ.

— ყველა ბრძანება?

— როდესაც თქვენ ჩემთან ლაპარაკობთ, როგორც ქალი, მე ყველა ბრძანებას შევასრულებ, მაგრამ როდესაც თქვენ დამელაპარაკებით, როგორც თანამშრომელი, მაშინ, კეთილი ინებეთ და, შეასრულეთ ყოველი ჩემი ბრძანება.

— რომ არ შევასრულო?

— დაესჯით!

— ო! — და მცირე სიჩუმის შემდეგ გალინამ ჩაიკინა, თვალები ძირს დახარა, ისევ გაიკინა, მერე დავითს შეხედა, — აი თურმე როგორი ყოფილხართ. ახლა რას მიბრძანებთ?

— წადით და ჩემს მაგივრად უთხარით ექიმს, მას ამბულატორიაში თანამშრო-



მელი ქალი სკირდება. უთხარით, რომ მე გაგზავნეთ. იქნებ სხვა სამუშაოზე გინდათ მოგაწყობთ?

— არა, ამბულატორია შესანიშნავია. მე თქვენი დიდი მადლობელი ვარ. — უბრალოდ და გულწრფელად უთხრა გალიამ. უცხად ჩაქრა მათ შორის გამართული საუბრის დამატულობა. ახლა ისინი თითქოს დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. გალიამ მოხდენილი ტანის რბევით ერთი ნაბიჯი გადადგა და დავითს შინაურით უთხრა:

— მე თქვენ ოთახს დაგილაგებთ.

— არა, რას ამბობთ! — იუარა დავითმა. — მე თვითონ დავლაგებ.

— ნებას არ მძლევეთ?

— რად უნდა შეწყუბოვდეთ.

— მე რომ გიბრძანოთ, როგორც... — გალიანა დაიხარა, მეთუნას ფოთოლს დასწვდა, მოწყვითა და თავისი თეთრი კბილებით ფაქიზად მოკვნიტა ღერო, — როგორც ქალმა?

— მაშინ რა გაეწყობა, უნდა დაგმორჩილდეთ, — გაიცინა დავითმა. — მხოლოდ არ შეშინდეთ ჩემი ოთახის დანახვასზე.

ორივენი ოთახში შევიდნენ. დავითი ხალათს მისწვდა და ჩაცმა დაიწყო. გალიამ მიმოიხედა და წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, ეს ოთახი, მგონი არაოდეს არ დალაგებულა!

— ეგ იმიტომ, რომ, როგორც ბერის სენაკში, ამ ოთახში ჯერ ქალს ფეხი არ შემოუდგამს.

ფუსფუსით შემოირტყა ქამარი და შემდეგ აღარ ახსოვდა, ან რა უნდა გაეკეთებინა, ან სად წასულიყო. სცადა, ისე მიმოეხედა, რომ გალიანა მხედველობის არეში არ მოხედროდა.

— ჰო, — მოავონდა, როგორც იქნა, დავითს, — მე უნდა წავიდე.

— მე კი ცოცხს მოვიტან.

ორივენი გავიდნენ ოთახიდან. დავითმა სამზარეულოსაკენ გაუხვია.

თომა კარებში იდგა და, როდესაც დავითი მიუახლოვდა, თავაზიანად გზა

დაუთმო. მერე კუთხეში მიღებული პატარა დაბალ სუფრასზე ჩაიჯდნენ და დაწყნარდნენ. თომა გუნდისკენ მიზრუნველობით ეპყრობოდა დავითს და კერძადაც ცალკე უმზადებდა.

— ეჰ, ერთი შენი ხნის ვიყო და მეტი არაფერი მინდა. — თქვა თომამ და ტახტზე ჩამოჯდა.

— როგორ?

— როგორ და, ცხოვრება თქვენია, ახალგაზრდების, ჩემო დავით, თქვენი! გოგო რომ გაგიციენებს და მერე ყველაფერი რომ გიხარია, რა სჯობს იმას! მთელ ქვეყანას რომ მოხვით ხელი და გულში ჩაიხუტო, ის გინდა. აგერ წელიწადნახევარია, გიყუბებ და ისე იყავი, რომ, შენ არ მომიყვდე, მეცოდებოდი. ახლა შენს მაგივრად მე მიხარია. ბუნებას ასე გაუეჩენივართ და რას იზამ. თავის დრო აქვს ყველაფერს. კონფუცი ბრძენს უთქვამს: ყოველი თავისუფალი დრო კაცმა სწავლას უნდა მოანდომოსო. შენ სწავლა არ გაკლია, ასე რომ... — თომამ აღარ დაამთავრა და ხელის თავისებური მოძრაობით შეეცადა გამოეხატა, რისი თქმა უნდოდა, ვითომ ცხოვრებაში გზა გახსნილი გაქვსო.

საუბრე გემრიელი იყო, მაგრამ დავითი მინც ვერ კამდა. ზეზე წამოდგა და თომას უთხრა:

— ეს შემინახე, მერე მოვაღ. მუშებმა ისაუბრეს?

— ანელამ. ჯერ ქალები გავუშვი, მერე დანარჩენები.

— აბა, მე მალაროში ავალ და მალე დაებრუნდები.

— როგორც გენებოს.

დავითმა წეკო გაახვია, თომას მოწოდებულ მუგუზულზე მოუკიდა და გარეთ გავიდა.

თქორავდა და ზანტად ამოძრავებული ნისლი ისევ ფარავდა მიდამოს. მღინარიდან ცივი შმორის სუნე მოდიოდა.

გზადაგზა დავითმა მესამე ბარაკში

შეიხედა. გალინა და ლიდა ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ ტახტზე. ლიდას ხელში ცოცხი ეჭირა და რაღაცას უამბობდა გალინას.

— ის არამზავია, ის. — ამბობდა ლიდა და ცოცხით ვიღაცას ემუქრებოდა. — როგორ ვიფიქრებდი, არა, შენ წარმოიდგინე, როგორ ვიფიქრებდი...

ისევ ეცა თვალში დაეითს გალინას შიშველი მკლავები და ოქროსფერი კვლულები. თავს ძალა დაატანა, ბარაკს მოშორდა და მაღაროებისაკენ წავიდა.

თხილის ტოტს მისწვდა, მაგის სწრაფი მოძრაობით მოტეხა და ხელის ერთი გასმით გააცალა ფოთლები, მოქნილი სახრე რამდენჯერმე ჰაერში გაასოვილა, მერე თითქოს დაეცეპს უპირებდა, ტყავატყვივით დაამტვრია და აწწლებში ისროლა.

გვირაბები დაკიდულ კლდეზე სართულებად განლაგებულან. მათ ძაფივით აერთებს გამაღნებელი ძარღვის ზოლი. სამსმეტრიანი კლდე ახლა ზღაპრულად მაღალი ჩანს, რადგან მისი თხენი ნისლშია გახვეული და მთელი ეს პირქვეში კედელი მრსხანედ ამართულა თავისი განიერი ბეჭებით.

ღრუბლიან ამინდში მთები უფრო მაღალი ჩანან. მაშინ ყოველთვის გვეჩვენება, თითქოს ღრუბლები კი არ დაწვეულან დაბლა, მთები წამომდგარან ფეხზე და თავიანთი ჩაჩქანებით გაუბლევით თავზე გადმოფენილი საბნეები. უსაზღვროდ მაღალნი არიან მაშინ მთები, რადგან მათ სარბოლას სიმაღლისაკენ დასასრული არ უჩანს, ღრუბლებში იკარგებიან ისინი.

მოწმენდილ ამინდში სულ სხვაგვარად მოჩანან. მაშინ ფეხმორთხებით სხედან და გარინდებულნი უცქერიან ერთმანეთს. ეს გვირაბებიანი, დაღარული კლდეც არ ჩანს მაშინ ასე მაღალი.

ახლა კი სად მსულა, როგორ, როგორად აზიდულა, თითქოს მარ მისწვს მკლავებელი გოლითი აწვეულა და მის მიწა თან აეთრევია. აწვეულა და ბეჭებმობრილი, პირქვემად გასცქერის სამყაროს.

ზანტად ღელავენ ნისლის ტალღები. სირქნეა გარშემო. დაეითს ამკარად ესმის თავისი მოკვდილი ჩეჭმების ხრამხარული ქვიშით დაფარულ ბილიკვ. ქვიშა სველია.

ღელეში, გიგანტური მორენის ძირში, ბუცბუცით ამოქეხს ვეძა და მის ნაკადულს ყანგით დაუფარავს რიყე. ყანგიანი აგურისფერი ზოლი ყარგა მანძილზე მიუყვება ღელეს და მდინარის კალაპოტში იყარგება.

ვეძა გემრიელია და მაქარივით ფხაქუნა. ყველანი სიამოვნებით სვამენ ამ რკინის წყალს და ყოველ დილა-სალამოს აქ ნამდვილი ქვიფი იმართება. სამუშაოზე მიჰვალი ან სამუშაოდან მომავალი მუშები მუდამ იკრიბებიან ამ წყაროსთან. თუნუქის პიქებით სვამენ ვეძას და გულს იგრბლებენ.

წყაროს მარცხნივ თრომივით მორგვალეული ბაქანია და თითქმის იქვეა კლდეში შეჭრილი პირველი გვირაბი.

დაეითმა პირდაპირ შეუხვია გვირაბში.

საღლაე შორს, სიღრმეში, პატარა წერტილებივით კიაფობენ ფარნება. გვირაბში ნესტისა და კიარკლის სუნით იდგა. აქა-იქ კედლებიდან წყალი ეონაედა. დაეითი თამამად მიბიჯებდა უფაროდ, რადგან გვირაბი სწორად იყო გაჭრილი და სინათლე თითქმის აღწევდა სანგრევამდე. ალაგალაგ საოცრად ბზინავდნენ ლითონისა და ქარსისკრისტალები.

მოეარ სანგრევამდე ოთხი განიერ შტრეკი იჭრებოდა.

დაეითმა პირველ შტრეკშივე დაინახა სინათლე. განზე გაუხვია და სანგრევთან მივიდა. აქ ორი ქალი იდგა. ისინი დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ.



— როგორაა საქმე? — იკითხა დავითმა და ორივენი შეათვალისწინა. — არ დაგვიწყობ?

ქალებმა მოიხედეს და დავითს დააკვირდნენ.

— არ დაგვიწყობა, ამხანაგო ინტინერო, — უთხრა ერთმა, — აი ვდგევართ და არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ.

— განა ათისთავმა არ ავიხსნათ? თქვენი სახელი?

— ტანია.

— თქვენი? — მოუბრუნდა მეორეს დავითი.

— მარია, — რალაც დარცხვენით უპასუხა მეორემ და განზე გაიხედა.

— არ ავიხსნათ ათისთავმა?

— გვითხრა, შვიდი შპური უნდა გაბურღოთო. თითო სამოცი სანტიმეტრი, — უპასუხა ტანიამ.

— მერე? ოთხ შპურს კუთხეში გაკრით, სამს შეაგულში, აი ასე, — უჩვენა ხელით დავითმა, — ვითომ სანგრევის ამოგულვა გვინდოდეს. შპურის ბოლოები სიღრმეში ერთმანეთს უნდა უახლოვდებოდნენ. გაიგეთ?

— გაიგეთ, — უპასუხა ტანიამ. — ჩვენ ტალკზე ვმუშაობდით და ამიტომ გვეპატიება არ ცოდნა.

— ჩაქუჩისა და ბურღის ხმარება ხომ იცით?

— ვიცით.

— ფრთხილად იყავით, ერთმანეთს არა დაუშაოთ რა. აქ მაგარი ფენაა. აბა დაიწყეთ. ვნახოთ, როგორ მუშაობთ.

ტანიამ ფარანი ჰერში დამაგრებულ ჩანგალზე დაჰკიდა და ჩაქუჩი აიღო. მარიამ ბურღი მოიმარჯვა. მოძრაობაში უხერხულობა ეტყობოდა, არ იცოდა, სად დაეწყო პირველად გაბურღვა. ფოლადის ბურღი მძიმე იყო და ადვილად არ ემორჩილებოდა ხელს. კუთხეში ადგილი ამოირჩია, ბურღის წვერი მიაყრდნო და ტანიას მიუბრუნდა:

— მოიტა.

დავითმა გაიცინა.

— დაიცით! დაიცა, ტანია! მომეცი 6. „მნათობი“ № 5.

ბურღი აქ პირველად ძნელად გასაბურღი შპურები უნდა გაეჭრა. ქველაზე ძნელია ქვედა კუთხეებისა და შუათანა შპურების გაჭრა. დაიწყოთ ქვემოდას. ბურღი აი ასე უნდა დაიჭიროთ, — უჩვენა დავითმა და ბურღი მარჯვედ მიადგა ქვემო კუთხეს, — აი, ოდნავ დაქანებული დაიჭირე!

მარიამ გამოართვა ბურღი და უნებურად წამოიძახა:

— იი, ასე ძალიან ძნელი იქნება დგომა.

— ცალ მუხლზე უნდა დაიჩოქო. ახლა ხომ აღარ არის ისე ძნელი?

— არა. — ღიმილით უპასუხა მარიამ.

— აბა, ურო მომაწოდე! — მიუბრუნდა ტანიას დავითი, — დსაწყისში ძალიან მაგრა ნუ დაქრავთ, თორემ ბურღი ასხლტება და შეიძლება მარცხი შეგემთხვეთ.

დავითმა ორჯერ შემოჰკრა ურო.

— შეაბრუნეთ ბურღი.

— როგორ? — ეერ გაიგო მარიამ და დააპირა, ბურღის მეორე ბოლო მიეყრდნო სანგრევისათვის.

— ხელში აბრუნეთ ბურღი, — უთხრა სიცილით დავითმა.

— პო, მართლა, რა სულელი ვარ! — გაიცინა მარიამ. — ეს როგორ მომივიდა!

დავითი რამდენიმე წუთის განმავლობაში მოხდენილად სცემდა უროს ბურღს და, როდესაც რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმეში შპური გაბურღა, ურო ტანიას გადასცა.

— აბა ახლა თქვენ განაგრძეთ.

ტანიამ ჩამოართვა ურო, მარჯვედ დადგა და ხელი მოხდენილად აიჭნია. დარტყმა მაინცდამაინც მოხდენილი არ გამოვიდა და ურო ოდნავ განზე გაუსხლტა.

— მე წავალ. სანამ პირველ შპურს გაბურღავთ, ისევ მოვალ და გასწავლით, როგორ გაბურღოთ დანარჩენები. ყოველი კუთხის ბურღვას განსაკუთ-

რებელად სჭირდება ბურღის დაკერა და უროს მოქნევა.

— არა უშვას-რა, ამხანაგო ინჟინერი. — თქვა გამზიარულებულმა ტანიამ. — ვიცით.

დავითი წავიდა. ორივემ თვალი გააყოლა და, როდესაც მისი თეხის ხმა მიიწყდა, ტანიამ ხალისით წამოიძახა:

— კარგია, იცი!

— ძალიან კარგია. — დამოწმა მარია. — მაგრამ არც მე და არც შენ. მოდი ვბურღოთ.

— სულელი!

— არაფერიც. ნადასია უკვე. — დარწმუნებით თქვა მარიამი.

— ვითომ? ამ დილით ვერ დაინახე, გაღონასთან რომ ჩურჩულებდა?

— მართლა, გალკა ისე იმანჭებოდა მის წინ, გეგონებოდა, ეს-ეს არის კისერზე ჩამოეკიდებო. მოვიდა თუ არა, მაშინვე დაიწყო უფროსებთან თვალეზის პაქუნა და კედლის ქნევა. იცის, რითი გაიტანოს.

— მოდი ვიმუშავოთ.

— მოდი.

ტანიამ თამამად მოჰკიდა ხელი უროს, და შეუდგნენ მუშაობას. სანგრევში გამუდმებული ბაგაბუფი გაიხსმა.

დავითმა მეორე სანგრევში შეიხედა. რამდენიმე წუთის მუშაობამ საოცრად გაახალისა და ახლა მზად იყო მთელი დღე ემუშავა. რადგან მის ძარღვებში ძალ-ღონემ გაიღვიძა. ზამთრის განმელოებაში ის ხშირად მუშაობდა სანგრევში მბურღავად, რის გამო მუშების განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა. ჯერ ერთი ყველას სჯობნიდა, რაც საერთოდ ძალზე ამაღლებდა მის ავტორიტეტს მუშების თვალში და, მეორეც, ყველას ესახელებოდა ისეთი უფროსის ყოლა, რომელიც პირად მაგალითს იძლეოდა მუშაობაში და სხვებსავე არ პეწენიყობდა.

— ინჟინერი მაგისტრანა უნდა, — ამბობდნენ ხშირად მუშები, — თუ ბიჭი ხარ, ახოუდექი გვერდში! მე შენ გეტ-

ყვი. მოატყუებ. ეს ქანი მაგარიცა, იქ ვერ ვიმუშავებ, აქ ნორმა უნდა იქ ფას ცოტას ვლებულობ. დაღებმა ტიპითონ, შენ თავზე დაგიყენებს, მოდი და უცქირე. როგორ იმუშაოს. რისი მაგარი ქანი, რომელი ნორმა, გაგაწითლებს კაცს. საქვეყნოდ მოგჭრის თავს. მერე და საქმე არ იცის და შეეშლება! ნეტავი აგზე კარგად ჩვენ ხაქაბურის ჰამა ვიცოდეთ, როგორც მაგან თავისი საქმე იცის.

მეორე სანგრევში ნადია და პელაგია დაეყენებიათ. დავითი ჩექმების ბრაზუნით მიუახლოვდა ორივეს და, სანამ სინათლის შუქზე მათ სახეებს გაარჩევდა იკითხა:

— აქ რომლები მუშაობთ?

პელაგიამ ურო ძირს დაუშვა და მიიხედა.

— აა, თქვენა ხართ? — იცნო დავითმა, — როგორაა საქმე?

— არა უშვას-რა, — უპასუხა პელაგიამ. — ემუშაობთ.

ბურღვა მათ სწორად დაეწყოთ მარჯვენა ქვედა კუთხიდან. ნადია ბურღზე იჯდა. დავითის დანახვისთანავე ადგა.

— აა, ნადია თქვენც აქ ხართ? — ვითომ ახლა პირველად შენიშნა დავითმა და გაუღიმა.

— ჩვენ სულ ერთად ვმუშაობთ, — უპასუხა ნადიას მაგივრად პელაგიამ. ნადია ჩუმად იდგა.

დავითმა სანგრევი შეათვალიერა.

— ბურღვა სწორად დაგიწყიათ. მერე მარცხენას გაბურღავთ.

— ვიცი. — შეაწყვეტინა პელაგიამ. — შეაშააც სამი მპური უნდა გავჭრათ. განა ბევრი არ არის?

— არა. ჩვენ ვცადეთ, მარტო ერთი მპური გავგეჭრა შეაში, მერე ორიც ვცადეთ. არაფერი არ გამოვიდა. ნახევარმეტრიანი სტაქნები დატოვა.

— მაგარი ქანებია, — თქვა პელაგიამ და უროს დაწვდა. — აქ ბევრს ვერ გამოვიმუშავებთ.

— ნახევარი მეტრია ნორმა, მაგრამ,

სამაგიეროდ, ფაიცი დიდი, — თქვენ, ეატყობ, სწავლება არ გვირდებათ. პირ-
იქით, მე ხელს გიშლით.

დავითი წავიდა, პელაგიამ ურო აი-

ლო და დაეწყო ლოდინი ხანამ მარტია
ბურღს დასწევდებოდა, ის კი თითქმის
არ ჩქარობდა. ნელა ჩაიხრქა, მარტია
მოიმარჯვა.

თავი მესამე

მთელი კვირა გავიდა, მარკშიდერი
არ ჩანდა და დავითი დარწმუნდა, რომ
ის აღარ დაბრუნდებოდა. ქანიდან გა-
მოხეთქილმა წყალმა კი სამ სართულზე
იანლაგებელი გვირახები სრულიად
აქრო. სულ ზედა გვირახის განივი სან-
გრევიდან, სადაც წყალმა გამოხეთქა,
გვივებოდა ოცი მეტრის სიღრმის გე-
ზენკი, იქიდან, გამადნებულ ძარღვის
დასწვრივ, კიდევ მიუყვებოდა გვირა-
ბი, რომლის ბოლოს ახალი, სამოცი
მეტრის სიღრმის გეზენკი იყო გაჭრი-
ლი, მას სიღრმის გამო შახტს უწოდებ-
დნენ და გამოამუშავებულ ქანებს იქე-
დან ჯალამბართ ეზიდებოდნენ. ამ
შახტს ფსკერიდან იწყებოდა მთავარი
გვირაბი, რომელიც ჰკვეთდა გამადნე-
ბულ ძარღვის ძირითად მასას. ახლა
მთელი ეს ჯგურობაში ჩაყიდული ქა-
გვირაბები წყალმა სრულიად აავსო და
თითქმის მთელი სამუშაოები შეაჩერა.

ეს მოსალოდნელი შემთხვევა და-
ვითს წინასწარ ჰქონდა გათვალისწინე-
ბელი, მან იცოდა, რომ ადვილი იყო,
წყალს საიდანმე გამოეხეთქა და ამისა-
თვის რამდენიმე თვის წინათ, ყველაზე
დაბლა, ხეობის მეორე ღარტაფიდან
დაიწყო ახალი გვირაბის გაჭრა, აქედან
არა მარტო ქანებში გამოჩაყონი წყალი
უნდა გამოეშვა, არამედ მადნის გამო-
ზიდვაც მომავალში ამ გვირაბიდან უნ-
და ეწარმოებინა. ამიტომ შედარებით
სხვებთან ამ გვირაბის გაჭრას ყველაზე
მეტად აჩქარებდა და მალე ის ისე
ღრმად შეჭრეს, რომ მხოლოდ ოცდასა-
მი მეტრის სიმაღლის მანძილით იყო
დამორებული იგი ზედა სართულისა-
გან. ახლა ამ გვირაბის სანგრევიდან სა-

კირო იყო ზუსტი მიმართულებების მი-
ცემა, რათა ეს დარჩენილი მანძილი
სასწრაფოდ გაეცლოთ და გვირაბებში
ჩაგებული წყლისათვის გზა მიეცათ.
დავითმა სამი ცვლა დააყენა სანგრე-
ვთან, მიმართულებაც თვითონ აღუნიშნა
თეოდოლიტით, თუმცა ამ საქმეში საყ-
მად დახელოვნებული არ იყო და მი-
სი სისწორე ცოტა არ იყოს ეუქნებოდა.
ამიტომ რაც უფრო მიიწვედნენ წინ
დავითს მოუსვენრობა ეტყობოდა,
თითქმის ყოველდღე ამოწმებდა გამო-
თვლებს და მიმართულებების სისწორეს
ყველაფერი თითქო რიგზე იყო.

მარტო მელიტონი ეუქნებოდა, სანგრე-
ვთან სულ მარცხნივ იცქირებოდა, მას
რატომღაც ეგონა, რომ შემხვედრი გვი-
რაბი იქით უნდა გაეჭრათ.

— რაო, მელიტონ? — ჰკითხა ერთ-
ხელ დავითმა. — არ მივიღივართ სწო-
რად?

— არა, რაცხა ისე მგონია, — შეათა-
მაშა მხრები მელიტონმა და თანაც ხე-
ლით ანიშნა, — რომ ასე უნდა წაე-
ყვანოთ გვირაბი.

— რა ვიცი, ჩემო მელიტონ, გამო-
თვლები და ეს თეოდოლიტი ასე გვი-
ჩვენებს და რომელს დაეუჯეროთ, შენ
თუ ამ იარაღს?

— არა, რას ბრძანებთ, მე ისე მოგახ-
სენებთ, თორემ რა ვიცი, ალბათ, სწო-
რია, — აჩქარებით მიუგო მელიტონმა,
მაგრამ ხმაში ეტყობოდა, რომ ისე
ეუქნებოდა.

დრო ახლა შემოწმნეველად გარბოდა,
სროლის ხმა იშვიათად ისმოდა.

მაქსიმეს სავაჭრო ფარდული ყოველ
სალამოს სავსე იყო მუშებით. ამ ფარ-

დღეს პირველ ორსამ დღეს, რაც მუშა-ქალები მოვიდნენ, არავენ ეკარებოდა. მაქსიმემ მოიწყონა, მაგრამ შემდეგ, როგორც კი ქალებისათვის განკუთვნილი საქონლით თაროები დაამშვენა, მისი ფარდული სკასავით ახუხუნდა. თანაც დღეგალს ნარდი გააკეთებინა და ყოველ საღამოს ამ ნარდთან რიგი იყო გამართული.

ქალებს ოდნავ გაუჭირდათ, შებტუებოდნენ ახალი სახის სამუშაოს. პირველ დღეს პელაგიას და ნადიას ბრიგადის გარდა ვერცერთმა ვერ შესრულა ნორმა ოა ზოგიერთებმა სულაც ვერ მოახერხეს მაგარ ქანებში შპურების გაჭრა. დავითი იძულებული იყო ისინი ამწმენდებად გადაეყვანა და ცვლათა საამუშაო დრო სულ სხვაგვარად გაენაწილებინა.

მთელ საზრუნავს ახლა შემხვედრი გვირახის გაჭრა წარმოადგენდა, რადგან ჩაგუბებული წყალი აფერხებდა მუშაობის გაფართოებას.

მერვე თუ მეცხრე დღეს მელიტონმა სადილობის დროს მოძებნა დავითი, რომელიც საკომპარესორო დაანადგურებს ათვლიერებდა და დაღვრემილი სახით უთხრა:

— გავერით უკვე ოცდასამი მეტრი.

— მერე? — შეუბტა გული დავითს და მელიტონს მოუთმენლად შეაკქერდა.

— რა ვიცი, — მოიქექა კისერი მელიტონმა, — არაფერი ეტყობა. მგონია...

— გაზომე? — შეაწყვეტინა დავითმა.

— რამდენჯერ, თუ ახლად გაჭრილ შპურებს წაუტმატებთ, მეტიცაა.

— წამოდი, ვნახოთ.

ორივე აჩქარებული ნაბიჯებით გაემართა ქვედა გვირახისაკენ. დავითი თითქმის გარბოდა. მელიტონი ქოშინით მისდევდა უკან. ორივეს შესამჩნევი აღელვება ეტყობოდა. მელიტონი წამდაუნებლად იჩნეოდა თავს და უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა:

— რატომ არ შეხვდა ახლა ეგ ოხერი...
 არქონე
 გელეჯავილი

სანგრევთან აბესალომი და ილიკო დაუხვდათ. ისინი მეორე ცვლაში მუშაობდნენ.

— როგორაა საქმე? — იკითხა დავითმა და სანგრევი შეათვალერა.

— რა ვიცი, ჩემო დავით! — უპასუხა აბესალომმა და ურო ძირს დაუშვა. — აგერ უკანასკნელ შპურს ვჭრი და ვნახოთ.

— როგორ ფიქრობ, სწორად მივდევართ თუ არა? შენ გამოცდილი კაცი ხარ.

— რა მოგახსენო. შეე-ქვაში რო ვმუშაობდი, იქ ადვილი იყო შეტყობა. გვირახები ერთ სიბრტყეშია ყველა. ასე ზევით ქვევით გვირახებში, ახლა რო ვმუშაობ პირველია ჩემთვის და ნამდვილს ვერაფერს ვერ გატყვი. ვერას-გზით ვერ მოვიმხარე. ისე კი, მელიტონის არ იყოს, მეც შეეჭვება.

— ვითომ?

— სწორად რომ მივლოდეთ, რაც შენ თქვი, ის გავჭერით უკვე. ვთქვათ, ნახევარი მეტრით შევცდით, ეგ არაფერი მარა წყალი მაინც გამოეონავდა.

— არა მგონია. აქ სულ მაგარი ქანებია.

— მაგარი კი არა, რბილია. ასე იოლი საქრელი ნეტა ზედა გვირახები იყოს. პატარა სინოტივეს მაინც შევატყობდით. ამას შეხედე! — შეუსვა ხელი სანგრევს აბესალომმა, — უთოსავით შშრალია სულ.

— მაშ, შენი აზრით, აუცილთ სწორ მიმართულებას?

— აგრე მგონია.

— ასე, აქეთ უნდა გაგვეთხარა, ჩემო აზრით, — ჩაერია ლაპარაკში მელიტონი და ხელით ანიშნა, — ამას შეხედეთ აგერ, ა!

— რას?

მელიტონმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან, გვირახის ქერსა და კე-



დღეს ხელი მოუსვა და ფარანი მია-
ნათა.

— შეხედეთ ნოტიოა. აქეთ მხრიდან
აწეება წყალი

დაეთმა შეათვალიერა მელიტონის
მიერ ნაჩვენები ადგილი. გვირაბის კე-
დელიც და ქერიც თითქოს უფრო ნო-
ტიო იყო.

— თქვენ რას იტყვიან? — ჰკითხა
დაეთმა აბესალომს და ილიკოს.

— აგრე ვფიქრობ მეც. — უბასუხა
აბესალომმა.

— არა, — გადაჭრით თქვა დაეთმა
მცირე დუმილის შემდეგ, — განაგრო-
ძეთ ისევე მუშაობა. მე წყალს, კიდევ
შეეპოწმებ გამოთვლებს. გაეჭრით კი-
დევ რამდენიმე მეტრს და მერე ვნა-
ხოთ.

— როგორც გენებოს, — უხასია-
თოდ ჩაილაპარაკა მელიტონმა. მას
გული წყდებოდა, რომ დაეთით არ
უჯერებდა და გვირაბის მიმართულე-
ბას არ ცვლიდა.

დაეთით თავის ოთახში დაბრუნდა და
გამოთვლებს ჩაუჯდა. თავიდან ბო-
ლომდე შეამოწმა, მაგრამ შეცდომა
ვერსად აღმოაჩინა. ყველაფერი რიგზე
იყო. მანძილიც ზუსტად ოცდასამი მე-
ტრი გამოდიოდა. მამ რისთვის არ
ხედებოდა ქვედა გვირაბი ზედას?
ასეთი უცნაური ამოუბნეელი ამოცანა
მას არასოდეს არ შეხვედრია.

ჩაფიქრებული დაკვიროდა ნახაზს
და აღარ იცოდა, რა ღონისძიებისათვის
მიემართა, რომ ეს საიდუმლოებით აღ-
საესე ამოცანა ამოეხსნა.

სიმონმა დაუკითხავად შემოაღო კა-
რები და ტახტზე ჩამოჯდა.

— გეყოფა მაგდენი მუშაობა, — ლი-
მალით უთხრა სიმონმა დაეთის.

— ნეტავი შენ. რომ არაფერი დარდი
არ გაწუხებს.

— შენ რა გაქვს სადარდო, კაცო! —
უცბად შეიცვალა კილო სიმონმა, — ის
ერთი ტაქტორა ღვინო რომა აგერ და-
სალევი და მთელი თვე შემაჩერეთ ზედ,

წამლად თუ ინახავ, გამოვწერ ბარემ
რეცეპტს.

— რომელი ღვინო? — გაუკვირდა
დაეთის.

— რომელი და ნიშანიცორა, სტეფა-
ნემ რომ მოიტანა.

— როდის?

— ქალები რომ მოიყვანა, მაშინ.

— ის ღვინო კიდევ შენახული აქვს?

— ვეხეწე, მომყოფე, მანტქე-
მეთქი. შენც არ მომიკვდე, არ გავკეა-
რა. ე, ბიჭო, თქვი ჰო-თქო, უშენოდ ზე-
დაც არ შეგვახედა. მერე დღეს ვანო
წავიდა სათევზაოდ. ერთ ფუთ კალ-
მახს მაინც დაიტერს. ღმერთი გწამს ახ-
ლა შენ? ადუ ზეზე, გამოიდი გარეთ. გე-
ლაპარაკებო: სანამ ის ღვინო შეგულებს,
აღარც მილო მაქვს და აღარც მოსეე-
ნება.

— დაელით, თუ აგრეა, ოღონდ ახ-
ლა კი არა, საღამოს, მუშაობის დასრუ-
ლების შემდეგ. მით უმეტეს, დღეს შა-
ბათია.

— მადლობა ღმერთს, შეიოა, რო-
გორც იქნა, ბერი.

ამ დროს ოთახში სირბილისაგან
გულამომჯდარმა ნადიამ შემოიბრინა.

— რა იყო, ნადია? — წამოდგა და-
ეთითი.

— გვირაბები... შეხედა ერთმანეთს.

— შეხედა? შენ რა იცი?

— იქ ვიყავი. მე თავიდანვე სულ
ვეთვალთვალეზი და ველეავდო.

— წყალი წამოვიდა?

— ისეთი ქუხილით მოდის!

სამივენი გვირაბისაკენ გაიქცნენ. და-
ეთის გული ბაგაბუგით უცემდა.

მეორე ცვლის მუშები კლდის ქიმზე
შეგროვილიყვნენ და გვირაბის პირს,
უკვიროდნენ. წყალი ქუხილითა და
ზაოქით მღვრიე ტალღებად გამოიბო-
და გვირაბიდან და სიცივე გამოჰქონდა.

აბესალომი შორიდანვე შეეგება და-
ეთის.

— მოსალოცი საქმეა, დაეთ ბატონო!

— მოხვდა ხომ? — სიცილით უთხრა დავითმა.

— იმე, რაფერ მერე, რომ გავკვრიოთ შპურები, დაეტენეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, გამოვედით გარეთ. მელიტონმა მოუკიდა, გამოვიდა ისიც, თეთუნს ვახვევთ. აფეთქდა. არაფერი, ვითომ, ჩვენი ჰქვით. ვუცდით სანამ განიადღება გვირავი, რომ შიგ შევიდეთ. ერთი დაიძახა წყალმა — უო! და გამოვარდა, მარა რაფერ, ა, შენც ხედავ აგერ, სულ მოაქვს ცა და ქვეყანა. რომ აღარ თავდება მაინც.

— ხუთი ათასი კუბომეტრი წყალია. ცოტა კი არაა.

უცნაური სიზარულის გრძნობას შეეპყრო დავითი. შზად იყო, გადახვეოდა ყველას და გადაეკონა. მოიხვდა, მთელი მისი კოლონია აქ მოსულიყო. ბექობზე გამწკრივებულიყვნენ და გვირავის პირს უცქეროდნენ. გვირავის დაღებულ პირში კი ენასავით ტლამუნებდა ძარღვიანი წყლის ნაკადი.

— რაო, მელიტონ, გამიმართლა ხომ?

— ვკაცვავ თითს, დავით ჩემო, — ღმილით უპასუხა მელიტონმა.

— აბა, როგორ გეგონა!

— მეცნიერება სხვა არის, ჩემო ბიძია! — ჩაერია ლაპარაკში თომა, რომელიც სხვებთან ერთად მოსულიყო სეირის საყურებლად. — პლიტარქოს ბრძენმა თქვა, ყოველი მგზავრი და გარეთ გასული ცდაშია, შინ დაბრუნდეს. მხოლოდ მეცნიერნი კი ცდილობენ — სიბრძნე და ჰქუა შეიძინონო.

ყველამ გულიანად გადაიხარხარა. თომამ კმაყოფილად მოიხვდა, დავითმა კი ხელი სტაცა თომას და თავისკენ მოახვდა:

— როგორ? როგორ? ეგ სწორედ ჩვენზეა ნათქვამი. გესმით თქვენ? — გასძახა მუშებს დავითმა. — ყველას რომ გასაქცევად გიჭირავთ თვალი, გესმით, რას ამბობს, თომა? რა ჰქვიან იმ ბრძენს?

— პლიტარქოსი.

— რა უთქვამს პლიტარქოსს გესმით?

— მაგან რამდენი კილო ჰქუა შეიძინა, რაც სახლიდან წამოვიდა? ჰკითხვ ერთი მაგას? — დაიძახა მელიტონმა.

მუშები უფრო ახარხარდნენ.

— ჰა, ყოჩაღ, თომა!

— მეცნიერია მაგ დაღუბული!

— მართალი კი თქვა.

— ეგ რაქველებზე უთქვამს იმ... რა ჰქვია იმ შენს ბრძენს?

ნადიაც იღიმებოდა. თუმცა არ ესმოდა, რაზე იცინოდნენ მუშები. მერე დავითს ჰკითხა:

— რა მოხდა, რაზე იცინიან ბიჭები?

— ოჰ, დიდი ორიგინალია ჩვენი თომა, — უპასუხა დავითმა. — სიბრძნეებს ლაპარაკობს.

— სასაცილო სიბრძნეებს?

— არა, მაგრამ მაგის ნათქვამი ყველაფერი სასაცილოდ მოიხსნის.

ნადიას სარაფანი ჩაეცვა და ზურგი მხოლოდ ჯარადინი ბაფთისებური სარტყლით ჰქონდა დაფარული. ფეხებზე ისევ თავის ქუსლებმოქცეული ჩექმები ეცვა. რისთვის არ აიღო საწყობიდან ტუფლები?

— ნადია.

ნადიამ მოიხვდა. ადგილიდან არ დაძრულა. დავითი მიუახლოვდა, ოდნავ დაიხარა და დაბალი ხმით უთხრა:

— ნადია, რად არ აიღებ საწყობიდან ტუფლებს?

ნადიას გაუკვირდა, ჩექმებზე დაიხვდა და დავითს დაბნეულად უპასუხა:

— ფული არა მაქვს ჯერ.

— ფული? რად არ მიიხარო თუ აგერ იყო, ახლავე გამოგიწერ ავანსს.

— არა.

— კარგი ერთი, როგორ თუ არა?

— არა, მერე. აი შეხედეთ, წყალი უკვე აღარ მოდის. დაიცალა გვირავი.

მართლაც, წყლის დენა გვირავიდან მოულოდნელად შეწყდა და დავითმა ვერც კი შეამჩნია ეს წუთი. მელიტონი



უკვე იცვრებოდა გვირაბში. აბესალო-
ში ფარანს ანთებდა.

დავითი გვირაბისკენ გაიქცა. აბესა-
ლოში აანთო ფარანი, მელიტონს გაუ-
წოდა და სამივენი გვირაბში შევიდნენ.

კედლებიდან წურწურით ჩამოდრიდა
წყალი და ისე მძლავრად სცემდა ჰაერის
ნაკადი, რომ მელიტონის ფარანი
მაშინვე ჩააჭრო.

— ჰო, ჰო, არ მოქაჩა ჰაერი! — წამო-
იძახა ალტაცებით მელიტონმა. — არი-
ქა, მომეციო ასანთი. ხომ ხედავთ, და-
მიჭრო. ვენტილატორია ამაზე უკეთესი
შეიძლება?

ჰაერის განიავება გვირაბებში ყვე-
ლაზე მტკივნეული და ძნელი საქმეა,
გამსაკუთრებით, როდესაც მუშაობა
აფეთქებით მიმდინარეობს. დინამიტის
მომწამელები აირი მთელი საათობით
გულდება სანგრევებთან და შეუძლე-
ბელს ხდის მუშაობას. ამიტომ გავხარ-
და ყველას ჰაერის ეს ქროლეა გვი-
რაბში.

ფარანი ისევ აანთეს. მელიტონმა
ალი დაუყვნა, საწვიმარის კალთა მოა-
ფარა და წინ წავიდა. მას დავითი და
აბესალომი მიჰყვნენ.

სამივემ დაათვალიერა შეხვედრის
ადგილი და აღმოჩნდა, რომ გვირაბები
იწვიათი სიზუსტით შეხვედროდნენ
ერთმანეთს. მხოლოდ მანძილში იყო
ნციროვდენი გამსხვავება. ისიც, თუ
გვირაბის ქერიდან გადაზომავდი, ზუს-
ტად ხედებოდა, თუ იატაკიდან, მეტი
გამოდრიდა. რადგან ქვემო შემხვედრი
გვირაბი აღმა იყო შეჭრილი და ქერით
ებჯინებოდა ზედა გვირაბის იატაკს.

ბარაკში ქრაქი ბეეტავდა. ქალებს
ეძინათ. არ ეძინა მარტო ნადიას. მას
თავქვეშ ხელები შემოეწყო და გარან-
დული იწვა. პირველად თითქოს დაე-
ძინა, მაგრამ მოულოდნელად გულმა
მძლავრად დააჭრა და ნადიამ თვალი

გაახილა. ლოგინებს გადახედა. ყველანი
თავიანთ საბნებში გახეხულყვანდნენ და
ეძინათ. ერთი საწოლში სქელქსოვი
იყო — გალინას საწოლი. ის არ მოსუ-
ლა დასაძინებლად.

ნადიამ მაჯის საათს დახედა. ნამუა-
ლაშვილის პირველი საათი სრულდებოდა.
ისევ შემოიღო თავქვეშ ხელი და ქერს
შეაქებრა.

ერთი ციკქნა საათი განუწყვეტლად
წკაპუნებდა ყურთან.

ვილაც გადაბრუნდა, ტახტი ააჭრიალა
და ისევ მიჩუმდა.

„რა ბედნიერი ვიქნები, რომ დამეძი-
ნებოდეს, — გაიფიქრა ნადიამ, — სა-
კითხავი მაინც მქონდეს რამე“.

დააძირა ადგომა და გარეთ გაოს-
ვლა. გარეთ თბილოდა და წყნარი ღამე
იყო. გადაიფიქრა. შეიძლება ვინმეს
წასწყდომოდა, ან ვინმეს თვითონ მის-
თვის მოეჭრა თვალი და ეფიქრა — გა-
ლინას უთვალთვალესო.

არა, ძილი სჯობს, ძილი, ძილი. ნუთუ
ასე ძნელია დაძინება. ძილის წამლები
ხომ მოიპოვება. შეიძლება ექიმს კი-
დეუაც აქვს თავის ამბულატორიაში.
მაგრამ იქ არ შეიძლება მისვლა. ახლა
ღამეა და ხეალ დღისითაც არ შეიძლე-
ბა მისვლა. გალინა იქ იქნება. ის გაი-
გებს, რომ ნადიას დასაძინებელი ფხვნი-
ლი სჭირდება. გაიგებს და გაეცინება.

აი, პელაგიას რა მშვიდად სძინაქს.
რა კარგად იმუშავა დღეს ორივემ. სა-
მოცდათხუთმეტი სანტიმეტრი გას-
ქრეს. ორივე დაიღალა, მაგრამ ყველას
ჯობებს, მამაკაცებსაც. ვანო გაოცე-
ბული ეკითხებოდა ყველას: მართლა
ამოდენა გასჭრესო? არ დაიჯერა. წა-
ედა, თვითონ გაზომა. მერე დაბრუნ-
და და პელაგიას მკლავები მოუსინჯა.
შენ ჩემზე ღონიერი როგორ ხარო!

— სულელო, — უთხრა პელაგიამ, —
განა ღონეზეა საქმე? ოსტატობაა სა-
ჭირო, თორემ მე შენზე ღონიერი რო-
გორა ვარ.

ნეტავ რა ხერხს უნდა მიმართოს ადამიანმა, რომ უცხად დაიძინოს. უნდა ითვალის. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი შვიდი, რვა, ცხრა, ათი... ჩუ! ეს რა ისმის? არაფერი. საათი წკაპუნებს, მეტი არაფერი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი...

— შენ რა? არ გძინავს?

ნადიამ მოიხედა. პელაგია, ოდნავ წამოწეული, ფართოდ გაღებული თვალებით უცქეროდა ნადიას.

— რომელი საათია? — იკითხა პელაგიამ.

— ერთი, ორი, ორი, — უპასუხა ნადიამ. — გამეღვიძა და აღარ დამეძინა.

— რას კვდიანობ? დაიძინე! — პელაგია კედლოსკენ გადაბრუნდა, საბანი წაიხურა და თითქოს ჩაეძინა. მერე უცხად წამოიწია, ტახტზე დაჯდა და ბარჯეს თვალი მოაეღო.

— რა იყო? — ჰკითხა ნადიამ.

— ყველანი აქ არიან? — პელაგიამ შენიშნა ერთი ლოგინი, რომელზედაც არავინ იწვა. — ეისია ის საწოლი?

ნადია უცხად ჩაძვრა ლოგინში და საბანი თავზე წაიხურა. მას ვითომ არ გაუგონია, რასაც ეკითხებოდნენ.

პელაგიამ დახედა ნადიას, მერე ისევ ცარიელ საწოლს დააკვირდა, ყველაფერს მიხედა.

— სად წავიდა? — ჰკითხა პელაგიამ.

ნადია ხმას არ იღებდა.

— მე გეკითხები, სად წავიდა?

ნადია კვლავ დუმდა.

— ხვალე გავაჩივებ აქედან, — თქვა გაბრაზებით პელაგიამ და ისევ გაეხვია საბანში.

— არ გაბედო, პაშა! — წამოიძახა ხმის კანკალით ნადიამ და საბნიდან თავი გამოჰყო.

— ჩუმად იყავი. არაა შენი საქმე.

ნადიამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ბალიშში თავი ჩარგო და ცდილობდა, თავი შეეკავებინა, რომ არ აქვითინებულყო. პელაგიამაც აღარა თქვა რა,

განაბული იწვა და წარბეზებული შესცქეროდა პერს.

— პაშა! — ასწია თვემდებარე

— რაო? — გულმოსულად გადმოხედა პელაგიამ.

— წავიდეთ აქედან.

— ახლავე წავიდეთ?

— არა, ხვალ წავიდეთ.

— ხვალინდელზე ხვალ მელაპარაკე. ახლა კი დაიძინე. მერე-და, რა მოგივიდა? კაცი არ განახავს თუ?

— არა, შენ არ გესმის.

— რა არ გესმის? — წამოიძახა პელაგიამ ხმამალა, მაგრამ შეამჩნია, რომ ლოგინებზე აქა-იქ შეიჩხინენ და გადაბრუნდნენ. იმის შიშით, სხვებმა არ გაიღვიძონო, ჩურჩულით განაგრძო: — გგონია შენს მეტს არავის ჰყვარებია ვინმე?

— არა, პაშა, შენ იცი, მე გათხოვილი ვიყავი. ქმარი მყავდა, მეგონა მიყვარდა, მაგრამ თურმე... თურმე... არ ვიცი, როგორ გითხრა... ეცხოვრობდი ქმართან, ევხევიდი, ვკოცნიდი... მაგრამ არასოდეს არ განმიცდია ის, რაც... რაც... ახლა განვიცადე. მხოლოდ ერთჯერ თუ ორჯერ დაველაპარაკე და დაეინახე თუ არა, აი, სულ გადმომიბრუნდა გული... მე მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ ესაა ის... აი ის, რომელთანაც შეიძლება განიცადო ნამდვილი სიყვარული. გესმის, პაშა, მე ახლა მივხვდი, რომ შეიძლება ისე იცოცხო, თუნდაც ხუთი ან ათი ქმარიც რომ გამოიკვალო. ნამდვილი სიყვარული ბედნიერ შემთხვევაზე ყოფილა დამოკიდებული. შეხვდი — კარგი, არ შეხვდი და, ისე გაივლის შენი ცხოვრების გზა, რომ წარმოდგენაც კი არ გექნება ამ გრძნობაზე. დაგეძინა, პაშა?

— არა.

— შენ ხომ გესმის ჩემი?

— ძალიან კარგად.

ნადია ერთხანს ჩუმად იწვა და უძრავი თვალებით პელაგიას გადაღმა კედელს უცქეროდა. ის ახლა ვერაფერს



ვერ ხედავდა. თვალუბსაც კი არ ახამ-
ბამებდა.

— რა სულელი ვიყავი, როდესაც
იერას მივყევბოდი, მეგონა — მიყვარ-
და. ახლა მაგონდება. თურმე არაფერი
მესმოდა. იცი, რა? შეიძლება არაფერს
არ გეტყოდო, მაგრამ ახლა უკვე ყვე-
ლაფერი გათავებულა... პაშა!

— რა გინდა?

— სულელი ვარ, ხომ?

— არც უმაგისობაა!

— შენ არასოდეს არ გყვარებია?

— რა იცი. იქნებ შენზე უფრო
ძლიერი.

— მერე?

— მერე რა? ხომ ხედავ?

— დაგაიწყდა?

— მაშინ შესაძლებელია სულელი ვიყავი.
თუმცა არა. არ დამაიწყდა, სულ მეხ-
სოვება.

— თვითონ მიგატოვია?

— არა, თეთრებმა მოჰკლეს.

— ოჰ.

ტახტი გაჭრიალდა. ორივე გაჩუმდა.
ნადია ისევ მოესმა თავისი ციციქნა სა-
ათის წყაღუნის.

კარგახამს იყვნენ ორივე ჩუმად.

შორიდან მოისმა, რამდენიმე კაცი
ერთად ლაპარაკობდა. ხმები ნელ-ნელა
ახლოვდებოდა.

პელაგიამ წამოიწია და ყური დაუგ-
დო. ნადია გაუნძრევლად იწვა. მხო-
ლოდ თავი შეაბრუნა იმ მხარეს, საი-
დანაც ხმები ისმოდა.

— აქამდე თევზაობდნენ?

— რაო?

— მე ვამბობ, აქამდე თევზაობდნენ?
ახლა გამახსენდა, საღამოს მეც მიმი-
წვიეს. მითხრეს, კალმახების საჭერად
მივდივართო.

— კალმახების?

— ჰო, აქ ბევრი ყოფილა კალმახი, —
თქვა პელაგიამ და ისევ დაწვა, — უარი
ვეუთხარი, დაღლილი ვიყავი.

— მე რატომ არ მითხარი, ვინ მიგი-
წვია?

— დავით გეორგიევიჩმა. მე ვიცი,
ეგ შენ გაატყობდა, მაგრამ მე ვერცხარ-
თა. როგორც დას, ისე წავიხსენებოდა
ჩვენთან წამოსვლა — გეწყინებართო.

მოთევზავენი მესამე ბარაკს მიუახ-
ლოვდნენ. ისინი, ეტყობოდა, გალინას
მოაცილებდნენ. ბარაკთან შეჩერდნენ.

— ნება მომეცით, ძილი ნებისა გო-
სურვით. — უთხრა სიმონმა გალინას.

— ღამე მშვიდობისა, დავით გეორ-
გიევიჩ. გმადლობთ პატივისცემისა-
თვის. — დაემშვიდობა გალინა.

მერე ფრთხილად შეაღო ბარაკის
კარი, ფეხაყრფით მივიდა თავის ლო-
გინთან და ტანისამოსის გახდას შე-
უღვა.

პელაგიამ და ნადიამ თავი მოიმჩინა-
რეს... ორივე მიხვდა, რომ გალინაზე
გაჯავრების უფლება არა ჰქონდათ.

ტახტის კრიალზე პატარა ლიდამ.
რომელიც გალინას პირდაპირ იწვა, გა-
იღვიძა. თვალები მოიფშვინტა და
იკითხა:

— რაო, გათენდა?

— არა ჯერ, — უთხრა გალინამ და
კაბა თავზე ერთი გაჭირვებით გადა-
იძრო.

— შენ, რაო, ახლა წვები?

— ჰო.

— სად იყავი?

— ინჟინერმა და ექიმმა კალმახის სა-
ჭერად მიმიწვიეს.

— მერე იქ როგორ წაყვეი?

გალინამ გაიხდა, ლოგინში სწრა-
ფად შეგორდა და თხელ შალის საბან-
ში მაგრად გაეხვია. თვით გატენილი
ლემბი უცნაურად შრიალებდა.

— რას ამბობ! — უთხრა გალინამ
ლიდას, როდესაც ლოგინში კარგად მო-
ეწყო და თავი ბალიშზე დადო. — მე
იშვიათად მინახავს ისეთი თავზიანი
მამაკაცები. ოჰ. რა კარგები არიან,
რომ იცოდენ. რა კარგი ყოფილა სტე-
ფანე. ბებერი სტეფანე. რა კარგად
ხუმრობდა. აუარება კალმახი დაიჭი-
რეს.

— მერე?

— მერე ცეცხლი დაანთეს და თევზები კი არ მოხარშეს, თხილის ფოთლებში გაახვიეს და ნაკვერცხლებზე შეწვეს. ეს რაღაც არაჩვეულებრივი რამ ყოფილა. აქაური სიმინდის ფქვილით კადებიც კი მოიტანეს მაგრამ მე ვერ ვჭამე, ისინი კი ალტაცებით მიირთმევდნენ.

— ბევრნი იყავით?

— ათამდე. ოპ, ასე მეგონა, ზღაპარში ვიყავი. ახლაც სიზმარებს მდგომარეობს... აჰ! — დაამთქნარს ვაფორნაქაუ! მეძინება.

— შიამზე კიდევ, გალინა.

— ზვალ გიამზობ. ახლა მეძინება.

— კარგი. დაიძინე. — უთხრა ლიდამ. ბარაკში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ გარედან კიდევ ისმოდა მიყრუებული ხმები.

(გაგრძელება იქნება)

სიმღერა მაისის ცვარში

აკომა



აჰა, გათენდა დილა მაისის,
მტრედები ცაში ფრენენ გუნდებად,
და მთები ჩვეულ სიღარბისლით
აღმოსავლეთით შემობრუნდება.

შეივერცხლება მერე ქედები,
ლაყვარდის ზოლი მოჩანს
ხილულად, —
და მთიდან ზღვამდე გუნდი
მტრედების
თეთრი ხიდივით გადახიდულა.

იმღერე, ქექე დიდი მგზავრული,
კარიდან კარზე ღუნით იარე,
ეს გამარჯვება და გაზაფხული
დალოცე ყველას გაუზიარე!..

უმღერე ყვავილს, ბალახს, ბალნარებს
და მერცხლებს, ცაში აჭრილება
გუნდად, —
და რომ მაისის დილა ღალანებს,
გახსოვდეს მუდამ!
გახსოვდეს მუდამ:

ის მორთხილი ღრუბელი თალხი,
მზისით ელვა და მზეში ქუბილი
მკლავშემართული დევგმირი ხალხი,
ჩვენი დედების ჩუმი წუბილი! —
მაისის მზეში ღალად რომ იწევა,
სისხლით შეღებილ მშობლიურ მიწებზე
ნუ დაივიწყებ!

I

დღეს ადრიაანად მოვიდა შინ და
დედა არ დახვდა სახემლიმარი;
ჯერ ჩრდილში დაჯდა,
ლოდინი სინჯა...
მერე მიჰყეტა უცებ ჭიშკარი —

ახლად აქოჩრილ ტყესთან იელვა
და მაღლდებოდა გზაზე ბორცვივით...
მიღის კი არა,

ტალღა მიღელავს
დიდი ტალღასგან გამოტყორცნილი!

გზას გამოეყო ბილივი ერთი
გაღწინწკლული იაიებით,
ირგვლივ ვარდები მუქი და თეთრი,
მუქი და თეთრი პლანტაციები, —
გადაუხვია...

ამ ბილიკს იცნობს,
ამ გზაზე დედას ბევრჯერ ხლებია!
მირბის ბაეშვი და ვარდები თითქოს
გზას უთმობენ და ესალმებიან, —

მაგრამ ვარდების არა აქვს ფიჭრი,
ჩრდილი რომ უბნობს კოხტა
ჩინართა —

წუთით არ შედგა!
მოწყვეტით მიჰქრის,
მერე შამბნარში გაუჩინარდა...

აგერ მთის ძირიც...

სიმღერა ესმის,
დედის ხმა იცნო და უცებ შედგა,
ლაყვარდში მღერის სტრიქონი
ლექის,
ხმატყბილად მღერის გულთბილი
დედა...

მღერის და ტოლნი ბაშს მოსტახიან,
სიმღერის ჰანგი იჭრება ცისკენ,
და ხეს რამდენიც ტოტი ასხია,
თითქოს იმდენი ბუღბუღლი ისხდეს, —
გალობენ ტყბილად... მღერაინ
ტყბილად,
უმღერენ მიწას, მზეს და მუნებას

და გულგახსნილი მაისის დილა
დაბრძანებულა ქვეყნის მშვენიებად.
...მივიდეს? ჰკითხოს?

ჰკითხოს თამამად
და შეანათოს თვალში თვალები:
მითხარი, დედი, სადაა მამა.
ვისი ვარ, —

მითხარ, თუ გებრალები!
ვინ ვარ? საიდან? რომელი კუთხისა
კენტი ვარ?

არ მყავს ძმები და დები?
შემომჩნევია შენს თვალში მწუხრი,
იმ თვალებს, მითხარ, რად მარიდებდი?

მაგრამ ვერ იძვრის...
სიმღერას ისმენს.

ცრემლები, ჩემი ქეთინი, ტირის!
მერე აღდგა ნაბიჯი. — ტყისკენ
გაჰყვა ანახლად გაჟოლილ ბილიცს
და შეაწყვიტა ფოთლები ტირიფს...

II

ხშირი ტყე სოფლის კიდესთან, —
ჰადრის ჩრდილს სახლი იჩრდილებს;
ზის აივანზე დიდელა,
როგორც ბუნების სიმშვიდე.

თვალი გზისაკენ უპყრია,
თმას უნანავებს ნიავი,
ჩემი, პატარა, გულლია
გრძნობს გამოუთქმელ სიამეს.

ქათმებს არ გაუჯავრდება, —
ეზო აიკლონ კიდევაც,
ადგება, ჩრდილში დაჯდება —
მხიარულია დიდელა...

და გაფოთლილა ივნისი,
მზე სხივებს აფრქვევს ბაღნარებს;
გამოიჭროლებს „ვილისი“
და ჩამოუყვანს პატარებს.

ო, მაშინ, მაშინ შეხედეთ,
როგორ იმძლავრებს დიდელა,
ბავშვებს აიყვანს ხელდახელ,
დასვენს აივნის კიდესთან, —

გაელურდება... შეხედავს,
თვალს მოუხუტავს პატარებს,
კვლავ აიტაცებს ხელდახელ
და ეზოს შემოატარებს...

მერე რძალს გაეზუტება,
შვილზე მიიტანს იერიშს:
ხედავთ, როგორი ბულია?
ბავშვებს რა უნდათ კიევში?

...მზე უკვე მალა შემდგარა,
სხივებს აცხენებს მხურვალეს;
მოდიან?

არა! ჯერ არა...
გამოჩნდებიან სულ მალე.

ალბათ ნელ-ნელა იარეს —
ბავშვების რიდი ექნებათ;
აი გასცურეს მდინარე,
მანქანა აღმართს შეება.

გორაკს მოადგა ქაქანით...
მერე ველი და მინდორი!
მოჰქრის და მოჰქრის მანქანა,
მოჰყავს ანა და იგორი...

...უკვე დაჰკარგა სიმშვიდე,
უკვე შუადღის ბულია!
და ელის, ელის ბადიმებს
ჩემი, კეთილი, გულლია.

რძალს აღარ წაეკიდება,
შვილსაც არ გაუჯავრდება,
აი ადგება დიდელა,
ჰიმყართან მოლზე დაჯდება...

გამოჩნდა! მოჰქრის „ვილისი“,
ესმის ბავშვების კისკისი
და ჰიმყარს ალებს ქაქანით...
წუთიც და, აგერ ეზოში
შემოიჭრება მანქანა!

...და ცაში ატყდა ზანზარი!
ქვეყანა თითქოს ირწყევა...
მერე წაიჭყა ჰადარი
და სახლი მიმოიღუწა...

კვამლია დაჰტარა ყოველი, —
ცაში ავარდა ხანძარი.



სიკვდილმა გადაიჭროლა...
და ის ლამაზი სახლ-კარი,
ჩემი, თმათეთრი დიდება
იყო და...

არა იყო რა!

III

დღეს კიბეული ბავშვები მოჰყავთ,
აქვანში წოლა მათ არ ეღირსათ;
დასველებიანთ ცრემლებით ლოყა,
ვერ უპოვიათ მკერდი დედისა!

მოჰყავთ...

ხანძარში გამოატარეს

და აარიდეს სიკვდილის ცელი,
იმ კერააშლილ გულჩვილ პატარებს
შავიზღვისპირის სოფელი ელის...

და ნინო განზე გამდგარა ყუჩად,
ანათებს ბნელში თვალებს წყლიანებს;
— ბავშვი მგზავრობას თუ გადაურჩა...
და შიშით ტანში გააყრიალებს.

აჰ, მოვლენ და აყვანი თეთრი,
კერია, სახლი,

ხმატკბილი ნანა,

დედის აღერსი და თბილი მკერდი...
ახლა ვაგონში კი როგორ წვანან!

ეგებ მოაკლდათ საქმელი გზაში,
უხმობენ დედებს კენესით, წვალეებით...
და თითქოს გულში ჩაეკრას ბავშვი —
ისე მოიჭდო მკერდზე მკლავები.

მოიჩქაროდა თრთოლვით და შიშით,
მკერდში ჩაეკრა ბავშვი სათუთად...
და ბავშვი დედას ახსენებს ძილშიც, —
ძუძუზე ხელი მოუთათუნა.

სიამე იგრძნო...

წუხილიც დიდი!

დედაო? ნეტავ დედა ვინ არი?
ათრთოლებული ამ ბნელში მიდის,
ელუღლუღება ბავშვი მძინარია...

ეგებ იქ ეძებს დედა და ტირილ,
ქარში, წვიმაში დადის...
და, როგორც წყალში ბუბუღუნავს
ტირილს,
გამოწედილი აქვს მისკენ ხელები!

აცეცებს ბნელში თვალებს შიშთან...
სიბნელეს ელვა აპობს მახვილით!
და შვილს უთუოდ ესმის ძილშიაც
გულდათუთქული დედის ძახილი...

— გამაგრდი, დედა!

გამაგრდი, ქაოო!

სძლიე განსაცდელს მედგარად.

კაცურად!

და არ შერჩება მტერს ავკაცობა —
შენმა ვარსკვლავმა თამიდასტურა...

...შევიდა სახლში და სანთლის შუქზე
კრძალვით დახედა სახეზე მძინარს;
ბავშვმა გააღო თვალები მუქი,
შეხედა... შეკრთა და გაუცინა!

დაილულღულა...

დაჩუმდა. მერე

აქბაცუნებდა ტუნებს ენისანს, —
ამბობდა თითქოს —

შენ მომეტერე?

ახლა არ მცივა...

არც მეშინია!

— ჰო. გაიცინე! დედა ვარ შენი!
აი კაკალი...

აი ვაშლები...

ბავშვს გაღიმება საოცრად ჰშვენის
შუბლზე ნაოჭის შეთამაშებით, —

და აეტოტა მკლავებზე... თითქოს
იპოვა, რასაც ეძებდა დიდხანს
და გაეზადრა სახე ღიმილით...
მან დედის გულის აღერსი იგრძნო,
ნინომ სიამე...

და სიმძიმელიც!

არ შორდებოდა ბავშვი წამითაც,
შესცქერდა თვალთ მოციმციმეთი!
კერიის ბურჯი ფრონტზე წავიდა —
შემოაშუქა ბავშვმა იმედი!

ძე შემოვიდა!

ამაღლდა ჭერი!

მეტი სინათლე, სითბო, ხალისი...
გულში ჩაკრული ჩემად რომ მღერის—
იგი იმედი არის ხვალისა!

ძე შემოვიდა!

გატყდა სიცივე,

გადიწია ფარდა ღრუბლისა!
და დედის მკერდთან ისე ტიქტიკებს,
როგორც სიმღერა გაზაფხულისა...

* * *

გათენდა..

ადგა ოჯახის დედა,
და ოდის კარი გააღო ფრთხილად,
მზემაც ხალისით შემოიხედა —
ბავშვის თვალებში აანთო დილა.

გაუკრთო ძილი

და მან ზღვისფერი
თვალეები ჭერზე მიმოატარა...
წალისობს ისევ, ისევ იმღერის,
ისევ ტიქტიკებს ბიჭი პატარა.

— ოჰო, კარგია! იმედო, აგრე!
ვხედავ, ყოფილხარ ბიჭი ბეჯითი...
თუ დამეხმარე და იყოჩადე —
მჯერა, ვაჯობებთ ყველას შუჯიბრში!

და სწრაფად გახსნა ჩანთა წითელი,
ჩანთაში ბავშვის საგზალი იღო:
ფერადი წიგნი.

ყდაზე ფრინველი,
ვაზის ტოტი და ყურძნის აკიღო.

პერანგი, ქუდი — პატარა, თეთრი,
ნამცხვარი,

ყველის ნაჭერი, წინდა.
და წიგნის გვერდით სურათი ერთი —
შეხედა, იცნო და გაირინდა...

ის არის...

ხელში უპყრია მამას,
სახენათელი დედა კი გვერდით
დამდგარა...

ბავშვი გაფრენას ლამობს —
სივრცეში ლამობს აფრენას მტრედის!

სოფელი, ეზო.

ცვარნამი დიდხუცხუცხუ
ახლოს ტყეა და დიდხუცხუცხუცხუ
სურათის ქვემოთ წარწერა წერილი —
„ერთი წლის გახდა ჩვენი იგორი“.

IV

განვლო თვეებმა და წელიწადმა,
უფრო გაკაჟდა ნინო გარჯითა;
მერე იგორი წამოიზარდა
და ზღურბლზე თეხი გადააბიჯა.

დაბაჩუნობდა ეზოში ბიჭი,
ჩამოდიოდა ფრთხილად ოდიდან,
და როს ქრიალი ესმოდა კიშკრის,
დედას ჰკითხავდა —
მამა მოვიდა?

მოვა... აგიყვამს ხელში ხალისით,
ო, რა მძლავრია იმისი ხელი!
შენ გააკვირვებ სიღარბაძისლით,
ის გაგაოცებს, შვილო, მოლხენით...

— მალე ჩამოვა, დედილო, მამა?
— მალე! ისპობა მტერი ტიალი...
იწყო ეზოში უფრო თამამად
ბტომა, სირბილი და კოტრიალი!

და ბევრ ხეივნელ ქალს უნატრია:
ნეტავ მე ვიყო მისი გადია,
ბავშვი კი არა, განთიადია!..

V

შემოითენებს, —
ნაევებს კრიალას
გამოესხებება თრიალთი თეთრები...
და გათენებება არც
ზღვაზე მტრედის ქვიშაზე მტრედები.

მშვიდია ზღვა და ცისფერი ზოლი
ტორტმანობს ოდნავ,

მტკდება ოდნავ;
და ნაპირისკენ გემი რომ მოდის —
გვიახლოვდება ქართული ოდა!

პატარა ტალღა სამთუმალს ეძებს,
თეთრ ქვაზე წუთით შეჯდება მაღლა,

მაგრამ ბავშვები ესვრიან კენჭებს
და ისევ ზღვაში მისცურავენ ტალღა.

...იმ დღეს გათენდა დილა სხვაგვარი,
სხივებს სხვაგვარი ჰქონდა ნათება!
ხალხს ულოცავდა მთავარსარდალი
ომის მოგებას და დამთავრებას...

დამთავრდა ომი!
კეთილმა სძლია
ბოროტსა და ხალხის ოცნება ახდა...
მოჰქონდა ფრენით ამბავი ნიავს —
მშვიდობა ხალხთა!
მშვიდობა ხალხთა!

მშვიდობა დედებს...
გმირებს დიდებს!
მშვიდობა მინდვრებს, ზღვებს და
მთიანეთს!

ეს ხმა სოფლიდან —
სოფელში მდის,
ეს ხმა მწვერვალებს აერთიანებს...

ეს ხმა მოიჭრა სოფელში დილით
მზის ნათებაში,
სხივთა ციალში!

ეს ხმა მღერის და ელურტულად მდის
ყანაში, ზეარში, პლანტაციასში!

იგი შეიჭრა ყვილა ოჯახში
მანისის მზით და შუქით გამთბარი!
ბავშვების ყიფინს,

დიდთა მოძახილს —
არა, არ ჰქონდა ორტურ საზღვარი.

არ ჰქონდა ორჯარ — ომის დედის
და სიხარულსა და სიკეთეს...
გაქალღღესობა და ღვთაებების მტრედი —
ხალხების ძმობის აღორძინებას...

და ხეივანში დაბრუნდა ბევრი
გმირი ბრძოლაში გაუტეხელი!
ჩუქურთმისანი ამბულდა ჭერი,
გაგანიერდა სახლის კედელი,

ქამიერის ხმა მეხივით ჰქონდა —
ილხენდა ბევრი ბავშვი და დედა,
და იყო ლხინი შეუწყვეტილი...

მაგრამ აქა-იქ,
ეზოში, სახლში
მდუმარება და იყო წუთილი,
ვაკაცს ელოდა დედა და ბავშვი —
კარგა ხანია, მთაშიც და ბარშიც
უკვე მიწყნარდა ჭეჭა-ჭუხილი!

მაგრამ არ ჩანან!
გზა გაუგრძელდათ...
დაიქანცნენ და იღარ იარეს?
მოელის შვილი,
მოელის დედა,
სოფელი ელის ვარსკვლავიანებს!

და ეგებ წუანან მდინარის პირას
მტრის ჩეხვით მკლავებდაქანცულები...
ბელებს ვერ უყინავთ ქარი და ყინვა,
არ უკენსიათ ქარსა და თქვეში,
რომ ყოფილიყო მშობლიურ მთებში
ასეთი კარგი გაზაფხულები!

ნინოს არ სძინავს დღისით და ღამით,
ელის ბეჯანს... და იგორიც ელის!
შემობურვითა თქვრები ავი —
აჰა, გავიდა ზაფხული ცხელი
და შემოდგომის დახვავდა ზეაფი...

არა, არ მოდის ბეჯან სვანიძე...
რა შორს წასულა ხეივანის გმირი!
ჩუმად შრიალებს ნორჩი ალისხე
ჩამოუშლია ტოტები ტირიფს, —

ეზოში მკვირცხლი იგორი დაბტის,
ყურძენი მწიფს და
კაცანებს კრუხი...

დღევანდელში აღამებს სახლი
და როს მოდგება საღამოს მწუხრი —

იგორი იტყვის — ხეალ მოვა! ჯმუხა,
მოვა სიმღერით, ვაშალს ძახილით!
შეშრიალდება ბებერი მუხა,
ალეა შეხედება მას თავდახრილი...

ლამდება ასე...

თენდება ასე...

გზას გასცქერიან შეილი და დედა;
მოკარე მიცურავს უღრუბლო ცაზე
და ვარსკვლავები ზღვის ფსკერზე
სხედან...

ლოდინში განვლო წელიწადებმა.

იყო ზალისიც

იყო იარაც, —

ფორმა თამაშს თავი ანება
და დედას დარღში შეეზიარა.

წამოიზარდა ბიჭი იგორი,
დედის იმედი დამშვენდა დიდად!
თხა საბალახოდ მიჰყავს მინდორში,
სულთა წყაროს წყალს წყაროდან
ზიდავს.

თითონ გააწყო ბუდე მტრედების —
ეს უწყინარი უყვარს ფრინველი!
დედა — პირველი ჩაისმკრეფელი,
შვილი — სწავლაში არის პირველი!
და ბევრ ზეივნელ ქალს უნატრია —
ნეტავ მე ვიყო მისი გალია,
ბიჭი კი არა, განთიადია.

VI

სახლში არ დახვდა იგორი მკვირცხლი,
სვეტზე ეკიდა წიგნების ჩანთა;
ბაღს გადახვდა, გასძახა ტყისპირს,
არ ჩანდა, —
საით გაუჩინარდა!

არ მიაწვდინა ხმა დედის ძახილს,
თუმცა გასძახა ყოველი მხრითა...
კაცს შეაშინებს უკაცო სახლი —
და წინოც შეკრთა და გაირინდა!

გასძახა ისევ... მეზობელს ჰკითხა,
— იყო და გაჰქრა...

ვერცხლისწყალია!

და მერე კიდევ ეძება დიდხანს,
მაგრამ მის გზაჯვალს ვერ მიაყვლია.

შევიდა სახლში და მხოლოდ წუთით,
ისევ ეზოში გაიჭრა თრთოლვით...

ის ერთ ადგილზე შეიძლებს
ერ ქუფეშქ
და ხედავს — დინჯჯუქალაქოსუკან
მწუხრში
ნელის ნაბიჯით იგორი მოდას.

მეხას მიეყრდნო, დადუნდა, შედგა-
თრთოდა თითქოს და წვეადა იარა,
მერე მოესმა —

„აქა ვარ დედა“,

მერე ტიშკარმაც გაიჭრიალა,

დედის გულს ასე შეაკრთობს მცირე,
მცირე ხმაურიც ესმას მეხად!
ხალისით შეხვდა და გაუცინა,
მაგრამ თვალეში სევდა იხატა...

როცა სავაზმოდ სულფრა გაშალეს,
შუქით განათდა უცებ სვეტები...
ზღვის სანაპირო პარკში მამშალეს
ცაში ისროდნენ თავგამეტებით!

სიმღერა ქექს კიდიით-კიდე,
ჰანგები მიაქვს მთებისკენ წივს, —
იქექა კიდე!
იქექა კიდე —
და ზღვას ნათელი მიმოფრქვია.

— აბა წავადეთ!
აჩქარდა წინო,
შვილს მოუტანა ხალათი ქრელი.
— ზეიშია და ჩვენც მოვიღბინოთ!
უფრო განათდა აიენის ტერი,

როცა მან თეთრი ჩაიცვა კაბა!
— წავიდეთ... ნამი ბალახებს ნამავენს...
წავიდეთ შვილო, მისის ცვარში
და მამშალეები ვისროლოთ ცაში!

ადგა, მივიდა დედასთან ახლოს,
მაგრამ თვალეში ველარ შეხვდა...
გულისტკივილი კვლავ განუახლდა,
როცა ხელების იგრძნო შეხება —

მოწყვეტათ ჩარგო თავი კალთაში...
— გთხოვ მაშაბით ამას რომ ვბედავ:
მითხარ — რა ჰქვია დედა?
მამაჩემს?

მე რა ვარ შენი?
მითხარი დედა!

გაქვედა გაშრა. გახედა ქალი...
 გულს შემოენთო მერე ხანძარი!
 მყვრდში ჩაიყრა მართვე არწივმა...
 ხმა არ გაიღო... ცრემლები ცხარი
 იგორის შუბლზე ჩამოაწვიმა...

.... დღეს დილით ადრე სკოლის
 ეზოში
 დავეწყვეთ ისე, როგორც გჯარები;
 შენ მას არ იცნობ...

ერთი მეზობლის
 ბიჭმა დამიწყო გამოჯავრება.

დამეკიდო, ჩამვიდა ხელი,
 — რატომ ყოყმანობ? შენა რიგი!
 „იგორ შესძელო და გატელო“ —
 შემომხვიენ ბიჭები ირგვლივ...

ჩამბუღე... დავდექ! მაშინ იძალა
 და როცა ისევ შეტევა სვადა,
 მარჯვენა მხარით დავხარე დაბლა:
 წამოვაწვიენ მოლზე პირალმა —
 ავეწესდა, ახტა და აღრიალდა...

თვლები წყრომით მამოატარა,
 მერე შემართა მაღლა მარჯვენა...
 — უკრაინელო ბიჭო პატარავ,
 არ შეგარჩენო ჩემს დაჯაბნებას!
 ბენიშნა...

როცა შეიდი წლის ვიყავ,
 ლექში ვთქვი, — შენ რომ მასწავლე
 ადრე...

მასწავლებელმა მკითხა სახელი!
 მითხრა — შენ ისე გამოთქვამ
 სიტყვას,
 თათქოს ნამდვილი იყო ქართველი!

უცებ გაფითრდა... ცახცახით მერე
 მხრებზე დამადო ორივე ხელი.
 შემომეპარა შეილო, სიბერე...
 — შენ ზომ სვანიძე ხარ ხეივნელი!

მას შემდეგ გულში ეჭვი მტყუდა,
 მაგრამ ვერ გაითხე... ეჭვი მტყუდა!
 ... და ნინო იგორს მოუყვა წერილად,
 რაც გულში დღემდე ჰქონდა
 ფართლა. —

ის ბნელი ღამე...
 ნათელი დილა...
 მტდმივი ორთოლვა და სიხარული.

— აქ, ხეივანში იყავით შეიდი
 ქერათმიანი და თეთრა ბავშვი...
 და როცა ომი დამთავრდა დიდი,
 ექვსს მოაკითხეს მშობლებმა
 ლხენით —
 მოუკითხავი შენ ერთი დარჩი...

მისთვის დაგწერე შეილო სვანიძე
 და ახლა ოჯახს ვარსკვლავად
 ჰშვენი —

მე რომ გულა მაქვს, —
 შენი გულია!
 და როგორც ომში მშობლები შენი,
 ჩემი ბეჯანიც დაკარგულია...
 ველოდით.. ველარ მობრუნდენ

უკან
 და შეეწირნენ სამშობლოს დიადს —
 მათი სახელი განთიადს ჰქვია!
 გადაიყარე გულადან დარდი...
 მათ შეუმსხვრიეს კარები წყვდიადს,
 რომ შენ გქონოდა ცხოვრება ლალი!

იმღერე შეილო, გახსენი ბაგე —
 შესძახე ცას და ტალღების ღელვას:
 ჩვენ დანგრეული ისევ ავაგეთ,
 მტერი ვერასდროს ვერ
 გადაგვთელავს!

წავიღვეთ შეილო მაისის ცვარშა
 და მამხალები ვისროლოთ ცაში...

ჩემი მემორები

★

ბევრი მყავს და მახსოვს
 კარგი მეგობარი.
 ზოგს პარიზის ახლოს
 აქვს სახლი და კარი;
 ნისლიან ღონისძიებაში
 ზოგის ბინა არის.
 ზოგიც მცხოვრებია
 ამერიკის მხარის —
 დეტროიტის მუშა.
 როს მრისხანე წლები
 გვიცქეროდნენ ქუშად.
 მაშინ მათთან ვიყავ
 ფრონტზე, ცეცხლის ალში...
 და შეტყობდნენ ხშირად
 გულწრფელ საუბარში:
 „შენ ხარ ბედნიერი,
 ჩვენო მეგობარი!
 შეხ სამშობლო გელის!
 დატბე, გაიხარო...
 სახლში დაბრუნდები,
 როს შეწყდება ომი.
 ისწავლი, იცხოვრებ,
 გაიხარებ შრომით,
 მაგრამ სულ სხვა არის
 ჩვენი ბედისწერა...“
 თითქოს სიბნელიდან
 ერთოდა მათი მზერა...
 ცეცხლით სავსე თვალნი,
 შორეული მხრიდან,
 ახლაც მინათებენ
 ღამის წყვედიადიდან.
 და რომ ჩამოვართვი
 მათ გაყრის ეამს ხელი. —
 თითქოს ხელის გული
 ჯერ ისევ მაქვს ცხელი.
 შორს არიან ძმები,
 იქით, ზღვების იქით.
 მუდამ მოცულები
 სევდით, შავი ფიქრით.
 შორს არიან ძმები,
 კარგი მეგობრები!
 და ცხოვრობენ მუდამ

დიდი გაკვირვებით.
 შავ-ბნელ ხაროვში
 დიდრონ ქალაქების, —
 ბინებს, საშუაოს
 დაეძებენ ძმები.
 ამზადებენ მათთვის
 თოფებს და მანარებს,
 მაგრამ მათ არა სურთ
 ომი საზარელი.
 ჩემს ძმებს არ სურთ ომი,
 სისხლი და განჯაში,
 არ უნდათ, რომ მოკედნენ,
 ჩაწვენენ შავ მიწაში.

გამოდიან სიტყვით,
 რომ დაიცვან ძმობა:
 ჩვენ გვსურს სწავლა, ცოდნა,
 ჩვენ გვსურს მუშაობა.
 ჩვენ არ გვინდა — ომმა
 ცა შეღებოს თალხით,
 გვსურს ვცხოვრობდეთ ისე,
 ვით საბჭოთა ხალხი.
 ჩვენ, იმედით ვუცქერთ
 ხალხთა ძმობის აღამს
 და იზრდება ჩვენი
 მხნეობა და ძალა!

სამშვიდობო ფრონტზე,
 ჩემი კარგი ძმები
 წინ მიდიან მედგარად.
 შეუწყვიათ ხმები.
 ზოგი პარიზელი,
 ზოგი ლონდონელი,
 ზოგი ოკეანეს
 გაღმა მხარეს მდგარი, —
 დეტროიტის მუშა,
 მებრძოლი მედგარი,
 სამშვიდობო ფრონტის
 მეგობრები, ძმები,
 კომკავშირელები
 და კომუნისტები.

თარგმანი **გრიგოლ ცეცხლაძისა**.

უკრაინელ კომკავშირელ ქაღს



სტუმრად იყავ, გორში ვნახე.
ტურფა ქალო, ნატვრის თვალო;
თვალწინ მიდგას შენი სახე,
სათუთი და სატრფიალო!

შენგან მოძღვნილ ვარდს ვინახავ,
შენზე ფიქრი არ მასვენებს,
გორში სახლს რომ დავინახავ,
შენთან ყოფნას გამახსენებს.

მე ლიახვის ველზე ვქუხვარ,
შენ აღვიძებ დნეპრის მხარეს,
შენზე ვფიქრობ, შენზე ვწუხვარ,
იქნებ სხეებმა შეგიყვარეს?!

მსურს, შენმა ხმამ გამამზნეოს,
შენსკენ ილტვის ჩემი გული,
მზიბლავს შრომა სასახელო,
შრომის წმინდა სიყვარული!

გვამზნეებდეს გულით მინდა
მეგობრობა ორი ხალხის,
სიყვარული წრფელი, წმინდა,
და პატარა გორის სახლი!

სტუმრად იყავ, გორში ვნახე,
უკრაინის ნატვრის თვალო,
თვალწინ მიდგას შენი სახე,
შრომის გმირო, ტურფა ქალო!...

ორგზის გმირი

ცხოვრება იყო იმისი წიგნი,
მას გზა გაუხსნა ახალმა დრომაც;
ახალ სოფელში იბრძოდა იგი,
აქაქაცებდა ალალი შრომაც.

იგი მინახავს ბუთი წლის წინათ,
უციმციმებდა ვარსკვლავი გულზე;
ახლა მის მკერდზე მფორეც ბრწყინავს,
თვალს ვერ ვაშორებ, როდესაც
ვუშვებ.

მის ნათელ საქმეს მუდამ თან ახლავს
მოსავალი და დოვლათი უხვი,
გულს გაგიხარებს, როდესაც ნახავ —
ბაღად აქცია სოფელი რუხი.

და, განა მარტო ის არის გმირი? —
ყველა გამბდარა ერთგული შრომის,
გმირულ საქმისთვის შეუყვარეთ პირი,
შრომობენ, რომ კვლავ არ იყოს ომი.

სახნის-საკვეთელს, ნამგლებს რომ
ლეხენ —
მტრის ბასრი ხმალი ჩლუნგდება ამით
და მშვიდობიან მზენელსა და
გულში უქრება წარსულის შხამი.
მთესველს

ცხოვრება არის იმისი წიგნი,
მას გზა გაუხსნა ახალმა დრომაც;
რუხის მშრომელებს წინ უძღვის იგი,
და კვლავ ამაღლებს გმირული შრომაც.

ტ რ ა ქ ტ ო რ ი ს ტ გ ო გ ო ნ ა ს

თარგმანი

ველარ სწვდება ჯეჯილს თვალი,
ფართოდ გაშლილს ვხედავ ყანებს,
ბევრჯერ უხვი მოსავალი
შენი შრომით მოიყვანე!

საჭეს არ სურს შეჩერება,
რომ შრომაში ინეტაროს;
შენ ნიავეც გეფერება,
მშვენიერო, ვინ გეღაროს!

თმა გაყრია ჩანჩქერებად,
როგორც ფოჩი ზღვისფერ ტაროს;

ხარ ჩონგურის ამღვრე
და სიცოცხლის წმინდა წყარო!

შინდა წრფელი სიყვარული,
ჩვენ, ორივეს გულში გვენთოს,
ბედნიერი სიხარულით
მომავალმა შეგვეერთოს!

საჭეს არ სურს შეჩერება,
ისევ ტრაქტორს აგუგუნებ,
შენ ნიავეც გეფერება,
ველს სიცოცხლე დაუბრუნე!



დაიღობოს მიწა ქართული!



შანაანელ გლეხებს სურდათ ენახათ,
ჩემი სამშობლო, პატარა კუთხე,
ზღვა და ხმელეთი გადმოელახათ,
სურდათ ენახათ, რაზედაც უთხრეს.
მოვიდნენ, ნახეს. განცვიფრებულებს
არა სჯეროდათ ზღაპრად ნახული,
ზელებგაშლილი ხედებოდა სტუმრებს
ჩვენი ქვეყანა მართლაც ზღაპრული.
ნახეს გორი და ნახეს ვარძია,
ახალი ქართლის ნაშენი ნახეს,
ნახეს, როგორი დიდი განძი აქვს
სამშობლო ბაღის ძალას და სახელს.
სდურა გაშალეს ქართული, უხვი,
ერთი სტუმარი დაბალი, ჯგუფი —
(არაგი მეღვინე შამპანში მაშინ)

თითქოს ამყად უცქერდა ღვინოს,
თითქოს არ სურსო, რომ მოილხინოს.
მრავალი ღვინის ჭამიცი ნახა,
ერთს რომ სწუნობდა, უსხამდნენ
ახალს,
ეს სიამაყე მასპინძლებს სწყინდათ,
სურდათ, სირცხვილი რომ
მოეწმინდათ.
და ბოლოს ღვინო მიართვეს ჯამით,
მოსევა, შეერთა და შეჩერდა წამით.
სულმოუთქმელად გადაჰყრა უცებ —
— ამ ქვეყანაში რა მომახუცებს,
ამ ქვეყანაში სამშობლო ვიცან,
აქ სიცოცხლე ყველგან ჩართული, —
დაიჩოქა და აყოცა მიწას —
„დაილოცოსო მიწა ქართული“.

სიმღერის დაბადება



ახლა რომ მღერი, ე მავ სიმღერა
ვაიგონია დიდი ხნის წინათ,
: მავ სიმღერის ყოველი ბგერა
ხალხში ეძებდა გზასა და ბინას.
გადაავიწყდათ სიმღერა იგი,
თითქო არც იყო, მინელდა, ჩაქრა,
აღარ მღეროდა არსად რაინდი,
არცთუ სჯეროდა სიმღერა ამქარს.
ხალხს სასიმღერო რა ჰქონდა, მოთხარ,
ან სიმღერისთვის ეცალა როდის.
ვინ მიუწყებდა საკუთარ ფიქრთან
კაცს გაეცხელეს და დაწყვეტილს,
ცოდვილს.

ფრთა ვერ შეისხა, მიყუჩდა გულში,
ითვლიდა წამს და ითვლიდა წუთებს,
და, როცა კარი გაუღეს გუშინ,
როცა ხმამაღლა მშვიდობა უთხრეს—
მოედო მთებს და ველებს მოედო,
დაეპატრონა სახლს და მოედანს.
ჩაუჯდა კვირტს და ფოთლების
შრიალს,
გამოჰყვა მზეს და ფრთაგაშლილ ნიავს
უცებ დააჩნდა ხალხსა და შგოსანს
ნანატრ სიმღერის თამამი მოსველა.

ტრაქტორისტი ქალის ნათქვამი

ეროვნული
გენგლიოთეკა

★

მზის ამოსვლას დავასწარი ამ დილით,
ცა მოჩანდა, როგორც სუფთა მანდილი.

დილის ნიავს შევეგებე გუგუნით,
ავაფრინე უღარდელი გუგუნით.

შენ კი მიცდი, ვიცი ბევრი იწვალე,
მთელი თვეა, ერთხელ ვერ მოვიცალე.

თუმცა შენს ნახვას სულწასული
მოველი,

სანახავად ერთხელაც ვერ მოველი.
მაშ, რა შექნა, კოლექტივას
მინდორ-ველს

ტრაქტოროდ ზომ ვერ მივატოვებდი.
საქმეს მოვრჩი, ახალ კაბას ჩავიცვამ,
ზომ მიხდება თეთრი კაბაც, შავიცა.

გამოვალ და, ვიცი მოგეწონები,
აბა, რა გაქვს, ბიჭო, დასაღონები?



მ დ ე ნ რ უ კ ი ღ ა ფ რ უ ნ ზ ე

ნაფუხები ახალი რომანიდან



ოქტომბრის დამლევს გენერალი ვრანგელი, უცხოეთის სამხედრო მისიონების წარმომადგენელთა თანხლებით, თურქული სანგარის სიმაგრეებს ამოწმებდა პერეკოპზე.

თათართა და თურქთა მიერ ოდესღაც აგებული უზარმაზარი ძველებური სანგარი ახლა მთლიანად ეკლიანი მავთულებით იყო შემოხლართული და ბეტონითა და ფოლადით ამოჭედვით, თითქმის თერთმეტ ვერსზე გადაჭიმული, ზღვიდან-ზღვამდე სჭრიდა ყელს, ისე რომ ყირიმის ჩრდილოეთ კარს მაგრად ეკეტავდა.

დიდი თანამდებობის პირები რამდენიმე საათს ათვალეირებდნენ ძლიერ სიმაგრეებს. რათა არაფერს დასჯახებოდნენ, წელში მოხრილი დაფუსფუსებდნენ ბლინდაჟთა გზებზე, გულდაგულ ათვალეირებდნენ მრავალრიცხოვან სატყვიამფრქვევო ბუდეებს, სათოფურეებს, საარტილერიო მოედნებს... ზედ სანგარზე მდგარ ქვემეხთა ზარდამცემ ლულებს ჩრდილოეთისაკენ ექნათ პირი, გადაშლილ თავრიზის ველისაკენ, რომელსაც შემოდგომის მოშავო-მოწითალო ფერი დაჰკრავდა და ამიტომ უსიამო სანახავი იყო.

მომსახურე პერსონალი, საომრად გამზადებული, ყველგან თავთავიანთ ადგილებზე იყო. სწორედ საოცარი მომსახურენი კი იყვნენ! რიგით მეტყვიამფრქვევეთა მოვალეობას აქ პრაპორშჩიკები და როტმისტრები ასრულებდნენ, ხოლო მემიზნეთა ადგილებ-

ზე ზარბაზნებთან შეიძლება ჩასუქებული მოხუცები გენახათ, პოლკოვნიკის სამხრეებით. სახეზოღუშულნი და წვერმოშვებულნი, ისინი ჯარისკაცებივით გამოქვიშოლყვენ და მთელი თავიანთი იერით იმას აჩვენებდნენ, ჩვენ აქ შეთადრები კი არა, მხოლოდ უბრალო ნომრები ვართო. შეკითხვის მისაცემად იმათ თარჯიმანი არ სჭირდებოდა: თითქმის ყველას შეეძლო თავისუფლად გაეცა პასუხი ინგლისურად თუ ფრანგულად. სტუმრებიც საოცარი ხალხი იყო. მეტი წილი არც კი გრძნობდა აქ თავს სტუმრად. ისე სცდიდნენ, თითქოს თავიანთ სახლში არიანო. უბოდიშოდ გასწევდნენ ზოლმე ოფიცრებს, აქ რომ რიგით სალდათებად იდგნენ, თვითონ დგებოდნენ საათოფურეებთან, ამოწმებდნენ, სად და როგორ შეიძლება აქედან სროლაო. ბატონ-პატრონის კილო იგრძნობოდა უცხოელ სტუმართა შექებაშიც და მოკლე რეპლიკებშიაც, როცა ისინი ხან რიხიან ვრანგელს მიმართავდნენ, ხან — უფრო ხშირად — ფრანგ სამხედრო ინჟინრებს, რომლებიც აქ მთელ საფორტიფიკაციო სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ.

თუმცა ვრანგელი ყოველნიარად ცდილობდა ბატონ-პატრონის როლი თვითონ შეენარჩუნებია. რა არის კედში არ მოგხვედრო, სულ იმას ცდილობდა ყველაზე წინ გამოქიმულიყო და, თავგამოდებული პატივმოყვარეობით ატანილი, დეზების რიხიანი ჩხა-

რუნით წინ გამოიჭრებოდა: ხოლმე პატაკის მისაღებად.

— აი, ბატონო. ჩვენი გალავანი, ჩვენი სასიყვდილო საზღარი, — ცოტაოდენ პათეტურად თქვა იმან, როცა სანგრების შემოვლით საქმოდ მაგრად შეცივნებლმა სტუმრებმა ბოლოს თავი შეიყარეს სამეთაურო პუნქტის ბლინდჟში. — აქ ვაპირებთ ჩვენ დაზამთრებას. ამ კლდიდან ჩემი არწივები გაზაფხულზე კვლავ ჩრდილოეთაკენ გაფრინდებიან.

— ქარია! სწორედ სვეთური ქარი! — თქვა ინგლისის მისიის უფროსმა პოლკოვნიკმა უოლმმა, რომელიც შეცივებული ისრესდა ხელბს. — სანტერქსოა, თუა აქ კონიაცის მაგვარი რამ?

— ამითანა კერის ქვეშ, ეშმაკმა დაწყველოს და, ას ზამთარს გაატარებს კაცი! — წამოიძახა ლოყადაქადა აღმირალმა მაკ-კელიმ, რომელსაც თავი აეწია და მხიარულად ათვალერებდა ფოლადის კოჭებს. — ასეთ ფოლადს ვერ გადაღრწიან ბოლშევიკთა ყველაზე კბილებდაღუსილი ჯარებიც კი. მთელი იმათი ფანატიზმის მიუხედავად. რამდენი ძელჭერი იქნება?

— ექვსი გახლავთ, ბატონო აღმირალო. — პასუხი მიაგება წინ წამომდგარმა ერთმა ინჟინერმა. — ჩვენის აზრით, ესეც სრულიად საქმარისია...

— ჩემას აზრით კი, — გადაიხარხარა აღმირალმა, — ეს საქმარისზე მეტიცაა, თუ ჩვენი პროდუქციის თვისებას მივიღებთ მხედველობაში!... კონიაკი მოიტანეს.

— მსოფლიოში უშესანიშნავესი თქვენი ამერიკელი ფოლადის სადღეგრძელო იყოს! — ასწია სასამისი ვრანგელმა და კუშტად მიუბრუნდა მაკ-კელის. მერე სხვებისკენ გადააბრიალა თვალეები: — თქვენი გამარჯვებისა, ბატონებო! იმათ გაუმარჯოს, ვინაც დაუღალავად ამუშავებდა ამ სიმაგრეთა გეგმებს: აღმირალ სეიმურს, გენერალ კეისს,

გრაფ დე მერტელს... რუფეთი არაბადეს არ დაიფრყებს, თუ სარჩევ დავალებულა ის თავისი ძლიერის მტკიცე რეზისტანსი...

კაპონის საზებურო მისიის უფროსის ნაიორ ტაკასახის გარდა ყველამ დალია სადღეგრძელო. ის აქ პირველად იყო და ამ წუთსა, კუთხეში მიმდგარი და წელში მოხრილი, რაღაცას იჭერდა თავის ბლოკნოტში.

— თქვენ რაღას იტყვი, ნაიორო? — ინგლისურად ჰკითხა იაპონელს მასთან მისულმა ვრანგელმა.

— ის, რაც მე დღეს ვნახე... კოლოსალური რამაა, — მოუგო იაპონელმა და ბლოკნოტი დახტრა. — ეს საზებურო ხელოვნების კემმარტი საქმალაა. ამ გაშლილ ველზე ასეთი სანგარი, ამდენი ქვემეხი, პირველხარისხოვანი ფორტიფიკაციული ნაგებობანი გახლავთ! მსოფლიოს ვერც ერთი არია — თუნდაც რომ ბოლშევიკებისა — ვერ შესძლებს იმათ აღებას... ყოველ შემთხვევაში პირდაპირ მაინც...

— ზურგიდან დავლას კი ვერავენ შესძლებს, — მტბლი გაეხსნა ვრანგელს. — ჩონგარზე ამაზე ნაკლები სიმაგრენი არა გვაქვს. ერთადერთი, სადაც მოწინააღმდეგეს შეუძლია ყირიში შემოჭრა. არაბათის ისარა გახლავთ, ათას შეიღას ოცდათორმეტ წელს ფელდმარშალმა ლასიმ იმ ისარათი გადმოიყვანა თავისი არმია ნახევარკუნძულზე. ეს ბრწყინვალე მანერი იყო. ლასი, სრულიად შეუფრწველად, პირდაპირ ზურგში მოექცა ყირიმის ხანა, რომელიც თავისი მთავარი ძალებით მაშინ სწორედ აქ, პერეკოპზე, იდგა...

— ალლო, ჯენტლმენებო! — მხიარულად დაიძახა სუფრიდან მაკ-კელიმ, — ეს ჩვენი ახალი ხანის გამარჯვების სადღეგრძელო იყოს!

ვრანგელს ერთანტელმა დაუარა, თავხედი იანკის მოურიდებელმა უტაქტობამ ძლიერ შეურაცხყო.



— თუმცა, მართალი რომ თქვას კაც-
მა, — არ აჩერებდა ენას აღმირალი, —
მე აქამდის ვერ გამიგია ხეირანად,
ვინ იყვნენ ეს ხანები?

— მგონი, ასე ეძახდნენ თურქი
სულთნების აქაურ, ყირიმელ ვასალებს,
— გულგრილად წაიდუღუნა პოლკოვ-
ნიკმა უოლშმა და კონიაკი დაისხა.

გაცოფებული ვრანგელი ძლივს იკა-
ვებდა თავს. ისე გამოდიოდა, რომ იმა-
საც ახლა ყირიმის ხანის პოზიცია უჭი-
რავს, იმასავით ყურმოჭრილი ყმის
ბედს იზიარებს.

— თუმცა არაბათის ისარას თაობაზე
არხეინად შეგვიძლია ვიყოთ. — გაგუ-
ლისებით განაგრძობდა ვრანგელი ტა-
კახასთან საუბარს, რომელიც დაუფა-
რავი ინტერესით უსმენდა. — მთელი
სიგრძის გაყოლებაზე ის საიმედოდაა
ზღვის მხრიდან ქვემეხებით გამაგრე-
ბული.

— იქ თავიცი ვერ გაძვრება, —
ამოისისინა პოლკოვნიკმა უოლშმა, რო-
მელიც ცალი ყურით უსმენდა საუ-
ბარს. — ამის შესახებ ბრიტანეთის
ფლოტის გემებს მტკიცე ბრძანება აქვთ
მიცემული... ისარა ჩვენი ზედამხედვე-
ლობის ქვეშაა.

— საიმედო ხელში ყოფილა, — დე-
თანხმა იაბონელი. — მაგრამ სი-ვაში
ზომ დარჩა კიდევ?

და სათვალეები რომ გაწმინდა, კითხ-
ვის ზვალით ახედა ქვემოდან აყლაყუ-
და ვრანგელს.

მაკ-კელიმ ჩაიკინა კიდევ: სულ
არაფერი სცოდნია ამ პირყვითელა სა-
მურათოს!

— სივამის ვარიანტი, ცხადია, სათ-
ვალეში ჩასაგდები არაა. — დაუდევ-
რად ჩაიკინა იმან ხელი. — მხოლოდ
ის ჯარი გახედავ: სივამის ქანჭრობე-
ში შესვლას, რომელსაც თავის მოკვლა
აქვს განზრახული...

სტერეომალთ დაუწყევს რიგრიგო-
ბით სივამს თვალღერება. ზღვაა! დამბა-

ლა, გაუვალი ზღვაა... ძლივს მოჩანს
გალმა მხარეს ნაპირებზე რქაპირი სველან-
ტული სოფლები, საღმრთო სველანტის
განათებულნი. იმათ უკან კი ტრამალი
მისდევს ტრამალს — ცის კიდურამდე
მიყოლებით. საოცარი ვაჟე ველები,
უკაცრიელნი და იდუმალებით მო-
ცულნი...

— პრერიებია... სწორედ რომ ტეხა-
საი! — წამოიყვირა ჯოჯოხითან მოკა-
კულმა მაკ-კელიმ. — აქ რას ეძახიან
იმას? უკარინას?

იმის შემდეგ უოლშმა გაიხედა ჯოჯო-
ხითში, მერე ტაკახასიმ.

წითლად მოეღვარე მზე ტრამალის
დასაღერზე ჩადიოდა. იაბონელს არ
მოეწონა არც მზე, არც იმის ირგვლივ
თვალისმომჭრელად მოლაპლაპე გვირგ-
ვინი.

— ქარს მოასწავებს, — თქვა მან და
ჯოჯოხითს მოშორდა.

დაბინდებული იყო, როცა დათვა-
ლიერების მონაწილენი თავთავიანთ ავ-
ტომობილებსაკენ დაემშენენ. აქედან
ერთხელ კიდევ მოავლეს თვალი ფო-
ლადით აჯაგრულ ძლიერ სანგარს.
მთავრებით ვადაჭიმულია მთელი
ყელის სიგრძეზე და შავად მოჩანს შო-
რიდან... თხუთმეტი მეტრი სიგანისაა
და სიმაღლით — თხრილის ძირიდან —
ოცისა... ჩვიდმეტ რიგად აქვს შემოვ-
ლებული ეკლიანი მავთული, ასობით
ტყვიამფრქვევი დგას, ზარბაზნები თუ
ყუმბარმშენები...

გამოთხოვებისას სტუმრები უკანა-
ნელ დარიგებებს აღლევდნენ ინეინ-
რებს. დათვალერებით კი საერთოდ
კმაყოფილნი დარჩნენ.

გრანდიოზულია. მიუვალაია.
სიკვდილის სანგარია.

ოლ-რაიტი!

ცხადია, არც გენერალ ვრანგელს,
არც იმის უცხოელ ჭკუის მასწავლებ-
ლებს არ აინტერესებდათ, თუ რას
ფიქრობდა სივამზე და თურქული სანგ-
არის სიმაგრეებზე სოფელ სტროგანოვ-

კას მცხოვრები ივან ივანოვიჩი ოლენჩუკი. სწორედ რომ სასაცილო იქნებოდა ცნობილ მაშხედრო სპეციალისტთა წრეში მხედველობაში მივლით ვილაც ოლენჩუკის არსებობა.

მაგრამ მიუხედავად ამისა ოლენჩუკი მაინც არსებობდა. თუმცა არ იყო ცნობილი სტრატეგი, მაგრამ მაინც ნასაღდათარი კაცი გახლდათ და სტროგანოვიკის კომუნეზაის აქტიური მონაწილე იყო. სწორედ ის კაცი, ვინაც სხვა ღატაკ უკრაინულ გლეხებთან ერთად ფალცფეინის მიწა გაიყო და ვინაც სტროგანოვიკაში შემოკრილმა ახალმოვლენილმა ყირიმის ხანმა ოცი-ოთხ ზუზუნს დაკვრა მიუსაჯა.

ათელი ზაფხული ერეკებოდნენ წრანგლები სივამელ გლეხებს ურმებით ყირიმში. გააგდეს ოლენჩუკიც. რაკი თათრულ ხეტორებში ზშირად უხდებოდა ყოფნა, ამიტომ საშუალებაჲ ქონდა თვალი ედევნებინა პერეკოპზე წარმოებულ გაფაციცებულ სამზადისისთვის. ხედავდა, როგორ მოჰქონდათ ურმებით მასალები. როგორ დაჰქროდნენ წინ და უკან ბრწყვილა მანქანებით უცხოელი სპეციალისტები და პეტრის ბულს აყენებდნენ. ერთხელ სომხურ ხეტორთან გზის პირას მდგარნი დიდხანს ატყაცუნებდნენ აპარატებს. ოლენჩუკის წევრს უყურებდნენ. ათვლიერებდნენ მწყემსის უხემ პოსტოლებს, იმისი ცხენის უცნაურ აკაზმულობას. დამაზინებელი რუსულით ხარზაჩით ეკითხებოდნენ:

— თქვი, ექსპროპრიატორებს ექსპროპრიაციას უწიედი? აბა? ნუ გრცხვენია, გადმოალაგე!

უფრო ზშირად კი გულგრილად ჩაუვლიდნენ ხოლმე გვერდით, რადგან ამისთანა ჩამოკონკილი მეურმეები აქ ბევრი იყო.

უვლაფერი გულდაგულ იყო აწო-

1 კომუნეზაი — ღარიბი გლეხების კომიტეტი უკრაინაში.

ნილ-დაწონილი პერეკოპზე. უვლაფერი გაითვალისწინეს ექსპროპრიატორულივე გამოზომეს. მტკნალს: სასიყმატა-აეიწყდათ, რომ ამ ქვეყნად ცხოვრობ: კიდევ ოლენჩუკი, ბებერი, სივამის ქარებით ძვალგამაგრებული უკრაინული გლეხი, რომელიც ამ მიწაზე გაიზარდა, თავის ოფლით მორწყო იგი და თავს ამ კუთხის ქვეშაირი პატრონად თვლის. სწორედ იმისათვის უნდა გეწიით ანგარიში სტრატეგებს.

არ გასულა დიდი ხანი სტროგანოვიკაში წითელი ნაწილების შემოსვლას შემდეგ, რომ ოლენჩუკი შტაბში გამოიძახეს.

ბევრი იმტერია იმან თავი, როცა შტაბიდან გამოგზავნილს შუა სოფლისაკენ მიჰყვებოდა. თუმცა არ იყო ჯა, რაზე იბარებდნენ, მაგრამ რაღაც დიდისა და უჩვეულო საქმის წინაგარძობას შეეპყრო და გულს უჩქროლობდა. სადღესასწაულოდ მორთული მიდიოდა ოლენჩუკი. ცხვრის ქუდი ეხურა და ტყაბუჭი და ახალი პოსტოლები ეცვა.

სივამისპირეთის მკაცრი შემოდგონა იდგა და განუწყვეტლივ ზუზუნებდნენ ქარები. სისინით მოაწყდებოდა ხოლმე ტრამალიდან სივამის დაცემულ მინდორს, წყალს გადაარეკდა და პირწმინდად მოაშიშვლებდა ფსკერს.

კას დახვევოდა ღრუბლები, გულუნებდა ყინვით შეკრული მიწა. როგორც გრანიტის გზაზე, ისე მორბარხებდნენ ალალები და ქვემეხები. დაქედულ ფლოქებს მიაბაკუნებდნენ ცხენები.

სოფელი ჯარით იყო საცესე. ბახჩაბოსტანებში მეკავშირეები ერთმანეთს გააძახოდნენ და მავთულს საჩქაროდ სკიპავდნენ. ეზოებში მზიარული ჩოჩქოლი იდგა, საკვამურებიდან ბოლქვაბოლქვად ამოდიოდა ბოლი — სტროგანოვიელი პატარძლები მებრძოლებს ეახშმას უმზადებდნენ. სოფლის მოედნებზე პრიკლებდა ყოცონები, ქიჰვი-



ნებდა გარმონი, ყველგან ბუდიონოვ-კებს და ფაფახებს მოჰყარავდით თვალს. ხოლო ტრამაიდან ისევ და ისევ მოდიოდა გათოშილი ახალ-ახალი ქვეითი კოლონები, რომელნიც წითელ დროშებს მოაფრიალებდნენ.

თავის დღეში არ უნახავს სტროგანოვს ამდენი ჯარი. ასეთ ძალას რომ უყურებდა, გული სიზარულით ეცხებოდა ოლენჩუკს.

შტაბის მცველებმა გზა მისცეს ოლენჩუკს და შეუფარებელიც შეუშვეს მღვდლისებულ პალატში.

შევიდა, ზღურბლიდანვე მიესალმა: — საღამო მშვიდობისა.

— მშვიდობა არ მოგეშალოს.

ჩამობნელებულ ოთახში რამდენიმე სამხედრო გაარჩია. ეტყობოდა, რომ ახალი ჩამოსულები იყვნენ და მოწყობა ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ: ქუდები, ქაპრები და ჩანთები პირდაპირ რაფაზე ეყარა. ორი სამხედრო მაგიდასთან იჯდა. დანარჩენები, საკმაოდ თავისუფალ პოზაში, მოშორებით ფანჯარასთან იდგნენ.

ზღურბლს რომ გადააბიჯა, ოლენჩუკმა იგრძნო: ყველამ მას დაუწყო ცქერა. მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— აქეთ მოდით, ამხანაგო. — გაიხმა ბოხი და მშვიდი ხმა. — აი ამ სკამზე დაბრძანდით...

ოლენჩუკმა ქუდი მოიხადა და უხმოდ ჩამოჯდა მიჩენალ ადგილზე. შემოიტანეს ლამაზი, სუფთად გაწმენდილი შეშით. გამოჩნდა მკაცრი, გულჩათხრობილი სახეები. ვინაა ამათში უფროსი? ის გამზდარი და სათვალეობანი კაცო თუ აგერ პირდაპირ რომ უხის — შეგვერემანი და ფართოშუბლიანი, უკან გადავარცხნილი აქორჩილთიანი?

— ოლენჩუკი... ივანე ივანოვიჩი, არა? — დაარღუა დღემილი ფართოშუბლიანი.

ოლენჩუკი არ იყო ნახევრი ასეთ მამართლას. მამის სახელით სხვადასხვა-კაში აქამდე მხოლოდ იმით მიმართავდნენ, ვისაც გლეხები მოუსაყლიან წილს სესხისთვის მიადგებოდნენ.

— ეგრეთა ივანოვიჩი გახლავართ.

— მე ფრუნზე ვარ, სამხრეთის ფრონტის სარდალი.

ოლენჩუკი თითქოს ელოდა ამას: ერთი კენთივ არ შერბევია მზემოკიდებულ, დანაოკებულ ფართო სახეზე.

— გამოგონია თქვენს შუახებზე. ბევრი კარგი გამოგონია...

— ეს კი რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი გახლავთ. ამხანაგი გუსევი. — მიუთითა ფრუნზემ სათვალეოანზე.

გუსევმა ღიმილით გაუწოდა ხელი ოლენჩუკს. ბერიკაცი გამოცოცხლდა.

— მე მყავდა მეგობარი, ოჩაკოველი გუსევი იყო, ერთად გაგვიწვიეს ჯარში. თქვენი ნათესავი ხომ არაა?

— ეგებ არის კიდევ. — მზიარულად მიუგო საბჭოს წევრმა. — ჩვენ, გუსევი, ბევრნი ვართ...

ფრუნზემ რეკა გადაშალა.

— მითხარით, ივანე ივანოვიჩი... კარგად იცნობთ სივასს?

ოლენჩუკს ოდნავ ჩაეღიმა უღვაშებში. სივასს კარგად იცნობსო? მთელი სიცოცხლე იმან იქ გაატარა, სულ დაელოლი აქვს ეს მეკდარი დამპალი ზღვა... თავის პატარა ბიჭობაში გაღმა ნაპირზე დარბოდა ყმაწვილებთან ერთად საჭმლის საშოვნელად. იხვის ბუდეების დასანგრევად ყირიმის უდაბურ თლატეებზე. ეგრეთწოდებულ თურქულ ბატარეაზე... რომ მოიხარდა, ყოველ ზაფხულს სივასით გადადიოდა ყირიმში საშოვარზე... მერე მარილის მოგროვებას მიჰყო ხელი. დამლაშობით მარილის ნალექის, დამპალი ზღვის ამ ძუნწი უბადრუკი ძღვენის, ზვეტის გამო მთელი გვაში გაყენებული აქვს მარილწყლით...

— სივასზე დავიბადე და სივასზე

ამომხვრება, ალბათ. სული, ამხანაგო ფრუნზე... იქ ვალამებ და იქ ვათენებ...

— უკანასკნელად როდის იყავით სივავაშზე?

— დღეს ვიყავ სწორედ.

— ამბობენ, წყალმა დაიკლო, არა?

— ქარმა ჩადენა ზღვაში. ესაა, ძალიან აწუნწუნებულაია.

— ცხენი გაივლს?

— ცხენისა რა მოგახსენიოთ და ადამიანი კი გავა.

ფრუნზემ უჩატყვოდ გადახედა გუსევს. მერე ისევ ოლენჩუკს ჩაამტერდა და განაგრძო:

— კეთილი, ამას ჩვენ დავაზუსტებთ... ბარემ ისიც მითხარით: თქვენის აზრით, რამდენი ვერსი იქნება სივავიდან ამ ადგილამდე?

— ვერსები... არ დამითვლია, ტყუილს ვერ ვიტყვი. მგონი, ათი ვერსი უნდა იყოს.

ფრუნზემ რამდენიმე ასანთის ღერი გადმოყარა მაგიდაზე, რუკაზე დაიხარა და გაზომვას შეუდგა.

— ვერ გამოგიცენიათ... — დღემილის შემდეგ თქვა სარდალმა და თვალები მხიარულად მოეკუტა. — რვა ვერსი ყოფილა.

ოლენჩუკს დავა არ დაუწყია: — რვაა და რვა იყოს...

— ახლა კიდევ ერთი საკითხი გვაქვს, ამხანაგო ოლენჩუკ, ყველაზე მთავარი. კარგად იცით სივავაშზე გასასვლელი გზები? ლიტოვის ნახევარუნძულისაკენ?

ოლენჩუკმა ყური ცქვიტა, მიხვდა, რომ მის სიტყვასა და რჩევაზე ახლა ბევრი რამაა დამოკიდებული. ოლენჩუკზე უკეთ მაშინ ვინ უნდა აცოდეს სივავის საიდუმლო გზები, რომლებიც არავის გამოუპვლევია და არც ერთ რუკაზე არაა გადატანილი. მართლაც სივავაშზე უნდა იყო დაბადებული და გაზრდილი, რომ ალღოთი მიხვდეს, სადაა ეს გზები, როცა უკუნეთ ღამეში ტომარა-

მოკიდებული მიიკვლევ ვხას ქაობაშში, პატარ-პატარა, დაქვავილი ნივთებით დაფარულ მარჩხოვებს შუა, ხაბიჯ-ნაბიჯ მიიწევ უთვალავ კანჭრობებსა და შავად მოლაპლავე მორევეებს შორის.

მთელი სიცოცხლე დაქინებით აკვირდებოდა და სწავლობდა ოლენჩუკი ამ გასაოცარი ზღვის ნირსა და ზასიათს. ხანდახან გულს გაუხარებდა ხოლმე ცისციდურამდე თეთრად მოჭათქათე მარჩილი, რომელიც ისე ელავდა, თითქო სპეტაკი ყაბი თოვლი დაუღვიაო. ხანდახან კი პაპანაქება სიცხეში მთელი სანაპირო სოფლები წყველა-კრულვით ავსებდნენ სივავის საკირეს, რადგან აზოვის ზღვიდან ქარს მიერ ჩამორეკილი დამპალი წყალმცენარეები ისეთ მყარალ სუნს აყენებდნენ, რომ სუნთქვა შეუძლებელი იყო...

ათსნაირი მახე, უთვალავი კანჭრობი ელის სივავაშე კაცს. მაგრამ ყველაზე უფრო საშინელი იქ — შავი დამპალი მორევეებია, ეგრეთწოდებული ჩაკლაკები. ადამიანს თვალი მათ ვერც შეამჩნევს ღერწმნარში, დღედაღამ დუღან ისინი, განუწყვეტილ ღელავს მღვრიე წყალი, ამოაქვს იდუმალ სიღრმეთაგან სილა და ტალახი ზედაპირზე და ისევ იწოვს იმათ აწუნწუნებულ დამპალი უღესკრულები. თუ შეუჩვეული ხარ — ღამით ჩაკლაკს ვერ შეამჩნევ. ვაი მას, ვინაც ფონისუცოდინრად გაბედავს სივავაშზე გადასვლას. არა ერთი ჩაფლულა ქაობის ამ მყარალ, წებოვან ტალახში. ძირი არა აქვთ ჩაკლაკებს, არ ივსება იმათი გაუმადლარი პირი. ერთი თუ ჩაუვარდება — ერთს ჩაყლაპავენ, ჯარი თუ ჩაუვარდება — ჯარსაც ჩანთქავენ... დიხაჯ ჭკონდა ჩასაფიქრებელი ოლენჩუკს, ვიდრე სარდლის კითხვაზე პასუხს გასცემდა.

ფრუნზე ფანქარს ატრიალებდა რუკაზე. ოლენჩუკი ჩაფიქრებული ადევნებდა თვალს იმის ფანქარს. როგორ მოუყვებს, როგორ გადაუშალოს სივავა-



შის ეს დახლართული გზები თუ გასასვლელები? ეგებ ფრუნზეს უნდა ისინი რუკაზე გადაიტანოს?

— რუკაზე ყველაფერი არ დაეტევა, ამხანაგო ფრუნზე. ვაი რომ ბევრია იქ დასაღუპი ადგილები, ქანჭრობები თუ ჩაკლაკები.

— ვიცო, — წარბი შეიკრა ფრუნზემ. — რუკა კარგი რამაა, მაგრამ ის ყოველთვის უნდა შეავსოს კაცმა თვით ხალხის პრაქტიკული გამოცდილებით, ხალხის სიბრძნით... ჩვენ, ამხანაგო ოლენჩუკ, ახლა ხალხი გვკვირია, რომელმაც ზედმიწევნით იცის სივანის ამბავი, შეუძლია ღამით გზის გაგზნება. თქვენ შეგიძლიათ?

— იქ კი შევძლებ, მაგრამ აქ...
— ჩვენ გვინდა მდგზურად წაგიყვანოთ. შეგიძლიათ ჯარი გაიყვანოთ გაღმა?

ოლენჩუკი ჩაფიქრდა. ის ძველი ჯარისკაცი იყო და კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა მდგზურობა, რა პასუხისმგებლობაც ეკისრება მდგზურს. განა ერთი და ორი ჯარისკაცი, — არმია უნდა გადაიყვანო. ამდენი ხალხის ბედი, რევოლუციის ათასი ახალგაზრდა შეიღოს სიკაცხლე უნდა იდო სინდისზე. რას იფიქრებდა მარილზე მოარული ბერიკაცი, რომ მისი წლობით დაგროვილი გამოცდილება ასეთი საჭირო გახდებოდა მთელი ხალხის ბედნიერებისათვის.

— ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ღარიბი, მუშა კაცი ხართ, — წამოდგა მაგიდიდან საბჭოს წევრი. — ვიცით ისიც, რომ თქვენი ძმა ვრანგელელმა ავაზაკებმა აწამეს... წითელი არმია მუშებისა და გლეხების უფლებებისთვის იბრძვის, სწორედ თქვენისთანა ხალხის ადამიანური ცხოვრების პირობების მოსაპოვებლად... ისე რომ კარგად ჩაფიქრდით...

— მე ბევრი საფიქრებელი არა მაქვს, — წამოდგა ოლენჩუკიც, თმაგაჩეჩილი, მხარბუკიანა ბერიკაცი, ლამპის შუქზე

სახე წითლად მოუჩანდა. პირველად გავიგეთ ჩვენ ახლანდელი მშობლიური ხელისუფლება, რა ბედნიერებაა ადამიანური უფლებების მოპოვება, როგორც მღერიან „ინტერნაციონალში“... და თუმცა ცოლის და წვრილშვილის პატრონი ვარ და იმათი დაობლება არ მინდოდა, მაგრამ რაკი საჭიროა ყველას საყეთილოდ, აბა რა გაეწყობა... ყაბულსა ვარ.

— სალდათს კოჭებში შეატყობ! — მზიარულად გაეხმაურა ფანჯარასთან მდგარი ტანადი ადიუტანტი. — მგონი, თქვენც თავის დროზე ფრონტზე იყავით, არა?

— ვიყავი. მთელი კარპატები მაქვს შემოვილილი...

— ესეც კარგია, — სიტყვა ჩამოართვა ფრუნზემ. — მამსაღამე, იცით, რა არის სამხედრო საიდუმლოება, ჩვენ აქ სრულიად საიდუმლო საქმეებზე ვლაპარაკობდით. არავის უთხრათ, სად იყავით, რა გკითხეს.

— ამაზე არხეინად ბრძანდებოდით, ამხანაგო ფრუნზე, — დაარწმუნა გამზიარულებულმა ოლენჩუკმა. — მეგზურიც ასევე დაინტერესებულა, რომ ყველაფერი საიდუმლოდ დარჩეს მტრის ყურამდე არ მივიდეს... მეგზური პირველი აქი თვითონ მიდის!

ქუდს რომ იხურავდა, ოლენჩუკს უეცრად მოაგონდა:

— ამხანაგო სარდალო... სიკეთე მიყავით და ცნობა მომეცით... ურემს არ გამაყოლონ.

— კეთილი, — ჩაეცინა ფრუნზეს უღვაშებში. — ახლავე დაგიწერო.

დაწერა:
„ივან ივანოვიჩი ოლენჩუკი სამსახურის საქმეებით არის დაკავებული. სამხ. ფრონტის სარდალი ფრუნზე“.

— არსად წახვიდეთ. შინ იყავით და გამოძახებას ელოდეთ, — გააფრთხილა ფრუნზემ, როცა ოლენჩუკს ქაღალდი მისცა.

ოლენჩუკმა ქალაღი ქედში ჩადო.

— შემოძლია წავიდე?

— დიახ, თავისუფალი ბრძანდებით! ფრენზე წამოდგა და ოლენჩუკი კარამდე მიაცილა. დამშვიდობებისას ბერიკაცს ერთხელ კიდევ დაკვირვებით ჩახედა თვალბში და გულითადად ეთბრა:

— ამხანაგო ოლენჩუკ... მე თქვენ განდობთ ჩემთვის ყველაზე უფრო ძვირფასს. იცით, ვის წაიყვანთ?

ოლენჩუკმა მხარი ასწია.

— ცხადია, მებრძოლებს.

— ჩვეულებრივ მებრძოლებს კი არა, არამედ სულ დარჩეულ ბიჭებს. — ჩვენს ავანგარდს... კომუნისტებს.

ოლენჩუკი ისევ ჩაფიქრდა. „წითელი არმიის რჩეული ბიჭები... კომუნისტები...“

— მესმის, ამხანაგო სარდალო. იმით, რომ, თუ საქმე ამაზე წავიდა, მაშინ მეც ავრეოვ... კომუნისტი ვარ.

— თქვენ? კომუნისტი?

ოლენჩუკმა აქეთ-იქით მიიხედა და მერე იღუმლად დაუწია ხმას:

— არავის გავტყდომივარ, თქვენ კი არ დაგიმალავთ: გულში მე დიდი ხანია კომუნისტი ვარ. მიწა რომ მივიღე, იმის შემდეგ ლენინის დიდი მომხრე გავხდი.

ჩაფიქრებული გამოვიდა ოლენჩუკი შტაბიდან. ქარს ფრთები გაეშალა. უცეროდ გამოიჭრებოდა ხოლმე შენობებიდან, ზურგში დაეძგერებოდა ოლენჩუკს და ბერიკაცს ნებაუნებურად სივამისაკენ მიაძუნძულვებდა.

სოფელში ერთი ღრანცელი იდგა აუარება ჯარის გამო. ბნელით მოცულ ქუჩებში არ წყდებოდა მოძრაობა: მირაზრახებდნენ ვაზნებით დატვირთული ურმები, სადაც მისწრაფოდნენ მხედრები და ძლივს უვლიდნენ გვერდს ახლახან მოსულ ფეხოსანთა კოლონებს, რომლებიც შემდეგ განკარგულებათა მოლოდინში პირდაპირ გზაზევე დგ-

ზოდნენ. სადაც კი თავის შეფარება შეიძლებოდა ქარისაგან დაეფარებოდნენ. ქუჩელები ხალხი, გზაზე მხედრები ზრიალებდა სტროგანოვიდან ჩრდილოეთ მხარეს ჩაბნელებულ მინდვრებისკენ მიმავალი გზები, სადაც ქარი მძვინვარებდა, ისმოდა იქ ბორბლების ჭრიალი, ცხენების ხეიხინი და ფლოქვების თქარუნო, — იქიდან მოდიოდა და მოდიოდა ახალ-ახალი ნაწილები.

აუჩქარებელი, მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა ოლენჩუკი კოლონების გასწვრივ და წითელარმიელების ლაპარაკს უგდებდა ყურს.

— ავი თქვეს, ზღვა იქნებაო, აბა სადაა ზღვა? — კითხულობდა სიბნელიდან ახალგაზრდის ხმა. — სადაა ოქროს პლიაყები და ბრეტელის სასახლეები?

— კბილს კბილზე ვერა სცემს და პლიაყს თხოვლობს, — სიცილით პასუხობდა მეორე. — ჯერ სივამზე გადადი.

— სივამი რაღა?

— ქანჭრობები და გაუთავებელი ქაობები — ესაა შენი სივამი...

ერთმა მებრძოლმა, რომელიც სიცილით ატანილი ადგილზე ცეკვავდა, ოლენჩუკს თხოვა, პაპიროსი მომაცილინეთო.

— ნებას თუ მომცემთ, მამილო...

ოლენჩუკს სიბნელეში ჩაელიმა. „ეჰ, ჯერ რა იცი, შეილო, რა მამილოც გიღვას წინ...“

ყველასა და ყველაფერს ოლენჩუკი ახლა მეგზურის თვლით უყურებდა.

იმის წინ ჩვეულებრივი მებრძოლები კი არა, არამედ ყველაზე ძვირფასი ადამიანები იყვნენ, რომლებიც იმან სივამის ქაობიან ზღვაზე უნდა გადაიყვანოს და ვის გვერდითაც იქნებ თავი დადოს სადაც იქ, ლიტოვის ნახევარკუნძულზე, ჯერჯერობით არავინ იცოდა იმისი დანიშვნის თაობაზე, მებრძოლთათვის მხოლოდ ჩვეულებრივი გლეხი, აქაური მკვიდრი, წვერიანი „მა-



მილა“ იყო. ის კი ახლა ისეთ სიმალ-
ლეზე იყვანეს, საიდანაც ირგვლივ გა-
რემოს სულ სხვანაირი თვალათ უცქე-
რის, და ეს ათასობით მებრძოლები,
ახლა რომ სოფელში შეყრილან, ღვიძ-
ლი შეიღებინეთ იყვნენ მისთვის.

ვერც კი შენიშნა, როგორ გაჩნდა სი-
ვამის პირას. დღისით აქედან ჩანს პე-
რეკოპი და შორს. ყირიმის ნაპირის
ფლატეებზე, თურქული ბატარეა... სი-
ვამის უკაცროელი ნაპირები ახლა ბნელ-
ში იყო ჩანთქმული, შემოდგომის მძი-
ნე ღრუბლები შემოხვეოდა ირგვლივ.
ქვემოთ შრიალეზდა ლერწმნარი და შა-
ვად ლაპლაპებდა გაშიშვლებული ვაკე
ფსკერი.

განსაკუთრებული, ამწონ-დამწონი
თვლით გაპყურებდა ახლა ოლენჩუ-
კი დამპალი ზღვის ბნელ სივრცეებს.
განა მარდილის ნაცნობი სარეწაო იყო
ახლა მისთვის სივამში, არა, მისი არ-
მიის უზარმაზარი ფონი გახლდათ ის.
ფიქრი ისევ და ისევ სოფელში დარ-
ჩენილთ უბრუნდებოდა. იმათ დაუ-
კავშარა სამუდამოდ თავისი ბედი.
ამიერიდან მთელი არსებით, უკანასკ-
ნელ წუთამდე იმათ ეკუთვნის, ისინი
კი მას. ქოხებში ახლა წითელარმიე-
ლები ვახშამს შეეცქევიან, მზიარუ-
ლობენ და ხელმრობენ, ეკვი იმათ
არაფრისა აქეთ, და ოლენჩუკიც იქაა,
იმათთან; იმითთანაა, კოლონებში რომ
გასათბობად აღვილზე ცეკვავენ; და
იმათთანაც, ვინაც ახლა უახლოვდება
სტროგანოვკას მინდვრიდან. აზრი-
ლებული, გაყინული გზებით, სადაც ქა-
რი დაპარპავებს.

შვიდ ნოემბერს, ოქტომბრის რევო-
ლუციის მესამე წლისთავეზე, სტროგა-
ნოვკაში წითელარმიელებისა და გლე-
ხების დიდი მიტინგი შედგა. სიტყვი-
თ გამოხულები ერთხმად დებდნენ ფიცს,
დიღებულ წლისთავს ახალი გამარჯ-
ვებით აღნიშნავთ, წითელ დროშას
აეაფრიალებთო ყირიმზე.

— ამ დამპალ ზღვას ჩვენი სკელ-
ლებით მოვფენთ, ყირიმზე წაგა-
ვლებთ! — მზურგალებს მსუქანს მსუქანმა
ორატორმა, თავშეხვეულმა ყმაწვილ-
მა მებრძოლმა, და მღვტი მუქარით
მოიღერა სივამისაკენ.

მიტინგის შემდეგ საღამომდე უკ-
რავდა გარმონი, დიდი ლზინი გამართა
ხალხმა.

ოლენჩუკი იმ დღეს ისევ გამოიძა-
ხეს შტაბში. დაბინდებინას მობრუნდა
შინ. ქოხში რომ შემოვიდა, პირველი
ეს იკითხა:

— ბაეშეები სადაა?
ცოლი ამ დროს რაღაცას ეძებდა
ზანდუცში. გაკვირვებული მობრუნდა.

— რა იყო?
— არაფერი... ისე ვიკითხე.

ხმაზე მაშინვე შეატყო ცოლმა: რა-
ღაც მნიშვნელოვანი, ღრუეულო ამბა-
კი მოხდა, მაგრამ ჩაიციეებით არ ჩა-
ციეებია.

— მეზობლებში გაიქცნენ ვარმოშ-
კის მოსამენად, — მიუგო პასუხად,
ზანდუცს თავი მიანება და ვახშმის
გაშლას შეუდგა.

ოლენჩუკი ტყაბუქიანად დაეშვა
სკამლოგინზე მაგიდას კიდესთან, ნე-
ლა დაიწყო თუთუნის გახვევა.

ცოლმა კოვზი მოუტანა, პური
დაუჭრა, და ისევ ზანდუცთან მიტ-
რიალდა.

— ჩვენთან ლაზარეთი იქნება, ივან.

— ლაზარეთი? რა ლაზარეთი?

— ვდოვიჩენკო მოვარდა რეკომი-
დან, ასე თქვა, ქოხი მოამზადეთო. მე
ოკეე ქვაბებით წყალი შევდგი გასაც-
ხელებლად... აგერ ტილოს ვსინჯავ,
შენ როგორ ფიქრობ, ივან: გამოდგე-
ბა სახვევად?

ზანდუცთან გაჩერებულმა ოლენ-
ჩუკის მუღულემ მზარზე გადაიღო ხა-
მი ტილოს ნაჭერი.

— ვფიქრობდი, ბაეშეებს სააღდგო-
მოდ პერანგებს შევუკერავ-მეთქო, მაგ-
რამ აღდგომა ჯერ რა დროსია. დაქ-

რადებს კი ხომ რაღაცით მაინც უნდა შეუხვიო. მართალია, ხამი და უხეშია, სამაგიეროდ სუფთაა.

წარბშეკრული და ჩაფიქრებული უყურებდა ოლენჩუკი ცოლს, მასთან ერთად გაატარა მთელი სიცოცხლე. — შენ ჯერ რა იცი, ხარიტინა, ვის შეუხვევ აქ კრილობას... იქნება შენი სუფთა ტალღითა თუ ხამის უფროსს შეუხვიო კრილობა, დაიხილსა და ტყუავით დაქრილს... ვინ იცის იქნებ ამ სიბერის ხამს დაქვრივდე კიდევ და შეიღებაც ოხლად დაგრჩეს...“.

— რაღას გაჩუმებულხარ, ივანე? — წამოიძახა ცოლმა და ხელების მტკრევას მოჰყვა. — იმ დღესაც ჩემად იყავ და დღესაც სახე ჩამოგტირის... რა გითხრეს იქ? რად გაქვს ეგეთი სახე?

ოლენჩუკი თითქოს უეცრად გამოფხიზლდა, გამოცოცხლდა, მხრები გაშართა.

— არა, არა, ფონ-ბარონმა ჯერ არ იცის ოლენჩუკის ამბავი! — მზიარულად დაიწყო იმან, თითქო თავისთავს ელაპარაკებო. — იმას ჰგონია, ოლენჩუკის ზურგი — გრიფელის დაფა... რათა მთელა საუკუნე შომპოლებით წეროს ზედ... იქნებ გეყოთ, ა, ბატონებო?

და გამხრევებულმა ხელების სრესით დაუმატა:

— ხარიტინა ძვირფასო, მოდი ვივახ-შმოთ ერთი...

ვერც კი შენიშნა, რომ კულემი წინ ედგა და უცვივდებოდა.

ბუტბუტად ქრაქი. სარკმლის მიწებზე უყავუნებდა ქარი. საყვამურში ნალღისმომგვრელად ზუზუნებდა შემოდგომა.

ოლენჩუკს ეახშამიც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ შვირიტი მოვარდა იმის წასაყვანად, ცქვიტი ყმაწვილი ბეჭი, რომელსაც ისეთი ჩაფარბუნებული მაზარა ეცვა, ზედ ეტყობოდა პოლონელ ლეგიონერ-პილსუდნიკისა იყო.

— წავიდეთ, მამე, კოლონა უკვე სივამისაკენ წავიდა. *არკონესული* ივანი წამოდგა, ქუდშიმხარხარებდა, ჯობი მოძებნა. ზღუერბლზე შეჩერდა და ერთხელ კიდევ უსიტყვოდ მოიხედა ცოლისაკენ.

ქალი ყველაფერს მიხედა, უსიტყვოდ გადასწერა პირჯვარი და გზა დაულოცა.

სივამთან უკვე საიერიშო კოლონა იდგა, ქარი აფრიალებდა გამწვანებულ დროშას.

ღამის ათი საათი იქნებოდა, სივამზე სქელი და ცივი ნისლი იდგა. ჰაერში ირეოდა კირხლის ფიფქები. აქა-იქ დახვეული პაპიროსების ალი ბუტბუტავდა და წვერმომშვებულ პირქვეს სახეებს ანათებდა.

— ამხანაგო კომისარო, — ხამალ-ლა მოახსენა შვირიტმა. — მეგზურო მოვიდა!

ოლენჩუკისკენ დროშის მხრიდან მალალი ეაცი წამოვიდა, რომელსაც ტყავის პალტო ეცვა და ბუდიონოვკა ეხურა.

— გამარჯობათ, ამხანაგო ოლენჩუკე, თქვენლა გიცდით.

— მეც მზად ვარ.

— ჩინებულია!

კომისარმა საათს დახედა და კოლონისკენ მიბრუნდა.

— პაპიროსები გადააგდეთ, ამხანაგებო. გზაში არც ხმაური შეიძლება და არც ცეცხლის ანთება. ფრთხილად იყავით, არაფერმა გაირანხუნოს. გაისწორეთ გრანატები, გაისწორეთ მაკრატლები...

მერე ისევ ოლენჩუკისკენ მიბრუნდა და ნახლეჩილი ხმით გასცა ბრძანება:

— მეგზურო, წინ!

ოლენჩუკი წინ წავიდა, ესმოდა, მის ახლოს რომ ფრიალებდა დროშა. ესმოდა, რომ უეცრად, თითქოს მიწის გულიდან ამოდისო, თანდათან მომძლავრდა ნაცნობი მოტივი...



ესაა ჩვენი უკანასკნელი
და გაღმწყვეტი ბრძოლა...

ოლენჩუკს უწინაც არა ერთხელ
ჰქონდა მოსმენილი „ინტერნაციონა-
ლი“, მაგრამ ახლა, როცა სივამისაყენ
დაშვებულ კომუნისტების მოიერიშე
კოლონა, „ინტერნაციონალს“ ხმადაბ-
ლა მღეროდა, მღეროდა ამ შუალამეშა,
ქარის ზეზუნში, პროლეტარული ჰიმნი
მოხუც გლეხს გამსაკუთრებით ჩასწედა
გულში, ააღელვა ისე, როგორც არას-
დროს.

ახე ჩაეიდნენ ისინი ზღვის ფსკერზე,
ყინვით გამაგრებულ ხრამუნა ქვიშაზე.
შეწყდა სიმღერა და ისევ მოისმა სიბ-
ნელეში. ათასი ფეხის ბაქუნნი და შინე-
ლების შარაშურა.

მარჯვნივ, პერეკოპის მხრიდან,
ყრუდ ისმოდა ზარბაზანთა ბათქაბუთ-
ქი. იქ არც დღე და არც ღამე არ წყდებ-
ოდა ბრძოლა.

კომისარი მეთაურთა ჯგუფს გამოე-
ყო. ოლენჩუკს დაეწია და გვერდით
გაჰყვა. სახეგამაყვებელი და ლოყებჩა-
ვარდნილი, ის გაბედულად მოაბიჯებ-
და და თავი სვავივით ჰქონდა წინ გა-
მოწეული.

— აქ არტილერიაა გაივლის, —
თქვა მან ჩახლჩილი, გაციებულ
ხმით. — მშრალია მიწა...

— ჯერჯერობით მშრალია, მერე
აწუნწუნდება, — ხალისით გამოეხმაუ-
რა მეგზური. — ვიცი მე მაგის ამ-
ბავი...

— გათევზავენიათ?

— აქ თევზი არ იცის, ამხანაგო კო-
მისარო. მარალი მიგროვებია. ვერაფე-
რი ძლებს აქ, მარალს თუ ნახავს კაცი
მხოლოდ...

— სარეწაოები იყო თუ?

— მთავარი სარეწაოები აქედან
შორსაა, ისინი ყირიმელ მღერებს
ჰქონდათ იჯარით აღებული. ჩვენ კი
მეტწილად უფრო ღამლამობით დაე-
დიოდით მარალზე, რადგან ამასაც
გვიტრძალავდნენ. ჯოჯოხეთური სა-
ბ. „მნათობი“ № 5.

ქმეა. ხანდახან მარილწყალი. როგორც
რომ ქვაბში, ისე დღეს მარილწყალი
ხელი. ხელ-ფეხს გადავარდნავენს. შენ
კი ამისათვის სადა გცხელა. იმიტომ,
რომ. თუ ხელი მოგიცდა, პერზე ვე-
ლარ გადაცელი და ზამთარში შიშო-
ლი დაგაჩივებს...

— ჰოო... ეტყობა, არც ისე იოლი
ყოფილა ლექმის შოვნა.

— ჰაი-ჰაი, რომ არ იყო იოლი,
ამხანაგო კომისარო... თქვენ თავად სა-
დაური ბრძანდებით, თუ საიდუმლო
არაა?

— პიტერელი ვარ... ხარატი.

— ალბათ, ოჯახი გყავთ იქ?

— ოჯახი... სამი წელია არ მინახავს
ჩემი ოჯახი.

— ახლა უკვე მალე მორჩება ყვე-
ლაფერი...

— ალბათ მალე, რაც შეიძლება მა-
ლე უნდა მორჩეს. — კომისარმა ხელით
გაკვეთა პერი. — დღეს წერილი მი-
ვიღე, ამხანაგები ქარხნიდან მწერენ:
„ამ ზამთარს გელითო, ამხანაგო კა-
პიტონოვ“ — ეს ჩემა გვარია — კა-
პიტონოვი. ამ ზამთარს... აბა, შენ
თავად დაფიქრდი, ძმობილო რღვე-
ვა, ბლოკადა, ამას რომ მიემატოს
კიდევ ერთი ზამთარი და ომი არ დამ-
თავრდეს... არა, დროა უკვე! მთელი
ხალხი ელის ჩვენგან ამ გადაწყვეტ
შეტევას.

მტკიცე რწმენა, რაიც კომისარი
სიტყვებში ესმოდა, ოლენჩუკსაც გა-
დაედო. ახლა პიტერელის გვერდით,
თავს უფრო დაშვილებულად გრძობს
და შიშითაც აღარ ეშინია ისე.

— ის ხომ არ გაგიგონიათ, ბევრნი
არიან თუ არა ისინი ლიტოვზე? — ვი-
თომც სხვათა შორის იყითხა ოლენ-
ჩუკმა, ის თეთრებს გულსხმობდა.

— რაც მეტი იქნება, უკეთესია! —
მეკახედ მიუგო კომისარმა. — ესაა
სწორედ ჩვენი მიზანიც, რაც შეიძლე-
ბა, აქეთ მეტი გადმოვიტორით, რომ

პერეკოპის სიმაგრეების გარღვევა ჩვენებმა უფრო ადვილად შესძლონ...

— თურქულ სანგარს იქით იმათ კიდევ იმუნის პოზიციები აქვთ თადარიგად... მთელი ზაფხული ამეზნებდნენ.

— იქაც მივწვდებით. აქედან რომ გამოვრეკავთ, პერეკოპელებს შევეუერთდებით და მაშინ უკვე ერთად მივაწვებით იესუმს...

კომისარი თითქოს ოდნავადაც არ ფიქრობდა, რომ შეიძლება თვითონვე დალუპულიყო, სანამ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. თითქოს იმას ელოდა არა ბრძოლა და ომი ეკლიან მავთულთან, ათასნაირი სიკვდილის მახე ლიტოვის ნახევარკუნძულზე, არამედ მხოლოდ ძნელი და სასწრაფო სამუშაო, რომელიც, რაღაც უნდა დაუჯდეს, უთუოდ უნდა შესარულოს და ამასთან ცოცხალი და უვნებელი დარჩეს. საოცარია და — ოლენჩუკს ამ წუთებში მართლაც სწამდა, რომ კომისარი „შელოცვილია“ და რომ ლიტოვის ნახევარკუნძულზე ატეხილ ქარცეცხლში ისე გაივლის გამართული, ტყვია არ მიეკარება.

— ცხადია, ვინც ხვალინდელ დღემდე მიაღწევს... იმას მერე არაფერი გაუჭირდება.

— ახ, თურმე რაზე ამბობთ, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა კაპიტონოვმა, რომელიც უმაღლეს მიუხედავ, სახელდობრ რა აწუხებდა მეგზურს. — ეცადეთ ამაზე არ იფიქროთ, ამხანაგო ოლენჩუკ.

— მე ჩემი თავი ისე არ მადარდებს, როგორც ჩემი ცოლ-შვილის ამბავი... თუნდაც რომ მომცელოს...

— სანამ ჩვენთან ხართ, ნურადროსა გეშინიათ! — დარწმუნებით უთხრა კომისარმა. — რას ნაშნავს მოგცევათ? თქვენი მოცელება არ შეიძლება! კომისარი ხანდახან შეჩერდებოდა ხოლმე, რათა ბრძანება გაეცა, სარ-

ყები ჩაღვითო. ამას იმათთვის დგამდნენ, ვინაც მოიერიშე კოლონას მკვლელებად ვებ გამოყვებოდნენ სივრცეში დასასვლელად.

ოლენჩუკი გრძნობდა მის უკან სივრცის ფსევრზე დადგმულ ყველა სარყეს, წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ გაივლიდა იმათ შუა არტილერია, ცხენოსანი თუ ქვეითი ჯარი, დღეს რომ სტროგანოვკაში აუარებელი ჩამოვიდა. ის ამბავი, რომ მთელი ჯარის გზის მარჯვენებელია, ოლენჩუკს საოცრად აღელვებდა და აიძულებდა, მთელი გზა გაფაციცებული ყოფილიყო, ხოლო სიამაყის გრძნობა, რომ მას წილად ზედა ისტორიულ ღამეს ასეთი საქმე ჩადენდა და ასეთი როლი ეკისრა, იმდენად ძლიერი იყო, სულ დაავიწყდა ის შიში, რაც მტრების ნაპირის წარმოდგენამ აღუძრა. როგორც ამ ღამეს, ისე არასოდეს არ შინებია ოლენჩუკს მარცხისა თუ გზის არევისა სივრცეზე. თუ ერთს აგერია გზა — ერთაც დაილუპები, ჩაკლაკების მიერ ჩანთქმული, მაგრამ ახლა თუ აგერია გზა, როცა წითელი ავანგარდის გადაყვანა განდეს ზღვაზე, ამ მარცხს არ გააატიებენ არც შვილები, არც შვილიშვილები, — დაგწყველის და შეგაჩვენებს მთელი ხალხი! გზადაგზა ხანდახან მოიხედავდა ხოლმე ოლენჩუკი მიტოვებულ ნაპირისაკენ, მოიხედავდა შორს, სტროგანოვკაში, აპრილებულ კოცონებისკენ. ეცოდა, რომ ჯარმა სპეციალურად მისთვის, მეგზურისათვის, დაანთო ისინი, რათა უფრო იოლად გაეყავა იმას გზა სივრცეზე. შექქურები!

მარტო ოლენჩუკს კი არ უნათებდა გზას შექქურები ამ ღამით, მეზობელ სოფლებში, ვლადიმიროვკაში და ივანოვკაშიც, დაანთეს ისინი, ვინაიდან სტროგანოვიკიდან გამოსულ მოიერიშე კოლონას გარდა, ახლა იმის პარალელურად სივრცის წყვილიაღში უჩემრად მიიწყოდა წინ სხვა წითელი დივიზიე-



ბის მოიერიშე რაზმები. არ იცოდა ოლენჩუკმა, რომ მარჯვნივ, ერთი ვერსის მოშორებით მეორე კოლონას მეგზურის კომბლით ხელში წინ მიუძღვის მისი სიყრმის მეგობარი, ვლადიმიროვკელი ტაჩენკო.

რაც უფრო შორდებიან, მით უფრო თანდათან შეუმჩნეველი ხდება მშობლიური სტროგანოვის კოცონები. ბურუსში იმალებიან. ბოლოს სავსებით გაქრნენ კიდეც, დაიკარგნენ...

უცნეთ სიბნელეში გაეხვია სივამი. თითქმის ნახევარი გზა ოლენჩუკის კოლონამ მშრალი ფსკერით იარა, მერე კი დაიწყო ის ამბავი, რის გამოც დაარქვეს სინამდვილეში სივამს დამპალი ზღვა. დაპებრა სიბნელიდან ამშორებული ქაობისა და დამყაყებული ზღვის სუნმა. აწუნწუხდა შლამიანი ფსკერი. ფეხი ხან დამპალ ნიადაგს ქვეშა სიცარიელეში უვარდებოდათ, ხან იცვ სწორდებოდა ზედაპირი. ქვაპაქუტუნი გააქვს დამდგარ წუმბეებს, რომელიც არასოდეს არ იყინება; ნაცრისფერ ფსკერზე, როგორც კუპრი, ალაპალადა უძირო ჩაკლავები.

ოლენჩუკი პირველი დაადგა გზას, ამ ჩაკლავებში ხან აქეთ უხვევდა ხან იქით და ჯოხით მარჯვედ სინჯავდა ფსკერს.

— ფრთხილად!—დაიძახებდა ხოლმე დროდადრო უჩვეულოდ მოლონიერებული მკაცრი ხმით. და ესმოდა, როგორ გადადიოდა მისი „ფრთხილად“ მთელი კოლონის გაყოლებასზე, კომისრის ჩახლეჩილი ხმით, ხოლო სხვებს მიერ ყრუდ გამოიკრებულნი.

ახლა შედარებით ნელა მიიწეოდნენ წინ. უფრო და უფრო ხშირად უვარდებოდათ ფეხი. მუხლამდე ეფლებოდნენ ამ სქელ ცივ ტალახში. ქირდა ყოველი ნაბიჯის გადადგმა. ჩექმები თუ წაღები ყინულივით ცივი წყლით გავესოთ. ზღვის წყლით გაყენითილი ტანსაცმელი იყინება, შემდეგ თხუთმეტგრადუსიან ყინვაზე, კანს უხე-

ხავთ. მთელი სხეული ექავევით მარლიანი წყლისაგან.

სიცოცხე უკვე არავინ იწყებდა აღლებას. მებრძოლებმა მანარები გაიხსნეს და, ოფლში გაწურულნი, ხენეში მილოლიალობენ. ორ-ორსა და სამ-სამ კაცს ხელით მოაქვთ ტყვიამფრქვევები. სივამზე მიჩვეულ ოლენჩუკსაც ქოშინი აუვარდა, ჯიუტად მააბიჯებს ამ ტალახში და ტყაპუტის შიგნით ოფლი ასხამს.

— სად მიძვრებით? — ხანდახან დაუცხაცხანებს ხოლმე მოგუდული ხმით იმათ, ვისაც კი ფეხი განზე გადაუცდებდა. — თავის დახრჩობა ხომ არ მოგდომებიათ? აბა, აქეთ, მე მოწყვეით...

მოულოდნელად სადღაც მარჯვნივ ბოროტად იელვა სიბნელეში პროექტორის მსუბუქმა ცისფერმა შუქმა. წამით გაანათა ღრუბელი და მყისვე გაქრა. თითქმის უფრო ჩამობნელდა ამის შემდეგ ირგვლეც და წყვილადი უფრო სამძიმო გახდა.

რამდენიმე ნაბიჯით გადაუბევეს ვინმე განზე და უკვე ყელამდეა ჩაფლული. ხან აქ, ხან იქ სიბნელეში დროდადრო გაისმის სასოწარკვეთილი ყრუ შექახილები:

- ვიძირები!
- ვიძირები!
- ამხანაგებო, ხელი!..

საქირო შეიქნა ხელიხელ ჩაკიდება და ასე ახლო-ახლო სიარული ერთმანეთის დასახმარებლად.

მაღე მარჯვნივ და მარცხნივ, რამდენიმე ალაგას ერთად, გაკვეთეს სიბნელე პროექტორებმა, გაფაციცებოთ დასრიალებდა იმათი შუქი ბურუსში, დაფათურობდა ფსკერზე.

მებრძოლები საამისოდ მომზადებული იყვნენ. მყისვე პატარა ჯგუფებად გაფანტულები ვინ სად ჩაიშუქდა და ვინ სად, სული განაბეს. და როცა პროექტორების შემზარავი შუქი აქაც შემოიქრა, მებრძოლებს ვერ გამოარჩევ-

დით ჯგრო-ჯგროდ ამოსული ლერწმებიდან.

პროექტორმა გეზი იცვალა, ისევ გაისმა ბრძანება:

— წინ!

შუალამე გადასული იყო, როცა კოლონამ კანკრობთა და მორევთა ზოლიდან გამოაღწია და მშრალ ფსკერზე დაადგა ფეხი. შაშხანამომარჯვებულა მებრძოლები სირბილით წავიდნენ. კომისარმა, ხელში რომ ყუმბარა ეჭირა, ოლენჩუკს გაუსწრო.

— როდის მივალთ ბოლოს და ბოლოს?

— უკვე ახლოსა ვართ...

ქარი მოულოდნელად ჩადგა, მაგრამ, ოლენჩუკს გარდა, ეს არავის შეუშინებია. მოულოდნელმა მყუდროებამ მგვხური შეაშფოთა. ის იყო გაიფიქრა: „ქარმა შეიძლება პირი იბრუნოს, ახოვიდან წყალი გადმოაგდოსო“, რომ ხმადაბალი ბრძანება მოესმა:

— გაიშალენით! მავთულა დასტვრით!

და უეცრად, როგორც ავდრიან ლამეს ელვის გაბრკილება, ადამიანებს წამით თვალი მოჭრა პირდაპირ მათკენ მომართულმა პროექტორთა კაშკაშმა.

სიბნელე უეცრად გაირღვა, შორამდე გამოჩნდა სივანის შემაზრხენი თეთრი ფსკერი, სანაპირო ფლატეთა კონტურები და სულ ახლოს — უთვალავ მავთულის ღობურების, ახლო-ახლო ჩარგული მარგილები, რომელთაც მთელი სანაპირო დაედარათ. ეს უკვე ყირიში იყო.

ათასხმიანმა „ვამამ“ შეაზრიალა ნაპირი. ფლატეებიდან წვიმასავით წამოვიდა ტყვიები, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, ფუტკრებივით აზუზუნდნენ ტყვიები, მაგრამ აღარავითარი ძალას აღარ შეეძლო იმათი შეჩერება, ვინაც ყოვლისშემძლე ღვარად მოექანებოდა სივანიდან და გუგუნით, „ჰკა ყირიშისო!“ — შეუკავებლად მიჰქროდა წინ, ოლენჩუკი ველარ ცნობდა მებრ-

ძოლებს. ქანცმინდილ, ილაჯაწვეტალ კოლონის ნაცვლად, სულსკოტუნეწეწიწინათ რომ ძლიერ მოლასტმეზმსმეწმებს კაობებში, ახლა იმის წინ თათქოს ფრთებშესხმული ადამიანთა რიგები იყო, რომელნიც შეუჩერებლად უახლოვდებოდნენ სიმაგრეთა მესერს. ხან ტყვიებს დაუწვებოდნენ და ხან მთელი ტანით აიმათებოდნენ ხოლმე ყუმბარებითა და მაკრატლებით ხელში. როცა პროექტორთა მკედრისფერ კაშკაშში ისინი ნაპირის სუფთა ქვიშაზე იერიშზე მიჰქროდნენ, გრძელ მახარებში გამოწყობილი მებრძოლები, თავზე მაღალი ბუდიონოვკებით, მართლაც რომ არაჩვეულებრივი სიმაღლისა ეჩვენებოდნენ ოლენჩუკს.

იმ ცნობამ, რომ წითელი ავანგარდი ღამით სივანზე ფონით გადმოვრდა და ლიტოვის ნახევარკუნძულის სანაპირო სიმაგრენი გაარღვიათ, დიდი აღიქოთი გამოიწვია თეთრების შტაბში. ზღვა გადმოლახეს, ზურგიდან უვლიან!... სიმაგრეთა გარღვევის სალიცევიდაციოდ ვრანგელი იძულებული იყო პერეკოპიდან თავისი საუკეთესო რეზერვები გამოეყვანა და ნახევარკუნძულის პირდაპირ დაეყენებია ორი დივიზია. პერეკოპის პოზიციებიდან ზარბაზნათა ლულები დაუყოვნებლივ სივანისაკენ იქნენ მობრუნებულნი. მოიერიშე რაზმთა და სახმარებლად გამოგზავნილ წითელ პოლკებს სივანის მოტიტვებულ ფსკერზე მხოლოდ მოკლე-მოკლე მანძილზე თუ შეეძლოთ გარბენა, მერე დაწოლა უზღებოდათ, რადგან ისეთი ჯოჯობეთური გრავალი იდგა ქვემეხებისა, რომ ტალახი უზარმაზარი სვეტებად აღიოდა ცაში.

მთელი დღე უვლიდა ფრენზე რვანოემბერს მერ-არმიის ნაწილებს. საღამოს მოსკოვის 51-ე დივიზიის პოლკებიც იჩახულა, რომელთაც თურქული სანგრის პირდაპირ ეკავათ პოზიციები და ღამით იერიშით უნდა აეღოთ ის.

ერთ-ერთ პოლკში ფრენზე თავის-



ძველ მეგობარს — ივანოველ ფეიქარ ბეზბოროდოვს შეხვდა, რომელიც ერთ დროს მასთან ერთად მუშაობდა პარტიის არალეგალურ ორგანიზაციაში. ფრუნზემ ბეზბოროდოვი გადასახლების წინ ნახა, როცა ის ქოჩორა ყმაწვილი იყო, ახლა კი მის წინ ხნიერი, ბრძოლებში გამოჯაგული, საფეთქლებშეკადარავებული მამაკაცი იდგა, ღრმა ნაქრილომბევის კვალთ ლოყახე. ბეზბოროდოვი 455-ე მსროლელთა პოლკის კომისარი იყო.

— აი სად მოგვიხდა შეყრა, — აღელვებით უთხრა ფრუნზემ მისალმების შემდეგ. — პატარა გზა არ ყოფილა ივანოვის სარდაფებიდან პერეკოპამდე, არა? პირველი პროკლამაციებიდან კონტრრევოლუციის უკანასკნელი ციტადელამდე!

და მაშინვე საჭირობოროტო საქმეებზე გადავიდა:

— როგორ არიან მებრძოლები, ამხანაგო ბეზბოროდოვი? რა გუნებაზე არიან?

— ხალხი დიდად აღტყინებულია, — დარწმუნებით უბასუხა კომისარმა. — დაქრილები და მოყინულები რომაა, იმათაც არ უნდათ პოსპიტალში წასვლა, თავს იკლავენ, ბრძოლაში გაგვიშვითო...

— ბევრი კია მოყინული?

— პროცენტი დიდი არაა, მაგრამ მაინცა... ტანზე შემოაცვდათ ხალხს ტანსაცმელი. ცეცხლის დანთება არ შეიძლება, აგერ თამბაქოსაც სახელოებში მოფარავით ეწვევით... გუნება თუ გვათბობს კიდევ კოტას.

ფრუნზემ ღიმილი ვერ შეიკავა. სადაც კი ჩამოიარა დღეს, ყველა ნაწილში ძალზე აღფრთოვანებული განწყობა იყო. მებრძოლებს მასობრივად შემოპქონდათ განცხადებები პარტიამი მიღებაზე, დაუყოვნებლივ წავიდეთო იერიშზე. — გაიძახადნენ, რევოლუციის მესამე წლისთავი პერეკოპის სიმაგრეთა აღებით უნდოდათ აღენიშნათ.

— ცხადია, განწყობილებას დიდზე დიდი მნიშვნელობა აქვს (ცხროსი ქრძი მიიღეთ? — მიუბრუნდა სარდალი უკვე გარშემოხვეულ მებრძოლებს).

— ახლა უნდა მოიტანონ, — ამბურდნენ მებრძოლები. — დღისით ვერ გამოაღწევდა: სეტყევისათვის მოდის ტყეია...

— ოლონდაც მალე იყოს და ასეც იოლად წავალთ... მშოერი კუჭით უფრო ადვილია სანგარზე აჭრა!

იციონდნენ მებრძოლები. სწორედ საკვირველი მოსასმენი იყო ამ ნახევრად ფეხშიშველ, სიცივისაგან გალურჯებული ადამიანების სიცილი, რომლებიც ტანზე იყრავდნენ შაშხანებს და ერთმანეთს ეფარებოდნენ, ქარისაგან რომ თავი დაეცვათ. რა უნდა ეთქვა იმათთვის სარდალს? რით უნდა დაეცვა ისინი მძინვარე ქარისაგან. რომელიც სამართებელივით ქრიდა სახეს ამ ბნელ ტრამალზე?

— ძნელია. მძიმეა. მაგრამ საჭიროა, ამხანაგებო...

— გვესმის, მიხაილ ვასილევჩი... ხამთრამდე ამის გაკვიანურება არ იქნება: ხალხს მშვიდობა უნდა.

— გვესმით, რა ბათქაბუთქია ლიტოვის ნახევარკუნძულზე? იქ მთელი დამე იბრძვიან თქვენი ამხანაგები, რათა სიმაგრეთა აღება გაგიადვილონ. მალე წახვალთ იერიშზე. იმედია, დილადღე წითელი დროშა აფრიალდება სანგარზე.

— ავაფრიალებთ, ამხანაგო სარდალო!

— ასეც გადაეცით ლენინს: ცაც რომ ჩამოინგრეს, სანგარს მაინც ავიღებთ! ჩამოვიდა ვახზებით დატვირთული ურმები და მებრძოლები ტყეიაწამლის მძაღლებად გაქანდნენ.

ფრუნზემ ავტომობილისაყენ გაემართა, გზადაგზა ეკითხებოდა ბეზბოროდოვს მშობლების შესახებ, ან რა ახალი ამბები ისმოდა წითელი გუბერნიიდან (ასე ეძახდნენ ორივე ივანოვი-ვონენსენსს).

— აბა, ვანიუშა, გისურვებ გამარჯ-

ვებას. — გამომშვიდობებისას უთხრა ფრუნზემ. — ასეთ ხალხთან ჩვენ არაფრის არ უნდა გვემინოდეს ხვალამდე, გამარჯვებამდე!

და მაგრად გადაეხვია მეგობარს.

ნახევარი საათის შემდეგ სარდალი უკვე სტროგანოვკაში იყო, მე-15 დივიზიის შტაბში.

სოფლის ბოლოს, ზედ სივამის პირზე, მიწაში ჩამძვრალა ქარის ანაბარად მიგდებული შეგლუსილი ფაცხა. გუგუნებენ გაძარცვული აკაციები, წინ და უკან დაიარებიან სიცივისაგან მობუზული გუშაგები. წარამარა ხათქონით იღება მოღრეცილი კარი; შიგ ფაცხაში ერთი ზუნუნია შექნილი. ურიცხვი ტელეფონის მავთულები, ზოგა სადღაც ტრამაილიდან, სხვები სივამიდან ამომავალი, — კონად იკვრებიან განათებულ სარკმელთან და შიგნით იმალებიან.

ქოხი საესეა სამხედროებით, თვალუბი ყველას დაწითლებია ამდენი უძილო ღამის გამო. ბოლავს კრაქები, მიწის იატაკი მოთითხნილია შტაბის მუშაკთა ჩექმებით შემოტანილი სივამის შლამით.

ფრუნზე ბეკეშის მოუხდელად მაგიდის კუთხესთან მიჯდა, შტაბის უფროსის ინფორმაციას ისმენდა ლიტოვის ნახევარკუნძულზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

მძიმე მდგომარეობა იყო. მოწინააღმდეგე ძალზე აწეება იმით. დღისით წამ წაწეულმა დივიზიის ნაწილებმა ახლა ისევ უკან დაიხიეს, დანაკლისი დიდაა. ვაზნები არ ჰყოფნით. დასალევი წყალიც არაა. ვერც ვაზნებიანი ურმებისა და ვერც სამხარეულოების გადმოყვანა ვერ მოხერხდა ნახევარკუნძულზე: ყველაფერი იფლობა ქაობში...

შტაბის უფროსს დამთავრებული არ ჰქონდა პატაკი, რომ ზღურბლზე მოულოდნელად აიშართა სივამის ტალახში ამოსვრილი ყმაწვილი მებრძოლი — ტელეფონისტი.

— ზღვა! — წამოიძახა. შეტრუნებულმა, — ზღვა აქეთ დამხრანს მშხანაგებო... წყალი აღიღდა, ფრუნზემ უკრავს! ფრუნზე წამოდგა, მკაცრად დააშტერდა ტელეფონისტი.

— პანიკას ნუ ჰქმნით, თქვით ჩქარა, რაშია საქმე?

მეკავშირემ, ეტყობა, მხოლოდ ახლა შენიშნა ფრუნზე.

— ქარმა მხარი იცვალა, ამხანაგო სარდალო... აზოვის წყალი აქეთ გადმოაგდო. მარილიანმა წყალმა სულ ამოკვამა იზოლაცია. ჩემი ბიჭები ალაგალაგ უკვე წელამდე წყალში დგანან, მავთული მხარით უქირავთ!

ფრუნზე კარისაყენ გაემართა, შტაბის მუშაკებს წასვლისას გადაუღაპარაკა:

— წავიდეთ, გამოვარკვიოთ...

უკუნ სიბნელეში დაზუზუნებდა ქარი. დაბლა მიცურავდნენ მძიმე ღრუბლები სივამის თავზე, გაღმა მხარეს, ნახევარკუნძულზე, დაფიონი კამკამებდა: ყარაჯანაი იწვოდა. თურქულ სანგარზე, თითქო სწორედ ღრუბლების ქვემოთ, წამისწამ ელავდა პატარეთა ცეცხლი.

შტაბის რამდენიმე მუშაკის თანხლებით ფრუნზე სივამის ფსკერზე ჩავიდა. სადაც გუშინ ზმელი მიწა იყო, ახლა წყალს გაჰქონდა ტყაპატყუბი ფეხქვეშ. საბნელეში, სადღაც ლერწმების უკან, ისმოდა ჩმაური, ლანძღვა. არტილერიები ლაფში ზარბაზნის ამოთრევას ლამობდნენ.

ფრუნზემ მარჯვნივ გაუხვია და მალე ამხანაგებიანად ჯერ წყლით დაუფარავ ქვიშიან კუნძულზე ავიდა. აქედან ჩანდა, როგორ გადმოდიოდა ქვიშაზე წყალი. ქარის ყოველი დაქროლებაზე წყალი უფრო ღრმად და ღრმად იჭრება დასავლეთისაკენ, წყლის ენებო უფრო შორს და შორს ეტანება გაყინულ ქვიშას...

შტაბის მუშაკები ფარული შიშით ელოდნენ, რას იტყოდა სარდალი. ყველასათვის ცხადი იყო, რით შეიძლება



ეს ამბავი დამთავრებულყო. კიდევ ცოტათი მოიმატოს წყალმა და — დაიფარება ყველა გასასვლელი ფონი. მე-15 და მერე კი 52-ე დივიზიის პოლკები სივამის გაღმა დარჩებიან... ვაზნები აღარ ექნებათ, არც საკმელი, არც წყალი... რა გამოსავალს მონახავს სარდალი? იქნებ ბრძანება გასცეს, ყველამ თავს უშველოს, სანამ გვიან არაა, დამპალ ზღვაზე უკან გადმოვიდეს?

— არა, მხოლოდ წინ! — თითქო საკუთარი ექვები მოიშორაო, წარმოთქვა ფრენკმა.

და მაშინვე ბრძანება გასცა:

— ფეხზე დაყენეთ სტროგანოვკას, ელდინიროვკას და სივამისპირეთის ყველა მოსახლე ფონების გადასარჩენად. გამოიძახეთ რეზერვიდან მეშვიდე კავდივიზია და აჯანყებულთა ჯგუფი. დაე ახლავე შესხდნენ ცხენებზე და, სანამ კიდევ შესაძლებელია, სივამზე გადავიდნენ.

— ორმოცდამეთერთმეტეს კიდევ ერთხელ გაუმეორეთ ბრძანება: დაუყოვნებლივ მიიტანონ იერიში თურქულ სანგარზე, აიღონ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ...

რამდენიმე წუთის შემდეგ შტაბიდან უკვე ყველა მხარეს მიაჭენებდნენ ცხენებს მხედრები, მავთულები მოვარდნილ ზღვაზე უსწრაფესად მიაჭროლებდნენ სარდლის ბრძანებებს:

— სივამზე წყალი მოვარდა. მდგომარეობა ძალზე სახიფათოა. დაუყოვნებლივ გადადით იერიშზე!

სტროგანოვკაში რევკომმა განგაჰი ასტეხა. მთელი სოფელი გააღვიძეს, ფეხზე დაყენეს. ეხოებში შეაქნა ერთი ფაკიფუცი: სწრაფად ბერხავდნენ აკაციებს, კარებს ხსნიდნენ გომურებსა და ფარდულებზე, წამოაქციეს ლობეები, მესარები, კიშკრები. ყველაფერს ურემებზე დებდნენ, — არაფერს არ იშვრებდნენ გლეხები მშობლიური არმიისათვის. განა ცოტანი იყვნენ იქ მათი

შვილები. მალე რაბრახით დაეწეა სივამისაკენ შემთ, ფიხბით, ქვეხით დატვირთული უამრავი ურემი, მთელი სოფელი, ქალი, ბავშვი თუ მოზარდი, გამოიკრიფა ხმაურითა და ჩოჩქოლით.

ქუჩებში ხალხი ღვარავით მიედინებოდა სივამისაკენ. ივან ოლენჩუკი მთელს ალაღს მოუძღვა ფონთან, დიდიან-პატარიანად წამოეყვანა მისი კუთხეყურის ოლენჩუკები.

უკვე მეორე ღამეა ოლენჩუკს არ სძინებია, მეორე ღამეა არ შესრობია სივამის წათხ წყალში ამოღებულ ტანსაცმელი. რამდენიმე კოლონა გადაიყვანა იმან ლიტოვის ნახევარკუნძულზე. არტილერიის ქარცეცხლში გაღმაგამოღმა, გადიოდა დამპალ ზღვაზე. ის ამბავი, რომ ქარმა პირი იბრუნა და მალე ზღვიდან წყალს ჩამოდენისო, ოლენჩუკმა ადრევე უთხრა სივამზე ტელეფონიტებს, თხოვა „უფროსების შტაბს“ შეატყობინეთო, მაგრამ, ეტყობა, ბიჭებმა პირველად ყურადღება არ მიაქციეს ბერიკაციის სიტყვებს. ახლა კი განგაში ატყდა...

განგაშმა ოლენჩუკს ფეხშიშველს მოუსწრო, ღუმელთან. სივამიდან ეს წუთთა დაბრუნებული, ტალახში ამოსვრილი და შორი გზით დაღლილი, ცეცხლთან იჯდა, როცა რევკომის მიერ ატეხილი ალიაქოთი შეიქნა: ყველა ფონებასაკენ წადითო!

ცხადია, ოლენჩუკს შეეძლო შინ დარჩენა, რაკი სარდლისგან მოცემული ცნობა ჰქონდა ხელში. დაკრილი მებრძოლები, რომლებიც ქოხში ერთმანეთს ღამის თავზე აწვნენ, დარწმუნებულნი იყვნენ, ბებერი მეგზური ისარგებლებს კიდევ მიცემული პრივილეგიებითო, მაგრამ იმათ გასაყვირად ოლენჩუკმა სწრაფად დაიწყო ჩაცმა, ჯერ ასე ნამიან სახვევებს სალდათურად იხვედა ფეხებზე.

— საით, მასპინძელი?

— სადა და იქ... ხომ გაიგეთ: ზღვას გზა უნდა შეუქრათო...

— მაგრამ თქვენ ხომ ესაა დამტყუან-
დათ. ტრამაქმელი მაინც გაიშრეთ, გათ-
ბით...

— ოხ, ტყუილად ეუბნებით. ამხანა-
გო.—ჩაერია ლაპარაკში ხარტიჩა. —
თქვენ მაგისი ამბავი არ იცით. განა
ასეთ ღამეს ეგ შინ დადგება? სხვა მთ-
აგს ადგილზე თავივით შექცერბოდა
სორიში...

— იყენე, დედაბერო, — წამოდგა
ფეხზე ივანი. — თავი კი არა, წითელი
მეგზური დგას შენს წინ. გზა ვინც გა-
კეთა, იმანვე უნდა გადაარჩინოს...

და აი თავს არ ზოგავს კიდევ გადა-
სარჩენად. მუხლამდე გაყინულ წყალში
მღგარი ყუთით არკობს პალოებს, ამხნე-
ვებს ახალგაზრდებს. განკარგულებას
აძლევს დიდსა და პატარა ოლენჩუკებს.

— ძია ივან, ეს ის მორგებია, თქვენ
რომ ჩაღანგარებიათვის ამზადებდით?

— ისინია, მოიტა, აქ დადე!

ოლენჩუკის ხელით გათლილი მოჩე-
ბი სივამის ფსკერზე წევბა, ფონის გას-
წერივ.

არმიის მესანგრეები და გლეხები
მხარდამხარ მუშაობენ, სიბნელეში კარ-
გა შორ მანძილზე გამწვრივეულნი პა-
ლოებს არკობენ, ჯებირებს ავსებენ,
გზას უხერგავენ მოზღვევებულ წყალს.

ცოცხალ სარყეებივით დგანან მთელი
სივამის სიგრძეზე მდუმარე მეკავშირე-
ები. დგანან წყალში, გამყინავ ქარზე, და
მხრებით უჭირაეთ მავთული.

შუალამისას სარდალს ჩაპლინკიდან
მოახსენებს:

— ორმოცდამეთერთმეტე დივიზიის
პოლკმა და საარტილერიო ბრიგადამ
მოწინააღმდეგის საბრძოლო ქარცეხლში.
დიდი დანაკლისის მიუხედავად, გაარღ-
ვიეს ჩვიდმეტი წყება მავთულობურე-
ბისა და ერთ ალაგას კიდევ აიჭრნენ
სანგარზე. მაგრამ გამაგრება ვერ მოას-
წრეს. სეტყვასავით დამენილ ტყვიამ-
ფრქვევითა ცეცხლითა და ახლახან მო-
სულ ოფიცერთა ნაწილების კონტრ-

იეროშით იცეე უკანვე იქნენ ცაუბლე-
ბულნი. თხრილთან ჩაქეწნენ... ჩა-
მოცდამეთერთმეტე ბრიგადის მხარე
დაიღუპა. იერიშის დროს გმირულად
დაეცა კომისარი ბეზბოროდოვი...

ფრენზეს სახე შეეცრა.

— მეგობარო... გმირულად დაეცა...
მთელი მოიერიშე ბრიგადა...

მაშ რა ქმას? ამოცანა გადაუდებე-
ლია, სასიცოცხლოდ აუცილებელი.
რესპუბლიკის სამინიო თუ საერთაშო-
რისო მდგომარეობის პირობებით ნა-
კარნახები... მთელ ხალხს მშვიდობა
უნდა. მსხვერპლად იღებს ამისათვის
პარტია თავის საუცუეთესო შეილებს.
სხვა რა გზაა, თუკი რესპუბლიკის ბედ
სასწორზეა შეგდებული?

ფრენზემ ამოიხზრა და ორმოცდამე-
თერთმეტეს ბრძანება მისცა:

— მესამედ მიიტანეთ იერიში.

თამბაქოს კვამლით გაეხებულ ოთა-
ხიდან გამოვიდა და კარებში დადგა.
უზარმაზარ შავ უფსკრულავეთ დაუ-
ლია ხახა ღამეს. პერეკობიდან ისმის
ზარბაზანთა თანდათან მომძლავრებუ-
ლი გუგუნის. შორს, თურქულ სანგართან
ცივცხელეებიანივით დაწრიალებს ბა-
ტარეათა და პროკეტორთა შუქი, მამა-
საღამე, მესამე იერიში მიიტანეს უკვე.
მებრძოლთა ტალღა ტალღას მიყვება
ახლა, ეკლიან მავთულებს ეკიდებიან,
წინ ლამობენ გაქრას...

სივამზე ერთი ხმაური დგას, ელრი-
ალებს ნიჩხები, კაცუნობს ნაჯახები...
ქვემოდან, ტრამალის მხრიდან, რაღაც
შავი ღრუბელი მოიწვეს. არა, ღრუბე-
ლი არაა — ცხენოსანი ჯარი მოემარ-
თება. ზრიალებს მიწა თქართქურისგან.
აგერ უკვე გარამის აღვირთა ელრილი,
უზანგებზე ხმლების რაჩხარუნხი.

— ამხანაგო სარდალო, თქვენი ბრძა-
ნებით მესამე კავდივიზია მოვიდა! —
აძლევს პატარს სახენაყვეილარი ყმაწ-
ვილი დივიზიის უფროსი, ფაფახი რომ
დარდიმანდულად მოუქცევია გვერდზე.



— მზადა ხართ სივამსზე გადასასვლელად?

— თქვენს ბრძანებასლა ველით, ამხანაგო სარდალო! გული გაგვიწყალდა ტრამალზე დგომით!

— მეგზური აიყვანეთ?

— ახლავე ავიყვანთ. მორიგე რევეკმელი გვახლავს... ამბობს, ყველანი სადღაც აქ არიანო, ზღვას გზას უღობავებო...

— იქ არის ერთი ოლენჩუკი, ის წაიყვანეთ. ნელარ აბრკოლებთ, ყოველი წუთი ძვირფასია...

თითქმის მხიარულად იტყა ამ ღამეში ბრძანებამ:

— აბა, პირდაპირ ზღვისკენ—მა-არს! ათასმა ცხენოსანმა დივიზიისამ თქათქტრით ჩაუტარა გვერდი ფრუნზეა, ნელ-ნელა ჩაედინენ და მიიმალენ სივამის შავ, იღუმალ წყვილიდში. ახალგაზრდა დივიზიის უფროსი, ახალგაზრდა არმა... ომში დაბერებულ ოფიცერთა წინააღმდეგ, თავიდან ფეხამდე აარაღში ჩამჯდარ ინტერვენტთა წინააღმდეგ.

ჩაქრა პრაქექტორები, პერეკოპზე თანდათან იკლო გუგუნმა. ნუთუ მესამე იერიშიც მოგერიებულია?

„თუ მოგერიებულია, მე თვითონ წავალ იქ. — გადასწყვიტა ფრუნზემ, — მე თვითონ ჩავდგები მწკრივში, იერიშზე გავუძღვები..“

ამ დროს აპარატთან უხმეს.

ფრუნზეა ყურმილი ხელში ჩაებღუჯა და მაგიდასთან მოღუშული იღგა. აღღვებისაგან შესამჩნევად გაფათრებულიყო.

— ასე... ასე... ასე... — ამბობდა ის და დაძაბული ისმენდა პატაკს, მაგრამ თანდათან სახე გაუნათდა. ყურმილი რომ დააგდო, სახე გაბრწყინებული ჰქონდა.—ამხანაგებო... მომილოცნია! მესამე იერიშის შემდეგ ეს წუთია აიღეს პერეკოპის სამაგრები. მოწინააღმდეგე იღუშენისკენ გარბის, ტბების გაღმა...

ბეკეში შეიხსნა, წელში გასწორდა—

თითქოს გაახალგაზრდავდა კიდევ და უკვე მხიარულად მოიქცეა, გვერდზე კრაველის ქული.

— დიდი ლოდი მოვიმორეთ...

— მიხაილო ვასილევინ, — მხიარულად გამოექიმა წინ საველე შტაბის უფროსი. — ნებას მომცემთ გადაეცე?

— გადაეცით ყველას... ლიტოვის ნახევარკუნძულზე მყოფ პოლკებს... ფონებზე მომუშავე გლეხებს... ამხანაგ ლენინა გადაეცით: ყირიმის კარი გახსნილია. ანტანტის გეგმები ჩაფუშულია. თურქულ სანგარზე წითელი დროშა ფრიალებს-თქო!

...დილაადრიან ფრუნზე თურქულ სანგარზე იყო. მთლიან ნანგრევებად ქცეულიყო მტრის სიმაგრები. ბლინდაეებს თითქო დაეკრიკათ ბეტონისა და გამიშვლებული რკინის წინელების კბილები. ყველგან უწერრიგოდ ეყარა იარაღის ნამსხვრევები, ცარიელი ბოთლები, კონსერვის ქილები... და წვეროსანი, კარხლით დაფიჭვული ოფიცრები ინგლისურ მაზარებში, წყრილით იფანტებოდა ფეხქვეშ დახვავებული ცარიელი და შერუჯული მსარები. სანგარის წინ თხრილი სახეე იყო დაგლეჯილი ეკლონი მავთულით, პალოებით, ჯარისკაცთა გასისხლიანებული მაზარებით.

წითელი ცხენოსანი ჯარი გაუთავებლევ მიჰქროდა და მიჰქროდა სამხრეთისაკენ. სივამისპირეთის გლეხები ურმებით მოდიოდნენ — სანგარის სიმაგრეთა გადასარჩევად ან წასაღებად დააწევეთ თუ საშენ მასალად. ერთ ურემზე ივან ოლენჩუკი იჯდა. სანგარზე რომ ფრუნზე შენიშნა, ხმაილლა მიესალმა სარდალს. ფრუნზემ პასუხად ალერსიანად დაუქნა ხელი.

— ოლენჩუკი და ყველა მეგზური ჯილდოზე წარადგინეთ, — უთხრა მიხაილ ვასილევინმა შტაბის უფროსს, თან რომ ახლდა. — ეგენი გვეხმარებოდნენ და მაინც როგორ გაგვიკირდა, მათ გარემე ხომ ერთი ორად გაძნელდებოდა.

— ოღონდაც... დიდი ჯაფა გაუწევი-
ათ ანტანტის ინჟინრებს. — თქვა შტა-
ბის უფროსმა, რომელიც გამომვლე-
ბულ ფოლადის წინელის მოღუნვას ლა-
მობდა. — მთელი თავიანთი ფორტიფი-
კაციული გამოცდილება დასავლეთ
ფრონტიდან აქ გადმოიტანეს... ვერდენი-
ა... თეთრი ვერდენი!

ფრუნზემ თვალი მოავლო სანგარს,
სიეამის ფოლადისფერ ვაკეს, მოშავო-
მოწითალო ტრამალს, რომელსაც კიდე-
განი არ უჩანდა ჩრდილოეთისკენ. სარ-
დალმა იცოდა, რომ აქედან მოყოლე-

ბული ჩაბლინკამდე ყოველი მეტრი
ტრამალსა გულდაგულ ყურადღებო-
მილი, კვადრატებად დაჯერებული
ნული მოწინააღმდეგის მიერ... მაგრამ
არაფერმა უშველა.

— შეცდით, სატონო ფორტიფიკატო-
რებო, — ჩაფიქრებით თქვა ფრუნზემ.
— ანგარიში არ გაუწიეთ იმ ძალას,
რომელიც რევოლუციამ გააღვიძა ხალ-
ხში... ძველი საწყობითი ზომავდით, ის
დაგაუწყდათ, რომ ოღენჩუკი ლენინის
მომხრეა!

თარგმანი რუსულად ქიზულაძისა

მოსკოვთან სამარადისოდ!



ვილნიოდან დაწყებული სმოლენსკამდე იწვოდა შემამულეთა სახლ-კარა, საგანგაშოდ რეკავდნენ კასტელებში ზარებს. თავად-აზნაურობა — შლიახტა, შეშინებული სტოვებდა თავის ბუნაგს. გზებზე იღგა გამუდმებული მტვერი. მიმავალ კარეტებიდან და უბრალო ეტლებიდან პანები დამწუხრებულნი უცქეროდნენ თვალუწყდენელ მინდვრებზე ოქროსფრად შემოსულ ყანებს და ალუბლის ბაღებს. მათ ზურგს უკან უკვე ისმოდა თანდათან გაძლიერებული ზარბაზნების გრიალი. შიშით პირ-ჯვარს იწერდნენ და მოსამსახურეებს აჩქარებდნენ რათა ცხენები გაერეკათ, თორემ შეიძლება კახაკებს მოესწროთ. ან შეიძლება საკუთარი ბოგანო ხალხი ფიწლებით და კეტებით ჩირგვებიდან მათ თავს დასხმოდა.

ლიტველთა შლიახტა ცდილობდა ვისლის გადაღმა გადასულიყო. თავშესაფარს ეძებდა. სამეფო ქალაქებში — ვარშავაში ან კრაკოვში.

მეფის გეტმანი ლიტველი თავადი იანუშ რაძივილი ის-ის იყო გროდნოდან დაბრუნდა. იქ მას მეფესთან სამხედრო თათბირი ჰქონდა. ახლა ის სამხედრო საქმეებს აგვარებდა და დღე-ღამე მოსვენება არა ჰქონდა.

ყოველდღე საშინელ ცნობებს აწვდიდნენ. მან გამოსცა სასტიკი ბრძანება: შეუბრალებლად დაესაჯათ აჯანყებულები, თავები მოეკვეთათ და გვამები გზებზე და მოედნებზე დაეკიდათ. ხოლო მათი მეთაური გლეხი მიხას ოგნიეკო ცოცხალი შეეპყროთ და მეფის გეტმანისათვის წარმოედგინათ.

და რომ დაეჩქარებინათ ამ ყაჩაღის შეპყრობა, თავადმა რაძივილმა უბრძანა ეცნობებინათ ქალაქებისათვის და სოფლებისათვის, რომ ვინც ჯანყის მეთაურს ოგნიეკოს ცოცხალს წარმოადგენდა, მას ათას ოქროს მისცემდა ჯილდოდ.

მალე ეს ჯილდო ერთი ორად გააძლია, მაგრამ ოგნიეკო მაინც ვერ შეიპყრეს.

ამბობენ, ოგნიეკო მოგილიეოში ამყოფებოდა, ხალხში გარეული, სწორედ იმ დროს, როცა პოლონელმა კომისარმა შეპყრობის ბრძანება წაიკითხა. ბრძანება მოისმინა მიხას ოგნიეკომ და დაიძახა:

— ტყუილი იმედი გაქვთ! აი, მე აქა ვარ, მაგრამ, ჯალათებო, მე ვერ შემიპყრობთ! გამხეცებული ეოლნაორები შეიპყრნენ ხალხში მის შესაპყრობად, მაგრამ ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ, ვერ იპოვეს. როცა ეს ამბავი თავადმა რაძივილმა გაიგო, გასცა განკარგულება, მიწასთან გაესწორებინათ სოფელი ბუდუ, საიდანაც იყო მიხას ოგნიეკო, ყველა იმ სოფლის მცხოვრები და მათთან ერთად მღვდელიც. ეკლესიის გარშემო პალოებზე დაესხათ.

მესამე დღეს, როცა ბუდუს მცხოვრებლები პალოებზე წამებით იხოცებოდნენ, ხოლო გეტმანის მხედრები თავად გურსკის ბინაზე ქეიფობდნენ, მიხას ოგნიეკო თავის კახაკებით გამოცხადდა.

ცუდი დღე დაადგათ ეოლნაორებს. მიხას ოგნიეკოს ხელში ჩირაღდანს ეჭირა. ერთი წამებულიდან ნელის ნა-

ბიჯით მეორე წამებულთან გადადიოდა ჩირაღდნის ალით განათებული ჩერდებოდა თვითულის წინაშე და მდაბლად თავს უხრიდა, თითქოს პატივებს სთხოვდა, რომ მისი მიზეზით ასე უღმერთოდ აწამეს. ვინც ჯერ არ მომკვდარიყო, ოგნივკოს თვალებში შესცქეროდა. გადმოჰყავდათ პალოზე დასმულები და მიწაზე კვდებოდნენ, დასუსტებულებს დაეყენებინა ძალაც კი აღარ შეეწვედათ, თუმცა ჯოჯოხეთურ ტყვიებს გრძობდნენ. მიხასმა თავისი დედაც დაინახა, მისი და უკვე მომკვდარიყო. მიხასმა დედის წინ დაიჩოქა და მის გამხდარს, პატარა ხელს ეამბორა.

მიხას ოგნივკოს ვერ წარმოედგინა, ისე როგორ უნდა გამხეცდეს ბატონი, რომ თავისი მსგავსი ადამიანი ასეთს წამებებს მისცეს.

— იმათ ზომ ისეთივე სახე და ხელები აქვთ. ჰყავთ ისეთივე დედა, ძმა, დები. მაშ რატომ უნდა ჩაიდინონ ასეთი შემზარავი ბოროტება?

— გადაგვარებულნი! — წარმოთქვა ოგნივკომ ძალიან ყრუხმით, მაგრამ ყოლნობრებმა, როტმისტრმა და პანამ გურსკიმ მაინც გაიგონეს.

ამით მიხედნენ, რომ მათი აღსასრულიც მოახლოებული იყო. მიხედა იას გავრონსკიც, რომ ველარ ნახედა ვერც დედას, ვერც დან და ვერც თავის დანიშნულს. დაეშო მუხლებზე და პირზე ხელები მიიფარა. ხოლო როტმისტრმა ბაკვილიხოვსკიმ აყანალებული ხმით წაიღულღულა:

— ნება მიბოძე, ატამანო, მივდგე ბუნებრივ მოთხოვნილებასთვის.

— მოითმინე, — ჩუმად ჩაილაპარაკა ოგნივკომ, — საიქიოს იმას გამოსთხოვე მაგის ნებართვა. — და ხელით უჩვენა წამებულთა გვამები.

რამდენიმე დღის შემდეგ ორატოვის სასახლესთან, სადაც ცხოვრობდა თავადი იანუშ რაძივილი, გაჩერდა ეტლი, რომელსაც ტილო ჰქონდა გადაფარებული. მეეტლე გადმოხტა და მიიშალა.

საღუშაგოდან გამოვიდნენ დროჯები, გადახადეს ეტლს და ნაყეს/უჭეულებს გვამები როტმისტრ ზაცქილ/შეჩქისკისა და მისი მამისა. როტმისტრს ხელში შერჩენილი ჰქონდა ბარათი.

თავადმა რაძივილმა ეს ბარათი რამდენჯერმე გადაათვალიერა. ხელს აწერდა მიხას ოგნივკო.

— ასეთი თავხედობა?! — ამბობდა თავადი, — რაინდი მოუტლა პოლონეთის მთავრობას — რენ პოსპოლიტას — და ჩვენც ყველას გვემუქრება... მოუჩმახია გლეხუქას რაღაც ბელორუსია, თითქოს, ის ქვეყანა ჩვენს გვირგვინოსანს არ ეკუთვნოდეს!..

იმავე დღეს რაძივილი გროდნოში თავის მეფეს ატყობინებდა, რომ დროგობუცი დანებდა მეფე ალექსის ჯარს, ხალხი ჩვენდამი მტრულად არის განწყობილი, ხოლო მოსკოვის მეფისა და ბოგდან ხმელნიცკის წერილებით მოხიბლულნი არიანო. ეს უფრო მეტ ზიანს გვაყენებს, ვიდრე თვით მოსკოვიო.

ამ წერილის გაგზავნის მეორე დღეს მიიღო ცნობა, რომ ზოლოტარენკოს კაზაკებმა ბელაიას და ნეველის ციხესიმაგრეები აიღესო.

თავად რაძივილს თავზარი დაეცა.

— მოსკოვის მეფემ მიიზნო ბოგდან ხმელნიცკი და მთელი უკრაინა. ამიტომ არის რომ ბელორუსიაც თავს მალა იწევს. რა ძალა შესწევს გლეხს ოგნივკოს, რომ ის მარტო იყოს? მოსკოვს და ხმელნიცკის მისდევს ხალხი. — შეეფიქრებს ეძლეოდა რაძივილი.

* * *

მთელს ბელორუსიაში, ლიტვის სოფლებში და ქალაქებში კითხულობდნენ მოსკოვის მეფის და ბოგდან ხმელნიცკის სასიხარულო შინაარსის წერილებსა:...

„მეფემ მოსკოვისამ, მამამ და ჩვენმა მფარველმა გამოგვიწოდა მტკიცე ხელი და იყისრა ჩვენი დაცვა, რათა აღმოფხვრილ იქმნას სიცრუე და ბოროტება მართლმადიდებულთა ქვეყნებში“.



ბოგდან ხმელნიცი ოხმატოვიდან ჩი-
გირინში ბრუნდებოდა. იქ მას ყი-
რიმის ხანის მაჰომედ-გირეის ელჩი
ელოდებოდა. გზადაგზა ბოგდანი ბავ-
შეებს ხვდებოდა და ფიქრობდა: „აი,
ესენი მოვსწრებიან მშვიდობიან ცხოვ-
რებას. შეიძლება მათ აღარ შეხვდეთ
შფოთი და ომი. პოლონეთის შლიახტე-
ბი, ბასურმანთა ურდოები აღარ იქნე-
ბა მათთვის საშიში“. გულს უნდოდა
დაეჯერებინა, რომ ეს ასე იქნებოდა,
მაგრამ უცხად აზრად მოუვიდა: „ამის
განსახორციელებლად საჭიროა ბრძო-
ლა არა ერთი და ორი წელიწადი... ახ-
ლა, როცა მოსკოვს შევეუერთდით, გა-
მარჯვების იმედი შეიძლება იქონიო“.

გეტმანის ეტლს ოთხი ცხენი მიაქრო-
ლებდა. უკან იასაული ლუჩენკო და
ორი კაზაკი ცხენდაცხენ მისდევდა.

ეტლი ბაიგოროდში შევიდა. კვირა
დღე იყო. ეკლესიის ეზოში მრავალ
ახალგაზრდას თავი მოეყარა. წირვა გა-
მოსულიყო და დიაკვანი ეკლესიის კა-
რებს ჰკეტავდა. ჭადრა ლიტკა მზის-
გან თვალებს ჰკეტავდა და ჩიბუხს ამ-
ზადებდა.

ხმელნიციმ ეტლი შეაჩერებინა და
სწრაფად გადმოვიდა ეტლიდან. თითქოს
ახალგაზრდა ყოფილიყოს და არა ორ-
მოცდაათ წელს გადაცილებული.

იგი მაშინვე იცნეს.

ქალიშვილებმა ატეხეს თივილ-ხივი-
ლი:

— გეტმანი! გეტმანი!

— გეფიცები, ის გეტმანია!

ჭადრა ლიტკას ჩიბუხი დაუვარდა.
გარღვია ახალგაზრდების წრე და
ხმელნიციას წარუდგა გაკვირვებულ.

— გამარჯობა შენი, კაზაკო! — ხე-
ლი გაუწოდა ხმელნიციმ. ლიტკას
თეთრი წვერი აუტოვდა მუხლი მოეკ-
ვეთა და თითქოს ჩაჩოქებდას აპირებდა.
ნუთუ ეს ხმელნიცია? არ იცოდა რა
ეთქვა, როგორ დაეწყო და ბოლოს მა-
ინც ჰკითხა:

— შენ გეტმანი ხმელნიცი ხარ?

— ვგონებ ის უნდა ვიყო. — სიცი-

ლით უთხრა ბოგდანმა. — რატომ ხელს
არ ჩამოშორებ? იქნებ ტყვედ შეგაქ-
რებულნი ხარ? ან იქნებ ბრძოლაში დაიღუპა
ყენინე?

— არა, გეტმანო, ნათელი აღმიაწო!
— ლიტკამ ორივე ხელით ხელი ჩამო-
ართვა. — იმას ვფიქრობდი, რომ მენა-
ხე, ვიდრე მოგვედებოდი! — უთხრა
და მის ხელს ხელეზიდან არ უშვებდა,
— შენზე რას არ ამბობენ!..

— მაინც რას ამბობენ? — მხიარუ-
ლად ჰკითხა ხმელნიციმ.

— კარგად, აესად. — უკვე თამამად
აღაპარაკდა მოხუცი. — შენ მაინც არ
უნდა გეწყინოს. ტყბილს ალოკავენ,
მწარეს გადმოაფურთხებენ. კარგია,
რომ შენ არც ტყბილი ხარ. არც მწარე.

— მაშ როგორი ვარ? — ჰკითხა
ხმელნიციმ.

— მსუსხავი, როგორც კვირინჩხანაი!
— სწრაფად უთხრა ლიტკამ და ხელი
გაუშვა.

ხალხი გამოარღვია აქაქანებულმა
ახოვანმა ტოვსტონოსმა. მოართვა
პურმარილი. ხმელნიციმ მიიღო პურ-
მარილი. პურს ტუნებით შეხო და თა-
ვის გუშავს გადასცა.

— როგორ ცხოვრობთ, ძმებო? —
პასუხს არ დაუცადა და თვითვე განაგრ-
ძო:

— ნურაფრის ნუ გეშინიათ. ამ ზაფ-
ხელს კოლნიორები აქ ვერ მოვლენ.
ჩვენ ისინი უმანთან გავანადგურეთ.

— ჩვენ კი შიში გექონდა. — ჩაერია
ლიტკა. — მინდოდა საშველად შენთან
წამოვსულიყავ!

— შენ უნდა დაისვენო, ჩემო კაზაკო!
ლიტკას სიხარულისაგან ფრთები შე-
ესხა. აი, უკვე მეორედ უწოდო გეტმან-
მა ყველას თანდასწრებით კაზაკი. განა
რომელიმე პანი მას ასე ეპყრობოდა?

ბოგდან ხმელნიციმ მოიკიხა ნაც-
ნობი დედაბერი იავდოხა ტერნოვია.
უთხრეს, სახლშიაო და გაემართნენ იავ-
დოხას ქოხისკენ. პირველად ბავშვებმა
ახარეს ბებია იავდოხას, რომ გეტმანმა
გიკითხა და ახლა შენთან მიდისო.

ხმელნიცკი იავდობას მიესალმა როგორც მშობელ დედას.

— როგორ ცხოვრობ, მშობელო დედა! აბა, მიჩვენე შენი სასახლე!

იავდობა შეუძღვა ნახევრად მიწურ ქოხში. ქალბრა ლიტკა კიშკართან მოთავსდა. იავდობამ გეტმანს რძე მოართვა. მან იგი სიამოვნებით დალია და უღვაშები მიიწმინდა.

— ასე ცხოვრობ, როგორც კაზაკი დედა. — თქვა ხმელნიცკიმ, — შენი შვილი მარტინი ვაჟკაცურად ომობს. შლიახტებს გავდევნით ჩვენი მიწა-წყლიდან და უკეთესად იცხოვრებთ.

ლიტკამ იდროვა და იკითხა: — მოვერევით კი შლიახტებს და ბასურმანებს? იკითხა და თან თვითონვე შეერთა. განა შეიძლება გეტმანს ასერიგად ელაპარაკოს? ხომ არ გაუწყრება?

ხმელნიცკი ყურადღებით დააკვირდა ქალბრას და დაბეჯითებით უთხრა:

— მოვერევით! მოსკოვი მხარს გვიჭერს. სმოლენსკთან სტრელეცკის ჯარი დგას. მრავალი ქალაქი და სოფელი ბელორუსიაში უკვე ჩვენს მხარეზეა უმჯველად დაეპარკებთ შლიახტებს. დაე, ისინი დასხდნენ ვისლას გადამა და ჩვენთან ცხვირს ნულარ შემოიყოფენ. ჩვენ სხვინი არ გვინდა, ხელს ნურც ჩვენსას ახლებენ.

— თათრები? — ლელავდა ლიტკა. — ოღონდ თათრები ნულარ მოვლენ...

— არ შემოვუშვებთ, მოხუცო, არა! მტკიცედ მშობდეს, რასაც გეუბნები. არც ლიახებს და არც ბასურმანებს არ შემოვუშვებთ!

კარზე მომდგარიყო აუარებელი ხალხი და სასოებით ისმენდა ბოგდან ხმელნიცკის სიტყვას.

სამი დღის შემდეგ ბოგდან ხმელნიცკის წარუდგა ყირიმის ხანის მამამედ გირეის ელჩი ტოხტამიშ-ალა. ბოგდან ხმელნიცკი უსმენდა ელჩს და აგონდებოდა სიტყვები: „არ შემოვუშვებთ ბასურმანებს“.

სილუიან მუქელოვსკიმ ელჩს შენიშნა:

— თუ მართლა მამამედ-გირეის ბრძენი მდივანი მობრძანებულა ჩვენთან კეთილის სურვილებით, მაშ ევზირმა სეფერ ყაზიმ რად აღუთქვა პოლონეთის ელჩს იასკულკის, რომ ურდოებს შემოგვისევედა ჩვენ და მოსკოვს?

ტოხტამიშ-ალას თვალები ცეცხლით აევსო:

— სულთანმა ხანს უბრძანა გაილამშქროს მოსკოვის სამეფოს წინააღმდეგ და არა გეტმანის.

ხმელნიცკის წარბები მალლა აეწია. ელჩმა ასეთი რამ პირველად ამცნო.

— როგორ გაილამშქრებთ მოსკოვის სამეფოს წინააღმდეგ, როდესაც ჩვენ ერთი კავშირი გვაქვს? — ჰკითხა ხმელნიცკიმ და თან ჩიბუხს ხელიდან არ უშვებდა.

— თქვენ მოიკალათეთ თქვენს სახლში, — ცბიერის ღიმილით უთხრა ელჩმა, — ლიახები მოიგერიეთ, ხოლო ჩვენ ჩვენს საქმეს გავაყეთებთ!..

ხმელნიცკიმ ელჩს თვალებში ჩახედა. ჩიბუხს მაგიდაზე დადო, მოკლედ უთხრა:

— ეგ არ მოხდება. მოსკოვის სამეფოსთან ომი იგივე ჩვენთან ომია. ზაპაროეიეს სეჩთან ჩემი ჯარი დგას, აგრეთვე კოდაკშიაც. მამველსაც გავუგზავნი, რამდენიც საჭირო იქნება. პერეკოთან დაგიხვედებით, ეს იცოდეთ. ასე მოახსენე მამამედ-გირეის ხანს. იქნებ ჩვენი მეგობრობა თქვენთვის მწარეა, მაგრამ უფრო ტკბილს სხვაგან ვერ ნახავთ. ჩვენ არ ვარღვევთ თქვენთან ძველს ხელშეკრულებას, თუ მას თქვენ არ დაარღვევთ და თუ დაარღვევთ, — ხმელნიცკიმ ხმას აუმაღლა და ოღონდ მაგიდას ხელი დაარტყა, — თუ დაარღვევთ, მაშინ თქვენ იყავით ყველაფერზე პასუხისმგებლები.

— ხანს ერთი რამ უნდა, თქვენო ბრწყინვალეობა, ის რომ მოსკოვს ჩა-



მოსკოვში. რაში გვირდებათ მასთან კავშირი? ამის გამო სულთანი მოიმედურე, პოლონეთის მეფე აიშხედრე, აიშხედრე აგრეთვე რომის იმპერატორი — მთელი ქვეყნები აიშხედრე, თავადი რაყოცი შენზე ისე გულმოსულია, რომ კბილებს აკრავუნებს. სტეფან ეოვოდამ ხანს ელჩები აახლა, უკეთ ბრწყინვალე ხანი შენს წინააღმდეგ გამოილაშქრებს, მზად არის ჯარით დაეხმაროს. შევდების მეფემ კარლოსმაც ამცნო სტამბოლში, თავს დაგესხმება, უკეთ მოსკოვს არ ჩამოსცილდებიო.

ხმელნიციმ სიტყვა გააწყვეტინა და დამცინავის კილოთი უთხრა:

— რად დაგვიწყდა რომის პაპი, ვენეციელი დოქი, საქონელი კურთხეული და საფრანგეთის მეფე?

ხმელნიციმ ჩაიკინა და გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა. შემდეგ ელჩს უთხრა:

— დესანო, მოახსენე შენს პატრონს, რომ ჩვენ მოსკოვის მეფეზე ვამყარებთ იმედს და მოსკოვს არ გამოვეთიშებით, სანამ პირში სული გვიდგას. ასევე იქნებიან ჩვენი შვილები და შვილიშვილები. არ მოხდება მოსკოვის მიმართ ღალატი, რადგან ჩვენს კავშირში. რომელიც პერეიასლავში საშუალოდ შევეკრით, და რომელსაც ხალხმა შეჭვიცა, ჩვენი სიცოცხლის საწინდარს ვებდავთ!

ხმელნიცი წამოდგა და მით ანიშნა, რომ ლაპარაკი გათავებულა.

მთელი წლის განმავლობაში ვარშავა ცდილობდა, რომ ურდოების (ყირიმის სამეფოს) წინააღმდეგ ხმელნიციის გაელაშქრებინა, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდა.

არც სულთანი მოჰამედი უგზავნიდა დახმარების ფირმანს პოლონეთს. იქ, სტამბოლში, ახალი დიდი ვეზირი მაჰომედ-ეკბარელი, ფრთხილობდა მას შემდეგ, რაც ხმელნიციის ელჩმა ლავრინ პაპუსტამ ინახულა. ამიტომ იყო, რომ

ურდოები ერთ ადგილს იყვნენ გაერებულნი.

მოსკოვის მეფის ელჩი იმედიანად დიფენსკი დაბრუნდა ყირიმის სამეფოდან და მოიტანა საგულისხმო ცნობები, რომ ურდოები აპირებდნენ გამოლაშქრებას 1655 წელს, ზამთარში.

პოლონეთის სახელმწიფო გეტმანი სტანისლავ პოტოცკი, რომელიც თავის თავს უწოდებდა პოსპოლიტას შემცვლელ მეფედ, ამ მძიმე დროს ნიჩს არ იტეხდა და თავისი ბულავის გარშემო ჯარს აგროვებდა. ათიათასი მადარი გამოათხოვა ტრანსილვანიის თავადს რაკოციოს. ეს ჯარი უკვე მზად ყავდა ბოგდან ხმელნიციის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად.

პირველი და საჭირო საქმე ის არის, ამბობდა სახელმწიფო გეტმანი გროდნოში შეკრებილ გენერალურ თათბირზე, რომ საშუალება არ მიეცეთ ბელარუსიაში შეგროვილ ჯარს, რათა შეუერთდეს ხმელნიციის მთავარ ძალებსო.

ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ, რათა ყირიმის ურდოების ლაშქრობა დაეჩქარებინათ. მაჰომედ-გირეის ამის გამო სხვა მრავალ საჩუქრებთან ერთად, ორმოცდაათი ათასი დუკატი, ვატკანის მიერ გამოგზავნილი, დასალტულ კასრებით მიართვეს. ვარშავაში იცოდნენ საიდუმლო პირობა, რომ მაჰომედ-გირეი უკრაინაზე გაილაშქრებდა, როცა კი პირველი ყინვები დაიწყებოდა.

განა წარმოიდგენდა პოლონეთის მეფე, ან მისი გეტმანი, რომ ეს საიდუმლო პირობა დაწერილებით იცოდა ბოგდან ხმელნიციმ, ხოლო მისგან მოსკოვმა? ამ პირობას, სუფთად გადაწერილს, კითხულობდა თავადი პროზოროვსკი, ბუტურლინი და ორდინ-ნაშნოკინი. ეს გააცნეს აგრეთვე მეფეს.

საფრანგეთის მეფის ელჩი როჟე შვედნი მოვიდა ვარშავაში და იან კაზნიმირს განუცხადა: როდესაც თქვენი ჯა-

რი დნებრთან მივა, მეფე ლუდოვიკო XIV დაარღვევს პირობას მოსკოვთან. მაშინ დაიწყება ომი. ამჟამად კი საფრანგეთსა და მოსკოვს შორის იქნება მოჩვენებითი მეგობრობა და კავშირი.

ხოლო ავსტრიელმა ელჩმა ურჩია: შეღწეული ჩამოეგდოთ მოსკოვსა და ხმელნიცის შორის. თუ მოსკოვს შეაძლებთ ხმელნიცის, გარწმუნებთ, მოსკოვი ზურგს შეაქცევს და მან ბოლოც მოეღებო.

ბარონმა ალეგრეტომ იცოდა აგრეთვე, რომ შეეღებოც ემზადებოდნენ საომრად, ხოლო პირველად ვის დაეცემოდნენ, ეს არ იყო გამორკვეველი. შეიძლება მოსკოვისათვის დაერტყათ, ან თვით პოლონეთისათვის. გასაგებია, კარლ მესტაევი მტაცებლურ თათებს იქით გაიწვდიდა, სადაც უფრო ხელსაყრელ მდგომარეობას დაინახავდა. თუ დაარტყამდა პოლონეთს, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ უკრაინაზე გაეცელო მოსკოვზე თავდასასხმელად.

ავვისტოს თვეში, როცა მინდვრებიდან აიღეს ხორბალი, ლ. მოსტოვმა პუჩით დატვირთული ათი ქარავანი კახაყ გლეხობას გამოუტანა, ხმელნიცეში მოიწვია ყოველი მხრიდან თავისი ჯარი და მხედრები. ყველგან გაისმოდა საყვირის ხმა, რეკავდნენ ზარებს. მოვიდა ჯარი და ფართო მინდვრები ათასფრად აქრულდა.

ხმელნიცეში ასწია ბულავა და წარმოთქვა:

— მხედრებო და ჯარის უფროსებო! უნდა იცოდეთ, ჩვენ წინააღმდეგ იბრძვის ძლიერი ლაშქარი. თუ ამ ბრძოლაში ჩვენ მათ არ გავანადგურებთ, სხვა დროს აღარ მოგვეცემა ხელსაყრელი საშუალება. ახლა ჩვენ ძალაც შეგვწევს და მოსკოვიც გვეხმარება. ამიტომ გიბრძანებთ, ჯარისკაცებო, მტერს დაუხვდით წინდახედულად. ბებური პოტოკი, საზიზლარი, ურწმუნო და უზნეო, ჯალათზე ჯალათი, მოდის ჩვენზე. მის სისასტიკეს არ

უჩანს საზღვარი. ამბავი მომიტანეს ჩერკონი უკრაინიდან, ერაყის მხარეში მოტოკი აწამებს ყველს, რომელიც მათ წყლით სავსე სარდაფებში, ყველა მართლმადიდებელთა ეკლესიები და ტაძრები საჯინიბოდ გადაუტყვევია. პოეტაზე გადაუწვავს სოფლები, დამწვართა გვაშების სუნი ახრჩობს ახლომახლო სოფლებს და ქალაქებს.

— ჩვენც ასე მოვექცევით ყველა ლიახებს! — წამოიძახა ვიგოვსკიმ.

ხმელნიცეში მრისხანედ ხელი დაუქნია.

— გაჩუმდი, მწერალო! შენ არავინ გკითხავს. შენ თუ ასე ფიქრობ, ჩემი აზრი სხვანაირია. ყველა ლიახებს ასე არ მოვექცევით, არა! რა დააშავა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გრეჩოელმა ლიახმა. განა ის ხალხს აწიოკებდა. ან გლეხებს პალოებზე სვამდა?

— არა, ის არა! — დაიძახეს აქეთი იქიდან.

ხმელნიცეში განაგრძო:

— აი, მეც მაგას მოგახსენებთ, ამხანაგებო: ჩვენ უნდა დავსაჯოთ ისინი, ვინც ჩვენს ხალხს სტანჯავდა, ვინც აწამებდა, ვინც შეურაცხყოფას აყენებდა, რაც შეეხება გრეჩოელ ლიახს, ან მისთანას, რომლებიც ჩვენს მეფეს ერთგულობენ და ჩვენს ხალხს ხელს უშართავენ, ისინი უნდა მძად მივიღოთ. მართალს არ ვამბობ, კახაკებო?

— მართალს ამბობ, მართალს!

— აი, ასეთი ქცევა ნამდვილი კახაკურია!

— მოსკოვის მეფის ჯარი ჩვენთან ერთად მხარდამხარ იბრძვის. განა ჩვენ ქედს მოგვახრევიანებს პოსპოლიტას დროშების ხროვა, ან ძალით თავმოყრილი გერმანელები, შვეიცარიელები, მადიარები, ვალახები და ათასი მაწანწალები, რომლებსაც რკინის პერანგები ჩაუცვამთ, ჩაფხუტი ჩამოუხურავთ და ლამობენ ჩვენი სამშობლო ფეხით გასთელონ. გეკითხებით, თქვენ, კახაკებო, განა ჩვენთვის სამიშნი არიან

ბატონი, ღიახედი, ან მათი მოსყიდული
ჯარი, რომელიც შემდგარია მძარცვე-
ლებისაგან, ქურდებისაგან და ათასგვარ
ხელმწიფე პიროვნებისაგან, რომლებ-
საც თვალი ანგარებისა აქვთ და ხელი
მტაცებლისა?!... რას იტყვით, კაზაკებო,
ჩვენს სარწმუნოებაზე, ჩვენს თავისუფ-
ლებაზე?

უცბად ივრიალა ხალხმა:

... გაგვიძეხ! სიკვდილი მოძალადებს!
ხმელნიციმ ასწია ბუდეცა მძალდა-
მისი თვალებიდან სხივებში წამოკრახა
დნენ. ყველა მისი სიმტკიცით და ნე-
ბისყოფით გამსჭვალულიყო. ხმელ-
ნიციმ რიხიანად დაიძახა:

— კაზაკებო! სამშობლოსათვის! თა-
ვისუფლებისათვის, წინ!

თარგმანი სანდრო შანშიაშვილისა.

ძ ნ ე ლ ი ს ა ძ მ ე



მიუხედავად ცუდი ამინდისა, კლუბში შეიკრიბნენ მთელი სოფლის ახალგაზრდა და მოხუცი კოლმეურნე ქალები. მამაკაცები ცოტანი იყვნენ.

კოლმეურნეობის მეჯინიბე ივანე კუროჩკა მაგიდის კუთხეში იჯდა, ხელებზე დაეყრდნო ლამაზი, თმაგაწეწილი თავი. ივანეს დაგლეჯილი ქურთუკი ეცვა, წელზე ძველი მათრახის თამბაქკონდა შემოკერილი.

როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში პირველი, ალაპარაკდა მოკრინავასილიშინა, ღონიერი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჩასქელებული დედაკაცი, რომელსაც მეტსახელად „შანდარ-ქალას“¹ ეძახდნენ.

— როგორც გინდოდეს, ივანე, მაგრამ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. აბა, ერთი დახედე შენს თავს! პერანგი მთლად შურივითაა, ქურთუკიდან ბაშბაცევივა... შენი ქოხის ფანჯრებზე შარშანდელი მკვდარი ბუხები ისევ ეკიდებოდნენ აბლაბუდაში, გოგოებს რომ არ დაეწმინდათ სადღესასწაულოდ... დათბება და — ყოველი კოლმეურნის ფანჯრებთან ყვავილები გაიდურჩქნება. შენთან კი ჭინჭარი სახურავს წვდება.

მეჯინიბემ უღარდელად შეარბია მხრები. მისი თაფლისფერი კრიალა თვალები, რომლებიც ოცნებას გაეტაცა, იცქირებოდნენ სადღაც შორს, დარბაზში მსხდომ ხალხს იქით.

— რად მინდა ყვავილები... სულაც არ მაინტერესებს... ჩემი ცხენები ყვავილებივით არიან!

— ჰოდა, ესაა... შენ არ გაინტერესებს. ჩვენ კი გვაინტერესებს, ძალა-ნაც გვაინტერესებს! შენ ზომ საქვეყნოდ გვარცხვენ... სადღაც შენთვის რომ ცხოვრობდე, შენი ნებაა. რაც გინდა ისა ჰქენი, თუ გინდა მიწაზე თავდაყირა იარე... მაგრამ შენ ზომ კოლმეურნეობის წევრი ხარ, ივანე, შენი სირცხვილი — ჩვენი სირცხვილიცაა!

კუროჩკამ ტანჯული მხერა წინასკამებზე მსხდომ მამაკაცებს მიმოავლო: რატომ არ აღგება რომელიმე მათგანი და არ ეტყვის დედაკაცებს ორიოდე მართალ სიტყვას, მე რას დამეხივინენ, როგორც თათლს ბუხები?... მამაკაცები კი დუმდნენ და თამბაქოს აბოლებდნენ. მაშინ კუროჩკამ მოკმუჭნა თავისი ბეწვის ქუდი, შეხედა პირდაპირ სახეში მოკრინას და უთხრა:

— რას გადამეკიდე! შენ რა გესაქმება? ხომ არ გშურს, ქალაქიდან რომ მოვიდნენ ჩემი ცხენების სურათის გადასაღებად? მე ხომ თქვენს საქმეებში არ ვყოფ ცხვირს, ნურც თქვენ ერევით ჩემს საქმეებში... ერთი ამით დამიხედეთ, როგორი დამრიგებლები შეკრებილან...

— ცხვირს არ ჰყოფს, ცხვირს არ ჰყოფს! როცა ვინმე სტუმარი გვეწვევა ვინ გამოდის პირველი საჯინიბოდან? აბა მოიგონე ჩვენთან მწერლების ჩამოსვლა? ყველა მისწი-მოსწიე და, მათ წინაშე კელაბტარივით გამოიქიმიე! პირი დაგელო, პერანგი მთლად შემოკრეცილი გქონდა, თმებში — თივა, შემოლილს ჰგავდი! მიწაში უნდა ჩაძვრე

1. თანდარში ქალი.



სიტყვილისაგან... სიმართლეს ეტყვი და ისევ ჩვენ გვლანძლავს...

„შანდარ-ქალას“ შწითე პომიდორით აუწითლდა ლოყები, ივანე არ იცქირებოდა მისკენ, იგი ისევ თავის ფიქრებით იყო გართული.

მოკრინა ივანესკენ გაემართა:

— ჩვენ, ვინც აქ თავი მოვიყარეთ, არ მოგცემთ ნებას, რომ ერთმა ცხვარმა. — შენზე ნუ იქნება ეს თქმული. — მთელი ფარა გაგვიფუქოს... ერთი სიტყვით, ამ გაზაფხულზე შენი ცხოვრება უნდა შეიცვალოს, ივანე! ჩვენ გულწრფელად ვთხოვდით, გაფრთხილებდით. შენ კი ყურიც არ გვათხოვე! სანამ ჩვენს კოლმეურნეობას მილიონერობამდე რამდენიმე ათი ათასი აკლდა, ვითმენდით ასეთ ბინძურს. ახლა კვ გვეყოფა! ხომ მართალს ვამბობ, ქალებო?

ამ სიტყვებს ერთობლივად მოწონებით შეხედნენ.

— ხედავ, ივანე, ეს მართო ჩემი სურვილი როდია, როგორც აქ ზოგიერთი მამაკაცი ფიქრობს. ხედავ, უღვაშებში ელიმებათ... მთელი კრება ითხოვს ამას შენგან. და ერთი როგორ შეებრძოლები მთელ კრებას? ა, ივანე?

ივანე უხალისოდ წამოდგა, ქუდს ხელიდან არ უშვებდა:

— მე კრების გადაწყვეტილების წინააღმდეგი არასოდეს არ ვყოფილვარ და არც ვიქნები. მაგრამ ვთხოვ პატივცემულ კრებას, როგორმე მიხსნას ამ დიაცური წესებისაგან. რაღაც ათასნაირი ყვავილების გამო, რომლებიც თურმე ფანჯრებთან ჰყვავის, მე ჩემს ცხენებს არ მივატოვებ. ფერმაში რვა მკეე ფაშატია, სადაცაა მოგების დროც მოუვათ... თქვენ როგორ ფიქრობთ, განა შეიძლება მათი თუნდ ერთი საათით მიტოვება? კეთილი ინებეთ, — და ივანემ უკვე გაბედულად გადახედა კრებას. — თუ გაკრიტიკება შეგიძლიათ, რჩევად არიგებთაც მომეცით!

ქალებმა თითქოს სუნთქვა შეიკრეს.

მოულოდნელობისაგან თითქოს დაიბნენ. მაგრამ ეს ასე არ იყო, ახჯერ მოფიქრებული პასუხი დიდინანია მხად ჰქონდათ.

— სხვა გამოსავალი არ გვაქვს, ივანე, — განაცხადა მოკრინამ. — ცოლი უნდა შეიერთო! აი ჩვენი რჩევა, აი ჩვენი პასუხი!

კუროჩკამ მძიმედ ამოიხზრა:

— კეთილო ხალხო, პატიოსანო მეზობლებო, იქონიეთ ცოტაოდენი შებრალება... თქვენ კარგად იცით, რა მძიმე ცხოვრება მქონდა ჩემს განსვენებულ ცოლთან, თქვენ კი ახალი უბედურება გინდათ თავს დამატებოთ.

— ვერ ხედავდა შენი თვალები, რას ყიდულობდი? — გაიწკრიალა ვილაცის ახალგაზრდულმა ხმამ.

— როგორ არა, ხედავდა... ჩემმა მტერმა შეხედოს ისევ... ქორწინებამდე თაფლი და შაქარი იყო... კეთილო ხალხო, წამოვიყვანე შინ ანგელოსი. სანამ მომყავდა, უწმინდურმა ძალამ გამოცვალა ის ანგელოსი, და შინ საშინელი როკაპი მოვიყვანე.

— რა საქირთა ძველის გახსეხება? — ახმაურდა „შანდარ-ქალა“ — არ გინდა დიასახლისი ქოხში, შენ თვითონ გააკეთე ყველაფერი!.. თორემ შენი თავლა სალონს მიაგავს, ქოხი კი სალორეს.

— აბა, აბა, წესიერად ილაპარაკე! ჯერ მოინახულე სალორე და მერე შეადარე ივანეს ქოხს.

წამოიძახა კოლმეურნეობის მელორე ქალმა ვასილინამ, რომელსაც სალორეში ორი სურათიც კი ეკიდა.

— მართალია. — გაისმა ისევ ის ახალგაზრდული ხმა კუთხიდან. — თუ დიასახლისი არ გინდა, თვითონ მოუარე შენს ბინძურ ქოხს. მოგებზრდა შენი ბუნჯის დალაგება! გვრცხვენია უცხო ხალხთან ჩვენი წარჩინებული მეჯინიბის მაგიერად... კოლმეურნეობიდან გასასახლებელი ხარ.

— გოგონა მართალს ამბობს, — ისევ

ჩაერია ლაპარაკში „შანდარ-ქალა“, — მივაკრავთ ჭიშკარზე ფიცარს წარწერით. — „ერთპიროვნული მეურნე“ და მაშინ უკვე მართლაც სულ ერთი იქნება: თუნდაც უკულმა ჩაიცვი ეს შენი ტყაპუჭი.

ივანე ისე წამოხტა, თითქოს ტიტველი ფეხი გავარვარებულ ფილაქანზე დაადგაო:

— როგორ? მე და ერთპიროვნული მეურნე? — აღშფოთებისაგან სული შეეხუთა. — მე და... ჩემი ცხენების გარეშე?!.. თქვენ რა, გაგიყლით თუ გონება დაგიბნელდათ?

— შეჩერდით, ქალებო, შეჩერდით! — გაისმა შტეფანანთ ძალუას ხმა. სოფელში მას ყველა „შტეფანანთ ძალუას“ — ეძახდა, თუმცა მისი შტეფანე ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს მოჰკლეს. შტეფანანთ ძალუა კოლმეურნეობის საფუტკრეს განაგებდა. იგი იყო მაღალი, ქალარა, ლოყებულაქდაჟა, აყვავებულ ბლისხესავით ტანადი. რომელიღაც წელს უნდოდათ მისი წამოყენება სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ, მაგრამ სასტიკი უარი განაცხადა. შტეფანანთ ძალუა ცდილობდა სუსტი სკების გამოზამთრებისათვის უკეთესი პირობების შექმნას და ქვეყანაზე არ იყო სხვა საქმე, რომელზედაც გაცვლიდა თავის სამუშაოს.

— რას დაეძგერეთ ამ კაცს, როგორც ქორი წიწილას. რომელი არტელის წესდებამი წერია, დაუხვეტავი ქოხისათვის და გაურეცხავი პერანგის გულისათვის კოლმეურნეობიდან ასახლებდნენ? — ამბობდა შტეფანანთ ძალუა და სიცოცხლე ძლივს იკავებდა. — ვინ მოგვით, დედაკაცებო, უფლება, გაასამართლოთ ივანე? თქვენ იცით, რა არის მოსახლე უკოლმეურნეობოდ? ეს იგივეა, რაც უდელი ბავშვი...

— ჩვენს კოლმეურნეობას ნუ არცხვენს, აი რა! — ქალები მაისის ხოჭოებივით აქოთ-ქოთდნენ:

— ეს სხვა საქმეა... შენს საქმიანობას დროა, ივანე, ბოლო მოუღო!

— მეც ხომ ამას ვეუბნები მათ! ჩემს ცხენებთან დაშორებას — თოჯნე ჩამოკიდება მირჩევნია, — წარმოთქვა ივანემ. მან ჩაახველა და ირგვლივ მიმოიხედა. შტეფანანთ ძალუას სიტყვამ მთლად გაამხნევა იგი.

— მოიცადე, ივანე, შენი სათქმელი ბოლოს თქვი. მე, დეზო, აი როგორ ვფიქრობ: ჩვენს მეჯინიბეს რამდენიმე ასი შრომადღე აქვს და ფულიც ბლომად გააჩნია. და იმის მაგივრად, რომ მთელი ბრიგადა ვიაროთ მისი ქოხის დასალაგებლად, უმჯობესია ავიყვანოთ მუდმივი დამლაგებელი! ა? გეყავს ჩვენ ბებია საფტა, მინდორში აღარ გამოდის. მხოლოდ ქათმებს უვლის. ჰოდა, ის მოუვლიდა ივანეს ქოხს... შენ, ივანე, როგორ უყურებ ამ საქმეს?

განაწყენებულმა ივანემ ყურის ძირი მოიფხანა.

— ბებია საფტა? მას, მგონი, ყურს აკლია... მეტიმეტად მოხუცია...

— აჰ, შენ ახალგაზრდა გინდა? აი თურმე რა ყოფილა? — გააწყვეტიხა შტეფანანთ ძალუამ. — მაშინ თვითონ ამოირჩიე!

შეკრებილები ივანეს ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალყურს. დარცხვენილმა თვალი მოავლო მდუმარე რიგებს. უეცრად დაინახა მისთვის საყვარელი მარიიკას სახე. მარიიკასი, რომელიც ყურდაცქვეტილი იყო და შეშინებული თვალებით გამოიყურებოდა.

— დიახ მე... თუკი მისი აღერსი... — შეცბუნდა ივანე, — მე, აი მარიიკას ვთხოვდი. რაც არ უნდა იყოს...

— ო, არა, ხალხო! — წამოიძახა ყაყაჩოსავით აბრიალებულმა მარიიკამ, ბრიგადასთან ერთად წავალ, მარტო როგორ შეიძლება!

შტეფანანთ ძალუამ ხელის მბრძანებლური მოძრაობით შეაჩერა იგი!

— ვხედავთ, კეთილი აღამიანი ხარ,

ცხადია, ფიქრად არ მოგსვლია, რომ მარიკა ქვრივია... როგორ ივლის იგი შენთან? შეიქმნება ათასგვარი ლაპარაკი...

— თუკი მარიკას დაითანხმებენ ასეთ თანამდებობაზე მაშინ ის ჯერ მშაჩში წაიყვანენ, მაგრამ არა უბრალოდ, არამედ მკლავგაყრილი ყველა პატიოსანი ხალხის თანადასწრებით, — მოულოდნელად გაისმა მამაკაცის მზიარული ხმა.

— სამართლიანი სიტყვებია! — დაუროთო შეტყფანანთ ძალუაშ, — გადაწყვიტე: ან ბეგია საფტა — და მაშინ მშაჩის გარეშე მოხერხდება. ანდა მარიკა, — აქ კი, ნუ დაგვეძღურები: უკვე მშაჩთან გვექნება საქმე.

— რას ვიზამ... — კმუქნიდა თავის ქუდს ივანე. — თუკი მარიკა დათანხმდება, მაშინ მე... როგორმე ჩვენ თერთონ მოვრიგდებით, ეს უკვე, როგორც იტყვიან ჩვენი საქმეა...

— მართალია, ეს ძნელი საქმეა... — ნელა წარმოთქვა რბილად მამაკაცმა.

— ჩვენ რა, ოღონდ ქოხში წესრიგი იყოს და... გამამხნევებლად აგუგუნდნენ ქალები.

— როგორც ქოხში, ისე ჩემს ცხოვრებაში იყოს წესრიგი, — წარმოთქვა თავჩაქინდრულმა ივანემ და თან ცდილობდა მარიკასათვის არ შეეხედა.

— გაგიყდნენ ეს დედაკაცები, — ჩაიცინა კოლმეურნეობის მოანგარიშებში. მის უკან მდგარი ნათლიმამა წინდახედულად გამოეპასუხა:

— როგორ თუ გაგიყდნენ? ადამიანი კუთაზე მოიყვანეს. მას ხომ ამით ბედნიერება ეწვია! მარიკა კარგი მშრომელი კოლმეურნეა და შესანიშნავი ქალი, უკეთეს ცოლს ივანე ვერც იშოვის...

თარგმანი **მარიამ აპიაშვილი**სა.

კ ა ტ რ უ ს ი ა



როცა კატრუსია გონს მოვიდოდა, დედა მიუჯდებოდა ახლოს და შესაბრალოსად ეუბნებოდა:

— კატრუსია, კიდევ დიდხანს იავად-მყოფებ. შე საცოდავო? ფული გაგვი-თავდა, სხვასთან რაც არ უნდა იმუშავო სულ ერთია, მაინც ვერ იშოვნი, — მა-ლე მაინც მოკეთდებოდე. რაც ფული გვქონდა, მკითხავენს მივეცი, შენ მაინც ვერაფერმა გარგო... მართა-ლია, მკითხავეი მიხვდა ყველაფერს, რაც ჩვენსას ხდება, რა ავადმყოფობა გაქვს, მაგრამ ბალახებმა ვერაფერი გიშველა-ჩანს, საშველი არა გაქვს...

კატრუსია იწვა გაშოტილი, გამხმარ ხელებს სახეზე ისვამდა. ფრჩხილები დაღურჯებოდა, როგორც მისი ლურჯი თვალები, და გეჩვენებოდა, რომ სახეზე მოძრაობდა მრავალი ლურჯი თვალი—უცნაური და მზრწყინავე. ყვე-ლა ამ თვალებით კატრუსია შესცქერო-და დედას და უდასტურებდა მის საცო-დავ მოთქმას.

— თი, არა, ჩემო საბრალოვ. თი, არა! და მამამენიც მთლად დაიტანჯა, თავგზა დაკარგა. რით დამგმარხოს, რომ მოკვდე. როგორც კი შენ შემოგხედავს, მთლად შავდება მწუხარებისაგან. ჩვენ, კატრუსია, ყველაფერი გამოგველია. ფქვილი სულ ცოტა-ლა დარჩა ქოთნის ფსკერზე, არა გვაქვს გახვრეტილი გრო-ში. აი რომ მოკვდები, კარდაკარ უნდა ეილოდალოთ. შემოდგომამდე მაინც გაგაძლებინოს. ეკ, შეილო, შეილო, შენც დაიტანჯე და ჩვენც ხელ-ფეხი შეგვიყარი!

დედა კატრუსიას თმას უვარცხნიდა.

— შენ მთლად იწვი და ისე ახველებ, რომ, ღმერთო დაგვიფარე! ველარც პე-რანგი ჩამიცმევია შენთვის, ველარც თმა დამივარცხნია, ველარც დამიბანი-ხარ. ღმერთო ძლიერო, როგორ ვიტან-ჯებით! ღმერთს შევთხოვ, თუნდაც ნა-ხევარი ამ ტანჯვისა მე მარგუნოს, — მაგრამ არ შემისმინა თხოვნა.

დედის ცრემლები ეწვეთებოდა კატ-რუსიას თმებს და იყარგებოდა როგორც წყალი ქვიშაში.

— ეს რა მოგვივიდა? ისეთი კარგი იყავი, ისეთი მუშა — მთელი სოფლის თვალი! ჩვენი ამომავალი მზე იყავი. ვფიქრობდით, ხვედრი შეგვიმსუბუქ-დება შენთან ერთად, და აჰა, ხომ ხე-დავ, როგორ შეგვიმსუბუქდა! საქმელი მაინც გვქონდეს ხეირიანი, თორემ გა-მოვშრით მართო კარტოფილით. შენ კი სულ მთლად ცქნები. თი, რა ძნელია, იმათხოვრო კარდაკარ რძე, უკვე იმდენი კარი ამიტალახებია, რომ მრცხენია, ხალხს თვალებში შევხედო.

დედამ დაუწნა თმა.

— და მე თვითონ არ მესმის, რად ვვიდულობდი შენთვის ამ ყვავილებს? მივანიავე ორი ლევი, წყალში გადავყა-რე, ვატყობ, ამ ყვავილებით შენ. მიცვა-ლებულს, მოგრათავ.

ატირდა.

— მომეციო ერთი, შევხედო.

დედამ მისცა კატრუსიას ყვავილება — ლურჯი, თეთრი, მწვანე წითელი...

კატრუსია ათვლიერებდა მათ. სახე გაუბრწყინდა სუსტი ღიმილით, და ყვა-ვილებსაგანაც მის სახეზე ლივლივებ-



დნენ ლურჯი, თეთრი, მწვანე და წითელი ფერის ანარეკლები.

— მოიტა, ჩქარა, ხომ გესმის, მამაშენი მოდის. თორემ, ერთიც ვნახოთ, იტყვის, რომ შენ ახლაც ქალიშვილობის ამბები გილიტინებს გულში.

კატრუსია დააწვინეს ფორანზე, რომ ექიმთან წაეყვანათ. დედამ ტირილით დაუღო თავქვეშ ბალიში.

— ეჰ, სიკვდილი სჯობს ექიმებთან თქვენს თრევას! ნეტავ ყველანი დაიბოცოთ, ერთად დაგმარხავდით და მოვისვენებდი! — ეუბნებოდა კატრუსიას მამა.

სადავე ექირა და თმებს იგლეჯდა.

— შენ კი, საბრალოვ, დაიძახოვრე, თუ ტყუილ-უბრალოდ გავფანტავ ფულებს ექიმებში, ბოლო მოგვლება შენ უექიმოდაც დაგმარხავ, შენი ექიმი მე ვიქნები. საიდან მოვიტანო თქვენთვის ექიმებზე, აფთიაქზე და ათას ეშმაკზე დასახარჯავი?! ჩემი ხელები ვერ აიტანენ ამას! ფორანი ვითხოვე, უმჯობესია პირდაპირ სასაფლაოზე წაგასვენო, ჩაგაგდო სამარეში და მოვისვენო! ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურებაა ჩემს თავზე! გასწი, შე დაძხრევალო ჯაგლაგო!

გადაექირა ცხენს შოლტი და გავიდა კიშკარში.

ქუჩაში კატრუსია ყველაფერს ათვალევრებდა ცნობისმოყვარეობით. შიმოდგომის შემდეგ ბევრი რამ ახალი გაკეთებულა: ძია სიმონს ღობე შემოუყვლია, აპა მიკოლას ხელახლა გადაუხურავს კარაპანი. კატრუსიას გადაავიწყდა მამის ჯაგლინი, აქეთ-იქით იყურებოდა.

ხალხი ხნავდა, თესავდა. მალა ტოროლები ვალობდნენ. შავი ხნულები მზის ქვეშ გაფანტულიყვნენ. კატრუსია წამოწითლდა და ფიქრობდა: „ღვთის იმედი მაქვს, რომ წამოვდგები. არ მოვაცდენ გაზაფხულს, მაშინვე

შევუდგები მეშაობას... ღმერთო, მომარჩინე!“.

სჯეროდა, რომ არ დამეკარგებოდა გაზაფხული. მამა იჯდა წინ და დიდხანს ხმა არ ამოუღია, ბოლოს ისევ ალაპარაკდა:

— შეხე, რა ოქროსავით დღეა, შენ კი ექიმებთან ეთრე!

კატრუსიას მოუბრუნდა:

— მითხარი, გოგო, რა გიყო? წევხარ და წევხარ, არც ცოცხლებში წერიხარ და არც მკედრებში. მე ვეფლობი და ვეფლობი ვალებში და სულ ტყუილ-უბრალოდ! მე რომ ვიცოდე, რა წამალი მქირდება, მოვებნიდი, ისე, აბა რა ვიცი? ჩქარა — ან იქით, ან აქეთ! შენთვისაც უკეთესია და ჩვენთვისაც...

კატრუსია ტირიდა.

— ტირილი არ უნდა მამა, ჩემო ძვირფასო, მე შენ მართლს გელაპარაკები. შენ მოკვდები, რა გენაღვლება, სულ ერთია, მიწაში უნდა ჩაღებ, ცხოვრება ახლა ისეთია, რომ სჯობს მოკვდე, ვიდრე სხვის მინდორში მთელი შენი სიცოცხლე წელში გაწყდეს. აგერ, რამდენი ფული ვივალე და ახლა სამარხი ფულიც უნდა ვისესხო. ამ მოხუცებულობის ეამს ქოხიდან გამომაგდებენ. ეჰ, რომ ვიცოდე, რომ შენი მოარჩენა არ იქნება, მოვებრუნებდი ან ხელს შინსაყენ, დასამარხავო მაინც ცოტა რამე დამარჩიბოდა.

კატრუსია იხრჩობოდა ტირილით. და მისი ხველება მთელს მინდორს ედებოდა.

მამამ ამოიღო უბიდან ვაშლი და როგორღაც უხეშად მიაწოდა ქალიშვილს. არასოდეს არ მიუცია მისთვის რაიმე ტკბილეული.

— ნუ ტირი, ძვირფასო, მე შენი მტერი არა ვარ. მე იმას ვლაპარაკობ, რომ ფულები ტყუილ-უბრალოდ არ ვხარჯო, თორემ მეც გაეპარტახდები და, ერთიც ვნახოთ, შენც ვერაფერი გიმშველო. შენ თვითონ ხედავ შეილო, რომ არსიდან საშველო არ არის, მე

შენი გულსთვის თითს მოვიჭრიდი და არც ვინანებდი. მე შენ გამო პატივს მცემს ხალხი, ისეთი გამრჯე იყავი მთელ სოფელში, თითქოს ვაი მყოლებოდე. ჩემო ვაიშვილო, სულს მერჩივნე, მაგრამ ეხედავ, რომ მოკვდები. ჩამს, არაა საშველი. ოი, საბრალოვ, საბრალოვ, ამიტომაც უნდა ვიტანჯოთ უშენოდ. ოი, დავიტანჯებით და მერე როგორ...

მოხუცი გაიჟმდა.

— ოი, მოკვდები, მოკვდები, ეხედავ, რომ საშველი არა მაქვს, — ჩურჩულებდა კატრუსია. ქალაქში შედიოდნენ.

ბრუნდებოდნენ შინ, და მეზობელი მივთლაც თან ახლდათ.

— იმან მე იმდენი რამე მითხრა, რომ ნუ იკითხავ! ჩვენი გლეხების საქმე არაა ექიმებთან სიარული. ბევრ რამეს რომ სვამდესო, ამბობს, და ხორცსაც ისეთს მსუბუქს სვამდესო, რომ კუჭი მოუყეთოსო და პურსაც თეთრსაო, — ერთი სიტყვით, რაც კი ამ ქვეყნად არის, ყველაფერი ჩამომითვალა, შეიძლება ბატონებს ეშველოთ, მაგრამ ჩვენს დღეში მყოფთ კი ვერაფერი იხსნის. როგორც ჩამოთვალა დაიწყო, ბოლომდე არც მომისმენია. ან რას მიშველიდა, ბოლომდე რომ მომესმინა? დაე, მოკვდეს ამ დღეში, დაე, დალიოს ის მედიცინა, რომელიც აფთიაქიდან წამოვიღე, მერე კი ან გამოკეთდება, ან როგორც თვითონ სურდეს...

— და თქვენ ფიქრობთ, — დაიწყო მეზობელი, — რომ ექიმები გლეხებს ისეთ წამლებს აძლევენ, როგორსაც პანებს? დამერთმა ისე მისცეს შათ სიციეთ! რაც ხელში მოხვდებათ, იმას მიანჩჩებენ გლეხებს. — წადი და გამოჯანსაღდო. ვანა ექიმი გლეხს კარგ წამალს გამოუწერს? პანს მუდამ კეთილდღეობა აქვს, გლეხს, აბა, რა გააჩნია?

— რჩევა მაინც მეკითხა ვინმესთვის. თორემ რა? დაუყოვნებელი ხელები და უცადე, როდის იტყვის, ფული გადაიხადეო...

— უნდა გაგეგო დედაბერ ივანისთან. ის აი, წავიდა ექიმთან, სოლო, როცა ექიმი დაიწყო მისი განხილვა, ქალმა მას პირდაპირ უთხრა: „ოი, ეუბნება, ბატონო ექიმო, მომეცით მე რაც უკანასკნელი წამალი გაქვთ. მე, ეუბნება, საწყალი დედაბერი ვარ, სამკურნალო ფული არ გამაჩნია; მომეცით ამიტომ მე უკანასკნელი წამალი“. ექიმი მიანჩჩა დედაკაცს და უთხრა: „შენ საიდან იცი?“ — „ოი, — ეუბნება დედაკაცი, — საიდანაც ვიცი, ჩემი საქმეა, თქვენ მომეცით მე უკანასკნელი წამლის რეცეპტი, ერთი სიტყვით, რაც უკანასკნელი წამალია“. რომ დაიწყო, აღარ მოეშვა, და რა გგონიათ თქვენ? მისცა. და ახლაც ცოცხალია ის ქალი...

— მე კი ვერ მიხვდი, რომ შევხვეწოდი. თქვენ გგონიათ, რომ პანთან ისე შეიძლება ლაპარაკი, როგორც შენ გინდა? უთხარი ერთი — ორი, და გადი კარში!

— წავიდა დედაბერი იმ რეცეპტით აფთიაქში. მისცა მეაფთიაქებს და თვითონ, ეშმაკი, ერთიც ვნახოთ, უყურებს, როგორ დაამზადებს იგი წამალს. თეთი ჰყეებოდა: დაიწვეთა მეაფთიაქებში ის წამალი ხელის გულზე და იმ წვეთმა გახვრიტა, პირდაპირ, ხელის გული და გავიდა მეორე მხარეს. მაგრამ საიდან ერთი თუ მოახერხებს ასეთი წამლის მოვნას. და სწორედ გლეხებს ისეთი წამალი სჭირდებათ. რომ... ან იქით, ან აქეთ!

— ეჰ, საწყალი, საბრალო, ჩემო თავო, არ ვკითხე მე იმ დედაბერს, როგორ უნდა შეთხოვა ის წამალი? მე კი, ჩანს, ფულიც დავკარგე და ვერც საქმეს უშველე... ცუდი ვქენი...

— ეტყობა, თქვენი გოგოს ხსნა არ იქნება. შეხედეთ, როგორ იწვის. აღარაა უკვე მისი ხსნა ისე, როგორც იმ ფოთლისა, რომელიც ხეს მოსწყდა.

— ოი, არა, არა-და, ფულიც დაიკარგა. ივანისასთვის მაინც მეკითხა.

— ეს, თუმცა, გააჩნია რა ავადმყოფობის წამალია, მეაფთიაქებს, აი, მთელი აფთიაქი აქვს, და ისიც კი კვდება...

თარგმანი ვლადიმერ თორაძესი.

მიყვარს თბილისი



მიყვარს თბილისი, შემყვარა ჩემმა თბილისმაც,
და ამ სიყვარულს ჭამთა ქროლვა ვერასდროს შეცვლის...
თბილისელ ქალებს დაჰყოლიათ ჯადო-თილისმა,
ერთხელ შეხვდები, აგინთებენ ოცნებას ცეცხლით.

რა ზელვარებთ — მზის სხივი თუ ციმციმი ვერცხლის,
მე როგორ ვიტყვი ლამაზების ნატყვას საკადრისს...
დღეს სიყვარულზე თუ ვიმღერებ, არ ვიტყვი—შევცდი,
სტრიქონს მიცოცხლებს მათი ხმა და ეშხის ნაკადი.

მე სიყვარულით ჩამოვეული ქართველ მეგობრებს,
დამპატიყდებენ ალალ გულით, სიღარბაისლით,
და ვისაუბრებთ დიდხანს, დიდხანს, თუნდ არ ვღრეობდეთ,
გამოგვაფხიზლებს მოფრენილი მტრედი აისის.

შოთას პროსპექტზე მიყვარს გავლა, მიყვარს ოცნება,
მთაწმინდის ლაქვარდს გადავივლი შეუსვენებლივ...
ძვირფასო ძმებო, თქვენში ცეცხლი და სიცოცხლეა,
ამიტომ მიყვარს თბილისი და თბილისელები.

ერთი შეხვედრის მოგონება



თბილისში შევხვდი... იმ გოგონას, მე ახლაც ვაქებ.
იმას ეკუთვნის სიყვარულზე, რაც მიმღერია,
გადამაეიწყდა სახელი და შავთვალას ვარქმევ.
სალამურივით ყელი მისთვის მომიღერია.

კბუცი ვიყავ, ჩემს ცდუნებას არც დაგიმაღავეთ:
მოგონებებმა აღმიტაცა და გული არ სდუმს:
ო, მახსოვს, მახსოვს, გაიკვირვა ჩემმა შავთვალამ,
როცა გაიგო, ქართველს მერქვა სახელი „მაჰმულ“.



გამეცხა მკაცრად და შეიკრა რისხვით წარბები,
 გოცებელი გვიცქეროდა ყველა მნახველი...
 როცა ვიგონებ, მეკიდება გულზე დარდები,
 მაგრამ არასდროს არ ვიქნები მისი მძრახველი.

რა უნდა მეტქვა? მართალს როგორ გავუჯავრდები...
 მივხვდი, გოგონავ, ჩემგან წყრომით რატომ წახველი!
 ნეტავ სადა ხარ, მომანათე გულზე ვარდები,
 ჩემო შეუთვალავ, მოდი, ახლაც მკითხე სახელი!



კიევში სიყვარულს მოვუყვანივარ



გუშინ სალამოს მოველ ლვოვიდან
და დღეს კიევში გავლა მომიხდა.

მე არ მენახა კიევი ადრე,
მაგრამ მიყვარდა, ვით მის ბინადარს,
მისი სიცოცხლის თვალები ბადრი
ღელა-თბილისის ცაშიც ბრწყინავდა.

ჩემი ქართული ყამით და ყადრით
ქალაქს მდაბალი სალამი ვკადრე.

ჩამოვიტოვე უკვე ვაგზალი,
გზად ძმა-ფრონტელი შემხვდა მიკიტა.
საგარეჯოში წერილს ვაგზავნი
ზღუად მოდიდებულ კრემნატიკიდან.

ზღაპრულ მშვენიებით ბრწყინავს
ლაღი, ძლიერი, მკერდგანიერი. ^{კიევი}

ვიგრძენ, რამდენი მშვენიება მწველი,
დამწვი, მშვენიება, კიდევ ამდენი!
და მახსენდება ანდაზა ძველი:
„ენა მიგიყვანს კიევამდგომ“.

— ძმაო, მიკიტა, ერთი მისმინე,
კითხვა მინდოდა განა ვისიმე?

ენას კი არა, მე დიდ სიყვარულს
მოვეუყვანივარ ძმებთან, მოყვრებთან.
ეს სიყვარული ყველგან, ყოველთვის
დღეს მიდიდებდა,
გზას მიმოკლებდა.



ს ა გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ო



კარში გამო, ბიჭო სესე...
ციმციმით და ჩურჩულითა
ბალახები ამოდინ
მიწის ყველა კუნჭულიდან.

კარში გამო, ბიჭო სესე,
ველ-მინდორი თბება მზეზე,
გუგულები მოგაძახიან:
კაფე-თესე!
კაფე-თესე!

კარში გამო, ბიჭო სესე,
კარში გამო, გოგო თაფლო,
გაზაფხულდა, გამო მზეზე,
შრომის წყაროს დავეწაფოთ.

გუ-გუ:
გუ-გუ:

კაფე-კაფე,
მე შემს ღიმილს დავეწაფე!..

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
გადმოლახა ნისლი ზშირი,
ტანზე გიშრის კაბა ეცვა
მთვარის თეთრი გულისპირით.

დღეს მერცხალი ფანჯრებს ეცა,
გადაფრინდა,
ცად აფრინდა,
ცისარტყელას ჭრელი ქობა

გასჭრა კუდის მაკრატლითა,
შემოვიდა გაზაფხული
ნიაღვრების ყვირილითა...
ცრემლად ქონავს სიხარული
ენძელიდან,
გვირილიდან...



ღენინი ჩემს სოფელში



არც ისე ძალიან შორს არის
სოფელი მერჯევი აქედან,
წახვალ და გაჰყვები შარაგზას,
იხარებ, საითაც გახედავ.
შიგ შუა სოფელში ბალია,
ბალიდან ლენინი დაგყურებს,
ხეები ყვავილებს გაყრიან
და სცივით ცვარნამის საყურე.
ვაზები გიმზერენ ზერებიდან,
ქიგოებს ჩაყრიან ცხრა ხელით,
კოლოქტივს ყელამდე მდიდარსა
დაარქვენს ლენინის სახელი.

გლუბკაცი ვენახში დაგზედება.
სიტყვები ტყბილი აქვს ძღვენივით,
სახეზე ღიმილი უხდება
და მკერდზე ორდენი ლენინის.
როდესაც მზე შრომას ამთავრებს,
ჩამავალ სხივებით ბრწყინავს ცა,
ილიჩის ურაცხვი ნათურა
უეცრად ინათებს მზის ნაცვლად.
სოფლის კლუბს ღიმილით გახედავ,
ზედ ლენინ-სტალინის დროშა!
წამოდი, მერჯევი აქედან
არც ისე ძალიან შორსაა.

გაიხმაურა სოფელმა



მარტმა შეკერა კაბაც და გაფერა სახნის-საკვეთიც.
მზე მიწას დაუახლოვდა, დარს სამდღურავი არ ეთქმის.
ცივ ქარებს ფრთები მოემტერა, ფრთები შეისხა მდინარემ,
მიპქრის ყელამდე აესილი,—დაჭრილ ლომივით მძვინვარებს.
სალათას ძილით მძინარმა, გამოიღვიძა ენქელამ,
და ძმადნაფიცი ძმობილი ია ბუჩქებში ეძება,
ეძება, ძლივს-ლა მიაგნო და რალაც წაუჩუქრჩულა,
ტყემლის ტოტებზე ნორჩ კვირტებს სიცილი წასკდათ ჩუმ-ჩუმად.
რუებში წყალმა იმატა, აღარ ეტევა აკვანში,
გზის პირზე მოლი ამწვანდა, როგორც უღვამი ვაყკაცის.
სოფელმა გაიხმაურა, ყველგან სიცოცხლეს აქვს ბინა,
ეზოს ყვავილი უხდება, აკვანი სახლის აივანს.
მიწას შეება ტრაქტორი, ტანკისებური შეტევით,
არჩის ოდენა კვალებში ბელტებზე სცივა ბელტები.
რა სჯობს მშვიდობის განათხულს, გულით მზეს ეთამაშები,
ბაღში ვარდები მრავლდება, ოდა-სახლებში ბავშვები.

გეიმი თბილისში



მე სოფლად ვატარე ბავშვობის წუთები
და მზრდიდა პანკისის მინდვრების ალერსი,
მე სტყენა მიყვარდა ქიუხში შურთხების,
ჩემს გულში მღეროდა დღე უმხურვალესი.

რამდენჯერ ვყოფილვარ გარეჯის მწვერვალზე,
ჯიქურებრ რამდენჯერ ავსულვარ ხელახლა...
მე ერთი ოცნება მიყვარდა ყველაზე,
რომ დედა-თბილისი ზეიმში მენახა!

გარეჯა რა იყო, რიყრაქზე ვდგებოდი,
მწვერვალზე შევმდგარვარ, თბილისი მენახა,
ლამაზად მოჩანდა გომბორი მდელოთი,
კახეთი მოჩანდა — გაშლილი ვენახად.

მიყვარდა სიცოცხლე ალაზნის ველების,
ზამთარიც მიყვარდა და მისი ცხელი მზეც,
ოცნების არეში გაწვდილი ხელებით
მე მაინც ვფიქრობდი თბილისის ზეიმზე.

დღეს ჩემმა დიდი ხნის ოცნებამ ივარდა,
და ჩემი სამშობლოც განათდა თბილი მზით,
აცხადდა ოცნება,
ახლა. რაც მიყვარდა
და ვნახე მისის შემოსვლა თბილისში.

ოცნებას არასდროს უგრძვნია გადაღლა,
ცა, როგორც გუმბათი, გაშლილა ცისფერად,
პარადზე, ტრიბუნის პირდაპირ ხმამალა
მე ვამბობ პარტიის, სამშობლოს სიმღერას!

რა დილა გათენდა, ვარდებით ნაფერი,
დახვავდა, დახვავდა სამშობლოს ბარაქა,
ზეიმს და სიხარულს არ უჩანს ნაპირი,
რა დიდი ცხოვრება ყოფილა ქალაქად?!

„ბისმარკი“ და ზანგი.

★

„ბისმარკი“ მას იმისათვის შეარქვეს, რომ ის თავისი ხშირი, მრისხანედ ჩამოწოლილი წარბებითა და მტკიცე, ზუსტი სიარულით. — რის გამოც მთელი მისი ჩასუქებული ტანი თრთოდა, — ძლიერ წააგავდა „რკინის“ კანცლერს. ვარგუნულად ისეთივე დიდებული და სასტიკი. როგორც იყო ბისმარკი, ის ამასთანავე მკვეთრად განორჩეოდა „რკინის კანცლერისაგან“ თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით. ის იყო სავსებით უბრალო, ჩვეულებრივი ცეცხლფარეში, ეროვნებით ესტონელი, რომელმაც ოცდაათი წელი იმსახურა ინგლისის სავაჭრო ფლოტში. ის იყო მეტად გულკეთილი მოხუცი. მიუხედავად მოხუცებულობისა, 65 წლის ასაკისა, სრულებით გულუბრყვილო, ბავშვით მიაჩნტი იყო და, როცა იცინოდა, მისი სახე სავსებით იცვლებოდა ხოლმე: შუბლზე, ლოყებზე და ცხვირზე მზიარული ნაოქები უჩნდებოდა, თვალები უეიწროვდებოდა, უღვამები ფართოდ გაღებული პირის ორგვლივ, როგორც ლომთევზას, ისე ჩამოეშვებოდა, ზოლო ნელი, წყვეტილი სიცილი ისე არ შეესაბამებოდა მის მძლე ფიგურას, რომ, გეგონებოდათ, პირში ციკანი უხისო. ნამდვილი ბისმარკი ალბათ ასე არ იცინოდა. მივიდოდა თუ არა რომელიმე ნავსადგურში, ჩვენი „ბისმარკი“ საზეიმოდ გამოეწყობოდა თავის მუქმოლურჯო სადღესასწაულო კოსტუმში, დაიხურავდა ცილინდრს და გენერლისებური მიხრა-მოხრით გაეპართებოდა ნაპირისაკენ. ჩვენ ჩავმწყ-

რივდებოდით საპატიო ყარაულში და ეამბობდით: „კანცლერი დიპლომატიურ ბანკეტზე მიდის;“ ბანკეტზე, რომელიც ჩვეულებრივ სამიკოტნოში იმართებოდა ხოლმე. კანცლერი ლაზათიანად დაღევედა, ბევრს იცინოდა ციკანის მსგავსად, და, ასე გასინჯვით, დამსწრეთა სასიამოვნოდ, ქალიშვილებთანაც კი იცეკვებდა; სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის საზოგადოების სული და გული გახდებოდა. მაგრამ ის ინდენს არ ხარჯავდა სასმელებზე. რამდენსაც ურიგებდა მათხოვრებს, ხანგადასულ მეზღვაურებს და ებაძებოდა მათ ერთ ბოთლ ვისკთან წარსულის შესახებ, იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ ახლა ეს მოხუცი ინვალიდი — მეზღვაურება, რითაც უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა ამ წყობიდან გამოსულ ადამიანებს. მაგრამ თავის საკუთარი სევბედის შესახებ ჩვენი „ბისმარკი“ არასოდეს არ დაფიქრდებოდა.

ჩვენმა გემმა გადაჭრა ეკვატორი და ტროპიკებში ამოჰყო თავი. ეს იყო მძინე რეისი, მეტადრე ცეცხლფარეშითვის. თუ გემბანზე სუნთქვისათვის სამყოფი ჰაერი არ იყო, მითუმეტეს, ცეცხლფარეშებთან ნამდვილი ჯოჯოხეთი იდგა. მიუხედავად ამისა, ჩვენი „ბისმარკი“ მხოლოდ იმით ჩამორჩებოდა ახალგაზრდა ცეცხლფარეშებს, რომ, როდესაც ამოძვრებოდა გემბანზე სულის მოსათქმელად, თავის ადგილზე ოფლის გუბუს ტოვებდა.

— ებერდებით, — შენიშნა ერთხელ მას უფროსმა მექანიკოსმა.

— სრულიადაც არა, მისტერ! — შეუტია „ბისმარკმა“, — ახალგაზრდა ლომივით ღონიერი ვარ.

— ეს რაღა არის? — მიუთითა მექანიკოსმა ოფლის გუბეზე.

— ეს?... ლუდი გამოდის გარეთ, — იხუმრა მოხუცმა, კოპები შეიკრა და ციკანივით აკიკინდა.

უფროსმა ბრიბად გაიღიმა, გვერდით ჩაუარა და უცნაურად გააქნა თავი.

...ხანგრძლივი რეისის შემდეგ ჩვენმა გემმა გვერდით ჩაუარა კეთილი იმედის კონცხს და ღურბანში შევიდა.

ანაზღად რაღაც დაუგერებელი ამბავი მოხდა. საღამოს ჩვენი „ბისმარკა“ მეტად ცუდ გუნებაზე იყო. წარბებშეკრული, თვალუბდაბუქული, ფერწახსული იწვა საწოლზე და პასუხს არ იძლეოდა შეკითხვებზე. რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა, მაგრამ სახელდობრ რა — არავინ იცოდა.

ხმაკამენდილი, ნალვლიანი ვადეკით თავზე, როგორც მძიმე ავადმყოფს, და აი, შემოვიდა მზარეული და საიდუმლოებად გამომქლავნდა. მზარეულმა ყური მოკრა უფროსი მექანიკოსის ლაპარაკს ვიღაც ზანგთან. ადგილობრივ მცხოვრებთაგან განსხვავებით, ეს ზანგი თავისუფლად ლაპარაკობდა ინგლისურ ენაზე. მან თავის თავს ცეცხლფარეში უწოდა და სამუშაო ითხოვა. უფროსმა შეამოწმა მისი სახლვან პასპორტი და დათანხმდა, რომ სამუშაოს მისცემდა. ხვალ დილით ზანგმა უნდა შესცვალოს „ბისმარკი“.

— „ბისმარკი“! — გაისმა საერთო ვაკეორვების ხმა.

— დიახ, „ბისმარკი“!, — დაამოწმა მზარეულმა. — როცა ზანგი წავიდა, უფროსმა ამის შესახებ აცნობა მას. — მზარეულმა „ბისმარკის“ საწოლისაკენ მიიხედა.

— მამასადამე, სამუშაოდან ითხოვენ?

— ითხოვენ!

ეს იყო გამაბრუნებელი, როგორც გე-

მის მოულოდნელი დაჯანჯება წყალქვეშა ბრაგაზე.

ჩვენ თავზარდაცემულნი ვიყავით. ახლა ყველაფერი ცხადი და გასაგები გახდა. როცა თავებრუდახვევის პირველი წუთები გავიდა, მე ხელი დაეადე მოხუცს მხარზე:

— მართლა ასეა საქმე?

მოხუცმა ოდნავ ჩაიქნია თავი.

— რა მიზეზით, რატომ?

— მე მოხუცი ვარ, — ძლივს ჩაილაპარაკა მან.

— აი, რა ყოფილა! შენ რაღა უბასუხე?

— არაფერიც არ მიპასუხებია.

მოხუცს თავისი ღირსების დამცირებად მიიჩნადა უფროსთან საუბრის გაგრძელება. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ეს სიჩუმე თვით „ბისმარკმა“ დაარღვია.

— ნუთუ ისე ბებერი ვარ? მე თითქოს ახალგაზრდებზე ცუდად არ ვასრულეზბდი სამუშაოს! — წაილულღღღა მან. — არც ერთი შენიშვნა! ახლა რა უნდა ვქნა? ნუთუ დასასრულია? — მის სახეზე გამოიხატა სამინელება, თითქოს მის წინ მოულოდნელად გადასწიეს მომავლის ფარდა.

ეს მოულოდნელობა მეტადრე იმიტომ წარმოადგენდა სამინელებას, რომ მოხუცი მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე უდარდელი იყო. ის არასდროს არ ფიქრობდა მომავალზე. მარტრხელა კაცი იყო — არც ოჯახი, არც ნათესაობა... მისი სახლი კუბრიკი იყო. მისი ოჯახი — ამხანაგები. ახლა კი?... ნუგეშის სიტყვები ჩვენ ფუქად და ყალბად გვეჩვენებოდა, და ჩვენც ხმას არ ვიღებდით.

— უხეშად... როგორც ჩვენი გადამაგდეს ჭიმიდან, — თვალდაბუქული ბუბუბუტებდა მოხუცი.

უცებ მისი სახე თითქოს აუტანელი ტკივილის გამო გაიღიმა და მან ყრულ დაიკვნესა... ეს უკვე მეტრისმეტი იყო. და ჩვენ ყველა, ყველა ერთად გავეშურეთ უფროსი მექანიკოსისაკენ. ის მა-

ხედა, რისთვის მივედით. — მომზადებული შეგვხვდა.

— რა ამბავია? — მწყრალად შეგვეკითხა ის.

— ჩვენ „ბისმარკის“ საქმის გამო გეახელით, — ძლივს შეკავებული მრისხანებით წარმოვთქვი მე. — თქვენ მას სამსახურიდან ითხოვთ?

— ჰო! — იყო პასუხი.

— შეიძლება გავიგოთ, რატომ?

— ბებერია!

— მაგრამ ეს ოდნავ გაელენასაც არ ახდენდა მის მუშაობაზე.

— ის ჩემზე ნაკლებს არ მუშაობდა! — წამოიძახა ახალგაზრდა ცეცხლფარეშმა, რომელიც „ბისმარკთან“ ერთად მუშაობდა ერთ ვახტზე.

— რაზე ეტყობა მოხუცებულობა? — იკითხა ვიღაცამ.

— იმაზე, რომ ტროპიკებში გემბანზე ოფლის გუბებს აყენებდა! — იყო პასუხი.

— კი მაგრამ, რა კავშირი აქვს ამას მუშაობასთან?

— ტროპიკებისათვის ის უვარგისია, სუსტია. ქოშინი აქვს და თავის სამუშაოს ძალისძალად, გაკვირვებით ასრულებს. შეიძლება დავარდეს ოკეანეში; რა უნდა ვუყო მაშინ მას, ვეშაით ხომ ვერ შევცვლი?

— მე შევცვლი! ორი კაცის სამუშაოს შევასრულებ! გავუძლებ! — ამოყად წამოიძახა ახალგაზრდა ცეცხლფარეშმა.

უფროსი მრისხანე სახით მიუბრუნდა მას.

— შენ? ცხრა ქურას მოემსახურები?.. ვთქვათ, ერთ დღეს გაუძლებ... შეიძლება ორ, სამ დღესაც... შემდეგ? ისიც ტროპიკებში... სისულელეს რონავ.

— კი მაგრამ, ეს ზანგი რომ არ შეგხვედროდათ, თქვენ ხომ დატოვებდით „ბისმარკს“, — შევნიშნე მე. — ახალი ცეცხლფარეში შემთხვევით აღმოჩნდა ნავსადგურში.

— სავსებით მართალია, — გაესმა ხმები.

— მერე რა? — მშფობღი ჩემთვის უფროსმა. — სულელია ის, ვინც არ სარგებლობს შემთხვევით. გემისთვის კაპიტანთან ერთად ჩვენ ვაგებთ პასუხს და არა თქვენ... გასაგებია?

მაგრამ ჩვენ არ გვინდოდა, და არც შეგვეძლო დავთანხმებოდით მას. ჩვენ უარწმუნებდით, ვთხოვდით...

— თქვენ არა გაქვთ მისი აქ დატოვების უფლება, — წარმოვთქვი მე და ჩვენბლაუკე უკანასკნელ არგუმენტს.

— გვაქვს, — მიპასუხა უფროსმა. — მას აქ გავუწვდომებთ ანგარიშს და, გარდა ამისა, მიიღებს ბილეთის ფულს სამსახურზე გემზე. — უფროსი მექანიკოსი უღმობელი იყო.

მე განზე გამიხმო ზორბა ტანის ბერძენმა — ვაჩმანმა.

— გამოგონე, ბოლ, არის კიდევ ერთი საშუალება, რომ „ბისმარკი“ დარჩეს გემზე.

მე გაკვირვებით შევხედე მას.

— უნდა მოველაპარაკოთ იმ ზანგს.

— რა უნდა ვუთხრათ?

— რომ რაზმს არ სურს ის და რომ ღლია ზღვაში მას კარგი დღე არ დაადგება.

„ჩინებული აზრია“, — გავიფიქრე.

— რაღაც უნდა დაჯდეს, მოხუცი ამ გემით უნდა მივიყვანოთ ინგლისში, — განაგრძობდა ბერძენი, — წინააღმდეგ შემთხვევაში ის აქ, ნავსადგურში, ღლიანობას დაიწყებს... ინგლისამდე ვერც კი მიადწევს. დაიღუპება...

მე თავი დავუქნიე.

— აქეთ დაბრუნებისას ჩვენ მას დავამშვიდებთ. და თვითონაც მოიკლავს თავის ჯავრს. მთავარია — მივიყვანოთ როგორმე ინგლისამდე. ხოლო იქ ვნახოთ, რაც იქნება.

მე ვუსმენდი და თავს ვუქნევდი, ჩემთვის კი ვფიქრობდი: „ის ინგლისშიც იღლივებს. იქაც დაიღუპება“.

— მაშ, ასე, ხეალ დილით, როგორც კი გამოჩნდება ზანგი, გაგაღვიძებ.

— კეთილი! — დავეთანხმე.

დავიშალეთ.

კუბრიკის ჯარები ყურთამდე გაეაღეთ, გაუხსენით ილუმინატორები, ქარისაყენ მივატრიალეთ ვენტლატორები და რაზმი დაწევა დასაძინებლად გამკრავ ნიაზე.

ყველას ცუდად გვეძინა. ისე ცხელოდა, როგორც აბანოში. მოხუცე „ბისმარკი“ იწეა წყნარად, კედლისაყენ პირმიბრუნებელი. გათენებისას მაგარი ზუჯლუგუნე ვიგრძენი გვერდებში.

— მოვიდა! — ჩამიჩურჩულა ყურში ვაჰმანმა.

წამოვხტი და ჩაუცმელად, რომ სიჩუმე არ დამერღვია, გემბანზე გავედით. ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო. ნათლებოდა.

ცის ლაქვარდოვანი სიმწვანე ვერცხლისფრად იცვლებოდა. გეგონებოდათ. უზარმაზარი ვერცხლის გუმბათი მკიდროდ აწევს დედამიწას და ამიტომ აგრერიგად ცხელო. ამ მყუდროებაში აჭაური ბტვირთავი მუშების გამოშვლებული სხეულები, მუშებისა, რომელთაც უქვეშააგებოდ ეძინათ რკინის გემბანზე. გამეშებულად მოჩანდა. მათ შორის იყვნენ ქალები, ბავშვები, მოხუცები. გადავაბოჯეთ მათ სხეულებს და ზანგისაყენ გავსწიეთ.

— შენ ელაპარაკე მას? — შევეკითხე ბერძენს.

— არა... ვერ გავბედე. ის რაღაც არანორმალურია.

ზანგი მეც უცნაურად მეჩვენა. ეს იყო მაღალი, მშვენიერი მოყვანილობის ახალგაზრდა, ასე, ოცდამედი წლისა. ძველ, გახუნებულ სამუშაო კოსტუმში გამოწყობილი. ჩვარში შეხვედელი პატარა ბოხჩა ილიაში ჰქონდა ამოჩრილი. მისი გაწვალბებული სახე მოქანცულობას გამოხატავდა. ერთი შეხედვით შეატყობდით, რომ ეს ზანგი წელში „გატეხილი“ ადამიანი იყო, და

საფუძვლიანად „გატეხილი“. უჩველივე ეს ჩვენთვის ცნობილყოფილად ჩვეულებრივ მოვლენად მგავსიყოფილად მელი ჩვენთაგანი არ იყო ხოლმე „გატეხილი“? უცნაურად გვეჩვენებოდა მხოლოდ ზანგის ყოფა-ქცევა. ის ან წინ და უკან ტრიალებდა გემბანზე, ანდა წაიცივებდა და რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის და უცნაურად, ციებცხელბიანი კაცივით უბრწყინავდა თვალები. რა არის ეს? სიხარული უმუშევრისა, რომელმაც ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ იშოვა სამუშაო? მაგრამ კიდევ სხვა რამ იფარებოდა მისი შავი გუგების პილრმეში: ეს იყო ან ჯერ კიდევ გაუქარვებელი სევედის კვალი, ანდა გეჩვენებოდა, რომ ეს კაცი ფსიქიატრიული განყოფილებიდან თუ სატუსალოს საავადმყოფოდან არის გამოქცეული. უშიშრად როდი მიედიოდით მათან: ჩვენში ანთებული ვაქცატური ცეცხლი ჩაქრა!

— ჰელო! — მხიარულად შეგვებდა ზანგი.

— ჰელო! — დარცხვენლიად ვუბასუხეთ ჩვენ. — რატომ ასე ადრე? — ეკითხე.

— ველარ ვითმენ! ველარ! — გაიცინა ზანგმა, რომელსაც კბილები და თვალის გუგები უბრწყინავდა.

— დიდი ზანია ამ ნავსადგურში ხარ?

— უკვე შვიდი თვეა.

— ერთი მითხარი, ავად ხომ არ ყოფილხარ?

— ვიყავი ავად. — ჩვენ უკან დავიხიეთ. — ღელვის დროს ამხანაგმა ჩაქტი მომარტყა ფეხის ტერფში. გემის უფროსმა ანგარიში გამოსწორა და გადმომსხვა ბმელეთზე, საავადმყოფოში მოსათავსებლად. წამლობა მომიხდა კერძო ექიმთან. იმ ძალიმშვილმა ბევრი ფული დამცანცლა.

— რატომ არ დარჩი. საავადმყოფოში?

— ადგილობრივ მკვიდრთათვის ვან-



კეთონილ საავადმყოფოში? მხოლოდ ჩემს მტერს თუ ეუსურველდი იქ ყოფნას! საავადმყოფო კი არა, ჯოჯოხეთია. მეხუთე დღეს გამოვიქვეცი იქიდან. გამოველი ცალი ფეხით... მაგრამ კარგია ის, რასაც კარგი ბოლო აქვს. მე კვლავ სამუშაოზე ვარ! — გაიღმა ზანგმა, — იმედი კი დაკარგული მქონდა. ყველაფერი გადავლიე მკურნალობას, შეეცა-ნე, მიეყიდ-მოეყიდე. მე ხომ კარდიფში ცოლი და ორი ბავშვი მყავს. ხოლო ამითან მუშაობით, — მიგვითითა მძინარე მტვირთავებზე, — არა თუ ოჯახს, თავის თავსაც ვერ დაეხმარები, ღმერთმა დამიფაროს! მადლობა თქვენს უფროსს, შემობრალა. ღმერთმა დალოცოს.

— არა მგონია, ის ღმერთმა დალოცოს. — ვთქვი მე.

— რატომ? — გაკვირვებით მკითხა ზანგმა.

— იმიტომ, რომ შენი გულისთვის მოხუცი დაითხოვა, — ნაღვლიანად წარმოთქვა ბერძენმა.

— ჩემი გულისთვის?

— ვითომ მოხუცებულობის გამო... ის კი შენზე მაგარია.

— ითხოვენ? აქ არის?

— დიდებული ადამიანია, ეს მოხუცი. — შევნიშნე მე.

— ისეთს მთელს ქვეყანაზე ვერ შეხვდებით, — დაადამტურა ბერძენმა.

მე მინდოდა კიდევ რაღაც დამემარტებინა, მაგრამ, უნდა გამოეტყუე. შევკრთი: მყისვე, ჩვენ თვალწინ გამოიკვალა ზანგი.

მოზრილი, აცახცახებული — თითქოს ერთი თავით დადაბლდა და ოცი წლით ხნიერი გახდა... ხოლო თვალეში... ჩამქრალი, მიმკვდარებული თვალეში...

— რა ჯადოქრობაა! — ცრუმორწმუნედ წაილაპარაკა ბერძენმა.

— რა დაგემართა? — შემკრთალად მხარზე ხელი შევახე ზანგს. ის შეინძრა.

— მე ამის შესახებ არაფერი ვიცო-

დი... — ჩაილაპარაკა მან დაბალი ხმით... — მე ისე ვნაღვლობდი... მეგონა, კეუაზე შეეშენებოდა. ბოლდაც კი დავიწყე... და ისე გახარებული ვიყავი, როცა სამუშაო ვიშოვე, ისეთი ბედნიერი...

ამით გავიგეთ ჩვენ, როგორც ჩვენ გვეჩვენებოდა, ზანგის არაბუნებრივი ყოფა-ქცევის მიზეზი.

ის განაგრძობდა ბუტბუტს:

— მე რა ვიცოდი... არავის უთქვამს ჩემთვის... მაგრამ ეს თუ ასეა, მე არ ვაწყენინებ მოხუცს. მე წავალ, წავალ. — განაგრძობდა ბუტბუტს კიბოდან ჩასვლის დროსაც კი, ძლივს მიათრევედა ფეხებს, მთვრალივით მიბარბაცებდა. ხოლო ჩვენ, მე და ბერძენი, დაბნეულად გაცქვროდით მას და არ ვიცოდით, რა გვექნა. დავუძახოთ? დავაბრუნოთ? რაღა ვუყოთ „ბისმარკს“? ზანგი უკვე ჩავიდა კიბიდან და ნაპირს გაჰყვა. ის გაშტერებული დასცქვროდა დედამიწას.

— ეს ვინ არის? — მოგვესმა ხრინწიანი ხმა.

ჩვენ უცხად მივიხედეთ. ეს იყო „ბისმარკი“, საცვლებს ამარა, ფეხშიშველი. მოთეთქვილი, ჩამოღვენილი სახით.

— ესაა ის ზანგი?

თავი დავუქნიე.

— თქვენ ის გააგდეთ?

— არა, ჩვენ მხოლოდ ეუთხარით სა-მუშაოდან თქვენი დათხოვნის შესახებ.

— ის თვითონ წავიდა, თავისი ნებით! — უთხრა ბერძენმა.

„ბისმარკი“ აენტო.

— ყვეუჩებო! ვირებო! თქვენ ეს ვინ გთხოვათ? მე, სულ ერთია, რეისის პოლომდე არ დავრჩები: კიდევ ერთი ჭვე, ვთქვათ, ორი, რა განსხვავებაა... მე უფროსი მექანიკოსის დანახვაც არ მინდა და. რაც მთავარია, მე ბებერი ვარ! გათავებულა ჩემი საქმე! — რა საკვი-

როა ზედმეტი მსხვერპლი! განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ ის კაცი მალე წაიქცევა? — მოხუცმა გაშმაგებით შემოკვხედა. ქიმათს მივიარდა.

— შესდექ! შესდექ! — ისე ხმამაღლა დააღრიალა, რომ მძინარე მტვრითავეები ზეზე წამოცვიდნენ, როგორც ზრძანების დროს ხდება ხოლმე. — დაბრუნდი! დაბრუნდი! — უყვიროდა. ეძახდა, ხელებს უქნევდა. — დაბრუნდი! შესდექ! — მაგრამ ზანგმა უკვე შეუხვია ხის უზარმაზარი შენობის კუთხესთან.

— სდექ! — აღელდა „ბისმარკი“. მან მიიჩინა კიბესთან.

მე მას გაყევი, მაგრამ ბერძენმა ხელები გაშალა და შეგვაჩერა.

— გამოშვი, წყეულიმც იყავ! — აჭოშინდა მოხუცი და ცდილობდა, ბერძენი ჩამოეშორებინა გზიდან. — გამოშვი!

მაგრამ ბერძენი არ უშვებდა.

— მე დავეწვიე! მე! — ძალით მოგვიშორა ბერძენმა და ხმაურით ჩაირბინა კიბე. რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაქანდა ნაპირზე.

— ჩქარა! ჩქარა! — აჩქარებდა მას „ბისმარკი“.

ბერძენი შენობის კუთხის იქით მიიშალა. გავიდა ერთი წუთი, ორი, სამი... მოხუცი ღელავდა, დარბოდა ქიმის გასწვრივ, იგინებოდა. მან ჩვენზე გაღმონათხია საერთაშორისო ლანძღვა-გინების მთელი მარაგი... ის მანამდე ასე არასდროს არ იგინებოდა. შეშლილივით შფოთავდა. მან ხელახლა მიიჩინა კიბესთან, მაგრამ მე დავასწარი და სწრაფად ჩავიბრინე ხმელეთზე.

— დაიცა! მოდიან! მოდიან! — დაიყვირა მოხუცმა.

შორიდან ორი კაცი გამოჩნდა. ბერძენს ხელიხელ გაყრილი მოჰყავდა ზანგი. მე გემბანზე დავბრუნდი.

— მადლობა ღმერთს! — ქოშინობდა „ბისმარკი“, სახეზე და თავზე ძველი პრეზენტით იწმენდა ოფლს. — რა მენდინებოდა, რომ მე დროზე გამოვე-

დი გემბანზე! ხომ შეიძლებოდა წაქცეულიყო და სადმე წაქცეულიყო?

მე დამანაშავესავით. *ბრატარა!* მოსწავლე. თვალბში შევეკეროდი მას.

— და ამბობ, რომ ის თავისი ნებით წავიდა?

— დიას, თავისი ნებით!

— აი, ხედავ! — დააბაკუნა ფეხები.

— ოქრო ყმაწვილია! თქვენ კი ორივემ მას... ეს! — უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. — ახალგაზრდობა! სხვათაშორის, თქვენც კარგი ბიჭები ხართ, ოღონდ ზრიყვები... ჩონჩები... — და მან ციკანივით დაიციკნა.

მოხუცი ძლივს დამშვიდდა.

ბერძენი და ზანგი კიბით ამოდოდნენ მალლა.

— ეს მართლაც წაიქცა. — თქვა ბერძენმა. — ერთი მაგრად შევანჯღრიე.

ბისმარკი ეცა ზანგს გაწვილილი ტელით.

— ჰელო. მეგობარო! ჰელო! ეს მე მითხოვე. მაგრამ შენ რა შუაში ხარ! მე ამ უფროს მექანიკოსთან მილიონის გულსთთვისაც არ დავრჩები, წყეულიმც იყოს ის მილიონჯერი. მე, ხომ ხედავ, ტროპიკებისათვის არ ვვარჯივარ... — და მან ქიმიდან ჩვარივით გადამისროლა. გარდა ამისა, მე მოხუცი ვარ, სულ ერთია. ჩემი აღსასრული მოვიდა. ასე რომ, დარჩი აქ, მეგობარო, დარჩი! — მოხუცი ჩვეულებრივზე უფრო ჩქარა დაპარაკობდა, თითქოს ბოდიშს იხდიდა. — ხოლო თქვენ, ყმაწვილებო, თვალ-ყური გეპიროთ ამაზე, გულს-ყურიათ იყავით ამისადმი, ვიდრე ეს ალაპოტში ჩადგება. — გვითხრა მან. — ეს ჯანმრთელი ბიჭია და მალე გამოეთდება. — მხარზე დაქკრა ხელი ზანგს.

ზანგს სახე გაუნათდა. თვალები გაუბრწყინდა, წელში გაიმართა.

— შენ რა, ავად იყავი? — თანაგრძნობით შეეკითხა მას „ბისმარკი“.

— მე უცაბედად ტერფი დამიბეგვეს ჩაქუჩით.

— ეს უკვე შვიდი თვეა, აქ ტრიალებს. — უთხრა ბერძენმა.

— იმდენად ავად არ ვიყავი, რამდენადაც ოჯახზე ვწუხდი. მე ინგლისში

ოჯახი მაქვს, ოჯახი!... — გულბრყვილო სიამაყით თქვა ზანტმა.

— პატარა ბავშვებიც? — ჰკითხა „ბისმარკმა“.

— ორი. — და თავის ნათქვამის დასადგურებლად გულსჯიბიდან საზღიოდ ამოიღო ლითონის ბუდე და იქიდან ამოსწია ფოტოსურათი.

— აი, — გვიჩვენა ჩვენ.

სურათზე გამოხატული იყო ახალგაზრდა, გულბრყვილოდ მომღიმარი ზანტის ქალი და ორი შავტუხა გოგონა გაკვირვებული სახით. ისინი თუთრ იაფფაიან სამოსელში იყვნენ გამოწყობილნი.

— რამდენი წლისა არიან გოგონები? — ჰკითხა „ბისმარკმა“.

— ეს ხუთია, ეს კი შვიდი წლისაა. — ზანტი სიყვარულით უცქეროდა სურათს. მის თვალებს სისველე დაეცყო.

— რა მშვენიერები! — წამოიძახა მოხუცმა. — როგორ მინდა მოუღობოთ. — და მან თითქმის აათამაშა. — მე რომ ასეთი შვილიშვილები მყავდეს, ძიძასავით მოუუღობდი. არაფერს დაუინანებდი მათთვის... შენ ყველაზე ბედნიერი აღამიანი ხარ ქვეყანაზე... პატიოსნება გეფიცები! — ზანტს სახე გაუბრწყინდა. ბედნიერად გაიღიმა. — და, საერთოდ, კარგად გამოვიდა. — ვაზაგრობდა მოხუცი — აქ შენი აღებულია და არა ჩემი. მე არაფერს დავკარგე! ბებერი და მარტოხელა ვარ მე მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ გადამაგდეს, როგორც ჩემი. ქმის იქით. — მოხუცი კვლავ დანადგლიანდა. მისი სახე ავადმყოფურად დაიღარა. — აბა, წავიდეთ!

— ერთი წუთით შეაჩერა ის ზანტმა. ჩვენ შევჩერდით.

— თქვენ აქედან ინგლისში დაბრუნდებით? ზომ ასეა? — ჰკითხა ზანტმა მოხუცს.

— არა მგონია... რასაც კი მივიღებ, ალბათ აქვე შევსვამ. აქვე ჩავმალდები... და სულ ერთი არ არის, სადაც დავილტუები? ვისკი აქაც ინგლისურია... რას უნდა მოველოდე მე ინგლისში? არც ოჯახი, არც კუთხე... ბოლო ერთია.

— თუ თქვენ... არ ითაკილებთ... —

აღლევების გამო ენის ბოჭყივან უტაქო-ლაპარაკა ზანტმა, — შეგიშლიან თქვენ შემოგთავაზო კუთხე... და... — მან ვედარ დაამთავრა. „ბისმარკმა“ წარბები ასწია. ოდნავ პირი გააღო — ჩემი ცოლი სამარცხაოში მუშაობს... ვცხოვრობთ, როგორც მოგვსვენებათ, ქოხ-მანში. მაგრამ იქ, ყოველ შემთხვევაში, მეტი ფართობია, ეიდრე კუბრიკში... ჩემი ცოლი თქვენ ისე მაგილებთ, როგორც მშობელ მამას... მე მას მივწერ... მასაც და მეც მშობლები დიდი ხანია აღარა გვაყავს... დაიხოცნენ... თქვენ იქნებით ჩვენი... — მან კვლავ ვერ დაამთავრა აზრი და მოკრძალებით შემოგვხედა.

— თქვენ ინგლისში ჩემზე უფრო ადრე ჩახვედით, — კვლავ მიმართა მან „ბისმარკს“ — შემდეგ მე დაბრუნდები რუსიდან... შეილიშვილებიც შეგაყვარებენ. „შვილიშვილების“ ხსენებისას ის საესებით დაიბნა. — თუ, რასაკვირვებია, არ ითაკილებთ... მე ზომ სხვა ფერისა ვარ! — გითაკილებთ? ვინ გგონივარ მე? ისეთივე ფერადი ვარ, როგორც შენ... როგორც ჩემი — ჰქმს იქით!... აქ ჩვენ ყველანი ფერადები ვართ. ყველანი! — მოგვაბრუნდა და, თავისი დამწეარი თითით მიგვითითა ზანტზე. — გაქია ეს ყმაწვილი! ომერთ-მანი გიქია! მას ალბათ მართლა ბისმარკი ეგონივარ, ანდა უნიფხო ლორდი! — და ის ციკანივით აციკინდა. — განა მე თქვენს ძმებთან ერთად ცოტა ოფლი ვღვარე ქურასთან?.. გვითაკილებთო!.. არა, ეს ბიჭი ნამდვილად არაორმალურია... — მოხუცი კვლავ ღელავდა, ხოლო ზანტი ოდითმობდა და აცრემლებული თვალებით, მაგრამ ისევე ომითით უცქეროდა მას, როგორც ფოტოსურათს, რომელზედაც გადაღებული იყო მისი ოჯახის წევრები.

მოხუცმა შენიშნა ეს. მოსწია თავისაკენ ზანტი, ხელი მალდა ასწია და დაიძახა:

— პატიოსნებას გეფიცებით, მე მყავს შვილიშვილები მაქვს ოჯახი! — და კვლავ აციკინდა ციკანივით. ზანტმაც პასუხი გასცა მას რაკრავა. გადამდები სიცილით.

ირანის სურათები

★

I

გაზაფხულდა, და ჰაერიც უკვე გათბა,
სალამს უმღენის მზეს ჰალარა დემავენდი,
გაზაფხულის კრელ ხალიჩით მორთეს კალთა
ენძელეებმა, — დაუმშვენეს მწვანე გვერდი.

რატომ ისმის ჰანგთა ეღერა ნაღვლიანი,
თქვენს თვალეში რატომ ვხედავ მწუხრის ღამეს.
მწყემსო, სტვირი ააკვენესე დარდიანი,
უსიცოცხლო გაზაფხულზე გვითხარ რამე!

II

შორს გაისმის სიმღერა, ჰანგი ცრემლით ნაღვსი,
ვით უდაბნო, ფართოა და ჩანს სხივთა თარეში,
ქარავენი მიდის და... ამ უდაბურ მხარეში
ზანზალაკთა წკრიალი ისმის სიმწუხარეში.

სოფლის სილუეტი ჩანს, შორით, როგორც მირაჯი,
მეფობს სილატაკე და დეჰკანების წამება,
ხანი უკერს მარწუხებს, ხალხს სულს აცლის გმინვაში,
ისმის გულშემშარავი ტირილი და ვაება.

III

მზე დაჰყურებს ნავთით მდიდარ შატელ-არაბს,
თითქოს მიღმა დედამიწას ეწვის გული,
და პალმის ქვეშ წევს კაცი და ბინა არ აქვს,
ოთხი დღეა არ უნახავს ლუკმაპური.

ის ტვირთავდა უცხო გემებს ლონდონისკენ,
დღეს კი ასე უსახლკაროდ მწარედ გმინავს,

1 ფარეზ შადი თანამედროვე ნიჭიერი ახალგაზრდა ირანელი პოეტი, რომელიც იბრძვის
წმენდობისა და დემოკრატიისათვის; ირანში გაბატონებული ტერორისა და პოლიტიკური დევ-
ნის გამო არალეგალურად მოღვაწეობს და ამიტომ მისი ზოგრაფია ცნობილი არ არის.

გასამრჯელო მხოლოდ ერთი გროში მისცეს
 და პალმის ქვეშ — უღარდელი, მყუდრო ბინა.

IV

სდუმან და ქსოვენ ფერად ხალიჩებს,
 ვარდები მართლაც სისხლისფერია,
 და მქსოველ ბავშვებს რა ახალისებთ,
 თვალში სინათლე გამოეღიათ.

ცრემლებს აქსოვენ მარგალიტებად,
 არვინ აფარებთ წყალობის კალთას,
 შრომით ლოყებიც ჩაუყვითლდებათ
 და ასე მივლენ სამარის კართან.

V

თეირანო, დოლარების სახიზლარო ედერავ,
 გამყიდველი ჯალათების სიცილი ხარ შენა,
 ჩემი ხალხის კენესა მესმის, შენთვის—დიდი ლხენა,
 ხალხში მოთქმით ტირილია, სასახლეში—მღერა.

თეთრი სახლი მოდის ჩვენში მტაცებლური ბრბოთი,
 ძირმომავალი ტახტი მაინც წაიქცევა ბოლოს,
 გაბატონდა დოლარები, მათრახი და შფოთი,
 თეირანო, იარაღის საწყობი ხარ მხოლოდ.

VI

ხალხის ძვლებით ააგეს საპყრობილეს კედლები,
 ხალხი იწვის ღუმელში, ცეცხლი რჩება იმედად,
 საპყრობილეს მიადგნენ აღგზნებული ვედრებით,
 შაჰმა მხოლოდ შავი კვამლი მათთვის გამოიმეტა.

აქ გმირები ლაბებია. თეთრი სახლის ბრძანებით,
 შენი ხალხი, ირანო, შენი ღვიძლი შვილები,
 და ვინც ხმალი ასწიეთ და ჩაგვრას არ დანებდით,
 თქვენ ვერც ციხე გაგტეხავთ, ვერც რკინის ბორკილები.

VII

სიმართლე მაინც გაიმარჯვებს ქურდზე და მკვლელზე,
 კაცობრიობის სასამართლო დასჯის ჯალათებს,
 ხალხი მოილტვის, მთელი ხალხი აღმდგარა ფეხზე,
 თავისუფლება ირანშიაც გამოანათებს.



ეროვნული
წიგლმწიფი

და ჩემს ხალხს მხოლოდ დარჩენია მიზანი ერთი, —
გზა სინათლისკენ. გზა, რომელიც ცისკრის კარს აღებს,
ხალხი მტკიცეა და ურყევეი, ვით დემოკრედი,
და მათი ლელვა შეედრება კასპიის ტალღებს.

VIII

უკვე მწიფდება ქარბუქი და ზღვაზე—გრიგალი,
მათ გაშლილ აფრას ვერა ძალა ძირს ველარ დახრის,
დროის ვულკანიც ძლიერი და შეუფრიგალი
დღითი-დღე მძლავრობს და ნაპერწკლებს მიდამოს აყრის.

ველარ უშველის მტარვალებს და ხალხის ჯალათებს
ველარც დოლარი, მათრახები, სიცრუე მუდამ,
დღეს ერთი აზრი ქვეყანაზე მზისებრ ანათებს,
ირანიც ამბობს: მთელს მსოფლიოს მშვიდობა უნდა!

თარგმანი სპარსულიდან ლილა ეჩაძისა.



ღ ლ ე ე ბ ი უ კ რ ა ი ნ ე ა შ ი



კიევი—უკრაინის დედაქალაქი

„ეს რა მომზიბველელი ქალაქია,
 ეს რა საუნჯეე ქალაქია,
 ეს რა საოცარი ქალაქია,
 რომელ რუსთაგანს არ აღიტაცებს
 იგი, როდესაც პირველად იხილავს
 მას?!“

ასე წერდა კიევის შესახებ მოსკოვის
 ერთ-ერთი გაზეთი ოთხმოცი წლის წი-
 ნათ...

დღეს ამ ქალაქს აღტაცებაში მოჰყავს
 არა მარტო რუსი და უკრაინელი, არა-
 მენდ ყველა მოძმე რესპუბლიკის შვი-
 ლეებიც. რადგან სოციალისტურ საშობ-
 ლოს დიად ოჯახში ისინიც ისეთივე
 მშობლიური სიყვარულით არიან გამს-
 ჭვალულნი კიევისადმი, როგორც რუ-
 სები და უკრაინელები.

რა სურათი დაეხატოთ კიევის სიდი-
 დის საჩვენებლად?

ათასწლოვანი ტაძრების დაოჭვრილი
 გუმბათები, თუ მოხატულ-მოჩუქურთ-
 მებული ახლად აგებული მზით სავსე
 შენობები? ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული
 მკაცრი და გოლიათური ძეგლები, თუ
 უკრაინული მარმარილოსაგან დაფენი-
 ლი კვარცხლბეკები? მოძრავი, სიცოცხ-
 ლით სავსე ქუჩები და მოედნები, თუ
 ქალაქის გულთან ჩამომდინარე დნებრა
 თაისი კუნძულით და შენაკადებით?

როგორი ცა ეხუროს, ლურჯი, ლაფ-
 ვარდისფერი—გაზაფხულისა, თუ სუს-
 ხიანი, ზამთრისა, როდესაც ცივია და
 რძესავით თეთრია იგი?

ყველა სურათი მშვენიერია!
 მაღალ კვარცხლბეკზე აღმართული
 ლენინის ძეგლი იცქირება აღმოსავლე-

თისაკენ. ამოდის მზე და შესცქერის
 ლენინი მზის ამოსვლას... მზე სხივებს
 აფენს ქუჩებს, მოედნებს, თავზე გადა-
 უვლის ქალაქს და ნელინელ ჩადის
 ლენინის ქუჩით, გადასჭრის დნებრს
 და თვალუწვდენელ ველებში იმალება.

სტალინის მოედანს, როგორც ზღვას
 შენაკადები, ისე უერთდებიან ახმაურე-
 ბული ქუჩები — კრემლიტიკიდან, დარ-
 ნიციას მხრიდან, პოდოლიდან, პუჩერს-
 კიდან.

ფართოდ იშლება შეეჩენკოს სახე-
 ლობის ბულვარი, იგი იწყება კრემლი-
 ტიკიდან და თხუთმეტი კილომეტრის
 სიგრძეზე პირდაპირი, მაგრამ ხან ოდ-
 ნაე აღმართოვანი, ხან ნელი დაქანებით
 მიემართება შორს დასავლეთ უკრაი-
 ნისკენ. ბულვარის ორივე მხარეს ჩამ-
 წკრივებულია ალვის ხეები, რომელთა
 კენწეროები ნიავის ოდნაე ჩამოქროლე-
 ბაზეც ირხევიან და შრიალებენ. სწო-
 რედ ეს ალვის ხეები ახსენა პუშკინმა,
 როდესაც „პოლტავაში“ მარიას სიმ-
 შვენიერეს აგვიწერს:

„ის ტანადია,

როგორც კიევის მაღლობების ალვა
 რხეული...“

მრავალ ფიქრს აღძრავს პოეტისა და
 მხატვრის ტ. შვეჩენკოს გახსენება. მიჰ-
 ყვები მისი სახელობის ბულვარს და
 მთელ ამ მანძილზე ფიქრშიც კი ვერ
 მოათავებ პოეტის მიერ გადატანილ
 მძიმე ცხოვრებას.

... ფარღალალა ქოხში დაბადებულს
 და აღზრდილს ყმა-გლეხის შვილს, თით-
 ქმის შიშველსა და მშვიერ-მწყურვალს.

სოფლის ველ-მინდვრებზე დაჰყავდა ხან ბატები, ხან ცხვარი, ხან საქონელი. დადიოდა და, ერთი მხრივ, ტყებობდა მშობლიური ბუნების სიმშვენიერით, მეორე მხრივ, გულს უკლავდა მშობლიური ხალხის დუხჭირი ცხოვრება.

ბუნება აღვიძებდა და აღვივებდა მის გულში ფერთა სიმშვენიერის შეცნობის გრძნობებს. ცხოვრება კი — მებრძოლი შემოქმედისას. ორმოცდაშვიდი წელიწადი იტოცხლა შევჩენკომ, ამ წლებიდან ოცდაათი წელიწადი ყმობაში გაატარა ორსკისა და ნოვოპეტროვსკის ციხე-სიმაგრეებში. მხოლოდ ცამეტი წელიწადი იყო თავისუფალი, ისიც პატიმრობის მოლოდინში.

როდესაც ხალხის ხმამ პეტერბურგამდე მიადწია, რომ უკრაინაში — სოფელ მორინცაში იყო ყმა-გლეხი მხატვრის უტყუარი ნიჭით აღსავსე, ყველა კეთილშობილი ადამიანი მისით დაინტერესდა. ვ. ჟუკოვსკიმ კი მიზნად დაისახა მისი გამოსყიდვა.

შეეკითხნენ მის მესაყუთრეს გრაფ პ. ენგელგარტს. შენი ყმა რა ღირსო?

იმ დროში ზოგიერთი ყმა თხუთმეტ მანეთადაც შეიძლებოდა გამოსყიდულიყო, მაგრამ გრაფი ისე იაფად რას შეეღოდა ისეთ კაცს, რომლის მექათა ნახატებიც კარგა რიგად ამშვენებდა მის სალონებს.

— ორიათას ხუთასი მანეთი! — არგაგონილი ფასი შეუთვალა გრაფმა.

არ ჰქონდა პოეტს ამდენი თანხა. შეწუხდა, ჩაფიქრდა, მერე თავისი დარდი მეგობარს გაუზიარა. ეს იყო მხატვარი კ. ბრიულოვი.

— მე დაწვერ რუსეთის სახელგანთქმული პოეტისა და მთარგმნელის პორტრეტს, აუქციონით გავყადოთ იგი და ყმობისაგან დავიხსნათ ნიჭიერი ახალგაზრდა! — ღიმილით მიუგო ბრიულოვმა.

სიხარულით დაეთანხმა ვ. ჟუკოვსკი. ბრიულოვმა მართლაც მოკლე ხანში

შეასრულა ჟუკოვსკის პორტრეტი. გაუღეს იგი აუქციონის ექსპოზიციებში. შეაგროვეს ორიათას ხუთასი მანეთი ასიგნაციებით და გაუგზავნეს გრაფს. მიიღო ტარასმა თავისუფლების გუჯარი და ცხოვრებაში ფეხი შედგა, როგორც სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლმა შემოქმედმა.

დღეს კიევის გულში, ძველთა ძველი უნივერსიტეტის პირდაპირ, ამაყად დგას ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ტ. შევჩენკოს ძეგლი. უკრაინული გარიჟრაჟების ვარდისფერი ცის ფონზე პოეტი მკაცრად გამოიყურება. იგი ოდნავ თავდახრილია, წინ გადადგმული ნაბიჯი, გამართული მხრები გვაგრძობინებენ, თუ როგორ მოარღვევდა იგი შავბნელ დროს, როგორ მოდიოდა ჩვენამდე.

მრავალი რამ ახსოვს ამ ქუჩებს შევჩენკოს ირგვლივ მომხდარი... მისი დაბადებიდან ასი წლის თავზე, ათასცხრას თოთხმეტ წელს უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების სტუდენტებმა შევჩენკოს საპატივცემოდ დემონსტრაცია მოაწყვეს, რომ თავიანთი გულისთქმა გაეზიარებინათ ხალხისათვის.

აქრძალული იყო ამ თარიღის აღნიშვნა.

ქანდარმები და პოლიციელები გადაელობნენ სტუდენტობას. მაგრამ რა შეანერებდა ახალგაზრდა თაობას. მათი დემონსტრაცია ხელჩართულ ბრძოლაში გადავიდა. იჭერდნენ, აპატიმრებდნენ. მათ შორის ბევრი ქართველი სტუდენტიც მოჰყვა.

— ქართველებს რაღა გინდათ, თქვენ ვილა ხართ? რა გაქვთ საერთო შევჩენკოსთან? — მრისხანე განცვიფრებით ეკითხებოდნენ ქანდარმები ქართველ სტუდენტებს.

— ჩვენი მისწრაფება საერთოა! — მეგობრული სიყვარული გვაკავშირებს! — უპასუხებდნენ ქართველი სტუდენტები.

ამ დროს თბილისში, სახალხო სახლის თეატრის სცენაზე, სულმნათი პოეტი



აკაცი წერეთელი შევჩენკოსადმი მიძღვნილ საღამოზე დაფნის გვირგვინით ამკობდა უკრაინის დიდი კობზარის პორტრეტს და ამბობდა, რომ სამშობლოს სიყვარული შევჩენკოს შემოქმედებიდან ვისწავლეთო.

გავიდა კიდევ ოცდახუთი წელი და შევჩენკოს დაბადებიდან ასოცდახუთი წლის თავზე უკვე თავისუფალ საბჭოთა ქვეყანაში მადლიერმა სამშობლომ ეს ძეგლი აღუმართა პოეტს. ძეგლის გახსნის დღეს მოედანზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აივნებზე და ახლომახლო შენობის სახურავებზე დიდი და პატარა გამოფენილიყო. სოფელ შევჩენკოდან ამ ძეგლის გახსნაზე დასასწრებლად ტარასის ჩვიდმეტი შეილიშვილი ჩამოვიდა. არც ერთი მათგანი სამოც წელზე ნაკლები ასაკისა არა ყოფილა. როდესაც უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ძეგლს ზეწარი გადახსნა, იმ წუთებში კრემლიდან მოვიდა ი. სტალინის ხელმოწერით დეპეშა, რომელიც ხალხს აუწყებდა, რომ კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტს ტ. შევჩენკოს სახელი მიეკუთვნა. ამ ცნობას ხალხი ტაშის გრილით შეეგება.

რევოლუციამდე ამ ადგილას ნიკოლოზ პალკინის ძეგლი იდგა. 1912 წელს სტალინი პეტერბურგიდან კიევში ჩამოვიდა. სხვა მატარებლის მოლოდინში, ჟანდარმერიას თვალში რომ არა სცემოდა, ქალაქში გავიდა. მან გაიარა ბულვარი, რომელსაც მაშინ კიევის გუბერნატორის სახელი ეწოდებოდა, მივიდა უნივერსიტეტთან და როდესაც მეცნიერების ტაძრის პირდაპირ ნიკოლოზ პალკინის ძეგლი დაინახა, მწარედ გაიფიქრა, უნივერსიტეტის წინ რა უნდა ისეთი ადამიანის ძეგლს, ვისაც ხალხი სიბნელეში ჰყავს მომწყვედეული?! გავიდა მას შემდეგ ოცდახუთი წელი და შევჩენკოს ძეგლის პროექტის წარმო-

გნის დროს დიდხანს ვერ გადაწყვიტათ, სად აეგოთ იგი. გადაწყვიტა სტალინს 1912 წლის გვირგვინის მიუთითა — პოეტის ძეგლი იქ აღემართათ, სადაც იდგა ყველაზე შეზენული მეფის ძეგლი, მეფისა, რომელმაც შევჩენკო შორეულ ციხეებში სალდათად გააშწესა უგუნური რეზოლუციით: "წერისა და ხატვის სასტიკი აკრძალვით".

შევჩენკოს სახელობის ბულვართან ახლოს, ქალაქის შუაგულში, იწყება კიევის ბოტანიკური ბაღი. ამ ბაღში ხარობს მსოფლიოს მრავალი კუთხის მცენარე. ეს ბაღი განსაკუთრებით იმიო არის მნიშვნელოვანი, რომ მის ტერიტორიაზე უცვლელად შენარჩუნებულია ძველი კიევის რელიეფი თავისი პატარა გორაკებით, ხევებით, დაბლობებით და წყაროებით.

ბულვარს სკრის ვლადიმირის ქუჩა, რომელიც კრემიატიკიდან მიემართება.

კრემიატიკი ოდესღაც ამუწვანებული ველი ყოფილა პატარა ნაკადულით შუაგულში. მარცხნივ და მარჯვნივ აღმართულ გორაკებიდან ამ ველზე წყაროები ჩადიოდნენ ჯვარედინად, კრემიატიკიც ამიტომ დაერქვა.

სწორედ კრემიატიკის ველით დაბრუნდა პოლონეთის შლიახტასთან ბრძოლაში გამარჯვებული ზოგდან ხმელნიცი 1649 წელს, გაიარა მაშინ არარსებული ვლადიმირის ქუჩის მიდამო და ათასი წლის წინათ აგებული ოქროს კარით შევიდა ქალაქის გალავანში. გმირ გეტმანს ფართოდ გაუღეს ეს ოქროს კარი, ზეიმით და ზარების რეკვით შეეგებნენ ხმელნიციის. გუგუნებდნენ და წკრიალებდნენ ერთმანეთში შეხმატებილებული დიდი და პატარა ზარები, ხმელნიცი კი მიაბიჯებდა თავისი ერთგული ამალით ძველისძველი ზოლოტოვრატსკის ქუჩით. ის თავდაპირველად სოფიოს ტაძარში აშენიდა, პარაკლისი გადაიხადა და გამოვიდა იქიდან ტაძრის წინ გადაშლილ მოედანზე.

რომ ხალხისათვის ემცნო მოპოვებული გამარჯვების ამბავი.

ამ მოედანზე ახლა ბოგდან ხმელნიცკის ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ძეგლი დგას. ყალყზე შემდგარ ცხენზე ამხედრებული ზალხის საყვარელი გეტმანი შეპყურებს კიევს, უკრაინის გულს. მარჯვენა ხელში უჭირავს სამეფეო გურნი, რომელიც მოსკოვისაგან აქვს წარმართული:

— კი, ჩვენი მოკავშირე! — მეტყველებს ხმელნიცკის გამოხედვა.

ვლადიმირის ქუჩის ორივე მხარეს, მრავალსართულიან შენობათა წინ, წაბლის ხეებია ჩამწყრივებული. ფართოდ გაშლილი ტოტებით მშვენიერ ხეივანს წააგავს ქუჩა. ეს წაბლის ხეები ყვავილობას იწყებენ მაისში და როგორც თეთრი სანთლები, ისე იშლებიან მისი ყვავილები. ყვავილობა მთელ თვეს გრძელდება და ისე მოჩანს, თითქოს მწვანე ფოთლებში თეთრი შუქი ჩამდგარაო.

ვლადიმირის ქუჩა დნებრთან მთავრდება. აქ თვალწინ იშლება დნებრის მშვენიერი ხედი.

საუცხოო სანახავია დნებრი. მეტად რე გაზაფხულობით, როდესაც დაიძვრება გამდნარი ყინულები და დაქანდება დნებრი თავისი ნელი, მაგრამ მძლავრი ტალღებით, მაშინ ის გულმკერდს ისე ფართოდ გადაიშლის, რომ მდინარის მეორე ნაპირი ჰორიზონტს უერთდება, მიდამოს კი ირგვლივ ახლად ამწვანებული ხეხილი, ლურჯად აბიბინებული ბალახი და ბუჩქები ამშვენებს.

ვლადიმირის მთა, როგორც გაბატონებული მადლობი, ისე გადასცქერის მარჯვნივ დნებრსა და მარცხნივ კიევს ძველთაძველ უბანს — პოდოლს, სადაც ერთ დროს ცხოვრობდნენ ხელოსნები, მუშები, ვაჭრები. მრავალ პატარა შენობათა შორის გამოიყოფა და გარკვევით მოჩანს კიევსი ყოფილი სასულიერო სასწავლებელი, სადაც სწავლობდ-

ნენ დიდი რუსი მწერალი და მოთხროვნე მიხეილ ლომონოსოვი. მისი ფილოსოფოსი გრიგორი ბერძენი. ბოგდან ხმელნიცკი და ქართველი მწერალი ნიკო ლომოური.

აქ, ვლადიმირის მთაზე მოწყობილ აივანზე, უყვარდა გადადგომა ნ. გოგოლს. მოაჯირზე დაყრდნობილი ის მთელი საათობით გადასცქეროდა მშობლიურ მდინარეს, აღფრთოვანებაში მოსული მწერალი ტყებოდა მისი სიდიადით. ამ ადგილას შთაგონებულმა მწერალმა დაწერა მოთხრობა „სამინელი შურისძიება“, რომელშიც დნებრი მწერლის მიერ ღრმად განცდილი და სიყვარულით არის აღწერილი.

შეუღარებელი და განუმეორებელი სტრიქონებია:

„მშვენიერია დნებრი წყნარ ამინდში, როდესაც ტყეებსა და მთებს შორის ლაღად და ნარანარად მიაქროლებს თავის საესე წყლებს—არც ახიანდება, არც აჭუხდება. შესცქერი და არ იცი, მიდის თუ არ მიდის ის თავის ვრცელ კალაპოტში, თითქოს იგი მთლიანად შეშისაგან ყოფილიყოს ჩამოსხმული და თითქოს ცისფერ სარკესავით კრიალა გზა, უსაზღვროდ ფართო და დაუსრულებლად გრძელი, დუღუნებს და მიიკლავება ამწვანებულ სამყაროში.

მცხუნვარე მზესაც უყვარს მაშინ თავისი მწვერვალიდან დახედვა და ცივ-შუშასავით კრიალა წყლებზე სხივთა დაფრქვევა, ისევე როგორც ნაპირებზე გადაშლილ ტყეებს ამ წყლებში ნათელი გამოსახვა.

თმახუტუტა მწვანე ტყეები! დგანან ისინი ველ-მინდვრის ყვავილებთან ერთად მდინარის პირას და გადახრილები წყალში იცქირებიან, მაგრამ ვერ ძღებიან ცქერით, ვერ დამტბარან თავიანთი ნათელი თვალით, შეჭხარაიან და ესალმებიან მას ტოტების შრიალით, დნებრის შუაგულში კი ვერ ბედავენ ჩახედვას. მზისა და ფირუხოვანი ცის



გარდა ვერაინ იცქირება მის შუაგულში. ფრინველიც კი იშვიათად მიაღწევს დნებრის გულს!

დიდებულია! მთელს ქვეყანაზე ტოლი არა ჰყავს მდინარეებში!"

ხალხმა სწორედ ამ მიდამოთა სიმშვენიერეში დაინახა კიევის წარმომავლის მიზეზი.

ლევენდა მოგვიტობრბს:

მოპყვებოდა დნებრს ნაპირ-ნაპირ სამი ძმა — კიი, შჩეკი, ხორივი და ერთი რა ლიბედი.

გოლიათები იყვნენ ძმები, ამაყნი და შეუპოვარნი. გედივით ფაქიზი და თვალმოფარფატე მათი და ლიბედი. გზადაგზა ტყებოდენ სანახაობით, მდინარის უღვეელი ზვირთების ჩქეფით, გაშლილი ველებით, მდელეობით, და როდესაც გორაკებს მოადგნენ, შეჩერდა უფროსი ძმა კიი, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, დაინახა დნებრზე წარმომდგარი სამი მთა, გაიშვირა ხელი შუამთისაკენ და თქვა:

— აი, მე იქ დავსახლდები!

დანარჩენმა ძმებმაც აირჩიეს მთები დასასახლებლად.

ერთ მთას კიის სახელი ეწოდა, მეორეს შჩეკის, მესამეს ხორივის.

დამ დაბლობი აირჩია. ახლა ამ დაბლობში მიჩნხიალებს პატარა მდინარე ლიბედი.

აეიდნენ ძმები მთაზე, ირგვლივ გადაიხედეს. მომხიბველელი სანახაობა წარმოუდგათ თვალწინ: ერთი მხრივ ლურჯად გადაშლილი კაბადონი უსასრულო ველებს უერთდებოდა. მოფენილი იყო ეს ველები ყვავილოვანი ბუჩქებით და ტყეებით. მეორე მხრივ დნებრი გადაშლილიყო ფართოდ და ლაღად. ისიც ცის ლურჯ კაბადონს უერთდებოდა. თვით მალეობები დასერილი იყო ხეებით და დეღეებით, რომლებშიც ანკარა ნაკადულები მოჩხრიალებდნენ.

დღეს ამ სამ მთაზე გაშენებულია კიევი. სანაპირო გზა სამი ტერასით მი-

ყვება დნებრს. მესამე ტერასა ერთ-რის რაიონზე გადადის. ეს ტერასეზე კიევიანი უბანია წარსულით. *გვლ. ჩხუმიძე* დელი დღითაც.

აქ, ყოფილ კიევ-პეჩერის გიმნაზიის წინ, აღმართულია პატარა ქვის სვეტი. ამ სვეტზე დგას პუშკინის ბრინჯაოს ბიუსტი. 1899 წელს კიევის მასწავლებლებმა შეგროვილი ფულით დაუდგეს ის დიდ რუს პოეტს მისი დაბადებიდან ასი წლისთავზე. ძეგლის დადგმაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველი მოღვაწე და პედაგოგი შიო ჩიტაძე, რომელიც იმ ხანებში კიევში მოღვაწეობდა.

ამ უბანში მდებარეობს კიევის არსენალი, საიდანაც დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღეებში მუშები ებრძოლნენ თვითმპყრობელობის შავრახმულ ძალებს.

თეთრად აღმართული არსენალის კედელი ტყვიამფრქვევებისა და შანხანების ტყვიებით არის დასერილი. არსენალში ჩამსხდარი მუშები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ. მათ იარაღი არ დაუყრიათ. ბევრი მუშა დაეცა ამ ბრძოლაში, მაგრამ არსენალელებმა ოქტომბრის დროსა მინც ძირს არ დახარეს და გამარჯვებით ააფრიალეს იგი. სწორედ ამ კედლის პირდაპირ აღმართულია ძეგლი ოქტომბრისათვის დაცემულ მებრძოლთათვის. ქვის მაღალ კვარცხლბეკზე დგას ის ზარბაზანი, რომლითაც ფავს იცავდნენ ალყამომორტყმული არსენალელები.

უზარმაზარ ეზოში, რომელსაც ირგვლივ მაღალი გალავანი აქვს შემოვლებული, ყრია ნანგრევების დიდი გროვა. ერთმანეთში არეულია ქვა, აგური, დუღაბი, ხის ნაწილები. ამ ვეებერთელა გროვაში აქა-იქ საცოდავად არის აღმართული დანგრევის გადჭრენილი, მაგრამ დამსკდარი და შებოლილი, ცალკეული კედლები. შიგადაშიგ კედლებზე მოჩანს ფერადი საღებავებით ნახა-



აღარ ჰგავდა ქუჩას. ეს იყო ნანგრევებისაგან გორაკებად და ბორცვებად ქცეული ტერიტორია.

კრეშნატიკზე გამოჩნდა პირველი ტანკი. მას მართავდა კაპიტანი ნიკიტა შელუდენკო, სულ ოცდაოთხი წლის ყმაწვილი. მან ძლივს გადათელა ეს ნანგრევები. ის ებრძოდა სახლებში ჩასაფრებულ ფაშისტებს. კალინინის მოედანს რომ მიუახლოვდა, შელუდენკომ ტანკი შეაჩერა. დააყურადა. აღარ ისმოდა მოწინააღმდეგეთა სროლის ხმა. ტანკის კარი გამოაღო და გადახედა მოედანს.

ორი წელიწადი არ ენახა მას თავისი მშობლიური ქალაქი. გულისტკივილით შესცქეროდა ნაცნობ ქუჩებს, ამ დროს შენობაში ჩამჯდარმა და მიყუჩებულმა პიტლერელებმა ავტომატის მოკლე ჯვრით სიცოცხლეს გამოასალმეს მგზნებარე პატრიოტი.

ნ. შელუდენკო დაკრძალულია სტალინის მოედანზე, ქალაქის გულში. იქვე აღმართულია კაპიტანის ძეგლი — ტანკის კოშკურაზე დგას თავდადებული მეთომარი. ის იცქირება წინ. მისი გამოხედვა — ეს არის მისწრაფება მტრის გასანადგურებლად.

მეორე დღეს ფრონტის სამხედრო საბჭომ დეპეშა გაუგზავნა ი. სტალინს: „უდიდესი სიხარულით მოგახსენებთ, რომ ამოცანა, რომელიც თქვენ დაგვისახეთ, გაგვეთავისუფლებინა ჩვენი მშვენიერი ქალაქი, უკრაინის დედაქალაქი კიევი, უკრაინის პირველი ფრონტის ჯარების მიერ შესრულებულია... ქალაქი კიევი მთლიანად გაწმენდილია ფაშისტ-ოკუპანტებისაგან“.

საბჭოთა ჯარებთან ერთად კიევში შევიდნენ უკრაინის პირველი ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ნ. ხრუშჩოვი და ფრონტის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ნ. ვატუტინი, რომელთაც სიხარულით ეგებებოდნენ კიეველები.

განვლო მძიმე დღეებმა.

ქალაქს აღდგენა სჭირდებოდა. ასე-

ული წლობით მოზიდული ქვისა/და აგურისაგან აშენებული. ერთგვარად ქცეული ქალაქი, ხელახლა აღდგარიყო. აღდგენისთვისაც პატრიოტული სიყვარული იყო საჭირო. გაჩნდნენ კიდევ პატრიოტები და განა ათი და ასი. ათასი და ათათასი? კიევის მოსახლეობამ დაადგინა: ყოველმა კიეველმა თითო დღეს იშრომოს ქალაქის აღდგენაზე!

და მოდიოდნენ მშენებლობაზე სკოლებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან, ფაბრიკა-ჭარხნებიდან, დაწესებულებებიდან, მოსწავლენი, სტუდენტები, მასწავლებლები და მეცნიერები, მუშები და ოსტატები. კიეველების თითო დღის შრომამ უცებ აღადგინა ქალაქი. რას არ შეძლებდა მილიონი შრომა დღე?!

განსაკუთრებით მშვენიერი აშენდა კრეშნატიკი, ის ახლა ორჯერ უფრო ფართოდ გადაიშალა. თუ იქ სამამულო ომამდე სამ და ოთხსართულიანი შენობები იდგა, ახლა ათ და თორმეტსართულიანი ნათელი კერამიკით მოპირკეთებული სახლები აღიმართა. ახლაც თითქმის ყოველ შენობას თავს წამოსდგომია ამწევი კრანები და უკვე უკანასკნელი სართულები მთავრდება.

ქუჩის შუაგულში გამოფენილია კრეშნატიკის მშენებელთა პორტრეტები; დმიტრო მოროზი — კიევის საუკეთესო კალატოზი, რომელიც სამასი პროცენტით ასრულებს გეგმას, თედორე ბლიზნიუკი, კიევის მოწინავე დურგალი, რომელიც აგრეთვე სამასი პროცენტით ასრულებს გეგმას, პეტრე ვორონეჟსკი, მოპირკეთების ოსტატი, რომლის ოქროს ხელიც მშვენიერ ჩუქურთმებით ამკობს შენობათა ფასადებს. ნადეჟდა სივობლიასი და ბორის მიხნიცკი — ეს ის ახალგაზრდა ოსტატები არიან, რომელნიც კრეშნატიკის შენობათა ათ-თორმეტსართულიან ხარამოებზე გაიზარდნენ, დახელოვნდნენ და დავაყვადნენ. ყოველდღიურად იბადებიან კიევში ვე-

ებერთელა შენობები. ყოველ საღამო-ობით ახალ-ახალი შუქნათებული ფანჯრები უერთდებიან ქალაქის საერთო სინათლეს.

777 დღე ფაშისტურ მონობაში იმყოფებოდა კიევი. ფერფლისაგან აღდგა იგი და საბჭოთა კავშირის მშვენივალ გადაიქცა.

მძლავრად სცემს კიევის ინდუსტრიული გული — ოქტომბრის რაიონი. გარიყრაყიდანვე იწყებენ ცხოვრებას ქალაქის მსხვილი ქარხნები, ინდუსტრიული მშენებლობის მძლავრი წარმოებები — „ბოლშევიკი“, მექანიკური ქარხანა „გლავამშემიტი“ გორკის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა „წითელი ექსკავატორი“, „გლავსელმაში“, რომელსაც საქართველოს ჩაის პლანტაციებისათვის არაერთი და ორი ჩაის საკრეფი ახალი თვითმავალი მანქანა გამოუგზავნია.

კიევი უგზავნის მოძვე რესპუბლიკებს ავტომატურ დაზგებს, ექსკავატორებს, ელექტროხელსაწყოებს, ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებს, საფეიქრო, შაქრისა და რეზინის წარმოებისათვის საჭირო მანქანებს.

კიევი ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი მაცოცხლებელი ძარღვია...

უკრაინის ისტორიის წიგნში, რომელიც ახლახან გამოვიდა როგორც უმაღლეს სასწავლებლების სახელმძღვანელო, ვხვდებით ასეთ სტრიქონებს: „უკრაინის ხალხის კულტურასთან, მის ლიტერატურასა და ფოლკლორთან დაკავშირებული ქართული პოეზიის კლასიკოსის დავით გურამიშვილის შემოქმედება, რომელმაც ორმოცდახუთ წელზე მეტი იცხოვრა პოლტავშინაში. მისი მელოდური ლექსები დაწერილია ქართული, რუსული და უკრაინული ხალხური სიმღერების, მოტივებზე. დავით

გურამიშვილი გარდაიცვალა 1792 წელს და დაკრძალულია მირგოროდში.

უკრაინაში 144 უმაღლესი ინჟინერ-ბელია, რომლებშიც სწავლობს 177.000 სტუდენტი. მთელი ეს ახალგაზრდობა, ეცნობა რა ამ ისტორიას, ეცნობა აგრეთვე მეთვრამეტე საუკუნის დიდ ქართველ პოეტს. დავით გურამიშვილსაც, რომელიც თუმცა იმ დროის ცხოვრების უკუღმართობამ საქართველოს მოსწყვიტა, მაგრამ სამშობლოსათვის იქაც იღწვოდა. ამავე დროს, თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე უკრაინულ ხალხთან მეგობრობაში გაატარა.

1739 წელს დავით გურამიშვილი მირგოროდთან კიევიში გავლით გაემგზავრა ხოტინში, სადაც უკრაინისა და რუსეთის მიწა-წყლის დასაცავად იბრძოდა.

1954 წლის 18 იანვარს უკრაინის რუსეთთან შეერთების სამასი წლისთავთან დაკავშირებით ქართველმა მოტოციკლისტებმა თბილისიდან კიევამდე მოტოგადარბენა მოაწყვეს. გადარბენის კომანდორი იყო ვლადიმერ ნევიროზაშვილი, გადარბენის უფროსი კი გრიგოლ ფაჩულია. ზამთრის ყინვებში, თოვლსა და დროდადრო ქარბუქში, ქერჩზე გადმოვლით, ქართველმა მოტოციკლისტებმა ამ დიადი თარიღისადმი სიმპათიის გამოსახატავად კიევამდე გზა დაფარეს რვა დღის განმავლობაში და ზუსტად შეერთების სამასი წლისთავზე სოფიოს მოედანზე ბოგდან ხმელნიცკის ძეგლთან მივიდნენ. აქ მათ შეხვდნენ უკრაინელი სპორტსმენები და ერთმანეთს აღმები შეუცვალეს.

ქართველმა მოტოციკლისტებმა უკრაინელი ხალხის ერთგული შვილის, დიდი სარდლის ბოგდან ხმელნიცკის ძეგლი დაფნის გვირგვინით შეამკეს.

ამავე მოედნიდან, როგორც ამ გადარბენის გაგრძელება, კიევის სასპორტო საზოგადოება „მედიკმა“ მოაწყო



გადარბენა თხილამურებით მოსკოვამდე.

ქართველმა მოტოციკლისტებმა, უკრაინულ სპორტსმენებთან ერთად, შეკარეს ცოცხალი ყვავილების გვირგვინი და გაემგზავრნენ მიტოციკლისტების დავით გურამიშვილის საფლავზე დიდი ქართველი პოეტისადმი პატივისცემის გამოსახატავად.

მიდიოდნენ ავტომანქანით.

მიდიოდა თოვლი. თეთრად შესუდრულ სივრცეში გზა არა ჩანდა. ადამიანის სიმაღლეზე დაფენილ თოვლს ძლიერ სჭრიდა მანქანა. დიდი გაჭირვებით გაიარეს ასი კილომეტრი. თოვლი მინც ბარდნიდა. მანქანა უფრო და უფრო ღრმად იფლობოდა. წინსვლა შეუძლებელი შეიქმნა. ისინი იძულებული გახდნენ, უკან გამობრუნებულიყვნენ. დიდი სინანულით, რომ ვერ იხილეს გურამიშვილის საფლავი, კიევში ჩავიდნენ და გვირგვინი მიიტანეს ბაიკოვის სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულია უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა. ლესია, ისევე როგორც გურამიშვილი, გარდაიცვალა თავის მეორე სამშობლოში — საქართველოში.

ბევრმა უკრაინელმა პოეტმა გამოხატა თავის ლექსებში გურამიშვილისადმი სიყვარული, ამ ლექსებში, ამავე დროს, ჩაქსოვილია ხალხთა სტალინური მეგობრობის უკუდავი გრძნობა, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებს ამაღლებს და აძლიერებს.

მიკოლა ბაჟანი, პავლო ტიჩინა, მაქსიმ რილსკი, ლეონიდ პერეომოისკი, ოლეს იურენკო მღერიან იმ მეგობრობაზე, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა საკმაოდ შორეულ წარსულში დ. გურამიშვილმა.

პოეტმა ლ. ვიშესლავსკიმ გურამიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში დაეყვარულით ჩააქსოვა ეს სტრიქონები:

ლერწმების ჩრდილში ხმარობს და

ბრწყინავს ხორალი,¹

გადავერცხლილი ვარსკვლავის ნათელი ალით,
ერთ ღრის დავითი დავითიანს ზვირთია

ხმარობს

გულღვინებული წერა ლერწმის უბადლო
კალმით...

გურამიშვილის მეგობრობა თავისი დროის უკრაინის მოწინავე ადამიანებისადმი, დახასიათებულია პავლო ტიჩინას ლექსში: „ფეოდალის სიკვდილი“. ამ ლექსში გურამიშვილი გრიგოლ სკოვოროდას მღელვარედ უკითხავს „ვეფხისტყაოსანს“.

დავით გურამიშვილი იყო ქართველი ხალხის უკრაინულ ხალხთან დამეგობრებისათვის გადატყორცნილი პირველი ნათელი სხივი.

უკრაინა მეგობრობის ქვეყანაა. უკრაინის დედაქალაქი მეგობარი ხალხებისათვის გულგახსნილი და ღიაა.

თუ ათასი წლის წინათ მტრების გარემოცვაში კიეველები თავიანთი დედაქალაქის ირგვლივ ყორღანშემოვლებულ გალავანს აგებდნენ გადაკეტილი ოქროს კარით, დღეს რუსეთთან მეგობრობის სამასი წლის თავზე ამომავალი მზის მხრიდან აგებენ კიევში შესასვლელ ტრიუმფალურ თაღს — კარბიქეს.

მოსკოვში კი ამავე თარიღის აღსანიშნავად კიევის ვაგხალთან აღიმართება რუსი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის გამომხატველი ობელისკი.

¹ მდინარე სოფ. ზებოვკაში.

პერიკლას-ხმელნიცკი



ზამთრის დილაა. თეთრი მსუბუქი ნისლი ეფინება თოვლის ქვეშ მიძინებულ უკრაინის ველ-მინდვრებს. ვაშიშვლებულ ფოთლოვან ტყეებს სცვლის მარად მწვანე ნაძვნარები.

მანქანა მიჰქრის პერიკლას-ხმელნიცკისაკენ.

გავიარეთ ბორისპოლი, კიევიდან ორმოცდაათი კილომეტრით დაშორებული პატარა ქალაქი. თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს და იგრძნობა მისი სიციოცხლით საესე ქრამული. ხალხი ქალაქის გულში გამოფენილია. მახლობელ კოლმეურნეობებიდან ჩამოსულან სოფლის ბარაქით დატვირთული ავტომანქანები და მარხილები.

მოედანზე დგას ავტომანქანა. უკრავს ბაიანი და გატაცებით მღერაინ მანქანაში მყოფი ახალგაზრდებუ. ირგვლივ მათ ხალხი შემოხვევია. აცილებენ. ეს ყამირი მიწების ასათვისებლად კახახისტანში მიმავალი კომკავშირელებია.

გადის წუთები და სწორედ წუთობრივ ეუახლოვდებით პერიკლას-ხმელნიცკს. ისტორიული პედის მაგავსება წარსულს მაგონებს... როგორ ესწრაფოდნენ რუსი ხალხის მეგობრობას საქართველოდან გამოგზავნილი ელჩები. ეს იყო სამშობლოს ვადარჩენის და სიციოცხლის ერთადერთი გზა.

სამასა წლის წინათ რუსი ხალხის მეგობრობას ასევე ესწრაფოდა ბოგდან ხმელნიცკი, რომელაც მშობლიური უკრაინელი ხალხის ხსნას ამ მეგობრობაში ხედავდა. ბ. ხმელნიცკი გზავნიდა მოსკოვში ელჩებს. ს. მუჟილოვსკის და კ. ბურლიას, გ. იაკევიჩის და ლ. კაპუსტას მოსკოვში არაერთხელ დაუყენებიათ საკითხი უკრაინის რუსეთთან შეერთებისა და უკრაინისათვის სასწრაფო სამხედრო დახმარების შესახებ. მძიმედ განიცდიდნენ შლიახტური პოლონეთას იმ მონღრ უღელს, რომელაც უკრაინას აპარტახებდა.

კახაკთა გეტმანის კრწმელეცთქუხსკის, უბრალო ხალხიდან გამოსული პატრიოტების გრიგოლ ლობოდას, სევერინ ნალივაიკოს, ზაპოროჟიელი კახაკების ტრიასილოს, პაველ ბეტის, ოსტრიანიინს და გუნისის მეთაურობით მოზღდარი სახალხო აჯანყებები ამტკიცებენ იმ აუტანელ სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას.

გმირი სარდალა ბ. ხმელნიცკი ექვსი წლის განმავლობაში განმათავისუფლებელ ომს აწარმოებდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

გავიდა სამი საუკუნე.

1945 წლის 30 ივნისს უკრაინელმა ხალხმა თავის წერალში რუსი ხალხისადმი კიდევ ერთხელ დაადასტურა ბოგდან ხმელნიცკის მიერ გადადგმული ისტორიული ნაბიჯი: „უკრაინელი ხალხი მადლობელია შენი, რუსო ხალხო, იმ დახმარებისათვის, რომელიც აღმოუჩინე უკრაინელ ხალხს თავისი საუკუნეობრივი ოცნების — გაერთიანების, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეში... პერეკლასლავის ისტორიულ რადაზე ბოგდან ხმელნიცკიმ დაამტკიცა უკრაინელი ხალხის ნება-სურვილი — საშარადისოდ დაშეგობრებულოყენენ, დაკაემირებულოყენენ, შეერთებულოყენენ დიდ რუს ხალხთან“...

მანქანა გაჩერდა გზაჯვარედინთან.

მარცხნივ მიდის გზა მირგოროდისაკენ, მარჯვნივ პერიკლას-ხმელნიცკისაკენ. გზის გასაყართან კი მარმარილოს ევარცხლბეკზე აღმართულია — ობელასკა, რომელზედაც გამოსახულია პერეკლასლავის რადის (საბქოს) გორელიეფი.

ვიდრე პერეკლას-ხმელნიცკში შევიდოდეთ, უნდა გავიაროთ სოფელი პიდვოჩკი, რომელიც ამ ისტორიულ ქალაქს სულ ერთი კილომეტრით არის დაშორებული.

პიდვოჩკი პერეკლასლავის აღმოცენე-



ზის დროის სოფელია. ძველად პერე-
ასლავეში მიმავალს ქალაქში თავისუფ-
ლად არ უშვებდნენ. ვიდრე პერეას-
ლავეში შესვლის ნებართვას გამოუგზავ-
ნიდნენ, პიდვორკში აჩერებდნენ მას.
ჩვენც პიდვორკში ვჩერდებით, ოღონდ
არა ნებართვისათვის, არამედ იმ კოლ-
მეურნეობის გასაცნობად, რომელიც
ბოგდან ხმელნიკის სახელს ატარებს.

ლიმილით შეგვეგებნენ თავმჯდომე-
რის მოადგილე ზაქარია ლევჩენკო და
აგრონომი ქალი მარია სიასკო.

— რას გვეტყვიტ კარგს, რით გააზა-
რებთ სტუმარს? — მხიარულად მიმარ-
თავს მათ უკრაინელი მწერალი დმიტ-
რო კოსარიკი, რომლისთვისაც ნაცნო-
ბია ეს სოფელი არა მარტო დღევანდე-
ლობით, არამედ მისი შორეული წარსუ-
ლითაც.

— ოო, ჩვენ ყველანი კარგისავე მი-
ვისწრაფით! — ლიმილით გვიპასუხებს
მარია სიასკო. — სამწუხაროდ, შუა
ზამთარში გვესტუმრეთ. ახლა ჩვენს მი-
წებს თბილად სძინავეთ ცივი თოვლის
ქვეშ. აი, თქვენ უნდა ჩამოხვიდეთ გა-
ზაფხულზე, როდესაც კოლმეურნეობის
ბაღებში ხილი მწიფდება! — მარია სა-
ხეგაბრწყინებელი შემოგვცქერის და
განაგრძობს. — თხუთმეტი ჰექტარი
ვაშლის, მსბლის, ალუბლის და ქლია-
ვის ხეხილი გვაქვს. აბა, წარმოიდგინეთ
რა მშვენიერებაა აყვავებული ბაღები!

— მარია, — მიმართავს ზაქარია
ლევჩენკო, აგრონომ ქალს, — ჩვენთ-
ვის მთავარი ბაღები როდია, პურის ყა-
ნებზე და სათიბებზე ელაპარაკე! —
ლევჩენკო ახლა ჩვენ მოგვიბრუნდა, —
აი, სადამდეც თვალი გაგწვდებათ, მარ-
ჯვნივ და მარცხნივ, სულ კოლმეურ-
ნეობის საყანე მიწებია. სამიათას ჰექ-
ტარს ვამუშავებთ!

ლევჩენკო ნაბრძოლი კაცია, მკლავ-
ში დაჭრილი, წითელი ვარსკვლავის
ორდენით მკერდზე. ის სიყვარულით
გასცქერის დათოვლილ მინდვრებს.

— განაგრძე, მარია, რას გაჩუმიდი.

ცივი გაზაფხული გიყვარს, იღმარავე
გაზაფხულზე!

მარია ახალგაზრდა ჰქვია, მისი
დენივე წლის წინათ დაუმთავრებია
უმალესი სასწავლებელი და ახლა
ხმელნიკის სახელობის კოლმეურნეო-
ბის აგრონომია. ის მოკრძალებით შეს-
ცქერის ლევჩენკოს, დარბაზიელ კოლ-
მეურნეს.

— განაგრძე, განაგრძე, — კვლავ
სთხოვს ლევჩენკო.

— ფერმას განახებთ, ფრინველების
ფერმას. გაზაფხული რომ იყოს! — წა-
მოიწყო და მამინევე შეწყვიტა სიტყვა
მარიამ. გაწითლდა კიდეც, რადგან ისევ
გაზაფხული ახსენა.

გულკეთილად ჩაეცინა ლევჩენკოს.

— მარია, შეილო, რად გაჩუმიდი? რა
ვინდოდა გეთქვა?

— ზაზარი ფეოდოროვიჩ, მე ის მინდო-
და მეთქვა, გაზაფხული რომ იყოს, ჩვე-
ნი ქრეულკრელი ქათმები და ყვითელ
ნისკარტა იხეები და ბატები მოეფინე-
ბოდნენ აქაურობას. რა აჯობებდა იმათ
ნახვას. წარმოიდგინეთ ათასხუთასი
ფრინველი, მწვანე მდელოზე მოფენი-
ლი...

— მართალია, კარგი სანახავი იქნე-
ბოდა. — დაუდასტურა ლევჩენკომ. —
მაგრამ, მე მინც საქონლის ფერმა მინ-
და განახოთ. საქონელი — ცხვარი და
ძროხა, ასე ვთქვათ, იდამიანს ჰკვებავს
და თავიდან ფეხებამდე მოსავს. ხორცს,
ყველს, კარაქს, რძეს, ფეხაქმელს და
ტანსაცმელს საქონელი გვაძლევს. აბა,
როგორ არ უნდა მოვუაროთ საქონელს,
როგორ არ უნდა გავამრავლოთ? ტყუი-
ლად კი არ ზრუნავს ასე ჩვენი პარტია
შესაქონლეობაზე?!

ბოსელში შევედით. კარგა მოზრდილი
ტანის სემენტალის ჯიშის ძროხები
მწყრივად დგანან. ისმის რძის ჩხრიალი.
წველიან.

— აი, ამას ზაგროზა ჰქვია, დღეში
ოცდახუთმეტ ლიტრა რძეს იძლევა,
ამას — მალვა, ოცდაათ ლიტრა რძეს

იწველის, ამას — დედოფალა. ესეც
ოცდაათ ლიტრა რძეს გვაძლევს დღეში.
— გვაცნობენ თავიანთ საყვარელ
ძროხებს მწველავი ქალები ეკატერინე
ზახემა, მარია დემინჯო, ოღლა ბეგუ-
ტი.

კოლმეურნეობას მთლიანად ექვესა-
ორმოცდაათი რქა საქონელი ჰყავს,
მათ შორის ასოცი ძროხა, ახლა კოლმე-
ურნეობა აშენებს კეთილმოწყობილ
ბოსტელს ასორმოცდაათი ძროხისათ-
ვის. აშენებს აგრეთვე სახბორეს
ამდენივე ხბოსათვის. საქმოდ ძლიერია
კოლმეურნეობა. მას აქვს ყველა სახის
ფერმა. მოჰყავთ პური, სელი, ბოსტნე-
ული, ხილი. ამზადებენ მესაქონლეობი-
სა და მეფრინველეობის პროდუქტებს.
კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან
ერთად ზ. ლევჩენკო დიდ მზრუნველო-
ბას იჩენს კოლმეურნეობის დოვლათის
ასამაღლებლად. ის დღემუდამ თავს
დაატრიალებს მას. ხან მინდორშია, ხან
ბაღებში, ხან ფერმებში. მიუხედავად
იმისა, რომ ლევჩენკო 55 წლის კაცია
და ცხრა შვილის მამაა, რომელსაც რამ-
დენიმე ქრილობა ახლაც აწუხებს, მა-
ინც დაუხარელია. ზ. ლევჩენკოს ორი
შვილი მასწავლებელი ჰყავს, ერთი ვა-
ჟი ტრაქტორისტი, ერთი გზის მშენებ-
ლობის ბრიგადირია, ორი უმცროსი ქა-
ლიშვილი სკოლაში სწავლობს, დანარ-
ჩენებს უკვე საკუთარი ოჯახი აქვთ
შექმნილი და კოლმეურნეობაში მუშა-
ობენ. ზ. ლევჩენკოს ცოლი — ტატიანა
გმირი დედაა, მან სამაგალითოდ დაზარ-
და შვილები — შრომის მოყვარულები.

— ნეტავი თუ რაიმეთი გაგახარეთ?
— მოკრძალებით გვეკითხება ლევჩენ-
კო და ღიმილით შემოგვეცქერის.

— რასაკვირველია, ძალიან გაგვახა-
რა თქვენმა წარმატებამ, მაგრამ მაინც
უკეთესს გისურვებთ! — პატავისციემის
გრძნობით განწყობილი ეუბასუხებ სამ-
შობლოსათვის ნაომაჩს, სამშობლოსა-
თვის ნაშრომ-ნამოღვაწარ კოლმეურ-
ნეს, ცხრა შვილის აღმზრდელ მამას.

— ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ, ნება-
მიბოძეთ, შეგეკითხოთ. ჩვენი მუშა-
ლობის რომელ კუთხიდან იწყებთ
სად უნდა წაიღოთ ჩვენი კოლმეურნე-
ობის ამბავი?! — კვლავ მოკრძალებით
გვეკითხება ლევჩენკო.

— საქართველოში!

— საქართველოში? — გაიმეორა და
ჩაფიქრდა. მცირე ხნის შემდეგ მარიას
მიუბრუნდა და მისთვის ჩვეული ღიმი-
ლით ეუბნა: — მარია, ხედავ, სა-
ქართველოდან ყოფილა, სწორედ გა-
ზაფხულის ქვეყნიდან, შენ კი გინდოდა
გაგვეკვირვებინა ჩვენი თხუთმეტი ჰექ-
ტარი ბაღით. ხომ გაგიგონია, რა ბაღე-
ბია საქართველოში? მანდარინები,
ფორთოხლები, იცა რამდენი? ღიმონი,
ათეული მილიონობით. ახლა ყურამე-
ნი?

— კარგად მოვლილი თხუთმეტი
ჰექტარი ბაღი ასეთი კოლმეურნეობი-
სათვის, რომელსაც სამი ათასი ჰექტარ-
ი პურის ყანები აქვს, ცოტა არ არის.
მერე თქვენი ფერმები! ეს ხომ სიმდიდ-
რეა, დიდი სიმდიდრე!

ლევჩენკოს ცნობისმოყვარეობა გა-
ღვიძა. სოფელ შრომის ორჯონიკიძის
სახელობის კოლმეურნეობის შესახებ
მკითხა. მიხაკო ორაგველიძე გაიხსენა.
ბევრი რამ წაეკითხა განუთებში უა-
რაინის გენიჩესკის რაიონის სტალინის
სახელობის კოლმეურნეობასთან მე-
გობრობის შესახებ და სახეგაბრწყინე-
ბული ამბობდა:

— თხუთმეტი წელიწადი მეგობრო-
ბენ. სამამულო ომის დროს, იმ მძიმე
წლებშიც, არ დაივიწყეს ერთმანეთი.
კარგია, კარგია!

მის სიტყვებზე გამახსენდა ამ ორი
კოლმეურნეობის მეგობრობის ამბავი...

როდესაც მოსკოვის სასოფლო-სამე-
ურნეო გამოფენაზე გენიჩესკის რაიო-
ნის სტალინის სახელობის კოლმეურ-
ნეობის თავმჯდომარემ კლიმენტომ სა-
ქართველოს პავილიონი ნახა, აღტაცე-
ბაში მოვიდა და სოფელ შრომის ორ-



ჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხაკო ორაგველიძეს წერილი გაუგზავნა.

კლიმენკო ორაგველიძეს სწერდა: „ნათლად დავინახე ქართული მიწის სინოყვირე, სიუხვე, ქართველი ხალხის მამაცური შრომის შედეგი, მიწისა, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირს აწვდის ღვინოს, ჩაის, ხილს. რა მშვენიერ ნაყოფს ზრდით თქვენ! ჩვენც ჩაეყარეთ ვაზი, მალე ჩვენც შეგვეძლება სტუმრებს საკუთარი ღვინით გავუღმასპინძლდეთ, მაგრამ თქვენი მზე უფრო მცხუნვარეა, თქვენი ყურძენი უკეთესი. ფორთოხლებს, მანდარინებს, ლიმონებს კი ვუცქერი და ვერ ვძლები ცქერით. მშვენიერია თქვენი ქვეყანა, თბილი, ალერსიანი, მზიური“...

ეს იყო პირველი ნაბიჯი დამეგობრებისაკენ, რომელიც დღესაც გრძელდება...

— პერეიასლავ-ხმელნიცის რაიონის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰყავს გამოწვეული მოჟაისკის რაიონი! — განაცხადებს ლევჩენკო. — ბევრი რამ მოგვცა თანამომხმე რუს კოლმეურნეებთან ურთიერთობამ.

ლევჩენკო წყნარად ჰყვება შრომით განმტკიცებულ მეგობრობის შესახებ მოჟაისკელებთან.

მოჟაისკი!

სასახელო ისტორიული წარსული აქვს მოჟაისკს... მოჟაისკის რაიონის ტერიტორიაზე გადაშლილია დიდებით მოსილი სოფელი ბოროდინო. ბოროდინოს ველებზე რუსეთის ჯარებმა დიდი რუსი მხედართმთავრის კუტუზოვის მეთაურობით 1812 წელს გამანადგურებელი დარტყმა აგემეს ნაპოლეონის ჯარებს...

ვის არ ახსოვს სამამულო ომის მრისხანე დღეებში საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები მოჟაისკის მიმართულების შესახებ, როდესაც გამხეცებული ჰიტლერელები მოსკოვისაკენ მოძვრებოდნენ. მაშინ რუს მეომ-

რებთან ერთად დედაქალაქს საკუთარი მკერდით იცავდნენ უკრაინელებმელა მოძმე რესპუბლიკის შვილები. დაიცვეს კიდეც!..

ეს ორი ისტორიული რაიონი შრომაში შეეჯიბრა ერთმანეთს... შეეჯიბრა მეგობრულად...

შარშან გაზაფხულზე, გამოცდილებათა ურთიერთგასახიარებლად პერეიასლავ-ხმელნიცის რაიონიდან მოჟაისკის რაიონში გაემგზავრა კოლმეურნეთა დელეგაცია. დელეგაციაში შედიოდნენ: სოფელ პომოკლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პეტრე შულგა, სოფელ გლანიშევის შეგჩენკოს სახელობის 72 წლის მსცოვანი კოლმეურნე ქალი, სოციალისტური შრომის გმირი ველ-მინდერების ოსტატი ელენე ხობტა, სოფელ სამკოვა-დოლინას კომკავშირელი ქალიშვილი მწველავი მარია გალჩუკი. პიდვორკის ბ. ხმელნიცკას სახელობის კოლმეურნე ქალიშვილი გალინა კარპენკო და სხვები.

პერეიასლაველმა კოლმეურნეებმა მოჟაისკში იხილეს სოფლის მეურნეობის მაღალი კულტურა — ფართოდ დანერგული მექანიზაცია, შრომის მაღალი ორგანიზაცია, სასუქებისა და სარწყავი საშუალებების მაქსიმალური გამოყენება.

კოლმეურნეობა ბოროდინოს კოლმეურნე ქალმა, სოციალისტური შრომის გმირმა ავაფია ერმაკოვამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ელენე ხობტა. მათ იცის რეს მოეყვანათ ექვსასი ცენტნერი კარტოფილი თვითველ ჰექტარზე.

მარია გალჩუკი დაუმეგობრდა და შეჯიბრებაში გამოიწვია მწველავი კომკავშირელი ქალიშვილი ევგენია გუსაკოვა.

ხობტამ ერმაკოვასაგან გადმოიღო კარტოფილის თესვის კვადრატულ-მეტრულბრივი მეთოდი. დაბრუნდა უკრაინ-

ნაში, თავის სოფელში და ამ მეთოდით შეუდგა შრომას.

წელს, იანვარში, პერეიასლაველებს ესტუმრნენ მოკაისკელები. მათ აქ შეამოწმეს შეჯობრების შედეგები. ნაიპარი ვალდებულებები შესრულებული აღმოჩნდა. ოლონდ შრომის გპარები — ელენე ხობტა და აგაფია ერმაკოვა, ამაზე არ შეჩერებულან. ისინა განაგრძობენ შეჯობრებას და ახლა უკვე თვითთულ ჰექტარზე შეიდასი ცენტნერი კარტოფილის მოყვანისათვის იბრძვიან, მარია გალჩუკი და ევგენია გუკოვა კი — ოთხიათასხუთას ლიტრა რძისათვის.

მოკაისკელებმა მოძმე უკრაინელებს გამოატანეს მაღალმოსავლიანი ჰაბრიდული ხორბლის თესლეული, რომელიც ჰექტარზე ორმოცდაათ ცენტნერ მოსავალს იძლევა. უკრაინელი კოლპეურნი ვალში არ დარჩენილან უფროსი ძმების წინაშე, საჩუქრად გაუზზავენეს მთელი ეშელონი საქონლის საკვები თივა, ჩალა, კონცენტრატები, რადგან შარშან შემოდგომაზე ხანგრძლივი წვიმების გამო მოკაისკელებს სათიბები გაუფუჭდათ და საქონლისათვის საძოო საკვები ვერ მიიღეს!

— გვესტუმრეთ საქართველოში! — ვთხოვე ზ. ლეჩენჯოს.

— თუ ვერ გესტუმრებით, მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მაინც ვნახავ თქვენი ქვეყნის შრომიანყოფს! — გვიპასუხებეს ის.

შეგობრულად დავშორდით...

მანქანა ხიღს გადასცდა და პერეიასლავე-ხმელნიცში შევედით. ეს ძველი, ისტორიული, მაგრამ პატარა ქალაქი, რომელიც მეთათ საუკუნის დასაწყისში ფოლიანტებში მოხსენებული იყო თავად ოლეგის მიერ ცარგრადთან ბერძნებზე გამარჯვებასთან დაკავშირებით, მოქცეულია ორი პატარა მდინარის — ტრუბევისა და ალტას მესაყართან, დნებრის მარცხენა ნაპირზე. მეთათ საუკუნის დასასრულს, თავადმა

ვლადიმერ სვიატოსლავეს-ძემ გააჩვენა იგი და ამით შექმნა მდინარეთა ქვეპებისაგან კიევის დასაცავი ფორპოსტი. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა მტრისათვის მიუვალსა და მიუკარებელს ხდიდა ამ ქალაქს. გარს ერტყა ქვიტკირის გაღავანი. გარდა იმ მიწაყრილებისა, რომლებიც მას ამგარებდნენ, ტრუბევიდან და ალტადან გაყვანილი იყო მდინარის მაგვარი წყლის არხი, რომელიც მესამე მხრიდან იფარავდა ქალაქს. თუ მტერს განზრახული ჰქონდა კიევზე მიხდომა, პირველი ბრძოლა პერეიასლავთან უნდა გადაეხადა. თუ აიღებდნენ პერეიასლავს, დედაქალაქზე გალაშქრებაც შეეძლოთ. აქ წყდებოდა კიევის ბედის.

1239 წელს ბათო ყაენმა გადაწვა პერეიასლავი და მახლობელი სოფლები.

ლეგენდა გადმოგვცემს: პერეიასლავეთ თავი ისახელა ძალღონით აღსავსე დაბადმა ივანე კოევიმაკმა (კოევიმაკი — ტყავის გამოყვანი, დამმუშავებელი), რომელმაც ორთაბრძოლაში დაამარცხა პაქანიკების ფალავანი. ვიდრე სლავების მთავარი კოევიმაკს საბრძოლველად გაიყვანდა, გამოსცადა, თუ რა ღონის პატრონი იყო ის. სლავ გოლიათს ლაგამაწყვეტილი გუქენებული ცხენი უნდა შეეჩერებინა. კოევიმაკმა ცხენს, რომელმაც მის წინ ჩაიჭროლა, ფერდში ხელი სტაცა და ფერდი გამოაგლიჯა. მხოლოდ ამის შემდეგ ნება მისცეს მას ორთაბრძოლაში გასულიყო. კოევიმაკი ორივე ხელით სწვდა პაქანიკთა ფალავანს და, როგორც ხარის ტყავს დასრესდა მის გამოსაყვანად, ისე მოსრისა ხელში. დამარცხებული ფალავანის დანახვაზე პაქანიკებმა პირი იბრუნეს. დაედევნენ სლავი მეომრები და, როგორც ხალხმა იცის თქმა, კუდით ქვა ასროლნეს!..

„პერენიალ სლავუ“ — გადმოიღო დიდება, ან წაართვა დიდება. ამ ლეგენდის მიხედვით ეწოდა ქალაქს პერეიასლავი.



ეს ლეგენდაც რომ არ იყოს, პერეიასლავს დიდებისათვის ისიც ეყოფა, რომ ამ ადგილას გადაწყდა ისეთი ქვეყნის ბედი, როგორიც უკრაინაა. ამ დროს პერეიასლავში ცხოვრობდა ექვსიათასი კომლი.

მღელვარებას იწვევს ის მოედანი, რომელზეც სამი საუკუნის წინათ თავმოყრილი იყვნენ დიდებულები, კაზაკები, გლეხები, ხელოსნები, მდაბიო მოსახლენი. მიძინების ეკლესიაში მოწვეულ რადაზე კი ბოგდან ხმელნიცი წყვეტდა თავის სამშობლოს ბედს.

აი, გამოვიდა ის ეკლესიიდან. მას თან ახლდნენ ერთგული თანაშემწეები — პოლკოვნიკები: მაქსიმე კრივანოსი, ივანე ბოგუნი, დანილო ნეჩაი, ივანე ზოლოტარენკო.

ხმელნიციმ მიმართა ხალხს:

— ოთხი სახელმწიფო ხელს იშვერს ჩვენსკენ — სულთანის ოსმალეთი, ყარიმის ხანი, პოლონეთის მეფე და რუსეთი. თქვენ კარგად იცით სულთანიც და ხანიც ბასურმანები არიან. პოლონეთის შლიახტა ჩვენი ხალხის დაუძინებელი მტერია, რუსები კი ჩვენი ძმები არიან — ერთმორწმუნენი! შევიყვართ ისინი გულით!... — აქ გეტმანი გაჩუმდა და თვალი გადაავლო მდუმარე ხალხს. მერე მქექარე ხმით დაუმატა, — ვინც ჩვენ არ დაგვიჯერებს, საითაც სურს, იქით წავიდეს, გზა თავისუფალი აქვს!

გაჩუმდა, კვლავ დუმის მთელი უსმენდა ხალხის გულისტქმას.

— ყველანი ასე ისურვებთ თუ არა? — შეეკითხა გეტმანი შუბლშეკრული და თვალანთებული.

— ყველანი! — დაიძახა ხალხმა.

გეტმანს საზე გაუბრწყინდა.

— იყოს ასე?! — დაიძახა ხმამალა მან.

ხალხი აღტაცებით გაიძახოდა:

— ლმერთო, აგვისრულე, ლმერთო, განამტკიცე, რომ ჩვენ საუკუნოდ ერთად ვიყოთ!

ხალხის ნატერა მართლაც ასრულდა... მას შემდეგ ერთდროულად არის ორი სლავი ხალხი — რუსები და უკრაინელები. დიდი და დიდების გზა გაიარეს მათ ამ მეგობრობაში... ერთად იყვნენ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებულ ომებში, ერთად აწარმოებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლებს, განუყრელნი იყვნენ სოციალისტური მშენებლობის დროს, როდესაც მიდიოდა საბჭოთა სამშობლოს დიადი გარდაქმნა. რუსი ხალხის ძმური დახმარებით უკრაინაში აშენდა ისეთი ტიტანები, როგორიც არის „ზაპოროჟსკალი“, „აზოვოსტალი“, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, კრამატორის მანქანათმშენებელი ქარხანა, ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგური. შეიქმნა სატრაქტორო და სატურბინო მშენებლობა, ფერად ლითონთა მეტალურგია, ელექტრო მეტალურგია და ქიმიური მრეწველობა.

მხოლოდ რუს ხალხთან მეგობრობაში აღსრულდა უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება — უკრაინის ტერიტორიის სრული გაერთიანება.

ოდონდ 1941 წელს, ბათო ყაენის ურდოების შემოსევიდან შეიდი საუკუნის შემდეგ, ფაშისტური ურდოები შემოესივნენ საბჭოთა ქვეყანას და პერეიასლავიც მიწასთან გაასწორეს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ნანგრევებიდან აღდგა პერეიასლავი. მისი გული ნამდვილ უდაბნოს წარმოადგენდა. ახლა აქ დაგეგმილია დიდი, მოასფალტებული მოედანი, სადაც წარმომდგარია საბჭოების სასახლის შენობა. ამ სასახლის ერთ მხარეზე აგებულია სასტუმრო და მეორე მხარეს უნივერსიტეტი. აქვე შენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების „ავილიონები, კინოთეატრები, კულტურის სახლი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, მღაზიები. მაისის სადღე-

სასწაულო დღეებისათვის პერეიასლავ-ხმელნიცკში ოცდაათამდე ახალი შენობა დამთავრდება.

ქალაქი ზალში ზის. ქუჩებსა და მოედნებს არყის ხეები, თელა და თუთის ხეები ამშვენებს.

მიმდინარეობს იმ ისტორიული ძეგლების რესტავრაცია, რომლებიც სამამულო ომის დროს დაანგრის.

აღდგენენ ამოღების, მიძინებისა და მიხეილის ტაძრებს. უკრაინის მეცნიერებათა აკადემია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს, აღმოჩენილია ისტორიული ძეგლები, რომლებიც განეკუთვნიან XI—XII საუკუნეებს.

პერეიასლავ-ხმელნიცკს აქვს საკუთარი მუზეუმი, რომელიც მთლიანად ასახავს ქალაქის წარსულს, ამ სახლში ერთ დროს ცხოვრობდა გადასახლები-

დან დაბრუნებული დიდი მეგობრებს რას შევჩენყო. სწორედ ეს ხალხები დაწერა მან თავისი ცნობილი ნაწარმოებები — „ანდერში“ და „კავკასია“.. „ანდერში“ პოეტი მოუწოდებს მშობლიურ ხალხს:

იმ დიდ ოჯახში, ახალ ოჯახში,
სად გულის ფიჭო თამამად ითქმის,
არ დამივიწყოთ, მეც გამიხსენეთ
სასოყარულო, კეთილი სიტყვიო!...

მართლაც შეიქმნა ეს ხალხთა მეგობრობის დიდი ოჯახი, მართლაც საყვარელით იხსენიებს პოეტს ამ ოჯახში შემავალი ყველა ერი. ვერაფერი ვერ დაანგრევს ამ ოჯახს, როგორც ი. სტალინმა თქვა, „ვიდრე ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს!“

რუსეთთან უკრაინის შეერთების სამასი წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაული ამ მეგობრობის ერთ-ერთი გამოჩატულებაა.

მთების ღმრღათი

ნაკჰმევი



ვის არ სმენია ქართული ზღაპარი „ცხვარი და სიღარიბე“. შევიდა ცხვარი გლეხის ქოხში, სადაც ნაგრად გაედგა ფეხი სიღარიბეს. ერთ კუთხეში ბატკნები დასვა, მეორეში ყველი დადო, მესამეში მატყლი, მეოთხეში ხორცი. თითონ კი შუაგულში დადგა და სიღარიბეს ფეხები დაუბაკუნა:

— გადი გარეთ. აქ შენთვის ადგილი არ არის!

ასე სძლია ამ წყნარმა ცხოველმა სიღარიბე, განდევნა ის გლეხის ქოხიდან. ეს ზღაპარი მომაგონდა, როცა შარშან შემოდგომის ერთ სუსხიან საღამოს ცნობილი მღვთელი მეცხვარის, — შიო ნაზლაიძის სახლში შევედი.

შიოს სახლი ღარიბული როდია. შიო აღარ ცხოვრობს ფაცხაში, სადაც ადამიანი მთელი ტანით ვერც კი გაიმართებოდა. ეს არ არის მიწის ბანიანი, კვამლით სავსე ქოხი-გომური, ეს ორსართულიანი ქვიტკირის სახლია, ნახარატევ სვეტებით დამშვენებული. ღართო იფნიდან მოჩანს არაგვის ატეხილი ქალა და საქართველოს სამხედრო გზა, უსურვაზივით რომ ეხვევა მღვთის დაკიდებულ აღმართს. ოთახებში ისეთი სისუფთავეა, რომ იატაკზე დაღვრილი ერთი აიხვეტება. ისე გაუპრიალეზბათ იატაკი, რომ მასპინძელი, არცთუ ისე ახალგაზრდა, მაგრამ აველეურად მხრებგამლილი, მხნე და გაუტეხელი, ციკაბო აღმართებზე სიარულს რომაა დაჩვეული, აქ ისე, კრთომით დგამს ფეხს, თითქოს უინულზე დადისო. ცდი-

ლობს თავისი მოუქნელობა დაფაროს და ცოლს აქილიკებს:

— აჰანდე, გააპრიალე, შენც მიღავრიანთ ვნეინა გამიხდი, რაღა. ცხონებულ მამაშენსაც ალბათ ასეთ იატაკზე დაუსხლტა ფეხი, თეძოს ძვალი რომ მოიტეხა!

დიასახლისი ტუჩზე ხელმიფარებით იღიმება. სტუმრების რომ არ ერიდებოდეს, ალბათ, გულიანად გადაიხარხარებდა.

შეზინდა, არაგვის მქუხარე ტალღებმა ააბრუნეს საკოლმეურნეო ელსადგურის ტურბინები და კაშკაშა ელნათურები აენთო მღვთის სახლებში. განათდა ფერდობზე შეფენილი, ქვის ყორეებით შემოზღულდული ქუჩები. შუქმა სიბნელეს გამოსტაცა აქა-იქ ახალი შენობების გვერდით შემორჩენილი, ლეკიანობის დროინდელი, სიბიქვით ნაგები კოშკები. განათდა კოლმეურნეობის კანტორა, კლუბი, პატარა მოედანზე აღმართული ბელადის მონუმენტი, არაგვის ხეობას რომ გადააყურებს.

ჩვენმა დიასახლისმაც აანთო ელნათურები. დიდი ქალის შუქი ათამაშდა ნიკელით მოალულ საწოლებზე, გაპრიალეზულ მუხის ბუფერსა. კედლის სარკესა და ხელსაბანზე. მომაგონდა ძველი ზღაპარი ცხვარსა და სიღარიბეზე. მომაგონდა და გავიფიქრე: ძველთაგანვე მისდევდნენ ჩვენში ცხვრის მოშენებას. ეს ზღაპარიც ძველთა-ძველია. მშრომელი მეცხვარეები კი მუდამ სიდუხჭირ-

სა და გაქირვებაში. სიბნელეში, უცხო-
ში ცხოვრობდნენ და მათ უმოწყალოთ
ყვლეფდნენ „ცხვარ-ბევრები“ — ე-
ლაკები.

ერთხელ, საბჭოთა ხელისუფლების
დამყარების პირველ თვეებში, მე, რო-
გორც ახალგაზრდა კორესპონდენტი,
ამოვედი მლეთში. ფერდობზე დაკლა-
კრილ ბილიკზე, სოფლის ბოლოზე რომ
ჩამოდიოდა, მთიულები შემოგვხედნენ.
ისინი ფასანაურმა მიემგზავრებოდნენ.
მოგვესალმნენ და თან ცნობისმოყვარე-
ობით შემოგვაცქერდნენ. ერთი მათგა-
ნი გამხდარი, ძარღვიანი მოხუცი, თო-
კებით გაკრული მძიმე ტვირთი რომ
ეკიდა ზურგზე, შეგვეკითხა, თუ ვინა
ვართ და „რაი-რისთვის“ ამოვსულვართ
მთაში. მე ვუთხარი, რომ მთიულთა ყო-
ფა-ცხოვრების შესწავლა მწადია. ბერი-
კაცი ერთ წუთს ჩაფიქრდა და უცებ
თავი ისე აიქნია, თითქოს რაღაც ახალმა
აზრმა გაუელვაო.

— იცი, რა, ვაჟო, — ღიმილით მომ-
მართა მოხუცმა, — გინდა გასწავლო,
თუ როგორ შეიძლება ჩვენი ცხოვრების
შესწავლა?

— როგორ? — ვკითხე მე.

— აი ასე, ახლო მოდევით!

— მე მივეუახლოვდი. ცნობისმოყვა-
რეობით მოველოდი. თუ რა მოხდე-
ბოდა.

— აბა ერთი ამ ტვირთის ჩამოხსნა
მიშველ!

მე მივეშველე, რაც არც ისე ადვილი
აღმოჩნდა. ბარგი სამ ფუთზე მეტი იქ-
ნებოდა. ტვირთი ზურგიდან ჩამოე-
ხსენი.

— ახლა შენს გაზრდას, — თქვა მო-
ხუცმა და თვალბში რაღაც ეშმაკური
ნაპერწყლები აუთამაშდა. — აიკიდე
ეს ბარგი და იმ ქოხთან აიტანე, მთის
კორტოხზე რომ მოჩანს, — მიუთითა
მან კაუჭა საჩვენებელი თითით მთის
მწვერვალზე, — მაშინ გაიგებ, თუ რა
ტყბილი ცხოვრება გვაქვს. თორემ ასე,

არაგვის მწვანე ქალაში სეირობით,
ჩვენი აგ-კარგი საიდან უნდა გავსულიყავით!

ჩემი თანამგზავრები გულთანად იცი-
ნობდნენ, მე კი უხერხულად ვიდევქი და
მოხუცისათვის პასუხი ვერ მიმეცა.

და მართლაც, ზამთარ-ზაფხულ მთი-
ულებს ზურგით უხდებოდათ ამ ციცი-
ბო აღმართებზე შეშის, თივის, კირან-
ხულის, ნავთის, მარილის თრევა.

— აი დახედე, — გამომიწოდა ხელე-
ბი მოხუცმა, რომელიც საღალაობო კი-
ლოდან უცებ სერიოზულზე გადავიდა.
ხელისგულები ისე ჰქონდა დასერილი
იარებით, რომ იფიქრებდით: ეს კაცი
მტრის ამოწვდილ ხანჯალს თუ წვდა
შიშველი ხელებითო.

— ეს მოსავლის აღებისაგანაა, — მწა-
რედ ჩაიცინა მოხუცმა, — აი როგორ
ემკით ჩვენს პურს. აბა გახედე, — მან
ხელი გაიშვირა ლომისის ქედის დაქა-
ნებულ ფერდობისაკენ, რომელსაც ოქ-
როსფერ ნაკრებივით ასხდნენ ნაწვერა-
ლის პაწაწინტელა, ოთხკუთხედი ნაკ-
ვეთები, — აი ჩვენი ზოდაბუნები. სამი
კაცი მომკის და შეჭამს კიდევ ერთ
ჯერზე. იქ ასვლაც ძნელია და ახლა ნამ-
გლის მოსმა თქვი. სადაც ნამგლით ვერ
მივსწვდებით, ხელით ვგლეჯთ ქვებს
შორის ამოსულ ქერის თავთავს. ზმელი
ჩალა კი დანასავით იჭრება კანში, მაშა!
სისხლიან ლუქვას ეჭამთ. — დაამთავ-
რა და სახე კვლავ მოეღრუბლა. და
თითქოს მოხუცის ნათქვამს აგრძელებ-
სო, ახალგაზრდა მთიულმა ქერის ხში-
დი ამოიღო ხურჯინიდან.

— ა, ძმობილო, გატეხეთ, მიირთვით
ჩვენი პური.

ის გულით გეთავაზობდა, მაგრამ ეს
დაცინვასავით ფლერდა. ქვის კეცივით
გამაგრებულყო ხშიადი, იმ ქვისკეცი-
ვით, რომელზედაც ის ცხვება. შეუჩვე-
ველი კაცი მას ნამცივისაც ვერ მოაფ-
ხვნიდა. იმავე საღამოს ვნახეთ, თუ რო-
გორ ცხვებოდა ეს პური. ჩვენ ვიჯექით
მთიულის სტუმართმოყვარე ქერქვეშ,



თვალეზისმწველ კვამლის ბოლქვებში გახვეულნი, გვერდით კი ისმოდა პირუტყვის ფშვინვა.

ოდნავადაც არ შეცვლილიყო მთიულის ქოხის ღარიბული მორთულობა, უახზეგისა და ვეა-ფშაველას მიერ აღწერილი და კიდევ უფრო ადრე ლერმონტოვის კალმით დახატული „ჩვენი დროის გმირნი“. ისევე შუაგულში ტყაცანებდა მიწაზე გაჩაღებული ცეცხლი. ბოლი, რომელსაც ქარი სახურავში დატანებული საკვამურიდან უკანვე ერეკებოდა, გარშემო სქელ საბურველივით ეფინებოდა... და თუმცა ჯანდაგი ძროხის გვერდით იცოხნებოდა, ალბათ ფარას ჩამორჩენილი კოკლი ჰედილა, მაინც ყველაფერს ემჩნეოდა, რომ ცხვარს გლეხის ქოხიდან ვერ გამოედევნა სიღარიბე.

ჩვენმა დღევანდელმა გულითადმა მასპინძელმა — შიო ნაზლაიძემაც საკმაოდ იწვნია იმ ბნელი ცხვორების სიმწარე. თერთმეტი წლის ასაკიდან მოჯამაგირებოდა ის, სიცხესა და ყინვაში დასდევდა სხვათა ფარას და ახლა მდიდრულად მორთულ სუფრაზე რომ გვიმასპინძლდებოდა, სამღურავით იგონებდა დუხჭირ წარსულს:

— მე მოჯამაგირებობაში ვარ გამოზრდილი, საკუთარ ზურგზე მაქვს გადატანილი კულაკობის მძლავრობაო, — გვიამბობდა შიო, — ახლაც სისხლი მემღერევა, როცა მომაგონდება, თუ რა სანაბდე მატყლივით გვთელავდნენო. ერთხელ მოჯამაგირებმა ცხვრის ბინაზე ფული შევაგროვეთ და საცერი ვიყიდეთ. წუნკალმა პატრონმა კი დაგვიმტვრია და გადაგვიგდო:

თქვენმა მზემ, გაუტრელს კი ვერ მონიელებს თქვენი კუქიო.

— რამდენი ვიწვალეთ და ვიშავდღევით, სანამ ამ დღეს მოვესწრებოდით. როცა თავდაპირველად შევქმავდით ღარიბები და მოჯამაგირეები მღეთის კოლმეურნეობაში, ძლივს ერთი ფარა შევკარიო. ახლა კი ოცდაშვიდი

ათასი სული ცხვარი ჰყავს კოლმეურნეობას. უნდა ნახოთ, ჩვენი ცხვრის ზამთრული დაიძრება ზამთრის სამზარეულისაკენ.

ფარა ფარას მისდევს, მიდის, მიედინება, ადიდებულ მდინარესავით. გოცებული მგველეები გვეკითხებიან:

— მთელი კვირა მოდის მღეთის კოლმეურნეობის ცხვარი და რაა, რომ აღარ გამოილიაო. ისინი ხუმრობენ, მე კი მწყინს, რად უნდა გამოილიოს ჩვენი კოლმეურნეობის ცხვარი-მთქი.

— დახე, როგორ თავს იღებს კოლმეურნეობისათვის, — გაიცინა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ — ხეთისო პეტრიაშვილმა.

— მას როგორ გგონია? — კუშტად მიუგო შიომ, — მე იმას ადამიანად არ ჩავთვლი, ვისაც თავისი კოლმეურნეობისათვის გული არ შესტყვია, თუმცა, — დაუმბატა მან მცირე დუმილის შემდეგ, — ახლა გულს ისე ადვილად ვერავინ გვატყენს, არავის დავეჩავგვრინებთ. მაგრამ თქვენ უნდა გენახათ, თუ რა იყო ძველად, ცხვრის გარეკვა იალაღებზე თუ ზამთრის საძოვრებზე ნამდვილი ლაშქრობა იყო. — შიომ გვერდზე გადახარა თავი, წარსულის მოგონებებში ჩაიძირა. მის ქარდაკრულ სახეზე მსუბუქი ჩრდილი ჩამოწვა, თითქოს სადღაც შორიდან გამოიყურებოდნენ მის ღრმა ფოსოებში ჩამსხდარი, ორბისებური თვალები.

— წინათ ფათერაკი კვალდაკვალ მისდევდა ღარბ მცხვარეს და მის ერთ მუტა ცხვარს. მწყემსს იშვიათად ამოხდებოდა სული ბალიშზე. მაშინ საძოვრებიც და სავალი გზებიც მემამულეებს და კულაკებს ეკუთვნოდა. ცხვარი რომ აიყრებოდა ზამთრის ბინებიდან, მწყემსები საგანგებო საომარი კომბლებით შეიარაღებულნი გაოთავებოდნენ გზას. იყო ერთი ჯახი, შეხლა-შემოხლა მგველეებთან, თავბრისმტვრევა და სისხლის ღვრა. ცხვარბევრები ქრთამით მიკაფავდნენ გზას. ღარბ მცხვარეს კი ყველა სჯაბნიდა. მას ხელჩართული

ბრძოლით უნდა გავკავა გზა. მხოლოდ ახლა გვეღირსა ჩვენ აღამიანური ცხოვრება. — შიომ თავშეკავებული სიამაყით მიმოიხედა გარშემო. — თორემ რა იყო, მთელ ჩვენს ჯანსა და სიცოცხლეს ცხვრის დევნაში ვლევდით, ცხვრის მადლს ვფიცულობდით, ცხვარი კი ნატვრის თვალვით მუდამ ხელიდან გვისხლტებოდა, კულაკებს ამდიდრებდა. ახლა კი ის ჩვენი, საკოლმეურნეო.

ახლაც ფიცულობენ მთაში ცხვარსა და ცხვრის მატყლის მადლს, ახლაც ამბობენ, ცხვარი გვაქმევს და გვასმევს, ცხვარი გვაცმევს და ცხვარი გვახლავს.

ახლა შეძლებულ ცხოვრებაში ჩამდგარ მეცხვარეებს აღარ აქმაყოფილებთ ის ჩაცმა-დახურვა, რომელიც მათ „დაპბედებოდა“ იმ დროს, როცა პირუტყვთან ერთად იყვნენ შეყუჟული ქობ-გომურში, სადაც დიდსა და პატარას, ქენა-ნაბადწამოფარებულებს ერთად ეძინა.

რასაკვირველია, მეცხვარეს ავდარსა და სიცაეში სჭირდება გამძლე ნაბადი და ქურჭი. „უცკეთი“ ფარაჯა, მაგრამ საკარგდღეოდ მას ქალაქელზე ნაკლებ როდი უყვარს კობტად, გემოვნებით ჩაცმა-დახურვა, სოფლის მაღაზიაში შეივლის. თუ ქალაქში ჩამოვა „საეპროდ“ ქალი და კაცი გაბარდინსა და კოვერკოტს მოიკითხავს, მათ ბოსტონსა და მარენგოზე და სხვა მაღალზარისხოვან ქსოვილებზე უჭირავთ თვალი.

მაგრამ არა მარტო პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ ჩვენი მეცხვარეები. დღეს მღეთელი მეცხვარე სახელმწიფოებრივი ფიქრითაა გამსჭვალული. ვინ არ იცნობს აქ საკავშირო კომუნისტური პარტიის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. მღეთელები ამის შესახებ არა მარტო გაზეთებში კითხულობენ და რადიოთი ისმენენ, თავიანთ მეურნეობაშიც ივარძნენ მათ პარტიისა და მთავრობის ზრუნვა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ. ბევრი

გამოცდილი სპეციალისტი შეემატა სოფლის მეურნეობას და მთაში უკრის, სოციალისტურ მეცხოველეობას. გაიზარდა დამზადების ფასები მატყლზე, ხორცზე, ყველზე, კარაქზე, ტყავზე... დიდმა და პატარამ იცის აქ, რომ პარტიამ და მთავრობამ გადაწყვიტეს, გაზარდონ სახალხო მოხმარების საგნების გამოშვება, გააუმჯობესონ მათი ხარისხი. ისიც იციან, რომ ამ საქმეში მეცხვარეს დიდი წილი უდევს. იგი ამარაგებს ჩვენს საფეიქრო მრეწველობას ძვირფასი ნედლეულით — მატყლით.

ძვირფასი შალეულის გამოსაშვებად საფეიქრო მრეწველობას სჭირდება მაღალზარისხოვანი ნაზი მატყლი.

დიდი ხანია ოცნებობდნენ ქართველი მეცხვარეები ნაზმაჰსოიან ცხვარზე. ძველთაგან მიერკებოდნენ დუშელი მწყემსები ცხვარს — ჩრდილოეთ კავკასიასა და კასპიისპირეთის ზამთრის საძოვრებზე. იქ მათ ხვდებოდათ ნაზმატყლიანი ჯიშის ცხვარი. ეს რუსული მერინოსი თუშური ცხვარივით წელიწადში ორჯერ კი არ იპარსებოდა, არამედ ერთხელ. მაგრამ იგი 3-4-ჯერ მეტ მატყლს იძლეოდა, ვიდრე თუშური. მერინოსის მატყლი თუშურზე ბევრად უფრო ძვირად ფასობდა და მისგან ძვირფასი, წმინდა მუდსა და შალეულს აწვადებდნენ. ალბათ ამიტომ თუ შეარქვეს ქართველმა მეცხვარეებმა ამ ცხვარს „მალდის ცხვარი“.

განა მარტო მღეთის კოლმეურნეობაში აბრძვიან პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განსაზოციელებლად. ცოტა როდია დუშეთის რაიონში მეცხვარეობის ისეთი მოწინავე კოლმეურნეობა, როგორც მღეთისაა.

ომის შემდგომს პერიოდში ცხვრის სულადობა შეუწელებლად იზრდებოდა არა მარტო დუშეთის, არამედ წითელი წყაროს, ყაზბეგის, ახმეტის, თელავის, სიღნაღის, ლენინგორის და მეცხვარეობის სხვა რაიონებში. წლითიწლობით მეტ მატყლს აძლევს სახელმწიფოს სო-



ცილისტური მეცხოველეობა. მაგრამ ეს ვერ აკმაყოფილებს ჩვენი მსუბუქი მრწველობის მოთხოვნილებას ვერც რაოდენობრივად და მით უმეტეს ხარისხობრივად.

შიოსაც უნახავს თავის ყმაწვილობაში ის „მთლის“ ცხვარი. — „ტავრიჩნი“¹ ცხვარს ეძახდნენ იმ ცხვრებს, არკი ვიცი, ვგრე რად ერქვა. მე ყიზლარის საძოვრებზე სიარულში გავთეთრდი, რუსული ჰრელ-ჰრელად ვიცი, ძველად ჩვენებს რომ გაუქირდებოდათ, თარჯიმნად მე გამაგდებდნენ, მაგრამ ეს სახელი „ტავრიჩნი“ საიდან მოდის, ვერ გამიგია. მეფის მთავრობა მემამულეებსა და კულაკებს ედგა მხარში, მათ უმართავდა ზელს, ჩვენ კი ვინ მოგვხედავდა, ამიტომ იტყოდა ძველად ცხოვრებაზე გულგატეხილი მეცხვარე: „მწყემსს ვინა ჰყავს ქომაგიო მყეთარი და ჩობანიო“. თვალს კი გვრჩებოდა იმ „ტავრიჩნი“ ცხვარზე, მაგრამ ზელი სად მიგვიწვდებოდა. სიღარიბისაგან წელში გატეხილებს სად გექონდა იმის თავი, რომ ცხვრის ჯიშის გაუმჯობესებაზე გვეფიქრა.

ქართველ მეცხვარეებს არა მარტო უსახსრობა უკრავდა ზელ-ფეხს, არა მარტო სიღარიბე ელობებოდა წინ მათ ოცნებას ცხვრის ჯიშის გაუმჯობესებაზე — ნაშმატყლიანი ცხვრის მოშენებაზე. თითქოს ამ მისწრაფებას წინ ელობებოდნენ თვით „მთანი მალაღნიც“, რომელთა ზურმუხტოვანი ფერდობები თითქმის ერთადერთ საზაფხულსა საძოვრებს წარმოადგენდნენ ქართული ცხვრისათვის. გამოცდილება

მეცხვარეებმა იცოდნენ, რომ ზოდილოეთ კავკასიის მერინოტიპურ მრწველებოდნენ მომთაბარებნიან ცხვრებს. როგორ უნდა ეტარებინათ ეს ნაზი, მოღწეული ცხოველები ალპური საძოვრების ციკაბო, ფერდობებზე! მერინოსის ჯიშის ცხვარი განა თუშური ცხვარია, ქურციკივით რომ აღის და ჩამოდის კისრის სატებ ფლატეებზე! როგორ უნდა გაუძლოს მერინოსის ჯიშის ცხვრის სუსტმა მუხლებმა და ჩლიქებმა ასეულ კოლომეტრიან ვადასასეულს, ზამთრის საძოვრებიდან საზაფხულოზე და პირუტყუ. ამ ნაშმატყლიან ცხვარს არც დღეა ჰქონდა. დღეა კი უადვილებს თუშურ ცხვარს საშმლის და, ასე ვასინჯეთ, წყლის ნაკლებობის ატანას ხანგრძლივი, დამქანცავი ვადასელების დროს.

ვის არ უნახავს ზამთრის საძოვრებიდან აყრილი, იალაღებისაყენ მიმავალი ცხვრის დინება, ვინ არ დამტბარა ამ თვალწარბიანი სანახაობით. ახლაც თვალწინ მიდგას ეს სურათი — თუში მწყემსების მიერ ცხვრის გადარეკვა ზამთრის საძოვრებიდან იალაღებზე.

უცნაური ხმაური გაუდის მოახლოვებულ ცხვრის ფარას, ის ხან მოდიდებულ წყლის ჩუქჩუქს ჰგავს, გვალვით გულდაშფეარ ჩიყის ქვებში გზას რომ მიიკვლევს, ხან ჭოპოსანის ხიყიწივით ვაისმის ტამრავი ჩლიქის ქლასუნი ღოჯღზე.

დრო და დრო თუ დასცდება ცხვარსა და ბატკანს ერთდროული ბღავილი და კივინი. ყურების ბარტყუნით დინჯად მოამბეებენ გარდიგარდმო ჭეჩანაბადებით დატვირთული სახედრები. ფარის დასალიერს ქუმელიანი ტომრებით, ხის ვაბებით, საწველი დურკებით, ყველის გულდებით დატვირთული ურეში მოგორავს, ენაგამოგდებული მყეფრები მის ჩრდილს შეკჭირებიან. ბარკში ჩაერთული დაყოკლებული დედაცხვარი ნაღვლიანი თვალებით გასცქერის წყალდიდობისაგან ამღვრეულ

¹ შეიშვა გავიგე ჩვენი ზოტიკენიკისებისაგან სიტყვა—„ტავრიჩნი“ მნიშვნელობა. შიოს რომ თვასამტკრეველ გახლოდა „ტავრიჩნი“ „ტავრიჩისკიდან“ იყო გადმომახინჯებული. ტავრიჩნი გამოყვანილი რუსული მერინოსი კი, რომელიც შეიშვა ბევრ რაიონში და, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაშიც, გავრცელდა როგორც ზორკუნიით, ისე მატყლის ნაბარსით რევილენიამდელ რუსეთში საუკეთესოდ ითვლებოდა.

ალაზნის ტალღებს. ჩვენი მანქანა წამოეწია ფარას. ნება - ნება, საყვირის კუვიტინით მიარღვევს იგი ფარის ზვირთებს. დამფრთხალი ცხვარი გზის პირას მთავლის ბუნებებს ნიაფყდა და შედგა. ბატკნებმა დრო იხელთეს, წამოუჩოქეს და ზოქნებში ეტკვარნენ დედებს. ხარბად წოვენ, ჟნდათ მოასწრონ სიციხით და მტერით გამწრალი ყელის გასველება.

მანქანა ფარის თავში გადის. მძიმე ნაბიჯით მიუძღვის ცხვარს ახალგაზრდა მწყემსი. ორივე ხელით ახლადმოგებული წყვილი ბატკანი აუტატებია. ილიამი გამოჩრილი კომბალი მიწაზე მისთარევს, დაღლილობისაგან ტანში ირწყვება. წვერცანცარა ვაცი მწყემსს ზურგზე აბჯენს ასვეტილ რქებს. შესვენება უნდა, თუ მწყემსს ამხნევეებს: გაეწიოთ, ცოტა-ლა დაგვრჩაო. მწყემსი, თითქოს გუნება შეტკვარიო; ვერც კი გრძნობს პარუტყვის მოალერსებას, სულ წინ გაჰყურებს. წოწოლა ქუდი წარბებამდე ჩამოუფხატავს.

— მივალწვეთ თუ არა დროით თავის ალაგას, — ზრუნვით საესე თვალებს ავლებს ის შორეულ იალაღებს, — ხომ არ მოგვისწრებს გზაში ქარბუქი. მივიყვან თუ არა სალ-სალამათად ჩემს გაზრდილებს?

ირანის საზღვრებიდან, საბირაბადის და ყორადონის რაიონებიდან მოედინება ეს თეთრი ტალღა. რამდენი ჭალა და ველი გადმოლახეს, რამდენი დაბასოფელტ გამოვლეს ამ მშვიდმა, მუხლმგარამა ცხოველებმა, სანამ ალაზნის ხიდზე შემოდგებოდნენ. უკან მოიტოვეს ქიურდამირი, გეოგრაფია, აღდამი, ევლაზი, ნუხა, კახი და ახლა მათ წინ აზიდულან ალაზნის ველზე ჩამოფენილი კაკასიონის ფერდობები. ცადაწვდილი მწვერვალები ჯანღის საბურველს იხვევენ თავზე. სულ დაბლა ეშვება ნისლი. ზოგჯერ ნისლს ფეხი დაუცურდება ფერდობზე და მაშინ ჯანღის ჭრილში გამოკრთებიან იალაღები. მწყემსი ხარ-

ბად ამტერდება ზურმუნტოვან ხაღებს, როდის მიალწვევენ იქი წენ კიდევ რა მძიმე გზა უდევთ! მალე მოელონ, რა მზას შეუდგება, ამ მაისის შუა რიცხვებშიც ღრმა თოვლით დაფარულ ნაქერალას ან კებანის გადასასვლელს გადალახავს, რომ ლალად გაშალოს მთათუშეთის საზაფხულო საძოვრებზე.

თუშური ცხვარი არათუ აცმევდა და აბურავდა მეცხვარეს, ის კიდევაც ჰკვებავდა მას: დომა ვემრიელი ცხერის ზორცის კარგი დანართი იყო. უდუმო ცხვარი თვალში არ მოსდიოდათ ჩვენებურ მეცხვარეებს. რაღაც მახინჯ, არაბუნებრივ პირუტყვად ეჩვენებოდათ. „ძალიან ვით კული აქვს“, ამბობდნენ ისინი მერინოსზე და ოცნებობდნენ, რომ მათი საყვარელი თუშური ცხვარი, უცებ რაღაც მანქანებით გარდაქმნილიყო ნაზმატყლიან ცხვარად, ისე რომ თავისი კარგი თვისებები არ დაჰკარგოდა.

მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩებოდა. ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას რომ ასე ფართოდ არ დაესვა ამოცანა ბუნების ძალთა გარდაქმნისა ადამიანთა საყვთილდღეოდ.

ასკანია-ნოვოში, ამ გასაოცარ ნაკრძალში, სადაც ბიზონები და ანტილოპები თავისუფლად ძოვენ სტეპებში, სადაც ველური იხვები და ბატები თქვენს თვალწინ უშიშრად ეშვებიან საგუბარზე, სადაც ხოხბები და კაკები თავისუფლად დაგოგავენ და ადამიანის ხელით დაყრილ საყენეს კენკავენ, თქვენ დაინახავთ ცხოველთა სამყაროს საინტერესო წარმომადგენელს. შორიდან მომავალს რომ უცქიროთ, მოგეჩვენებათ, თითქოს თავის ბულული მოდის თქვენსკენო. მოახლოვებისას თქვენ თანდათანობით არჩევთ ამ ბულულში მოციციენ თვალებს და ოთხ, რბილი მატყლით სქლად შებუსულ ფეხს.

ეს ასკანია-ნოვას ჯიშის ცხვარია. იგი



აქ, ცხოველთა აკლიმიტიზაციის ინსტიტუტში, გამოიყვანა აკადემიკოსმა მ. ფ. ივანოვმა, ეს ყველაზე მსხვილი და უზემატყლიანი მერინოსის ჯიშის ცხვარი მთელს მსოფლიოში.

ასკანია-ნოვას ცხვარს ტოლს არ დაუდებს სტაერობოლის ნახმატყლიანი ცხვარი, რომელიც საბჭოთა მეურნეობა „სოვეტსკოე რუნოშია“ გამოყვანილი.

და მართლაც, ოქროს საწმისს ატარებენ ეს თავით ფეხაძე ნაზი. კეთილშობილი მატყლით შებუსუსული ცხოველები. ექვსი ძვარფასი საკოსტუმე მოიქსოვება ამ ჯიშის რეკორდისტების მატყლისაგან.

ასკანია-ნოვას ჯიშის შემდეგ გამოყვანილი იქნა კავკასიური და ყაზახური ჯიშის ნახმატყლიანი ცხვარი. ამას მოჰყვა ციმბირის მკაცრ ჰავასთან მშვენივრად შეგუებული ალტაის ნახმატყლიანი ჯიშის შექმნა, კუბიშევის, გორკის, აზერბაიჯანის მერინოსის გამოყვანა.

საბჭოთა სწავლულები — ზოოტექნიკოსები, რომლებიც ახალი ჯიშის შექმნაზე მუშაობენ, იმ დებულებიდან გამომდინარეობენ, რომ არ შეიძლება არსებობდეს ცხოველთა ისეთი ჯიშები, რომლებიც ერთნაირად გამოსადეგი იქნება ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხისათვის. საბჭოთა კავშირი ერთობ დიდი და მრავალფეროვანია თავისი ბუნების მიხედვით, — წერდა აკადემიკოსი მ. ფ. ივანოვი, — ამიტომ საბჭოთა კავშირში არ შეიძლება განვისაზღვროთ ერთი უნივერსალური ჯიშით, რომელიც გამოსადეგი იქნება ყველა რაიონისათვის. გარკვეული კლიმატის, ნიადაგის, კვების და მეურნეობის პირობების მქონე თვითეული რაიონისათვის უნდა შეიქმნას თავისი ჯიში, რაც შეიძლება მეტად შეგუებული და მეტად ზელსაყრელი ჩვენი პირობებისათვის.

საბჭოთა მეცნიერების მიერ შექმნილი ახალი ჯიშები შესანიშნავადაა შე-

გუებული იმ მხარეების, ^{სადაც} და რესპუბლიკების პირობებთან ^{და} ისინი იქნენ გამოყვანილნი ^{და} ამ მხრივ იყო მიმართული ქართველი

ზოოტექნიკოსების მუშაობაც. ჯერ კიდევ 1932 წელს მეცხვარეობას ყოფილ ზონალურ სადგურში წარმოებდა მუშაობა ადგილობრივ პირობებთან შეგუებულ ნახევრად ნახმატყლიანი ცხვრის ჯიშის გამოსაყვანად. 1948 წელს სასწავლო-საქდელ მეურნეობა „უღაბნოში“ არჩილ ნატროშვილმა გამოიყვანა ნახევრად ნახმატყლიანი ცხვარი. ეს ახალი, ევრაფროდებული ქართული ჯიშის, ცხვარი მაგარი აგებულებისაა, ღუმაც აქვს და მომთაბარეობის მკაცრ პირობებთან მშვენივრად შეგუებული.

ამ ჯიშის შექმნა დიდი მიღწევა იყო. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ წყვეტდა ქართული ნახმატყლიანი ცხვრის შექმნის პრობლემას.

ამ საკითხის გადაჭრაზე დიდხანს თავდადებულად მუშაობდა ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ივანე ბაძოშვილის ხელმძღვანელობით. 1948 წელში ეს ამოცანაც წარმატებით იქნა გადაწყვეტილი. ელდარში გამოიყვანეს ახალი ჯიშის ცხვარი, მაგრამ არა ნახევრად ნახმატყლიანი, არამედ ნახმატყლიანი. ახალი ჯიშის ცხვარს ღუმაც აქვს და მშვენივრად არის შეგუებული მომთაბარეობის პირობებთან.

მაგრამ ცხვრის ჯიშის გამოყვანა მხოლოდ საქმის დასაწყისია. ახალი ჯიშის გამოყვანები არ უნდა მიეცნენ თვითმყაყოფილებას. საჭიროა გულმოდგინე მუშაობა ახალი ჯიშის სრულსაყოფად. იგი ფართოდ უნდა დაინერგოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ნოვატორების მიერ სახელმწიფო ჯიშთსაწინებში დაწყებულ მუშაობას განაგრძობენ სოციალისტური მეცხოველეობის მოწინავეები.

ეს მუშაობა ფართოდ გაიშალა მღერის კოლმეტურნობამდე, სადაც განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები არსებობს სასელექციო მუშაობისათვის. კოლმეტურნობას იალაოიბი დიდ კავკასიონზე აქვს. ზამთრისათვის კი ჩრდილოეთკავკასიის საძოვრებზე — „ვაი-ფლესა და ბაიგანზე“ მიერეკებიან ცხვარს. აქ, მდიდარ ზამთრის საძოვრებზე, გალაღებული ცხვარი მეტსა და უეცოესი ხარისხის მატყლს იძლევა. ვიდრე იმავე თუშური ჯიშის ცხვარი საქართველოს სხვა რაიონში. ჯერ კიდევ 1938 წელს მიჰყვეს ხელი მთიელმა კოლმეტურნებმა ცხვრის ჯიშის გაუმჯობესებას. ადგილობრივი თუშური ჯიშის ცხვართან შესაჯვარებლად ჩამოიყვანეს ნახმატყლიანი ყოჩები. კოლმეტურნობაში მოეწყო ხელოვნური დათვისლის პუნქტი. გამოიზარდნენ თავიანთი საქმისათვის თავდადებული სელექციონერი მუშაკების კადრები.

წლებით იზრდება ნაყოფების სულადობა. უმჯობესდება საკოლმეტურნო ფარების ჯიშობრივი შემადგენლობა. იმმა შედეგზეა ეს მუშაობა, მაგრამ 1945 წელს ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ამ დროიდან მღერის კოლმეტურნობა მის ბაზად გადაიქცა. კოლმეტურნობის საზაფხულო და საზამთრო იალაღებზე, განერბვის ჩატარებისას, დოლის, ცხვრის პარსვის დროს, თქვენ ზმირად ნახაუთ ინსტიტუტის თანამშრომლებს — არჩილ ნატროშვილს, გიორგი რომანუკინს და სხვებს. მეცნიერი მუშაკები და სოციალისტური მეცხოველეობის მოწინავეები ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობენ ცხვრის ახალი ჯიშის „მღერთურას“ გამოსაყვანად. „მღერთურა“ ტანად უფრო მსხვილია, ვიდრე ადგილობრივი თუშური ჯიშის ცხვარი. ის მეტი რაოდენობის ნახევრად ნაზ მატყლს იძლევა და მომთაბარეობის პირობებთან მშვენივრად არის შეგუებული. მღერის

კოლმეტურნობის ფარებში ცოტა როდია ახალი ჯიშის ცხვრის შემოქმედებითს პროცესში. მთიელი მეცხვარეები პატრიარქალური ყოფის გადმონაშთებს. მტკიცედ მიყვებიან მშობლიური პარტიის მიერ დასახულ ახალი, ნათელი ცხოვრების მშენებლობის გზას. ამა შეიარეთ კოლმეტურნობის კანტორაში. რა გატაცებით ლაპარაკობენ აქ წმიდა სისხლის მწარმოებლებზე, პირველი და მეორე თაობის ნაჯვარებზე, ნახი ზეეული მატყლის მტკაულზე, ყვაილივით რომ ღუის და თამაშობს.

დიდ სარგებლობას აძლევს კოლმეტურნობას სახელმწიფოსთვის ჩაბარებული მატყლის ხარისხის გაუმჯობესება. სასელექციო მუშაობა თანდათანობით უმჯობესდება და შედეგებიც გაცილებით უფრო ხელშესახები იქნებოდა, რომ ის სათანადო პირობებში მიმდინარეობდეს. მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. ამ მხრივ კიდევ ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი.

ასე საოცრად შეიცვალა საუკუნეების მანძილზე თითქოს ერთ წერტილზე გაყინული ყოფაცხოვრება. საკოლმეტურნო სოფლის კულტურული ცხოვრება დღეს და გადმოდღეს. მღერთაში საკუთარი რადიოყვანძი, კლუბი, ბიბლიოთეკა, საშუალო სკოლა და ინტერნატი აქვთ. ბევრი მღერთელი ახალგაზრდა სწავლობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მაგრამ შეიარეთ არხაჯებზე, რომლებიც იქვე, ლომისის მთის ფერდობებზეა გამართული. ისინი ისე ახლოსაა სოფლიდან, რომ იქიდან წყნარ ღამეში მეცხვარის ძაღლების ყეფა მოგესმით. და ამ „ყურის ძირში“ მდებარე არხაჯებზე თქვენ ვერ აღმოაჩენთ ადამიანის საცხოვრებლის სხვა ნიშანწყალს, გარდა პაწაწკინტელა ქობისა, რომელშიც ძლივს ეტევა ფქვილის მარაგი, ჯამ-ჭურჭელი, მეცხვარეების გამოსაცვლელი ტანსაცმელი და თებრეული. დღისითაც ხომ დიდი



ჯაფა აღგება მწყემსს. დილიდან საღამომდე ძოვა-ძოვით მიმავალ ფარას რომ დასდევს, ღამით კი, დარია თუ ავდარია, მას ღია ცის ქვეშ სძინავს. უფრო სწორედ რომ ვთქვათ. იგი დაყრილი ცხვრის გვერდით მიუძღვრული თვლემს და ტანი ტანს მიკრული, თითქოს ერთ სხეულად შეკრული ფარის სითბოთი თბება.

სამეცხიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა გიორგი რომაშვიტკანმა, რომელიც სასელექციო მუშაობას ხელმძღვანელობს მღეთის კოლმეურნეობაში, მიახლო ამას წინათ, თუ რა სიმწრის ღამე გაატარა ერთხელ ამ არხაჯებზე. სექტემბრის მიწურული იყო, მაგრამ მშვენიერი მზიანი ამინდი იდგა. ღამით კი ქარიშხალი ამოვარდა. ჯერ წვიმამ წამოუშინა, მერე კი თოვლის მსხვილი ფანტელები წამოვიდა.

გიორგის მეცხვარეებთან ერთად ჩაედინა ღია ცის ქვეშ. დილით რომ გამოიღვიძა, ნახა, რომ ნაბადზე ერთი ციდა თოვლი იდო.

მისმა ნაუბარმა კიდევ უფრო მძაფრად მაგრძნობინა, თუ ჯერ კიდევ რა დიდი ზღვარია მთიელის შინაურ, ოჯახურ ყოფასა და იმ გარემოს შორის, რომელშიც მას უხდება მუშაობა. შინ ნიკელით მოალული საწოლები და მუხის ნაზარატები ბუფეტები, წიგნის კარადა და ძვირფასი რადიომიმღები, იალალებზე კი მას სხვა საშუალება არა აქვს გააშროს დასველებული ტანისამოსი, თუ არა საკუთარი სხეულის სითბოთი. ცხადია, ეს ქმნის დიდ სიძნელეს სასელექციო მუშაობისათვისაც. სადა აქვს აქ მეცხვარეს იმის შესაძლებლობა, რომ აღრიცხოს ცალკეული პირუტყვის პროდუქტიულობა, წველადობა, მატყლის ნაპარსი, თუკი მას იმის საშუალება არა აქვს, რომ კულტურულად მოისვენოს. და განა ძნელია კოლმეურნეობისათვის იალალებზე ბინის აგება და მოწყობა ისე, რომ მეცხვარეებს შეეძლოთ წვიმაში დასველებული ტანისამოსის გამშრობა. გათბობა, პურის ქაშა,

გაზეთის და წიგნის წაკითხვა, შორეულობით დასვენება, დაძინებაც კი.

ქვა აქ თავსაყარია, უფრო გარემოთა მხარეებს ამშენებ. მუშაობისათვის კულტურული პირობები რომ შექმნან ამისათვის სახსრები გააჩნიათ. კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი წელს ორ მილიონს გადააქარბებს, ბევრი მოწინავე მეცხვარე შრომადღებზე თანამეურნეობასთან მანეთს მიიღებს. ბევრი რამ არის გასაკეთებელი შამთრის საძოვრებზეც. მღეთის კოლმეურნეობაში უჩივიან, რომ მეცხვარეობაში მუშახელი აკლიათ. ხშირად ათასიან ფარაში ორი-სამი მწყემსი მუშაობს. როგორ უნდა გასწვდნენ ამოდენა სამუშაოს. მაგრამ საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე, ასეულ კოლმეურნეობებზე ცხვრის გადარეგისას, მწყემსების ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია წაუახლისოთ ახალგაზრდობა მეცხვარეობაში სამუშაოდ.

კარგი იქნებოდა, რომ მღეთის კოლმეურნეობას გადმოეღო სხვა რაიონების გამოცდილება. ბევრ კარგად მოწყობილ ბინებს ნახვით თრიალეთის საზაფხულო საძოვრებზე, სადაც წითელწყაროს კოლმეურნეობას დაუდის ცხვარი, ჩრდილოეთ კავკასიის და უკრაინის კოლმეურნეობები კი იმასაც აბრუნებენ, რომ მგზავრობის დროსაც შეუქმნან მწყემსებს მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობები.

შარშან სახელგანთქმულ გენჩიხესის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ვიყავი. ეს კოლმეურნეობა მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასთან არის შეჯობებული. მეცხვარეობა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. კოლმეურნეობას თერთმეტი ათასი სული ნაზმაცყოლიანი ასკანიის ჯიშის ცხვარი ჰყავს. ჩვენ წამოგვიყვანეს ფარის სადგომზე სტეპ-

ში. მეცხვარის სამეზობრო ჟურნალი — თელავზე შემდგარი პატარა სუფთა სახლია. აქ არის საწოლი ტახტებიც და წიგნების და ჟურნალების დასაწყობი თაროებიც, თანხები ჯამ-პურქელისათვის და ყუთი ტანისამოსისა და საცვლებისათვის. მეცხვარის ურემს ყოველთვის თან სდევს მზარეული ქალი. აქ ითვალისწინებენ ჩვენი ადამიანების გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს.

ადგილობრივი ცხვრის ჯიშის გაუმჯობესებაზე ენერგიული მუშაობა წარმოებს არა მარტო მღეთაში, არამედ საქართველოს ბევრ სხვა მეცხვარეობის კოლმეურნეობაში. სასცელექციო მუშაობა მიმდინარეობს წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობაში: არხილოს კალოში, ზემო ქედში, ქვემო ქედში, არბოშიკში, ზემო მაჩხაანში, ქვემო მაჩხაანში, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში, დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხსა და ფასანაურში, თელავისა და ლენინგორის ბევრ კოლმეურნეობაში.

ასე, მეცნიერების მუშაობებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით, ახორციელებენ ქართველი მეცხვარეები თავის სანუგეარ ოცნებას ნაზმატყლიანი ცხვრის მოშენების საქმეში.

უკვე 1951 წლის ოქტომბერში ცხვრის სულადობის თითქმის ნახევარი ჩვენს რესპუბლიკაში ნაჯგარი იყო. თითქმის ერთ მეოთხედს ჰქონდა ნაზა და ნახევრად ნაზი მატყლი, რომლისგანაც მალალზარისხოვანი შალეული მზადდება.

შედით თბილისის კამეოლ-მაღლის ფაბრიკის ფართო, ნათელ საამქროებში. „კარლო საჩხე, მანქანებზე მოძრაობს უკვე გარეცხილი და გამშრალი მატყლი. მოჯადოებულებით შესდგები ვეებერთელა მბრუნავ დოლურების წინაშე, ცდილობ და ვერაფრით ვერ დაგიღწევია თავი ილღუზისათვის, რომ ამ დოლურებს გარს ეხვევა არა მოთეთ-

რო ნისლი (რომელსაც ვაქა-ფშაველამ ასე პოეტურად უწოდა „მთებზე ფიქარი“) არამედ ბოჭკო-ბუნებრივი ფიქალი, ბუმბულებით ნაზი და რბილი მატყლი.

ეს „ნისლი“ ერთი დოლურიდან მეორე დოლურზე გადადის, და შეუჩვეველ თვალს უძნელდება იმ წუთის დაქერა, როცა ეს დაშლილი ბოჭკოები კვლავ ერთდებიან. როგორ ხდება, რომ ეს მოთეთრო ნისლი, რომელიც თითქმის ეს-ესაა ჰაერში უნდა გაქრეს, უცებ უკანასკნო დოლურიდან ჩამოდის ლეჩაქივით მსუბუქ, მაგრამ მაინც ხელსახებ „ფლიორად“, სადაც ბოჭკოები კვლავ ერთმანეთს შეკიდებულან. გაზაფხულის ყვავილობასავით მსუბუქი, ჰაეროვანი და გამჭვირვალე, „ფლიორა“ ბაფთის სახედ ერთდება და თქვენ აქ უკვე არა მარტო შეხებით, არამედ თვალითაც გრძნობთ, თუ რაოდენ რბილი, ნაზი და ელასტიურია საფეიქრო წარმოების ეს ძვირფასი ნედლეული.

ამის შემდეგ იგი იმდენ მანქანაში დაივლის, რომ ნართი ერთთავად დაეღებტრობებული გამოდის. საქირო ხდება, რომ ის გვერდზე მიდონ, მოასვენონ, რათა „გამოწვდეს“, ელექტროობისაგან დაიცალოს. მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ის საქსოვ საამქროში. შემდეგ მას „ათეთრებენ“, ქიმიკალებით ჭყებენ, ღებავენ, აშრობენ, მაგრამ ეს პირველადი სიღბო, სინაზე და ელასტიურობა ბოლომდე მიჰყვება და აი, მზა პროდუქციის საამქროდან გამოდის „სერჩი“, „მერინოსი“, „კოლხიდა“, „რუსთავი“ და ფაბრიკის სხვა ნახელავი. მათ დასამზადებლად იყენებენ ნაზ და ნახევრად ნაზ მატყლს; დამზადებულს მღეთში, ჩოხში, ალვანში არბოშიკში და მრავალ სხვა კოლმეურნეობაში, სადაც მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ცხვრის ჯიშის გასაუმჯობესებლად. ჩვენი მეცხვარეები უ-



ვე ატარებენ ამ ძვირფასი ქსოვილები-საყან დაშადებულ ტანისამოსს, მაგრამ თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის ნახელავ ქსოვილებზე „კოლხიდაზე“, „რუსთავეზე“, „მერინოსზე“ დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო საქართველოში. ამ ქსოვილებისაგან შეკერილ ტანსაცმელს სიამოვნებით ატარებენ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და მინსკში. ქსოვილმა „რუსთავემა“ მუდმუქი მრეწველობის პრემია მიიღო. ფრთა შეისხა ქართველი მეცხვარეების მიერ დიდი ხნის ნალოლიავებ-

მა ოცნებამ. ახლა აღარ უკმაყოფილებენ, „მწყემს ვინა ჰყავს ჭიმბეჯან, მწყეფარი და ჩობანიო“. წინათ არავის აინტერესებდა მწყემსის ბედ-იღბალი. მას თითქმის უკანასკნელ კაცად თვლიდნენ. ახლა მეცხვარე ჩვენი საზოგადოების მოწინავე ადამიანია და მის გულს კანონიერი სიამაყით ავსებს შეგნება, რომ ის აქტიური მშენებელია ჩვენი ფართოდ მდინარე, ბობოქარი, მულმივ წინსვლასა და განვითარებაში მყოფი ცხოვრებისა.

დვან ასათიანი

ქართულ-უკრაინული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან



ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურული ურთიერთობა ფართო გამოვლინებას პოულობს მე-19 საუკუნის მანძილზე. უკრაინელი ხალხის მწერლობა, უკრაინული მხატვრული სიტყვის საუკეთესო ნიმუშები, უკრაინის ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელები თანდათანობით ნაცნობი და ახლობელი ხდებიან მოწინავე ქართველი საზოგადოებისათვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უკრაინის დიდი კომპარის ტარას შევჩენკოს სახელის პოპულარობა საქართველოში. გასული საუკუნის მე-60 წლების ქართული ლიტერატურის მოწინავე წარმომადგენლები დიდი ინტერესით კითხულობდნენ, უაღრესად აფასებდნენ შევჩენკოს თხზულებებს; შევჩენკოს ლექსებისა და პოემების საშუალებით ეცნობოდნენ მოძმე უკრაინელი ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას, მის ქირსა და ლხინს, ფიქრსა და ოცნებას.

ისტორიული ბედის ერთგვარობა, ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ სულიერად ანათესავენდნენ ამ ორი მოძმე ხალხსა მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

შევჩენკოს სახელის ერთ-ერთ ადრინდელ ხსენებას ქართულ მასალებში ჩვენ ვპოულობთ ქართველი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის (1814-1887) კერძო მიმოწერაში, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ

მუზეუმშია დაცული. პეტერბურგიდან თბილისში გამოგზავნილ წერილში (1860 წლის 13 ნოემბრის თარიღით) დიმიტრი ყიფიანი თავის მეუღლეს უზიარებს იმ შთაბეჭდილებებს, რაც მან მიიღო პეტერბურგში გამართულ ერთ სალიტერატურო საღამოზე. დ. ყიფიანი წერს: „სამი დღის წინათ (ე. ი. 10 ნოემბერს. ლ. ა.) დავესწარი ლიტერატორთა საჯარო კითხვას. კითხულობდნენ: ბენედიქტოვი — საუცხოოდ; ჩვენი პოლონსკი, — აჟ ახლა ის შესანიშნავი პოეტია, — კარგად; მაიკოვი — საუცხოოდ; დოსტოევსკი, პისემსკი — საშუალოდ, და შევჩენკო, მალაროსიელი პოეტი და მხატვარი, — დიდებულად. დარბაზი გაქედილი იყო“.

ეს სტრიქონები საუკეთესოდ ახასიათებენ გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეთა დიდ ინტერესს უკრაინელი პოეტის პიროვნებასა და შემოქმედებისადმი. ქართველი ლიტერატორი დ. ყიფიანი, როგორც ჩანს, ბევრ რამეს ნახულობდა თავისი გულისათვის საერთოს შევჩენკოს შემოქმედებაში, რომელიც მიმართული იყო მეფის დესპოტიის წინააღმდეგ, მცირე ერების მჩაგვრელი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

შევჩენკოს შესახებ მოგონებებიდან ქართულ ლიტერატურაში ყველაზე საინტერესოა დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის მოგონებანი. აკაკი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში

შეხვდა და გაეცნო უკრაინის დიდ მგოსანს.

ეს შეხვედრა მოხდა პეტერბურგში 1860 წელს. ტარას შევჩენკო ამ დროს სულ ორი წლის განთავისუფლებული იყო ნოვოპეტროვსკის ცაზე-სიმაგრიდან, სადაც იგი იძულებით ეწეოდა ჯარისკაცის მძიმე მოვალეობას. განთავისუფლების შემდეგ მან მხოლოდ ერთხელ მოასწრო თავისი საყვარელი უკრაინის ნახვა, მაგრამ იქიდანაც იქნა გამოდევნილი ქანდარმების მიერ და აკრძალული ჰქონდა უკან დაბრუნება. ცხოვრობდა მუდმივად პეტერბურგში, სადაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩერნიშევსკისთან და საერთოდ ჟურნალ „სოვრემენიკის“ ირგვლივ შემოკრებილ რევოლუციურ-დემოკრატიული მოღვაწეების წრესთან. ტ. შევჩენკო ამ დროს ხშირი სტუმარი იყო აგრეთვე პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ნ. კოსტომაროვისა, რომლის ოჯახში იგი პირველად გაეცნო ნ. ჩერნიშევსკის.

სტუდენტი აკაკი ამ ხანებში უკვე ახლოს იცნობდა თავის პროფესორ ნ. კოსტომაროვს და დაიარებოდა ხოლმე მასთან ბინაზე. სწორედ აქ მოხდა მისი შეხვედრაც უკრაინის დიდ კობზართან, შეხვედრა, რომელმაც წარუშლელი კვალი დასტოვა მის გულში, დიდი გავლენა იქონია მისი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების საბოლოო ჩამოყალიბებაზე.

ამ შეხვედრას აკაკიმ უძღვნა თავისი მოგონება, გამოქვეყნებული 1911 წელს, ტარას შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავზე (გაზ. „ზაკავკაზიე“, 1911 წ. 26 თებერვ. № 45).

ახალგაზრდა ქართველი პოეტის გაცნობა და საუბარი ტარას შევჩენკოსთან უაღრესად დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურულ ურთიერთობაში. აკაკის მოგონებები წარმოდგენას გვაძლევენ

აგრეთვე იმ დიდ, გულწრფელ და დრმა ინტერესზე, რომელსაც შევჩენკო იჩენდა თავის მხრივ ქართველ ხალხის ისტორიისა და თანამედროვე ცხოვრებისადმი. ჩვენი საუბრის დროს, — წერს აკაკი შევჩენკოს შესახებ, — „ის უფრო ახლოს მომიჯდა, ლაპარაკის ხალისი მოემატა და დამიწყო გამოკითხვა ბევრი რამის შესახებ.

— რა ბევრი რამა აქვს საერთო ამ ხალხს ჩვენს ხალხთან! — შენიშნა მან. შევჩენკომ ამოიოხრა და დაიწყო ლაპარაკი უკრაინაზე... ლაპარაკობდა სვედიანის კილოთი, მაგრამ გამოცოცხლებული.

ჩვენი საუბარი გაგრძელდა ღამის სამ საათამდე. ჩვენ გაეშორდით, როგორც მეგობრები, და პირობა დაედევით, რომ უფრო ხშირად შეხვედროდით ერთმანეთს, მაგრამ ჩემს ბედნიერებას აღარ ეღირსა განხორციელება: მე ტიფით გავხდი ავად და სამ თვეს ვიწექი ლოგინში... მას შემდეგ მე აღარ მომცემია შემთხვევა მასთან შეხვედრისა. მხოლოდ ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამრჩა ნათელ მოგონებად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. ვაღიარებ, რომ მე პირველად მისი სიტყვებიდან გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული. ჩემი ორმოცდაათი წლის იუბილეს დროს მე მეწეიენ სტუმრები უკრაინიდან და საქრედიდ მომიძღვნეს ტარასის პორტრეტი. მე ამან ძალიან დიდი სიხარული და სიამოვნება მომანიჭა“.

ასეთია აკაკის მოგონება თავის პირველ შეხვედრაზე ტ. შევჩენკოსთან. ცხადია, მეფის სასტიკი ცენზურის პირობებში აკაკის არ შეეძლო მთლიანად გადმოეცა საუბრის შინაარსი. თავისთავად გასაკებია, რომ შევჩენკოსა და ახალგაზრდა აკაკის საუბრის მთავარი ნაწილი შეეხებოდა იმ ხალხების სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას, რომლებსაც, ტ. შევჩენკოს სიტყ-

ვით, „ბევრი რამა ჰქონდა საერთო“, ე. ი. უკრაინასა და საქართველოს.

აკაკი ამ დროს, როგორც ჩანს, საუცხოოდ იცნობდა უკრაინის ხალხის სახელოვანი მგოსნის შემოქმედებას. აკაკის პირად ბიბლიოთეკაში მის სიკვდილამდე დაცული იყო შევჩენკოს ლექსთა კრებულის „კობზარის“ ტომი, გამოცემული 1860 წელს. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე აკაკი არ იშორებდა ამ წიგნს და ინახავდა მას სხვა კლასიკოსების წიგნებთან ერთად. „კობზარის“ ავტორში აკაკი ხედავდა დიდ პოეტს, რომელიც შთაგონებას აღეცხდა თავის ხალხს სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისათვის შეუპოვარ ბრძოლაში. თავისი ღრმა პატივისცემა შევჩენკოსადმი აკაკიმ შემდეგ არა ერთხელ გამოხატა საჯაროდ, — მიუხედავად მეფის მთავრობის აკრძალვისა, — და ამით დიდად შეუწყო ხელი ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის კულტურული თანამშრომლობის გაღვივებას, მათ სულიერ დაახლოვებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შევჩენკოს სახელი უკვე 50-60-იან წლებში საკმაოდ ცნობილი იყო ქართველ ახალგაზრდობაში. შევჩენკოს სახელის პოპულარობაზე ლაპარაკობს ნიკო ნიკოლაძის შესანიშნავი „მოგონებანი სამოციან წლებზე“.

1861 წლის გაზაფხულზე რუსეთისაკენ მიმავალი სტუდენტი ნიკოლაძე გზაში შეეყარა შევჩენკოს ცხედარს, რომელსაც სამშობლოში მოასვენებდნენ დასაკრძალავად. ამ დროს ხალხის უფართოესი მასები, გონებრივ სიბნელეში მყოფნი, ჯერ კიდევ არ იცნობდნენ თავის დიდ მგოსანს, რომელმაც ხალხის განთავისუფლების საქმეს შესწირა მთელი თავისი შემოქმედება და თავისი სიცოცხლეც. ნ. ნიკოლაძე გულისტკივილით შენიშნავს: „მე უზომოდ გამაყვიფრა იმ გარემოებაში, რომ როდესაც ეკატერინოსლავსა

და ხარკოვს შუა, გზაზე ჩვენ შეგვხვდა ტარას შევჩენკოს კუბო, არც ერთს იამშნიცს, არც სტაროსტას და არც ხედამხედველს, ვისთანაც არ მოგვიხდა ლაპარაკი, წარმოდგენა არ ჰქონდათ განსვენებული პოეტის შესახებ“ (ნ. ნიკოლაძე, ჩრეული ნაწერები, 1931 წ. ტ. I, გვ. 91).

ქართველი ფართო მკითხველი მასებისათვის შევჩენკოს ლექსები და პოემები ცნობილი გახდა გასული საუკუნის 80-იან წლებში. შევჩენკოს პირველი მთარგმნელი იყო ცნობილი მწერალი — ბელეტრისტი ნიკო ლომოური (1853-1915); თავისი ქაბუკობის წლები ნ. ლომოურმა უკრაინაში გაატარა. ის სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში. აქ, უკრაინული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში, ახალგაზრდა ნ. ლომოური ახლოს გაეცნო უკრაინულ მწერლობასა და საზოგადოებრივ მოძრაობას, უკრაინის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს. უკრაინული კულტურისა და ლიტერატურისადმი აღძრული ძლიერი ინტერესის შედეგს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ნ. ლომოური ღრმად ჩასწვდა უკრაინული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. 1877 წელს კიევიში მან თარგმანა მშობლიურ ენაზე შევჩენკოს ცნობილი პოემა „მუშა ქალი“ („ნაიმიჩკა“). ახალგაზრდა ნ. ლომოურის იდეურ-შემოქმედებითი ინტერესების გასათვალისწინებლად საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში, შევჩენკოს ნაწარმოებებთან ერთად ნ. ლომოური თარგმნიდა ნეკრასოვისა და დობროლუბოვის ნაწარმოებებსაც.

შევჩენკოს „მუშა ქალის“ თარგმანი 1881 წელს გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ თავის ჟურნალ „ივერიაში“ (№ 5). ნ. ლომოურის თარგმანი თავისი პოეტური ღირსებით ამჟამად უკვე აღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მკითხველის განვითარებულ პოეტურ

ლობას დიდი ხნის ისტორია არა აქვს, „მაინც უკვე შეუძლიან დაასახელოს გამოჩენილი და საყურადღებო პოეტური ქმნილებანი და სამეცნიერო გამოკვლევანი“, შემდეგ, მიმოიხილა და რა პ. გრაბოვსკის თარგმანებს, წერილის დასასრულს, ავტორი უსურვებდა უკრაინულ ლიტერატურას აღორძინებასა და ჩვენის მწერლობის უკეთ გაცნობას“.

ქართული ლიტერატურის პოპულარიზებას უკრაინელ საზოგადოებაში ხელს უწყობდა ქართველი მწერლების ხშირი მოგზაურობა უკრაინის ქალაქებში. უკრაინაში სხვადასხვა დროს უმგზავრიათ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი, გიორგი წერეთელს და სხვა ქართველ მწერლებს. ჯერჯერობით კიდევ არ არის შესწავლილი ის ურთიერთობანი და ნაცნობობანი, რასაც ამ მოგზაურობის დროს ამყარებდნენ. ქართველი მწერლები უკრაინული საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლებთან. ამ განხრით ინტერესს არ არის მოკლებული ერთი ფაქტი. 1895 წელს ხარკოვის თეატრში, საოპერო სპექტაკლზე, რომელსაც ესწრებოდა აკაკი წერეთელი, ანტრაქტის დროს დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ოვაციება მოუწყო ცნობილ ქართველ პოეტს და ამით გამოხატა უკრაინელი ხალხის ძმური განწყობილება ქართველი ხალხისადმი.

უკრაინულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან ღირსშესანიშნავე ფაქტს წარმოადგენს მოწინავე უკრაინელი მწერლების გამოხმაურება ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღზე 1898 წელს. როგორც ცნობილია, მეფის ხელისუფლებამ სასტიკად აკრძალა ამ საიუბილეო თარიღის საჯაროდ აღნიშვნა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამბავი ამ საიუბილეო თარიღის შესრულების შესახებ ცნობილი გამხდარა უკრაინული კულტურის მოწინავე მოღვაწეებისათვის. ილია ჭავჭა-

ვაძის სახელობის მეზუუმში, ბ. ყვარელში, დაკულია თავისი მისწრაფებით მნიშვნელობით საყურადღებო დოკუმენტი, ხელმოწერილი ცნობილი უკრაინელი დემოკრატი-მწერლის მიხეილ კოციუბინსკისა და რამდენიმე სხვა უკრაინელი მოღვაწის მიერ. ეს არის ჩერნიგოვიდან ილია ჭავჭავაძისათვის გამოგზავნილი მილოცვა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის-ათვის გამო. მოგვყავს ამ შესანიშნავი დოკუმენტის უკრაინული ტექსტის თარგმანი: „ხალხს, რომელმაც მოიპოვა თავისუფლება და ნათელი გზა უკეთესი ცხოვრებისაკენ, დაბლად თავს ეუკრაეთ; ზალხმა, დაჩაგრულმა, მაგრამ თავისუფლების დევიზით აღჭურვილმა, მოხიზლა ჩვენი გული.“

საქართველო, ეს გულწარმტაცი მხარე, რომელსაც შეეძლო ამ ქვეყნიური სამოთხე ყოფალიყო, ჩვენს უკრაინასთან ერთად იზიარებს მწარე ზვედრს: ორივეს ერთნაირად ავიწროვებს ერთი და იგივე უცხო რეჟიმი, ერთნაირი ჩაგვრა ხალხის ცხოველი გულისა.

ჩვენი პოეტის შეეჩენეკოა ნათელმხილველი სული, თავს დასტრიალებდა რა მომხიზლავ საქართველოს, ამგვარად გვისახავდა ჩვენს ქვეყანას პოემაში „კავკასია“:

მთების ღმერთები, შებურვილი ნისლით,
მწუხარებით საყუ და შორწყული სისხლით.
ქველთაგანვე პრომეთოსს
ქაწივი სძიმენის.
გულს უკორტნის, მოთჭრიალენს
ნაკადული სისხლის.
წაფება და ვერ ამრობს
სისხლის ცხოველ წყაროს,
გული ისევ მოცოცხდება,
ქველთაგანვე ხარობს.

ამგვარად, დიად გულს პრომეთოსისას, რომელმაც კაცობრიობისათვის მოიპოვა ლეთაებრივი ნაპერწყალი, არ ეშინია მხეცური ძალის შურისძიებისა, იგი ბოლომდე არ არის დამსხვრეული, იგი ცოცხლობს პოეტ-პატრიოტთა



მკერდში. რომლებიც იბრძვიან ხალხის ბედნიერებისათვის და რომელთა რიცხვსაც ეკუთვნით თქვენც, დიდად პატივცემულო მოღვაწე!

როგორც არ უნდა ეცადოს მტერი, იგი ვერ შეებოკავს ცხოველმყოფელ ხალხს, ვერც ცხოველ სიტყვას. ამის დადასტურებას წარმოადგენს თქვენი ლიტერატურაც, რომელიც, რაც დრო ეკადის, სულ უფრო ვითარდება და მშვენივდება. და ამ ლიტერატურაში, რომელაც ეკუთვნის რიცხვით მცირე, მაგრამ ხულით მედგარ ხალხს, თქვენს სახელს საპატიო ადგილი უკავია.

თქვენი დიდება უკვე კარგა ხანია გახდა კავკასიის საზღვრებს, და ჩვენ, უკრაინელები, სიამოვნებით ვკითხულობთ ზოგიერთ თქვენს ნაწარმოებს ჩვენს ენაზე, ისინი ჩვენს გულებს იმპავე ეუბნებიან, რასაც თქვენი თანამემამულეების გულებს.

დღეს საუბარს მოგიძღვნით თქვენი ხალხი და ხეიმით აღნიშნავს თქვენს მრავალწლოვან შრომას მშობლიური ლიტერატურის ასპარეზზე. ჩვენც, შეილები იმ ხალხისა, რომელიც თქვენი ხალხის ბედს იზიარებს, რომელსაც თქვენივე ხალხის მსგავსად სწავლია თავისუფალი თვითგანვითარება, ვუერთებთ ჩვენს ხმებს იმათ, ვინც უიღბას გიგალობთ.

დიდება სახელოვან პოეტს — პატრიოტს! იცოცხლეთ კიდევ დიდხანს, მრავალ წელს. თქვენი ხალხისა და კაცობრიობის სასაყეთოდ. თქვენი შრომა და ბრძოლა მიმართულია ხალხის სულის უკვდავყოფისაკენ. ჩვენ ვუწაშს, რომ ეს ბრძოლა მიაღწევს თავის მიზანს.

დაბოლოს, ჩვენი პოეტის სიტყვებით გეტყვით: იბრძოლეთ — გაიმარჯვებთ!.. 4 მაისი 1898 წ.

ასეთია ამ ლირსმესანიშნავი დოკუმენტის შინაარსი. ასე მიმართავდა გამოჩენილი უკრაინელი მწერალი — დემოკრატი მიხეილ კოციუბინსკი

ილია ქვეკვაძეს; ასეთი თემამი და გულწრფელი სიტყვებით უკრაინელებს უთხრობდა: „დღესათუ-რი რეჟიმის შეებნელ ხანაში გირი უკრაინელი ხალხის საუყუეთესო შეილები თავიანთ მოძმე ქართველ მოღვაწეებს. ამ ხანაში მოისმოდა ამაყი რწმენა მომავლისა, რომელსაც უნდა დაეგვირგვინებინა ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის.“

უკრაინელ და ქართველ ხალხთა მშური ურთიერთობის თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენდა ცნობილი უკრაინელი მწერალი ქალის ლესია უკრაინკა მეგობრობა ქართველ მწერლებთან და მოღვაწეებთან. ლესია უკრაინკა ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაუახლოვდა კიევში ქართველ სტუდენტებს. მათგან გაიცნო ლესიამ ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრება, ლიტერატურის ნიმუშები, მათ შორის რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. 1903 წლიდან 1913 წლამდე — სიევდილამდე, ლესია უკრაინკა ხშირი სტუმარი იყო საქართველოში, იგი თვეობით და წლობით ცხოვრობდა თბილისში, თელავში, ზონსა და ქუთაისში. საქართველოში ცხოვრების დროს იგი ფხიზლად ადევნებდა თვალს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას. აქ, პირველი რევოლუციის დღეებში, იგი მოწმე გახდა ქართველი ხალხის გირიული ბრძოლისა ცარიზმისა და კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ.

ვის იცნობდა ქართველი მოღვაწეებიდან ლესია უკრაინკა, ვისთან ჰქონდა მას ნაცნობობა, ურთიერთობა და მეგობრობა საქართველოში ცხოვრების დროს? ამ საინტერესო კითხვაზე პასუხს ეძიებოდა, ჯერ-ერთი, თვით ლესიას პირად მიმოწერაში, შემდეგ კი — სხვადასხვა პირთა მოგონებებში, სადაც საკმაო სიცხადითაა წარმოსახული უკრაინელი პოეტი ქალის შესანიშნავი ადამიანური თვისებები.



ლესიას წერილებში, რომლებიც პირველი რევოლუციის წინა ხანას ეკუთვნის, ან კიდევ თვით რევოლუციის დღეებში არიან დაწერილი, ჩვენ ვპოულობთ მთელი რიგი ქართველი ადამიანების ხსენებას. ასე მაგალითად, 1903 წლის 2 დეკემბრის წერილში, რომელიც თბილისიდან არის გაგზავნილი, ლესია უკრაინკა ახსენებს მუსიკოსს-ეთნოგრაფს ფალიევს. ეჭვი არაა, რომ აქ ლაპარაკია ახალგაზრდა ზაქარია ფალიაშვილზე, რომელიც ცხრაასიან წლებში მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და იწერდა ხალხურ სიმღერებს. ლესიას წერილში უფრო ხშირადაა ხსენება შიო ჩიტაძისა. ამ წერილებიდან ჩვენ ვიგებთ, რომ თბილისში ყოფნის დროს ლესიას ახლო მეგობრული ურთიერთობა და კავშირი ჰქონია შიო ჩიტაძესა და მის მეუღლესთან, იუსტინა კირილეს ასულ შჩერბანთან, რომელიც წარმოშობით უკრაინელი იყო.

შიო ჩიტაძე თავისი დროის გამოჩენილი მოღვაწე იყო, მის მდიდარ ადამიანურ ბუნებას, ფართო იდეურ ჰორიზონტს, დიდ კეთს და ღრმა ერუდიციას არ შეიძლება ძლიერი შთაბეჭდილება არ დაეტოვებინა ლესია უკრაინკაზე, არ აღეძრა ამ უკანასკნელში ღრმა და ცხოველი ინტერესი თავისი პიროვნებისადმი.

შიო ჩიტაძე დაიბადა 1873 წელს, გორში, სწავლობდა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის მეორე გიმნაზიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1892 წელს. კაბუკობის წლებში იგი თავისი უფროსი ძმის, გოლა ჩიტაძის, მეშვეობით თბილისში გაეცნო და დაუმეგობრდა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის, რომელიც სწორედ იმ ხანებში იწყებდა თავის გენიალურ შემოქმედებითს გზას.

შიო ჩიტაძემ უმაღლესი განათლება მიიღო კიევის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ სტუდენტობის დროსვე მიიქცია მან საზოგადოების ყურადღება. იგი იქ ხშირად კითხულობდა რეფერატებს ლიტერატურულ თემებზე, მონაწილეობას იღებდა სტუდენტურ მოპრობაში. შიო ჩიტაძე კიევის სტუდენტთა სათვისტომოების გაერთიანების თავმჯდომარე იყო. 1897 წელს მან უშუალო მონაწილეობა მიიღო კიევის სტუდენტთა პოლიტიკურ გამოსვლებში, რის გამოც დაპატიმრებულ იქნა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შიო კიევში დარჩა სამუშაოდ. შვიდი წლის განმავლობაში ადგილობრივ გიმნაზიებში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას. ამავე ხანებში შიო თანამშრომლობას ეწეოდა ადგილობრივ გაზეთებში, სადაც ათავსებდა წერილებს ლიტერატურისა და პედაგოგიის შესახებ.

კიევში შიო მეგობრობდა უკრაინელ ლიტერატორსა და ჟურნალისტს ვ. ჩაგოვეცს. უკანასკნელი თავის მოგონებაში ახასიათებს შიო ჩიტაძეს, როგორც ნიჭიერ პედაგოგს, საუცხოო ორატორს, აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკს, კიევის მოწინავე ინტელიგენციისათვის საყვარელ პიროვნებას.

შიო ჩიტაძესთან ერთად კიევის ერთ-ერთ გიმნაზიაში ასწავლიდა ე. ტარლუ (ამჟამად აკადემიკოსი). თავის მოკლე მოგონებაში შ. ჩიტაძის შესახებ აკად. ტარლუ წერს: „იგი მაოცებდა თავისი მრავალმხრივი ნაკითხობით, მომწიფებული მსჯელობით, ინტელექტის მაღალი დონით. იგი მეტად უყვარდათ მოწაფეებს. იგი მონაწილეობდა „პოლიტიკური ტუსალების დამხმარე წითელ ჯვარში“ და ხშირად დაჰქონდა წიგნები ლუკიანოვის „ციხეში“... (ჩაგოვეცის და აკად. ტარლუს გამოანთქვამთა პუბლიკაცია ეკუთვნის



შ. სიხარულიძეს. იხ. გაზ. „ლიტერატ. და ხელოვნ.“ 1951 წ. № 8).

კიევში ყოფნის დროს შ. ჩიტაძე დაუმეგობრდა უკრაინელი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებს. აქვე შეირთო მან ცოლად იუსტინა შჩერბანი. კიევში გაეცნო შიო ლესია უკრაინკას და მის მშობლებს.

1904 წელს შიო ჩიტაძე ქართველი მოწინავე საზოგადოების მოწვევით ბრუნდება სამშობლოში და თბილისში იწყებს მუშაობას ქართული გიმნაზიის ინსპექტორის თანამდებობაზე. შიო ჩიტაძე ენერგიულად შეუდგა პედაგოგიურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ამავე დროს, შიო ჩიტაძე აქტიურ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი თანამშრომლობდა ქართულ პრესაში, სადაც ბეჭდავდა კრიტიკულ წერილებსა და ფილოსოფიური ხასიათის ნარკვევებს. შ. ჩიტაძის ნაწარმოებთაგან ზოგს კიდევ არ დაუკარგავს აქტუალობა. ასეთები არიან: „მაქსიმ გორკი და თანამედროვეობა“, „ჩეხოვის ხსოვნას“, წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილზე და სხვ.

1905 წლის რევოლუციის დროს შ. ჩიტაძე მოსწავლეთა შორის აღვივებდა ოპოზიციურ განწყობილებას. ეს გარემოება კარგადაა გამოხატული, სხვათაშორის, ლესია უკრაინკას წერილში დედისადმი (1905 წ. 6 თებერვ.).

რევოლუციური სიტუაცია საქართველოში უფრო მკაფიოდ იგრძნობა ლესიას დედისადმი იმავე 1905 წლის 22 მარტს მიწერილ ბარათში: „გურიაში აჯანყება ფართოდება და ვრცელდება, — წერს ლესია, — წინათ ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ეხლა კი სასამართლოსაც შეეხნენ (სურთ არჩეული მოსამართლეები და ადგილობრივი ქნის შემოღება სასამართლოში)“.

საქართველოს რევოლუციურმა ამბებმა მკაფიო ასახვა მოახდინა უკრაინკას პირად წერილებში. მისი სიმპათია, ცხადია, ქართველი რევოლუციური მშრომელებისა და პროგრესული ინტელიგენციის მხარეზე იყო. ეჭვი არაა, ამ დროს იგი ხშირად ხედებოდა შიო ჩიტაძეს და იზიარებდა მის რევოლუციურ განწყობილებას.

აქ ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ გავიხსენებთ მსოფიანი მწერლის ნინო ნაკაშიძის პატარა მოგონებებს, დაკავშირებულს შიო ჩიტაძისა და ლესია უკრაინკას სახელებთან. „შიო ჩიტაძე, — გვიამბო ნ. ნაკაშიძემ, — თანამშრომლობდა საბავშვო ეურნალ „ნაკადულში“. ერთხელ ეურნალის რედაქციაში მოვიდა და გვაცნობა, რომ ამჟამად თბილისში იმყოფება ჩემი მეგობარი, ცნობილი უკრაინელი მწერალი ქალი ლესია უკრაინკაო (ეს ამბავი 1905 წელს ეკუთვნის). შიომ გვითხრა, რომ ლესია ჩვენი საბავშვო ეურნალისათვის ლექსსაც შეგვბირდაო. სამწუხაროდ, — დასძინა ნ. ნაკაშიძემ, — ლესიასგან ლექსი არ მიგვიღია, ჩანს, ავადმყოფობამ აღარ მისცა საშუალება დანაპირების შესრულებისა. ჩქარა ამის შემდეგ შიო დაიღუპა და ლესიაც გაემგზავრა სამშობლოში, იან რომ მასთან კავშირი ვერ დავამყარეთ“.

შიო ჩიტაძის პროგრესული საზოგადოებრივ-პედაგოგიური და პუბლიცისტური მოღვაწეობა შეუძნეველი არ დარჩენია მეფის ხელისუფალთ. ისინი შესაფერ შემთხვევას უცდიდნენ, რომ მასთან ანგარიში გაეწორებინათ. ეს შემთხვევაც მალე დადგა. 1906 წლის 17 ივლისს თბილისში ქართული გიმნაზიის შენობიდან უცნობმა ტერორისტებმა ბომბი ესროლეს პოლიცემისტერ მარტინოვს და მძიმედ დაჭრეს იგი. ამ დროს გიმნაზიის შენობაში იმყოფებოდა შიო

ჩიტაძე (რომელიც იქვე ბინადრობდა); ჩქარა შენობა გარშემორტყმულ იქნა ჯარებით, რომლებმაც სროლა აუტეხეს გიმნაზიას, შემდეგ შიგნით შეცვივდნენ, აიკლეს იქაურობა და თვით შიო ჩიტაძე მხეცური წამებით მოკლეს.

ცნობილი პედაგოგისა და ჟურნალისტის მოკვლამ აღაშფოთა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა. ბოლშევიკურმა გაზეთმა „ახალმა ცხოვრებამ“, რომელსაც ამხანაგი ი. სტალინი ხელმძღვანელობდა, საგანგებო წერილი უძღვნა შიო ჩიტაძის ვერაგულ მკვლელობას: „თვითმპყრობელობის აეკაცობათა დაუსრულებელ რიგს კიდევ ერთი სიმხეცე მიემატა, — წერდა გაზეთი, — ჩიტაძე ერთი საუკეთესო წევრთაგანი იყო მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისა. დაე, ეს მსხვერპლიც მუდამ განუშორებელი იყოს ჩვენი ხსოვნიდან და სისხლის ასაღებად მოგვიწოდებდეს!“

ლესია უკრაინკას მეგობრობას შიო ჩიტაძესთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მოასწავებდა უკრაინელი და ქართველი ხალხების მოწინავე ძალთა სოლიდარობას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები ლესიამ, თავის მეუღლე კლემენტი კვიტკასთან ერთად, თელავსა, ზონსა და ქუთაისში გაატარა. ყველგან, სადაც ვი ეღნობოდა ადამიანებს, ლესია აღძრავდა მათს გულში ღრმა და უსაზღვრო პატივისცემას თავისი პიროვნებისადმი. აქ აღსანიშნავია ლესია უკრაინკას დიდი თავმდაბლობა და მოკრძალება. იგი თითქმის ინკოგნიტოდ ცხოვრობდა საქართველოში; ბუნებრივი მორიდებულობით იგი თითქმის არავის უმხელდა თავის დიდ პოეტურ სახელს და საპატიო როლს მშობლიური ხალხის კულტურულ ცხოვრებაში.

თელავში ცხოვრების დროს ლესია უკრაინკას გაეცნენ ადგილობრივ ინტელიგენციის წარმომადგენლები მხატვართი მათგანი, ძველი ჟურნალისტი ივ. პაატაშვილი, იგონებს ლესიას ნათქვამს: „საქართველო ისე შემოიყვარდა, როგორც ჩემი სამშობლო უკრაინა, ალაზნის ველის თვალწარმტაც ბუნებას რომ ვუყურებ, დნებარს ნაპირები მაგონდება და ხშირად გავცქერი ხოლმე აივნიდან კავკასიონის მონიბლავ, თოვლით შემკულ მთებს“.

ქუთაისში ცხოვრების დროს ლესია ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთ მოწინავე წარმომადგენლებთან, მათ შორის, ცნობილ ლიტერატორ და პედაგოგ სილოვან ხუნდაძესთან (1860-1928).

სილოვან ხუნდაძის ოჯახის წევრები ადასტურებენ, რომ ლესია უკრაინკა ქუთაისში ცხოვრების დროს არაერთხელ ყოფილა სტუმრად მათს ოჯახში. ს. ხუნდაძე ქართულ ენას ასწავლიდა ლესიას; როდესაც ლესია ავადმყოფობის გამო ლოგინიდან ვეღარ დგებოდა, ს. ხუნდაძე თვითონ დაიარებოდა თურმე მასთან ბინაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ სილოვან ხუნდაძე ერთი იმ ქართველ ლიტერატორთაგანი იყო, ვისაც ლესია, საქართველოში ყოფნის დროს, უზიარებდა თავის ფიქრებს, შემოქმედებითს გეგმებს, მშობლიური ხალხის სოციალურსა და ეროვნულ ზრახვებს. ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ სილოვან ხუნდაძემ ბევრი რამ იცოდა ლესია უკრაინკას ლიტერატურული მუშაობის შესახებ, კერძოდ, იცოდა ის ამბავი, რომ ლესიამ ზონსა და ქუთაისში ყოფნის დროს, 1911-1912 წლებში, დაწერა თვალსაჩინო პოეტური ნაწარმოებნი „ტყის სიმღერა“ და „ქვის ბატონი“.

ლესიას სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია ქართველ მოწინავე სა-



ზოგადობაში. ქართველი პროგრესული ინტელიგენციის სულისკვეთება საუკეთესოდ არის გამოხატული იმ ნეკროლოგებში, რომლებიც ქართული გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნდა იმ დღეებში. „უკრაინულმა ლიტერატურამ — ვკითხულობთ „სახალხო გაზეთის“ 1913 წლის 26 ივლისის ნომერში, — უკანასკნელ ხანებში ბევრი თვალსაჩინო მუშაკი დაჰკარგა. დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა უნიჭიერესი თანამედროვე უკრაინელი ბელეტრისტი მ. კოციუბინსკი. ეხლა კიდევ მოსტაცა სიკვდილმა უკრაინას ერთი საუკეთესო შვილთაგანი, უკრაინაში ცნობილი მგოსანი ქალი ლესია უკრაინკა (უკრაინელი), რომელიც 19 ივლისს დ. სურამში გარდაიცვალა. ასეთი ფსევდონიმით წერდა ლარისა კოსაჩევა, ასული ოლღა კოსაჩევისა, რომელიც აგრეთვე ცნობილი მწერალი ქალი იყო „ოლენა პჩილკა“ სახელით“.

გაზეთი შემდეგ მოკლედ ახასიათებს ლესიას შემოქმედებას და, სხვათაშორის, წერს: „მის ლექსებში გამოიხატა ფიჭრი და განწყობილება თანამედროვე უკრაინელი პატრიოტ-ინტელიგენტისა. ზოგიერთ მის ლექსში გატარებულია მწუხარება იდეალსა და სინამდვილეს შორის მდებარე უფსკრულის გამო და სხვ.“ მეორე ნეკროლოგში, რომელიც გაზეთ „თემის“ 29 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა, მოცემულია ლესიას ბიოგრაფიული ცნობები, დასახელებულია მისი წიგნები, აღნიშნულია აგრეთვე მისი მთარგმნელობითი მუშაობა და პუბლიცისტური შემოქმედება. ნეკროლოგში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ლესია უკრაინკა საყვარელი მგოსანი გახდა უკრაინისათვის და რომ მან საპატიო ადგილი დაიკავა ახალგაზრდა მწერალთა შორის. „მისი ლექსები, — წერს გაზეთი, — უმეტეს ნაწილად ლირიკუ-

ლია, მათში გამოსჭვივის პირადი გრძობა ინტელიგენტისა, რომელიც უღონებს სამშობლოს უმწიერ მდგომარეობა. უკრაინკას ნიჭი მხოლოდ ეხლახან შლიდა ფრთებს, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოაცალა უკრაინელებს ახალგაზრდა ნიჭიერი მგოსანი ქალი“.

ასეთი იყო ქართული პრესის გამოცხადებული ლესია უკრაინკას გარდაცვალებაზე. ეს მოკლე ნეკროლოგები საკმაო ძალით გამოხატავდნენ ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის გულწრფელ მწუხარებას, იმ თანაგრძნობას, რომელსაც იგი უცხადებდა მოკმე უკრაინელ ხალხს მძიმე დანაკლისის გამო.

ძალიან საგულისხმოა, რომ, მიუხედავად სასტიკი ცენზურული პირობებისა, ქართულ პრესაში მაინც გამოქვეყნდა ცნობა იმ დემონსტრაციის შესახებ, რომელიც მოეწყო კიევი ლესია უკრაინკას დასაფლავების დროს.

ქუთაისის გაზეთ „იმერეთში“ (სილოვან ხუნდაძე ამ ორგანოს უახლოესი თანამშრომელი იყო) 1917 წლის 4 აგვისტოს № 117-ის ქრონიკაში, რომელსაც სათაურად აქვს „ლესია უკრაინკას დასაფლავება“, ვკითხულობთ:

„ლესია უკრაინკა დიდი ამბით დაასაფლავეს. კიევის საღვთაზე, სადაც უნდა მოესვენებინათ მისი გვამი, ბევრი ხალხი დახვდა, იყვნენ დელეგატები გალიციიდან, ოდესიდან, ეკატერინოსლავიდან, ბაქოდან, ჩერნიგოვიდან, პოლტავიდან, უმანიდან და სხვა ქალაქებიდან. დასაფლავებას დაესწრო უკრაინის ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. იყო 30 გვირგვინა. გვირგვინებს წითელი ლენტები წარწერებით პოლიციელებმა მოაცილეს“.

ასეთი იყო მოკლე ცნობა ლესია უკრაინკას დასაფლავების შესახებ. მაგრამ ამ მოკლე ცნობის გამოქვეყნები-

თაც გაზეთის რედაქციამ საკმაო სიცხადით გამოხატა თავისი გრძობათა თანახმობა დიდი უკრაინელი პოეტი ქალის პატივისმცემლებთან, რომლებმაც ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო დემონსტრაციად გადააქციეს ლესია უკრაინკას სამგლოვიარო პროცესია.

ქართული პრესა და საზოგადოება მუდამ დიდი ყურადღებით და პატივისცემით აღნიშნავდა უკრაინული კულტურის ღირსშესანიშნავ თარიღებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ტარას შევჩენკოს თარიღების აღნიშვნა 1911 და 1914 წლებში. უნდა ითქვას, რომ დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი მხურვალე მონაწილეობას იღებდა შევჩენკოსადმი მიძღვნილ საღამოებსა და შეკრებებში. აკაკი არასოდეს არ უშვებდა მოხერხებულ შემთხვევას, რომ სათანადოდ გამოეხატა თავისი ღრმა მოწიწება და პატივისცემა შევჩენკოს ხსოვნისადმი. საინტერესოა ამ მხრივ თვით აკაკის საოთხბილეო საღამო. ჩატარებული 1908 წელს 21 დეკემბერს აზერბაიჯანის სატახტო ქალაქ ბაქოში. ამ საღამოზე ქართველ პოეტს მიულოცეს რუსების, აზერბაიჯანელების, სომხების, პოლონელების, ლატვიელების, ებრაელებისა და სხვა ეროვნებჯათა დელეგაციებმა. დიდ ქართველ პოეტს მხურვალედ მიესალმნენ უკრაინელი ხალხის წარმომადგენლებიც: ქართველ მგოსანს მათ მიართვეს შევჩენკოს დიდი პორტრეტი. სამადლობლო სიტყვაში აკაკიმ უკრაინელებს, სხვათაშორის, უთხრა: „მე მუსიკაზედ მწყურა ლად ვარ, არ მწყალობს ამ მხრივ ბუნება და ამ ნაკლს მივსებდა ყოველთვის შევჩენკო. მე სულ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ნატვრა ამისრულდა და შევჩენკო ვნახე. მასუკან აღარ მინახავს. დღეის იქით ჩემს კაბინეტში მყოფობდა შევჩენკო. ეს სურათი სიკვდი-

ლამდე იცხოვრებს ჩემთან“ (გაზ. „ჩვენი ხმა“, 1909 წ. № 3) *ქვემოთ*

უკრაინელი საზოგადოებრივი მოღვაწე ფელად აფასებდა დიდი ქართველი პოეტის აკაკის შემოქმედებას, მის მიერ არა ერთგზის გამოხატულს სიყვარულს და პატივისცემას უკრაინელი ხალხისა და მისი კულტურისადმი. ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ 1909 წლის 17 თებერვალს უკრაინის მოწინავე ინტელიგენციამ ხარკოვში, ადგილობრივი უნივერსიტეტის სტუდენტთა ინიციატივით, საზეიმოდ აღნიშნა აკაკის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50-წლისთავი. უნდა ითქვას, რომ მეფის აღმინისტრაცია მეტად შეაშფოთა ამ ფაქტმა. მან ყველა გამაფრთხილებელი ზომები მიიღო იმისათვის, რომ აკაკის პატივსაცემ საღამოზე, რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის შენობაში იმართებოდა, ადგილი არ ჰქონოდა მეფის მთავრობის საწინააღმდეგოდ მიმართულ რაიმე სახის დემონსტრაციას.

წინა დღეს, სანამ აკაკის საღამო გაიმართებოდა, ხარკოვის გუბერნატორმა საგანგებო მიწერილობით მიმართა უნივერსიტეტის რექტორს და „სთხოვა“ მას, რათა აკაკისადმი მიძღვნილ საღამოზე ადგილი არ ჰქონოდა „არავითარ გადახვევას იმ პროგრამიდან, რომელიც ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორის მიერ იქნა გუბერნიის უფროსისადმი წარდგენილი, აგრეთვე არ ყოფილიყო დაშვებული პროგრამის გარეშე რაიმე სახის მისასალმებელი გამოსვლა რომელიმე ორგანიზაციისა თუ საზოგადოების სახელით, და არც რომელიმე კერძო პირის მხრივ“.

ასეთი იყო მეფის აღმინისტრატორების ბრძანებები და განკარგულებანი. მაგრამ ასეთი უხეში ღონისძიებანი მიზანს ვერ აღწევდნენ. მეფის აღ-



მინისტრატოთა სურვილის წინააღმდეგ უკრაინულმა საზოგადოებრიობამ სახეიმოდ აღნიშნა დიდი ქართველი პოეტის საიუბილეო თარიღი და ამით გამოხატა თავისი ღრმა პატივისცემა ქართველი ხალხისა და მისი კულტურისადმი.

თავის მხრივ ქართველი საზოგადოებრიობაც დიდ გულისხმიერებას იჩენდა უკრაინული კულტურისა და ლიტერატურისადმი.

1911 წელს საქართველოში ღირსეულად აღინიშნა შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავი. გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნდა ნარკვევები უკრაინის დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ აგრეთვე ლექსები მიძღვნილი პოეტის ხსოვნისადმი, მათ შორის საეულისხმოა ანონიმი ავტორის ლექსი, დამახასიათებელი სათაურით: „ტარას შევჩენკო დნეპრის ნაპირას“ (ჟურ. „განათლება“ № 7) და სხვ.

ცნობილმა პედაგოგმა და ლიტერატორმა ალ. გარსევანიშვილმა ტ. შევჩენკოს გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით ქუთაისსა, ფიათსა და სხვა ქალაქებში წაიკითხა საჯარო ლექციები, მიძღვნილი შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. ეს ლექცია 1912 წელს ცალკე ბროშურადაც გამოვიდა ქართულ ენაზე სათაურით: „უკრაინის პოეტი ტარას შევჩენკო“. ალ. გარსევანიშვილის საჯარო ლექციებმა დიდად შეუწყო ხელი უკრაინული ლიტერატურის პოპულარიზაციას ქართველ შრომელთა ფართო მასებში. მაგრამ შევჩენკოს საიუბილეო თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით 1911 წელს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას საქართველოში წარმოადგენდა მანც აკაკის ცნობილი მოგონებების გამოქვეყნება, რის შესახებაც ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ.

ქართულმა პრესამ და საზოგადოებრიობამ უფრო მეტი პატივისცემით აღნიშნა შევჩენკოს დაბადების ასი წლისთავის თარიღი 1914 წელს. ქართულმა პრესამ ამჯერადაც გამოაქვეყნა წერილები უკრაინელი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, დაბეჭდა აგრეთვე შევჩენკოს

ლექსთა ახალი თარგმანები. იმ წლის 15 აპრილს თბილისში უკრაინულ-ქართული წრის მიერ გამართულ მოწყობილი იქნა საღამო, მიძღვნილი შევჩენკოს დაბადების ასი წლისთავისადმი. ამ საღამოზე მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იქნენ აკაკი და ქართველი საზოგადოების სხვა მოწინავე წარმომადგენლები. „სახალხო გაზეთმა“ (1914 წ. 15 აპრ. № 1162) ვრცელი ინფორმაცია მოათავსა ამ საღამოს შესახებ და დაწერილებით აღწერა აკაკის გამოსვლა.

პოეტი ი. გრიშაშვილი თავის მოგონებებში საინტერესოდ აგვიწერს ამ საღამოს ამბავს. „აფიშა, სხვათაშორის, აღუწყებდა ხალხს, რომ საღამოში მონაწილეობას მიიღებს ქართველი პოეტი აკაკი, რომელიც პირადად იცნობდა „ბატკო“ შევჩენკოს... გამოვიდა ჩვენი აკაკი სცენაზე... ოვაციებს საზღვარი არ ჰქონდა. როცა ტაშის ტარციალი მისწყდა, აკაკიმ დაიწყო: „დიახ, მე პირადად ვიცნობდი ბატკო ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს“...

... ამ სიტყვის თქმა იყო და ახალი ტაშის ჰეპ-ქუხილი ასტყდა. ხალხი წამოდგა და ვიღრე აკაკი თავის მოგონებას დაამთავრებდა, არ დამჯდარა. ჩვენი პოეტის ლამაზი და შესანიშნავი სიტყვა აღდიტორიამ ფეხზე აღგომით მოისმინა. უკრაინელები პარტერში მყოფ ქართველებს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. ჰეშმარტად ეს იყო პროტესტი ცარაზმის პოლიტიკისადმი. რომელიც ჰკრძალავდა შევჩენკოს სახელის ხსენებასაც კი: ეს იყო ორი ერის ერთნაირი გრძნობით გამსჭვალვა, თავისუფალი ამოძაბილი და სამშობლოს დროშის ქვეშ გმირული დარაზმვა, სიყვარულით გაერთიანება...

აკაკიმ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „გაყვარდეთ თქვენი სამშობლო და დედაენა, ისე როგორც განსვენებულ შევჩენკოს უყვარდა, რადგან მისი ხსოვნისათვის ეს საუკეთესო ჯილდო და ხელთუქმნელი ძეგლი იქნება“. ეს სიტყვები მთელი ქართველი ხალხის გულიდან ამონათქვამი პაბუხი იყო“... („ლიტერატურული საქართველო“, 1939 წ. № 14).

თავის სიტყვის დამთავრების შემ-

დღე აკაკი მივიდა შეგჩენკოს ბიუსტთან, მუხლი მოიდრია და, პატივისცემის ნიშნად, თავისი ჭალარა თავი დახარა მის წინაშე.

ამ სურათმა საოცარი შთაბეჭდილება დასტოვა უკრაინელ და ქართველ საზოგადოებაზე. დამსწრეებმა ხანგრძლივი და მჭუხარე ტანით დააჯილდოვეს დიდი მოხუცი.

აკაკის სავსებით შეგნებული ჰქონდა თავისი გამოსვლის დიდი მნიშვნელობა შეგჩენკოს საღამოზე.

ამ დროს მთელი რუსეთის იმპერიაში სასტიკად იყო აკრძალული შეგჩენკოს საიუბილეო თარიღის აღნიშვნა. ამ აკრძალვამ, როგორც ცნობილია, სრულიად საწინააღმდეგო ეფექტი მოახდინა. ვ. ი. ლენინი წერდა 1914 წელს: „შეგჩენკოს საპატივცემულო ზეიმის აკრძალვა ისეთი ჩინებული, საუცხოო, უაღრესად საბედნიერო და მარჯვე ზომა იყო მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის თვალსაზრისით, რომ უკეთესი აგიტაციის წარმოდგენაც კი შეუძლებელია“ (ვ. ი. ლენინი, „ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის“, 1914 წ. იხ. ტ. 20, გვ. 260-261).

მოხუცი აკაკი აღბათ არ იცნობდა დიდი ლენინის ამ აზრს, მაგრამ მას ძალიან კარგად ჰქონდა შეგნებული შეგჩენკოს საღამოზე თავისი გაბედული გამოსვლის უაღრესად დიდი მნიშვნელობა, სწორედ რომ „მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციის თვალსაზრისით“. ამ შემთხვევაში ის გამოხატავდა ქართველი ხალხის სულისკვეთებას, მის სრულ სოლიდარობას და თანაგრძნობას მოძმე უკრაინელი ხალხისადმი.

უკრაინისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიის მონობილვის დროს საჭიროა აღინიშნოს ისეთი ფაქტებიც, რომლებიც გამოხატავენ ამორი ხალხის სულის თანაზი-

რობას უროვნული მშუხარების მოძებრებში. ასეთად უნდა ჩაითვალოს უკრაინელი საზოგადოებრიობის გულწრფელი თანაგრძნობა. გამოხატული ქართველი ხალხისადმი მისი დიდი პოეტისა და მოაზროვნის, ილია ჭავჭავაძის ვერაგული მოკვლის გამო. 1907 წელს უკრაინულმა გაზეთმა „რადამ“ მოწინავე წერილი უძღვნა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. გაზეთის ამევე ნომერში მოთავსებული იყო ილია ჭავჭავაძის პორტრეტი (დროება, 1910 წ. № 54).

ტრადიცია უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობის, დაწყებული ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან, გაღრმავებული მე-19 საუკუნეში, თავის დაგვირგვინებას ჰპოვებს ჩვენს სოციალისტურ ეპოქაში. დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს სოციალისტურ ერთაძმურსა და განუყოფელ კავშირს. მხოლოდ ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში გახდა შესაძლებელი უკრაინელი და ქართველი ხალხების მჭიდრო დაახლოვება, მათი მტკიცე სულიერი კავშირი, კულტურული საუნჯეების ურთიერთ გაზიარება.

ჩვენს სოციალისტურ ეპოქაში უფრო მეტი საშუალება მიეცათ უკრაინელ და ქართველ მშრომელებს საკუთარი მწერლობის საუკეთესო ნიმუშების ურთიერთისათვის გაცნობისა. უკრაინულ ენაზე აქლერდა რუსთაველის უკვდავი ჩანგი, ქართულ ენაზე ამტყვევდა შეგჩენკო. უკრაინელი საბჭოთა პოეტები აბლობელი და საყვარელი გახდნენ ქართველ მკითხველთა. ფართო მასებებისათვის, საბჭოთა ქართველი პოეტების შემოქმედებამ გზა გაიკაფა უკრაინელი მკითხველის გულისაკენ.

საბჭოთა ხალხების ლენინურ-სტალინურმა მეგობრობამ ამაში ჰპოვა თავისი ერთ-ერთი დიადი გამოვლინება.

საბჭოთა უკრაინის ლიტერატურა

*

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი აღნიშნავს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს, როგორც უაღრესად თვალსაჩინო ისტორიულ მოვლენას, როგორც დიდ ეროვნულ დღესასწაულს, როგორც თავის საკუთარ შესანიშნავ ზეიმს. ამით გამოიხატება ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის უძლეველი ძალა, აღზრდილი კომუნისტური პარტიის მიერ.

უკრაინელი ხალხი ზეიმობს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს თავისი რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების არნახული აყვავების პირობებში. კომუნისტური პარტიის ბრძნული წარმმართველი ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის მუდმივი დახმარებით უკრაინის მშრომელმა მასებმა განახორციელეს დიადი გარდაქმნები კომუნიზმის გზაზე. საბჭოთა უკრაინა გახდა მძლავრი ინდუსტრიულ-საკონსტრუქციო სახელმწიფო უაღრესად განვითარებული, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობით, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობით. ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური მიწინავე კულტურით. უკრაინელმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გააერთიანა მთელი თავისი საუკუნეობრივი მიწა-წყალი. უკრაინის ერთიან სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც დიდი საბჭოთა კავშირის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფო წყობილებამ, კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას გადაუშალეს უაღრესად ფართო შესაძლებლობანი საწარმოო ძალების განვითარებისათვის, ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის. საბჭოთა უკრაინაში განუწყვეტლივ იზრდება მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა, მადლდება მისი კულტურის დონე, წარმატებით ვითარდება მეცნიერება, ხელოვნება და ლიტერატურა.

უკრაინის საბჭოთა ლიტერატურის წარმატებანი კომუნისტური პარტიის ბრძნული წარმმართველი ხელმძღვანელობის შედეგია, კომუნისტური პარტიისა, რომელიც გვასწავლის — განვავარძოთ და განვავითაროთ კლასიკური ლიტერატურის პროგრესული ტრადიციები, სიმართლით ავსახოთ ცხოვრება მის რევოლუციურ განვითარებაში, ერთგულად ვემსახუროთ ხალხს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

უკრაინის საბჭოთა ლიტერატურა შემოქმედებითად განავარძობს რუსული და უკრაინული კლასიკური ლიტერატურის კეთილშობილურ ტრადიციებს, პუშკინისა და გოგოლის, ბელიხისა და ჩერნიშევსკის, ნეკრასოვისა და ლევ ტოლსტოის, შევჭენკოსა და ფრანკოს, ლესია უკრაინკასი და მიხეილ კოციუბინსკის, პავლე გრაბოვსკისა და პანას მირნის ტრადიციებს. ისინი დაუღალავად იბრძოდნენ მეფის

თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, რუსეთის ხალხთა განთავისუფლებისათვის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან.

უკრაინული საბჭოთა ლიტერატურა ვითარდება დადი რუსი ხალხისა და მძლავრი სოციალისტური სამშობლოს სხვა ხალხთა ლიტერატურასთან მჭიდრო კავშირში. ორი მოქმედი ლიტერატურის — რუსული და უკრაინული ლიტერატურის — ერთიანობისა და ურთიერთკავშირის ტრადიციებს საფუძველი შორეულ წარსულში ჩაეყარა. ცარიზმის პირობებში რუსი დემოკრატები და რევოლუციონერი დემოკრატები ყოველნაირად უწყობდნენ ხელს მოწინავე უკრაინული ლიტერატურის ყლორტების აღმოცენებას, იბრძოდნენ მმართველი კლასების შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, აგრეთვე უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ისინი აქტიურად გამოდიოდნენ უკრაინელი ხალხის უფლების დასაცავად, ეროვნული კულტურის თავისუფლად განვითარებისათვის.

პოეტი დეკაბრისტი კ. რილევეი, გამოხატავდა რა მეფის თვითმპყრობელობის მიერ დაზარალებული უკრაინელი ხალხისადმი ღრმა სიყვარულის გრძნობას, მგზნებარედ ამბობდა:

ჯოჯოხეთია, როცა ვუძქერი
დამონებულ უკრაინას,
ხოლო სამოთხე — ვიხილო იგი
თავისუფალი!..

რეაქციის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი, რუსი ხალხის დიდი შვილი ა. გერცენი მოითხოვდა: „უკრაინა აღიარებულ უნდა იქნას თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყნად“. უკრაინის თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ რუსეთის საუკეთესო შვილები უკრაინელი ხალხის პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად. ბელინსკის სამართლიანად მია-

ჩნდა, რომ უკრაინის თავისუფლებისათვის მიმავალი გზა ძვეს რუსეთთან კავშირისა და მეგობრობაზე უნდა დასამყარებოდნენ თავის დიდი რუსეთს, უკრაინამ კარი გაუღო ცივილიზაციას, განათლებას, ხელოვნებას, მეცნიერებას... რუსეთთან ერთად მას ახლა დიდი მომავალი ელის...“

უკრაინელი ხალხის ერთგული შვილები ტარას შევჩენკო, ივანე ფრანკო, ლესია უკრაინკა, მიხეილ კოციუბინსკი, პანას მირნი, პავლო გრამოვსკი და სხვები მუდამ სწავლობდნენ თავიანთი უფროსი ძმებისაგან — მოწინავე რუსი მწერლებისაგან — ხალხისადმი ერთგულ სამსახურს, მისი იდეალებისათვის ბრძოლას, მშრომელთა მტრების — შოვინისტებისა და ნაციონალისტების — მიმართ შეურიგებლობას, რომლებიც ცდილობდნენ დაერღვიათ რუსეთთან უკრაინის კავშირი, წაეჩხუბებინათ ერთმანეთთან ორი მოქმედი ხალხი.

გამოხატავდა რა ღრმა სიყვარულის გრძნობას დიდი რუსი ხალხისა და მისი საუკეთესო შვილებისადმი, უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსი ივანე ფრანკო, რომელმაც თავისთავზე განაცადა რუსული კეთილშობილური გენიის ძალა, შთაგონებულად, ჯერ კიდევ 50 წლის წინათ, ამბობდა: „ჩვენ გვიყვარს ველიკორუსი ხალხი და ვუსურვებთ მას ყოველგვარ სიკეთეს, გვიყვარს და ესწავლობთ მის ენას... რუს მწერლებსაც, დიად ჩირაღდნებს სულიერ სამეფოში, ვიცნობთ და გვიყვარს... ჩვენ ვგრძნობთ სოლიდარობას რუსი ხალხის საუკეთესო შვილებთან“.

უკრაინული ეროვნული კულტურა თავისუფლად და ფართოდ განვითარდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიული გამოარჯვების შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში უკრაინის ლიტერატურის, ისე როგორც ყველა მოქმედი ხალხთა ლიტერატურის, განვითარება ხდება როგორც ერთიანი, საერთო პრო-

ცესი. ყველაფერი ძვირფასი, რაც შექმნილია ამა თუ იმ ეროვნულ ლიტერატურაში, შედის საბჭოთა ხალხის სოციალისტური კულტურის საგანძურში.

საბჭოთა უკრაინის მწერლები განაგრძობენ რუსული და უკრაინული კლასიკის ნაყოფიერ შესწავლას და დანერგვას, ეუფლებიან რუსული საბჭოთა ლიტერატურის მდიდარ გამოცდილებას და, უპირველეს ყოვლისა, გორკისა და მაიაკოვსკის შემოქმედებითს გამოცდილებას.

აღნიშნავს რა, რომ ჩვენს დროში რუსეთ-უკრაინის კავშირი განუზომლად განმტკიცდა და გაფართოვდა, გამოჩენილი უკრაინელი პოეტი მ. რილსკი ღრმა სიხარულის გრძნობით ამბობს: „პაელო ტიჩინას მისი ბედნიერი გზა დაულოცა კოციუბინსკის შეგობარმა მაქსიმ გორკიმ. მიკოლა ბაჟანი აღიზარდა ვლადიმერ მაიაკოვსკის მღვღვარე კეთილისმყოფელი პოეზიის გავლენით, იმ პოეტის გავლენით, რომელმაც თქვა უკრაინული ენის შესახებ: „ეს ენა დიადი და უბრალოა“, რითაც ხაზი გაუსვა რუსი და უკრაინელი ხალხების ურთიერთ პატივისცემას და სიყვარულს. რუსული კლასიკური მემკვიდრეობის და რუსული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების შემოქმედებითს ათვისებას ჩვენ ვხედავთ კონერგას, სოსიურას, მალიშკოს, იანოვსკის, გონჩარის შემოქმედებაში, ერთი სიტყვით, ყველა ჩემი უფროსა თაობის, საშუალო და თანამედროვე ახალგაზრდა თაობის შემოქმედებაში“.

ამ სიტყვებით გამოხატულია ყველა უკრაინელი საბჭოთა მწერლის გრძნობები, მწერლებისა, რომლებიც რუსული კლასიკური და რუსული საბჭოთა ლიტერატურის მძლავრი საგანძურიდან იძენენ გამოცდილებას და ცოდნას თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მთელი მონოლითური საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

ვითარდებიან რა მკვიდრო, თანამედრობაში ყველა მოძრაობის, ლიტერატურასთან, უკრაინულ ლიტერატურაში შექმნის მთელი რიგი თვალსაჩინო ნაწარმოებები, რომელთაც დაიმსახურეს მკითხველთა სიყვარული და აღიარება არა მარტო უკრაინაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა მკითხველებსათვის საბჭოთა უკრაინის მწერლების — ა. კორნეიჩუკის, პ. ტიჩინას, მ. რილსკის, მ. ბაჟანის, ა. მალიშკოს, ვ. ვასილევსკაიას, ო. გონჩარის, ნ. რიბაკის, კ. სოსიურას, ო. ვიშნიას, ი. იანოვსკის, ი. გალანის, ვ. ნეკრასოვის, ლ. პერვოშისკის, მ. სტელმახის, ს. ოლეინიკის, პ. ვორონკოს, მ. ნაგნიბედას, ვ. ბელიაევის, ვ. სობკოს და სხვა მრავალის სახელები.

საკავშირო წიგნის პალატის ცნობებით, მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სსრ კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე გამოცემულია უკრაინელი ავტორების 1.600-ზე მეტი წიგნი. ამ წიგნების საერთო ტირაჟი აღემატება 50 მილიონ ცალს, მათ შორის 400 წიგნი 20 მილიონზე მეტი ცალის ტირაჟით გამოვიდა რუსულ ენაზე.

არსებობს ი. ფრანკოს ნაწარმოებთა 490 საბჭოთა გამოცემა, ტ. შევჩენკოს წიგნების 335 გამოცემა 38 ენაზე.

ფართოდ არის გავრცელებული ლ. უკრაინკას, მ. კოციუბინსკის, პ. მირნის და სხვა ბევრი თანამედროვე უკრაინელი მწერლის ნაწარმოებები.

26 ენაზე 52-ჯერ გამოიცა ვ. ვასილევსკაიას წიგნი „ციხარტყელა“, 25-ჯერ — ო. გონჩარის „გვაროსნები“, 16-ჯერ — ნ. რიბაკის „პერეიასლავის რადა“ და 16-ჯერ — ვ. სობკოს „მშვიდობის საწინდარი“. სსრ კავშირის ხალხთა ენებზე მრავალჯერ გამოიცა ა. კორნეიჩუკის პიესები, მ. რილსკის, პ. ტიჩინას, მ. ბაჟანის, ა. მალიშკოს ლექსები.

თანამედროვე ლიტერატურულ პრო-

ცეს უკრაინაში ახასიათებს თემატიკურ-რი პორიზონტის მუდმივი გაფართოება, მწერალთა მისწრაფება — ფართოდ და ყოველმხრივ შეეხონ ცხოვრების მოვლენებს. ხელმძღვანელობენ რა კომუნისტური პარტიის ბრძნული მითითებებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, უკრაინელი მწერლები ცდილობენ მართლად ასახონ საბჭოთა ხალხის შრომითი და საბრძოლო გმირობა, თავიანთი ნაწარმოებებით აღზარდონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის გრძნობები, გვიჩვენებენ საბჭოთა სოციალდემოკრატიული მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, იბრძვიან მტრული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, კერძოდ, ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ.

უკრაინული საბჭოთა ლიტერატურის თემებისა და სიუჟეტების მთელი მრავალფეროვნებიდან მკაფიოდ გამოირჩევა ხალხთა მეგობრობის თემა, რაც წარმოადგენს თანამედროვეობის ცენტრალურ თემას. ჩვენს სინამდვილეში და საბჭოთა ხალხების ისტორიულ წარსულში უკრაინელი მწერლები პოულობენ ხალხთა ურღვევი ძმობისა და მეგობრობის მრავალ გამოხატულებას და აყალიბებენ მას მხატვრულ სახეებში. უკრაინელ პოეტს პავლო ტიჩინას ეკუთვნის წიგნი, რომლის სახელწოდებაა — „ერთიანი ოჯახის გრძნობები“. წიგნის ეს სახელწოდება იქცა ფრთოსან ფრაზად, რომელიც გამოხატავს როგორც ჩვენი ცხოვრების არსს, ისე საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პათოსს. ერთიანი ოჯახის გრძნობა ხალხთა მეგობრობა — წარმოადგენს სოციალისტური სამშობლოს ძლიერების საფუძველთა საფუძველს. ამ მაღალ და კეთილშობილურ გრძნობას შთამაგონებლად უმღერიან ჩვენი მწერლები. მიკოლა ბაჟანის, მაქსიმ რილსკის, ან-

დრეი მალიშკოს, სტეფანე ოლეზნიკის, მიკოლა ნაგნიბედას, ივანე კოტლიჩუკის, ლ. პერვომასკის, ვენკე ჩუჟუჟაძის პლატონ ვორონკოს, იაროსლავ შპორტას, პეტრე დოროშკოს და სხვა ბევრი ავტორის ნაწარმოებში მხატვრულ სახეებში აგვიწერენ ხალხთა ძმობისა და სოლიდარობის იდეებს. ამ ხასიათის პოეზიის ლეიტმოტივი ზუსტად და ნათლად არის გამოხატული მიხეილ სტილმახის ლექსში, რომლითაც იგი მიმართავს დიდ რუს ხალხს და მადლობას უძღვნის, რომ უკრაინელი ხალხი ლენინურ გზაზე დააყენა, რომ ერთ მეგობრულ ოჯახად გააერთიანა თქვესმეტი მოძმე რესპუბლიკა.

ხალხთა მეგობრობის თემას, კერძოდ, ოქსეთთან უკრაინის შეერთების თემას, ღირსეული ადგილი უჭირავს უკრაინელი მწერლების შემოქმედებაში. ამ თემაზე მკაფიო განხორციელება კონკრეტულ მხატვრულ სახეებში, სხვადასხვა ენარის ნაწარმოებებში. წლითწლივით მდიდრდება უკრაინული საბჭოთა პროზა ასეთი ნაწარმოებებით, რომლებიც ეხებიან ორი მოძმი ხალხის — რუსი და უკრაინელი ხალხების — მეგობრობის წყაროებს, ფესვებს. საბჭოთა ხალხის დიად მონაპოვართა მწვერვალებიდან ჩვენი მწერლები ხედავენ უკრაინელი ხალხის ისტორიულ წარსულს, რომლის შესახებაც დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი უკრაინელ მწერლებთან საუბარში 1935 წელს ამბობდა: „ეს ხომ თემების დაუშრეტელი წყაროა მწერლებისათვის. უკრაინის ისტორია აღსავსეა ხალხის გმირული ბრძოლით თავისი ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის... აუცილებლად უნდა დაიწეროს მოახრობები და რომანები ისტორიულ თემებზე. ხალხი უნდა იცნობდეს თავის სახელოვან წინაპრებს. ეს არის პატრიოტიზმის საფუძველი“.

ა. მ. გორაკის რჩევამ მხურვალე გამოხმაურება მოკავა უკრაინელი მწერლების გულში. შეიქმნა ახალი ნაწარმოებები, რომელთა სიუჟეტს საფუძვე-

ლად დაედო კონკრეტული ისტორიული მოვლენები. ფართოდ არის ცნობილი ნატან რიბაკის ორტომიანი ეპოპეა „პერეიასლავის რადა“. მასში ასახულია უკრაინელი ხალხის გამათავისუფლებელი ბრძოლა 1648-1654 წლებში, რაც ლირსმესანიშნავი ისტორიული მოვლენით დაგვირგვინდა. ეს იყო რუსეთთან უკრაინის შეერთება. ამავე თემისადმი მიძღვნილი აგრეთვე პეტრო პანჩის რომანი „მღვლვარებდა უკრაინა“ და იაკობ კაჩურას მოთხრობა „ივანე ბოგუნი“.

რუს და უკრაინელ ხალხთა მეგობრობის ღრმა ფესვები, ამ მეგობრობის გამოვლინება ისტორიული წარსულის სხვადასხვა ეტაპზე ნაჩვენებია ივანე ლეს რომანში „ნალივაიკო“, ვასილ კუჩერის „უსტიმ კარმალიუკში“, იური მუშკეტეის „სემიონ პალიიში“, ოქსანა ივანენკოს „ტარასის გზებში“ და სხვ.

უკრაინელი ხალხის გმირული ბრძოლა უკრაინის გაათავისუფლებისათვის პოლონეთის შლიახტის ჩაგვრისაგან, რუსეთთან უკრაინის შეერთებისათვის ასახულია დრამატურგიაშიც. ალექსანდრე კორნეიჩუკმა თავის პიესაში „ბოგდან ხმელნიკი“ შექმნა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართუფროსის ბოგდან ხმელნიკის სახე, დაგვისაზა იგი როგორც უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივი მისწრაფებების ვაჟკაცური და ნებისყოფიანი გამოხატველი რუს ხალხთან მჭიდრო კავშირისადმი. უკრაინელი ხალხის ერთგული შეილებების ბრძოლა ორი მოძმე ხალხის მეგობრობის შემდგომი გამტკიცებისათვის პერეიასლავის რადის შემდეგ დაგვიხატა თავის პიესაში ლიუბომირ დმიტრკომ. ამ პიესის სახელწოდება „მარადეამს ერთად“ — გვიჩვენებს ნაწარმოების იდეურ პათოსს.

ჩვენი მწერლები გვიჩვენებენ წარსულის პროგრესულ საზოგადოებრივ ძალებსა და იდეებს, რომლებიც ასახა-

ვენ ხალხს ინტერესებს, მის მისწრაფებებს და ზრახვებს. მის წინაშე დევს ისტორიულ თემებზე შექმნილ ყველა ნაწარმოებს წითელ ზოლად ორი დიდი ხალხის მეგობრობის იდეა.

საბჭოთა უკრაინის მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში გვიჩვენებენ აგრეთვე, როგორ განმტკიცდა და გაფართოვდა რუსი და უკრაინელი ხალხების ტრადიციული სისხლხორციული მეგობრობა დიდი ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში, ხუთწლეულების მანძილზე, დიდი სამამულო ომის დღეებში, ომის შემდგომ პერიოდში. ეს თემა ასახულია ჩვენი ლიტერატურის ყველა ენარში. ამ სახის ნაწარმოებებში თვალნათლივ ჩანს წარმმართველი და გადამწყვეტი როლი კომუნისტური პარტიისა, რომლის ზღვამდვანელობითაც რუსეთის ხალხებმა მოახდინეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, განთავისუფლდნენ კაპიტალისტური მონობისაგან და ახორციელებენ ცხოვრების კომუნისტურ გარდაქმნას. ჩვენი პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები კანონიერი სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ, რომ უკრაინელი ხალხი ერთ-ერთი პირველი ამოუღდა გვერდში დიდ რუს ხალხს კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე და მიიღწია თავისი საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებას — შექმნა უკრაინის ეროვნული სოციალისტური სახელმწიფო, ამით საფუძველი ჩაუყარა თავისი ისტორიის ახალ, ნამდვილად სახელოვან ეპოქას.

გამოხატავს რა საბჭოთა ადამიანების ყველაზე უფრო მაღალ გრძნობებს, მათ ღრმა მაღლობას კომუნისტური პარტიისადმი იმისათვის, რომ მას აი უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც მიჰყავს საბჭოთა კავშირის ხალხები გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, კომუნიზმის მწვერვალე-

ბისაყენ, უკრაინელმა პოეტმა პავლო ტიჩინამ შექმნა თვალსაჩინო ნაწარმოები „პარტია მიგვიძღვის“. ამ ნაწარმოების ღრმა შინაარსითა და ცხოვრების სიმართლით აღსავსე პოეტურ სიტყვებს იცნობენ მილიონობით მკითხველები.

უკრაინელი მწერლების ნაწარმოებთა პათოსი მდგომარეობს მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების დამკვიდრებაში, კომუნისტური პარტიის წამყვანი როლის დახატვაში კომუნისმის მშენებლობის საქმეში. ეს პათოსი მკაფიოდ არის ასახული მაქსიმ რილსკის შესანიშნავ ლექსში „სიტყვა პარტიის შესახებ“. პოეტმა აღნიშნულ ნაწარმოებში გამოხატა პოეტური საშუალებებით საბჭოთა სამშობლოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპები და გვიჩვენა მისი გრანდიოზული წარმატებანი. ამიტომ მიმართავს პოეტი საბჭოთა ხალხის სახელით, გამოხატავს რა მის სანუგეარ გრძნობებს. პარტიას და ეუბნება: ჩვენ ვამაყობთ შენით, რადგან შენს გზას ბედნიერებისაკენ მივყავართ.

კომუნისტური პარტიის თემას უკრაინელი მწერლები მარტო პუბლიცისტური ლექსების საშუალებით როდი გამოხატავენ. განაგრძობენ და ავითარებენ რა გორკისა და მაიაკოვსკის კეთილშობილურ ტრადიციებს, მათ შემქმნეს მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებანი, რომელთა მთავარ გმირებს წარმოადგენენ კომუნისტების — ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნისმის გამარჯვებისათვის ნამდვილი მებრძოლების დიადი სახეები. ასეთი გმირები არიან კომისარი ა. კორნეიჩუკის პიესიდან „ესკადრის დაღუპვა“, ტიმოთე ჩერნიაცი ალექსა დენსნიაკის მოთხრობიდან „ტიმოთე ჩერნიაკის პოლიკი“, პეტრე გონტარი იაკობ ბაეის მოთხრობიდან „მხურვალე გრძნობები“, სვირიდა მირაშნიჩენკო მიხეილ სტელმახის რომანიდან „დიდი სანათესაო“.

მაიორი ვორონცოვი ოლეს გომჩარის რომანიდან „მედროშენი“ მკაცრ-დღე-რავა ა. კორნეიჩუკის აჭრე-სიყვილმურ დების პიესიდან და სხვები. ისინი ალკურელი არიან კომუნისტის ცოცხალი თვისებებით, მათ აქეთ დიდი საზოგადოებრივ-გარდამქმნელი მნიშვნელობა. ამ დადებითი კომუნისტი გმირების მაგალითზე იზრდებიან ახალგაზრდა მკითხველები თავიანთი დიადი სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის სულსკვეთებით, კომუნისტური პარტიის საქმისადმი მხურვალე თავდადების სულსკვეთებით.

პარტიის თემა არის განხილული თითოეულ ნაწარმოებში, რომელიც მართლად ასახავს ცხოვრების იმ პროცესთა არსს, რაც ხდება ჩვენს ყოველდღიურ სინამდვილეში. უკრაინელ მწერალთა მთელ რიგ ნაწარმოებებში ჩვენ ვხედავთ პარტიის დიად სახეს, პარტიისა, რომლის პოლიტიკაც წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საარსებო საფუძველს. პარტიისა, რომლის დროშაააც აწერია კეთილშობილური სიტყვები: შემოქმედება, მშვიდობა, სიცოცხლე.

დიდი რუსი ხალხის ლიტერატურის მაგალითის მიხედვით, უკრაინული საბჭოთა ლიტერატურა თავისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე გახდა ტრიბუნა, საიდანაც მთელ მსოფლიოში გაისმის მომწოდებელი სიტყვები ომის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად. უკრაინული საბჭოთა ლიტერატურა ცხოვრობს იმ გრძნობებით, მისწრაფებებითა და სურვილებით, რითაც ცხოვრობს მთელი საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა შემოქმედის ეს განუყოფელი ერთიანობა, ორგანული მთლიანობა მშვენიერად გამოხატა პავლო ტიჩინამ თავისი ლექსის შემდეგი სიტყვებით: მე ისეთი ხალხი ვარ, ვისი სიმართლის ძალაც ჯერ ვერავის დაუმორჩილებია. რა უბედურებაც არ დამტეხია თავს,



ჩემი ძალიონე მაინც კვლავ აღორძინებულია და აყვავებულია.

მშვიდობის თემა, ისე როგორც პარტიის თემა, გაშლილია თითოეულ ნაწარმოებში, სადაც სიმართლით ასახულია ჩვენი თანამედროვეობა. მაგრამ განსაკუთრებით მკაფიოდ არის ასახული მშვიდობისათვის ბრძოლის ადვილი უკრაინელ საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებში, რომლებიც იყვნენ უცხოეთის ქვეყნებში და მიიღეს იქ ცხოვრების კონკრეტული შთაბეჭდილებანი. ჩვენი მწერლების მოგზაურობამ საზღვარგარეთ. დაანახა მათ იქაური ცხოვრების უკუღმართობა და გაამდიდრა საბჭოთა ლიტერატურა ღრმა იდეური შინაარსის ნაწარმოებებით. ავტორებმა პირადად გაიცნეს სხვადასხვა უცხოური ქვეყნის ცხოვრება და სწორედ ამის საფუძველზე შეიქმნა ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოებები, როგორცაა მიკოლა ბაქანის „ინგლისური შთაბეჭდილებანი“. ანდრია მალიშკოს „ლურჯი ზღვის იქით“, პავლო ტიჩინას „შოტლანდური ლექსები, პლატონ ვორონკოს ლექსებში კრებული „დიდება მშვიდობას“, ლიუბომირ დმიტრკოს „პოლონეთი აშენებს მშვიდობას“, ვადიმ სობკოს „მშვიდობის საწინდარი“ და სხვა მრავალი. ისინი აღბეჭდილი არიან ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მგზნებარე იდეებით, მხტრვალედ და დამაჯერებლად იცავენ მშვიდობის უშიდათა წმიდა საქმეს ხალხთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

საბჭოთა უკრაინის მწერლები საბჭოთა ადამიანების ღრმა თანაგრძნობას გამოხატავენ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებისადმი, რომლებიც განიცდიან კაპიტალისტურ ჩაგვრას და არაადამიანურ ექსპლოატაციას. საბჭოთა ჭეშმარიტების კეთილშობილური გრძნობით არის გამსჭვალული თითოეული ეს ნაწარმოები. უკრაინელი მწერლები თავიანთთა ნაწარმოებებით აძლიერებენ და აძლიერებენ მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ბრძო-

ლას მშვიდობის გამარჯვებისათვის მიუღს მსოფლიოში.

მშვიდობისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში თავიანთი დიდი წვლილი შეაქვთ უკრაინელ სატირიკოს მწერლებს, რომლებიც იყენებენ და შემდგომ აეთიარებენ უკრაინული და კლასიკური სატირის უმდიდრეს გამოცდილებას და შესანიშნავ ტრადიციებს. სატირის მრისხანე ხმა გაისმის ალექსანდრე კორნიჩუკის, პავლო ტიჩინას, მიკოლა ბაქანის, ანდრია მალიშკოს და სხვათა შემოქმედებაში. ა. კორნიჩუკის პიესებში გამოყვანილი სატირულად გამახვილებული მხატვრული სახეები საზოგადო მოვლენებად იქცნენ. ისინი გვაიარაღებენ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად.

უკრაინულ საბჭოთა ლიტერატურას სამართლიანად მიაჩნია თავის საუკეთესო მხატვრულ მიღწევად იაროსლავ გალანის პუბლიცისტური მემკვიდრეობა, ბრწყინვალე პამფლეტისტის იაროსლავ გალანისა, რომლის გამოსვლები რომის პაპის წინააღმდეგ, ვატკანის მსახურთა და უკრაინის ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ წარმოადგენენ ღრმა იდეური და მხატვრულად სრულფასოვანი სატირის კლასიკურ ნიმუშებს.

სატირისა და აუმორის დარგში ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ოსტაპ ვიშნია, სტეფანე ოლეინიკი, სერგეი ვოსკრესენკო, დიმიტრი ბელორუსი. მათი ნაწარმოებნი თარგმნილია რუსულ ენაზე.

ამ წანრის თავიანთ ნაწარმოებებში უკრაინელი საბჭოთა მწერლები ნიღაბს ზდიან საერთაშორისო რეაქციას, კათოლიკურ ბნელეთის მოციქულობას და მონოპოლისტური კაპიტალის ყველა ჯურის მსახურს — გამცემლებსა და პროვოკატორებს, ჯამუშებსა და დივერსანტებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებსა და კოსმოპოლიტებს, ხალხის მტრებსა და მავნებლებს, რომელთა

შაბნელ ზრახვას წარმოადგენს ალდ-გინონ უკრაინაში ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება, ჩამოაშორონ უკრაინელი ხალხი თავიანთ უფროს ძმას — დიდ რუს ხალხს.

იბრძვიან რა ყოველგვარი ძველის, ჩამორჩენილის, სასიკვდილოდ განწირულის, წინსვლის შემათერხებელი მოვლენების წინააღმდეგ, უკრაინელი საბჭოთა მწერლები თავიანთი ნაწარმოებებით ემსახურებიან ახლის, ნათელის, მზარდისა და მოწინაის დამკვიდრებას. საბჭოთა სინამდვილე, კომუნისტური მშენებლობის დიდი სურათი, საბჭოთა ადამიანების კოლექტიური შრომის გრანდიოზული მასშტაბები, აღფრთოვანებენ ლიტერატურის ოსტატებს ისეთ ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ ჩვენი გმირი ხალხის ნაყოფიერ შემოქმედებითს შრომას. ამ ნაწარმოებებში მკაფიოდ არის დახატული ჩვენი გმირი მუშათა კლასის, საკოლმეურნეო გლეხობისა და ინტელიგენციის ცხოვრება და შემოქმედებითი მშვიდობიანი შრომა.

აღფრთოვანებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, უკრაინელი პროზაიკოსები, პოეტები და დრამატურგები მუშაობენ ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად. მათში მხატვრულად ასახული იქნება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი აღმავლობის პროცესები.

ამის შემდგომ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია უკრაინის საბავშვო ლიტერატურამ. ახალგაზრდა მკითხველებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ საბჭოთა კავშირის გმირის, მწერალ იური ზბანაცკის „სოკოლინოს ტევრის საიდუმლო“ და „ზაფხული სოკოლინოში“, ივანე ბაგმუტის „სუვოროველ კრინიჩის ბედნიერი დღე“ და „ვერსახურები საბჭოთა კავშირისა“, ალათი ტურჩინსკაიას „ვარსკვ-

ლავები ვერხოვინაში“, ოლეს ლომონოსოვის რომანი „ოქროს მედალი“ და სხვ.

უკრაინის კულტურულ-საბავშვო დიდ მოვლენას წარმოადგენს ოლესის კლასიკური ლიტერატურის, აგრეთვე სხვა მოძმე ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშთა თარგმანები. ამ დარგში ნაყოფიერად მუშაობენ ცნობილი უკრაინელი მწერლები. მაქსიმ რილსკი, პაოლო ტიჩინა, მიკოლა ბაჯანი, ანდრია მალიშკო და სხვები. უკრაინულ ენაზე თარგმნილია პუშკინის, რუსთაველის, გოგოლის, ლერმონტოვის, ლევ ტოლსტოის, გურამიშვილის, ჩეხოვის, გორკის, მაიაკოვსკის, ისაკიანის, თუმანიანის, იან რბინისის, იანკა კუპალას და სხვათა ნაწარმოებნი. ამ ხაზით მუშაობას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, იგი ხელს უწყობს ხალხთა შორის კულტურული კავშირის განმტკიცების საქმეს, ამდიდრებს ჩვენი ქვეყნის კულტურულ საგანძურს.

უკანასკნელ ხანს უფრო აქტიურად მუშაობენ კრიტიკოსები და ლიტერატურის მკოდნეები. შევჩენკოს სახელობის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივმა გამოაყენა მთავარი „უკრაინული ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეული. უკვე გამოქვეყნებულია მონოგრაფიული შრომები უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსების შესახებ, კერძოდ, ევგენი კრილოვის წიგნი შევჩენკოს შესახებ. ალექსანდრე კისელიოვისა — გრაბოვსკიზე, არსენ იშჩუკისა — ლესია უკრაინკის შესახებ, მიკოლა პივოვაროვისა — პანას მირნის შესახებ, ოლეგ ბაბიშკინისა — კობილიანსკაიაზე, დიმიტრი კოსარიკისა — გურამიშვილის შესახებ.

უკრაინული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საარსებო პრობლემებს განიხილავენ ლეონიდ ნოვიჩენკო თავის „ლიტერატურულ-კრიტიკულ ნარკვევებში“, მიკოლა შამოტა წიგნი —



„იდეურობა და ოსტატობა“, იოსებ კოსელიაძის კრებულში — „კონფლიქტები და ხასიათები“. ბორის ბურიაკმა მეტად საინტერესო წიგნი დაწერა ალექსანდრე გავრილიუკის, სტეფანე ტულორის და იაროსლავ გალანის შესახებ, რომლებიც ცხოვრობდნენ და შემოქმედდებოდნენ მუშაობას ეწეოდნენ უკრაინის დასავლეთ ოლქებში.

უკრაინის საბჭოთა ლიტერატურას ღირსეული ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის მოძვე მრავალეროვან ლიტერატურათა შორის. 1951 წელს, მოსკოვში, უკრაინის საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში გაზეთი „პრავდა“ მოწინავე სტატიით წერდა: „უკრაინელი მწერლები საბჭოთა ლიტერატურის სახელოვანი მებრძოლი რაზმია. მათი ნაწარმოებები გამსჭვალული არიან ბოლშევიკური იდეურობით, საბჭოთა პატრიოტიზმით, ხალხთა მეგობრობის, მშვიდობისათვის ბრძოლის იდეებით“.

უკრაინის ლიტერატურის განვითარებაზე მუდამ დიდ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა დიდი რუსი ხალხის ლიტერატურა. ცხოველმყოფელი პატრიოტიზმი, ხალხურობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, სოციალისტური პუმანიზმი, მაღალი მხატვრული ოსტატობა — აი რუსული საბჭოთა

ლიტერატურის ის ძირითადი კეთილ-შობილური თვისებები, რომლებიც ხდიან მას ყველაზე უფრო ბრწინავე და ყველაზე უფრო იდეურ ლიტერატურად მსოფლიოში. დიდი პატივი და დიდი ბედნიერება იყო თანამოძვე იმ ლიტერატურისა, რომელმაც თავისი ღრმა რევოლუციური შინაარსით და სრულყოფილი მხატვრული ფორმით მოაბოვა მსოფლიო სახელი, გახდა მძლავრ საზოგადოებრაე-გარდამქმნელ ძალად, რომელიც ამკვიდრებს ქვეყნად საბჭოთა ცხოვრების დიდ სიმართლეს, ეხმარება მთელ პროგრესულ კაცობრიობას მშვიდობის, დემოკრატიის, სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. უკრაინელი და რუსი მწერლების შემოქმედებითი მეგობრობა წარმოადგენს საბჭოთა უკრაინის ლიტერატურის შემდგომი განვითარებისა და შემდგომი წარმატებების საწინდარს.

უკრაინელი საბჭოთა მწერლები საბჭოთა კავშირის ყველა სხვა მოძვე რესპუბლიკების მწერლებთან ერთად მთელი მონდომებით, შესაძლებლობათა სრული გამოყენებით იბრძვიან იმ ამოცანების ღირსეულად გადაწყვეტისათვის, რაც დასახულია პარტიის მე-19 ყრილობის მიერ საბჭოთა ლიტერატურის წინაშე.

უპრაინენი და ქართველი ხალხების მემკობრობა



სსრ კავშირის ხალხთა მემკობრობის დრმა ისტორიული ფესვები აქვს. იგი წიხისხა მამინ, როდესაც რუსი ხალხი აერთიანებდა და რახმავდა ჩვენს სამშობლოში მოსახლე ყველა ხალხს, რათა გამანადგურებელი ლახარი ჩაცვა ეცხოვრებოდა და მემკობრობის, ეს მემკობრობა ვითარდებოდა იმ პერიოდში, როცა რუსეთის პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სხვა ხალხების მემკობრობა და თვითმკობრობისა და კაბიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი გამოიწვია და უძღვევდა ძალად ვადიქცა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ერთობლივ ბრძოლაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის, სამოქალაქო ომის ცეცხლში, გვირუკ უოველდღედო სოციალისტურ მშენებლობაში, დიდი სამაშულო ომის მიმე წლებში. ფართოდება და მტკიცდება ეს ურდვევი ბრძოლებში გამოიწვითილი მემკობრობა ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირის ხალხები თავდადებულად იღწვიან კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მემკობრობა განსაკუთრებით გამოიწვინდა დიდი სამაშულო ომის წლებში. საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს საბჭოთა ხალხები კიდევ უფრო შემიძროვდნენ თავიანთი უფროსი მის — დიდი რუსი ხალხის გარშემო. როცა გერმანელი ფაშისტები ჩვენს ქვეყანას თავს ესხმოდნენ, ისინი ფეჭობდნენ, რომ მალე დაამარცხებდნენ საბჭოთა კავშირს, რომ პირველივე სერიოზული ფარტემისა და საბჭოთა შეიარაღებული ძალე მის პირველი წარუმატებლობის შემდეგ თავს იჩენდა კონფლიქტები მემკობრობა და გლეხებს შორის, მოხდებოდა კონფლიქტები სსრ კავშირის ხალხთა შორის, დაიწყებოდა აჯანყებები და საბჭოთა კავშირი თავის შემადგენელ ნაწილებში დაიშლებოდა, რაც გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს ვაუდებოდა „ბოლო მოვლოთ“ ჩვენი ქვეყნისათვის. მაგრამ გერმანელები სასტიკად მოტყუდნენ.

სამაშულო ომის მრისხანე დღეებში საერთო საფრთხის წინაშე ყველა საბჭოთა ხალხის კიდევ უფრო მტკიცდ და რახმავდა საინტერესო მავალითი გადმოგვცა მოსკოვის ვახემა „ტრუდმა“ წერილში „მემკობრობა“. ვახეთი წერდა, რომ პატარა ბლინდაში, რომელიც მამალული იყო რაყაში, ბორცვის უკან, ცხოვრობ-

დავით რუსი უპრაინენი სტრეკალოვი, უპრაინენი მებრძოლი კობოპონისი და ქართველი სერგანტი ვოვი ვადარაძე. ბლინდაში ვოფნის დროს ვადარაძემ საჩუქარი მიიღო და იგი თამადად აირჩიეს ვადარაძემ შესვა სადღვერძელი. იგი ამბობდა: „ამ კვიტით მე ვცავ ჩვენი მემკობრობის სადღვერძელს. სამი ადამიანი ცხოვრობს აქ, ერთი — რუსი, ერთი — უპრაინენი და ერთი — ქართველი. სხვადასხვა დღე-ღამე ვვაწოვა ძეძე ჩვენ, სხვადასხვა ქალაქში ვავოზარდეთ, მაგრამ ომმა შეგვეერთა ამ პატარა ბლინდაში და ძმებივით ვცხოვრობთ, ერთმანეთს ვუზიარებთ პურ-ღვინოს, თამაქის და სითბოს, სიხარულს და მწუხარებას, საფრთხეს და ვაჭირვებას, როგორც ერთი ოჯახის შეილება. დავ, მარად ცოცხლობდეს ეს მემკობრობა, რაც, მან მოგვარების გამარჯვება და ჩვენსა დედებსა და ცოლებსა საზეიმი წვეულება გამართან გამარჯვებულთა პატივსაცემად. და ჩვენ საპატიო სტუმრები ვიქნებით რუსულ სახლშიც, უპრაინენულ ქოხშიც და ქართულ ოჯახშიც“.

საბჭოთა კავშირის დიდი სამაშულო ომის დღეებში, როდესაც საბჭოთა უპრაინენი მიწა-წყალზე დროებით თარმობდნენ გერმანელი დამპყრობლები, ვალაკტიონ ტაბიძე ლექსში „დნებრა“ შემდეგი სიტყვებით მიმართავდა უპრაინენს:

მაგრამ ახლო, ახლო არის
ვახაზხულის დღე უებრაო,
და ყინულია არემარეს
ქარიშხალი დისძრავს, დნებრა.

უსწრაფესი ვაქანებით
საქმე, ფეჭრი ვინ არ ვანდოს?
მტერი ხალხთა მრისხანებით
საბოლოოდ ვაიფანტოს,
ფაშისტები დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი და უპრაინენი ხალხების გვირუკ ბრძოლებს გამამხნევებელი სიტყვებით მიმართა პოეტმა სანდრო შანშიაშვილმა. პოემაში „დედა პარინეს“ იგი ამბობდა:

ავერ ტარას ბულბა



მკვდრებით წამომდგარა,
 ვაჟკაც პარტიზანებს სათავეში უდგას.
 მოუწოდებს: ჩქარა!
 მოთმინება ქმარა!
 შენი დამარცხება არ იქნება, არა!
 უკრაინა ცოცხლობს და იცოცხლებს მარად!
 უკრაინელი და ქართველი ხალხების მარად-
 ული მეგობრობა კიდევ უფრო გამოიწერთ დიდ
 სამშაულო ომში.

უკრაინელი მწერალი დმიტრო ბელოუსი ამბობდა:

დიდი დროშა მივიძღვდეს,
 დროშა წითელი ფერის,
 უკრაინელი, ქართველი
 ერთად ვუტრეფით ბერლიმს,

საბჭოთა არმიის რიგებში მილიონობით უკრაინელი, რუსი, ქართველი და სხვა ეთნიკური სხვა ხალხების შვილები ერთად გმირულად იბრძოდნენ მტერს. მტრის ზურგში განაღებულ მასობრივ პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობდნენ ქართველი ხალხის შვილებიც. უკრაინაში პარტიზანული მოძრაობის სახელოვან ხელმძღვანელებთან — სიღორ კოვპაქთან, სიმონ რუდნევიტთან და სხვებთან ერთად ვაჟკაცურად და სახელოვანად იბრძოდა მრავალი ქართველი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის გმირი ბაქრაძე, შამაცი პარტიზანი ვანო რეხვიაშვილი და სხვ.

სამშაულო ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ, მეოთხე ხუთწლეულებში ჩვენს რესპუბლიკაშიც დიდი სამეურნეო მშენებლობა გაიხლდა. ქართველი ხალხი განსაკუთრებული სიამყარს გრძნობით აღნიშნავს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის ავტოქარხნის აშენებვას და სხვ., რითაც საქართველო გადაიქცა ფოლადისა და ავტომობილების ქვეყნად. ქუთაისის ავტოქარხანა ქართველმა მუშებმა და სპეციალისტებმა ააგეს რუსი, უკრაინელი მუშებისა და სპეციალისტების დახმარებით; სტალინის სახელობის მეტალურგიულ კომბინატს რუსთაველი ერთად აშენებდნენ რუსი, ქართველი, უკრაინელი მუშები და ინჟინრები. მრავალი კვალიდიუიერი ქართველი მეტალურგი გამოიზარდა რუსეთისა და უკრაინის ქარხნებში.

რუსეთისა და უკრაინის მეცნიერები და სპეციალისტები ქართველებს ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე უწევდნენ დახმარებას კვალიდიუიერი კადრების მომზადების საქმეში. მრავალი ქართველი მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ინჟინერი, ექიმი, პედაგოგი და სხვა დარგის მეცნიერი მუშაყი აღზარდა რუს მეცნიერთა დახმარებით. საბჭოთა ხელოვნულების წლებში მძერი კავშირი დამყარდა უკრაინისა და საქართველოს მეცნიერთა შორის, ისინი მთელი რიგი აქტუალური საკითხების გადაჭრაში ეხმარებოდნენ ერთმანეთს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტმა უკრაინულ მეცნიერებთან ერთად დიდი მუშაობა გასწია უკრაინის მშენებ-

ლობებზე ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენებისა და გამოყენებისათვის. ქართველმა და უკრაინელმა მეცნიერებმა მუშაობა გააგრძელეს უკრაინის მეტალურგიულ მრეწველობის მრეწველთა სახალხო ღირბი კარბონატული მარგანეციის მადნის გამოყენების საკითხი. უკრაინელ და ქართველ მეცნიერთა შორის მეცნიერების თითქმის ყველა დარგში დამყარებულია მჭიდრო კავშირი;

უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობა ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის ნიშნულს წარმოადგენს. ამ მეგობრობამ იმდენად გაიღა ფესვები, რომ ორი ქვეყნის უცნობი ბავშვებიც კი ერთიმეორეს სწავნენ გულწრფელ წერილებს. 1953 წლის შემოდგომაზე ვაჟ-ფრაველას სახელობის დეშეთის საშუალო სკოლაში წერილი მიიღეს კიევის 104-ე საშუალო სკოლის კომკავშირელი მოსწავლის ვალენტინა ნელორუბოვისაგან. იგი ამბობდა: „ჭირფასო, ამზანავებო! შე ძალიან მსურს თქვენი გაყნობა, ჩვენი სკოლის მრავალი მოსწავლე დებულებს წერილებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან. ეს ზედს უწევს ნაკუთიერ სწავლას და ამ შესანიშნავი ვრძობის აღზარდას, რასაც ხალხთა მეგობრობა ქვია!“

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის ერთობ მკაფიო გამოხატულებაა ის მჭიდრო ლიტერატურული ურთიერთობა, რაც დამყარდა და სისტემატურად მტკიცდება ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხებს შორის.

უკრაინელ და ქართველ ხალხებს შორის მჭიდრო ლიტერატურულ-შემოქმედებითი ურთიერთობაა. ამას ცხადყოფს თონდაც ის ფაქტი, რომ ფურნალებში „მნათობს“ და „ეთერტინი“ (1952 წ. № 11) მოხდა ლიტერატურული მასალების ურთიერთგაცვლა: „მნათობს“ ფურნალებზე დაიბეჭდა მოძმე უკრაინელი მწერლების რამდენიმე ნაწარმოები როგორც პოეზიის, ისე მხატვრული პროზის დარგიდან. პოეტი მიკოლა ნავინიბეა ლექსებში „გორის ბაღადა“, „ქართლი“, „არწივი გორის თავზე“ გულწრფელად უმღერის დიდ ბელადს სტალინს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბუკოვინის სახალხო პოეტი ქალის პარასკა აშბროსის „სიმღერა კახოკაზე“, რომელიც კახოკის მშენებლობისდგმა მიძღვნილი და დიდი შთაბეჭდილებული ძალით უმღერის დიად სოციალისტურ ქვეყანას.

უკრაინელი საბჭოთა მწერლები, პოეტები და ხელოვნების მოღვაწეები განამტკიცებენ მეგობრულ ურთიერთობას ქართველ ხალხთან; ისინი ისევე როგორც რუსი საბჭოთა მწერლები,

1 ვაზ. „კომუნისტი“, 1954 წ. 17 იანვარი. მწერილზე გულთბილად უპასუხა ლანა მკვლელ-შვილიმა; ამ ორ მოსწავლეს შორის მიწერ-მიწერა განაღდა. ამავე სკოლის მოსწავლე ვ. დარბაზვილს ხშირი მიწერ-მიწერა აქვს კიდევ დიდ მოსწავლეს ნ. ზომენკოსთან.



კვლევებისა და ხელოვნების მოღვაწეები. ბევრს წერენ საქართველოზე, ქართველ ხალხზე. ქართველი მწერლები, პოეტები და კლასიკოსები ფრონტის სხვა წარმომადგენლები, თავის მხრივ, შემოქმედებითი გულწრფელობით ასახავენ რუს და უკრაინელი ხალხების ცხოვრების სინამდვილეს.

დღი წინს მკვებობა აკავშირებთ ერთმანეთს უკრაინისა და საქართველოს შთელ რიგ კოლმეურნეობებს. ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეებს შორის სოციალისტურ შეჯიბრების საფუძველი უკრ კიდევ 1938 წელს ჩავსვა, როცა მხარაძის ჩაბონის სოფ. შრომის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეებმა უკრაინელ კოლმეურნეებს გაუგზავნეს წერბოლი მკვებობრივი ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ქართველ კოლმეურნებს ეს წერილი დიდი ინტერესით განიხილეს კოლმეურნეთა მრავალრიცხოვან კრებებზე უკრაინის ქალაქებსა და სოფლებში. ქართველმა კოლმეურნეებმა უკრაინის რესპუბლიკიდან მრავალი სახასუბო წერბოლი მიიღეს. 1938 წლის მაისს მხარაძის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეებმა მიიღეს უკრაინის სსრ რესპუბლიკის ხერსონის ოლქის ვენნიცესის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილი, რომლითაც ორივე ქართველ კოლმეურნეებს სოციალისტურ შეჯიბრებაში აწვევდნენ და გულწრფელ სიხარულს გამოხატავდნენ მოძმე რესპუბლიკის, მხოლოდ საქართველოს კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალების გამარჯვების გამო.

1938 წლის ნოემბერს მხარაძის რაიონის კოლმეურნეებს ესტუმრნენ უკრაინელი კოლმეურნეები. მათი მოხალე ნამდვილ დღესასწაულად იქცა.

1940 წლის ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის მიერ გაგზავნილი დელეგაციის წევრი, სახალხო არტისტი ნატო ვანჩაძე უკრაინაში მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილების შესახებ წერს: „ლევიისკა“ მიმავალ მატარებელში არაჩვეულებრივად გამოცოცხლებული იყო. უკრაინის სხვადასხვა მხრიდან თავმოყრილი ქართველი დელეგატები ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. აქ ეუსმენდით ამბებს დნეპროპეტროვსკის ქარხნებზე, უკრაინის სოფლებსა და კოლმეურნეებზე, ხარკოვის ქარხანა ვიფარტზე, რომელიც სოკოლმეურნეობის მინიჭებისათვის ტრაქტორებს უშვებს, ზაპოროჟიეზე, ტალატაევკაზე, ილაპარაკობდით სიხარულის ცრემლებზე, რომლებიც ჩავერისიდან გათავისუფლებულ ადამიანთა თვალეშში ბრწყინავდა, უკრაინელი ხალხის სტუმართმოყვარეობაზე, უკრაინის მეცნიერებაზე, მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებზე, საქართველოს და უკრაინის მეგობრობაზე, რომელსაც საფუძველი

დღემ პოეტებმა დავით გურამიშვილმა, ტრას შეიქცემო, აკაკი წერეთელმა და ლეონ ტრაინკამ მათუარესა“.

სერკინესული

ლეონი დელეგაციის **გულწრფეობა** მოუწვეს. მიტინგზე გამოვიდა ცნობილი მწერალი ქალი ვანდა ვასილევსკაია, რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა საქართველოს დელეგაციას: „შესაძლოა, საქართველოში მთები უფრო მაღალი და დიდებულა, ვიდრე ამ მხარეში, რომ საქართველოს ბუნება შეუდარებელია თავისი სილამაზით, მაგრამ ქართველებსაც და უკრაინელებსაც ამათზე ერთიანი სტალინური სიყვ, ეს სიყ ნათელს ჰქვინ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს“.

საბჭოთა უკრაინისა და საქართველოს შრომელ მასებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის მიზნით 1940 წელს უკრაინაში გაემგზავრა ქართველი ინტელიგენციის, მუშებისა და კოლმეურნეების წარმომადგენელთა დელეგაცია, დელეგაციის საპრეზიუმოდ გამართულ მიტინგს დაესწრნენ უკრაინელი მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები: მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს უკრაინელი ხალხის მოწინავე ადამიანებმა. საქართველოს რესპუბლიკის ან დელეგაციასთან ერთად უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა (ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი) აშხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო დასავლეთ უკრაინის, დასავლეთ ბელარუსისა და ჩრდილო-ბუკოვინის დელეგატები. დელეგაციის მიღებაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მუხედრის დასასრულს ამხანაგმა ხრუშჩოვმა საქართველოს დელეგაციას მიმართა შემდეგი სიტყვებით:

„ყველა სემაფორი თქვენთვის გახსნილია, ამხანაგებო, იმოგზაურეთ უკრაინაში. ნახეთ, როგორ ემუშავობთ, ჩვენს ხალხთან ერთად გაიზიარეთ გამოცდილება, მაგრამ ვასხოვდეთ, რომ საქართველოში დასაბრუნებლად მხოლოდ ერთი გზა გაქვთ — კიევზე გაელოთ“.

საქართველოს მრავალრიცხოვანმა დელეგაციამ, რომელიც რამდენიმე უკუფად დანაწილდა, უკრაინის ბევრი რაიონი დაათვალიერა.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგობის შემოწმებამ ცხადყო, რომ მოძმე უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკებმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაყისრი ვალდაბუღებანი წარმოტებით შეასრულეს.

უკრაინულ და ქართველ კოლმეურნეთა მეგობრული ურთიერთობა, მათ შორის მიწერამოწერა საიმპელო ოპის დროსაც არ შეწყვეტილა. ფრონტზე მყოფი უკრაინელი კოლმეურნეები გულთბილ წერილებს სწერდნენ ქართველ კოლმეურნეებს.

პოსპალიდან შრომის კოლმეურნეებში მიიღეს დაჭირილი მგომრის ა. პ. გოგოლენკოს წერილი, რომელშიაც იგი წერდა: პოსპალიდან

1 ნატო ვანჩაძე, მოგონებები და შეხვედრები, 1953 წ., გვ. 105-106.

როცა გაიჭრენ, შეებულეების ვასატარებლად შრომაში ჩამოვალ. კინაღინ ოჯახი გერმანულმა ფაშისტებმა დაამხრეცეს. ქართველმა კოლმეურნეებმა ასეთი პასუხი მიწერეს: ვთხოვ, შეებულეების აღებნათანვე ჩამოხვიდეთ ჩვენთან. ისე მოგველოთ, როგორც შრომალიერი კოლმეურნიკობა და ოჯახიო.

1944 წლის თებერვალს შრომის კოლმეურნეებმა მიიღეს გენჩინესკის რაიონის ყოფილი პირველი მდივნის ი. ნ. ვალაგინის წერილი, რომელშიც იგი წერდა: იმედი მაქვს, არ დამივიწყებდით; სამაჟლო ომის პირველ დღიდანვე საბჭოთა არმიის ვაჟ; ამჟამად სოკოში ვმეურნელობო. ქართველმა კოლმეურნეებმა უკრაინელი მეგობარი მოაპატყეს.

1943 წლის 30 ოქტომბრის ნომერში „პრავედა“ გამოქვეყნა წერილი „მეგობრობა“, რომელშიც აღნიშნული იყო ქართველი კოლმეურნეების დიდი მზრუნველობა დაჭრილი უკრაინელი მეგობრების, სახელდობრ, ვასილ ლავრენკოს მიმართ.

დაჭრილ ლავრენკევ მზრუნველობის შესახებ „პრავედაში“ გამოქვეყნებულ ამ წერილთან დაკავშირებულ შრომის კოლმეურნეებმა საბაჟლო ომის ფრონტებიდან და საბჭოთა კავშირის ყველა მხრიდან მიიღეს მადლობის გამოხატუვლი მრავალი წერილი. ასეთ წერილებს იწერებოდნენ: ლეიტენანტი ასლანოვი, ახალგაზრდა უკრაინელი გოგონა ლენა რომანენკო, ზინა ნემბინკო, ნოვოარსისკიდან — ნინა დესიატინა, შორეული ციმბირიდან — საბავშვო ბაღის აღმზრდევლები და სხვ.

უკრაინის განთავისუფლებისათვის გმირულ ბრძოლებში სხვა ვრების შეილებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართველი ხალხის სახელოვანი შეილებიც, თითო სოფელ შრომის კოლმეურნეებიც. კიევის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროს გმირულად დაეცნენ პოდპოლკოვნიკი ილიკო გორდელოძე, მთიანი დოქტორი მეგერილიშვილი. (იგი ერთ-ერთი პირველი შევიდა ქალქში). უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო შრომის კოლმეურნიკების ბრიგადორმა ისილო კვუპატიჩიშვიმ, კოლმეურნე ნიკოლოზ ქვილიჩიშვილმა; გენჩინესკის რაიონის განთავისუფლებაში მონაწილეობა მიიღო ე. ვ. ჯაყელმა.

უკრაინის ქალაქების — კიევის, ხარკოვის, ვიტომირის, ოდესის, სევასტოპოლისა და სხვ. განთავისუფლებაში მონაწილეობდა მრავალი ქართველი გენერალი, ოფიცერი და ჯარისკაცი. დამსიტ ბარბაროსებისაგან საბჭოთა უკრაინის მიწაწყობის განთავისუფლების მონაწილე ერთ-ერთი არმიის მეთაურობდა გენერალ-პოლკოვნიკი კ. ნ. ლესელიძე. მისი სარდლობით ამ არმიამ მრავალი სოფელი და ქალაქი გაათავისუფლა გერმანული დაშვირობლებსაგან. სხელციანი ბრძოლების დროს გენერალ ლესელიძემ მრავალი საინტერესო შეხვედრა ქონდა

როგორც უკრაინელ მეომარ მეგობარებთან, ისე ზურგის მცხოვრებლებთან. უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლების დროს მისი მეგობარი დიდი ლესელიძე ჯარისკაცების მიერ დაჭრილი იქნა შეტევაზე. განთავისუფლებული ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა მხურვალედ მიეხალაშობოდა ქართველ გენერალს. როდესაც 1944 წლის იანვარში ლესელიძის არმიის ნაწილები ბრძოლით შეიკრნენ ბერდინევიში, ლესელიძემ მოწინავე რაზმებთან ერთად შევიდა ქალაქში. მცხოვრებნი დიდად აღტაცებული დარჩნენ, როდესაც გაიგეს, რომ თუთიან არმიის საბდალი იმბოდა მათი ქალაქისათვის.

პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ ზენინი 1943 წელს შრომის კოლმეურნეებს წერდა: აქვენი დიდი კეთილშობილი ოჯახი, თქვენი კოლმეურნიკების შეიძლება დამწვიდებელი იყოს. საბჭოთა არმიამ გუმინ, 30 ოქტომბრის, გაათავისუფლა კ. გენჩინესკი და კოდეშ 150 დასახლებული პუნქტი. გრეტრევებთ, ჩჭარა დაამყარათ კავშირი გერმანელთა უღლისაგან განთავისუფლებულ გენჩინესკის რაიონის კოლმეურნიკობებთან“. ეს იყო სასიხარულო ცნობა ქართველი კოლმეურნიკებისათვის. განთავისუფლებული მოძვე უკრაინელი კოლმეურნიკებისადმი ქართველმა კოლმეურნიკებმა ახეჯრიადაც დიდი გულსმხიერება გამოიჩინეს; მათ შეაგროვეს და უკრაინელ კოლმეურნიკებს გაუგზავნეს დიდძალი მარცვლეული, არაყი და უფინო, ტანსაცმელი, თეთრეული, ქვეშავები, ჭურჭლეული, სამი ძროხა. ერთი უღელი ხარი, ეჭესი ცხენი, ღორები და სხვ.

ამ საჩუქრების გაგზავნასთან ერთად შრომის კოლმეურნიკებმა უკრაინელ ძმებს გულთბილი და ძმური წერილი მიწერეს. ისინი წერდნენ: უკრაინელი ხალხის მწუხარება და უზედღრება ჩვენი მწუხარება და უზედღრება იყო; ქართველი ხალხის შეალები, ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა შეილებთან ერთად, თუთიან სიყოცხლეს არ ზოგადდნენ და გერმანელი ბარბაროსებისაგან ათავისუფლებდნენ უკრაინის მიწაწყობას, რომელიც ჩვენთვისაც მშობლიურია... რასაც ვგზავნიოთ, ეს ცოტაა, მაგრამ ყველაფერ ამის ალალი გულთ გავზავნიოთ, მეურნიკების აღდგენაში აქტიურად შემადგომნიც დაგეხმარებით.

ქართველი კოლმეურნიკების ამ ძმურმა დახმარებამ დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია მოძვე უკრაინელ კოლმეურნიკებში; სასახუბო წერილით ისინი დიდ მადლობას გამოთქამდნენ მათთვის გაწეული ძმური დახმარების გამო. ჩვენი მეგობრობა კვლავ მტკიცე და ურყევი იქნებაო, — წერდნენ ისინი.

ორჯონიკიძის სახელობის შრომის კოლმეურნიკობის ეს მავალით მოწმობს ამ დიდ დახმარებას, რომელსაც ქართველი ხალხი უწევდა უკრაინელ ხალხს ფაშისტთა ურდოების მიერ დანგრეული მეურნიკობის აღდგენაში.

საქართველოს ფაშისტ-ქარხნებისა და რეპრესიების მეშვეობით, ტყვეარჩელისა და ტყვეულის მეშახტეები საქართველში მოწყობილობის უგ-



ხაინდენ აღდგენის პროცესში მყოფ უკრაინის ფაზიკა-ქარხნებს, დონბასის მეშახტეებს, რკინაგზელებს.

ორი მოძვე რესპუბლიკის კოლმურნეთა სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობის შესახებ 1944 წელს უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევ-ს სესიაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა: „ამაჲდე ხერსონის ოლქის გენერესკის რაიონის კოლმურნეები ეჯიბრებოდნენ საქართველოს სსრ რესპუბლიკის ზაზარაძის რაიონის კოლმურნეებს; ამჲჲჲჲ ეს შეჯიბრება ახლ-ეგება“.

უკრაინელი ხალხისადმი ქართველი ხალხის ძვირი დახმარების შესახებ 1944 წლის 15 მარტის ნომერში გულწრფელად წერდა ვახუთი „რადიანსკა უკრაინა“: „შრომითი გმობის ღირებით მოსილი მზიურ საბჭოთა საქართველოდან მოგედის მეგობრული დახმარება და გულითადი საღამო... ამჲჲჲჲ საქართველოს მშრომელები ქემარტიად კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ, ამხანაგურ დახმარებას რომ გვიწვევენ საბჭოთა უკრაინის სახალხო ჰურნეობის აღდგენაში.“

ქართველი კოლმურნეების ძვირმა დახმარე-ვამ დიდი ინტერესი გამოიწვია მთელ საბჭოთა კავშირში; იგი მაგალითი გახდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა გულთბალი მეგობრობის. მას გამოეზ-ჰურნენ თითქმის ყველა მზარეში. ლენინგრად-ელი ღუნა ვასილიევა შრომის კოლმურნეებს წერდა: ლენინგრადელები უკრაინელებით მზი-ური საქართველოსა და უკრაინის კოლმურნე-თა ძვირ მეგობრობასო. გულწრფელ პატიო-ტული წერილი მიიღეს შრომის კოლმურნეებ-ი ტაჯიკეთში მყოფი უკრაინელი ქალშეილის ზარინა კივერკისაგან. იგი წერდა: დიდი ხანია ვიყო თქვენს ურღვერ და გულწრფელ მეგობ-რობის შესახებ უკრაინელ კოლმურნეებთან. აღფრთოვანებული ვარ იმ დახმარებით, რომე-ლიც თქვენ გაუწიეთ იმის გამო უსახლკაროდ დარჩენილ მეგობრებს. ვიცნებოთ საქართველო-ში ჩაშინებულნი, რათა მთელი ჩემი სიცოცხლე ჯ გავიტარო.

უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობ-რობის განმტკიცების ერთ-ერთი საშუალება — სოციალისტური შეჯიბრება — ახალი ძალით გაიშალა ომისშემდგომ წლებში. ყოველწლი-ურად ხდება შეჯიბრების შემოწმება. დღევან-ტების ურთიერთგაცეცა.

1949 წელს რამდენიმე ოასი ციტრუსოვანი ნარგავი მოსცეს ქართველმა კოლმურნეებმა უკრაინელ ძმებს. რგვასთან დაკავშირებით მ-ზარაძის რაიონიდან უკრაინაში დასახმარებ-ლი გაიგზავნა მეცირუსეთა ბრეჯადა. ოდეს-ის ოლქში ციტრუსების მურნეობა ქართველ კოლმურნეთა დახმარებით ვითარდება.

მეგობრული ურთიერთობა აქვე დამყარებუ-

ლი სემის ოლქის ტალაღაევის რაიონისა და ზუგდიდის რაიონის კოლმურნეობებს. ამ ორი რაიონის კოლმურნეებმა ურთიერთმეგობ-რობა კვრ კიდევ 1938 წელს შეწყვიტეს, ამ დროიდან განაღდა მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო კულტურე-ბის უხვი მოსავლის მიღებისათვის, პარტუტეის ხელდადებისა და პროდუქტულობის მვეითად გადიღებისათვის.

უკრაინისა და საქართველოს კოლმურნეთა სოციალისტური შეჯიბრება განსაკუთრებით გაფართოვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიისა და კომუნისტური პარტიის ცენტრ-ალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა გ-ნიკვეყნების შემდეგ.

ორი მოძვე რესპუბლიკის კოლმურნეთა ერთიერთობიდან განსაკუთრებით აღსანიშნ-ვია უკრაინის კოლმურნეთა დღევგაციის ზ-მისხლა 1954 წლის 18 იანვარს, რუსეთთან უკ-რაინის შეერთების 300 წლისთავის ისტორი-ური თარიღის დღეს. ზუგდიდისა და ზაზარაძის რაიონების კოლმურნეებმა სტუმრებს გულ-თბილი შეხვედრა მოუწვეეს. ისინი გაეცენენ ქართველი კოლმურნეების ცნობებსა და საქმიანობას, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდი-ლება; გაეცენენ ჩაის პლანტაციის მოვლა-და-მუშაების აგროლონისპიებებს. მეცხოველეობის განვითარების, პირუტყვის პროდუქტულობის გაზრდის საკითხებს. ამ შეხვედრამ უფრო გ-ნიმტკიცა მოძვე კოლმურნეთა მეგობრობა.

ტალაღაევის რაიონის საბჭოთა მეურნეობის „ზარსტუკოვისა“ მერკოლური ა. სუხოვლინი ვსახლბა ზუგდიდელ კოლმურნეებს თავის გა-მოცდილებაზე, იმაზე, თუ როგორ მიიღო მისმა რგოლმა 19 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 819 ცენტნერი საყვები ჰარბალი. ზუგდიდელ კოლმურნეებს თავის გა-მოცდილებაზე გაუზიარა აგრეთვე კომპიუნერმა გ. კურულანკოვმა; ამ მოწინავე კომპიუნერმა 1953 წელს 645 ჰექტარ ფართობზე ხორბლის მოს-ავალი უდნაყარგოდ აიღო. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუტისა და სოფელ ბოლოტნიკის სტალინის სახელობის კოლმურნეებს შორის დაიღო სოციალისტური შეჯიბრების ხელშე-რღლება. მოძვე უკრაინის კოლმურნეობებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება ჯაფორქმეს ახალსოფლის ლენინის, ინგარის სტალინის, კახათის კარლ მარქსის და ცაიშის მალენკოვის სახელობის კოლმურნეებმა; შე-ჯიბრებაში ჩაება აგრეთვე ინგარის ჩაის საბ-ჭოთა მეურნეობა.

1958 წელს უკრაინელ და ქართველ კოლმ-ურნეთა შორის წამოწყებულ ინიციატივას მა-ღაროელებიც გამოეზმარნენ. 1938 წლის ნო-ემბერს დონბასის მღაროელებმა (ორჯინიკო-ბის ქვანახშირის ტრესტი) მოწოდებით მიმარ-თეს ქაიბოლის ქვანახშირის მუშებსა და ინე-ნიერ-ტეკნიკოსებს, რათა გაეწეათ სოციალის-

ტური შეჯიბრება. უკრაინის სსრ ვოროშილოვ-გრადას ოლქის სერგოვესკის რაიონის კიროვის სახელობის მახტების მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურებმა.

უკრაინულ და ქართულ მეშახტეებს შორის შეტაკე მებრძოლობა და თანამშრომლობა დამყარდა. მათი ურთიერთობა ორი ათეული წლის წინათ დაიწყო. ვერ კიდევ მაშინ, როდესაც სტახანოვერი მოძრაობა ის იყო ისახებოდა ჩვენს ქვეყანაში, დონბასიდან ტყიბულში სამუშაოდ ჩავიდა რამდენიმე გამოცდილი მეშახტე, რომლებმაც თავდადებული შრომით ქართული მეშახტეების სიყვარული დამსახურეს. ამ შრომისათვის მეშახტეებიდან განსაკუთრებით განირჩეოდნენ: ნ. კობიაკი, ვ. სისიხილოვი და ნ. ვარზანი.

ტყიბულელი და დონბასელი მეშახტეების ძნელ მებრძოლობას შტაკეე საფუძველი ჩაეყარა 1937 წელს, როდესაც დონბასიდან პირველად დღევანდელი ჩამოვიდა ტყიბულში. ამ დღევანდლის ჩამოსვლა ტყიბულელებს ინიციატივას აძლევდა, რომ მათ შორის იყო სახედავანოქმული მეშახტე ალექსი სტახანოვი, რომელმაც ქართულ მეშახტეებს ბევრი რამ ასწავლა და პრაქტიკული დახმარება იწოდინა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, ახალი ტექნიკის დანერგვისა და მუშაობის ახალი მეთოდების გავრცელების საქმეში.

ტყიბულელი მუშები მთელ ქართულ ხალხთან ერთად დიდი სიხარულით, პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით შეხედნენ დიდ დღევანდელს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

ტყიბულის მახტებში მოპოვებული წარმატებანი დღევანდელი დონბასის მეშახტეებს სახელთან. ამიტომ ტყიბულელი მუშები თავიანთ მოღწევებს უმაღლიან დონბასის მეშახტეებს და გადამყვებელი აქვთ, კიდევ უფრო ვააფართოონ და განამტკიცონ სოციალისტური შეჯიბრება უკრაინულ თანამოქმედებთან.

რამდენიმე წელიწადია, რაც ვიხილავთ მკაცრ-სერვეტებსა ძმობი და მეგობრული ურთობით ამა დაამყარეს უკრაინის სსრ ქალაქ ხერსონის მ მარტის სახელობის საკონსერვო ქარხნის კოლექტივთან. ეს მეგობრობა დღითიდღე უკრთოდება და მტკიცდება. სოციალისტური შეჯიბრებაში ჩაბმული მეკონსერვეები ერთობა-მეტის უზიარებენ გაპოვდილებას, ეხმარებიან საქმიანი წინადადებებით.

უკრაინულ და ქართულ მეკონსერვეებს ტრადიციული გადაეცათ ყოველ წელს ერთმანეთთან შეხვედრა. 1952 წელს ხერსონულ მეკონსერვეებს სტუმრად ეწვია გორის მეკონსერვეთა დე-

ლევაცია. ხერსონში გამოართა უკრაინულ და ქართულ მეკონსერვეთა კონტრენცი, რომელ-ზედაც ერთმანეთს გაუზიარებენ საქმიანობის გამოცდილებას; ქართველმა უკრაინელებმა კი ბევრი რამ კარგი და სასარგებლო ისწავლეს.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლის-თავთან დაკავშირებით გახდა „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ გორის საკონსერვო ქარხანაში მუშაობ-ბევი სპეციალისტი, რომელმაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ უკრაინაში. ოდეს-სის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაამ-თავრეს გორის საკონსერვო ქარხნის მთავარი ინჟინერმა მ. შიოთაძემ. საინჟინერო საამ-ქროს უფროსმა ს. შიოთაძემ, ქარხნის მთავარმა ქიმიკოსმა ა. კობუნმა, მთავარი სამკროს უფ-როსმა ა. ხუბულურმა. ეს ამხანაგები დიდი პატივისცემათა და გულწრფელი სიყვარულით იგონებენ უკრაინულ პროფესორ-მასწავლებ-ლებს.

გორის საკონსერვო ქარხანაში ქართველებ-თან ერთად მუშაობენ უკრაინელი ხალხის შვი-ლები — ბ. აკოპენკო, ლ. ბროცო, მ. კობლი-ჩენკო, მ. კოზილუბი და სხვ., რომლებიც წარ-მატებით ასრულებენ საქმიანობა დავალებებს.

მრავალი წლის მეგობრობა აყვამობებს ნიკო-პოლისა და ქვათურის მარგანეცის აუზის კო-ლექტივებს, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან მდინის დამუშავების მეთოდების გაუმჯობესე-ბაში.

უკრაინელმა მღაღაროელებმა ქართულ მღა-ღაროელებს გამოუგზავნეს მათ მიერ შექმნილი მანერტური სუპერატორები, მდინის გამამდი-რებელი მანქანები, ნიკოპოლის ინჟინერებმა კო-თურულ მღაღაროელებს აჩუქეს თავიანთი ახალი სინტრევსატორით მანქანა, რომლის საშუაღ-ვით ზორცივდება მდინის ამოღების, გამოტა-ნისა და ჩატორთვის შრომატევადი პროცესების სრული მექანიზაცია.

ქართველმა მღაღაროელებმა თავიანთ უკრა-ინელ ამხანაგებს გადასცეს მდინის დამუშავების ახალი მეთოდები. უკრაინელი მზარველები უკრთოდ იყენებენ მარგანეცის მონერვეის პროგრესულ წესს, რომელიც შეიმუშავა კოი-ორერმა მბურღაქმა თითქმამ. 1954 წლის დებრვრეს ქვათურაში ჩავიდა უკრაინელ მ-ღაღაროელი დღევანდელი მარგანეცის ორი უდი-დესი აუზის კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების ახალ ხელშეკრულებაზე ხელმოხ-წერად.

ქართული მუშები და სპეციალისტები უკრა-ინელ მუშებთან და სპეციალისტებთან ერთად თავდადებულად შრომობენ უკრაინის მოძვე-რესპუბლიკაში გამოღებულ მშენებლობებზე. დიდი სიხალხო დღესასწაულის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის — დღე-ებში უკრაინის ერთ-ერთი დიდი მშენებლობაზე — კაბოეკაში ჩასული გახდა „კომუნისტის“

საბუკორებსაონდენტები და ლომთაძე და
 ე. თორღუა გადმოგვიყვან, რომ საქართველოს
 ჰიდროენერგეტიკოსებს თავიანთი წვლილი შე-
 აქვთ კახოკის ჰიდროელექტროსადგურის მშე-
 ნებლობაში. თბილისის ჰიდროენერგეტიკის სა-
 მუცნიერო-საბაჟოევი ინსტიტუტი და მისი საბუ-
 ცილოსტები დიდ დახმარებას უწევდნენ და
 უწევდნენ კახოკის მშენებლობას ბეტონის სამუ-
 შაოთა გაუმჯობესებელი ტექნოლოგიის და-
 ნერგვით, ბეტონის სწრაში ფრეზირდებული
 პლასტიფიკატორების შეზავების რეცეპტურის
 მიწოდებით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი მეგობრობა
 თელი თავისი ძალით მოქმედებს ჩვენი ქვეყ-
 ნის უზარმაზარი ტერიტორიის ყველა კუთხე-
 ში. ვახუთმა „კომუნისტმა“ რუსეთთან უკრაი-
 ნის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირე-
 ბით გამოაქვეყნა ე. კეშელავას წერილი ანტ-
 არქტიკიდან. ავტორი მოგვითხრობს იმ დიდ მე-
 გობრობაზე, რომელიც არსებობს ქართველ მე-
 ანძმე-მეთვალეთაღის — შალვა კელიძესა და
 რუსი კაპიტანის — მეზარჯის — თანასე პურ-
 განს, ბელორუსი ბოცმანის — თედორე მოვი-
 ლეისა და უკრაინელი კაპიტანის თანაშემწის —
 ანტონ სტეპანენკოს შორის. ეს აღმნიშნები ეს-
 თად ეწევიან გვირულ შრომას ანტარქტიკაში —
 გემ „სლავა“-ზე. „ახლა შეიძლება ვთქვათ, —
 თქვა პურგინმა, — რომ ჩვენს გემზე პატარა
 საბჭოთა ქვეყანაა. მე რუსი ვარ, მოგილევი —
 ბელორუსი, სტეპანენკო — უკრაინელი. ქვლი-
 ძე — ქართველი. სხვა უროვნებათა ხუთიოდე
 წამომომადგენელიც ვკვავს“.

•••

რუსეთთან უკრაინისა და საქართველოს შე-
 ერთების დიდი ისტორიული მნიშვნელობა

პიონდა უკრაინელი, ქართველი და რუსი ხალ-
 ხების შემდგომი პოლიტიკური კავშირები უკვე
 ეულტურული განვითარებისთვისაა, ეს უკვე უკვე
 მტკიცედ დაადგნენ ერთდღიით ერთ გზას —
 საერთო მშავრელების წინააღმდეგ ერთობლი-
 ვი ბრძოლის გზას.

იბრძოდნენ რა კარიზმის წინააღმდეგ, უკრა-
 ინელმა და ქართველმა ხალხებმა ყოველთვის
 იცოდნენ, რომ რუსი ხალხის მოწინავე ადამი-
 ნები თანატოლობდნენ მთსამართლიან ბრძო-
 ლას, აღიარებდნენ და იცავდნენ უკრაინისა და
 საქართველოს ერთეული დამოუკიდებლობის
 უფლებას.

მემაბუღეებისა და კაპიტალისტების წინააღმ-
 დგ, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთ-
 თობლივ ბრძოლაში მტკიცდებოდა და ვითარ-
 დებოდა რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალ-
 ხების მეგობრობა.

კომუნისტური პარტიის ზელმძღვანელობით
 რუსეთის ყველა ხალხი დაადგა სოციალისტური
 განვითარების გზას. მთი ამ გზაზე შეძლეს თა-
 ვანთ საუყუნეობრივ ეროვნულ მოსწრაფებათ
 განხორციელება და უზრუნველყვეს თავიანთი
 ეკონომიკისა და ეულტურის აყვავება.

საუყუნეობრივი ოცნება განახორციელა ქარ-
 თველმა ხალხმაც. მან შექმნა საქართველოს
 ეროვნული საბჭოთა სახელმწიფო. საბჭოთა სა-
 ქართველო გადაიქცა მშლავრ ინდუსტრიულ-
 საკოლმურწეო რესპუბლიკად, რომელსაც აქვს
 დიდად განვითარებული, თანამედროვე ტექნი-
 კით აღმუშავი მრეწველობა, მსხვილი მექა-
 ნიზებელი სოფლის-მეურწეობა, ფორმით ერო-
 წული, მინარხით სოციალისტური მოწინავე
 ეულტურა.

